

114
1964

2600000

73

114

1

1

9

6

4

მნათობი

სოციალური ლიტერატურულ-მხატვრული
და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

წელიწადი მე-40

№ 1

იანვარი, 1964 წ.

საქართველოს საბჭოთა მხარელების კავშირის ორგანო

შ ი ნ ა ა რ ს ი

გიორგი ლეონიძე — ქუთაისს. ლექსი	3
ლევან გოთუა — ლეკვი ლომისა. რომანი.	5
შალვა აფხაიძე — ზეპი თაობა. ნაწუვეტები პოემიდან	34
სერგო კლდიაშვილი — შორეული ცილი. მოთხრობა	40
ოტა იოსელიანი — ოქრთსფერი და ქორისფერი ქორა. სენური ნოველა	48
კალე ბობოხიძე — ღია წერილი იაპონელ მწერალს-ფუკუროს. ლექსი	55
ვახტანგ გორგაძე — ლექსები	56
მარონ ხერგიანი — აღმართები. მოთხრობა	58
თომას შანა—ტრისტანი. მოთხრობა. თარგმანი გერმანულიდან პაველ ჩაიკვიანისა	67

დეკემბრის პლენუმის გამარჯვებულებათა შესასრულებლად

3. ახათიანი — დიდი და მცირე ქიმი საქართველოში	94
---	----

გამოსათხოვარი

ლავროსი კალანდაძე — ლეო ქიაჩელი	106
---	-----

კრიტიკა და ლიტერატურისმცოდნეობა

გივი ვარდოსანიძე — ილიო შირცხელაეის პოეზია	109
სერგი კვიციანი — ორი აბალგაზრდა მწერალი, ორი სტილი, ორი მანერა	119

(იხ. მეორე გვ.)



705B

შალვა რადიანი — საბჭოთა ლიტერატურის მნიშვნელოვანი ფანრი	131
ნოდარ ნათაძე — „ვეფხისტყაოსანი“ და კულტურის ისტორია	144
შალვა გოზალიშვილი — ქართული სიტყვიერების გამოჩენილი მკვლევარი	164



შეკრება

პუბლიკაციები — ნიკო მარი

წიგნების მიმოხილვა

ზ. კუშბურიძე — „ქართული მოთხრობა“	184
აღ. სანაძირაძე — მოთხრობები ომსა და მშვიდობაზე	187
ნაზი ზორჭაძე — „პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი“ ქართულად	188
ვასილ გვეტაძე — „ბროწეულების ცეცხლი“	190

რედაქტორი: გრიგოლ აბაშიძე

პ/მგ. მდივანი: ვ. წულუკიძე

სარედაქციო კოლეგია:

- დ. ბენაშვილი, თ. ბუაჩიძე, დ. გამეზარდაშვილი, გ. მარგველაშვილი,
 ე. მაღრაძე, ბ. ფლენტი, ა. სულაკაური. ა, ქუთათელი, ე. ყიფიანი,
 ს. შანშიაშვილი, გ. ჭიბლაძე

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 63. ტელეფონი 7-13-42; 7-11-66.

ბელოწერილია დასაბეჭდად 12/11-64 წ. ქაღალდის ზომა 70×108. ანაწილების ზომა 7 1/4×12 1/2 ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 12, პირობით ფორმათა რაოდენობა 16. უე 04091, ტირაჟი 6 500, შეკვეთა № 2788.

საქ კმ ცკ-ს გამომცემლობა, სტამბა № 1
 Издательство ЦК КП Грузии, Тип. № 1

გიორგი ლონია

ქუთაისი

სიტყვა წარმოთქმული ჩემს საღამოზე,
ქუთაისში, 1963 წლის 31 ივნისს.

შენ სამთხვევად ჩამოგსულვარ,
მე როდი ვარ უთავისო,
საქართველოს მადლის ძუძუზე,
ვარდასხმულო ქუთაისო!

სიყვარული ძველისძველი
ყველა ისრით გულს დაესო;
გულმაც რა ჰქნას ამის მეტი,
საწყაული თუ აივსო!

თუ დავითის ანდერძს ვტებდე,
შენს სუფრაზე ნუ დამისომ!
მის მოტანილ ლოდზე ვდგევარ,
გმირთა მამავ, მუდამისო!

მიყვარს კვალი გავლებული
შენი პირველ გუთანისო,
ვარდასხმულო, ვარდის დედავ,
საოცნებო ქუთაისო!

რა ვუყოთ რომ დაგარბიეს,
დიდხანს ეყავ უგაისოდ,—
შენი ვარდი უჭკნობია,
შენი მზეა—უდაისო.—

ახალ ცეცხლით გამინათვ,
ძველი ცეცხლი თუ დაივსო,
ქალბრავ და სულ ქაბუჯო,
სულ რაინდო ქუთაისო!

საუკუნეს სძინავს მრავალს
შენს ძველ ქვებში, მზის ქალაქო,
ქართლის ფუძის ჩამყრელი ხარ,
დღესაც არ ხარ უბარაქოდ.

ბაგრატის შთით გადმოგებდავ,
დიდ შვილებს მეთაქვანეს,



წინაპართა გადმოცემულ
 დროშას ლაღად მიაქანებ...
 შენ—რიონის ლურჯო ზვირთო,
 შენ—გელათის ქვაკუთხედო. —

ჩემი ძარღვი, ჩემი ლექსი
 თქვენის მიდლით აკურთხეთო!
 შენს უფარდოდ—უშაისოდ,
 ლექსს ვერ ვიტყვი, ქუთაისო!

ვაქას სულმა გამომგზავნა,
 მისი ლექსიც მსურს დავისწრო,
 აკაკის ჩანგს დაფუჩოქებ,
 ვეტყვი, მამავ, უშამესო!

ხომ გახარებხს აყვავება
 ქართლის ვაზის თუ ყანისო,
 გალაკტიონს—შენს თბილ სუნთქვას—
 ერთად უთხრათ, უშამესო!
 დღესაც ბევრი გყავს ოსტატი,
 სანატრელო ქუთაისო!

კოცნა მომაქვს თბილისისა,
 გორისა და რუსთაფისო!
 მე ამ კოცნის ნაპერწკალის
 წინწკალი ვარ, ქუთაისო!

მინდა გულში ჩაგივარდე,
 საქობად ხელს ნუ დამისომ;
 შენს უფარდოდ—უშაისოდ,
 მზეც არ მინდა, ქუთაისო!



ღვანე ბოთაა

ღმკვი ღომისა

რომანი

I

— ჩემო ნათო-ნათია, მოდი შეილო... აბა, სიცხის საზომი... შემაწუხა.

— აგრე ნუ მეძახი, მამა... უჰ, ისევ დიდი სიცხე გქონია, ალბათ, წნევაც. ექიმს გამოვიძახებ...

— რათა, შეილო, თუ კი თინა-თინი შეიძლება, რატომ ნათო-ნათია არ შეიძლება? მაშ ისევ სიცხე მაქვს? ცუდად შემომეჩვია... არა, ექიმი კი არ მინდა.

— რათა და ახლა ყველაფერი მოკლდება... დიახ, ახლებურად!

— თმითა და კაბით დაწყებული და სახელით გათავებული?

— დიახაც! ახლო მეგობრები მე თიას მეძახიან, შენ კი ნათო-ნათია! ძველ-ხაზარდულად!

— ყველა არა, გაგა ახობაძე, მაგალითად...

ნათიამ თვალი აარიდა მამას, ისევ ეურნალის კითხვა-ფურცელას მიუბრუნდა, მაგრამ მამა აღარ მოეშვა.

— სად არის? რატომ აღარ მოდის გაგა?

— ის ჩემი ახლო მეგობარი სრულიად არ არის...

— სრულიადაც... რატომ ასე ხაზგასმით?

— ისევ დაიწყე, მამა?

— რომ არ მისმენ?... ისევ წაიხსუბეთ?

— ისევ წამეჩხუბა... მიზეზსაც გეტყვი — ტუჩებს რომ იღებავ რა, სილაშაზე ვაკლიაო?

— ჰოდა, მართალი უთქვამს! მერმე გაებუტე? რა უწოდე — უზრდელი თუ უტიფარი?

— თორვე, მიილო პასუხი... რას მიქვია? ან რა მისი საქმეა, ტყიურ გორსალასი?

— ჩემი, ჩემი საქმე ხომ არის?

— აღარც შენი, მე საშუალო დამთავრებული მაქვს.

— ახლა რალას აპირებ? ან... ან...

— არც ერთს, არც მეორეს... მე გულ-ამოსუნთქული ცხოვრება მინდა.

— ვაკლია რამე?

— დედა მაკლია... ის გამიგებდა.

— მეც რომ დაგაკლდები, მერმე უფრო გაიგებ. შენ ცხოვრება დროის ტარება გგონია!

— შენ კი ან სწავლა, ან გათხოვება? მამა კედლისაკენ გადაბრუნდა. შეილმა განაგრძო ეურნალის თვალღერება. მათ შორის, უკვე არაერთგზის თქმულ სიტყვა-პასუხი ისევ გაგრძელდა.

— ჩვენი ცხოვრება ან რევოლუციური, ან ომი, ან მძიმე შრომა — ახლის შენება.

— ჰოდა, ჩვენ რაღა დაგვრჩა ვასაყეთებლად?

— არ მესმის... და მაინც რომელს ირჩევ?

— არაფერს... დროს ტარებას — ვიდრე დრო გვაქვს!

— ვიდრე... მერმე?

— სამერმეო მერმე იყოს ვიდრედან — ვიდრემდე!

— სადაური საუბარია?

— ახალქართული...

— არც ახალია, არც ქართული... ვფიქრობ, არც ახალგაზრდული! არც მტრისაა, არც მოყვრისა!

— ამას აღარც აქვს მნიშვნელობა.

— მაშ რაღას აქვს მნიშვნელობა?

— ჩემ სურვილს — წუთიერ გატაცებას! მთვარის შუქზე დანახულ ქვეყნის ანარეკლს თუ წინ არაფერია, მაშინ დღესაა ყველაფერი!

— არც ეს მესმის! ჩვენ მზის შუქზე ვხედავდით ქვეყანას, ყველაფერი ნათელი იყო. ჩვენ ვიცოდით, რა გეწადდა!

— თქვენ მზის შვილები იყავით, ზომავზე მეტი მოჭმელებისა, თავგანწირვისა... თქვენთვის საერთო მიზანი იყო ყველაფერი. ცალ-ცალკე, პირადი მიზანი არც კი გქონიათ, არც მოთხოვნილება გქონდათ ამისა! მე კი, ალბათ, მთვარისა ვარ. აქ არის ჩვენს შორის ძირითადი განსხვავება!

— ნუთუ ერთი თაობის თავგანწირვა სასაცილოდ არ ჰყოფნის მეორეს? — მამა წამოვარდა, წამოჭდა ლოგინზე. საბანი ცალფერადად გადმოუვარდა, თითებშეკრუნჩხული ფეხი გამოუჩნდა... — რომელ სკოლაში ისწავლე ასეთი სჯა?

— არა, სკოლაში არა... სკოლის გარეთ, თქვენი თავდაუზოგავი მოჭმელების გარეშე დარჩენილ ცხოვრებაში. იქნებ თქვენ ჰფიქრობთ, რომ ყველაფერს ჩასწვდით?

— მე ახლა სიცხე მაღაპარაკებს, შენ კი რაღა?

— მე... იქნებ სწორედ უსიცხოხა.

— საიდან გაჩნდი ასეთი მიმცხრალნი, უმრწამსო, უმოჭმედო? ცალგვერდად და ნაადრევად მომწიფებული?

— არ ვიცი... საერთოდ, რაც მე არ ვიცი, იმას არც აქვს ჩემთვის მნიშვნელობა!

— უტიფრული აზრია!

— ზრდილ-მოძველებულს ახალ-უტიფრული სჯობია!

— უტიფრობა — უნიჭობის უმცროსი დაა, შეილო!

— შავას ნუ ვიტყვით. ნიჭით მე ჩემს

დედასაც ვჯობნიდი, მამის შესახებ რომ აღარა ვთქვათ რა! თქვენ არც იმდენი სწავლა გქონდათ, არც ენები უცოდით; არც ჩაცმა, არც მუსიკა და ცეკვა... კიდევ ჩამოვთვალა? ყველაფერი ჩვენია და არა თქვენი! თქვენ მოთხოვნილებაც სულ მცირე გქონდათ!

— „ეს ყველაფერი“ კიდევ არ არის ნიჭი — ჩვენი მალედი უფროა!

— კაცს რომ არ აქვს — ეს ერთია. რომ არც უნდა ჰქონდეს — ეს მეორე, და რომ არც იცის, რომ უნდა ჰქონდეს — ეს მესამე და საბოლოო!

— მრწამსი მითხარით, თქვენი მრწამსი! სად არის შენი დვრიტა! თავის დასაღები მიჯნა! მაღალფარდოვნება სრულიადაც არ ნიშნავს მაღალს!

— ჰო, ეს კი კარგად იცოდით თქვენა... ზოგადი მრწამსი, საზოგადოებრივი დატვირთვა და ბევრი შვილები... ეს არის, ცხოვრებამ ჩემს მეტი არ შეგარჩინა. სიტყვაც ძველებურია და შინაარსიც!

მამას უმატა სიცხემ. შეიღმა სველი ტილო დაადო შუბლზე და ისევ მიაწვინა, მზრუნველად მოუარა, საბანი გაუსწორა, შუქი თვალთ გაუფარა.

— სარკმელი გამოაღე... ჰპერი არ მყოფნის.

ქუჩის შეუხელებელი ერთი მუხლი უმაღლედა ბინას. საღდაც ჩაბრინწული ხმით გაჰკიოდა ხმამაღლი. სახანძრო რაზმის მანქანებმა, საყვირების შემზარავი ზმუილით ჩაიარეს. მერმე სასწრაფო დახმარების ხმამ გაჰკაწრა ქუჩის შეხუთული ჰაერი. მუხრუჭებისა და ძრავების ღრქილმა სულ დაძაბა ავადმყოფის სმენა. მაღლა, ქალაქის სახურავებისა და ანძების თავზე კი უძრავად ეკიდა მიმცხრალი და ჭიანჭამი მთვარე.

— სათვალის შუშა გამტეხია და ყველაფერს გაბზარულად ვხედავ, მთვარესაც კი... წამიკითხე სადაც კითხულობ.

— გაბზარული მთვარე! კარგია, ახ-

ლებურად დაწერილ წიგნის სათაურსა ჰგავს.

— ჩვენ ასეთი წიგნები არ გვიწერია, არც გვიკითხავს... სათაურად გვიჩვენია „ლევანი ლომისა“!

— მომხეზრდა ქულის დარიგება. თითქოს თქვენ მუდმივი და უცვლადი მამები ხართ, ჩვენ კი აწლამარადის თქვენი მონამორჩილი შვილები და მოწაფეები!

შვილმა ქურნალი უფრო ააშრიალა, მაგრამ არ წაუეთხა. მამას მოთმინება დაელოა ისევ ყოვლად შემწყნარებელ სიყვარულისა და ყოვლად შეუვალ მოვალეობის უეცარ ჰიდილში ჩაეარდა. ამას კიდევ ის ამჩიებდა, რომ ხანდაზმულობა და უძლურება ზედ ერთოდა... „ნუთუ ეს არის ჩემი ლევანი?“

— წაიკითხე, წაიკითხე! შენი ახლებურიც ვნახოთ...

— თავიდანვე ვიცი — არ მოგეწონება!

— რა ვუყოთ, მე ბევრი რამე აღარ მომწონს, მაგრამ ჩანს, ამას აღარავითარი მნიშვნელობა აღარ აქვს შენთვის!

ნათიამ შუა სტრიქონიდან ჩაუკითხა:

— „მოდა არ ერიდება არც ახალ ხაზებს, არც მკაფიო ფერებს. გადაჭრით უარს ამბობს ქვედატანის დაგრძელებას და ყოყმანის გარეშე ამალღებს წელის ხაზს. საღამოს ეამს, მთვარის შუქზე თუ ელექტროსხივზე, ირჩევს მიმცხრალ ფერებს, ნახევარ ტონებსა და მიწაზე სიფერმკრთალეს“...

მამას უფრო უმატა სიცხემაც და წინემააც:

— დასახევია, ნამდვილად დასახევი...

— მოდების ქურნალი? — გამოძვევად შეეკითხა თია.

— არა, ჩემი საბენსიო წიგნაი!

II

დამატებითი მატარებელი ბორჯომისაკენ განრიგის გარეშე მიდიოდა. ხაშურში დიდხანს იდგა. ხეტყით დატვირთულ გრძელ საბარგოს ლოდინი მოუხდა. ახალგაზრდა მემანქანე ჩიტახეველი

იყო, ახსოვდა, მის ბავშვობაში ჩიტახეველის აშენების დროს, ჩიტახეველიდან შემოჰქონდათ ხე-ტყის უამრავი მასალა. ახლა კი აქედან გაჰქონდათ, არა ნაკლებ უამრავი. თავი უამურად გაიქნია, მაგრამ ამისთვის აღარ ეცალა. სულ მოკლე დროში უნდა ჩატეულიყო. ჩქარობდა, ოდნავ დელავდა კიდევაც, მაგრამ არ იფერებდა. დამოუკიდებლად ჰირველად მიჰყავდა „ახალგაზრდული სამზავრო“, როგორც მის მატარებელს თბილისშივე შეაჩქევს, ისიც ორი სექცია ერთად მგზავრებიც, თითქოს საგანგებოდ, დიდუმრავლესად ახალგაზრდები იყვნენ. საგზურიანი და უსაგზურო ტურისტები, ტყეში პრაქტიკაზე მიმავალი სტუდენტები, სულ ახლახან დათხოვილი, მოაგარაკე მოწაფეები, კეჩობში, პატარა ცემში, ციხისჯვარში საბანკოდ წამოსული პიონერები.

მზე უმზრახ ოსტატად ადგა ხრიბლეთს. მისი ბრიალა ფუნჯი ჭერ ლომის მთასა და კოდიანის გაზნეკილ ჭიდაოს ედებოდა, მერმე უფრო დაბალ ქედების მზრებსა და კალთებზე უსწორ-მასწორ, შავ-მწვანე ნაბდებად მოხურულ ტყეწიწვანარს.

ახლა ხეობებში ჩაკლავნილ, ხმლებით მოქნეულ ნაკადებს, ფერსა და ელვარებას უმრავლებდა. სულ ქვევით მტკვრის ხეობის ფსკერზე ნათელ სვეტად მოპყვებოდა მდინარესაც და ლიანდაგსაც.

გვალვიან წელს აღრევე ჩამოცხა. უმოკლეს ჩრდილის დრო იყო. და ვიდრე მატარებელი ზუსტად სამხრეთისაკენ შემობრუნდებოდა, დასიცხულ მხარის დასაჯდომებსა და სარკმელებს ყველა ერიდებოდა. მოუსვენარი ახალგაზრდობა მატარებლის მთელ სიგრძეზე ცალფერად იყო მომდგარი. სარკმელებში; საფეხურებზე, მხოლოდ ჩრდილის მხარეზე იყო ჰედვა და ახალგაზრდა მგზავრების აკიდოები.

ტაშისკარშიაც მზე კედელვით იყო ჩამდგარი.

ხეობის ვიწროებს მიატანა და მიაკევლა მატარებელმა. ერთ-ერთ სარკმელში

სამი ვაჟი სურათოვნად იცქირებოდა. სულ სხვადასხვა სახისანი იყვნენ, მაგრამ ერთმანეთს საოცრად ჰგავდნენ. ერთს პრიალად დაგლესილი თმა და ოდნავ მოგრძო ბაყები ჰქონდა, მეორეს შეფითრებული, სილურჯემდე ნაპარსი ნიკაპ-საულვაშე, მესამეს დიდ ზვანჩიანი კისერი და ქარზე მოფრიალე, ნეილონის ექსტრა-ყელსაბაში. მცირე მაგიდაზე — ჩანახევრებული კონიაკი, ტბილცხობილების ნარჩენი, ხილის ნათალი და ქათმის ძვლები, პაპიროსის კოლოფი და მრავალი ნამწვავი. იქვე მიყრილი კარტი და მათ შორის გულალმა დებული სამი ტუზი.

ერთ-ერთმა ვაჟმა მარცხენა ხელუჯულმა გადმოუხსვა მაგიდას. კონიაკისა და კარტის გარდა ყველაფერი ქვევით გადმოჰყარა. მაგიდაზე დაჭდა და სარკმლის ჩარჩოსთან უკეთ მოიკალათა.

— არა, მაინც სად ვირჩიოთ — მავსტრო? მალე ქვიშხეთია, იქ ახალმოდის მწერლები ისვენებენ!

— ნონ! ეს არ არის ჩვენი საქმე... უარი ეთქვას!

— აბა, ახალდაბაში? ახალმოდის მეცნიერები არიან ხოლმე...

— არც ეს გვეხება, პიკო! უარო-უარი! სერე, შენ რაღას იტყვი?

— დიახაც. ტაშისკარის იქით — მხოლოდ ბორჯომ-პარკი! იქ არიან ჩვენი საფერონი და საკბილონი — ექსტრა-მოდის კოპწიები! ელიტა-ქალიშვილები!

— მე ვამტკიცებ, რომ ნაძვანარის სურნელება და ტყის ჩრდილი, ზღვის ტალღებზე და სანაპიროზე ნაკლებად არ მოქმედობს ელვა-სიყვარულის წარმოშობაზე!

— ფიქრების სრული შეება, სიმსუბუქე... და უეცარ ტრფობის ელდა და სხვა კომპონენტი!

— ამ ასპექტში ტყესა და პროსპექტს უფრო მეტე აქვთ საერთო, ვიდრე ჩვენ ხანდახან გვეკონია!

— მამაჩემი პირდაპირ ტყიდან მოვიდა პროსპექტზე, რა გასაკვირია, რომ მეც პროსპექტიდან ხანდახან ტყისაკენ სატრფიალოდ გავისეირნო?

— რა თქმა უნდა... მხოლოდ არა „მარხვინახია თებრონეები“!

— ოსტატი ხარ, ნამდვილ მხატვრობა მავსტრო... ამ ესთეტური საკითხებისა!

— კარგი მიგნებაა, სერე და მეც ვალდრმავებ — „ესთეტიური გასეირნება“...

— „ტაშისკარის იქით“!

— ვაშა, პიკო! იდეალური განსაზღვრაა ჩვენი დღევანდელი თემისა! აქამდე უფრო „სალონიად“ იყო, ახლა „ბრწყინვალე სამეული“, „სალონის ლომები“ — ტყეში! ...ნაძვანარი, ჩრდილები, ჯირკვები, ხავსი აბლაბუდა... დაგდებული, ნეილონის ხელთათმანები...

— სულიერიც, ვინმე სულიერიც დაგვისურათე...

— უმაგისობა ხომ არ იქნება! წარმოიდგინეთ — მხრებაწურული, ჩამოსხლეტილი, ახალეშხა ულტრა-ანგელოზი, მაგრამ სრულიად გარკვეულ სქესისა, კინოგარსკვლავის სუპერაჩეჩილი ვარცხნილი, ლტოლვით მოციმციმე, ოდნავ ჩაქრუშული თვალები, მუდამ შეღებილ ტუჩებსა და კეხიან ცხვირს შვენის „ალუბალა“ საყურეები გულის კოვზის ძირამდე ღია დეკოლტი!

— ოპ, გულის კოვზი, რა ღრმა და მრავალმნიშვნელოვანი სიტყვა და სახეა!

— გააგრძელე, სერე, გააგრძელე...

— რაღა დამარჩა... ჩაიღილული მოკლე კაბა, ჩამოქნილი შიშველდამწვარი წვევები და ქუსლები „ა ლეტრანეე“.

— ქოლგა, ქრელ-ყვითელია ქოლგა?

— ოპ, პიკო! ეს მზის აბაზანის დროს, როდესაც ტანს აჩენს და მზეს კი ჰფარავს!

ჰალარა გამყოლმა მგზავრებს ჩამოუარა და ბილეთები მოსთხოვა. სამთა მიერ დაყრილ ნაგვის დანახვავზე ხელი ჩაიქნია. სათვალეებს ზემოდან გამოჰხედა, მწარსათქმელი კრიკით დაიჭირა, გაბრუნდა და ცოცხი მოიტანა. გამოჰგავა და ველარ დაფარულ გაგულისებით აღუდღუღდა...

გამყოლს თვალები გადმოუტრიალა მაესტრომ.

— პიკო, მიაქციე ყურადღება ამ პიროვნებას, ოღონდ ჯერ ზრდილობის ფარგლებში!

— არა, ნურას უკაცრავად, ზრდილობის ფარგლებში... ვიცი, ვიცი თქვენ ბორჯომბარკის სეზონური ბილეთები მუდმივად გაქვთ აღებული! აბა, რაღა საკითხავია! — გამყოლმა მათ ზურგი შეაქცია და ახლა სხვა მგზავრებს მიუბრუნდა, — თქვენ კი ჩანთიანებო, ტურისტებო, გეთაყვათ, ბილეთები წარმომიღვინეთ.

ჩანთიანების მოზრდილი ჭგუფი გაიწვამოიწია და გამყოლი გაატარა.

— ჩვენ ტურისტები არ ვახლავართ, ძიაკაო, ჩვენებურები ვართ და ძნელ საქმეზედაც მივდივართ ტაშისკარის იქით!

— ისინიც „ჩვენებურები“ არიან... — გამყოლმა თვალწარბით სამეულისაკენ მიუჩვენა, — ჩვენებურები და არც უბილეთონი. ეპ, რკინიგზა ყველაფერს უძლებს!

მაესტრომ კვლავ ყური მოჰკრა გადმოკრულს.

— დიახ, დიახ! ჩვენც ტაშისკარის იქით მივემგზავრებით, ერთ მატარებელში ვსხედვართ, თანატოლები ვართ და ერთი გზაც გვექონია!

— უკაცრავად! — ალბათ მიზანი კი სხვადასხვა გვაქვს! — წინ წამოდგა ზორბა ტანის ჩანთოსანი და უეცრად ყველას ყურადღება მიიქცია.

სამეულმა ურთიერთს გადახედა. მაესტრომ მიმხედურად ჩაიღიმა და სხვების გასაგონად ჩაიჩურჩულა:

— ღმერთო ჩემო, ახლა ყველა იჩეშებს მიზანს!

— ჯერ ბილეთები, მერმე დაიწყეთ თქვენი „დიდი პაექრობა“. ვინ არის თქვენი ჭგუფხელი? — ისევ ჩანთიანებს მოუბრუნდა გამყოლი.

— სწორედ ეგ არის ჭგუფხელიცა და ფხიცა! — მიამახეს აქეთ-იქიდან, — გაგატყურო! რა ბილეთებსა სთხოვ

ტყუილს? მაგის დახასიათება ტყეში იკითხე!

მატარებელში

მატარებელში უშუალოდ ახალგაზრდალ-ობუნჯური განწყობილება დატრიალდა. ბრგე ვაჟმა, საკმაოდ გამოხუნებული მგზავრული სამოსის ზუთიოდე ჯიბე მოისინჯა, ბოლოს მიაგნო საქიროს და გამყოლს ათიოდე ბილეთი ჩაუთვალა.

— დახასიათება ახლა ჩემი იკითხეთ! აბა, ეს ბილეთი დათა წვერ-წიორასი. ეს ხეჭრია ვანცასი, აგერ რომ ზის! ესეც ვატო ციყვიელტასი, მენია საციყვეთოსა, ეს კაკო-ხეკაუნასი, თემაც ეგ აქვს და „საკუთარი მოსაზრებაც გაანია!“ ეს კი ტყის მავნე სულია, კოტორკოტე დამამზადებელი, ტყეში დაღის უბილეთოთ, თორემ აქ კი ბილეთი აქვს, ძიაკაო! ესეც ჩემი — უკვე დამახასიათეს და აღარას ვიტყვი! — გაგამ ბილეთები ჩააბარა გამყოლს, — დანარჩენები შენ დათვალე — ყველანი ტყემპრომელები არიან!

ყოველ ბილეთ-ბილეთ, სიცილი და ხალისი მატულობდა. მაესტრომ ჩაბრუნებული ზარხარი ხელეშხიანად დაჟვარა, სერვისა და პიკოს თავები მოიახლოვა, მაგრამ საკმაოდ ზამალდა უთხრა:

— როგორი ტყეც არის — ისეთივე სამხეცე მისდის!

გამყოლს ბილეთები ებევრა, მაგრამ ხასიათი გამოუსწორდა, გამხიარულდა...

— ესენი ვიღასია, გეთაყვათ, ტყის ლომებო!

— მარჯვნივ რომ სხედან ისინიც ჩვენები არიან, ვარდა იმ ახალშოდა, ცუნდრუკა სამეულისა! — ახლა გაგამ გადასტყორცნა საპასუხო ნემსიკაური.

— გასაგებია, სამეულისაც და ათეულისაც! თქვენ ტყის ახალგაზრდა მეცნიერები იქნებით, გეთაყვა! — ჩაეღიმა გამყოლს.

— ვართ — დამცველები...

— რისა?

— რასაც ყველაზე უფრო უჭირს ჩვენში!... ახლა კი მცენარისა...

გამყოლმა ბევრი ვერაფერი გაიგო, მაგრამ იხტიბარი არ გაიტეხა.

— რალაც კომისია უნდა ჩამოსულიყო... მატარებელში მოვკარი ყური, განა ყველა ნაგავს ჰყრის, ზოგი ამბავსაც სტოვებს!

ირგვლივ თავშეუკავებელმა სიცილმა ჩაირბინა.

— კომისია, და არა ერთგზის, უკვე ჩამოვიდა, ახლა ჩვენც მივალთ, არც პირველად! სულ მოდავე და სულ მკდელი ხალხი ვართ, მაგრამ საქმეც შეტად რთულია. გამყოლი ცნობისმოყვარე გამოდგა, ნავაგიც ჩახვეტა და ამბავიც.

— რა სულ ძებნად და კომისიებად დაედო ხალხი? თქვენ ისიც გეცოდინებთ — რას არკვევენ? რა არის თავიდათავი?

— თავიდათავი, ბოლოს და ბოლოს, თავი! მთავარი კომისიაა ჩამოსული — ტყის მავნებლის შესახებ...

— შენ რა ქარაგმებით მელაპარაკები! — შეწყრა გამყოლი, — უბილეთოებმა იციან ასეთი ალთა-ბალთა ლათაიები! ტყეს მრავალი მავნებელი ჰყავს გაჩენილი — რომელს ჰგულისხმობ?

მგზავრები კვლავ შემზიარულდნენ. მოხუცი რკინიგზელი კი უფრო ჩაეძია:

— არა, მაინც... თქვენი ნებით მიხვალთ, თუ გავზავნით ვინმე?

— რა საკითხავია?

— საკითხავია — თავ-ტყიურო დღეს დამატებითი მატარებლით მივალთ — ყველა ჭურის ხალხი აირია, თორემ... აი ისინი, — ისევ სამეულისაკენ მიუჩვენა გულუფიწყმა მოხუცმა, — არა ჩვენი, „რბილის“ ხალხია, თავის ნებითაც მოდიან და თავნებანიც არიან! რას ეძებენ, რა უდევთ ვუნებაში, ისიც გასაგებია! თქვენ კი „მაგარის“ ხალხი ხართ და ვერა გამიგია რა!

— ჰოდა, საქმე გამოაჩენს, ვინ არის ბილეთიანი და ვინ უბილეთო... განა მართო მატარებელზეა საქმე!

— ეჰ, ერთი! საქმე აჩენს, აჩენს და სულ აშკარად ვერ კი გამოაჩინა... ისე კი, გეთაყვა წინათ აბანოში ჩანდა ყველაფერი, ახლა კი მატარებელში, დიახ!

ეს „დიახ“ ისეთი მაღალმანი დაკერა, რომ ყველა მოახედდა. კვანძებიც ამას შეეხუა, სათქმელი გულზე მოეხუა, მაინც სთქვა:

— სამი მოზრდილი შვილის მამა ვარ... ჩვენში ახლა ახალგაზრდობას უჭირს ტყეზე და იქნებ ყველაფერზე უფრო!

— ეს ცოცხიანი ბერიკაცი რა მაცდურად ჰგავს ჭკვიანს! — ხრინწიანად ჩაიხითხითა მანსტრომ.

— უკასრო დიოგენია! — დაეთანხმა პიკო.

— უკასროც და უკოსროც... — სიტყვები გაათამაშა სერკმა.

— მოვეუსმინოთ, მოვეუსმინოთ! ჩამორჩენილ სისულელესაც აქვს თავისი სიბრძნე! — თავისიანებს ჩაუჩურჩულა მანსტრომ და ახლა თანამგზავრებს შეეკითხა, — ტყეს რაღა გაუჭირდა, ტყიურებო?

— ახალი მანენ ხოჭო და ჭია-ლუა გაუჩნდა! მძიმე პრობლემა! — დინჯად უპასუხა გაგამ.

მანსტრო კვლავ ჩაუტკუქუქდა და ჩახრინწიანდა, ორივე ხელი ასავსავა.

— გესმით, სერკ... პიკო... შეუძლებელი უნდა შევძლო, რომ სიცილით არ გავიგულო! ხოჭოს... ჭია-ლუას პრობლემა! ამ ატომურ დროში! თანამგზავრების ეპოქაში! ეშხიანი ხალხია! ჭერ კიდევ ჭია-ლუას ხანაში ცხოვრობენ!

— ტაშისკარის ახალი პარადოქსი!

— მაშ ბორჯომის ტყეში მინერალურ წყლებისა და მინაზებულ ქალების გარდა ჭია-ლუაც ყოფილა!? რას არ გაიგებ დამატებით მატარებელში!

სამეულმა თავი ისევ სარკმელში გააყო.

ლიანდაგს უკვე ტყე-წიწვნარი შემოსდგომოდა. მაღალ ფერდებზე ვადმომდგარი ნაძვები კი ზეციდან დაკიდებულებს უფრო ჰგავდნენ.

ვარე და შიდა გუგუნ-ღუღუნში, ახლა ჩანთიანების ხმა და საუბარი ამოთავთავდა:

— ამ ნაძვებს დამიხედეთ, თითქმის

მატარებელს უწევდნენ თავის ლომთათებს!

— ნუთუ ყველა ქიაშესეული და მოსაპრელია?

— ყველა არა, აქ შედარებით კარგად მდგომარეობაა, მაგრამ მოსაპრელი აქაც საკმაოა!

— აი ხევამწვარაში კი ნამდვილი ხეძმათა ზეზე მხმარი სასაფლაოა. წარმოიდგინეთ რა შემამარწუნებელი იქნებოდა, ასე რომ კვდებოდნენ და ზეზემდგარად რჩებოდნენ ადამიანებიც!

ელშავლის უეცარმა სავანგაშო საყვირმა ყველას ხმა გააკმენდინა და შეაკრთო. გაგამ მანც იხუმრა:

— ჰა, ძიაკაცო! სხვავან არსად გადაუხვიოს შენმა დამატებითმა მატარებელმა!

— თქვენ ხუმრობთ და... — გამყოლმა ბაქანისაკენ გაიჩქარა.

ამ დროს გაეარდა პირველი სანიშნო პეტარდა, ზედვე მეორეც და მესამეც. ელშავალმა დაიგრილა და ერთბაშად დაამუხრტუა. ჭერ შიშინმა დაჰფარა ყველაფერი, მერმე ჭახამრიდებმა გაიღეს საშინელი გრილი. ყველაფერი ერთმანეთს შეეხალა, შეინჯღრა და შედგა უეცრად საოცარი სიჩუმე ჩამოვარდა, მერმე ერთბაშად შეიქნა ღრიანცელი...

— მიშველეთ! ვაი დედა!...

თავგზაბნეული მგზავრები წამოცვიდნენ, აქეთ-იქით მიეხალნენ. წუთიერმა თავზარმა ყველა აიტაცა. გასავალთან ჰედვა-ჰყლუტა შეიქნა. ბევრმა სარკმლებს მიატანა.

— ყურადღება! მისმინეთ! — ზეზე წამოვარდა და ხმა გაირიხა გაგამ, — მისმინეთ! სარკმელში არ გადახტეთ!... დინჯად! გასავალთან რა მოგივიდათ?

უკან! დასხედით ყველა!... აცალეთ ქალებსა და ბავშვებს! ნულარ ჩქარობთ, ყველა გადავრჩით! არ გესმით — ყველად გადავრჩით! დასხედით ყველა, ლიანდაგზე იქნებოდა რამე! თქვენ კი მანდ — სამეულო — რა ყოფაში ხართ?! ხმა გაიკმინდეთ!

სამეული მართლაც ყველაზე მეტს

ყვიროდა და ფეთიანობდა. ერთ-ერთს ცხვირიდან სდიოდა სისხლი.

— აბა, ვატო! შენ გეხება ბაქანა და დოლბანდი... ცხვირი მოჰხოცე იმ უცხვირიპიროს!

— ახლავე!

— ვანცა, დათო, კარში ჩადექით — ბავშვები არ დააზიანონ! კოტე — ბარგი გააშორე სავალს!

ხალხი უეცრად გაჩენილ მოთავეს უნებურად დემორჩილა, შედგა, შეწყნარდა.

ახლა კი ყაყანის ხმა გარედანაც შემოსმა. სარკმელში ჩანდა ფუტკარივით ნაყარი ხალხი. ყველანი წინ გარბოდნენ.

— აბა, დათო! გაიგეთ რა გეჭირს! მე კი ამ ბედოვლათებს მივხედავ... ბოლოს და ბოლოს ამ ერთ ცხვირზე გადაიარა ყველაფერმა!

ვატოს უკვე მოეწმინდა და ბამბაც დაედო პიკოს ცვირზე. დიდი არაფერი იყო, მაგრამ როგორც სხვევით ნებიერებს, იგი მანც მოთქვამდა...

— ვაიმე, ჩემო ლამაზო ცხვირო!

— შენ ცხვირს სილამაზე არ დააკლდება, ჰკუას კი ისწავლი... ამ შუადღისას რა დროს კონიაკია?... სამივე ერთ სარკმელშიც რამ გაგაძვრინათ? გაგამ და სხვა მაშველებმა საფენი გამოუცვალეს ცხვირგატეხილს და შეცარიელებულ ბაქანზე გავიდნენ. მატარებელს ელსმენის მავთულივით მოჰყვებოდა ძახილი:

— ხე! დიდი ხე! ნაძვი! დიდი ნაძვი! ხე... ნაძვი!

— ნაძვი გადმოვარდნილა ლიანდაგზე!

— ხე — ლიანდაგზე!

ყველამ ელშავალს მიაშურა. ლიანდაგზე გარდიგარდმო, ვეება ნაძვი იყო გადმოფარცხული. სახეალეწილი, ჩამელოტებული მებისრე ჭერ კიდევ შუა ლიანდაგზე, ზედ ხის ტანზე იდგა და წითელ ალამს სულშეძრულად აფრიალებდა. მემანქანე პირდაპირ ზედმისულ ელშავლიდან ეჩხუბებოდა მოხუცს.

— მერმე ვერ აცნობე? მამად მე-

კუთვნი და მე უნდა გასწავლო! შენზე ხომ ვერ ვიტყვი — ახალგაზრდობით მოუვიდაო! ვერ დარეკე საგანგაშო!

— ვერა-მეთქი!... ნუ ყვანილობ! თვალის ხამხამზე მოხდა!

— რომ დაეჯახებოდი? ამდენი ხალხი დედა... დედა რა გადავრჩით! სულ შენი ბრალი კი იქნებოდა — უკვე გადამხდარს ახლა განიცდიდა მემანქანე.

— რათა, კაცო! ასე იცით პარტიტველებმა, ხელად სხვას გადაბრალვით ხოლმე! წინ სამი გამაფრთხილებელი ტყაცუნა დაგიდე! წითელი ალაში აგიფრიალე! ამ ვერანა ხეზე თავად წინ, პირდაპირ ლიანდაგზე დაგიდექი და მეტი რაღა მექნა? რას შემართლები! ახლა დღისით-შინისით წითელ შუქსაც ხომ არ აგინებდნი? ახალგაზრდული თვალის შენ ვიჭრის და სამკვირცხლევ!

— ძლივს მოვასწარი, ძლივს! ხედავ, ზედ არ მივადექი ხეს! ახლა სულ ამერია განრიგი... დავიგვიანე!

— ძლივს გადავრჩით და ახლა დავგვიანებას ჩივი? ხელად არ გადაიყარე გულზე! მე კი, ვგონებ, აწი აღარც ბერიკაცად ვივარგებ!

ახალგაზრდა მგზავრებმა დაუარეს ლიანდაგზე გადახირულ ხეს.

— მეისრევე. შენ გეუბნები! ახლა მაინც ჩამოდი ხიდან! — გაგამ ჭერაც კანკალდაუმიტხრალი მოხუცი ხიდან ძლივს ჩამოიყვანა და ლიანდაგზე დააყენა. მოხუცს მაშინვე ჩაეშალა მუხლი და იქვე ჩაქდა.

— კარგი, იჯექი... ეს გამაგებინე — ვინ მოსჭრა ნაძვი? რატომ?

— ტყის მუშებმა... რაღაც კომისიის განკარგულებით... მერმე, ვგონებ, ბაგირი გასწვეტიათ... — სიზმარში ნანახივით ჰყვებოდა მეისრე, — მოიბრინეს, მათხრეს და თავად გაიქცნენ!... ტყეში დამალნენ თუ ტელეფონს მიაშურეს ორ კილომეტრში... მადლობა ღმერთს, ახლოს ვიყავი, რას მოასწრებდნენ... და აი... მეისრემ ხელში დაკრუნხული წითელი ალაში ისევ აასავსავა და მემანქანეს მიაძახა.

— შენ კი მამტყუნებ... ძველი უნდა დამიდგა, ძველი!

გაგამ მოათვალე რა ხმის ამხროს! დავა გირა.

— კი არ გაწყვეტიათ, მეორე ხეც მოუგლეჯია ამის სიმძიმეს! ორივე ჭიბდაქმული ხეა, მოსპვრელი და გასაქვრქი...

და მართლაც, ხის სხეულის ძირთანავე მრავალი ფისმოდებული, მცირე ხერვლი ემჩნეოდა.

— აბა ქაბუქებო! განაწილდით... გადავრჩით და ახლა გამოვაკეთოთ! — თავად იქვე დაგდებულ ჭაჭვა-ხერხს სტაცა ხელი და ძრავა აამუშავა. გადახირული ხე ლიანდაგის სიგანეზე მოზომა და ხერხი მიუსადაგა.

— ტოტები გაუკაფეთ და გააცალეთ, ცულიც აქ არის და ბირდაბირიც!

ჭაჭვა-ხერხი ხრიალით შეიჭრა ნაძვის ტანში.

— კოტორ-კოტე დამამზადებელო, შენი მუშები ვართ! გადაეჭრათ, მატარებელი გვატაროთ, გაქვრქვა-შეწამელა შენზე იყოს!

— იყოს! ზარალი — ზარალი!

— თქვენ მანდ ზარალს არ ნახავთ! არც ისეთი კოტრები ხართ, როგორც დაც თავს იკატუნებთ!

მუშაობა დაიწყო. მცენარეთა დაცვის მუშაკები, სტუდენტები და სხვა მგზავრებიც ჩაებნენ საერთო ფერხულში. ყველა ჩქარობდა. მხოლოდ მემანქანე და მეისრე ჩუმად იდგნენ. არც ერთმანეთს უმზერდნენ, მაგრამ აღარც ჩხუბობდნენ.

— აბა, შემდეგი ცვლა! — გაგამ ერთ მხარეზე გადაჭრა ხე და ხერხი ვატოს გადასცა, თავად კი მეორე, ბაგირით მოხეთქილი ხე და მისი ახლომახლო მოსინჯა.

— აი აქედან იწყება ტაშისკარის აქეთა ბრძოლა!

მალე მეორე მხარეზედაც გადასჭრეს ხის ტანი. ტოტებიც უკვე გაკაფულა იყო. მგზავრები ბლომად შემოქუჩდნენ მორის ირგვლივ.

— აბა, ახლა კი ერთად!

მრავალნი წამოეშველნენ და ხის შუა ჩაქრილი მორი, ბერკეტებით დააცურეს და მიღმა გადააგორეს. ლიანდაგი თავისუფალი იყო.

მემანქანემ უმაღ საყვირი მისცა მგზავრებმა ისევ მატარებელს მიაშურეს...

— არაფერი დაგრჩეთ! ჩვენ აქ ვრჩებით... აქ ყოფილა კომისია!

გაგას ჭკუფი სწრაფად დატრიალდა. მატარებელი მძიმედ დაიძრა. და მისი კუდი ჯერ არც იყო გადაქრილ ხეს გაცილებული, რომ შიგნიდან ცვენა იწყეს ზურგჩანთებმა, კარვებმა, საძილე ტომრებმა... ერთი დიდი ქვაბიც კი გადმოგორდა და ზარის ხრიალით აპყვა ელმავლის ხმას.

მალე მთელი ჭკუფი ჩამოქვეითდა. მატარებელმა უმატა სვლას.

— ვინ იყვნენ ეს ყაჩაღანა ელემენტები? — იკითხა ცხვირგატეხილმა.

— ალბათ ხის წამქცევის ძმა-ბიჭები და აქვე სდომებიან ჩამოსვლა!

— აქ რაღაცა ბოროტგანზრახვის სუნი ტრიალებს, მაესტრო?

— ჰოჰო, რა გასაწმენდია ჩვენი ტყე! მე მამას მოვახსენებ ჩემს პირად აზრს, ამას შესახებ! ტაშისკარს აქეთ უღრანი კი არა, ბნელი ტყე ყოფილა! ჩვენ კი ძალიან გადავრჩით... აფსუს რომ კონიაკი სულ დაღვრილა! — მაესტრომ ბოთლი სარკმელში გადააგდო.

მატარებელი უკვე შერჩდილულ ტყეში მიგუფუნებდა.

III

ნათიას ძალიან უყვარდა მამა. ეს მან მამის გარდაცვალების შემდეგ უფრო გაიგო. გაზაფხულზე იგი უკვე აღარ იყო. დასაფლავებას დიდძალი ხალხი დაესწრო. ჯერ ქვეთინითა და შემდეგ ძილდა-კარგულობით გასავეათებული და გარე ამბებს გამოთიშული ნათია, როგორღაც ნაკუწ-ნაკუწ ჰფიქრობდა... და მისი ფიქრიც მამის შესახებ, თითქოს უკუფენილად იყო და არც იყო...

„ჩვენში ზოგჯერ მიცვალებულის პატივისცემა უფრო იციან, ვიდრე ცოცხ-

ლისა“... და ეს მასაც არანაკლებ შეეწებოდა. იქნებ, ამჟამად ყველაზე უფროც და სწორედ იქ, სადაც თავისდღეფიქრებს და უფარულესი ფიქრების სამალავი ეგულებოდა, ეჩვენებოდა მამის დაღლილი და ნასიცხარი სახე. მაშინვე ყურში ჩაესმოდა მასთან მამა-შვილური, მაგრამ არც სიცხარეს მოკლებული დავა-პაექრობა.

გლოვის ბურანი სულ ართმევდა ახლო საფიქრალსა და არც შორს უჩენდა. ისევ და ისევ მამასთან ფიქრიან საუბრის უსაშველო ლტოლვა ეუფლებოდა.

დაკრძალვის შემდეგ ჯერ შორეული ნაცნობები წავიდნენ, მერმე მამის მეგობრები, შემორჩენილი თანამებრძოლები, ერთობლივ, როგორც მამა ეძახდა „ლომის თაობა“. სათითაოდ და ერთად ბევრი რამ ურჩიეს დაობლებულს. თითქმის „მამის სიტყვებით“ მეტყველებდნენ. აქ რაღაც „კილოზე და ენაზე“ მეტი იყო საერთო. გარეიერზე უფრო ღრმად ჩამქდარი და უხილავ ხაზებში ჩამოძერწილი.

დაობლებულ ქალიშვილს, მამის დაკარგვისთანავე, პირველყოვლისა, ეს მოხვდა გამახვილებულ თვალში და ფიქრში:

„ერთი თაობისანი, ერთი დიდ საქმისანი, როგორ ჰგევანან ერთმანეთს! თითქოს ყოველ მათგანში მამაჩემის ნაწილაკი ზის და მე მიმზერს!“

დედის ადრეულ სიკვდილის შემდეგ, ფიქრიანი ბავშვობა დასჩემდა ნათიას. მამას არ ეცალა შვილისათვის, დიდ მუშაობაში და მოღვაწეობაში თავწასულს, სამყოფი დრო აღარ რჩებოდა. და როდესაც გამონახავდა „შვილის დროს“, ურთიერთისა მანცდამანც არა ესმოდათ რა. ბავშვის ზრდასთან ერთად ეს „ვერ გაგება“ ყველაზე უფრო იზრდებოდა. და მათ შორის, თუ რა თქმა უნდა ძლიერ მამა-შვილურ სიყვარულს არ ეიანგარიშებთ, ერთმანეთის გულისხმიერი გაგება, თავიდანვე ვეღარ დამყარდა. მაგრამ, როგორც ზმირად ხდება ხოლმე, სიყვარული ცალკე იყო, „ვერ გაგება“ კიდეც ცალკე... და რაც უკვე იშ-



ვითად ხდება, ეს გარემოება წამოზრდილ, ნიკვამპირიას გოგონასათვის უფრო გასაგები გახდა, ვიდრე მუდამ მოუცლელ მამისათვის.

ნათიას თამამი, შინაგანად დაჯერებული აზროვნება აღრევე განუვითარდა. ყოველგვარ სიახლის ათვისების უნარი და გარეგნული სილამაზე განებერების საფუძველს უქმნიდა. ხოლო მრავალფეროვანმა ნიჭმა და რჩეულობამ ზრდილობიანი სიამაყე და უკარება საქციელი შეჰმატა. მამამ გვიან შეატყობს ნათიას ჩამოყალიბება ქალიშვილს. თავისებური ახსნაც კი მოუძებნა: „უღედოთ გაზრდილ ბავშვს, მაინც გოგონას, უსათუოდ ეტყობა და ამ უღედობის ნიშანს, იგი ალბათ იქამდე ატარებს, ვიდრე თავად დედა არ გახდება“.

მამის ტოლები ფეხათრევით და ხელების ფშვენტით გაიკრიფნენ. ახლა ნათოს სკოლის დროინდელი ამხანაგები და თანატოლები ერთბაშად წამოიშალნენ და ძლივს შეაკვებულ ჟრიამულით გავიდნენ.

გლოვის ბინაში უეცრად საგრძნობი სიცარიელე დამყარდა. ნათიას ეწყინა. მიზეზიც თითქოს თავს არ გაუმხილა, მაგრამ თავად არ იყო ყოველივე ახალისა და ახალმოდურის მოთავე და ავანჩავანი? ამ დროს თითქმის ყოველდღე სწორედ ახალმოდურ ცვაკების თავშესაყარზე მიდიოდნენ ხოლმე. გული სადღაც ჩეთუთქა, მაგრამ აღარავინ არ გააჩერა.

დაბოლოს ჩამოსული ნათესავეებიც და მეზობლებიც გალაგდნენ. ახალგაზრდა ჭირისუფალი, პირველად მამის სიკვდილის შემდეგ, სულ მარტო დარჩა. ბინაში ჭერ კიდევ გლოვისა და ხალხის სუნი ტრიალებდა, მამა კი აღარ იყო.

გლოვით დაღლილი საშინელ სახსარ-მოკვეთილობას გრძნობდა და თავბრუს ეხვევოდა, მაგრამ მან არც სარკმელი გამოაღო, არც ეზოს აივნის კარი. პირიქით, შემოსავალი კარიც ჩაკეტა და მამის საწერ მაგიდას მიუჯდა. ფიქრების თავმოჭრა უნდოდა. მაგრამ ყველაფერი, დიდ მოზრგევით, აბურღული იყო

და აზრიან მოქმედების არაქათი მიუწყდომელი ჩანდა.

ხელმა იხსნა, ჩვეულად მამისეულად უჭრა გამოაღო... დღენიდაც ასე აღებდა ხოლმე ამ მარცხენა უჭრას. მამა აქ მუდამ ახვედრებდა რაიმე ნუგბარს — შოკოლადს, ან სხვა ტკილეულსა და სახარჯო ფულს — „პენსიის პენსიას“, როგორც თავად უწოდებდა ხოლმე, როდესაც მამა პერსონალურ პენსიაზე გადავიდა.

ახლა იქაც სიცარიელე იყო. მამა ბინის ყველა კუნძულიდან იყო წასული. შეიღმა დიდ შუა უჭრაში გასაღები შენიშნა. ისიც გამოაღო. აქ იყო მამის სამყარო. აი მისი ავტობიოგრაფია, დამსახურების ნიშნები და სიგელები. პირადობის მოწმობები და ცნობები, რომელთაც ახლა აღარავითარი ფასი და მნიშვნელობა აღარ გააჩნდათ, როგორც ონკანში ჩაელოდ წყალს.

მაგრამ აი შიგ ახალი ყდა შენიშნა, მამის მოქნეულ ხელიან წარწერით: „ჩემს შვილს — ჩემს შემდეგ“. ახლა ამ ყდაში იყო „მთელი მამა“.

კრძალვით გადაშალა. უპირველეს ყოვლისა საპენსიო წიგნაკი და უკანასკნელი, საკმაოდ მკლე დანაზოგი მოხედა თვალში და ხელში.

— მაინც არ დაგიხევა? — როგორც ცოცხალს ისე შეესიტყვა. მაგრამ ორმა განცხადებამ უფრო გააკვირვა.

— ჩემი სახელით დაწერილი განცხადებები?

ბოლომდე არცერთი აღარ ჩაუკითხია. პირველი, საბუნებისმეტყველო დარგზე შესვლის განცხადება იყო, მეორე კი სამხატვრო აკადემიაში. შეიღმა ხელსახებად იგრძნო, რომ მეტი წლების დაკარგვა აღარ შეიძლებოდა. დაჩქარებული არჩევანი უკვე ყოვლად გადაუდები იყო, ახლა, თუნდაც ფრიად ახალმოდური სიტყვებითა და მოსაზრებებით, ფონს ვეღარ გავიღოდა.

განცხადებების ქვეშ კი წერილი დახედა, დაუწეზავი და ვგონებ დაუშთავრებელიც.

„ამას ვწერ არა მარტო იმიტომ, რომ

მამა ვარ შენი, არამედ იმიტომაც, რომ ვარ შენი თანამედროვე უფროსი თაობა. ჩვენი ცხოვრება მკაცრი და მართებულად, თითქმის უპირადო იყო. ახლაც, არც უსაფუძვლოდ ვმისობ, რომ შენი და საერთოდ თქვენი ცხოვრება ზედმეტად პირადული არ გახდეს.

მე შენს ხანში, ბავშვი ვიყავი, ნამდვილი ბავშვი... შენ კი უკვე პაექრობის ტინით შებყრობილი ახალგაზრდა ხარ. ხშირად და ხანდახან იქნებ საფუძვლიანადაც მედავები. ეს კარგიც არის და ცუდიც. ადრე დამწიფებული, არასოდეს არ არის ბოლომდე დამწიფებული!

ჭონებრივ საანდერძოს, როგორც ხედავ, ბევრს ვერაფერს გიტოვებ, მაგრამ იგი გაცილებით მეტია — ვიდრე თავის დროზე მე დამიტოვეს. ცხოვრებაში ბევრი ვერაფერი გასწავლე, ჩემი არა გვეროდა. ეს მე მწყინდა და ხშირად გაუკითხავად მდავებდა ან სულ მაჩუქებდა. თაობათა შორის უმტყიცესი და უსაჭიროესი დღეობა ნდობაა! ეს მამაშვილსაც შეეხება! ნუ გგონივარ ისე ძველებურა მოაზროვნე — არ მესმოდეს, რომ ყოველ თაობას აქვს თავისი დიდი სუნთქვა, სიმართლე და გულსაჭიუტო გამოსაცდელი!

დაე, ახლა თავად ცხოვრება იყოს შენი დიდი მასწავლებელი. ბოლოს თქვენს თაობასაც დიდი ანგარიში წარედგინება და ვნახოთ, რა ღირსეულ პასუხს გასცემთ თუ აგებთ!

მე ვიცი, შენ შენი წლოვანებისათვის და განათლებისათვის საოცრად გეხერხება, არცთუ სულ ახალ, ხანდახან ადვილად ნასესხებ აზრების, უფრო ახლებურად გამოთქმა. ახლა ზოგ მოზარდს ახლავს რაღაც ვუნდერკინდური. მაგრამ, შვილო ჩემო, ხელოვნური აზრი — არც ხელოვნებაა და არც აზროვნება, ისე როგორც სალონური ენის დაქლესა, არ ნიშნავს დიდ გონებრივ მონაპოვარს!

შენ იცი — შემწყნარებლობა ჩვენი თაობის სადოვლათოში არც თუ პატივში იყო. ჩვენ ახალ საქვეყნოსა და ცხოვრებისათვის ვიბრძოდით, მათი ფავგან-

წირული იარაღი ვიყავით, ^{შეუბნებარი} იარაღი...

...და აი, გადახდილი ბრძოლების წაყოფი — თქვენა ხართ! უპირატესად თქვენ და არა მხოლოდ უამრავი ქარხნები, ლიანდაგები, ელექტროსადგურები და ზღვები. ჩვენ ამირანის თაობა ვიყავით... ლომის თაობა! თქვენა ხართ ლეკები ლომისა! სასწოროზე ჩვენ ყველანი, უფროს-უმცროსნი, თანაბარნი ვართ!

პირადად შენ კი, რაღაც არსებითი მინც გაქლია, თუმცა უტყუარ ნიჭით ხარ აღნიშნული... მრავალფეროვან, მაგრამ უსახელდობრო ნიჭით! და ეს მაშინებს. ჩვენ ვიბრძოდით, ვშრომობდით და ვოცნებობდით მომავალზე. შენ კი ეძებ, სულ ეძებ სადღეისო სიამესა და სიახლეს! მხოლოდ მოკლე აწმყო გასულდგმულებს, თვითმიზნური, სულწასული სუნთქვა გაქვს. არაფერი მყარი არ გზიბლავს და ვაი, თუ არც გახასიათებს! და როგორღა მოგივა დიდი გრძნობა — კვალ-კეთილობისა!

ჩვენ ბედისწერის წიგნს — ჩვენ თავად ვწერდით... შენ კი, თავიდანვე თუ აღმაცერა ეჭვის თვალთ უმზერ ცხოვრებას, უკვე დამარცხებული ხარ და ყველაფერი თავზე გემსხვრევა!

მე ბევრი მიფიქრია და ვერ მიმიგნია — სად არის შენი უკმარობის წარმომშობი მიზეზი? ნუთუ ჭაპვაწყვეტილ ამირანის შვილს თუ შვილიშვილს უკვე უმადურობა და უკმაყოფილება მოეძალდება? ნუთუ ყოველმა თაობამ თავად უნდა აუშვას თავისი ამირანი? და ნუთუ თამამი, მაგრამ დაბნეული ნიჭი, ხშირად ისევე უშლის ახალგაზრდობას, როგორც მზღალი ნიჭი, ან სულ უნიჭობა?

ჩემი შიში შენს მომავალზე იმაში კი არ მდგომარეობს, რომ შენ უღედოდ ხარ გაზრდილი და დარჩენილი, არამედ იმაში, რომ ჯერ დედაზრი არ გაგანია!

წერილი ველარ დავამთავრე, სახელმძღვანელო აზრი დამეკარგა... ნუთუ ეს არის სიკვდილი?

...და ერთი კიდევ. მე რატომღაც ისეთი გრძნობა მაქვს... აი მაგალითად, ჩვენს ეზოში მცხოვრები, ჩვენ თვალწინ გაზრდილი გაგა, უფროა ჩვენი შვილი, ვიდრე შენ — ჩემო ერთადერთო და საყვარელო! დაუკვირდი მას, რაღაც აქვს ყამირ მიწის ფხა და ბუნების საკმელების მაღლი! მეტს აღარაფერს გეტყვი, რადგან მის ხსენებაზე შენ მუდამ ჭავრობ... ის კი თითქოს უფრო არის ლეკვი ლომისა.

შენს დარდს მე ალბათ საფლავში ჩავიტან... და მაინც, თუნდაც შენთვის „ხმა გამეც“ თუ ოდესმე ჩასწვდი ჩემს წუხილის არსს. შეილებმა თითქმის არასოდეს არ იციან მშობლების მათდამი სიყვარული, მაშინაც კია, როდესაც თავად ხდებიან მშობლები და ეს თვისება მხოლოდ თავისი ჰგონიათ.

ერთიც, ვიდრე აზრი საამისოდ მემორჩილება. გაზროვნებ და ამითი თითქოს ცხოვრებას ვებლაუქები. ისე კი ყოველ ადამიანურ ასაკს ჰქონია თავისი უბირატესობა, მოხუცებს, რომ მათ უკვე მოხდილი აქვთ ახალგაზრდული ჩუტყვავილობა და სულიერი დაუდგრომლობა... ახალგაზრდებს კი, რომ მათ არ განუცდიათ მოხუცთა მრავალ ოცნებათა შემოძარცვა და იმედების გატრუება: ...და კიდევ...“

აქ წყდებოდა წერილი. ბოლოწერტილად სიკვდილი უჭდა და ყოველ სიტყვას სულ სხვა ნიშანსა და ელფერს აძლევდა.

შვილი დიდხანს იჯდა მამის წერილს შემპირისპირებული და ჩაფიქრებული. წერილის დაწერილ ნაწილს, თითქოს ახლაც მამის ხმა ასდიოდა და გულს უჩვილებდა, მაგრამ სრულიად შემაშფოთებელი იყო მისი დაუწერელი ნაწილი, „და კიდევ...“ ნეტავ რა უნდა ეთქვა მამას? ახლა შვილისთვის ეს იყო უმთავრესი... და აქ ფიქრიც ვეღარ უშველიდა... არც ანებებენ ღრმა ფიქრს... ვიღაც უკაჟუნებს... ალბათ, ვინმე დაგვიანებული მოსამძიმრება. მეტი გზა არ არის, უნდა გაუღოს, ესეც მამის გულისათვის, თორემ მას აღარავის ნახვა აღარ

უნდა, მამის წერილზე მეტი რა უნდა უთხრან?

წერილი ისევ ყდაში ჩასდო და ვარკვალაო. რაფაში ტანზორბა ვაჟი უხერხულად შემოდგა და ყვავილებით გადაპენტილი ასკილის ტოტი შემოიტანა. —

— გაზაფხულს მოგილოცავთ! თუმცა შემდურით, მაგრამ... მე პირდაპირ ტყვიდან მოვდივარ და აი... პირდაპირ თქვენთან! — გაგამ თვალი მოავლო შეცარიელებულ ოთახს, კედელ-გასწვრივ მდგარ სკამებს, თეთრად ჩამოძაძულ სარკეს... ინიშნა და ისედაც უხერხული, სულ მოიშალა. ასკილის ტოტი ზურგს უკან იფარა და ჩრდილჩაქრულ, შავით მოსილ ქალიშვილს მხოლოდ ახლა შეჰხედა.

— მე არაფერი არ ვიცი! — ენამობოროკილად აღულულდა, სათქმელი და საქციელი ძლივს გაისწორა, — უბედურო! მე არაფერი არ ვიციდი! მამატიეთ! აქ არ ვიყავი... მამატიეთ, ნათო-ნათია! მე ობოლს, იგი ნამდვილ მამად მიმაჩნდა... მონაწილე ვარ! — დიდი, უხერხული ხელი გაუწოდა და თვალეზე შეცარი ცრემლი მოადგა. და ეს ახალგაზრდა ახმახი ასე გაიჩხიბა ტყის ყვავილისა და დაუფარავ ცრემლს შორის.

შვილს ეამა გაორმაგებული, მამის თარგზე ნათქვამი სახელი. სევდიანად, მაგრამ გულგახსნილად შეჰხედა. მათი უბრობის საბაბი ისეთ წერილმანად ეჩვენა, რომ ნაგვიანევედ შერცხვა კიდევაც. გაგას ხელი ჩამოართვა და უცბად გაყუჩებულ ბავშვივით სლოკინი აუეარდა.

ვაქს ფართო შუბლზე ცივი ოფლი გადაეხვითქა. ტყეში დაბნეულობით აქეთ-იქით იხედებოდა და საჭირო სიტყვებს ვეღარ აგნებდა.

ისევ ნათიამ უსაშველა:

— ახლა მეც შენსავით... თქვენსავით სრული ობოლი ვარ! აი, ესლა დამრჩა! — მამისეული ყდა გადაუშალა, მაგრამ წერილი მოავონდა, საპენსიო წიგნაკში ჩასდო და ვაქს განცხადებები შეატრავა.

გაგამ დაბნეულად თავი შეახიზნა ამ განცხადებებს. შეამდე აზრმიუტანე-

ლად ჩაიკითხა, მერმე ყურადღება იკრიფა და საქმის ვითარება გაარკვია.

— აბა, ახლა რა საკითხავია, მაგრამ რა გადასწყვეტეთ? — უკვე კერპი კაცის საქმიანი კილოთი, თითქოს მომთხოვნადე შეეკითხა და საქმის კიდევაც ჩამოჭდა თითქოს გრძელ ბაასს აპირებდა.

ქალს ეწყინა კიდევაც ასეთი სახელდახელო გაშინაურება.

— იქნებ მირჩევდით რასმე? — წარბატეხილად შეეკითხა და ცივად გადაუწურა საუბარი. მაგრამ ვაჟმა არ შეიფერა, ან სულ ვერ იგრძნო ქალის შეთაკვლება.

— საბუნებისმეტყველოზე! — შესაფერი ჭანცხადება გაუწოდა, — იქნებ ახლავე მოაწეროთ ხელი, დანარჩენს მე გამოვიწყობთ.

— არა, მე სამხატვრო მირჩევნია! არც თქვენი დახმარება მჭირდება!

ვაჟა ისევ ამბრობდა. განცხადება მაგიდაზე დაუშვა და თავისი დიდი ხელით დთათა, ქალს პირდაპირ შეჰხედა და მაინც უთხრა.

— იქ, სამხატვროში... დიდ ნიჭთან ერთად, დიდი მუყაითობა არის საჭირო... თუმცა მუყაითობა ყველგან საჭიროა — თქვენ ამას ახლა კარგად გაიგებთ!

— იქნებ კიდევ მირჩევთ რამეს ამდაგვარს? ტყეში მაინც კარგი ნუგეში გცოდნიათ!

— თუ მიიღებთ... მე ტყეშიც გულწრფელი ვარ და ქალაქშიაც, თუმცა იქნება უხერხული!.. ხელცუდ მხატვარს კი კარგი ბუნებისმეტყველი დიახაც სჯობია და უფრო საჭიროც არის!

— კმ! საჭირო... ვისთვის? არა, პასუხი სწორედ არ არის საჭირო! გარდა ამისა — ცუდი ყველგან ცუდია.. ხოლო ცუდი მრჩეველი — ყველაზე ცუდი!

ვაჟმა, დიდი თმაჩეჩილი თავი ისევ ჩაჰქინორა და ადგა, კარისაკენ მიბრუნდა. ოდნავ მოხრილი მხარ-ბეჭი და მძიმე მხრებში ჩასმული კისერი ახლა უფრო ხიწვად მოხვდა თვალში მხატვრობის მოსურნეს.

პატილო... თითქოს არცერთი სწორი,

2. „მთაბი“, № 1.

სანდომი ხაზი და ნაკვითი არ გაჩნდა ტყურს. აქამდე ზურგს უკან დამალული ასკილის ტოტი, ახლაც კვლავ მუჩინოდა და ახლა მამლამს მზოფხსაგვდთ, ყველაზე უფრო „სწორად“ ის უჩანდა.

ვაჟამ კარი გამოაღო:

— მამატიეთ, მე ყოველთვის უხერხულად გამომდის თქვენთან!.. მაინც ახლა ამ მდგომარეობაში! კვლავ მიგულებთ, თუ რამეს შევძლებ... იმის პატივისცემით მაინც... — ვაჟმა „მამის ყდას“ მოჰხედა და კარი ფართოდ გააღო.

ნათოს გული უჩვეულოდ მოეწეწკა. მაგრამ არც ნაწყენობა გაუქრა...

— ასკილის ტოტი სადღა მიგაქვს! — თავისდა მოულოდნელად შესძახა და პირი იბრუნა. ვაჟმა ასკილი წიგნების თაროზე ჩამოსდო და მოუხედავად კარს გაეფარა.

IV

ასე დაიწყო ნათიას დამოუკიდებელი ცხოვრება. სულ მალე, უფრო ღრმად და მკვიდრად დარწმუნდა, რომ სიტყვები ზშირად ვერ გამოჰხატავენ თავის შინა-მნიშვნელობას და მამა მხოლოდ მამა არ ყოფილა! ახლა გულს უკლავდა ის, რომ ამაში დასარწმუნებლად თურმე მამის სიკვდილი იყო საჭირო.

„ნუთუ ასეთ დიდ მსხვერპლს მოითხოვს გამოცდილება?“

შვილს უშველებელი სიცარიელე დარჩა გულში. მშობელთან ერთად, რაღაც დიდი და ხელუხები წავდა მის ცხოვრებიდან და ამიერიდ ყველფერი სულ სხვა საფუძველზე უნდა აიგოს. და ამ „საფუძველის“ გარკვევასაც დიდი დრო, ძალა და, რაც მთავარია, — გამჭრიახობა სჭირია... და სწორედ ახლა არა ჰყავს „დიდი გამკითხავი და უანგა-რო მფარველი“, დეიძლევკობასა და ერთადერთ შვილობას რომ თავი დაეანებოთ.

ჭერ ათასი, გულსწამლები წერილობანი გამოირკვა. სახლის ქირა შესატანი, ელექტროქურა გასაკეთებელი, საქმელსაზრუნავი, საფლავც მოსაველეობასა პასუხო წერილები დასაწერი...



დაგვიანებულ მოსამძიმრეთა წერილებში მართლაც ბლომად მოუვიდა. და შეილი თავის მამის წარსულ მოღვაწეობასა და კეთილკაცობას ახლა უფრო ჩახვდა, უფრო გაითვალისწინა. ამან გააგულისა, თავისი უგულობა შეაჩვენა, ნაპუქში უფრო შეაძვრინა, წლოვანებასთან შედარებით ჩააფიქრინა. აზრიც აზრს საკვირველად წამოება და სტრიქონებში არც უგუნურად ჩალაგდა. ეს მან თავიდანვე იგრძნო, როდესაც საპასუხო ბარათების წერა დაიწყო. კალაში ხელში ჭერ მძიმედ მოჰყვა, სიტყვასაც რაღაც აუტრელობა სჭირდა. მამასთან აჩემებული, შინაური კვიმატა კილო, აღარ გამოადგა. არც სკოლაში ნასწავლი სწორ-გრამატიკული წერა. მერმე უპოვა — მესამე — თავის აღლოსეული კილო და უეცრად ხელსწრაფობაც კი დასჩემდა. ქალაღზე ისეთი აზრები გადმოუღაგა, რომელთა შესახებ ჩაწვდომით არც კი უფიქრია და აქამდე საფეთქლებს შორი-შორს ზმანებასავით გრძნობდა და ვერცა გრძნობდა.

წერილების ძირითადი თემა, რა თქმა უნდა, მამა იყო. მაგრამ, მამის უკანასკნელ წერილს არსად შეხებია. ეს პირადად მათი „დავა“ იყო, ახლა უნებურად მიუყრებელი და შეფერხებული.

უკლებლივ ყველას მისწერა, გარდა ერთისა — ვიდაცამ „ვერც თუ ბევრი, მაგრამ ნუგეშად მნიშვნელოვანი, მამის ვალი“ გამოუგზავნა. თავისი მისამართი და ვინაობა ისე გაურკვევად იყო დაწერილი, რომ შეიღმა პასუხის გაცემაც ვეღარ მოახერხა.

ერთმა უცნაურმა კი მცირე ამანათი გამოუგზავნა კორტანეთიდან. შიგ ათიოდ შეუთეთრა ციყვის ტყავი იყო. სხვა დროს გაეხარებოდა ასეთი ბეწვეული. ახლა კი „ობლის სამადლო ტყავად“ მიიღო და ეწყინა. ეს უცნობი კორტანეთი კი ბევრი ეძება რუკაზე, მაგრამ რადგან მსოფლიო გეოგრაფიას უფრო კარგად იცნობდა, ვიდრე თავის სამშობლოს. ვერ იპოვნა. გული გაუწყალდა და ტყავიც მიაგდო და რუკაც. ერთი კი ულოდნელად, აღლოს კარნახით გამოარქ-

ვია, რომ ფულისა და ციყვის ტყავების გამოგზავნი ერთი და იგივე იყო. ამ „ერთს და იგივეს“ — ჩუქცი მთხვეული შეარქვა და ახალ „რანდელ წარმოდგინა.

ქალიშვილი მაინც ქალიშვილი იყო. გაკერება და თავის ნაპუქში ჩაჭდობა სრულიადაც არ უშლიდა ღირებულ ოცნებას!

აქამდე გატაცებით უყვარდა ხატვა, ახლა კი პირველად ძერწვაც სცადა, მაგრამ „ქუქციან თიხის“ ნაცვლად „სურნელოვანი თაფლის სანთელი“ აიღო. ხელშიც ეამა და მოჰყვა კიდევაც. პირველყოვლისა, „ახალი რაინდი“ ჩამოძერწა მინიშნებულ ახალმოდურ სამოსიან, თხელ-მალაღა, მსუბუქად მოცეკვავე ვაჟად წარმოსახა. თავისი ოცნება, ახლებურად დახვეწილი გემოვნება, მოქნილობა და ქალწულის ნანატრი ჩაყოლა. ბზრიალასავით შეტრიალებულად, მართლაც მოხდენილად გამოჰკვანწა, მაგრამ სახე ვერასგზით ვერ წარმოიდგინა... მდგომარეობა და ჩანაფიქრი ხელს უწყობდა და ისევე უზომოდ დიდფარფლიანი „უჩინმაჩინის ქულა“ თვალ-ყურებამდე ჩამოაფხატა, სახესულ დაუფარა და თავადაც დაუნახავი დარჩა.

ახლა ორი რამ გაუჩნდა, რაც მუდამ უფორიაქებდა ფიქრებსა და გრძნობებს, მისივე დახატული, კედელზე ჩამოკიდებული მამის სურათი და ეს ახალი ნაძერწი, დაბალ საწიგნის თავზე მდგარი „უჩინმაჩინა ქუდოსანი“. მაგრამ ეს მისი შემოქმედებისა და ოცნების სამყარო იყო. ყოველდღიურ ცხოვრებაში კი მალევე დაიბნა. ნაშრომ ფულის ფასის უცოდინარობამ თავიდანვე ხელი მოუცარა. ხოლო ყაირათიანობის გრძნობა რომ გაუჩნდა, მამის დანახოვი უკვე საკმაოდ შემქლევებული იყო.

ახლა კი საგონებელში ჩავარდა. რის ირგვლივ არ უფიქრია გონებამახვილ ქალიშვილს, რა და რა თანამედროვე პრობლემებზე არ უღესია თავისი ჭერ გამოუცდელი, მაგრამ მცდელი გონება-აღლევებული აზრი. მაგრამ ცხოვრების

ყოველდღიურ ღუხუხის შესახებ კი არა... ეს მხოლოდ მამის დარგი და საზრუნავი იყო. ახლა კი ცხოვრების პირში უშუალოდ იყო მიცემული. თვალის დახუჭვა ან ყურსაბამბისობა ვეღარ უშველიდა. მაგრამ მამის დროინდელ ცხოვრების ჩვევებმა და ინერციამ, კიდევ კარგა ხანს არ გაუშვა თავისი საამო ტყვეობიდან. ამან მოაწერინა ხელი სამხატვრო აკადემიაში შესვლის განცხადებას. არც კი გადაუწყვრია ისე მოაწერა და შეიტანა. კონკურსშიც კარგად გავიდა და მამის ნაცნობებმაც ხელი მოუშარტეს. სწავლასაც კარგად დაეწაფა, ნიჭიც ხელს უწყობდა და ყურადღებაც მიიქცია. საერთო საგნებში ხომ მუდამ წარჩინებული, მაგრამ თავნებად მოკამათე იყო. ფანქრის მონახაზიც დახვეწილი და მკვეთრი გამოსდიოდა — თუმცა ბოლოს ბეზრდებოდა. ვადმონატრაც არ მოსდიოდა ხასიათში. მალე ფერწერამ მოხიბლა და გაიტაცა, საღებავთა შეხამებას კარგად გრძნობდა. თითქოს საძიებოც მეტი იყო. ოცნებისა და წარმოსახვის უნარი ბავშვობიდანვე განვითარებული ჰქონდა. მხოლოდ მხატვრობის ძირითად, მკაცრსა და მყარ კანონებს ვერ ეგუებოდა. ამ ნიადაგზე ხშირი დაუპქონდა მხატვარ ხელმძღვანელებთან. ფუნჯიანი ხელი მას თავის „ხელის უფლებად“ სწამდა და სწაღდა. ახალმოდურ გატაცებას თავიდანვე აწყვა. თავის ბინის ერთ კედლიდან, მამის საყვარელი, რეალისტური სურათები ჩამოიღო და თავისი, ჭერ უმწიფარი, ახალიერიანი ჩანახატებითა და ესკიზებით აავსო. მალე არც ამან აღარ დააკმაყოფილა. ახლა ძერწევას მიჰყო ხელი. „უჩინმაჩინა ქუდოსანს“ მრავალი ახალახელავი ამოუყენა გვერდში, მაგრამ მალე უკლო. ჩაძიებით ვერც აქ დამაგრდა. ყოველდღიური საზრუნავი უფრო და უფრო მეტალა. ბუნებით კოხტასა და მოხდენილს ახალმოდური ჩაცმა და კოპწიაობა ადრევე ერთ-ერთი ძირითად მოთხოვნილებად ჰქონდა გადაქცეული... და ახლა სახსარნაკლებობა, ყველაზე უფრო მტკივნეულად სწორედ აქ იჩენდა თავს.

აბა, სტიპენდია რას ეყოფოდა. შესაფერის სამუშაოს დაუწყო ძებნა... ხანსარეკლამო ბიუროში უნდა დაეწყებოდა და ახალ ფიქრებს. ხან სხვადასხვა გამოფენებს აფორმებდა. ბოლოს თეატრის ბუტაფორიის საამქროში მოეწყო. გულცარიელა ქანდაკებები და ჩუქურთმები გამოჰყავდა. ტახტ-გვირგვინებისა და სამკაულების მოჩვენებითი სიმდიდრე და ხელოვნურობა თითქოს ავიწყებდა თავის ცხოვრების მოუწყობლობას. აქვე გამოიწაფა ორიგინალურ ტანისამოსის ესკიზების თხზვასა და თარგვამი. ერთხანს სწავლობდა და მუშაობდა, მერმე მუშაობამ თანდათან დასჯაბნა სწავლა, მუყაითობა და გულბეჭითობა აღარ ეყო და სწავლას სულ უკლო. თან ხატვის ხელმძღვანელთან მოუვიდა მწვავე დავა, თავის ახალ თემის შერჩევისა და მანერულ შესრულების გამო. ახლა სულ გაეზარა, საერთოდ შეეჭკვებული გული. კარგად ვერც გაერკვია — ეს მიზეზი იყო თუ უკვე შედეგი. მალე სტიპენდიაც დაჰკარგა. მერმე აკადემიური შევბულება აიღო. ბოლოს სულ განზე მირჩა სწავლა.

სკოლისა და აკადემიის ტოლ-მეგობრებს თანდათან ჩამოშორდა. მით უფრო, როდესაც კოპწიობის ასპარეზზე, თუმცა ახალმოდურ, მაგრამ შეცარიელებულ ხელჩანთით ვეღარ მიჰყვა. ახლა მას ახალი ნაცნობები გაუჩნდა. უფრო პრაქტიკულ საქმიანობის ხალხი იყო.

ნათია ახლა უფრო მტკიცდებოდა თავისი ცხვირბუნებელი უპირატესობის გრძნობაში და ახლო არვის იკარებდა. ძველ ნაცნობებიდან, მხოლოდ „ტყუარი“ გავა ქალაქში ჩამოსვლისას უწინდებურად ჩამოუვლიდა და ცხოვრების ამბებს გამოჰკითხავდა.

- სწავლობ?
- ვსწავლობ... აკადემიაში...
- ფერწერას?
- ახლა უკვე ვძერწავ. თან ვმუშაობ შენსავით!
- შენი ანხატ-ნაძერწია? — გავა ყუ-

რადღებთ შეჰხედავდა „ნათიას კედელს“.

— ჩემია... — თავი მოსწონდა ქალიშვილს.

— კარგია... ლამაზია... ახლებურად დანახული. მე მგერა შენი ნიჭისა, ნათონათია... მაგრამ რა მიზანს ემსახურება?

— რა მიზანს... რა მიზანს! თავად უნდა იგარძნო... ყველაფერი ჩაქალა ამ მეტისმეტად გარკვეული მიზნის სამსახურში! შენ ჩარჩოს იქით ვერ ჰხედავ სურათს... ეს უკვე საძარახისი სიბრძავეა! შენ ჩუმ-ჩანჩალა ხომ არა ხარ? ხმა-მალალი ფიქრი შენგან არ გამოიგია — ახალგაზრდობა კი ნაპერწყალა ფიქრია და ახალი შემართება! და კიდევ გაუყუჩებელი მადიებლობა!

— დაეიმახსოვრო?

— დაეიმახსოვრო, ვიდრე დაბერდები. გამოვადგება!

გაგას თითქმის არაფერი არ სწყინდა ნათიასაგან, ან არ იმჩნევდა. მაგრამ თავის აზრს მუდამ ბოლომდე ამბობდა. ეს „ჩუმჩანჩალა“ გულში მოხვდა და ჩარჩა. უფრო ჩაძიებით ჩამოათვალა იერა სურათები.

— ვხედავ.. მაგრამ უჩინმაჩინ საძებარია! ჩიტი ბღღუნად ღირს თუ არა?

— უჩინმაჩინა აი ეს არის! — ახლა სათლის ქანდაკებისაკენ მიაბრუნებდა. ქულოსან მოცეკვავეს აჩვენებდა.

— ეს ვინ არის? სახე სულ არ უჩანს!

— ჩემი ოცნებაა.

— უსახო ოცნება გქონია!

— მისი სახე არც მინახავს... არც ვინაობა ვიცი. ჩემი „ჩემი მფარველია“, მამის მოვალე ყოფილა...

— რა მფარველი?... რა მოვალე? — ჩაეძია გაგა და „უჩინმაჩინა ქულოსანს“ მოუბრუნდა, — მამაშენის მეგობარი თუ არის — პენსიონერი იქნება ვინმე, მსკოვანი და ჩამოკვეთილი ტიპი და არა უსახო მოცეკვავე!

ნათია ცოტა დაიბნა, მაგრამ თავისი ოცნება შეენანა და კვლავ ჩამარტივებით აუხსნა „ტყუიურს“.

— არა, მამას ხელი მოუშართავს სწავლას დროს! ახალგაზრდა ჩანს თავის

გულში და მიამიტი საქციელით... გენაობა კი ვერ გავარკვიე... მხატვრულ თემად სწორედ კარგია — ცოტა ჩუქნა, ცოტა საოცნებო, ცოტა საიმიედო და საფიქრალი!

გაგა ახლა ხელითაც კი შეეხო ნაძერწს.

— მოცეკვავე... ისიც ახალმოდისა?

— მე ასეთი წარმოვიდგინე... თუ შენ ამის უფლებასაც მიკრძალავ და ჩემგანნაც ტყის ცხოველების ძერწვას მოითხოვ?

ეაეს ყურადღება არ მიუქცევია ნათიას მწარე ქილიკისათვის, თავისი ნიშანხელებით მიაბრუნ-მოაბრუნა ნაძერწი..

— ასეთი წარმოვიდგინე?... მეტმე და რომ არ აღმოჩნდეს ასეთი?

— რა ვუყოთ! — უკვე გაწყრა ქალი.

— ოცნება ყოველთვის სჯობია სინამდვილეს! მე მაინც ოცნების მხარეზე დავრჩები — ახლა სხვა საოცნებოს ჩამოგძერწავ! უოცნებოთ კი ახალგაზრდას ისევე არ შეუძლია ყოფნა, ვით უპაეროთ... უმიზნოთ შეუძლია და უოცნებოთ კი არა!

— არ მესმის...

— არც მივივრს! სხვანაირადაც გეტყვი — ახალგაზრდის ჰაერი ოცნებაა!

გაგამ თავის ჯაგარა ქოჩორზე ხელი დაბნულად გადაისვა და ხმადავარდნილად შეეკითხა.

— მაშ ეს სულ უთავო და უსახო ახალმოდის მოცეკვავეა შენი ოცნება?

— დიხ, დიდ თავ-საბიანო! — ქალმა ტუჩები აიბზუა და ზურგი შეაქცია.

გაგამ შეწყითლებულ „თავ-სახეზე“ ქუდი ღრმად, თითქოს ქანდაკურად ჩამოიფხატა და ისე წაიღია.

...მაგრამ მეორედ ჩამოსვლის დროს მაინც შეეყრა ნათიას.

— ახლა როგორ სწავლობ კეთილმეზობელს? როგორ მუშაობ? ქუდი ხომ არ მოუხდია უჩინმაჩინს?

— არა, ისევე ახურავს! მე კი ახლა მეტს ემუშაობ, მაგრამ ვეღარ ვსწავლობ! არა, აკადემიაში ვერა, თორემ იაკე ვეღვან ვსწავლობ ჰქუას, იმათგანაც,

ვისაგან სულ არ მეკუთვნის!... ერთი შე-
ნი დარგოდა დამრჩა!

— ჩემი დარგი? ოღონდ მოისურვე
და... — გაგა ხედებოდა ქალიშვილის
ბოლოშერბილებულ კილვას, სალაპარა-
კოს ჰკვეცავდა...

— სად მუშაობ? შეიძლება შეგეკი-
თხო, თორემ შენ მუდამ გწყინს...

— რატომღაც...

...და იყო ხოლმე, თანამიმდევრულად,
სხვადასხვა პასუხი. ერთადერთი ეს იყო,
ნათიას გაგასათვის ტყუილი არ უთ-
ქვამს არასოდეს.

— სარეკლამოში...

— სხვის გამოფენებზე...

— თეატრში... საამქროს მხატვრად...

შენ? — ქალსაც გაახსენდებოდა მამის
უკანასკნელი წერილი, უფრო შეაკვირ-
დებოდა გაგას.

— მე კი სულ ტყეში ვარ... ვმუშა-
ობ, საყანდიდრო მინიმუმსაც ვაბარებ...
ცდებიც გვაქვს... აბა რა საყითხავია...
დასმარება ხომ არ...

— რა დასმარება? — ლამაზ ცხვირსა
და ტუჩებს აიზუებდა ქალიშვილი.

მართლაც და „ტყუირის“ რა დასმა-
რება უნდა დასკირებოდა ახალმოდის
კოპიას, რომელსაც უწინდელზე უფ-
რო გამორჩეულად ეცვა, ეხურა.. შეე-
ნოდა კიდევაც. გაგა თავიდანვე უხერ-
ხელობაში ჩაგარდებოდა და გაეცლე-
ბოდა.

მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ, კვლავ
სხვა პასუხი რომ მიიღო გაგა, უკვე
შკაპრად შეეკითხა:

— სად სოჭვი? ტყუილი არ იცოდი
და ახლა ესეც დაიწყე?

— რა ტყუილი — ტყუირო? ორ აღ-
გილას ვმუშაობ — „ბავშვთა სამყაროს“
დედოფალების საამქროში და უნივერ-
სიტეტის „მოდების სალონში“.

გაგამ ღიღხანს ითვალისწინა დასა-
ხელებული სამუშაო ადგილების თა-
ვისებურებანი.

— გულით მუშაობ?

— კმ, გულით... ახლა აღარავინ არ
მუშაობს ძველკობურა გულით!

— მაშ რით? — გაიკვირვა გაგამ.

— ნიკიტა და უნიკობით! — კვლავ
გააკეწლა ნათიამ და ლაპარაკი მო-
თავებულად ჩასთვალა... შეგვინდობს
„ძველკობურობაც“ და „უნიკობაც“
მშვიდად გადაჰყვამდა და ჯიბრიანად
შეეკითხა...

— კი მაგრამ — სწავლა? ნიკიტად
სწავლა დაგვიწყდა, ქალიშვილო!...
და შენებურადც გეტყვი — უსწავლელ
ნიკს, ხშირად ნასწავლი უნიკობა სჯო-
ბია, დიახ!

ეს უკვე საპაექროდ გამოწვევა იყო...
ქალმაც ასე მიიღო...

— დრო აღარ მყოფნის...

— თუ? — გაგამ გააწყვეტინა, მაგ-
რამ აღარც თვითონ დაამთავრა და თი-
თქოს ამით ყველაფერი სთქვა. ნათიას
ეს ეწყინა ყველაზე უფრო. ეს უკვე
პაექრობაზე მეტი იყო, მიმხედურობის,
შემოწმებას ჰგავდა...

— ...თუ მუყაითობა?! — დაასრულა
ქალმა და სამაგიერო ახლავე გადაუხა-
და,

— ამ სიტყვის გარდა კიდევ იციო
ტყეში რაიმე? ცოდნას გამოხოგვა უნ-
და!

— არც ეს არის ცუდი სიტყვა... მცი-
რედი შესწორებით — დაზოგვა!

ქალიშვილი ტყუირისგან სულ არ
მოელოდა ასეთ შემართებას. არა, ჯი-
უტი რომ იყოს, ეს კი იცოდა... მაგრამ,
რამდენი ტყუირ-ჯიუტა კაცი დადის
დედამიწაზე! ხედავთ ამ „ტყის ოჩო-
პინტეს“ დიდ პაექრობასაც რომ უმარ-
თავს! ასეთები არიან მამაკაცები... ვერ
იბთენენ, როდესაც ქალი თავის ჰკუთ
ცხოვრობს! მათ არ მისდევს გაცვეთილ
და მოძველებულ კულში! ჯერ მამამ და-
უტოვა „დავის ბარათი“, ახლა ესეც
„ფეხსა ჰყოფს“... თუ ასეა „დიდ პა-
ექრობას“ მამიდან იწყებს.

ნათია და გაგა ისევ უბრად დამოკ-
დნენ ერთმანეთს.

„მამა, მე შენი უკანასკნელი ბარათი,
არაერთგზის გულმოდგინედ წავეკითხე.
შენ ახლა ის უპირატესობა გაგაჩნია,
რომ პასუხისათვის მიუწევდომელი ხარ.

მაგრამ მე შინც მინდა თავი ვიშარტო-
ლო. არა, ჩემს თაობას კი არა, მე მხო-
ლოდ ჩემს თავს ვიცი! ჩვენი თაობა
კი უფრო ჰრეულია, ვიდრე თქვენი, ყვე-
ლას სახელით ჩვენთავანი ჩანს, ვერა-
სდროს ვერაინ ვერ ილაპარაკებს!

შენი განშორების შემდეგ, მე ბევრი
რამ სხვა თვალთ დაეინახე, სხვა მხრივ
შევეხე ცხოვრებას... შეიძლება ბევრი
რამ კიდევ არ ვიციდე, მაგრამ საკმაო
— რომ მეტი აღარაფერი დავიჯერო!

...მაგრამ ჯერ გაგას შესახებ გეტყ-
ვი — სულ აუტანელი გახდა, როგორც
ყოველი არამკითხველ მასწავლებელი.
არა, კეთილი კი არის, მაგრამ მისი სა-
თნოება გონებადასშული ტყიურის სი-
კეთეა... აი, მგელი რომ კეთილკაცობას
დაიჩემებს და პირველშეყრისთანავე
აღარ შეგჭამს! არა, შენ შეედი, ის
სრულიადაც არ არის „ლეკვი ლომისა“!

ყოველ ჩამოსვლისას, თითქოს შემ-
თხვევით მომინახულებს ხოლმე. ადამი-
ანიურად მიამება. ვის არ უყვარს ყუ-
რადლება! მაგრამ განსჯილად და ესთე-
ტურად მძაგს ეს მუხის ჭირკიდან მო-
ჭორდნილი ღიღთავა თავზე, თავუხლა-
რი და თავდაჯერებული! არა, იგი ჩემი
გულის რაინდი არ არის და არც როდე-
სმე იქნება!

ახლა საერთოდ. არსებითად შენ
მწარედ მისაყვედურებ, რომ მე, შენს
ფესვებზე ამოსული ახალი ნაყარი ვარ
და შენს სულიერ სამყაროს არ ვიშეო-
რებ! საოცარია, რომ შენი მკაცრი ბა-
რათი, შენს ლომობიერ გულზე უფრო
ახლო მოვიდა ჩემთან. შემწყნარებლო-
ბა არასოდეს არ მითხოვია, მაგრამ
ვერც ჩემ სულში გაუკითხავ ფათურს
ვიღებდი და ვერც მივიღებ!

ერთი რამე კი ვერ გამიგია — რატომ
არ მასწავლე მოყვასობა?

მე ვიცი რომ ცოტა კვიმატი ვარ, ვე-
რასგზით ვერ ვიტან წამოძალეზულ
უტიფრობასა და კიდევ უარესს — ყვე-

ლაფრის, მათ შორის ავ-კეთილის გათა-
ნაბრებას! მე აკადემიაში მიმტოვე
ვერ ვისწავლე, რომ ან ნეტადი ჩემი
ან მუყაითობა, როგორც შენი გაგა
ჰფიქრობს... ან ყოველდღიურმა საზ-
რუნავმა წამართვა დრო და ძალა, არა-
მედ იმიტომ, რომ არ მჯეროდა ჩემი
მასწავლებლების. სულის სიღრმეში
არ ვენდობოდი მათ. მე ვხატავდი არა
იმას, რასაც მეუბნებოდნენ, არამედ
რაც მე მწადა და მხიბლავდა. ეს აქ
ყოყოჩინა უჯერ-მჯერობად ჩამითვა-
ლეს. ალბათ, შენც ჰფიქრობ, რომ ისი-
ნი მართლები იყვენენ? მაშინ მე პირ-
დაპირ ვიტყვი — მე, ჩემო საყვარელო
და უანგარო მამავ, შენი არ მჯეროდა
და ანგარებით აღსავსე მასწავლებლებს
რალას ვერწმუნებოდი, რალას?

მაგრამ ახლა მეორე მხარეც ვნახოთ...

მე დიხაც არ ვეკუთვნი იმ ახალგაზრ-
დების თაბუნს, რომელთა მიზანია მხო-
ლოდ „ეშხიანად“ გატარებული დრო.
მშა-ბიკობა, გაჯაზებულ და ჩაკრიმან-
ქულებულ ცხოვრების ავი ნარევი!
არა, არც გაგას ვგულისხმობ „ამდაგვა-
რებთან“. ტყიურს მეტად მძაფრი ოფ-
ლის სუნი ასდის, რომ თუნდაც „ამ ეშ-
ხში“ ნახოს ბედნიერება.

ჩემი ცხოვრების მიზნისათვის კი ჯერ
ვერ მიმიგნია... ამაში შენ, ვგონებ, მა-
რთალი ხარ, მამავ! მაგრამ ძიება ხომ
აზრისა და მიგნების დედაა! ძიების ახ-
ალგაზრდა კი ვარ და ვარ! მე ისიც მეს-
მის, რომ ახალი კიდევ არ ნიშნავს თა-
ნამედროვეს, ისევე როგორც თანამედ-
როვე არ ნიშნავს უსათუოდ კარგს!
ცხოვრებას კი სულ ვერ მივიღებ, ჩემს
მასწავლებლად... ამას ნუ მეტყვი მამა...
ვნახე მისი ნამოქმედარი... ეს კი ვგო-
ნებ გაგას ასპარეზია! ჩემ ნაგრძნობ სა-
მყაროს კი მიმცხრალ მთვარისა და სან-
თლის ფერი გადაჰკრავს. შენმა „ამირა-
ნმა“ მეც შემძრა... სიზმარივით
ვეგრძნობ ჩემს ადამიანურ მიჯაჭველო-
ბას, მაგრამ საკუთარ ამირანისთვის ვერ
მიმიგნია... ეს ყველაფერი ზღაპარს

უფრო ჰგავს და იქნებ არსებობს —
ზღაპარი სინამდვილისა!

ახლა მეც დავჯარგე სახელმძღვანე-
ლო აზრი... ნუთუ ეს არის ახალგაზრ-
დული ატაცება?

ჩვენს ცხოვრებაში, განა ყველა ჩვენ-
განს, აქვს შეგნებული საერთო გამ-
კოლი აზრი, რომ სიცოცხლეს თავიდან
ბოლომდე გაჰყვეს? თუ წუთიერ მოსაზ-
რებას უფრო მეტი საფუძველი და სა-
ფანელი მოეპოვება?

შენი „კვალ-კეთილობის დიდი
გრძნობისა“ კი სათანადოდ ვერა გავი-
გე რა, და არც ამას ვფარაგ!

...ახლა შენს მაგივრად ვინ გამცემს
პასუხს? ან მე რა მომივიდა, რაც სათ-
ქმელი მქონდა, ვგონებ უთქმელი და-
ბრჩა?!

V

როდესაც ჩანთიანები ახალდაბის სა-
ტყეოში ავიდნენ, კომისია იქ აღარ იყო,
უკვე ჩარხის წყალზე გადასულიყო.

აქ კი, შედარებით ჯანმრთელი ტყე
ომახიანად იღვავა და მხოლოდ ნაძვანარის
კორომისათვის დამახასიათებელ ხმით
ჩუჩუნებდა.

სურნელი კი ნაკლებად იყო ტყეში-
გაგას სმენას არ გამოჰპარვია ჯაჭვა-ხე-
რხის შორეული ხრიალი. აქა-იქ ახალმო-
კრილი, გაქერქილი მორები და ვადა-
ნაქერი ჯირკვბი გაგას აღქმაში შემფო-
თებულ ფიქრებად ილექებოდნენ. ტყეს
ჩვეული მყუდროება აკლდა და არც
ერთი ჩიტი თუ დიდი ფრინველი არ
იყო ტყეში. ძირდაბლად მომკრთალ
ტყის სუნთქვას კი უამური ქიმიურ
შხამას სუნი მოჰქონდა. ტყეში ბევრი
ხე ახალ შეწამლული იყო... და ძირიდან
ორიოდ მეტრის სიმაღლეზე ჩამუქებუ-
ლად ჩანდა.

მალე ტყის მუშებსაც წაადგნენ. ჯა-
ჭვა-ხერხი გამპულად იღრინებოდა.
დიდ ხეებს გაჰქონდათ გრიალი და მი-
წის პირიდან ბუბუნა ბანი ამოდიოდა.

აქვე ჰკაფავდნენ, ჰქერქავდნენ ხეებს.
სპეტცამოსიანი შემხამეები წასსურავდ-
ნენ წამალს.

— ეს რა პირწმინდად მიჰყვებით? —
აღშფოთდა გაგა, — კოტორ-კოტე შენი
უბანია!

— ასეთია კომისიის დასკვნა... მკა-
ცირი ზომაა, მაგრამ რა ვუყოთ! ყველას
დასტურია და ყოველ თვალსაზრისით
გამართლებული! — ხელები გაშალა
კოტემ.

— არ არის მართალი! მეცნარეთა
დაცვის ინსტიტუტს არ მიუცია ამის
დასტური! — თავიდანვე აყვარდა გაგა.
მე ინსტრუქციას გაჩვენებ... დაახლო-
ვებით ასეა!

— შენც „დაახლოვებით“ მთელ ტყეს
მოსდექი? უნდა მოიჭრას მხოლოდ მძი-
მედ, ღეროს ირგვლივ დაზიანებული,
მკურნალობისათვის უიმედო ხე!

— აქ თითქმის ყოველი ხე დაზიანე-
ბულია!

— დაახლოვებით... თითქმის, ეს რა
ჭართულია ტყეში? — ახლა სხეებიც
მიეხივებენ კოტეს.

— ასე მართლაც მალე „გააკო-
ტრებთ“ ტყეს!

დაცემულ ხის გრიალი მხოლოდ ადა-
სტურებდა გაგასა და სხვათა ნათქვამს.
ახალ ხარვეზში უეცრად შემოიჭრე-
ბოდა მზე. ჩრდილი და მყუდროება
თხუნელსავეთ მიიბარებოდა ტყის მი-
წაში.

გაგამ ყურადღებით გასინჯა წაქცე-
ული ხე და უფრო აღშფოთდა:

— ეს ხე არ იყო მოსაჭრელი, არა!...
აბა დასკვნა მაჩვენეთ... ხელის მოწერე-
ბი! ტყე უპატრონო, თქვენი სადოვლა-
თო ხომ არ გგონიათ?

კოტე — დამამზადებელმა გულმოსუ-
ლად ჩამოიგდო ზურგჩანთა, გადახსნა,
უფრო მცირე საველე ჩანთა ამოიღო,
ისიც გადახსნა და ახლა ორად გაეცი-
ლი ყდა ამოაძვრინა.

— აქ არის ყველა ინსტრუქცია, ტყის
სამდივნო... განა ლიტონი სიტყვა!

— შენ იქნებ მთელი ტყეც მანდ გი-

დევს? ვერ მოგართვით... აი № 1734, თქვენივე დანომრილია?

— ჩვენი...

მოჭრის დასკვნა მომეცია...

— მეც ახლა არ ჩამოვედი შენთან?... თანამეშენს ექნება! — კოტემ აქეთ-იქით აცეცა თვალი, მაგრამ დაწყენარდა... მისი თანამეშენი აქ არსად ჩანდა.

— გასაგებია! ის კი შენზე მოაგდებს საქმეს! ამ ნომრამდე ყველა მოჭრილია?

— კარგი მუშები მყვანან...

— შენც კარგი ხარ! ამ უბნის მოსაპრელ ხეთა რაცხვს ვერ მეტყვი?

— როდესაც მოვჭრი, მერმე მოგახსენებთ! — გული შოაცა კოტემ.

— მესმის! თქვენ, აშკარად რომ ვთქვათ, ასი პროცენტი გნებათ?

— უფროსები, ხანში შესულები ამას არ გეტყვიან — მე ახალგაზრდობით, როგორც თანატოლს გეუბნები — ნაკლებზე არ ვართ თანახმა, გეგმას ვერ შევასრულებთ!

— რომელ გეგმას?

— ტყის მკურნალობისას?

— დაცვისა თუ დამზადებისა? — აყვარდნენ მცენარეთა დამცველნი...

— რას ყვირით? მართლა ტყეში ხომ არ გგონიათ თქვენი თავი? დამზადების ობიექტია! მე ჩემი ჯგუმა მაქვს, თქვენ — თქვენი!

— რას მიქვია ჩვენი და თქვენი? — ახლა კი მთელი ხმა ამოუშვა გაგამ,

— ამ რაიში მხოლოდ ერთი თვალსაზრისი გვაქვს — მისი გადარჩენა მავნებლისაგან! რასა გადარჩენაც აღარ შეიძლება იმის ვერა და ვაშორებთ ტყეს, მისი ჰივერის თვალსაზრისით... დანარჩენი კი ერისა და შთამომავლობის არის!

კოტორას გაგას ხმისა და ჯიჯა მუშტების უფრო შეეშინდა, ვიდრე მისი „ერთადერთი თვალსაზრისისა“. დამზადებელმა ხმას უკლო, მუშებსაც თვალი უყო — ჭრას დასთხოვა, თავისთან იხმო, გვერდში ამოიყენა.

— ჰო, კარგი, კარგი! გასაგებია, მაგრამ არაპრაქტიკული... ჩვენც ხარჯები

გვაქვს, გეგმა, გამომუშავება... შენ ყოველ ხის უკან არარსებულად დგამი და შთამომავალი გელანდებოდა... კი ყოველ ნაჯახისა და ხერხის უკან რეალურ კაცს ვხედავ, მის ოჯახსა და მერმე ამ მასალით მოტანილ და გაჩენილ დოვლათს! — კოტემ ფეხიც კი წაჭკრა „მასალას“.

— აი „კოტორას სიბრძნე“. — მცენარის დამცველებს მიუბრუნდა გაგამ, — ტყის ჰავენი ასეთებიდან უნდა იწყებოდეს! ახლა ეს აგირჩევს რაც უვარგისია?

— რაც თქვენთვის უვარგისია, ის სრულიადაც არ კმარა ჩვენთვის! მაშინ ველარც უვარგისს გამოვზიდავთ და ველარც ჰამიშველარს! მოუკვდა პატრონი... ტყე მეც კი მიყვარს! არ შეგცდეთ, ბიჭებო, საღი არ მოჭრათ! — კოტემ ისევ მიუშვა მუშები და სიტყვა გააგრძელა, — რაც შეიძლება ვაცავ, მაგრამ არ გამოდის!

— ისევ თავიდან დაეწყოთ დავა? ხეამწვარაში, ახალმანებელის პირველ კერაში, სულ ორასიოდე ხე იყო მართლაც პირწმინდად მოსაპრელი... თქვენ გააკეთეთ ეს აუცილებელი საქმე?

— ვერა, ვერ გავაკეთეთ... და სწორით აქ არის თქვენი დანაშაული! — ახლა თავის მხრივ შეუტია დამამზადებელმა.

ჯაქვა-ხერხი კი უკვე ხრიალებდა, ახალ ხეს სჭრიდა და უფრო აღიზიანებდა ტყეში წამოჭრალ მწვადე დავას.

— რატომ?... პირდაპირ სთქვი...

— პირდაპირ, მაშა... აქ ჩვენ მართლა ტყეში ვართ! დიპლომატია არაფერ გასავალშია... გერც სივარძელს წამართმევ და გერც მოჭრალ ხეს ააყენებ! სულ ბეგრა-ბეგრა რაიდან გამაგდო! აი დარდი! — დამამზადებელმა დათასა და ვანჯას თვალი გააყოლა, დამამხსოვრა — რა ნიმუშებს იღობონენ, რას იწირდნენ... უფრო ხეგით ჩაწყობა-ააოაოობის იმიოი ჰქონოა. ისევ განმარტებითი ბარათით ამოაგებდა ტყეში გამოჩენილ სივარძელს. მაგრამ

კოტე ფრიად ოპერატიული ახალსაქმოსანი იყო, არც ზედ წამომდგარი გაგა დარჩენია უბასუხოდ:

— განა თავიდანვე გასაგები არ იყო, რომ რაღაც ორასიოდ ჭიანჭამ ხის გულისათვის მიუვალ ხევანწვერამი ვერც ვზას შევიყვანდით, ვერც სათანადო ტექნიკას! განა ძველებურ წესით ვმუშაობთ! — კოტემ ისევე დახურა ყდა, კვლავ საველე ჩანთაში ჩასდო და ზურგჩანთაში ჩააყუდა, მხარზე მოიგდო და დაძრულ ჭკუფს უკან დავადავით აედევნა..

— ვერც მოპრილ ხეებს გამოვიტანდით... ვერც ამ ხარჯებს გავამრავლებდით, რენტაბელობა თქვენთვის გაუგებარი ცნებაა! ტყეს კი ათასი ხარჯი აქვს, საიდან უნდა დაგვეფარა?

— ჩვენ არ ვვაჭრობთ ჩვენი ეროვნული საუნჯით, არა! — მცირე ნაკადს გადააბტა და აღმა აპყვა გაგა, — მოგეპრათ, იქვე გაგაქეჩრქათ, შეგეწამლათ... სულაც დაგეწვათ! საშიშ მავნებლის კერა მოგესპოთ! ბორჯომის ტყეს მასალის დამზადების თვალსაზრისით ვერ შევეხებით!

კოტემ წინ დაუბრინა:

— ჩვენ კი სწორეთ დამზადების ორგანიზაცია ვართ, სამეურნეო ანგარიშზე და არა თქვენსავით მზამხარეულ სახელმწიფო ბიუჯეტზე და დოტაციებზე! ბოლოს და ბოლოს, ჩვენიც ცხოვრობთ თქვენცა და სხვანიც! ჩვენ უფრო გვესმის სახელმწიფო ინტერესებიც... თქვენ კი ქათმის სიბრძავე გქარბთ!

— აი ტყის დემაგოგი! ეროვნული და სახელმწიფოს ინტერესები რამ გაარბავს? თქვენ აქ უწყებრივ ინტერესებს ურევთ! თავის დროზე არ მოსჭერით ორასიოდ ხე და მეორე წელს საშიათასი მაინც გახდა მავნებლისა და თქვენი მსხვერპლი... მძლავრად იფეთქა საშიშმა ლაფნიჭამიამ და დღეს უკვე სტიქაურ უბედურებას ძალა მოიღო!

— ოჰ! მყერა შენი ცოდნისა, ძმავთანატოლო! მაგრამ ასე ნუ ახვიადებ... მე დიდი ოპტიმისტი ვარ... რას მიქვია

ჭია-ლუა? მოვერევი! სხვა თუ არა, ტყიანად შევჭამთ ლაფნიჭამიას!

— ტყიანად კი... თუ მოვირევი... ჭელზე დაგადგებათ... რაც შეეხება შენს ბაქაობას... უსაფუძვლო ოპტიმიზმს, ხშირად საფუძვლიანი პესიმიზმი სჭობია სწორი დასკვნების გამოსატანად!

კოტემ კიდევ იცვალა კალსო, ვერ მიაგნო გაგას გასაღებს..

— გაგა — კეთილო! ვითომ პირველად ხარ ტყეში, ან დიდი კომისიის წევრების დავა არ გსმენია? არც ერთი საკითხი არ არის, რომ ერთხმად გარკვეული იყოს! წადა და სწორი დასკვნა გამოიტანე! დღეში ერთხელ სულ გაჩერებულა საათიც კი სწორად უჩვენებს... სადმე ერთ ადგილას ხომ მაინც უნდა ვიყო მართალი? ჰოდა მე — რენტაბელობას ვარჩევ! სანამ თქვენ გაერკვეოდეთ მეცნიერულ საქმიებაში!

— ტყეში რთული ვითარებაა! ბევრ რამეში მართლაც გაურკვეველია! ჩვენთვის ახალი, უცნობი მაინიბილია! ეს უბედურება რა გვეყოფა... სწორად ახლა ერთმანეთს ხელი უნდა მოვუმართოთ და არა ზოგიერთებივით მოვითბოთ ხელი. თქვენ კი თარაობულ ქრას შიოდებით და ობიექტურად ხელი შეუწყვეთ ლაფნიჭამიას გავრცელებას!

— რათა, კაცო? — ახლა კი მართლა შეკრთა კოტე.

— იმათ, რომ ნამდვირას გამოხშირვა, შიოჯალობას უკარგავს კორომს, ვზას უხსნის ლაფნიჭამიას შავ ხოქოს!

მოდევებმა კარგა დიდი გზა გაამანძილეს. ტყე უფრო უღრანდობდა. დალომთათებული ნაძვები მაშერალ დედებივით დაპყურებდნენ ახალნაზარდა ხე-კოპწიებს. ირგვლავ დიდი, მოჩენიებითი უდრტრინელობა სუჟიოდა. მაგრამ გაგამ და მისმა თანამგზავრებმა იცოდნენ, რომ აქაც „შავი ჭირი იყო ჩამოთესილი და აქა-იქ ნატყვიარივით ეტყობოდა ატყორცნილ ნაძვების რეჩეებს. და მაინც დედის უბესავით ჩამყუდრობიბული იყო აბლაბუდა ჩრდილებას არე. თითქოს ზღვის ფსკერზე მიდიოდნენ ახალგაზრდები და აწიწვეულ

„მწვანე მარჯნების“ ზეინებს ჰველად ეღებოდა მათი ხმიანი დავა...

— ამ ტყეში, გაუქითხავ ნაჯახს არ დაატრიალებს ჩვენი შეგნებული ახალგაზრდა! შორეული ტურისტები ხომ არა ხართ, რომ ჩაირთოთ და ყველაფერი ზურგს უკან მოსაგონებლად დაგრჩეთ! კოტეს პირდაპირ გულში მოხვდა გაგას ნათქვამი. მაინც შორეულ ტურისტთან დადარება ვერ მოითმინა...

— მე ტყეში ძალით გამომგზავნეს! განა ჩემის ნებით დავეხეტებო... ამოცანა მაქვს და ვასრულებ... დანარჩენი მე არ მეხება! თუ ასეა მე რას მეჩხუბები, კომისიას მიმართე! დასკვნები და ქაღალდები კი?... ხე მოვჭრა და ქაღალდები ველარ გაგიფორმო?... ოღონდ ამოცანა! სხვანაირად არ გამიგოთ! — კოტემ გადაამოკლა საველი და ახალმოზარდ, ქვედა სართულის ტყეში ერთი წუთით გაუჩინარდა... ვაგამ ახმინებული მეგობრები გააჩერა და ერთიცი დასკვივლა დამამზადებელს...

— შენ როგორ მოუხედავად დაბორილობ ამ ტყეში? შენი ბუნაგი ხომ არ გგონია? ბრმა მანვი ვერავეითარ მართებულ ამოცანას ვერ შეასრულებს!

— ვერც მზხავანა კატა! — აყვირდა კოტეც.

ტყეში ხომ ყველა ხმამალად ლაპარაკობს, მაგრამ ეს დავა უკვე ჩხუბში გადადიოდა.

— ნუთუ ჩვენ ამდენი სიბრძნე არა გვაქვს, რომ მცენარეთა დამცველები და ხე-ტყის დამამზადებელნი ერთ ტყეში დავეტიოთ? — დავაში დათორჩეულიძეც ჩაერია, ახალგაზრდული წვერი მოაქინმანა და მოჩხუბართა შერიგება სცადა. მაგრამ ცეცხლში ნავთის ჩასხმა გამოუვიდა... ახლა სხვა დაშვებებზე წამოვისივნენ დამამზადებელს...

— რა სიბრძნეს მოსთხოვ! მაგის სიბრძნე ხერხშია და ნაჯახშია!

— მხოლოდ მიუშვი და ეგ სულ გაპარტახებს საქართველოს ტყეებს! კოტემ ყურები დაიგმანა, ასე განაკრძო გზა და ხიწვიანი ძახილ-ძახილი.

— ძმა-ბიჭურად მომწონს კოტეცაც. თქვენ რომ თქვენ საქმიანობისთვის ვით, მაგრამ მეც ნუ ჩამოხდებით! უნდა ჩხირად!

ვაგამ ყველა გააჩერა, დაადინჯა და სულ დაბალი ხმით უთხრა კოტეს.

— შენ, მართლაც კოტორავ, ტყეში ეროვნული უბედურება წაგვეყიდა, შენ კი როგორ იქცევი? მე დღესვე მოვახსენებ კომისიას!

— მოახსენე, მოახსენე! თქვენ გგონიათ იქ არა გვეყვანან დამცველები? ჭრის პრანციბი შეთანხმებულია, ჩვენზეა დანარჩენი!

— დანომრალი ხეები და არა დანარჩენი მხოლოდ ჰიაშეკმული!

— მესმის! მაგრამ აქ არც ქალაქია და არც ჩვენ ვართ ფოსტალიონები... ხანდახან ნომრები გვეშლება... ხან ხე წაქცევისას მეორე და მესამეს აზიანებს... აქ ტყეა, ბაბა!

— ვაგა და არა ბაბა! ესეც, რა თქმა უნდა, რომ იქ უფრო სჭრით, საიდანაც გამოზიდვა გეხერხებათ!

— აბა ახლა ჩვენ ბუნხალტერიასაც ხომ არ შევაქმევივნებთ იმ ვერანა ლაფნიქამიას!

— მართლაც და თქვენი შემოშვება არც შეიძლება ტყეში!

— ჩვენ რა! ლიმიტიანი ხალხი მაინც ვართ... თქვენ ჯარი და ადგილობრივი მოსახლეობა შემოუშვით ტყეში! რა ჰია დაახიანებდა ასე ჩვენ ტყეს? სიმართლე თუ გინდათ ეს არის... იცი, რამდენი მოიჭრა?!

ახლა კი დამცველები შვიშმუშენ... გზაც თაჩაქინდრულად განაგრძეს.

— მართალია, ვიცით! — დაუდასტურა ვაგამ, — ეს დიდი შეცდომა იყო! საუბედუროდ, ვგონებ არც უკანასკნელი... იმდენი ნაჭვი მოიჭრა, რომ ლობედ შემოველებოდა მთელ საქართველოს!

კოტე მხრებში გადავა, თავი მაღლა ასწია, მთელი ჯგუფი ჩაათვალიერა.

— ეპ, ძმებო! ტყის ლამანჩელებო! აქ ნამდვილი ტყეა, მართლა კა ვერ შემოპლობავთ, ყველა გამველ-გამომ-

ვლელისათვის ღიაა ყველაფერს ითმენს და სდუმს, ყველაფერს პფარავს... მუნჯია, მუნჯი!

დამცველებმაც კარგა ხანს მუნჯად იარეს.

— ბოლოს აღაპარაკდება ტყეც!

— იტყვის, რომ ტყის პატრიოტობა — ქვეყნის პატრიოტობას ნიშნავს! მაგრამ კოტე სულაც არ სთმობდა თავის „გამარჯვებას“.

— როდესაც აღაპარაკდება, აღარც ჩვენ ვიქნებით და აღარც ტყე! ჩვენც ჩვენი იდეაცა გვაქვს და პატრიოტული კუთხეც... ტყე განწირულია, როგორც აღამიანის პირველყოფილება! მე ახალგაზრდულად, ალალ-მართლად ვამბობ, თქვენთან, თანატოლებთან, თორემ კომისიას ამას რას ვეტყვი!... ახლა კი ძმები უკურად წავიდეთ და ამ ხევში... ერთი პატარა ფშანია, პირდაპირ შიგვე, წყაროში გავხსნათ 95 გრადუსიანი „სპირიტუმ ვინის“... შევრიგდეთ, სამშობლოს სადღეგრძელოც ვთქვათ და დავეწაფოთ... ვინც რამდენს დაღევს! ვიდრე ფშანის წყარო არ ამოშრება!

— შენ, მართლაც წურბელავ, სად გააჩნე ამ ტყეში? — შეეკითხა წვერწიორა, — მე ქიმიურ ხსარისათვის დამჭირდა და არ მომიცეს აფთიაქში!

— იმავ კომისიას დარჩენია, თანაშემწეს ჩემთვის შემოუნახავს... ასეთი ჩინებულა საყლაპავი რამ. მათ ხელის საწმენდად ჰქონიათ, ნაძვის ფისის მოსაშორებლად. პილატე უბრალო წყლით იბანდა ხელებს, მაგრამ ის ბიბლიურ სიძველეს კაცო იყო და არც ტყეში უმოღეაწნია!

მაგრამ გავა არ გაჰყვა ფშანის ბილიკს, ახალდაბის ბაქნისაკენ გადაუხვია. მთელი ჭგუფიც, გარდა კოტესი, იქით გააყოლა.

კომისია აღარც ბორჯომში დახვდათ. პატარა ცემის საცდელ ნაკვეთში წასულიყო. გავამ თავისი ჭგუფი, განსაკუთრებით ენტომოლოგები, სხვადასხვა სატყეოებში გაანაწილა. ხოლო თავად, დავით რჩეულიძე, ვანცა სეფიანშიღა და ვატო ხიტირი თან წაიყვანა.

ვიწრო ლიანდაგის მატარებელი წელი სვლითა და მიძიმე ქშენით აღმართს აეკიდა და აეკვამლა. პირდაპირიდან მიმდგარ ნაძვნარში თითქოს ბერიკაცი ცხვირალმა ჩიბუხს მიაბოლებდა.

გავას ზვიადსანახავი ნაძვნარი დაღვრემილად ეჩვენებოდა. ამაში უკვე ჩახრილი მზეც იყო დამნაშავე და შექიძებული ფიქრებიც. მიუხედავად იმისა, რომ წვლილვით იცოდა, ვერასგზით ვერ ურიგდებოდა იმ აზრს, რომ ტყე მძიმედ ავად იყო. ნაძვნარი თითქმის ყოფნა — არყოფნის საშიშროების წინაშე იდგა. აქ მას ყველაფერი აღელვებდა და ხშირად აღშფოთებდა კიდევაც. რომელ ერთს გაუსწოროს ფიქრი... მეცნიერების მოულოდნელ უძლურებას, თუ ზოგ ადამიანების ანგარებასა და უგუნურებას, ბევრთა ეროვნულ უყარათობასა და დაუდევრობას. ზოგ მეცნიერისა და მეტყვევს მიერ მძიმე ვითარებას ვერ შეფასებას, უდარდელა ოპტიმიზმს. ზოგის განზე განდგომას თუ დაუსაბუთებელ თვითნათქვამობას.

აქ ცოტაოდენ თავის თავშიაც ეპარებოდა ეპვი. იქნებ თავდაც მცდარად ჯიუტობს და იზნევა. ჯერ მოწვეულ მეცნიერების თვალსაზრისი და მეურნაეობის მეთოდთა გაიზიარა თავისი დისერტაციის საფუძვლად დაიღო, ცდებიც ასე წარმართა, მერმე დაეკვდა... თეორიაში სხვა, ტყეში სხვა დასკვნები გამოდიოდა. ვერც მისმა უფროსებმა და მასწავლებლებმა გაართვიეს თავი ამ უეცარ მერად ჩამოვარდნილ სხვაგანაც კარგად შესწავლილ, „ტყის მცირე ვიშაჰს.“ გაავამ რაღაც „სასწაოლ“ უნდა მოიმოქმედოს, თავისი, შეუმოწმებელი, ჯერ ცდა-მოუშთავრებელი იდეებითა და საშოალებებით? აღარც დრო ითმენს. ლაფნიქამიამ ჩინებულად შეირგო აქაური პირობები, ჩრდილოეთში თუ ორ წელიწადში ძლივს ასრულებდა ერთ გენერაციას, აქ თითქოს ერთი წელიწადიღა სჭირდება... ორასამდე კვერცხსა სდებს, სწრაფად მრავლდება და ესევე ახალ კორომებს. კიდევ კარგი

რომ მხოლოდ ნაძვენარის ლაფანით იცე-
ბება. სხვა ხეს არ ერჩის... მაგრამ
ნაძვენარი, დიდებული, უძველესი, უკე-
კლუცესი აღმოსავლური ნაძვი, ხომ
ბორჯომის ტყის შო და ლაზათია! აბა,
გაპხედეთ ამ ლიანდაგის მარჯვენე თუ
მარცხნივ — რა შექმწვანე ხავერდად
ჩამკვიდრებულა, უსწორ-მასწორ კე-
დელ-ფარდად დგას და ოდნავ ირბე-
ვა. ზეიად ტანოვანთა და ახოვანთა, თა-
ვის არე-უბეში მსუყე და სურნელოვა-
ნი ჩრდილი შეუტბორებია და თითქოს
წიწვის ზღაუერი ყველაფერს ფარავს
და პფერავს.

„არა, ტყე მარტო ხეთა სიხშირე არ
არის, ასე როგორც ვერა მარტო კაცთა
სიჩრდილე! არსებითად მეტია და თვით-
მყოფად სამყაროს ნიშანს ატარებს!“

ტანმორჩილი მატარებელი კი მძიმე
ქშენათ მიჰყვებოდა და რკალავდა აღ-
მართს. ლიანდაგი ორფა სარმის ქამრად
ეცლებოდა მწვანე ფიქრიან სამყაროს.
გაგას ახალგაზრდულ ფიქრებს უმწა-
რებდა ის გარემოება, რომ ამ „მწვანე
სამყაროს“ გადასარჩენად მხარი-მხარ
მომდგარ „ტყის მამებს“ არამცთუ ვერ
გამოენახათ „საერთო გეზი“, არამედ
დაეკარგათ „საერთო ენაც“. ასეთ ურთი-
ერთგაითშუღლობის ვათარებამი, მძიმე
შეცდომას უფრო მძიმე შეცდომა სდე-
ვდა. ტყე კი თოვლივით დნებოდა, იხა-
რჯებოდა, ლაფნიჭამიასა და მედროვე-
თა წერად რჩებოდა.

„ჩვენი ბაბილონის გოდოლი, ჩანს
ტყეში მდგარა! მაგრამ ტყეში თუ ასე-
თი რთული ვათარებაა, რალა უნდა იყ-
ოს აღამიანთა ცხოვრების ტყეში?“

ფიქრი გამოუვალ რკალში მოეჭვა
მატარებელი სულ რკალავდა და რკა-
ლავდა ტყე-წიწვენარს.

— არა, კვლავაც მითქვამს, — გულა-
ანად წამოიძახა დათამ, — თქვენ და-
მცინეთ, წვერ-წაორა მიწოდეთ, მა-
გრამ მე წვერს არ მოვიპარსავ, ვიდრე
ვერ ვუსამველებთ ამ ტყეს!

არაღეს არ გასცინებია. ჩანს სხეებიც
ამ სავიბროროტო ფიქრებით იყენენ

შენაპყარნი. ნაძვენარი კი მუნჯად და
უშრალოდ იდგა.

პატარა ცემა, სადგურის ახლოვე,
ბავშვთა სანატორიუმთან, ტყის საცდელ
ნაკვეთს მიადწიეს. ლიანდაგი მას შე-
აზე პყოფდა.

ლაფნიჭამიას შემოსევა ორივე მხა-
რზე ფრიად მოძალებული იყო. ოლონდ
მარცხნივ, უკვე ერთი წელია,
ტყე სხვა და სხვა მხამებით იყო შეწა-
მლული. ზოგ ნაძვს, მეტრის სიმაღლეზე,
ღეროს ირგვლივ. მავთულბადე პქო-
ნდა თავბოლოსშელად შემოხვეული.
შეგ ლაფნიჭამის ხოქოები იყო შეშვე-
ბული. შეწამლულ ხეზე მათი ახალდა-
სახლების გამოსარკვევად.

მარცხნივ საკონტროლო, შეუწამლავ
ხეებზეც იყო მოკრული ხოქოებიანა
მავთულბადე.

გაგამ ეს ყოველივე კარგად იცოდა-
თავად მონაწილეობდა, უშუალო მას-
წავლებლის, ლადო სუმბაძის ცდების
დადგენაში. ამის გაგრძელება და გაფა-
რთობა იყო გაგასათვის გამოყოფილი
საცდელი კორომი კახისის ტბასთან.

სადგურში ჩამოსვლისთანავე ჩანთი-
ანებს ჟავილ-ხივილით ბავშვები შემო-
ესავენენ.

— ტურისტები ხართ, თუ ტყის მო-
ჩხუბარა ბიძები?

— ვართ, ვართ! ბიძები! — შემოკლე-
ბულად დაუდასტურა გაგამ და თავი-
სიანებს ჩაუჩუმათა, — გესმით? ამთაც
კი იცოან! ისევე მწვავე დავაა დიდ კო-
მისიაში!

— ვიცით სადაც არიან! წაგიყვანთ!
უფროს ბიძიებს, ხელების ქნევით სყო-
დნათ ჩხოზი! აჭვე არიან ახლოს!

— ერთმანეთს არც უსმენენ! სულ
გუნდორად გაიძახიან!

— ჩვენ ასე არ გვანებებს არც ქე-
თო ექიმი და არც დოდო — მასწავლე-
ბილო! — არც ბავშვები აცლადნენ ერთ-
მანეთს.

და მართლაც სანატორიუმის ხეივნის
წაბშით, ბავშვთა დიდ საბრუნელას
იქით, ზედ ლიანდაგზე და მისი ყრი-
ლის ორივე მხარეს „ბიძითა“ მოზრდი-

ლი ჭკუფი იდგა და შეშფოთებულად ხმამაღლა დაობდა. ტყე თუ ლიანდაგი აგრძელებდა და ამრავლებდა უმწყობროდ შერეულ ხმებს.

— ორ-სამ წელიწადში აქ ნაძვნარი აღარ იქნება და რა პასუხს აძლევთ ამ ბავშვებს?

— თქვენ რაღა პასუხს აძლევთ, თქვენ? თუ პასუხისგებაა — ყველას ერთად გვიწევს! და გვეკუთვნის კიდევაც!

— გვიან აღმოვაჩინეთ!... საბედისწეროდ დავიგვიანეთ.

— ვერც მერმე შევაფასეთ საშიშროება! სათანადო ზომებიც არ თუ ვერ მივიღეთ... თითქოს დამბლა დაგვეცა!

— რა გვექნა, რა? მეცნიერებმაც ვერაფერი გვითხარით გარკვეულა და უკვე გამოცდილა!

— კერაში, მაშინ ერთად-ერთ კერაშივე უნდა ჩაგვეცა!

— მერმე როგორ? სასწაული არც ტყეში ხდება!

— ახლა ხომ ახდენთ სასწაულს! ასეთათობათ სწამლავთ, სკრით, გამოგაქვთ!

— მე კატეგორიული წინააღმდეგი ვარ ასეთი გაუკითხავი პრისს! — ახლა ქვეყნიდან ამოდირადა ჩაბოხებული ხმა.

— მართალია! მართალია! თქვენ ტყის მთლიანობას არღვევთ! — ახლა კი ერთად აყვირდნენ აქეთ-ქიდან.

ხელმძღვანელმა, ჩანს, ყველას მისცა სიტყვას უფლება... ყველას რომ ყველაფერი დაუფარავად ეთქვა.

— რამოდენიმე წელში ლაფნიქამია ფრიად დამარავდა, მას არაფერი არ უშლიდა! არც საკუთარი პარაზიტები, არც რიზოფაგები!

— საუბედუროდ, ვერც ჩვენ შევუშალეთ ხელი!

— ჰოდა, სტაქიურ უბედურების ძალით იფეთქა ირგვლივ მოედო!

— მეორე წელიწადს უკვე 3000 ხე იყო შეპყრობილი, მესამეს კი . 30000, ხედავთ რა ზრდაა!

— არ არის მართალი, არა! ეს ზრდის ტემპი კი არ არის — გამოკვლევისა და

ახალი კერების აღმოჩენის ტემპია!

— მით უარესი! მით უარესი! ალღელებული ხმები მოდებოდა ანდაგის მარჯვნიდან. მარცხნიდანაც არანაკლებ ალღელებული პასუხები იყო.

— რას აკეთებდნენ თქვენა მეტყვევები, ენტომოლოგები, ინსექტორები!

— უამრავი საქმეა ტყეში... ყველას კარგად მოგეხსენებათ!

— უამრავს კი აკეთებდით, მაგრამ უმთავრესი შეუძინველი და გაუკეთებელი დაგრჩათ!

— ახლა ხომ იცით, კარგა ხანია რომ იცით! რა საშველი მოგვეცით მეცნიერებო! უთვალავი კომისიები, მოწვეული ექსპერტება.. მერმე რა?

— რას იზამ... ჭერ შეუსწაველია! მრავალი საკითხია საძიებო!

— ყოველ ზოქოს თუ ჭიას მრავალი მხარე აქვს გამოსარკვევია..

— ახლა მასთან დაკავშირებული მოვლენები...

— ეს მაინც გამაგებინეთ — ლაფნიქამია სამოთხ წელში ახმოხს ხეს?

— მოზარდს უფრო ადრეც.. მძლე ხეებს კი უფრო გვიანაც!

— თქვენ ცდებხა და ყველა დაკავშირებულ საკითხების დადგენას, საჭირო საშუალებათა გამოჩახვას რამდენი დრო დასჭირდება?

— დაახლოებით ამდენივე...

— მაშ საშუალება კი არა, საშველი არ ყოფილა?

— არის საშველი, ბუნება თავად გამოუნახავს საშველს! — ახლა უფრო დინჯი ხმა ჩაერია ფიცხელ პაექრობაში, — ტყის საერთო ისტორიამ იცის მავნებელთა ასეთი მძლავრი „აფეთქებები“, მერე თავისთავად დაბალანსდება ლაფნიქამია!

— ასეთ თვითღინებას ვერ ვანდობთ ჩვენ განსაკუთრებულ მნიშვნელობის ტყეს! — გააწყვეტინა ხელმძღვანელმა.

გაგა და მისი ჭკუფი, ფეხათრევით და დაძაბულ სმენით, ლიანდაგ — ლიანდაგ უახლოვდებოდა კომისიას. აი ზოგი იცნეს კიდევაც... ცნობილი მეცნიერები და თანამდებობის პირნი, ჩვენი მეტყვევები და ტყის მუშაკები, მოწვეული

კონსულტანტები... აი, ის ყველაზე მაღალი და ქორაორთეთრა — შერგილაძეა, ჯმუხა-ჭალარა, — ზარდიაშვილი, ის შუბლფართე და მხრებგანეირი — მაჩაბელი, წარბებჭალარა, მაგრამ მხნე და ილათიანი — გულუხაური, მაღალი თმაშეკრეკილი და ხმელკუნთოვანი — სუმბაძე, ტანშომცრო და მოძრავი მუხაგულია, ტანადი და სათნოთვალეზა — გვარამაძე... მათ შორის უცნობებიც ბევრია და იქნებ შორეულუბიც... გაგამ იცნო ჩამოსული პროფესორი ტალმანიძე და ცნობილი ენტომოლოგი ტრაპაიძე...

ცხელ კვალზე მიყოლებული პაექრობა უფრო ცხარდებოდა. ეს საცდელი ნაკვეთი და სხვა კორომებიც ხშირი მოწმენი იყვნენ ასეთი აღელვებული პაექრობისა. ტყეში თითქოს ყველას უბრუნდებოდა ძველი გადმონაშთები და მძიმე მდგომარეობა უფრო მეტად აფორიაქებდა და ამკაცრებდა ურთიერთობას. მაგრამ მარტო აღელვებული პაექრობა, დიდი სურვილი და შორეული კონსულტანტები საქმეს ვერ შველოდნენ. ლაფნიჭამიას პრობლემა უფრო იზნეოდა და რთულდებოდა.

— ხედავთ, რა დავა აქვთ! — გაგა შორიასლოს შედგა, მეგობრებს მოჰხედდა.

— ვხედავთ და გვესმის კიდევაც...

— რაღა ჩვენი, ახალგაზრდული დავა კოტორასთან და რაღა მათი...

— ნუ გიკვირს... ყველა განიცდის ამ დუხჭირს! განა მაგათ ჩვენზე ნაკლებათ უყვართ ტყე და ქვეყანა! ცოტაც ვაცალოთ... ჩვენი მისვლა უხერხულია!

— რატომ, გაგავ? განა ჩვენ ცოტა რამ გვაქვს სათქმელი?

— ახლა შენ რომ წვერი გაქვს... ვერა მხედავ ერთობლივ ჭალაროსნები არიან — უფროსი თაობაა, რიდი გემართებს! — გაგა სულ ჩამოჭდა ლიანდაგზე.

— ტყე განა ჩვენი თავსატეხი არ არის! ან ნაკლები მოგვეთხოვება? — ახლა ვანცა შეხმიანდა და გაიწია...

— ...ტყეცა და არა ტყეც! — უფრო ჩაახუსტა ვატომ, — ეს რა გკვირს? ყოველი კომისია და კონსულტანტი თავიდან იწყებს ყველაფერს?

— მაინც ვაცალოთ... ჩვენც დავერჩევა სათქმელი ახალგაზრდული... გვეწადს ეს ჩვენ თუ არა, ეგ სულერთია... ჩვენც ცდებსაც და მისაღებსაც ვერსად წაუვლენ!

უფროსების შემძაფრებულ დავის შემხედვარე ახალგაზრდებიც ისე ცმუტავდნენ, ვით ხარ-ირმების ბრძოლის მზირალი რქაწამოზრდილი მოზვრები.

— ცოტა წინ წავდგეთ! კარგად მოვესმინოთ მაინც! — ლიანდაგს სიტყვა გააყოლა, ოღნავ წინ წავიდა დათო. სხვებიც მიჰყვნენ.

ახლა მათ თვალსაწიერში იყო სანატორიუმის ეზოს ნაძვნარი, ბავშვებით დაყურსული დიდი საბრუნელა და მთელი კომისიის შემადგენლობა ლიანდაგზე თუ მის აქეთ-იქით.

ბავშვები უღარდელად ევიღ-ხივილობდნენ. უფროსები კი ჩადარდებულად და ხმანინწიანად შუღლოდნენ და ტოკავდნენ. თითქოს ერთნიც ბრუნავდნენ და მეორენიც... შერგილაძე ხმამალა გაიძახოდა, ზარდიაშვილი ედავებოდა მაჩაბელს, ტალმანიძე ცოტა უქმეხად და მწარედ ესიტყვებოდა სუმბაძეს, გოგნიაშვილი ნიშნს უგებდა ტრაპაიძეს, მუხაგულია ამოდ არწმუნებდა გულუხაურს, გვარამაძე ცხრილებითა და დიაგრამებით აქვე უსაბუთებდა ჭუმბურიძეს... მხოლოდ ტყე ნაძვნარი იყო უმოძრაო და მდუმარე, როგორც მუნჯი ავადმყოფი.

გაგამ და მისმა მეგობრებმა კარგად იცოდნენ, რომ ეს ვეება ხეები აქ საცდელი კურდღლების მაგივრობას ეწეოდნენ და თავისთავად, თქმა არ უნდა, თითქმის განწირულნი იყვნენ. ლიანდაგის აქეთ და იქით ტყე თითქოს საოპერაციო მაგიდაზე იდო და ბედშერიგებულად ჯაქვა-ხერხსა თუ მორიგ შხამაწამალს მოელოდა. ტყის მამებისა და „ბიძიების“ გულდაგულ თავისტეხას ბოლო არ უჩანდა და ყველას კიდევ პქონდა რაღაც არსებითი სათქმელი და გულიდანაც ამოსაღები. ხელმძღვანელი ბრძნულად ითმენდა, ყველას უსმენდა. ყველგან ექებდა ჯანმრთელ მარცვალს...

აქაც მთავარი ლიანდაგის გატანა იყო საკირო.

ყრილზე კი ქშენითა და მნიშვნელოვან ჩახველებით, ოდნავ გვერდულად და არც შეფერებულ დახმარების გარეშე, ახლა მოწვეული პროფესორი ტალმანიძე ამოვიდა და საჩვენებელი თითი ასწია. იგი ტყეშიაც უახლეს მოდის სამოსის წამოსულიყო და ახლა ყველაზე მეკეთილად გამოირჩეოდა.

— თქვენ ჩემ ძირითად შრომებს არ იცნობთ, თორემ იქ ყველაფერი არის! დიახს!— ყველაფერი! რა პანიკას ჰქმნით? ვაგამ ყური ორმაგად სცქვიტა:

— მე ვიცნობ მაგის ძირითად შრომებს, მაგრამ იქ ლაფნიჭამიას შესახებ არც ერთი სიტყვა არ არის!

ჩანს ნათქვამი ხშიანი მოუვიდა, თავჩახრილმა ხელმძღვანელმა ლიანდაგს ვააყოლა თვალი და ახალგაზრდა ენტომოლოგების ჯგუფი შეამჩნია.

— აქეთ მოდიო! აბა მოუსმინეთ! არც ისე ცუდად ყოფილა საქმე!... ვერწმუნოთ, დავეყრდნოთ პროფესორის ნათქვამს? თქვენი აზრიც მოგვახსენეთ, ახალგაზრდებო! ჩვენმა თაობამ თითქმის მოჭრა და მოჭამა თავისი „ტყე“— ახლა თქვენ არ დარჩეთ უტყეოდ... თქვენ და ის ბავშვები!

სანატორიუმის ნაძვნარში დიდი საბრუნელა ჩარკალულად მოძრაობდა და ლიანდაგის სიმძალიდან ადგილზე დატრიალებულ თანამგზავრს ჰგავდა.

ვაგას ჯგუფი უფროსებს შეუერთდა და მაშინვე ტყის მკურნალობის მრავალ, ურთიერთგამომრიცხავ იდეებისა და საშუალებების დიდ საბრუნავში მოხვდა. მათ ახალგაზრდულ სიმახვილით იგრძნეს, რომ ამ დიდ პაექრობაში, გულწრფელ, უანგარო ზრახვებს, უწყებრივი კინკლაობის მდოვრე ნაკადიც უხვად ახლდა და თავის გამოჩენის ბრმა-ჭიუტა სურვილიც... არც მედიდურობის იერი აკლდა ზოგიერთს.

პროფესორი ტალმანიძე, ცოტა მაღალი, ცოტა უცხო, ცოტა კატეგორიული კილოთი მეტყველებდა. თითქოს ხაზგასმით ზრდილად, მაგრამ მწარსიტ-

ყვიანად და თავის უპირატესობის თავზე მოხვევის აშკარა სურვილით.

— მე ყველაფერს ჩემს მოხსენებით ბარათში დავწერ... დიახს, ალენიხავე, ჩემს ახალ მიღწევებისა და სულ მოწინავე მეცნიერების. შუქზე! — სათვალეები გაიკეთა, მაგრამ ალბათ, მოაგონდა რომ მოხსენებითი ბარათი ჯერ დაწერილი არ ჰქონდა და ისევე მოიხსნა.

— მე მასალებსა და ობიექტს გავეცანი... პირადად ჩემს მიერ ჩატარებული ეკოლოგიური გამოკვლევა, ზოგ მეცნიერულ და პრაქტიკულ დიდმნიშვნელოვან საკითხს უკვე შეიცავს... აუცილებელ ღონისძიებებსაც ითვალისწინებს...

სიტყვა მრავალსაათიან ლექციის დასაწყისად ეღერდა. ეს ყველამ იგრძნო და შეიშმწმუნა. ლიანდაგის ყრილი ვერაფრად ვარგისი კათედრა იყო.

— ბოდიშს ვიხდი, პროფესორო! აქ ხალხიცა და ტყეც ლიანდაგზე ვართ გასმული... ვთხოვთ — მოკლეთ, დაწერილებით კი — მოხსენებით ბარათში რაში არ ეთანხმებით ჩვენ „მცენარეთა დაცვას“?

— არ ვეთანხმები, დიახს, არ ვეთანხმები, — ხატოვნად საყელო გაისწორა და თითი ასწია მეცნიერმა, — სწორედ არ მიმჩნია მოსაზრება, რომ ლაფნიჭამია მხოლოდ 1956 წელში, ისიც ჩრდილოეთიდან შემოტანილ გაუქვრქავ მასალას შემოჰყვა!

იგი ადგილობრივი მავნებელია!

— მერმე სად იყო აქამდე? ბორჯომის ტყეები ენტომოლოგიურად ყველაზე უფრო შესწავლილია, ლაფნიჭამიას ნიშანწყალიც არსად ყოფილა! — ცოტა მკაცრად გააწყვეტინა ლადო სუმბაძემ.

— აქ იყო... 35 წლის წინათ მაინც... მე ვამტკიცებ! — ტალმანიძემ ფეხი ლიანდაგს დაჰკრა, თითის ჩაქნევაც მიაშველა.

— საბუთი! — შესძახეს „მცენარეთა დამცველებმა“.

— ეს დავადგინე ერთ-ერთ გადანაქვრის წლიურ რკალებში დათვლით... ხმელ, ჩაზრდილ ნავერდალზე 35 რკა-

ლის იქით ვიპოვნე ლაფნიკამიას ქუბ-
რის ყოფნის ნიშან-კვალი!

— აბა, სად არის? რა სარწმუნოა!

— ხოქომ იქნებ მერმე შეაღწია და-
ზიანებულ ნაგვერდალში?

— გეაჩვენეთ მაინც თქვენი უტყუა-
რი საბუთი?

— ასე ლიტონი განცხადება არ კმა-
რა, არა!

ირგვლივ ახმაურდნენ, თითქოს ლი-
ანდაგი გუგუხუნებდა. მაგრამ პროფესორ-
მა მსრები შეჰყარა, კარგად გაპარსულ
პირზე ყინული წამოაცურა და თავისი
სიტყვა განაგრძო:

— საგანგაშოც არაფერია! 90—95%
თქვენს მიერ დაზიანებულად მიჩნეუ-
ლისა, ხოქოს დასახლები მხოლოდ
უშედეგო ცდა არის... ისინი ჯანმრთელი
ხეება!

— ახლავე შევამოწმოთ... აქვე, ახლა-
ვე! — ხელნაჯახი ქვევით ვაიშვირა სუმ-
ბაძემ, — აბა, ჩაეღეთ ტყეში!

— მე უკვე შევამოწმე... თქვენ კი
ყველაზე უფრო დიდი ზიანი მიაყენეთ
ტყეს — მასობრივი ჭრა! — პირდაპირ
სუმბაძეს აძგერა სიტყვა.

— მე ასეთი გაუკეთხავი ჭრა არასო-
დეს არ მომითხოვია! — უკვე აყვირდა
ლადო. ახლა მაჩაბელმაც აღიმალა
ხმა:

— საკითხი რომ-საბოლოოდ გარკვე-
ული იყოს, კიდევ ერთხელ გავიმეო-
რებ... ჩვენ მხოლოდ პირველ ორასი
ხის მოჭრა დავასკვენით ძირა-კერაში,
ხოლო როდესაც ეს არ განხორციელდა,
ლაფნიკამიაც ძლიერად მოედო ჩვენს
ტყეს, მხოლოდ ღეროს ირგვლივ ძლი-
ერად დაზიანებული ხის მოჭრა მიგვაჩ-
ნდა სწორად!

— ესეც ბევრია! ესეც! — ამოსძახეს
ქვევიდან.

პროფესორ ტალმანიძეს კი ერთი
თვისება აღმოაჩნდა, მოკამათეს არასო-
დეს არ უსმენდა, თავის აზრს უწყვეტ
ლიანდაგივით მიჰყვებოდა.

— არც ნემსებით წამლობა იყო ეფექ-
ტური. ეს ძველმოდური, უკვე განვლი-
ლი ეტაპია მეცნიერებაში!

— როგორც დამხმარე საშუალება მი-

უდგომელ ადგილებში! განა ჩვენც
ლაფნიკამიასავით ფრთები გვაქვს? აქ
ვაკე—ტიგა არ გეგონოთ! — ისევ სუმ-
ბაძემ გაჰკრა სიტყვიერი ნემსი.

— მით უფრო ახლა, როდესაც ვაუმ-
ჯობესებული ხელშეაპუნა გაკეთდა! —
მასწავლებელს ხმა შეაწია გაგამაც. მაგ-
რამ ტალმანიძე თავისი ლიანდაგით ვი-
ლოდა.

— შესანიშნავ შედეგებს იძლევა დი-
ხელსაწვავში გახსნილი ჰექსაქლორანის
შესხურება. ლაფნიკამია ყოველ ფაზა-
ში ნაღვურდება.

— ეგვიტ ჩვენი შეთავაზებულია,
ოღონდ ჩვენ მხოლოდ დიდ ხეებისა და
ისიც მხოლოდ დაზიანებულ ადგილებ-
ზე შესხურებას ვსახავდით... ახალნა-
ზარდს კი, ვგონებ, გამოუტყორცვლად
სწვავს დიხელსაწვავი!

— არავითარი „მხოლოდ“! მთლიანად,
ყოველ ასაკის ხეს განურჩევლად! — თა-
ვისი სიტყვა მაღალი ხმით დაადბატურა
მეცნიერმა და უკვე ორი თითი ასწია.

გაგას მოთმინება ეკარგებოდა, მაგრამ
იძალა და თავი შეიკავა. მას ხომ სპე-
ციალური ცდები ჰქონდა ჩატარებული
თავის ნაკვეთზე. პირველად თავადაც
იყო ამ ხსნარის დიდი მოტრფიალე. უე-
ბარი საშუალება ეგონა, დეკაც კი მო-
უვიდა თავის მასწავლებელთან. თავის
ხელით შეწამლა მრავალი ხე. მერმე
ეპვი შეეპარა, მაგრამ ცდები მხოლოდ
ათი თვისა იყო და სურათი მეცნიერუ-
ლად ჭერ სულ ნათლად და დადგენი-
ლად ვერ ჩაითვლებოდა.

მოლაპარაკეს კი უკვე სამი თითი
ჰქონდა აწეული...

— მე ყველაფერს დავეწერ, მოვახსენ-
ებ... არავითარი კატასტროფული სა-
შიშროება ტყეს არ მოეღოს და თქვენი
პანიკა დაზიანებულ ხეთა არასწორი
კლასიფიკაციიდან გამომდინარეობს! მე
თუ მომმართავთ, მივიღებ მონაწილე-
ობას თქვენი დიდი შეცდომების გასა-
ქარწყლებლად!

ახლა კი თითქმის ყველა ერთად ალა-
პარაკდა. ვგონებ, ლიანდაგის აქეთ-
იქით მომდგარი ტყეც აშრილდა...

ამ დროს სადგურშიაც ზარი დაარის-

ხეს და ყველამ, თვითრწმენია ტალმანის ვარდა, ეს საგანგაშო ზარად მიიღო. ტყეშიაც ასე გაისმა და სადღაც შორს, იქნებ ისტორიულ ტაშისკართან ჩაწყდა.

—მატარებელი მოდის! ლიანდაგიდან ჩამოდექით, პატრეცემულნო! — აყვირდნენ ახალგაზრდები.

— აბა ჭობისხევშიაც ამობრძანდით, ჩვენი ცდების ახალი, არც თუ საამო შედეგებიც ნახეთ! — ყველა იწვია ვაგამ, მაგრამ მისი წვევა და ეჭვი საერთო ხმაურში და მოძრაობაში არავის გაუგია. ყველა სადგურისაკენ გაჰყვა. დავა ლიანდაგზეც შეუწუნებლად მიგორავდა.

ვაგას კი ფიქრი სულ მოულოდნელ ასოციაციით ამოებორკა:

„მაშ, ახალმოდური არამარტო სამოსი და ქალის კოპწიობა ყოფილა, არა-

მედ ზოგის მეცნიერებაშიც შეჭრილა და არა მარტო გარეგნულადაც! — „ახალსაქმურობა და არა ახალმოდურობა, აი, რა გვჭირია ჩვენ, ტყეშიაც და სხვაგანაც!“ — და როდესაც ეს „სხვაგან“ ნათო-ნათიას ირგვლივეთში წარმოიდგინა, თავად გაუკვირდა და ფიქრი ისევ ლიანდაგზე ძალით მოაბრუნა.

მალე მოწეულ ორთქლმავლის მოკივლებამ და გუგუნმამ ყველა ლიანდაგიდან გადაარეკა. პროფესორი ტალმანიძე, სულ ბოლოს, ცოტა გვერდელად, ცოტა თავმოშწონედ, ოდნავ ფეხათრევეით ყრილზე გადმოვიდა, ნეილონის ყელსაბამი შეისწორა და ქვევით, თითქოს კათედრიდან, ისე ჩამოვიდა.

მატარებელი ახლა თავქვეზე ახალგაზრდულ სწრაფვით მოგუგუნებდა. კვამლი კი შორს, ნაძენარში ბამბის ბოლქვად და კუდად რჩებოდა.

(გაგრძელება იქნება)

შალვა აბაშიძე

ჩემი თარგა *

სალოცავებო—ჩენო მერხებო,
ნაწილი გულის, იდუმალ ფიქრთა
ჩვენ ხომ თქვენს წინინდა უჯრებში
ჩაგვრჩია.

თქვენ, თქვენ გიგონებთ, სკოლის
მერცხლებო,
სადმე ფრიალებს თქვენი თმის ფარჩა?
და სიკბუჯის ხიანო წლებო,
თქვენგან ნეტაეი რამე თუ დარჩა?
თუ თქვენც წაგლეკათ დროის
გრივალმა

ვერ ეღერთ ვერცხლივით
წინანდებურად,
დაგწვათ, დაგფერფლათ ცხოვრების
ალმა.

მოზიარენო ჩემთა გრძობათა,
თქვენ მახსენდებით სკოლის კედლებო—
ერთად შემკრებნო ტოლ მეგობართა.
თქვენი კოცონი არ განელდება
ვიდრე ციმციმებს თვალში ნათელი.
მეც თქვენთან ვპოვე სულის ტოლები—
ჩემი გიორგი და ჩემი სანდრო,
აღრე ჩამოდნა მათი სანთელი,
ის მაიმედებს, რომ სიყვარული
მაინც ყოფილა მშესავით სანდო.
აქედან ვხედავ მე მათ სახეებს
და მათ იმედებს ეამით გაღეწილს...
დამშორდნენ გზაზე და... უმალ ვიგრძენ,
რომ ჩაიფუფქა ყრმობის მაისი
და რომ პიოველად ვიგრძენ ტკივილი,
გულის ტკივილი...
სიზმარში ახლაც სკოლა მახარებს,
იგი ხომ ჩემთვის ზღაპრულ კოშკს
ჰგავდა,

მე იქ მიეყავდი თითქოს ყოველდღე
საფიჩხიდიდან გულმოსულ ქარებს.
იასამანის ფერში ცურავდა
სკოლა, რომელმაც აღმიძრა რწმენა—
და გული ნორჩი ღრმად გამინათა
პატარა წიგნმა დაუფიწყარმა.
ჰე, ჩავვიარა თუმცა მას შემდეგ,
ვინ იცის, მართლაც რამდენმა წყალმა,
მაგრამ ის წიგნი, ის „ღედა-ენა“
ყოველ ჩვენთაგანს გულს ახატია,
სტენა ბულბულის, მერცხლის ჭიკჭიკი
მის ფურცლებიდან მე ახლაც მესმის,
იქ წაკითხული აზრი მრავალი
დაგვრჩია ცხოვრების პირველ
ქარტიად,
მაგრად გაიდგეს მათ ჩვენში ფესვი,
მოგვეც მზიანი და გზა საველი.

ო, ჩემო ენა, ენაე პაპათა,
ენა ცრემლის და დაღვრილ სისხლისა!
მახსოვს მზემ როგორ შემომანათა
როცა ხელთ მომცეს ნორჩს „ღედა-ენა“
და შემდეგ ჩვენი „ბუნების კარი“,
მათ შემაყვარეს ჩემი ქვეყანა,
მათში გაბრწყინდა ჩემი ცისკარი.
ეს „ღედა-ენა“ იყო, რომელმაც
მაშულის ტრფობით გული დანამა
და მიმიყუჩა მწველი იარა
მოთხრობამ „რა ქნა იავნანამა“;
იმ ორ წიგნს ვინ არ მოუხიბლია,
ვინ არ ყოფილა მათი ტყვე მაშინ,
არ უთრთოლია მათ აზრთა მორჩილს;
მე ახლაც მახსოვს ჩიტი ნიბლია,
რომ შემეშფოთა ოცნება ნორჩი.
მე ახლაც ვხედავ ამ წიგნის იას...
ო, „ღედა-ენა“—ახლაც მამრუებს
ვარდის სურნელი შენს ფურცლებიდან,
ვხედავ ლურჯ ნისლში გახვეულ რუებს.

* იბეჭდება ნაწევრები პოემიდან.

ოფოფის ქოჩორს, ტოროლას გვირგვინს!
ჩვენ შენი ფუტკრის საამო თაფლი
და ვარდის ნაში გვატკობდა,

გვზრდიდა.

მაშინ დავდევით ჩვენ წმინდა ფიცი,
არ დავგეხბია უკან შენს გზიდან,
შენს წმინდა გზიდან.

რა ჯამმა განვლო! შენი შარბათი
ჩვენს გულში ახლაც საამოდ ჟონავს.
შენმა ნათელმა, შენმა ოცნებამ
და სიყვარულმა დრო გადაწონა.

* * *

ცხრაას ხუთი წლის იყო ზამთარი
ქუთაისისთვის ცივი და მძიმე,
ქუჩებში ჰქროდა ქარი აფთარი,
ფშენიდა სახსრებში ყინულის მძივებს.
მე ახლაც მახსოვს იმ წლის ზამთარი,
ხალხთ შრისხანების, გოდების ზარი.
მაშინ მომესმა მათრახთა სტვენა,
პირველად ვნახე ცეცხლი საზარი.
პირველად მესმა ტყვიების ენა...

* * *

ახლაც წინ მიდგას ვრცელი ბულვარი —
ეშხი, მშვენიება ქუთაისისა.
ჰადრის ხეები, ჩრდილების ღვარი
და უფრო მეტად ბანაკი მზისა,
ცა თბილი, თბილი და გამჟღერვალე,
სიო მალალი აკაციების,
ყვავილთ ფერები გაშლილნი ბუჩქად.
მრავალთ ოცნება აქ გაჰქრა სრულად
და უფრო მეტის აქ გაიფურჩქნა.
ჩემმა ბავშვობამ და სიჰაბუკემ
თავის სიზმარი აქ დაასრულა.
ეს იყო ჩვენი სამოთხის კუთხე,
სამყარო ნანატრ სახის ხილვათა,
სადაც ბატარა ალვის ხის ჩრდილი
ცთუნებით საგსემ დავისაკუთრე.
ვინ იცის რამდენ ცაურ თოლიას,
როგორც ოცნებას და ნიავს დილის,
თეთრი ბაფთით და თეთრი წინსაფრით,
ჩემს წინ ღიმილით ჩაუქროლია,
ჩაუქროლია, გამდნარა ჩრდილში
და გული ჩემი თან წაყოლია,
თინ წაყოლია ჩემი ჩურჩული:
„ჩემო თოლია, ჩემო თოლია“.
სადღა არიან ერთ დროს ჩვენს შორის

რომ ნავარდობდნენ მსუბუქი ფრთებით,
ისინი, ვინაც სიხარულს გვეგვიდა
და მათთა თვალთა მიბნედილ
ყვაოდა ჩვენში — რაც იყო წმინდა,
იყო უმანკო,
როგორც ოცნება იყო მალალი.
მათ შეხებისას ჰაერიც ხურდა.
და ედებოდა გარემოს ალი.
სადა ხართ ახლა თქვენ, თოლიებო,
ფერი თქვენ დროსაც რომ გაუხუნდა.

* * *

ასეთს ვხედავდი ბულვარს ზაფხულში
და გაზაფხულზე, როცა ამრილი
ბრწყინავდა, როგორც ყვავილი ნუშის
ანდა აღთქმული ბედნიერების
ბრწყინავს ნაპირო.

ბრწყინავს ცხელ მზეში ალვის ხის
ბუმბლი;

ასეთს ვხედავდი ბალს, როცა მარტი
მშვენიერებას კვირტებში ზრდიდა
და სურნელებას უხვად დაგროვილს
თბილი პეშვებით სივრცეში ღვრიდა.
მაშინ კი იყო ცივი ზამთარი,
ბულვარში ცივად ატუხულ ხეებს
ალარ ამკობდა მწვანე საფარი...

* * *

მახსოვს მალალი ცა ქუთაისის,
მინახებული საღამოს ბინდით,
როცა ბაღებში იწვა მისი,
მწვანეყვავილა ყვაოდა მშვიდი.
და უფრო ზრდიდნენ რიონის ხმაურს
ხიდთან ზარმაცად წამოწოლილნი
სელაპებივით თეთრ-თეთრი ქვები,
იქვე ნაპირზე კი ცას შესტრფოდნენ
ტანაშოლტილი ვერცხლის ვერხვები.
მე გაზაფხულის მოქანცულ დღეებს
უკვე სულსწრაფვით თითებზე ვთვლიდი
და შეყვარებულ სასწავლო წიგნის
სულ ბოლო ფურცლებს ხალისით

ვშლიდი,

ან შემოდგომას ფერმეყვითლებულს
ვხვდებოდი ისევე სკოლის კარებთან,
დამშვიდებულნი, დათაფლებული
— ცა მკერდზე ნიავს არ იკარებდა.
ანდა ზამთარში, მსუსხავ ზამთარში,
როცა სივრცეებს ბღღვნიდა ქარბუქი,

ხშირად ჩემს გვერდით მყუდრო ოთახში
ჩნდებოდა უცებ უცნობი შოქი,
ძალას მიტებდა და მაღლა სწევდა
გარემოს მაშინ მარქსიზმის შოქი.
თითქოს ოთახი იწოდა ხნებით,
ვით მიწისძვრისგან იწყებდა ზანზარს,
მესმოდა რალაც ჩხუბისდაგარე
მგვახე სიტყვათა ელვის თანხლებით,
ფიჩხს უკეთებდნენ ცეცხლს უზარმაზარს.
მესმოდა ახალ-ახალი გვარი...
მარქსი, ენგელსი, ლენინი, ბებელი
და ჩემ შებლულულ გზა-მილიკს
საეღლიდა
სულ სხვა სამყარო, უშველებელი.

* * *

როგორ გზიბლავდა და გვიზიდავდა
მაშინ თეატრი ქუთაისისა.
არ აღდგნია გზა ჩვენს გულისკენ
მისგან გასროლულ სიმართლის ისარს.
ის იყო ჩვენი წმინდა ტაძარი,
მას დროს ყინული არ შეხებია.
გატაცებათა, მწველ ოცნებათა
მანაც აღანთო ჩვენში ხანძარი.
ახლაც თუ მესმის შორი გუგუნე—
მგონია მისი ცხელი ხმებია.
იქ გაცნობილი ხალხთა გმირები
ახლაც საღამით მეგობებიან.
ჩვენ ხომ ყველანი შეერთდით სცენას,
ის იყო მაშინ ჩვენი ტრიბუნა,
იქ სჩქედდა მაშინ ქართული ენა,
და გულში დღესაც ის ტრფობა
ბრუნავს.
ვინ იცის, ხშირად ჩემთვის, ფარულად
რამდენი ცრეპლი დამიწურია,
ცრემლი უმანკო, დიდ სიხარულის,
ხანაც კი სახე დარდით, ნალველით.
ძილში რამდენჯერ შემოპარულა
სმეტაკი სახე კაი გრაცხისა...
ჩვენი ღვთაება—ნუცა ჩხეიძე,
მისი ხმა თბილი, გულსმიერი—
რომ პარბალებდა ციურ ღაღადით...

* * *

მორბის რიონი და მოაქვს უბით
რაქის, ლეჩხუმის ღორღი და სილა,
ხვამლის ღრუბლები, ცა ფირუხისა.
შწევანი ზვირთებად გადაქცეულა,

მის ნაპირებზე რაც დათესილა
და რაც სხივები დაღვრილა მზისა;
აგერ სიმინდი უღვაშაყრილა
...აგერ ვენახი გასული ხეზე,
ბრწყინავს დამტკბარი როგორც
აპრილი.
ხედავ—სიამით გვესება თვალი,
როგორ იფიქრებ სხვა სამოთხეზე.
მთელი მიდამო ფერს წაუღეკავს.
ფერებს არ უჩანს აქ დასასრული.
მთების ბრწყალიდან გამოჰრილ რიონს
თავს დასდგომია მშვენება სრული.
ტალღა ტალღას სცვლის—მარდი,
გვეფური,

გამჭვირვალენი როგორც მთის ბროლი
და ყოველ მათგანს ამკობს ქოჩორა,
ქაფი ქაფქაფა—ჯილა მეფური.
ნაპირის გასწვრივ ნაზად გაშლილი
ხახახებს, ელავს ხავერდის მოლი.
და კიდევ ქვემოთ—ქალაქის ბქესთან,
სადაც უმატებს შრიალს რიონი,
მაღალ სერების მუქ სიწვანეში,
სულს ღაფავს შუქი კავკასიონის.
თვალს არ ასვენებს, იხმოებს, იზრდავს
ზღაპრულ მშვენებით განთქმული ჭომა...
რამდენს უგოდენია აქ სულის შეება
და გატაცების ცახცახი, კრთომა.
აქ ხომ მუდამ ჰქრის ნიავი გრილი
მწვერვალებს შორის გზაგამოვლილი,
— საღამოსი წვით უფრო გაზრდილი.
ო, ჭომა, ჭომა, — საღმინობელო,
ბიბლიურ ჩრდილთა მშვიდი სამკარო,
მიწის სიღრმიდან მას წყალს ასხურებს
გულის შაოვნელი ბინულის წყარო.
და ისმის ფოთოლთ გალობა ნელი.
მიზევალ მგზავრი და მყის გაიშლება
სუფრა ცხოველი, სუფრა მდიდრული.
ვერ მოისვენებ, უნდა ჩამოჯდე,
უნდა იმღერო აქ მთელი გულით.
ხედავ გარემოს: გრანობ მის წიაღში,
რომ სიღამაზე ველარ ეტევა
და ყვაფილების ნაზი ფერებით
ის ყველა ხბრისკენ იწყებს შეტევას...

* * *

ცხრაისხუთი წლის დაცხრენ ტალღები—
მათი ხმაური დროით მიწეღდა.
თითქოს წაერთვა ხალხს სანატრელი

ნათელ სამყაროს კართ გასაღები და რეაქცია წელგამართული, თავისუფლების მოსახლე მტერი, სისხლით შეღებილ ხმალიმართული ხალხის განაჩენს ტყვიებით წერდა, ხანარების კვამლში, ცრემლ-ვაებაში, როგორც ურჩხული წინ მოიწვედა. დღე ყოველი და ყოველი ღამე ხალხს აჩნდა გულზე ღია ჭრაცობად და მის სწრაფებათა ზეიმა, სიხარულს თან მოჰყვა ცრემლი, მზედახრილობა. დაიძრა შემდეგ ცეცხლმორევიდან აღიხანოვის რაზმი დამაჯელი ტყვიით, მათრახით, სახრჩობელათი. ფარდის ქალაქის ჩამოღება ჯერი— იგი გადაწვის ლოდინში ძრწოდა, ისმოდა უკვე ბნელეთის ბათქი. ნეტავ ამ ტანჯვას რა მიწა ზიდავს, ნუთუ შეწყდება, არ მოუფრქვევა ქვეყანას სხივი ცხოველი მზიდან, ნუთუ წალკაეს ქალაქს ურჩხული, მოსული რისხვად წყვდიადის გზადან? ეს ის დრო იყო, როცა გოდება და ყოვლის შემძლე შურისძიება გულიდან გულში გადადიოდა, როცა ნაღველი, ცა ღრუბლიანი საყვარელ ქალაქს აწვა ლოდებად, ბრძოლების შემდეგ ბნელში ჩაძრულ ქუჩებს და ბაღებს სისხლი სდიოდათ... სისხლი ჩქერებად თვით ხალხს სდიოდა.

მოხატულიყო ცა ქუთაისის მსუბუქ ღრუბლების ბურბურელათი, მთელ არე-მარეს ადგა გვირგვინად ფერადოვანი შუქი დაისის და მოციმციმე შუქი გელათის. შემდეგ კი სივრცე დაფარა წყნარად მთვარით შემკულმა ხავერდის ღამემ. ნიავის სუნთქვას ერთვოდა წელი რიონის ზვირთთა ქლერა ანკარა, რალაც ღვთიური ცა მოკაჟიამე. აი, ასეთი მახსოვს ის ღამე, ბომბის ხმამ უცხად რომ დაამხებრია. გვიმუხბთლა ბედმა, არ გაგვიზარტოლა, ბომბმა დახბია თუმც ღამის ფარჩა, თუმც ნამსხვრევებად აქცია ეტლი, ხალხის მტარავალი მაინც გადარჩა, ცოცხალი დარჩა აღიხანოვი.

ბნელა გარშემო, ნათელი არ ჩანს, ჩანს დადგა ჯამი ვაების, გლოვის— და ასეც მოხდა. მაგრამ რაც მოხდა ზომ ცნობილია, ზომ ცნობილია თუ როგორ გაჰქრა მრავალთ სწრაფვანი, წმინდა ოცნება, როგორ ჩამოქცნა მათ გულში ია; ბრძოლის ყიეინა როგორ ჩამოღდა რალაც მისტიურ. ბოდგურ ლოცვებად, და რასაც წმინდად რაცხავენდენ გუშინ უარყვეს, დაგმეს, გადაივიწყეს და გაუთხარეს სამარე გულში. წყვდიადმა ფრთები გაჰქრა, გაშალა, აზვირთებულმა თვითმყარობელობამ სახრჩობელეებით, ტყვიების სუსხით ხალხის იმედი თითქოს წაშალა. მე მახსოვს, მახსოვს როგორ აბორგდა ცეცხლი და ქალაქს როგორ ებრძოდა, ბაღებს, ყვავილებს, მზით საეცე სახლებს გაუმძლარი ხარბით ძოვდა. დრო ირღვეოდა, ცა შიშინებდა და ნაკვერცხლებით მიწას აწვიმდა, ცვიოდა ფერფლად, ცვიოდა ნაცრად რაც იყო ხალხში ღამაში, წმინდა. შფოთ ვდა სული, ცეცხლის ენები ვარდის ქალაქის ღრმა ცას წყვებოდა და ცხრაასხუთი წლის მონაგარი თითქოს იმ ფერფლის ზღვაში წვებოდა. ვინ იცის რამდენს დემსხვრა რწქენა, რამდენმა განელო გზა გოლგოთისა, რამდენს წაერთვა რეგოლუციის ახლადადგმული მგზნებარე ენა, და ცრემლმა ცხელმა დაიღბო, დახრა ღვთიური მიწა ბარის და მთისა. რამდენს ჩაუქრეს სინათლე თვალში, გამოასალამეს სალოცავ მიწას, რამდენი გულის ნორჩი ყვავილი დაზრა, გადახმა, ძირში დაიწვა, თავისუფლების ქლერა რაღენთა ისევ ჩანავლდა ბორკილთ ჩხარუნით.

ღამეა. სიო შრიღლებს წყნარად, ბაღში ხეებზე სხედან ვარსკვლავნი, ალვის ხე თითქოს ქვეულა ქნარად, განაფხულივით სუნთქავს და მღერის, შორ გალაქტიკებს მწკანე ცისათვის მოუხვევიათ თეთრ-თეთრი მკლავნი,

იდგრება თითქოს ვარსკვლავთ ჩანჩქერი
 ეზოს შუქს ფენენ მკრთალი ჯანრები,
 შუქით სავსეა სასწაილებელი,
 ვინ ეტლით მოდის, ვინ კიდევ ფეხით,
 ვის თან მოჰყვება თავის მზღებელი,
 ბრწყინავს დარბაზი გაჩაღებული,
 არა სინათლით—ქალიშვილებით;
 კი არ დადიან, დაფრენენ თითქოს
 და გახურებულ გულს ეძებს გული,
 გული შეკრული ყველა ღიღებით,
 ბრწყინავს დარბაზი არა ქალებით,
 ბრწყინავს ქათქათებს თეთრი

ბაფთებით.

დგას ვარდის სუნი გულისწამლები,
 ფრენენ ქალწულნი ოცნების ფრთებით.
 ავსებენ დარბაზს ლხინის შვილები
 დაბოხებული ქაბუჯურ ხმებით.
 უკრავს მუსიკა... საამო ხმები
 დაფარფატებენ მსუბუქ ტალღებად
 და ნეტარებით ავსებენ გულებს.
 სიცილი, ტაში, შეძახილები
 ელაგენ ლხინის ბაიბაღებად.
 ყვავილწულებით მოართულ დარბაზში.
 ნაზი ზეფირი თავს აფენიათ
 ცეკვით, გართობით გაბრუებულებს,
 ქანაობს თითქოს დარბაზი მთვრალი,
 ეშში შესულა მასკარად-ბალი.
 დღეს აქ მოსულან თავგასართობად
 მეფის დამქაშნი—დირექტორებიც.
 მუსიკის ხმება ირხვეა ისევ,
 ისმის მაზურკა, პოლკა და ვალსი,
 ვის ავონდება თავის წარსული
 და საყურეთა ღღერა, წყრიალი,
 თაფარულანხვივი ცეკვა, ტრიალი,
 ახალგაზრდობა ფერგადასული.
 ვისთვის კი ახლა წამოფრთხილდა
 ყრმობის ოცნება და სიბალისე,
 გულს ჯერ განუტდეღ სიამით ივსებს,
 თვალნი უბრწყინავთ წინსაფრებისა
 და თეთრ ბაფთების ანარკლებით,
 მათ არ უწყიან, რომ გზა სავალი
 დაფარული აქვთ მჩხველეთვ ეკლებით.
 დარბაზში ისევ ზერმონს ვალსი...
 ვინ გაიმარჯვებს ცეკვაში ნეტავ
 და ვის ერგება საჩუქად თასი.
 ისმის ჩურჩული... გაიღო კარი,
 ტურფა გოგონა, ვით პატარძალი
 წაშს მოველინა დარბაზს აპრილად,

ნატიფი რხევით იცეკვა ვალსი
 და დაამშვენა სასკოლო ბ.ლი,
 შემდეგ მიცდურად დირექტორები
 დერეფნისაკენ გაინაპირა,
 წმინდა ცას გაგდა მის თვალთა გარსი...
 წამით გაშორდა... მისცა ნიშანი.
 უმალ ყუმბარამ დაიგრიალა,
 დაიჭრნენ მხოლოდ, მაგრამ ძველ
 რეჟიმს

ისევ გაეხსნა ერთი იარა.
 მახსოვს ის ღამე... მეც იმ ბოშის ხმამ
 გულზე როგორც მზემ გადამიარა.

* * *

... ცხრაას ცამეტი წლის გაზაფხული
 სავსე იმედით, მომავლის შუქით
 და აღტაცებით ჯერ არ ნახულით
 მიწურილიყო. დულდა, შეოთავდა
 და სილაშხით სამოთხეს ჰგავდა.
 თითქოსდა წარღვნით ემუქრებოდა
 ვარდის ქუთაისს ვარდების შუქი.
 სკოლის დღეებიც ნელა დნებოდა.
 ვაგონებ იმ წელს, წელს, როცა ჩვენი
 მოწაფეობის დასრულდა ხანა...
 იმ წელს, რომელმაც ყველა ჩვენგანი
 სხვა სამყაროში გადაგვიყვანა
 და მეკობროპას დიდი ხნით ნაქსოვს
 დაწყვიტა ყველა მორთოლვარე ძაფი.
 ახლა მოავალთა სახეც არ მახსოვს,
 თუმცაღა გერწყავდა, არ გვასვენებდა
 ჩვენ სიყვარულის სეტყვა, ღვრთქაფი.
 ნეტავი ახლა სად, სად არიან
 და რომელ მათგანს უფეთქავს გული,
 გული ჩემსავით ნარღვემოშვებული,
 წლებით დაღლილი და დათუთქული.
 ეჰ, სიქაბუკევე, ახალგაზრდობავ!
 ქვეყნად რა არის შენზე ღამაში,
 შენზე სპეტაკი, წმინდა, წარმტაცი!
 შენა ხარ რწმენა, ოცნება, ნდობა,
 შენზე ს მღერას, კეთილ სიმღერას,
 ვიცი, რომ წლები აღარ დამაცლას.

ქაბუჯი ვიყავ, როცა ქუთაისს
 დავემშვიდობე გულდაწყვეტილი
 და ჩემი ყრმობის, წარსულის გვერდით
 ადგილუძრავი დავსვი წერტილი.
 ვიგრამენ: რომ ჩაწყდა თითქოს
 გულღვიძლი,


სვედის ცრებლები წვიმდა ჩემს ხმაში —
 თუმც პეტერბურგი იყო ქალაქი —
 ჩემი ნატვრა და ჩემი ოცნება,
 სადაც ცხოვრება ბორგადა მაშინ.
 ვიგრიენ: აღულდა ჩემში სიტყვები,
 რომ მეყრებოდნენ გულზე ვით ქვები:
 — „გშორდები ჩემო სულის ჩამდგმელო
 და ჩემი ყრმობის თბილო აკვანო,
 ჩემო სინათლე, თაყვანსაცემო,
 შენ ქუთაისის კრიალა ცაო,
 გულში სიამით შემოსაყვანო;
 შემიგებება კიდევ ოდესმე
 ნორჩ ყვაილებით ნწვანეყვაილა?
 ან გამანათებს, გამაჩახახახებს
 შენი ცვრიანი ვარდული დილა?
 ნეტავი კიდევ თუ მეღირსება
 შე სალორიის გავლა მუხნარში,
 ფიქრი, ოცნება დიდ მომავალზე
 ჩემს საფიჩხიის მთვარიან ქარში?
 მშვიდობით ჩემო ყრმობის ქალაქო,
 ნეტავ ოდესმე ფიფქს თუ მომაყრის,
 დამათრობს შენი იასმანი,
 შენი ვარდების და ზამბახების
 დამეხურება თბილი საბანი?
 ვემშვიდობები მე გულმდღულარე,
 შენს მოქიქინე, დაუმცხრალ ქარებს,
 ჩემთა ლტოლვათა დაუშრეტ წყაროს!
 ნეტავ ოდესმე თუ შევესწრები
 შენი დიდების აყვავილებას,
 რომ კვლ ვ ვისმინო წარსულის

ჩრდილში
 ბაგრატის ტაძრის ქვების ლაღადი.
 გემშვიდობები ერთადერთ ნატვოით:
 განახო ვარდივით ისევ შრილა,
 თავს შემოგველო, კვლავ ჩაგებუტო
 და დაგიამო ერთი იარა.

მივდივარ, ვტოვებ შენთან ჩემს
 ყრმობას,
 თან მიმაქვს შენი ცა უნაზესი,
 შენი მშვენების და სიყვარულის
 შეხორცებული ჩემ გულთან ფესვი;
 მივდივარ, მაგრამ მემახსოვრები,
 შენ, დიდო ტალღავ ჩემი ცხოვრების,
 ვიდრე სულს მიწვავს სიცოცხლის
 ცეცხლი,
 ვიდრე გაზაფხულს შესძრავს ხმა
 მერცხლის.

* * *

ცას აბნელებდა სასტიკი ომი,
 ყელამდე იდგა სისხლის შორევი
 ჩვენ მივყვებოდით ქუჩებს ამღვრულს —
 შურისძიების ზვირთებად ქცეულს
 და უკვე ვგრძნობდით რომ ეცემოდა
 გვირგვინი სისხლით მთლად
 გაღმებული.
 ეს ის დრო იყო, როცა სიჩუმეს
 პუტილოველთა პოეტესტი ლეწდა,
 ლეწდა თვით პროსპექტს ხმები ჩქუხარე.
 მახსოვს, ყაზანის ტაძრის დიდ სვეტებს
 რევოლუციის აღი რომ შეწვდა,
 აღი მოედდა ვიბორგ ს მაარეს.
 და გაანათა ნეცა მწუხარე.
 ეს ის დრო იყო, როცა მუშებმა
 მარქსის აზრი და მისი ოცნება
 რაღაც ჯადოსნურ ძაღად აქციეს.
 გამარჯვებისკენ მიქჟონდათ უკვე
 სიმართლის დროშა დემონსტრაციებს.
 წარსულის კვამლი მზეში დნებოდა
 და ახალ ქვეყნის სილუეტები
 ცრემლში, ტანჯვაში იბადებოდა.



საგზო კლიაშვილი

შორეული ციადი

მოთხრობა

მატარებელი მოულოდნელად დაიძრა. ბედად იმ წუთში რომ ვაგონთან არ ვმდგარიყავით, ვინ იცის რამდენ ხანს მოგვიწევდა ისევ როსტოვში ყურყუტი.

ჩვენი სიხარული განუზომელი იყო, მაგრამ საესეებით დაიმედებული მაინც არ ვიყავით, — რკინისგზებზე მოძრაობა მხოლოდ რაღაც შემთხვევაზე იყო დამოკიდებული და ისიც მომხდარა ხოლმე, რომ მატარებელი გაივლიდა ათიოდე კილომეტრს და მერე უკანვე ბრუნდებოდა. ასეთი ამბავი არა ერთხელ გამოვცადეთ ჩვენ, მე და ჩემმა ამხანაგმა გურიაკიმ, პეტროგრადიდან საალალბედოდ წამოსულებმა.

გაწამებული ვიყავით, მაგრამ ერთმანეთს ვამხნევებდით, რომ ამჯერად ბედი არ გვიმტყუნებდა. მაფიქრებდა მხოლოდ ამხანაგის მდგომარეობა, — ის შეუძლოდ იყო და დღითი დღე უარესად გრძნობდა თავს.

— ოღონდ შინ მივაღწევდე... ოღონდ ჩემი მზე და პაერი მაღირსა! — ხშირად ნატრობდა გურია.

აგერაც სამ კვირაზე მეტი იყო დავეყვებოდით აღმადღმა მოხეტიალე მატარებლებს, ხანდახან იქიდანაც ვადმოგვრეკავდნენ მგზავრებს, როცა ვაგონები მებრძოლების გადასაყვანად დასკირდებოდათ და ვითენებდით და ვილაშქვებდით ხოლმე რომელიმე ყრუ ბაქანზე იმ იმედით, რომ ერთხელაც იქნებოდა რაიმე შემადგენლობა გაჩერდებოდა და აგვერფდა. მისი ხშირი სუნთქვა, აღზნებული გამოხედვა და ღრმად ჩაცვივნილი ლოყები ცხადად

მანიშნებდნენ, რომ ტემპერატურა აწეული ჰქონდა.

ზოგჯერ მატარებელი შეუჩერებლად გაივლიდა დიდ სადგურსაც, შემდეგ კი მთელი დღით, ხანდახან ორი-სამი დღით, გაჩერდებოდა უდაბურ ველზე და იდგა. იცდიდა, ხოლო რატომ, არავინ იცოდა. და ყოველთვის ამ დროს ისე მეგონა, რომ აქ არა მარტო გზა შეწყდებოდა, ჩვენი სიცოცხლის დასასრულიც აქ იქნებოდა.

დღისით უფრო ადვილად ვურიგდებოდით ბედს. მზის ნათელი აქარებდა ნაღვლიან ფიქრებს. მოწმენდილი ცა მამშვიდებდა... გარშემო სიჩუმეა, მაგრამ ეს არ არის ღამის პირქუში სიჩუმე, რომელიც გულს გიმძიმებს და გაბეჩავებს. დღისით ბევრი რამ მისალწევი გვეჩვენება და გვჯერა, რომ მალე კეთილი ბოლო ექნება ყველაფერს. დამით კი ისევ ექვი და უიმედობა. ზიხარ ვაგონის ფანჯარასთან, აცეცებ თვალებს სიბნელეში, მაგრამ ის შეუღწეველია და შიშის მომგვრელი საიდუმლოებით სავსე...

ღამეს მაინც გაჩნდა ერთი უპირატესობა. მხოლოდ მაშინ მეძლეოდა საშუალება დაახლოებით გამერკვია — ფრონტს დაშორებული ვიყავით, თუ არა. ხშირად ასე იყო: სადღაც უსასრულობაში ავარდებოდა ცეცხლის ბურთები და თუმცა ხმა არ ისმოდა, ვიცოდი, რომ ეს არტილერია მოქმედებდა. ვხედავდი ამ ხელოვნურ შორეულ ციალს, მაგრამ ვისი ხელი ტრიალებდა იქ, ამის გაგება შეუძლებელი იყო ერთი დღე-ღამის განმავლობაში შესაძლოა მოვხვედრილიყავით ჯერ

წითლების, მერე თეთრების ზონაში, შემდეგ ისევ წითლების მიერ დაკავებულ ადგილებში და ბოლოს ისევ თეთრების ტერიტორიაზე. და ყველგან დაუნდობელი, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა იყო. ძალიან წყნარ ღამეშიც კი, როცა არც ციალი ჩანდა საღმე, ფანჯარას ჩაგვიმტვრევდა ხოლმე საიდანღაც გამოსროლილი, უგზო-უკვლოდ მოხეტიალე ტყვია.

ასეთი წვალება ჩანმრთელსაც სტანჯავდა. ჩემს ავადმყოფს კი დიდი სულიერი და ფიზიკური ძალღონის დაძაბვა უხდებოდა, რომ სასოწარკვეთილებას არ შეეპყრო.

პირველი კუბე, რომლის კარებს ვეცი, ცარიელი აღმოჩნდა და შიგ მოვთავსდით. გურია უმაღლვე დაწვა. უღონობა უფრო დაეტყო იმის შემდეგ, როცა მოსვენების საშუალება მიეცა.

ჩვენს გარდა იყო თუ არა ვინმე ვაგონში, არ ვიცოდი. დაეინახე მხოლოდ კონდუქტორი. ის არც დაინტერესებულა, სად მივდიოდით, ბილეთები გვქონდა თუ არა. კონდუქტორი თავის კუბეში იყო და რაღაც საესე ტომრებზე ფუსფუსებდა. როგორც მერე გავიგე, როსტოვიდან წამოიღო კონსერვები, პაპიროსი, სიტრო, ლუდი. ამათ ის მამასისხლად ყიდდა მგზავრებზე, რომლებსაც აღარაფერი ეზოგებოდათ, ოღონდ შიმშილი და წყურვილი მოეკლათ.

ბედნიერად მიმჩნდა თავი, — მატარებელი ბაქოსაკენ მიდიოდა, დაავადებულ მეგობარს მოვესვენე და თამბაქოც ვიშოვე!

საქმე არაფერი მქონდა და ვაგონში გავიარე. რამდენიმე კუბე შევალე, მაგრამ არსად არავინ. ყველგან სიცარიელე. და აი, უეცრად ერთ კუბეში დავინახე ქვედა საწოლის კუთხეში მიყუჩული ქალი. მგონი, მითვლემილი იყო და მოსვენება დაეუფრთხე. ისე შიშნა-

რევად მომაშტერდა, რომ უცბადვე უკან დავიხიე.

— მაპატიეთ, თქვენი პირიმე მამატით! არ ვიცოდი, თუ აქ ვინმე იყო! — მოვიბოდიშე და კარი შევხურე. გამოვბრუნდი და თან გამომყვა ახალგაზრდა ქალის დიდი, ღია ლურჯი ფერის თვალები.

გამეხარდა, რომ ვაგონში კიდევ ვილაც იყო და ეს სასიამოვნო აღმოჩენა გურიას გავუზიარე. მაგრამ ის გულგრილად შეხვდა ვაგონილს. მხოლოდ ეს მითხრა:

— თავი დაანებე, იყოს თავისთვის. განუკითხავი დროა, ყველა ეპვის თვალთ ვუყურებთ ერთმანეთს...

მატარებელმა შეუჩერებლად გაიარა ბატიასკი და სისწრაფეს უმატა. შევბავივრძენი, როცა რბილ დასაწოლზე გავიშოტე. ვაგონი მარყუვდა და მინანუვებდა.

ძილში ჩამყვა კორიდორიდან ვაგონილი ხმაური. სხვა ვაგონიდან შემოსულიყო რამდენიმე მამაკაცი, რომლებსაც მგზლვაურული ზოლებიანი პერანგები ეცვათ. ხმამაღლა ლაპარაკობდნენ და ზოგჯერ უწმაწურ სიტყვას გაურევდნენ რომელიღაც კუბე გააღეს და შიგ შევიდნენ.

ღრმა და ხანგრძლივი ძილი მქონდა. როცა გამეღვიძა, საღამო იყო. დასვენების შემდეგ რატომღაც მოთენთილად ვივრძენი თავი. ადგომა არ მინდოდა. მაგრამ გურიას მოწყურდა, კონდუქტორს მივაკითხე და გახარებული დავბრუნდი, რომ ავადმყოფისთვის სიტრო და ბოსტნეულის კონსერვი ვიშოვე.

უკან რომ მოვდიოდი, დერეფანში, იგივე ქალიშვილი დავინახე. უცბადვე ვიცანი მისი თვალები. არ ვიცი რატომ. ისე მეჩვენა, თითქოს კეთილად შემომხედა. მუნჯად ჩავუარე და ჩემს კუბეში შევედი.

გურია ხარბად დაეწაფა ბოთლს, კმაზე კი უარი თქვა.

— როგორ შეიძლება, უნდა მოლო-

ნიერდე! — არ ვეშეებოდი, ვაძალებდი, მაგრამ ვერ იქნა და ვერ დავიყოლიე.

მიზეზად იმას ამბობდა, რომ მოსვენება უნდოდა და თუ რაიმეს შეჰქამდა, ვეღარ დაიძინებდა. ამგვარი საბუთი დაუჭერებელი იყო და, ცხადია, მხოლოდ იმიტომ მითხრა, რომ თავი დამენებებინა მისთვის. შიმშილის გრძნობა, ალბათ, დაკარგული ჰქონდა.

ჯერ კიდევ ამ დღით ის ბევრად უკეთესად მეჩვენებოდა. ახლა კი თითქოს აწყინაო, რომ ღია ცისქვეშ აღარ ვგდო და ნებეირად წოლის საშუალება მიეცა, ვხედავდი, ცუდად იყო. მისი მდგომარეობა მაფიქრებდა, უფრო კი ის მაშინებდა, რომ თუ ავადმყოფობა მოერია, კონდუქტორი ვაგონიდან გადმოსვამდა და, ვინ იცის, სად დასტოვებდა.

თვითონ გურიაც შეშფოთებული იყო, თუმცა ცდილობდა დაეფარა ჩემგან.

ჩვენი კუბეს კარებში მოულოდნელად ის უცნობი ქალიშვილი გამოჩნდა.

— შეიძლება თქვენთან? — იკითხა შორილებით. — ბოდიშს ვითხოვ, მგონი მოსვენებას აპირებდით... — დარცხენილად თქვა, როცა მწოლიარე გურია დაინახა. — იმიტომ შეგაწუხეთ, რომ...

შორიახლოდან აღრეული ხმები მოისმა.

— გესმით? — შეკრთა ამის გაგონებაზე. — ჩემს მეზობლად დაბინავდნენ. ღვინონასკავი არიან...

შემოპატივება აღარ დამპირებია, ფანჯარასთან ჩემს საწოლზე ჩამოჯდა.

— მაშ თქვენ ორნი ხართ? — თვალის შეგვაგლო და გამხნევება დაეტყო. — უფრო კი ის მსიამოვნებს, რომ სტუდენტები ყოფილხართ და მაშასადამე...

არ დაამთავრა, მაგრამ მიგხვდით, რისი თქმა უნდოდა.

გურია რომ შეუძლოდ მყოფი დაინახა, გულშემატივრად გამოიკითხა რამდენი ხანია გზაში ვართ და როდის ჩავალთ საქართველოში.

— ეგ ვინ იცის! — გამეღიმა.

— ჩავალთ კი ოდესმე? — ნალღლონად ჩაილულულა გურია.

ქალიშვილმა გაიკვირვა: — რატომ? განა აგრე შორსაა?

— არა, მაგრამ...

— მაგრამ რა?

— ახლა ყველაფერი შორს არის... — პასუხი დამასწრო გურია. — ჩავალთ, არ ჩავალთ, ეგ ღმერთმა უწყის...

— აბა რას ამბობთ! რა თქმა უნდა ჩახვალთ! და სულ მალე! — ქალიშვილი შეეცადა გაეპარებოდა მისი ეპყვები და მერე დაუმტა: — არ ვყოფილვარ თქვენს ქვეყანაში, ისე კი ბევრი რამ მსმენია...

საქართველო საოცარ რომანტიკურ მხარედ ჰქონდა წარმოდგენილი და გაგონილიდან ისეთ რაიმეს გვიამბობდა, რაც ჩემს გულწრფელ სიცოცხლს იწვევდა. ერთხელ გურიასაც კი გაელიმა. როგორც მეჩვენა, ის სიამოვნებით ყურს უგდებდა ჩვენს ქვეყანაზე მეტრსმეტად ვაზვიადებულ ამბებს.

ქალიშვილი კივილიდან მოემგზავრებოდა, სადაც კონსერვატორიაში სწავლობდა. მიდიოდა ესენტუქში მშობლებთან. მამა მესაათე ჰყოლოდა.

— ჩემი სახელია კირა... გვარს კი არ გაგიმზელო... — გულუბრყვილო კოყვითობით თავი გააქნია. — ჩემი გვარი ყველას ღიმილს და გაკვირვებასაც იწვევს. მაგრამ არა უშავს, რა, თქვენ გეტყვით... კირა კარგა!

— მართლაც საკვირველია! — დავუდასტურე. — თქვენ და კუდიანი ბებრუხუნა! წარმოდგენილი შეუსაბამობა!

ორივეს გაგვეცინა. ამ უბრალო საუბარმა როგორღაც ერთბაშად დაამყარა ჩვენს შორის გულითადობა.

როცა გაიგო, რომ პეტროგრადელი სტუდენტები ვიყავით მითხრა:

— ძალიან მიწოდოდა იქ მესწავლა, მაგრამ აქამდე ეს შეუძლებელი იყო. მე ყარაიმი ვარ და არ მქონდა სატახტო ქალაქში ცხოვრების უფლება... ახლა კი ვაპირებ გადავიდე და, ალბათ, შემოდგომაზე თქვენც იქ გნახავთ...

მანამდისაც ისე მენიშნა, რომ სლავი არ უნდა ყოფილიყო. ვინაობა რომ თქვა, ამის შემდეგ, ხომ საბოლოოდ დაერწმუნდი. ძალიან ახალგაზრდა იყო, მაგრამ საცესებით დაქალებული, პაქუა ცხვირზე აქა-იქ ჭორფლი ეყარა, ტუჩები თითქოს ოდნავ შეშუპებული, ვნებიანი და, — რაც მისი სახის ნამდვილი სამკაული იყო, — ღია ლურჯის ფერი თვალები. მინდვრად რომ ღიღილო გაიშლება, სწორედ იმგვარი, მაგრამ ღრმა სევდის გამომხატველი, როგორც ხშირად სემიტებს აქვთ.

დიდხანს იჯდა ჩვენთან. დაგვემშვიდობა მაშინ, როცა დაღამდა და ვაგონში სინთეზე ჩამოვარდა.

— თუ ავადმყოფის მოსავლელად საჭირო ვიქნები, ნუ მომერიდებით, მომაკითხეთ! — შემომთავაზა წასვლისას.

მაგრამ ისე მოხდა, რომ მალე თვითონ დაგვიკაკუნა. როცა კარი გაუღლე, დავინახე, ხელში ჩანთა ეჭირა და რაღაც პატარა ხელბარგი.

— თქვენთან უნდა შევადარო თავი, — ხმადაბლა მითხრა, თანხმობის მოცემას არ დაუცადა და შემოვიდა.

ზედა თარო ავწიე და იქ მოვათავსე. გაუხდელად დაწვა და გაისუღრა.

• • •

ღიღით მზის შუქმა გამაღვიძა. პირდაპირ სახეზე დამყურებდა.

— წყალი მიშოვე! — მაშინვე გუჩიას ხმა მომესმა.

მეტი სისუსტე ემჩნეოდა ხმაში და ეტყობოდა, რომ ღამე მოუსვენრად გაეტარებია.

თვალში მეცა შხამიანი ვარდისფერი ლაქები, რომელიც მის სახეზე ყვაოდა, შუბლზე და ნიკაპზე ნაცრისფერი ედო. წუხდა, ბორკავდა. ასეთმა მკვეთრმა გაუარესებამ, და ისიც რა პირობებში, საგონებელში ჩამავდო.

კუბეში რომ სიტროს ბოთლით დაებრუნდი, კირა ამდგარი დამხვდა.

— ასწიეთ თავი, ხელები კისერზე მომხვეით! აი აგრე! — დატრიალებდა ავადმყოფს, ცდილობდა მოხერხებულად

მოეწყო მისთვის საწოლი, ბალიშით თავის ფუთას უდებდა. მერე ვაგონის გამყოლისგან მსუბუქი პლედო მოეჭრა და დაახურა — ახლა შექამეთ ცოტა მაინც... არა, უარი ჩემთან არ გაგივით... შემდეგ კი ეცადეთ დაიძინოთ, ეს აუცილებელია თქვენთვის!

მთელი დღია არ მოცილებია, უცბად მიუხედებოდა რა სურდა და ცდილობდა სწრაფადვე შეესრულებია. კირა სასიკეთო ზეგავლენას ახდენდა გურიანზე და სულ მალე იმდენი ნდობა დაიმსახურა, რომ მე კი აღარ თავის ძველ მეგობარს, მხოლოდ მას მიმართავდა დახმარებისათვის.

ეს ქალიშვილი, რომლის არსებობაზე ორი დღის წინათ წარმოდგენა არ მქონია, ჩემთვისაც მახლობელი აღამიანი გახდა. ორი დღე საკმარისი შეიქნა, რომ უფრო დავმეგობრებულიყავი მასთან, ვიდრე სხვა მრავალთან, ვისაც წლების განმავლობაში ვიცნობდი.

იმ დღეს საღდაც ველზე გავჩერდი. გურია ჩამინებული ვიგულე და რამდენიმე წუთით მე და კირა პაერზე გამოვედი. ბალახით დაფარული მიწა თვალუწვდენ სივრცეზე მწვანე ზღვად იყო გაწოლილი. ძალიან შორს ალვის ხეები მოჩანდა, ჭილყავების გუნდმა უხმოდ გადაგვიფრინა და ბუჩქებში დაეშვა. ჩვენი ორთქლმავალი ჩამქრალი იდგა და უპატრონოდ მიტოვებული მეჩვენებოდა.

კირა გაირბენდა ხოლმე, დაგლეჯდა ბალახს, დახარბებულად დაყნოსავდა, მოკუტავდა თვალებს, თითქოს გაბრუებული და მოთენთილი მისი სურნელით, და ჩაილაპარაკებდა:

— რა საუცხოო სუნი აქვს, რა სიტკბოა!

ბავშვით უხაროდა, როცა რაიმე ველურ ყვავილს იპოვიდა, კესანების მთელ კონას დაკრეფდა ხოლმე, შემჩნებდა, შემინახეო, და ისევ მინდორზე გაინავარდებდა.

— შორს არ წახვიდეთ! — მიეძახოდი ყოველთვის. — მატარებელი შე-

იძლება უეცრად დაიძრას და დარჩე-
ბით!

ამ გაფრთხილებაზე ჯერ შიშით მო-
მაპყრობდა თვალებს, მერე სიცილით
გამოიქცეოდა ჩემსკენ, ერთი წუთით
სინარული გაუნათებდა სახეს, შემდეგ
ისევ ჩაუქრებოდა, ჩემს გვერდით მი-
წახე მოიკალათებდა და დიდხანს რა-
ღაცაზე ღრმად ჩაფიქრებული მდუმარ-
ედ გაპყურებდა ველს.

მზე ვარვარებდა. ნაშუადღევს თაკა-
რა უხილავ ნასლად თრთოდა მთელ
გარემოზე. წუთიერი მირაჟი გამოაცო-
ცხლებდა ხოლმე რომელიმე შორეულ
ადგილს, უმაღლეს გაიფანტებოდა და მე-
რე ისევ მხოლოდ უსასრულო სიცა-
რიულე იყო.

— არ იფიქროთ, რომ თქვენთან მო-
მეწყინა, — აგერ როდის ხმა ამოიღო კი-
რამ. — ისეთი სიჩუჩეა, ხმაური სანატრე-
ლად გადაშექცა... უფრო მშვიდად
ვგრძნობ თავს, როცა ბორბლების რახ-
რახი მესმის...

ადვილი მისახვედრი იყო, გულს უღო-
ნებდა უდაბნოში ძალაუნებური ლო-
დინი, რომელსაც ბოლო არ უჩნდა.

— ნუ გეშინიათ, წავალთ თავის დრო-
ზე, — შევეცადე გამეხსენებია.

კირა უცბადვე გამოცოცხლდა:

— არა, სულაც არ ვშაშობ. არავითარ
შიში არ მაქვს თქვენთან. მეტსაც
გეტყვი, თქვენთან რომ ვარ, ძალიან
კარგად ვგრძნობ თავს, ღმერთმანი!

ერთხანს ჩუმად იყო და მერე მოულო-
დნელად მომმართა:

— გწამთ ბედისწერა?

ვერ მივუხვდი რატომ მკითხა.

— დარწმუნებული ვარ, შემთხვევი-
თა არ არის, რომ შეგხვდით... ზოგჯერ
ვფიქრობ, რომ ასეც უნდა ყოფილი-
ყო... რომ ეს გარდუვალა იყო...

სრულიად არ მოველოდი ამის ვაგო-
ნებას და გაკვირვებით მივაჩერდი.

გაოცებული რომ დამინახა, უხერხუ-
ლობა იგრძნო და სახე შეუწითლდა.

— ყურადღებას ნუ მიაქცევთ ჩემს
ლაქლაქს... — დარცხვენლად თქვა, ეს
მხოლოდ იმიტომ ვითხარით, რომ თქვე-

ნთან კარგად ვგრძნობ თავს... ^{ძალიან} კარგად... ასე მგონია, დიდი ხანია რაც
ვიცნობთ და...

არ დაამთავრა და უეცრად, გულწაღ-
დავანა:

— ღმერთო, ეს რა ამბავია ჩემს თავზე!
რაღაც ორიოდ დღეა გხედავთ და რა-
ებს გუუბნებთ! წარმოდგენილი მაქვს.
რა ქარაფშუტა გეჩვენებთ!

— სრულიადაც არა! პირიქით, დიდად
მსიამოვნებს, რომ კეთილად განწყობი-
ლი ხართ ჩემდამი! — მოვინდომე დამე-
რწმუნება, რომ არაფერი უთქვამს და-
სანანებელი. — გზაში აღამიანები, სა-
ერთოდ, ადვილად შეეთვისებიან ხოლმე
ერთმანეთს და თუ იმ გარემოში, რო-
მელშიაც ჩვენ ვაშუფავებით, კიდევაც
მაღე დავმეგობრდით, ამ ამბავს საესე-
ბით ბუნებრივად ვთვლი...

ვთქვი და მაშინვე ვიგრძენი, რომ
ეს მხოლოდ რაღაც ჭკუის სწავლება
და მშრალი რიტორიკა იყო. კირა უბრა-
ლოებით საესე, ბავშვივით მიამიტი და
ფაქიზი იყო და თითქმის დანაშაულობათ
ჩავთვალე, რომ მის გულწრფელო-
ბას გულგრალობით ვუბასუხე. ოდნავი
სითბო მაინც რომ გამომჩინა, დავუ-
მატე:

— იცით რა? მეც ავეთი ვგრძნობა გა-
მეღვიძა თქვენდამი!

ამის გაგონებამ გაუქარვა უხერხულო-
ბა და ისევ ლურჯად აენთო თვალები.

— აი ეგ კარგია! ძალიან მიხარია, თუ
აგრეთ!

ამ ამოძახილში ისეთი გულუბრყვი-
ლობა და სიწმინდე იყო, რომ კირა ახლა
ჩვეულებრივზე უფრო მიმხილველი მე-
ჩვენა. არ ვიცი როგორ დავიწყე, მაგრამ
ალარ შემქმლო დამეფარა ის, რისი
თქმაც მომიხდა იმ წუთში. ათასგვარი
რამ ვუბამე ჩემი წარსულიდან, ველა-
პარაკე იმ მომავალ დღეებზე, როცა შე-
მოდგომაზე პეტროგრაღში ერთმანეთს
შეგხვდებით და საშუალება მომეცემა
მეგობრობა დავუმტკიცო, კირა ყურს
მიგდებდა. მისმინდა თავდახრილი, ერთ-
ხელაც არ შემაწყვეტინა და მხოლოდ
მაშინ, როცა ვთქვი, რომ მასთან შეხვე-
დრას ბედის ნამდვილად წყალობათ

ვთვლო, ეშმაკურად ამომხედა და გაიღი-
მა:

— მგონი ჩვენ ზედმეტი რაღაც ვუ-
თხარით ერთმანეთს... ხომ ასეა?

ღამე იყო, როცა მატარებელი და-
იძრა. მაგრამ ჩვენი სიხარული დაღონე-
ბულა იყო გურიას მდგომარეობით.
ავადმყოფს თავშეკავების ძალა აღარ
ჰქონდა. როდესაც შებლზე ხელით შე-
ვეხე, ვიგრძენი, რომ მთელი მიაი სხე-
ული იწოდა. ვერავითარი ნუგეშით და
მოფერებით ვერ დაეამშვიდეთ. მგონი
არც ესმოდა, რას ვუთხნებოდით. შფო-
თავდა, ბორკავდა, დროდადრო წამო-
აბოდებდა და რაღაც უაზროს იტყოდა.
ხანდახან გაახეულდა თვალს, ვილაცას
ეძებდა და მერე ისე შემოგვაჩერებო-
და, რომ, ალბათ, ველარ გვეცნობდა.

მამინ პირველად გავიფიქრე, რომ
მას პარტახტიანი ტიფი შეჰყროდა. მო-
ულოდნელი კი ამაში არაფერი იყო.
ჩვენა ხეტიალის დროს მძევრი ასეთი
შემთხვევის მომსწრე ვაყბი: ჯერ კი-
დეც დილით ფეხზე მდგარი მგზავრი
სალამო ხანს მოცელილივით დავარ-
დებოდა და ცნობამიხილილი ხდებოდა-
ამ უმწეოებს ისიც ველარ გაეგოთ, რო-
გორ გაათრევდნენ ხოლმე ვაგონიდან
და პირველ გაჩერებაზე დასტოვებდნენ.
ახლა ყველაზე უფრო ამის შიში მქო-
ნდა.

— კონდუქტორთან არაფერი დაგ-
ცდეთ, — მიმიხვდა კირა. — როგორმე
უნდა მივალწევით რომელიმე ქალა-
ქამდე, იქ კი...

სხვა გამოსავალი არ იყო. მეტიც ვე-
რაფრით დავხმარებოდით ავადმყოფს.
რამდენიმე სადგური შეუჩერებლად
ჩავიარეთ. იქ ყველგან ხალხი იყო თავ-
მოყრილი, ვინ იცის რა ხნიდან მომლო-
დინე. ჩაუქროლებდით და ყოველთვის
მოვლანდავდი: ადამიანის მსგავსი აჩრ-
დილები ხელებს აქნევდნენ, მუშტებს
გვიღერებდნენ და რაღაცას მოგვძახო-
დნენ ბრაზმორეულად. სიტყვა არ მე-
სმოდა, მაგრამ, ცხადია, ქოქოლას გვა-
ყრიდნენ და ათასგვარ უბედურებას ნა-
ტრობდნენ ჩვენთვის... რამდენიმე დღის

წინათ ჩვენც ხომ არაერთხელ ამგვარივე
აჩრდილებს წარმოვადგენდით და წყე-
ვლა-კრულვით გავაცილებდით მატარე-
ბელს, როცა გულცივად ჩაგვევლიდა!

მივქროდით რამდენიმე საათი. რატომ
არ შეიძლებოდა გაჩერება? ვის ნებას
ემორჩილებოდა მემანქანე? მაგრამ იქნებ
არც იყო ის თავის ადგილზე და ორთქლ-
მავალი უპატრონოდ იყო მიშვებული?
უეცრად მანქანის საყვირის ხმა გა-
ისმა. ნაწყვეტ-ნაწყვეტი, საგანგაშო. დი-
დი ხანია აღარ გავგეგონა ეს ხმა და ამ
მოულოდნელობამ შემაკროთ.

მატარებელმა სვლა შეანელა და მალე
კიდევაც გაჩერდა. ფანჯრიდან რომ გა-
დავიხედე, შორიახლოს პატარა ბაქანი
მოვლანდე. ჩვენსკენ ყვირილით, შეძახი-
ლით, მოეშურებოდა გაშმაგებული ბრბო-
უიარაღო სალდათები, ქალები, მამაკა-
ცები კალაუბივით შემოესივნენ ვაგო-
ნებს, არ უთმობდნენ ერთმანეთს და იე-
რიშით ასკვებოდნენ კიბეებს.

ჩვენს კუბეს ზურგზე ტომრებმოკი-
დებული რამდენიმე ქალი მოადგა.

— ერთი ამათ შეხედეთ! — თვალეში
დაგვიბრიალა შუახნის ასმამმა დედაკა-
ცმა. — ისე გაწოლალან, გეგონება თა-
ვის სახლში არიანო! აბა, მიიწ-მოიწიეთ!
სამნი ყოფილხართ და ერთი ტახტიც
დიდია თქვენთვის!

მათთან კამათა და გაძლიანება უსა-
რგებლო და სახიფათოც იყო. კორილო-
რში გამბოროტებული ხალხი იღვა და
ბრაზმორეული ყოყინი ისმოდა. სხვა
გამოსავალი არ იყო, ოთხი დედაკაცო შე-
მოვეშვი, კარი ჩაკეტე და გადაწყვიტე
როგორმე სიამტკილობით შევთანხმე-
ბულიყავი მათთან.

— აქ ავადმყოფი წევს, მისი გარყე-
ვაც არ შეიძლება, — შევეცადე ნამუ-
სზე შემეგდო ისინი. — ორი ზედა დასა-
წოლი საკმარისი იქნება თქვენთვის,
ბარგსაც იქ უფრო იმედინად იკულებთ.
ქვედა ადგილი კი ჩვენი იყოს, — ვანი-
შნე კირაზე. — ავადმყოფს უნდა მივხე-
დოთ...

— ავადმყოფი შინ უნდა იწვეს! ახლა
ის დრო არ არის, რომ იხეტიალოს! —

აბუზღუნდა ერთი, მაგრამ, ბედად, სხვები არ აყენენ, შეჰყარეს ზევით ტომრები და თვითონაც აცოცდნენ.

დალაგდნენ თუ არა, ქაქანი მორთეს: — ის წყეულიც აპირებდა შეუჩერებლად ჩაველო, მაგრამ, მოგეცა ლხენა, ვაიძულეთ!

— ამოდენა ხალხი ლიანდაგზე რომ არ გადაედგომოდით, ახლაც ბაქანზე ვეგდებოდით. აღამიანი არ ეცოდებათ ძაღლის შეილებს!

— არმავირში რომ არ გააჩეროს?

— დედიმისისამ, გაბედოს თუ ბიჭია! ორთქლშავალზე თოფიანები მიუყენეს!

— სხვას არაფერს დავეძებ, წითლები მანაც არ დაგვხვდებოდნენ იქ... — ვაციებელი ბოზი ხმით ჩაილაპარაკა რომელიცაა.

— აი დარდი! — ჩაიდუღლუნა მეორემ. — გინდ წითლები იყვნენ, გინდ ყვითლები, ჩემთან რა ხელი აქვთ? რომელი ბურეუა მე ვარ! ყიდვა-გაყიდვის უფლებას კი ვერაინ წამართმევს. არ არის ასეთი კანონი!

დიღხანს ანგარიშობდნენ რალაცას, იდავეს, აგერ როგორღაც დაწყნარდნენ და ზერინი ამოუშვეს.

დილით ისევ სადღაც მინდორში ვიდექით. მზიანი იყო, მაგრამ მისი ნათელი მოწყენილი მეჩვენა. შორს, ცის დასავალზე, მოვლანდემ მთების გრეხილი და მალლა აზიდული დათოვლილი ორწვერი. თითქოს იალბუზი უნდა ყოფილიყო. სხვა დროს მისი შეხედვა, ალბათ, სიხარულს მომგვრიდა, მაგრამ ახლა გულგროლად შევევლე თვალი. აღარაფერი მახარებდა მეგობრის მდგომარეობით შეშფოთებულს. ის აღარ ბორჯავდა, აღარც ბოდავდა. ცნობამიხილი ეგდო და ამ ქვეყნიურის არა ესმოდა რა. მეექვსეობდა, რომ ცოცხალს მოვიყვანდი რომელიმე ქალაქამდი და იქ სამკურნალოდ მოვათავსებდი.

კუპეში შეხიზნულ დედაკაცებს ვუმალავდით გურიას ნამდვილ მდგომარეობას, მაგრამ ისინი არც თუ უგულონი აღმოჩნდნენ. როგორც კი შენიშნეს, რომ ავადმყოფი წუხანდელზე უარესად

იყო, ხმა ჩაკმინდეს და შეეცადნენ ჩვენც არ შევეწუხებოთ რაიმეთი.

საოცრად გრძელი დღე იყო გაუთვებელი, უსასრულო. გულისგამწყვალბელი სიმძიმით მიზოზინობდა საათის ისარი.

კირა არ მცილდებოდა და ჩემს გამხნეებას ცდილობდა.

— გაუძლებს... აი, ნახავთ, გაუძლებს... — მეტყოდა ხოლმე ჩუმად. — ოღონდ მატარებელი მალე წავიდეს... შორს აღარ ვართ მინერალურ წყლებიდან, იქ კი...

მაიმედებდა, მაგრამ მის სახეზე მხოლოდ უგუნებობას ვკითხულობდი. შევხედავდი თუ არა, გავიფიქრებდი, რომ შინს სწორედ ასეთი ლურჯი ფერი უნდა ჰქონოდა.

ჩემთვის მოულოდნელად ბინდი დაეშვა, თითქოს შეცდომით და უდროოდ. ბნელი თანდათან გაძლიერდა, გაუჩინარდა მინდორი, მთების გრეხილი, ცადედაკაცები ისევ აღოლდნენ ზედა თაროზე, იჩურჩულეს, იჩურჩულეს და ჩაჩუმდნენ.

მითვლემილი ვიყავი, როცა უეცრად ვილაცას ხელის შეხებამ გამომაფხიზლა.

— მოდით, ნახეთ... — კირას ჩუმი, ათრთოლებული ხმა გავიგონე. — ასე მგონია, რომ... აღარ მესმის მისი სუნთქვა...

ასანთს გავკარი და გურიას დავხედეთვალები ფართოდ გახელილი ჰქონდა. ისინი თითქოს რალაც ძალიან საკვირველს და საოცარს მიშტერებოდნენ. ჩავძახებ ერთხელ, მეორედ, მაგრამ ამოდ.

მატარებელი ნაშუალამევს დაიძრა. ფანჯრიდან ვხედავდი როგორ გაკვეთავდა ხოლმე ღამეს შორეული ცილი. რამდენიმე წამით გამოაჩენდა ველს და როგორც კი ჩაქრებოდა, ისევ თვალშეუვალი ბნელეთი ჩამოწვებოდა და წაშლიდა სივრცეს. გიჟური სისწრაფით მივქროდით და მეჩვენებოდა, რომ სწორედ იმ ადგილისაკენ, სადაც წითლად გაივლებდა. მეზობელ კუპედან ზოგჯერ შეძახილი და მთვრალი სიმღერა შეერეოდა ბორბლების რახარას.

კირას ხმა მომესმა და მის გვერდით ჩამოვჯექი. მატარებლის ჩქარი სვლა გვაქანებდა და, სიბნელეს შეჩვეული, ვხედავდი როგორ ირყეოდა გურიას სხეულიც.

— გადაათარეთ ზეწარი, — მთხოვა კირამ. — ასე მგონია, ცახცახებს... არ ვიცი რატომ, ძალიან მეშინია... და რატომღაც მის მაგივრადაც მეშინია...

გაჩუმდა და მერე ისევ ათრთოლებულად:

— როგორ მოხდა, როგორ გამოგვჩინა ის წუთი?

უფრო ახლო მოიწია. ჩემს სახეზე მის თბილ სუნთქვას ვგრძნობდი.

კირა კიდევ რაღაცას მეკითხებოდა, მაგრამ პასუხის თავი არ მქონდა. მიმიხვდა და გაჩუმდა.

დიდხანს ვისხედით მდუმარედ, მაგრამ ვგრძნობდი, რომ აფორიაქებული იყო და ლაპარაკი უნდოდა.

— თუ აღარსად ვაჩერდით, მალე თქვენს სადგურზე ვიქნებით, — ვუთხარი ბოლოს უფრო იმისათვის, რომ სხვა რაიმეზე გადამეტანა მისი ფიქრი. — ახლა კი თქვენთვის მოსვენებაა საქმრო... ეცადეთ დაიძინოთ...

— ჰო, აგრე აჯობებს... ხვალ კი იქ ვიქნებით... გათენდება და მივალთ... — თითქოს გამოცოცხლდა კირა და, ის იყო ადგომა დავაპირე, უეცრად მომხვია ხელები და ტუჩებზე ხარბად დამეწაფა...

გათენებისა ზედა საწოლებიდან ჩამოიკრიფნენ დედაკაცები, ტომრები აიკიდეს და კუპედან გავიდნენ.

— ჩვენ უკვე მივედით, — თქვა ბოხნიანმა, რომელიც ბოლოს ჩამორ-

ჩა.— როგორაა თქვენი ავადმყოფი? აღარ შფოთავს?

— დამშვიდდა... — მოკლედ მოუხსენებე.


— ო, ეგ კარგია... არა უშავს რა, კუბუკია, შინ რომ მივა, სულ კარგად იქნება. კეთილ გზას გისურვებ. შენი მეუღლე მომიკითხე... — კირას გადახედა, რომელსაც ჩემს მკლავზე თავი ედო და ღრმა ძილში იყო.

კირას მინერალური წყლების სადგურზე დავცილდი. ერთმანეთს მისამართები მივეციით და დავემშვიდობეთ იმ იმედით, რომ შემოდგომაზე პეტროგრადში შევხვდებოდით.

ჩვენი ვარაუდით, ორიოდე თვით ვშორდებოდით, მაგრამ კირას ეს მცირე დროც დაუსრულებელი მიაჩნდა და ნაღვლიანი იყო. მატარებელი რომ დაიძრა, კიდევ დიდხანს იდგა პერონზე და ჩემსკენ იყურებოდა. რამდენიმე წუთს ნათლად ვხედავდი მის სახეს, მერე დარჩა მხოლოდ კაბის ცისფერი ლანდი, თანდათან ლანდმაც დაკარგა ფერი, კიდევ რაღაც სამიოდე წუთი და გადნა სივრცეში.

არა, ამის მეტად კირა აღარ მინახავს. შემოდგომაზე გზები ჩაიკეტა და ჩრდილოეთში წასვლა მხოლოდ სამი წლის შემდეგ შეეძელი. ბევრგან მოვიძიე, მაგრამ არსად აღმოჩნდა... შეუძლებელია, ასე უკვალოდ გამქრალიყო. გული მეუბნებოდა, რომ ის წლები საბედისწერო იყო მისთვის.

ახლა კირა ცოცხლობს მხოლოდ ჩემს მოგონებაში, სრულიად უცვლელი, მარად ახალგაზრდად გაჩენილი. ვგრძნობ მის თბილ სუნთქვას ჩემს სახეზე და ლურჯად, მინდორზე გაშლილ ღილილოდ შემომცქერის.



ოზია იოსელიანი

ოქროსფერი და ქორისფერი ქორა

სვანური ნოველა

ოქროსფერი კვიცი რომ გაჩნდა, ყაისნ ათი წლის შესრულდა და მია ერთად ერთი ოცნება ცხენი და თოჯინა იყო. მამამისს, გერგილს, გაბეზრებული ჰქონდა თავი, ყაისნ ცუდად სწავლობდა, გაკვეთილებს აცდენდა, თუ ცხენით გასაქცევ-გამოსაქცევი არ იყო საქმე-ზეც არ იწუხებდა თავს. ცხენზე არ ეძინა თორემ ზოგჯერ ცალ ხელში პური და ყველი ეჭირა და საჭმელსაც ცხენზე ჰამდა. კვიცი რომ დაიბადა გერგილმა იეშმაკა: შვილს პირობა ჩამოართვა, თუ კარგად ისწავლი და ცხენის დევნას თავს დაანებებ, კვიცს გაჩუქებო. მის გაზრდამდე მოთმინებით უნდა ეცადა ყაისნს, მერე კი თვითონ გაეხედნა და ერთი სიტყვით, მისი სრულუფლებიანი ბატონ-პატრონი იქნებოდა.

პატარა, ბზილა, ნუშისფერთვალეა, ყვითელფაფრიანმა კვიცმა მოხიბლა ბიჭი და დათანხმდა. ყაისნის სიტყვა კი სიტყვაა, მერე სანანებლადაც რომ გაუხედეს, ნათქვამს არ გადავა.

დაიწყო ყაისნმა სწავლა და კვიცის მოვლა. კვიცი კვიცია, რაც არ უნდა კარგი მოვლა-პატრონობა ჰქონდეს, მართალია, იზრდება, წელმაგარი და მუხლმაგარი დგება, მაგრამ დროზე ადრე ვერ გახედნი, თუ მისგან მართლა კარგი ცხენი გინდა გამოვიდეს.

კვიცი ოქროსფერი იყო, მაგრამ ყაისნმა ქორა დაარქვა. ქორა მოწონდა ცხენის სახელად ყაისნს. ვის რა ხელი ჰქონდა, რასაც უნდოდა დაარქმევდა, იქვე, მეზობელ სოფლის ბიჭს კიდევ ჰყავდა კვიცი — ქორა. ყაისნს არ ენახა ის კვიცი, მაგრამ სოფელში ბიჭები ამ-

ბობდნენ, ის ქორა სხვა ფერის — ქორისფერიაო.

ყაისნ მთელ თავისუფალ დროს კვიცის მოვლას ანდომებდა. მისთვის თვათონ საგანგებოდ თიბავდა და მაჩუბში ცალკე ინახავდა, ქერის ზედმეტ ულუფას აძლევდა და წყლისთვისაც მარილიან, მკავე წყაროებზე დაჰყავდა. თავისი ჯიბის სავარცხლით უვარცხნიდა ძუას და ფაფარს.

სკოლაში მასწავლებლები აღარ ემდუროდნენ ყაისნს. მამამისს გერგილსაც გადააფიწყდა რომ ცხენზე ჯდომა აუკრძალა შვილს კვიცის საფასურად, მაგრამ თვითონ ყაისნ სხვა ცხენებს არაფრის გულისთვის ახლოს არ ეკარებოდა. ამხედრებულ თანასოფელ ბიჭებს ცერად უბღვერდა და არ აგრძობინებდა რომ გული წყდებოდა...

დიდი ხანია ჩვენს სოფელში ასეთი კვიცი არ გვინახავსო — ამბობდნენ ცხენის მოყვარული სვანები, მაგრამ ყაისნმა ეს უთქმელადაც იცოდა, რომ მისი კვიცისთანა კვიცი მართლა არ იყო.

სკოლაში რომ ბიჭები ცხენებზე სიტყვას ჩამოაგდებდნენ და ერთმანეთს ეცილებოდნენ, არა ჩემი ჯობია და არა ჩემი აჯობებსო, ყაისნის კვიცზე ხმას ვერაფერ ამბოდებდა. ერთი გოჭი თუ იტყვოდა: აი, მეზობელ სოფელში ათქურხას ქორაც კარგი ცხენი დგებაო. ყაისნს ეცინებოდა, ჩემს გასაბრაზებლად ამბობსო და არაფრად ავდებდა. თანაც მგონი გოჭის ნათესავიც იყო ათქურხა.

დრო ნელა მიდიოდა. აგერ ამდენი ხანი გავიდა, მთელი წელიწადი, მაგრამ

ცხენისთვის ერთი წელიწადი არაფერია. ერთი წლის ცხენი ისევ კვიცია, ყველაზე უკეთესი კვიციც კვიცია და ცხენად არ გამოდგება, ზედ შეჯდომა კიდეც, ვინ იცის, რამდენხანს არ შეიძლება.

სხვა გზა არ იყო და ყაისნიც მოთმინებით უძღვოდა. ელოდა, რომ კიდეც გავიდოდა ერთი წელი, მერე კიდე ერთი. სამი წლის ცხენი შეიძლება გახედნო, მაგრამ ყაისი კიდეც ერთსაც მოიცილის და ისე რომ გახდება, როცა ზურგზე ბუზის დაჯდომას იუკადრიოსებს, აი, მაშინ გახედნის. კარგმა ცხენმა ერთ კვირაში უნდა აიყაროს ნალები ფეხიდან, ქორა ლაგამს თივასავით უნდა ჰკამდეს და გზაზე ცხენი რომ გადაელობოს გზა არ უნდა გაიმრუდოს, ზედ უნდა გადაეცლოსო — ფიქრობდა ბიჭუნებებში.

აი, რას უცდის ყაისი. ასეთი ცხენი კი ღირს ცდად და ლოდინად.

ქორა სამი წლის რომ გახდა ყველას უკვირდა, ასეთი ცხენის უხედარი ყოლა რა ჭკუააო, ამას რომ კიდეც აცალო მერე ზედ ეშმაკს თუ შესვამ თორემ ადამიანი ველარ დაიმორჩილებსო.

ყაისის გუნებაში ეციენებოდა და მამის რჩევასაც „დროა გაუხედნოთო“ ყურს არ უგდებდა. იმ წელს არაფერი და მეორე წლის ზაფხულს, არდადეგების დროს დიდი წვალეებით ამოსდო აღვირი ქორას. ცხენმა მართლა კინაღამ ფეტვივით დახრა ცერის სიმსხო რკინა და ენგურს ვალმა წაიყვანა. კარტოფილისა და პურის ნათესებს ვაცდა და მალლა, სათიბებს აუყვა. სოფლის ბიჭები გაფაციცებით აღევნებდნენ აქედან თვალყურს, მაგრამ ყაისი სულ მალლა მალლა ავიდა ვაშლილ სათიბებში და მერე დაეკარგათ თვალიდან.

იმ დღეს თვალით არ უნახავთ. გვიან მოსულიყო და ცხენი ისევ ხელით მოეყვანა, სოფლის შემოსასვლელში დაება ბალახზე. ალბათ მაგარი დაეყვილი იყო და ვადმოვარდნისას, რომ დილით ისე ადრე გაპარულიყო, სახლშიაც ვერ გაეგოთ. წაეყვანა ცხენი და წასულიყო.

ერთ კვირაზე მეტი იარა ასე.

ერთ საღამოს შემოვარდა მალი ჭენებით, სოფლის ბიჭებმა იფიქრეს, ეს ყაისის იქნება, ქორა გაუხედნია და მის სახლს მიაშურეს, მაგრამ, ეტყობოდა, ჯერ კიდევ გაუხედნელი ქორა ისევ ვერ შეეცავებინა, ძლივს მოეკრათ თვალი სოფლის მეორე ბოლოში. იცადეს, იცადეს, იარეს იმ მხარეს, მაგრამ ისე დაღამდა, არ უნახავთ ყაისი.

საღამოს ისევ გვიან დაბრუნებულა ყაისი და სოფლის ბიჭთაგანი არავინ შეხვედრია.

იმვე ღამეს გერგილი ჩამოვიდა მთის ფერმიდან და უჩვეულო ამბავი ჩამოიტანა. კოლექტივს ორი საუკეთესო ცხენი დაკარგვიაო და ამბავი კანტორაში წაიღო. მოპარულაო, ვადაპრით არ ამბობდნენ, მაგრამ საღამოს იქვე, ფერმასთან ჰყოლიათ; დილითაც ყველა იქვე ყოფილა და ორი ცხენი რემას რატომ უნდა მოწყვეტოდაო, თანაც რაღა ამორჩეული ცხენები დაიკარგაო. ის კი არა და შეზობელ სოფელში ბარე სამი ცხენი არ ჩანს კარგა ხანიაო.

ქურდობა იმდენად იშვიათია სვანეთში, არავის დაუჯერებია. ეტყობა სადმე გაებნათ და ამ დღეებში გამოჩნდებო, რადგან ცხენები ზოგჯერ თევობით იკარგება ამდენ მთებსა და ხევებში, მაგრამ მოპარვით არავის მოუპარავსო.

მეორე დილით ყაისის ოქროსფერი ქორა იქ აღარ დახვედრია, სადაც დატოვა. იფიქრა აუშვიაო, მაგრამ კარგად ახსოვდა, რომ წუხელი საგულდაგულოდ დააბა. ისიც კი ახსოვდა, რამდენი კვანძი გამოსკვნა. ეტყობოდა მანაც აეშვა. კოლექტივის ყანებისაკენ გაიქცა, მიიარ-მოიარა, დაბრუნდა, არ ჩანდა, ხელი მოიჩრდილა და ახლა შორს დიწყო ყურება.

ენგურს ვალმა ვაჭიმულ სათიბებში ცხენიანი შენიშნა ვილაც. კისრის ტეხით ჩამორბოდა ქვევით. ყურადღება არ მიაქცია, ცხენის ფერთაც არ დაინტერესებულა, მარტო ცხენი რომ ყოფილიყო კი, და მხედარი? ვინ იქნებოდა ისეთი მხედარი, რომ ქორას ზურგზე დამაგრებულყო.

ცხენოსანი პირდაპირ ენგურის ვიწ-

რო ხილზე შემოვარდა და სოფლისავე ამოუყვია. სოფელში შემოსულმა თავაყვეტილი ჭენებით შეუხვ-შემოუხვია კოშკებში და ძაღლების ყეფაში დაიკარგა.

დიღხანს არ გაუვლია, რომ ჩოჩქოლი ატყდა. ცხენოსანი უკან გამობრუნდა და ისევ ენგურისაკენ დაეშვა. ყანისნი გაიქცა, რომ გზა გადაეკრა, მაგრამ წინაწინვე იცოდა, ვერ მიუსწრებდა. ცხენოსანს უბელო ცხენით მისდევდა ყანისნის მგზობელი გუალი, გუალის უკან მამამისი იცნო, გერგილი. ეტყობოდა ფერმაში ჭერ კიდევ არ წასულიყო და ამ ამბავმა სახლში მიუსწრო. მათ უკან ბრიგადირი ანდრო მოაქვენებდა კულგამოსკენილ კვიციან ცხენს.

ცხენოსნებმა რომ ჩაიჭროლეს, ყანის მერე გავიდა ამტვერებულ გზაზე და გაქცეულებს თვალი გააყოლა. სოფლიდან ძაღლების ყეფა და ბავშვების ყვირილი მოჰყვია მტერიან გზას. ბავშვებში უფროსებიც ერია.

— ყანის! — დაიძახეს გოცებულმა ბიჭებმა და თვალებს არ დაუჭერეს, როცა გზაზე უქმად დამდგარი ყანისნი შენიშნეს.

— რა იყო!

— შენი ცხენი!

— რა ჩემი ცხენი?!

— შენი ქორა!

— რა მოუვიდა ქორას!

არავინ არაფერი თქვა.

ყანისმა სათითაოდ ჩახედა თვალებში ყველას.

— ამოიღეთ ხმა!

მანც არაფერი არ თქვეს.

— გადაიჩეხა?

— არა, ყანის.

— აბა... აბა?

რა უნდა მოსვლოდა მეტი ქორას, ყანისმა ვერ მოისაზრა.

ბავშვებს ყანისნის კლასის ამხანაგი, გოჯი გამოეყო.

— ყანის, შენ გახედნე ქორა?

— შენ ისა თქვი, რა მოუვიდა.

— ხომ მოიპარა ვილაყამ.

— მოიპარა?!

— აი, ახლა წავიდა მდევარი.

ყანისს გაეცინა.

— ცხენს თავის ფეხები იპარავს, გოჯი!

— ჰოდა, ქორაც თავისმა ფეხებმა მოიპარა.

— ვინმე ხომ უნდა შეჯდეს.

— არ ვიცი ვინ შეჯდა, — თავი გადაიქნია გოჯიმ — მარა ნუ გეშინია, — უცებ გაახსენდა მას, — შორს ვერ გაუსწრია, გზაში შეხვედრიან, შენი ცხენი უცენიათ, შორიდან შენ ჰგონებიხართ, ალმაცვირმა თქვა.

— ალმაცვირი იყო ცხენით რომ მოვარდა?

— ალმაცვირი იყო, ბეთქილი იქ დარჩენილა.

— სად იქ?

— სადაც უნახავთ, თვალს ადევნებს, არ გაეპარათ.

ყანისმა მანც ვერ გაიგო.

— ქორაზე იქდა ვინმე?

— ქურდი.

ყანისს ისე ეწყინა, თითქოს გოჯის თავში რალაც მძიმე დაერთყას და სახლისაკენ გადადგა ნაბიჯი.

— ყანის, სათიბებს ზევით ხევის ბატარა ტყისათვის შეუფარებია თავი ქურდს, ახლა ზევიდან დაუვლიან, რომ მალლა არ წავიდეს, აქეთ თუ წამოვიდა, ენგურთან მობიწყვდევენ.

ყანისს ხმა აღარ ამოუღია. სახლისაკენ წავიდა. ჭერ ნელა გადადგა რამოდენიმე ნაბიჯი, მერე გაიქცა, სახლში რომ მივარდა სული ეხუთებოდა, ნარბენს. თოფი გადაიგდო მხარზე და სავაზნეში ის ვაზნები ამოარჩია, რომლებიც ერთად-ერთი ეაკანის ტყვიით იყო დატენილი. მუქში დაიჭირა პირამდე ჭეჩით ამოტენილი ყვითელი თითბრის მასრები და უკან გამოიქცა.

გზაზე ვილაც შეხვდა.

— ყანის, ქორა მოგპარეს?

ყანისმა ვერაფერი უპასუხა, ვის უნდა მოეპარა ქორა და თუ მართლა მოიპარა ვინმემ, აწი სულერთი იყო, ველარავინ ველარ დაიქერდა ქურდს. რომელი მდევარი დაეწყოდა ქორას, ან რომელი მსროლელი მიაწვდენდა ტყვის მის ზურგზე მოქცეულს.

ყაისნი რომ სოფლიდან გავიდა, იქ აღარავინ დახვედრია. მთელი სოფელი ენგურამდე ჩასულიყო. გაღმა შორს, შორს, სათიბებში გაფაციცებით ადევნებდნენ თვალს. გოჯი ბიჭებში იღვა და რალაცაზე გაცხარებული დაობდა, თან თვალს არ აშორებდა სათიბების თავს, სადაც ყველა მოუთმენლად მოელოდა რალაც საოცარის გამოჩენას.

პირშებუმბლული ბიჭები გულში მჭილს იცემდნენ, ცხენები რომ მთაში ჰყავდათ, თორემ ასე უქმად რა დააყენებდათ.

გოჯიმ შორიდანვე შენიშნა მოახლოებული, მხარზე თოფგადადებული ყაისნი და ახალი ამბავი დაახვედრა: მეზობელი სოფლელები თურმე თავიანთ ცხენებს ეტებდნენ, იქ ბეთქილს გადაყრიან, ახლა ისინიც მიეშველებიან და ნუ გეშინია, შენს ქორას ვერავინ წაიყვანსო.

— ჰო, — მოაგონდა ისევ გოჯის — ათმურზაც იმ მღვერებში ყოფილა თავისი ქორათითო.

— მერე?

— მერე და ქორა კარგი ცხენია, ქუოლი ვერ გაასწრებს.

ყაისნს გაეცინა.

— ქურდი ვერ გაასწრებს? — ჩაკითხა.

— სად გაასწრებს, შენ ქორა არ გინახავს?

— არა, — თავი გაიქნია ყაისნმა.

ნანახი ჰყავდა. მაგრამ ეს სოფელში არავინ იცოდა, ის კი არა და, ორჯერ ნახა ყაისნმა ქორა. ფეხით გადავიდა მარტოდ მარტო იმ სოფელს, ზევიდან ტყე-ტყე მოუარა და ისე ნახა. თავის ოქროსფერ ქორასთან არაფერი მოეჩვენა, მით უმეტეს, პირველად რომ ნახა. გუნებაში თქვა: ჩემს ცხენს არც ვაუჯობებდიო.

სილამაზით ხომ ოქროსფერ ქორასთან სახსენებელიც არ იყო ქორისფერი.

— შენ ნუ გეშინიაო, — ამშვილებდა გოჯი, — შენ ათმურზას ქორა არ გინახავს...

— არაფრის არ მეშინია, — ჩაიღრუნა ყაისნმა და ბიჭებს გაშორდა.

ახლა მარტო იმაზე ფიქრობდა, რო-

გორ მოახერხა ქურდმა ქორაზე ამხედრება, თითქოს საღდაც, გულიც გაუტყდა და საყვარელ ცხენზე, მაგრამ ქურდი დღე არ ჯეროდა, არ უნდოდა დაეჭერებინა და არ ჯეროდა.

ბიჭები ისევ დაობდნენ, მერე ერთბაშად იღრიალეს და ენგურის პირს ზევით მიაშურეს.

სათიბების თავში წერტილივით გამოჩნდა ცხენოსანი და დაბნეულად მიხაზ-მოხაზა მინდორი, მერე მოტრიალდა და ისე, რომ მდინარეს არ მიახლოვებია, აღმოსავლეთით გაიქრა.

აქედან ძნელი დასადგენი იყო, მაგრამ ყველას რატომღაც ქურდი ის ეგონა. ბიჭები უსტვენდნენ და ყიფინას ცემდნენ, მაგრამ იქამდე ამ ხმებს რა მიაწვდენდა.

ცხენი ისევ თვალმიუწვდენი სისწრაფით გარბოდა. ყაისნი მიხვდა რომ ბიჭები არ შემცდარან, რომ ეს ნამდვილად ქორა იყო, და გუნებაში საღდაც გაეხარდა კიდეც, მაგრამ სავალალო ეს იყო, რომ ამის მეტად ვეღარ ნახავდა მისი ცხენის ჰენებას, ის იყო თვალსაყ მიეფარებოდა და მშვიდობით...

მეტი რომ ვერაფერი მოახერხა, თოფზე იტაცა ხელი, გადახსნა და სასწრაფოდ მუჭში ჰერით გაოფლიანებული ვახანები ჩაღო, მაგრამ ჩახმახი არც შეუყენებია, აქედან თოფი ხმასაც ვერ მიაწვდენდა სათიბების თავამდე.

იქ, სადაც პირველად ცხენოსანი გამოჩნდა, ახლა ერთმანეთის მოშორებით ორი ცხენოსანი ამოვიდა და სათიბების თავში დაიწყეს ჰენება, ალბათ, გადასასვლელის ჩაყეტვის მიზნით, თუმცა ამას რალა აზრი ჰქონდა, როცა ავახაკმა თითქმის მთლად გადაიბრინა აღმოსავლეთით. მაგრამ არა, ყაისნმა იცნო თავისი ქორა როგორ არ ნებდებოდა მზედარს, რომელიც ისევ ცდილობდა მის შეეკავებას. რა მოხდა რომ პირდაპირ არ განავროო გზა?

ცხენი თავქვე მოტრიალდა ენგური-საკენ.

ბიჭები გამაყრუებლად უსტვენდნენ. იმ ადგილზე, სადაც ქორა მოტრიალ-

და, მთის იქიდან ცხენოსანი ამოიჭრა და ისიც თავქვე დაეშვა.

— ათმურზა, ათმურზა! — კიოდა გოჯი.

რამდენად მართალი იყო გოჯი, ყანსნმა ეს არ იცოდა, მაგრამ მღევარმა მართლაც გამალეხული მოქროდა, რომ ავაზაკი ხელიდან არ გასხლტომოდა. თუ აქეთ, ხიდის მხარეზე წამოვიდოდა, ზევით გასაქცევი ჩაკეტილი იყო, საიდანაც უკვე ექვსი ცხენოსანი მოიწევდა და რკალს ავიწროებდა.

ყანსნმა იცნო კიდეც თავისი ოქროსფერი ცხენი, რომელიც ცეცხლის ბაზივით მოყვებოდა სათიბს, მოშორებით მოსდევდა ქორისფერი, უფრო გვერდით მოყვებოდა იმ ვარაუდით, რომ თუ ისევ აღმოსავლეთით დააპირებდა მიბრუნებას, ოქროსფერს ვერ გაესწრო.

— დაეწევა, დაეწევა! — ყვიროდა გოჯი და, ალბათ, ვიღაც არ ეთანხმებოდა რომ თავისას არ იშლიდა. — ხედავ? ხედავ, უახლოვდება!

ყანსნ ხედავდა, რომ გოჯი მართალი იყო. ცხენებს შორის მანძილი მართლა მოკლდებოდა.

ყანსნს სიბრაზისაგან ლოყები აეწვა და თოფის კონდახს ხელი ისე მოუჭკირა, თითებში ძვლები ეტკინა.

მიხვდა, დროზე მიხვდა ყანსნ, რომ დაბნეული ავაზაკი ნამდვილ მხედრობას ვერ უწევდა, ვერ ეხმარებოდა და ვერ აგულიანებდა.

ქორისფერს არც აჩნდა, ისე იყო ზედ გაკრული მხედარი და ყანსნს თითქოს მისი ყიფინაც კი ესმოდა.

ავაზაკს რომ ასე ევლო, ენგურს მოაწყვდებოდა და მერე სხვა გზა არ რჩებოდა: ან აღუღებულ ენგურში უნდა გადაშვებულყო, ან ენგურზე არანაკლებ აბოშოქრებულ ხალხს ჩავარდნოდა ხელში. ეტყობოდა ეს საფრთხე დროზე იგრძნო, რომ ცხენს დასწია სადავე, დასავლეთით მიაბრუნა და დიდზე ჩამოიტოვა პირდაპირ წამოსული მღევარი. ზევიდან წამოსული ექვსი ცხენის რკალი, ეტყობოდა, არად ჩააგდო ათმურზასთან შედარებით და პირ-

დაპირ სათიბების შუა წელზე დასავლეთით გაიჭრა, მაგრამ ახლად დასავლეთით საითაც და რისთვისაც მიდიოდა და ოქროსფერ ცხენს ზურგზე შავ ლაქად გადაეკრა. მერე ყანსნს სულ გადაავიწყდა, რომ ზედ ავაზაკი იჭდა და ისიც, რომ ცხენი მოპარული იყო. კვალში ქორისფერი ჩაუდგა. ყანსნს ცეცხლი აენტო თვალებში, კბილი კბილზე დაეჭირა, თითქოს თვითონ იჭდა თავის ქორაზე და უკან ვიღაც სხვა ქორა მოსდევდა, რომ პირველობა წაერთმია.

— მიდი, ათმურზა, უუუ! — კიოდა გოჯი და ორივე ხელით გამაყრუებლად უსტვენდა.

უსტვენდნენ სხვებიც, წიოდნენ გოგონები და ენგურის ღრიალში ყურთასმენა აღარ იყო.

ოქროსფერმა სისწრაფე აიღო, დასავლეთით ოდნავ აღმა წავიდა სწორ ბაზად, ქორისფერი მალე ჩაუდგა კვალში, მანძილი საკმაო იყო, მაგრამ მონდომებით, გამალეხით მიყვებოდა, დაეწევა ელო გუნებაში, პირველ წუთებში იწყო კიდევაც შემოკლება მანძილმა და სანამ ხიდის გასწვრივ მოვიდოდა ოქროსფერი, მანძილი შესამჩნევად დამოკლდა მათ შორის.

— ათმურზაა! — ყელჩახლეჩილი ყვიროდა გოჯი.

— მიდი!

— მიდი!

ჭკიოდა დიდი და პატარა და ქორისფერს აგულიანებდნენ.

— მიდი! — იღრიალა ყანსნამაც — მიდი, ქორა!

ეს ხმა გაიგონეს იქ მყოფებმაც, მაგრამ არავის აზრად არ მოსვლია, რომ ყანსნ თავის ქორას, ოქროსფერ ქორას აგულიანებდა.

ზევიდან მღვერები ჩამორბოდნენ. წინა ქორამ გეზი იცვალა და ოდნავ ქვევით წავიდა, მოიტოვა ქორისფერი, გადიდდა მანძილი.

— ეუ!

— ათმურზაა! — აყვირდნენ ბიჭება ენგურის პირზე.

— არ გაუშვა, ათმურზა! — ლამის ენა ამოაყოლა ხმას გოჯიმ.

ყაისნ ჩუმად იღგა და ახლა მის გუ-
ნებაში იმეორებდა:

— მილი, მილი ქორა!

ქორისფერმა ისევ გამართა გეზი, მაგ-
რამ ყაისნმა იცოდა, მის ქორას აწი ვე-
ლარავითარი ძალა ვერ დაეწეოდა.

— ათმურხაა!

ცხენები დაპატარავდნენ. უცებ ჭერ
წინა დაიკარგა თვალისა, მერე უყანა.

ექვს მღვეართაგან ერთხანს სდიეს
იქეთა მხარეს, მერე ჭერ ბრიგადირი
მობრუნდა კვიციანი ცხენით, მერე კი-
დევ ორი შეჩერდა, იქ, სადაც ცხენები
თვალს მიეფარნენ, სამიც იქ დადგა და
იქედან აღევნებდნენ, ალბათ, თვალს
გახელებულ ცხენებს.

უცებ ხმაური და ყაყანი მიწყდა და
ყაისნმა გაიგონა ვილაციის სინანულით
ნათქვამი, «ვერ დაეწევა».

ყაისნმა გოჯის გახედა, რას იტყოდა
გოჯი. ახლა, როცა ცხენები თვალს მი-
ეფარნენ, გრძნობდა ტკივილს, რომც-
ლიც ცხენის დაკარგვით იყო გამოწვე-
ული, მაგრამ მაინც არაფრით არ უნ-
დოდა გოჯის რომ ეთქვა: «დაეწევაო».

მაგრამ გოჯი არაფერს ამბობდა.

ყაისნ უცებ გაეცალა ხალხს, ხილისა-
კენ გაჰყვა ენგურის პირს და თვალე-
ში ცრემლები მოაწეა. ძნელია, როცა
შენს გაზრდილ ცხენს დაკარგავ, მით-
უმეტეს, თუ ის ყველაზე კარგი ცხენია.
რომ დაწეოდა ქორისფერი?

— ვერ დაეწეოდა! — ჯიუტად თქვა
თავისთვის ბიჭმა და აჭაფებულ ენგურ-
ზე გადამდგარ ლოდს მიეკრა, მიემზო
და უფრო თამამად აჭეთინდა.

ხილს ქვეშ ერთი-ორად ვიწრო იყო
კალაპოტი, წყალი მეტად ხმაურობდა,
მისი ხმამაღალი ტირილი არავის ესმო-
და.

მობრუნებული მღვერები ხილს იქი-
თა მხრიდან უახლოვდებოდნენ, არაფე-
რი იმედი არ იყო, დაიკარგა ქორა, ყვე-
ლაზე კარგი ცხენი, ყაისნის ხელათ
გაზრდილი საყვარელი ქორა.

ასე კარგი რომ არ ყოფილიყო — არ
დაიკარგებოდა. მისი დაკარგვის მიზეზი
მისი სიკეთე იყო.

ცული ცხენები არ იკარგებიან.

ყაისნს უხაროდა, რომ კარგი ცხენი
ჰყავდა და ტიროდა რომ კარგი ცხენი
ზე კარგი ცხენი დაკარგა. უარყოფდა
არ ყოფილიყო, არ დაიკარგებოდა, ან
კიდევ რომ დაკარგოდა — არ იტირებ-
და. ყაისნს არ უყვარდა ტირილი, არა-
სოდეს არ ტიროდა.

ახლა ტიროდა.

უყან მობრუნებული მღვერები ხილს
მოაღვნენ.

ყაისნმა უყან გაბრუნება დააპირა, არ
უნდოდა მამამისს ენახა ატირებული.

ზევით ვილაც აყვირდა გაუბედავად:
გოჯის ხმას გავდა, მაგრამ ენგურის
ხმაურში ვერ გააჩნია.

— აუუუ!

კი, გოჯი იყო.

მერე ვილაც მიემატა. ისტინეს ღა
ისევ აყვირდა გოჯი, მაგრამ რა ხმით,
ზრიალდა ხალხი, აქეთ წამოვიდა, მერე
გვერდით გაიქცა, ენგურის გასწვრივ.

ხილს მომდგარი ცხენოსნები შეჩერ-
დნენ.

დაეწია დაეწევა, თუ დაეწიოსო,
ყვიროდა გოჯი და ყაისნს არ ესმოდა
რა აყვირებდა ასე უღმერთოდ.

სულ ახლოს გამოურბინეს ყაისნს და
ახლა აღარავის აღარ ჰქონდა მისი დარ-
ღი.

ცხენოსნები უყან შებრუნდნენ, ცო-
ტაზე წაიწიეს და შეჩერდნენ. იმათაც
ყვირილი დაიწყეს.

ყაისნ ლოდზე ავიდა. გახედა. იქით,
სათიბებში ზომიერი ქენებით მოდიო-
და ოქროსფერი ცხენი, მისი ცხენი ქო-
რა, უყან ქორისფერი მოსდევდა, ოდ-
ნავ ზევით, რომ მაღლა არ გაქცეოდა.

— ქორა! — იყვირა ყაისნმა.

მაგრამ ცხენზე არავინ არ ზის?

არავინ.

წინ გამოუგდია ქორისფერს და მო-
ერეკება.

აი, აქეთ მოყავს.

— ქორა! — თქვა ყაისნმა და იქვე
ჩაქდა, ლოდის თავზე — დაგეწია!

მოახლოებულთ ჭერ ცხენოსნები შე-
ეგებნენ. ყაისნის ცხენი აქეთ მოაღენეს
და ქორისფერს შეუძახეს, მოწონების
ყიენია დასცეს, მერე გვერდით ამოუღ-

გნენ და აქეთ გამოაცილეს, ხიდზე ქალი და კაცი გაცივივდა და იქეთ ნაპირზე დახვდნენ.

წინ გოჯი გარბოდა.

იცნო გოჯი ყაისნმა. გოჯი წინ გარბოდა და ისე ჩაუარა ოქროსფერ ცხენს, ყაისნს თითქოს, არც დაუნახავსო. იქნებ მართლა არ დაუნახავს და ათმურზას რომ ვერ მიწვდა, ქორისფერ ცხენს დრუნჩხე მოეხვია. ცხენი ოდნავ თავს არ ანებებდა და გოჯი არ ეშვებოდა, შუბლზე უნდოდა ეკოცნა.

მერე ყველამ ჩაუარა ოქროსფერს, ვილაცამ ბელტი ესროლა და ხიდისაკენ გამოავდო.


ხიდზე ფრთხილად შემოდგა დაღლილი ცხენი მრგვალ ნაძვის მორზე რომ ფეხი არ დაცდენოდა. შუაზე რომ მოვიდა, მაინც დაუცდა თუ დაუგორდა ფეხქვეშ მოჩი და უკანა ფეხზე შეფორხილდა. წამსვე აისროლა ტანი, გას-

წორდა, მაგრამ უეცრად ივიხვირა თუ დაიქუხა და ავარდა, ავარდა ისე რომ კაცს ეგონებოდა ამ მთებში მოჭედილ ენგურიდან პირდაპირ ზეცაში აპირებსო აფრენას. აისროლა ტანი, პაერში გასწორდა ყალყზე, გადატრიალდა და ზურგით წავიდა ენგურისაკენ.

თოფის და ცხენის ხმაზე მოტრიალებულმა ხალხმა ველარაფერი დაინახა. ცხენი აღარსად იყო. ვილაცამ მდინარეს ჩაიხედა, მერე ყველა წყალს ჩააჩერდა.

ხიდს ზევით ჩაეარდნილი ცხენი გამოიტანა მდინარემ, იქვე ლოდს შეახეთქა, გადაატრიალა და ისევ ჩაიხვია ოქროსფერი მსხვერპლი.

ლოდზე ყაისნ იჭდა თავდაღუნული; მაგრამ ახლა აღარ ტიროდა, თოფის ცალი ლულიდან ამოსული თხელი კვამლი ქარს გაეფანტა.



კაღე გოგონიძე

ღია წერილი იაკონელ მწერალს—ფუკუროს

შენ გამოგავხანა
იაკონიამ,
იაკონიამ—
მხარემ აღუბლებს.
ლალი აკურაში
ფინ გაპოვნია,
ფიცი, მოხიბლულხარ
მისი საუბრებით!


ლალის რომ წითელი
მიძივები უყვარდა,
წინასწარ შეიგრძნე,
მისანი ხომ არ ხარ?!.
გატკობდა, როდესაც
როილს უკრავდა,
გოგონამ მგოსანი
მეგობრად მოგნახა!

ხომ ლამაზია
აკურა ლალისა,
კახეთი მზიური—
ვაზების ქვეყანა?!

ხარ მოტრფილემ
მკვიდრ მიწა-წყალისა,
გახარებს ეს ქელი,
ეს ბალი, ეს ყანა!

ლალი ჯერ ბავშვია,
დარდი აქვს არაფრის
მაგრამ შენს საჭუქრებს
ფაქიზად ინახავს;
და მეტი ხათრი აქვს
ლალისფერ თავსაფრის,
ყელსახვევს ადარებს,
შენც აღბათ გინახავს!

ხომ ძლიერია
პოემა რუსთაველის?
შენ მისმა ტრფილმა
თბილისიც განახა!
მიიღე მასპინძლის
მადლობა გულწრფელი,
მეგობრად გიკულევით,
იხარე, სადაც ხარ!..



პახანეშვილი

ლევო ქიქელიძის ხსოვნას

მწერალთა სახლი, ქვიშხეთის ზეცა,
 მაგრამ აღარ ხარ .. გული მიკედება.
 რა უნდა ვუთხრა შორის წასულ
 მერცხალს,
 მომავალ წელს რომ კვლავ მოფრინდება.

ნეტავ ამ ნიავს რა აცახცახებს,
 ველარც კი ამბობს, რა ბოლმას
 იტყვს,
 რა უნდა ვუთხრა ქვიშხეთის ცაცხვებს,
 გაზაფხულზე რომ გამოშლის კვირტებს.

თითქოს ფიქვები გამდგარიან განზე,
 თავისკენ აღარ მიწვდიან ხელებს,
 თოვლში გახვეულ რა ვუთხრა ვაზებს,
 გაზაფხულზე რომ თვალს გაახელებს.

ქვიშხეთთან ბორგავს მტკვრის ლურჯი
 ტალღა,
 ჩერდება, თითქოს გზას ქარი უჭრის,
 მე ხომ კაცი ვარ, მე რა ვთქვა ახლა,
 როცა სუყველას სიტყვის თემა უჭირს

ისევ დაიწყებს ყვაილი თრთოლას.
 მიწას დაჰფარავს მისი ფიქვები,
 გული დაიწყებდა, რომ აღარ მოხვალ
 და მწერლებს შორის აღარ იქნები.

მზე ისევ ვარდის კალათებს დასცლის.
 ქვიშხეთში დილა როცა დატკბება,
 უკვდავებაში წასული კაცის
 მრავალჯერ მოსვლა მოგვენატრება.

ს ა კ ხ ა ლ წ ლ ო

რა ვთქვა, რითი გაგახაროთ,
 რომელ ვარსკვლავს გული ვტყუორცნო,
 ბულბულის თუ ვარდის ენით
 დღე ახალი მოგილოცოთ!

იქნებ გინდათ, ჩემი სიტყვა
 ვათქმევინო ვგლებს და ნუკრებებს,
 ან იორის იმ ნაზ ლერწანს,
 განთიადს რომ ჰანგებს უქმევს.

წასულ მერცხლებს ვუხმობ უკან,
 ამ თოვლშიც აქ გაჩნდებიან,
 მომიტანენ იმ ტკბილ სიმებს,
 გედს ტბის პირს რომ დაარჩენია.

პირველ ღიმილს გაეუგზავნი,
 პირველ თრთოლვას, პირველ განცდას,
 გუთნებისთვის ნაწრთობ ფოლადს
 და ხნულღებში პურის მარცვალს.

პირველ ტრფობის გაგხსნი წერილს,
 მისი კითხვა არ მიძინელოს,
 აივანზე დადგმულ აკვანს
 ვეტყვი პირველ სადღეგრძელოს.

მამულისთვის დაფრცვც
 ამ ცას, ამ მზეს, ამ შორ ვარსკვლავს,
 ბებია რომ წმინდა ნატვრას
 ხილბანღში გამოონასკევას.

განა ბზარი გაუჩნდება,
 გზას გაიკვლევის სიტყვა სრული,
 მოხდომილ ქვევრთან რომ წარბოხთქვამს
 ანთებული გლეხის გული.

მშობელ დედის, ო, ეს წუთი,
 გულს სიამით აამღერებს,
 როცა ფრთხილად ჩვილს აკვანში
 გოზინაყით დააბერებს.

მართლაც, მიტომ მოჰქუხს წყარო,
შეგრდენი მიტომ ფრთას შლის,
გაიცივითოს ურო გრდემლზე
და ნამგალი ყანის მკაში.

მართლაც, მუხავ ეგ ტოტები
სიერცეებს რიჰ გადასწვდება,
არ გვენახოს კონდახებად
და ლულების გასაწმენდათ.

ქვეყანაზე მიტომ გაეჩნდით,
ქვეყანაზე მიტომ ვცოცხლობთ,
თვალმა თვალი გაახაროს
ბაგემ ბაგე გადაჰკოცნოს.

ალარ ვიცი, როგორ შევძლო
გითხრათ მშობა მჯობზე ^{ჩვეულებული}
ეს გული ხომ ფიალაა, ^{ბიზლიჩოთხა}
აესებული თქვენი ტრფობით.

ნიაგჰარად ჩამოგივლით,
ისე მალა გავშლი აფრებს,
რომ ახალწელს ყველა სახლში
მტრედისავით შემოგაფრენ.

ციდან მთვარეს ჩამოვიღებ,
რომ თქვენს ჰერკვეშ ვარდი ვთვალო
ვაესებ— ძმები გაგიმრავლდეთ!
ვცლი და...

მტერი დაგეცალოთ!



მიკონ ხაჩიანი

ა ლ მ ა რ თ ე ბ ი

ეზოში მარხილი იდგა. ჩაბალახშემო-
ხვეულ კაცს საესე ტომრები მარხილი-
დან დერეფანში ვადაქონდა.

ფატი თამილს აჩქარებდა:

— მოეწვი იმ ოხრად დასარჩენ გაკ-
ვეთილებს, გაბრიელ ბიძიას მოეხმა-
რე...

— მე მოვეხმარები, — თქვა გიომ და
მარხილთან მიიჭრა. დასტაცა ტომარას
ხელი, დერეფანში შეათრია.

ფატიმ უკმაყოფილოდ ჩაიბუზღუნა.
ოთახში შეიჭრა:

— მოეწვი-მეთქი...

თამილი გიოსთან მივიდა, ტომარას
ცალ კიდზე ჩაავლო ხელი...

— გაბრიელ ბიძიას მოეხმარე! — დაი-
ქექა ფატიმ.

— იცი, გოგია მ დამაბარა: თამუნის
მოკითხვა ვადაეცი ჩემგანო, — თქვა გაბ-
რიელ ბიძიამ.

— მადლობა მოახსენეთ, გაბრიელ
ბიძია...

მერე ფატიმ გაბრიელი ცალკე გაიხ-
მო. გიოს ესმოდა, რალაც ფასებსა და
კილოგრამებზე ლაპარაკობდნენ.

— ვინაა ეს გაბრიელ ბიძია? — იკითხა
ჩუმად გიომ.

— დედაჩემის კარგი ნაცნობია, —
ჩურჩულათ თქვა თამილმა, — ხშირად
მოდის ხოლმე ჩვენთან.

— გოგია მ ისიც მთხოვა, თამუნია
ზამთრის არდადეგებზე რომ გვეწვიოს,
ძალიან გამიხარდებო, — შორიდან დაი-
ძახა ბიძია გაბრიელმა და უცნაურად
დაიქყანა.

გიოს რატომღაც არ მოსწონდა მისი
ხმა. ჭროდა თვალები კი ისე დახტოდ-
ნენ. საგნიდან საგანზე, თითქოს საკბი-

ლოს ეძებდნენ და ვერ პოულობდნენ.

ამ დღიდან ფეხი არ შეუდგამს ოთა-
ხების ეზოში.. თამილის საყვედურებს
კი ღუმლით ისმენდა.

სამაგიეროდ შვევით ამოისუნთქა ფა-
ტიმ. მას მერე, რაც გიომ მისი ბიძაშვი-
ლი გალახა, ფატის ჭირივით ეჭავრებო-
და იგი და ჩხუბისთავსა და სოფლის-
დამქცევს ეძახდა.

* * *

მანქანაზე ღვინის კასრები ელაგა.
სულ წინ, გარდიგარდმოდ დალაგებულ
ფიცრებზე მგზავრები მოწყობილი-
ყვნენ. მძლოლი არ ჩანდა. ყველამ იცო-
და: ერთი საათის წინ სასადილოში შე-
ვიდა, მაგრამ დაძახებას ვერ ბედავ-
დნენ. თავები ჩაეკიდათ. ღუმდნენ.
ზოგჯერ რომელიმე მათგანი სასადილოს
კარებისაკენ გაიხედავდა... სხვებიც
რიგრიგობით ასწევდნენ თავებს.

გიოს პატარა ჩემოდანი ქვაფენილზე
დაედგა, ზედ ჩამოძვარა იყო...

ბოლოს გრძელუღვაშამ ჩაახველა.
სხვებმა კარებს მოაცილეს მზერა, მის-
კენ მიიხედეს.

ძარის კუთხეში, ჰალსტუკიანმა ახალ-
გაზრდამ თითქოს დრო იხელთა, თქვა:
— ახლა დათვრება და...

ყველანი მიხედნენ, ვისზეც ამბობდა.
მის წინ მჯდარმა გამხდარმა კაცმა ქვე-
ვიდან ააყოლა მზერა:

— სოვრატმა იცის, რამდენი დალი-
ოს. შეზარხოშებული უკეთაც დაღის ამ
გზებზე... მაგასთან არავის ეშინია...

— შიში რა სახსენებელია. მე შიშზე
არ მითქვამს... განა პირველად მივდი-

ვარ მესტიაში,—თქვა ახალგაზრდამ და პალსტუკი გაისწორა...

—ორ სუფრაგამოცვლილი, მანქანას გვიმბრის კლდეებზე გადაიყვანს, — გოგონას მიუბრუნდა გამხდარი, მერე გრძელწვერას და მასთან მიუყუთულ თავშალშეჭოხვეულ ქალს.

სასადილოდან სოგრატე გამოვიდა. მღეროდა, თან ხელებს იქნევდა.

ყველამ შევებით ამოისუნთქა. ქალმა თავშალი გაისწორა და მოემზადა. გიო ძარაზე ავიდა. ირგვლივ ღვინის სუნი იდგა. ეტყობოდა არავის აწუხებდა ღვინის სუნი, არავინ ჩიოდა ამახე.

სოგრატემა აათუხებუხა მანქანა. მალე სალამოს პირქუშ ბურუსში გახვეული ქალაქი უკან ჩამოიტოვეს.

ქალმა და გრძელწვერა მოხუცმა სამაჯერ გადაიწერეს პირჯვარი.

გამხდარმა ეჭვის თვალით გადახედა ორივეს. თითქოს უნდოდა ეთქვა: რომ რამე მოხდეს, ლოცვა კი არა, ათასი ნამღვილი ღმერთიც ვეღარ ვიშველითო.

„რომ რამე მოხდეს, რომ რამე მოხდეს,“—გაიფიქრა გიომ. რა უნდა მოხდეს, აქი თქვა გამხდარმა—სოგრატთან არავის ეშინიაო. არაფერიც არ მოხდება“.

მერე სახლზე ფიქრებს მიეცა. სამი წელია არ ყოფილა სახლში. მართალია, წერილებს ღებულობდა, მაგრამ სულ სხვაა თანასოფლელთა ნათქვამი. აქ მყოფთაგან არავის იცნობდა, რომ გამოეკითხა დედამამისა და ოთაიშების ცისტერთვალემა თამილას ამბავი. რაც ჯარში წაიყვანეს, მას მერე არაფერი სმენია თამილზე. რამდენჯერმე გადაწყვიტა მიეწერა წერილი, მაგრამ ფატი ახსენდებოდა... ასე გავიდა დღეები, თვეები და სამი წელიც ასე გავიდა...

გაახსენდა გამგზავრების დილა:

ღედა ღელავდა მთელი დღე. მამა ამშვიდებდა: შე კაი ქალო, ომში ხომ არ მიდის, ნუ აუჩუყე ბიჭს გული... სხვა არავინ წასულა, თუ რაშია საქმე.

—შე არ ვეუბნები, ნუ წახვალ-მეთქი, მაგრამ ერთი დღით ხომ არ მიჰყავთ ჩე-

მი ერთადერთი შვილი, ასე იოლად რომ შეველიო,—იმეორებდა ღედა.

სკოლის ამხანაგებიც, მოსკოლუკუნენ. თამილი შუაში იდგა. სვედიანად გადახედავდა ხოლმე გიოს. სხვები ჩოჩქოლებდნენ. და გიოს უხაროდა, რომ თამილი არაფერს ამბობდა, რომ თვალბერკჭონდა მოწყენილი და მას უმზერდა მხოლოდ.

მალე მამურზაც გამოჩნდა. გიოსთან მივიდა. მხარზე ხელი ღაადო და არიგებდა. იგი ძველი ჯარისკაცი იყო და, როცა ვინმე მიჰყავდათ მათი სოფლიდან, დაარიგებდა ყოველთვის. რომ არ დაერიგებინა, ბიჭის მშობლები დავმღურებოდნენ კიდევც...

—უფროსებს დაუჯერე, ბიჭო! ბუბაშებმა ოთარს შეხედე, როგორ გაახარა მეზობლები. მის სიყოჩაღზე რაიონს მადლობა მოუვიდა. ხომ ჰკიდია სკოლაში მისი სურათი... ჰო, ასე უნდა მოიქცე შენც... დედამამს გაახარებ და ჩვენც ყველას გაგვიხარდება. შენი ჩხუბი არ გამაგონო, თუ არა საშინლად მეწყინება, იცოდე. იქ სულ სხვა ხალხია, სხვა გარემო. ყველას უნდა გაუგო. ხო, შვილო, იმედი მაქვს შენი. რომ დაბრუნდები, პირველად ჩემთან შემოიარე: ბაბუა მამურზა არ მოკვდება მანამდე...

მოედანზე სატვირთო მანქანა შემოგრუნუნდა. მისმა ხმაურმა დაფარა მამურზას უკანასკნელი სიტყვები. სამხედრო ფორმით გამოწყობილმა კაცმა დაჩქარა ბიჭები.

—დიდი მადლობა, ბაბუა მამურზა...

მერე მშობლებს გამოემშვიდობა და ამხანაგებთან მივიდა. ისინი სათითაოდ ართმევდნენ ხელს. კოცნიდნენ. მაგრამ... თამილი არ დახვედრია. გიო ასე ჩქარობდა თამილისაკენ და ახლა გამჭრალიყო სადღაც. ლანჩვალისკენ მიმავალ გზას გახედა:

ღედამისს წინ გაეგდო თამილი. რაღაცას ემუქრებოდა. მარცხენა ხელს ცხვირწინ უტრიალებდა...

ხედებოდა გიო რას ეუბნებოდა ფატი თამილს: შენ რომ არ გააცილო, ისე ვერ წავა მაგ ჩხუბისთავი და მუშტებგასაშეშებელი?... მამაშენი სახლშია. ერთ

კარგ გაცვეთილს ჩავატარებინებ ამალამ, რამდენჯერაც მასთან დაინახა ფატიმ თამილი, კინოდან ან სკოლიდან მომავალი, იმდენჯერ აცემინა მამამისის ქალიშვილი. სპილო ერთი ჭუჭა კაცი იყო ცოლის ყოველ სიტყვას იმწამსვე ასრულებდა.

ასე დაშორდა თამილს. ფატიმ ერთხელაც არ მოახედა მისკენ. ერთხელაც ერთი წუთით...

გიო ავიდა მანქანაზე და თავი ჩაკიდა. სოფელში მართლაც ჩხუბისთავის სახელი ჰქონდა გავარდნილი, და ყველას უკვირდა მისი საქციელი. ახსოვს, რეზო და ვანო ამოვიდნენ მასთან და ჩასჩურჩულეს: ბიჭო, რა მოგივიდა, თავი ასწიე, სხვები მღერიან...

მალე ათუხთუხდა მანქანა. უკან დარჩნენ მშობლიური კოშკები, სოფელი და სახლი. ყველაზე შორს თამილი დარჩა. სამაგიეროდ თან მიჰყვებოდა ზედმეტი სახელი—„ჩხუბისთავი“ და ბაბუა მამურხას დარიგება.

მას შემდეგ კი სამი წელი გავიდა...

მაგარი მუშტის გემო სამხედრო ნაწილის კრივის სექციაში იგემა. მერე სხვადასხვა ქალაქების რინგებზე. ორი თვეა, რაც სპორტის ოსტატის წიგნაკი მისცეს და ერთ სულზეა, აჩვენოს ბაბუა მამურხას. იცის, ძალიან გაეხარდება. ახსოვს: ბავშვებს რომ დააკვიდებდა ერთმანეთს და გამარჯვებულთ ნაძვის ბუთილა ჭიჭრიკებს დაუთლიდა...

— ჭვარში შევდივართ, — თქვა მოხუცმა.

გიო ფიქრებიდან გამოერკვა. სწორი გზა დამთარებულიყო. ჭვარის ქვაფენილიანი დაღმართი იწყებოდა. მოშორებით ენგური მოჩანდა. ფართე რიყეზე გაწოლილიყო, მდორედ მიედინებოდა. აქა-იქ ქუბების ტყეებში მოჭრილი მორები ეყარა.

წინათ მამამისი მიდიოდა ხოლმე ხის დასამზადებლად. მთელი ორი-სამი კვირა რჩებოდა. რამდენი კევი ჩამოჰქონდა... პირველ რიგში თამილს მიუტანდა გიო. მერე ამხანაგებს დაურიგებდა კევეს. მთელი კლასი გიოსავით გულის-

ფანქვალით მოელოდა მამამისის ჩამოსვლას.

ჭვარში მანქანა გაჩერდა. ვილაც თავშიშველი ბიჭი სოგრატს მიეჭრა. კაბინაში ადგილი სთხოვა: გაცივებული ვარ და ძარაზე ვერ დავჯდებიო, — ხმას იბოხებდა, მაგრამ არ გამოსდიოდა.

სოგრატმა ბოლომდე მოუსმინა. მერე ერთი უშველებელი ხარხარი ასტეხა. პასუხი არ გაუცია. კარები მოიჭახუნა, მანქანა აამუშავა. სოფლის განაპირას, კაბინის უკანა სარკმლიდან ძარაზე მსხდომთ გადმოჰხედა სოგრატმა. სიცილით დაიძახა: გაცივებულია და ძარაზე ვერ დავჯდები, ხა... ხა... ხა... წასვლა ძალიან უნდა, ოღონდ ძარას ნუ უხსენებთ. ხმას როგორ იბოხებდა თანაც... ეგლა მაკლია სასწრაფო დახმარების მანქანად გამიხადონ ჩემი „აქლემი“. ხა... ხა... მერე სქელი კისერი მარჯვნივ შეაბრუნა და ფეხის მუხრატუკი აუშვა.

— კარგად მოიქცა, — თქვა გამხდარმა. სათითაოდ გადახედა ყველას. ბოლოს მზერა ჰალსტუკიანზე შეაჩერა.

მოხუცმა გრძელწვერამ და თავზე თავშალშემოხვეულმა ქალმა ერთმანეთს გადახედეს და ერთდროულად მოასწრეს თავის დაცვრა.

ჰალსტუკიანმა ხელები მოიფშვნიტა და მალაღფარდონად წამოიწყია:

— შარშანაც ვიყავი ამ დროს სვანეთში. ერთ ჩემ ამხანაგს ისე შესცივდა... პალტო გავიხადე.

ერთხანს ღუმილი ჩამოვარდა. ისე მისჩერებოდნენ, თითქოს მისგან სხვა რალაცას მოელოდნენ. მოხუცმა უღვაშებზე გადაისვა დაკოყრილი მსხვილი თითები. ბრუნებით გადახურულ ძარიდან ამოსასვლელ კარისაკენ გაიხედა. შორს ჭვარის მკრთალი კონტურები და ჩამუქებული ცის პატარა ნავლეჯი მოჩანდა.

— ამალამ იწვიმებს... გვარიანად ეცივება.

გოგომ თხელი მოსასხამი მაგრად შემოიხვია. ბავშვით გაინახა.

გიომ გადახედა და მხოლოდ ახლად შენიშნა საოცრად გრძელი წამწამები.

ისიც უყურებდა. თითქოს ემდუროდა რალაცას, ისე შესცქეროდა გულუბრყვილო და კეთილი თვალებით.

გიოს შერცხვა, ბავშვივით შერცხვა და მოხუცს გადახედა. იგი გოგოსგან მოშორებით იჯდა, ერთხელაც არ დალაპარაკებია მას, მაგრამ გიოს რატომღაც ეგონა, რომ მოხუცი გოგოს მამა ან ნათესავი იყო.

მაღე ისე ჩამობნელდა, ერთმანეთს ვერ ხედავდნენ. გოგოს მუხლები შეეხნენ მისას და ყველაზე უფრო მაშინ ენიშნა, რომ მოხუცის ნათესავი იყო. უცბად გადმოსწია ფეხები. გვერდულად მოეწყო. ისე მიმოიხედა, თითქოს ფული მოიპარა, და ის ფული მოხუცისა და მის გვერდით მიუყუდულ ქალის ყოფილიყო. თითქოს იმათი იყო ის ფული და იპარავდა უსირცხვილოდ.

— ჰესის მშენებელთა ქალაქი,— თქვა გამხდარმა.

გიოს გაზეთებში წაეკითხა ენგურპესის მშენებლობაზე. ინანა, დღისით რომ არ მგზავრობდა. აინტერესებდა ყველაფრის დათვალიერება. მაღე მანქანამ ხტუნვა დაიწყო. მაშინ მიხვდა, რომ აქამდე მოასფალტებული გზით მოდიოდნენ. გაეხარდა: წინათ ასფალტი ჯვარში მთავრდებოდა. ჯვარიდან კი უკვე ოცამდე კილომეტრი გამოიარეს. გზა მაღლა და მაღლა მიიწევდა. ენგურის ღრიალი თანდათან მატულობდა, სხეულში სიცივესავით იღვრებოდა.

ქალმა ბუზლუნს უმატა:

— რა გიყვივით მიჰყავს... არ უნდა გამსკდარიყო სასმელით. სახლში ძეღუბმა თუ ჩავალწიე, ფულსაც კი გადავიხდი... დაითვალოს.

— სიმართლე რომ ვთქვათ, სოგრატი რა ბრალია,— აწყენინა ქალს მოხუცმა,— ძველად ბევრი მივლია ამ გზებზე. სამი დღე ვწვალობდით მესტიიდან ზუგდიდამდე. სადმე კლდეზე ფეხი დაგიცდებოდა და...

ქალმა უკმაყოფილოდ ჩაიბუზლუნა რალაცა და გაჩუმდა. სამაგიეროდ პალსტუკიანმა გააგრძელა:

— ასე მთლად დამიჩქვამს მანდა-

რინს. ის კი არა, ყუთებსაც დაამტვრევს. უკან გადაბობდა ყუთებთან, უკმრე დაჩქვნილი როგორ გვესალღო. ნახევარ ფასშიც არ გაიყიდება.

— ჩვენთან ასეთი გზაა, ასეთი იქნება, ვიდრე მატარებელი არ ივლის. სოგრატიან მინც რა გინდა, ვერ გამიგია. შავი დღე არ დაგაყაროს.

მაგრამ პალსტუკიანი თავისას არ იშლიდა. ისევ განაგრძობდა ბუზლუნს და თან ყუთებს ევაჭყურებოდა.

გამხდარი არაფერს ამბობდა. გრძობდა გიოს, რომ იგი საშინლად გაბრაზებული იყო პალსტუკიანზე და ითმენდა ჯერჯერობით.

რომელიღაც აღმართზე ასვლისას „აქლემმა“ უცბად აიღო სიჩქარე. წინა ფიცარზე მოთავსებულებმა თავი ევლარ შეიკავეს. უკან გადმოცივიდნენ. გოგომ გიოს შემოჰხვია ხელი უნებურად და ორივენი წაიქცნენ.

უკნიდან პალსტუკიანის ყვირილი მოისმა.

გამხდარი უცბად წამოხტა. შეიგინა და მისკენ გავარდა:

— შე მკვდარძალო, რომ შემოგიხვევია ეგ რალაც ნაქვრი კისერზე და დიაცივით წუწუნებ. აქეთ წამოდი, არ გადავარდე ძირიდან თორემ ოხრად დაგარჩება პალსტუკიცა და შენი დაჩქვნილი მანდარინიც— პალსტუკიანი წინ წამოათარია და თავის ადგილზე დასვა.

— მანდარინი პირველად მომაქვს... ცოლგაა მანდარინი.

გიომ ფრთხილად ააყენა გოგო. ერთი ამოიოხრა და არაფერი უთქვამს.

შემდეგ როგორ არ მოეწყო გიოს, რამდენი არ ეცადა, მაგრამ მანქანა ისე საშინლად დახტოდა. გოგოს მუხლები მინც პოულობდნენ მისას. და გრძობდა: მას ჰქონდა თბილი, საოცრად თბილი მუხლები. მათი სითბო ჯარისკაცის უხეშ შარვალშიც კი ატანდა. და გიოს ისევ ეგონა, რომ გოგო მოხუცის ნათესავი იყო. უსიამოვნო გრძობა დაეუფლებოდა, გვერდულად მოეწყობოდა.

ენგური სადღაც ქვევით შხუოდა და ღრიალებდა. გზა მაღლა და მაღლა მიიწევდა მანქანის თუბთუბში. განუწყვე-



ტლივ ჯანჯღარებდა ბრეზენტგადახურული ძარა...

აღმართები არ თავდებოდა. სოგრატის უცბად იღებდა სიჩქარეს. გოგო წინ გადმოვარდებოდა. წინ გადმოვარდებოდნენ მოხუცი და თავშალშემოხვეული ქალი. იგი მაშინვე იწყებდა ბუზლუნს, მერე პალსტუკიანიც აყვებოდა. გამხდარი კი ითმენდა და ითმენდა ისევ. საღლაც ღელესთან სოგრატმა მანქანა გააჩერა, წყალი ჩაასხა. პალსტუკიანმა დრო იხელთა:

— აწი ქუთაისიდან ფრენით წამოველ. ამ გზით ეშმაკები ვერ წამომიყვანენ...

— თუ აუცილებელი არაა, სულაც ნუ წამოვა, რა რჯის ნეტავი! — გაიფიქრა გიომ. გამხდარი შეებრაღა, ამდენს რომ ითმენდა პალსტუკიანისაგან.

მერე თამილზე ფიქრობდა:

სამსახურში მიმავალი ხალხი მოსახვევებიდან მთავარ ქუჩაში იყრიდა თავს. ქუჩა დამრეცი და გაყინული იყო. რომ არ წაქცეულიყვნენ, ფრთხილად მიუყვებოდნენ ნაპირებზე. ხელუბით მესერს ეპოტინებოდნენ.

გიოს პალტოს საყელო აეწია. წიგნები ილიაში ამოედო. შუა ყინულზე მიაბიჯებდა. ზოგჯერ გამოირბენდა, დასრიალდებოდა. სხვები აღტაცებულ თვალუბით გადმოხედავდნენ. წუთით შედგებოდნენ. თავიანთ ბავშვობას გაიხსენებდნენ. მერე ისევ მიუყვებოდნენ, ვიდრე არ გაივარდებდნენ.

ოთაიშების მოსახვევიდან ძალღის ყეფა მოისმა. მერე კივილიც მოჰყვა და გიომ ხელად იცნო თამილის კივილი. ყველაზე გაყინული ადგილი ამოარჩია. სწრაფად ჩასრიალდა.

თამილი თოვლზე წაქცეულიყო. იქვე გოგოშების ფაფარა ძალღი მის ჩანთას ჩაფრენოდა...

პატარა სოფელთან ისევ გაჩერდა „აქლემი“. სოგრატმა კაბინის კარი გააღო. შუქფარის სინათლეზე გოგონა გამოჩნდა. ხელში დაწნული კალათა ეკავა.

სოგრატმა მიამხა: რა, კვერცხები

ხომ არ მივაქვს მესტიაში გასაყიდლად?

— ეს მსხალია, — ნაწყენი პასუხა გოგონა, — ამხანაგებმა დაძაბა და ძარაზე ამოსასვლელად გამოემართა.

— აქეთ მოდი კაბინში. სად მიძვრები, — დაუძახა სოგრატმა. კაბინის კარი გაუღო.

— კალათას რა ვუყო?

— მოიტა აქეთ, ჩავატევთ როგორმე. ათუბთუხდა „აქლემი“. ენგურის ღრიალს თავისი ბლავილიც შეუერთა. რასრახნით გაუდგა მაღალ კლდეებზე ბედისწერასავით გზას. კაბინის უკანა სარკმლიდან მოჩანდა: სოგრატს მარცხენა ხელში დაკეტილი მსხალი ეჭირა, თან რაღაცას ელაპარაკებოდა თანამგზავს.

ძარაზე მალე დაავიწყდათ ახალმოსული გოგონა. შუალამისეულმა ძილმა იმძლავრა. ქალმა ბუზლუნს უკლო. პალსტუკიანი თავისთვის თუ შეიგინებოდა ხმადაბლა. სხვები არაფერს ამბობდნენ. გიომ თავს ჩაჰკიდებდა. მანქანა აჯანჯღარდებოდა... მერე ისევ ჩაჰკიდებდა თავს და ფიქრობდა:

...თოვლში მსხვილი ქვა მოძებნა. მთელი ძალით მოუქნია. მარჯვედ გამოუვიდა. წაკვწყავითა და ყმულით გააშორა იქაურობას. თამილი აყენია. მხრებიდან და თავიდან თოვლი ჩამოუბერტყა. თმები გაუსწორა. თამილი ოდნავ გაწითლდა და გაილიმა. თვალუბში უყურებდა გიოს.

— ცრემლები მოიწმინდე.

მოიწმინდა. მერე თქვა: ჩემი ჩანთა რა იქნა? ირგვლივ მიმოიხედა.

ჩანთა ვახსნილიყო და მოშორებით ეგდო. წიგნები დაბნეულიყვნენ. თოთხმეტი ცალი ვაშლი თოვლზე ეყარა. უხმოდ აკრიფეს. კლასში ცამეტი იყვნენ და გიომ შეეკითხა: ჩვენ ხომ ცამეტი ვართ?

— ორი შენთვის მომქონდა, — ჩურჩულით თქვა თამილმა.

გიომ სახე პალტოს საყელოში ჩამალა. ყოველთვის რაღაც უცნაური გრძნობა ეუფლებოდა თამილთან. ერთობ მორჩილი და მორცხვი ხდებოდა. პირველად ვერ გაეგო, რაში იყო საქმე. მერე ამხანაგებმა უთხრეს, ალბათ, შე-

ყვარებული ხარო, და თვითონაც დაიჯერა.

გაკვეთილების შემდეგ რეზომ თქვა:

—საიდან მოაქვს თამილს ამდენი ვაშლი შუა ზამთარში?

—საიდან მოაქვს? სულელური კითხვაა, ყველაფერს ვფიცავარ, საიდან მოიტანდა, თუ არა სახლიდან,—გაიცი-ნა განომ.

ვიომაც გაიცინა...

გოგომ მკლავზე მოჰკიდა ხელი. ფიქრებიდან გამოარკვია. ისე უთქმელად და უხმოდ მოჰკიდა, ვიოს გაუკვირდა მისი გამბედაობა. მუხლებს შეეჩვია, მაგრამ ხელი... ამ სიცივეში ხელიც ისეთი თბილი იყო... ირგვლივ მიმოიხედა. იცოდა ვერაფერს ვერ დაინახავდა. მაინც მიმოიხედა. ოდნავ გულზე მოეშვა. გადაწყვიტა ხელი გაეშვებინა, მაგრამ ეუხერხულა...

„აქლემის“ სველ ბრეზენტზე წვიმამ დაუშვა. წვეთები ხმას გამოსცემდა, ცხენების თქარათქური და გოგოშების ფაფარა ძაღლის სირბილი მოაგონეს: ერთხელ მათ ბაღში შეიპარა. სხვებს ძაღლის ეშინოდათ და ვერ ბედავდნენ. ვიო აბა რისი „მეთაური“ იყო ძაღლის შეშინებოდა...

შესული ძლივს იყო, სიბნელიდან მართლაც რომ გამოეჩანა ფაფარა. თითქოს ის დღეც გაიხსენა, თამილს რომ მიეშველა და ქვა რომ დღლიზა შიგ ფერღში. პირდაპირ ვიოსაკენ გამოეჩანა. ღობეზე თავდაყირა დასკირდა ვად-მობტომა. ბედზე არაფერი სტკენია. ყველაფერი რიგზე ეგონა, მაგრამ მეორე დღეს გოგოშების მანამ ბაღში მისი ქუდი ნახა და მთელ სოფელს მოფინა ეს ამბავი.

თამილი გაებუტა. დიდხანს ხმას არ სცემდა. მის ჩხუბსაც ვერ იტანდა თამილი. მერე თანდათან შეეჩვია და ნაკლებად ებუტებოდა.

ლაღამელ და მულახელ ბიჭებთან ყოველდღე ჩხუბი და ჩხუბი იყო...

განო და რეზო მოიტანდნენ ამბავს—ამა და ამ ბიჭმა მარხულთან გაიარაო.

და ძმაკაცებს როგორ არ დაეხმარებოდა ვიო.

ლენჯერელ სეოს თამილისათვის მეტიჩარა ეწოდებინა. გიომ სკოლიდან მომავალს ყბა ჩაუმტვრიდა და თქვენს ვარი იწვა საავადმყოფოში. ახლა საშინლად ნანობდა ვიო, მაგრამ გვიანი იყო. წარსულის ამოშლა არაფრით არ ხერხდებოდა...

უტბად მანქანას ერთად ერთი შეუქფარი ჩაუქრა. დაამუხრუჭა. სოვრავტი გარეთ გამოვარდა. უჩხიკინა, უჩხიკინა. მაგრამ ვერაფერი უშველა. ბოლოს ერთი უწმამურად შეიგინა, ზედ ჩამქრალ თვალთან მიაფურთხა თავის „აქლემს“ და უკან გამობრუნდა.

—აღიონამდე ორი საათი არც კი იქნება დარჩენილი... მანამდე მოისვენეთ,—ისეთიანად წარმოთქვა თითქოს „აქლემი“ დადიანის სისახლე ყოფილიყო.

—ეს შობელძალი, ქე მაინც არ წვიმდეს. უნდა ვაგვეყინოს. თვითონ რა უკირს, თბილად მოყუჩებულა გოგონასთან,—დაიწყო ჰალსტუკიანმა.

—განგებ ჩააქრობდა, მაგი ისეთი სულწაწყმედილია, თორემ იმ გოგოს მოსვლამდე რატომ არ ჩაუქრა ვითომ,—ენას იღესავდა ქალი.

გამხდარი არაფერს ამბობდა. მოხუცმა ვერ მოითმინა:

—ვისაც გცივათ ჩემი მოსასხამი მოიხურეთ. ბუზლუნი ვერ გაგათბობთ, რამდენიც არ უნდა სცადოთ,—მან მოსასხამი გაიძრო და ქალს გაუწოდა.—შენც ხომ არ გცივა, ბიჭო,—მიმართა ჰალსტუკიანს.

—ბრეზენტი მაინც არ ეონავდეს და...

გიომ გაიხანდა თავისი ფარაჯა. გოგოს მოახურა. იგი იჯდა თავისთვის და ისევ არაფერს ამბობდა. ვიოს მოეჩვენა, რომ გოგოც იმ გამხდარი კაცივით ვერ იტანდა ქალისა და ჰალსტუკიანის ბუზლუნს და მოთქმას. უკვირდა: ასე გვიან რომ მიხვდა ამას. გოგომ უფრო ახლოს მიიწია. ფარაჯის ერთი ბოლო მხარზე წამოაფარა ვიოს ხელით მოუსწორა ქარს რომ არ შეეტანა შიგნით...

ვიო მის სუნთქვასაც ვრძნობდა ახ-

ლა. თამილზე უნდოდა ეფიქრა, მაგრამ ძალიან ეშვებოდა ხელი. თანაც თითქოს დამნაშავედ გრძნობდა თავს თამილის წინაშე. ეს ყველაზე უსიამოვნო გრძნობა იყო. არ იცოდა, როგორ დაეღწია თავი.

იჯდნენ ასე ერთ ფარაჯის ქვეშ და ღუმდნენ. ღუმდნენ და ისმენდნენ ერთმანეთის გულისცემასა და თანდათან აჩქარებულ სუნთქვას.

და გიო გულისფანქვალთ მოელოდა გათენებას. იგი ნატრობდა, მალე გათენებულყო. კიდევ ეშინოდა გათენების. ეშინოდა არ დაენახა მოხუცს, სხვებსაც არ დაენახათ ერთი ფარაჯის ქვეშ.

კაბინიდან ხმაური მოისმა. მალე კარმა გაიჯახუნა, რასაც სოვრატის ხარხარი მოჰყვა. ვხაზე შემოსწრებულმა გოგონამ ვარედან სლუკუნით მიაძახა: საზიზღარი... უსინდისო. მანქანას უყნიდან მოუღრა. ძარაზე ჯერ კალათა ამოღდა, მერე თვითონაც ამოვიდა. სულ უკან მოთავსდა. ქლოშინებდა.

— ყუთებზე ნუ ჩამოჯდები, იქ ყუთებიან.

გიო საშინლად გაბრაზდა სოვრატზე. ახლა პალსტუკიანმა სულ ნერვები აუშალა. ეგონა გამხდარი ამას ველარ მოითმენდა. ძარაზე ამოსულ გოგონას მიმართა: ახლოს მოიწიეთ. ეტყობოდა, ხელის გასვრას ერიდებოდა პალსტუკიანზე.

გოგონამ არ მოიწია. არც არაფერი უთქვამს. მაშინ მოხუცმა ჩაახველა. დაუძახა, ახლოს მოსულიყო.

მოხუცის დაძახებაზე მიიწია. მასთან ახლოს მოთავსდა.

— რა დროის შენი მარტოხელა მგზავრობაა, — თქვა მოხუცმა.

— მესტიაში მივდივარ. ზეალ სკოლაში უნდა ვიქნე.

მერე გრძელი ღუმილი ჩამოვარდა.

და როგორ არ ეცადა გიო თამილზე ფიქრს. არ გამოუვიდა, როგორც უნდოდა. გაბრაზდა საკუთარ თავზე. რამდენჯერმე გრძელწამწამა გოგონეც ვიფიქრა — ნეტავი რას გადაწყვიდაო, მაგრამ მალე ინანა. მოსწავლე გოგონაზე დაიწყო ფიქრი. სკოლის წლები წარმოუდგა.

მერე ამხანაგები, განსაკუთრებით რეზო და ვანო. წერილებიდან იცოდა: შარშან ეჩხუბათ ვილაკასთან. რეზო ციხეში მჯდარიყო ორი თვე. ისე, კოლმეურნეობაში მუშაობდნენ.

— ხომ არ გცივა, შეილო? — შეეკითხა მოხუცი მოსწავლეს.

— მგონი, ზეალაც გამიცდეს ვაკვეთილები.

— ახლა მალე ინათებს. ჩვენც გავუდგებთ...

„ახლა მალე ინათებს,“ — გაიმეორა გიომ მოხუცის ნათქვამი. უცბად თითქოს რალაცამ გაჰკრა. შეტოკდა. მალე ინათებს და მოხუცი დაინახავს გოგოსთან ერთ ფარაჯის ქვეშ...

ძალიან ფრთხილად მოიძრო ფარაჯი. მთლიანად გოგოს გადააფარა. მერე ხელი გაინთავისუფლა. ფეხზე წამოდგა. კასრებზე გადააბიჯა. ამოსასვლელ კარიდან დასავლეთისკენ გაიხედა. ცის რუხ ფონზე ძლივს გაარჩია ხეთა კენწეროები. იდგა ასე დიდხანს. მერე ძირს ჩახტა. საქმე არაფერი ჰქონდა. სირბილი დაიწყო. კრივის ილეთები გაიმეორა. მალე აღმოსავლეთიდან სინათლე შემოიპარა. ხეობაზე ჩამოწვა.

ძარაზე აიოჩქოლდნენ: წასვლის დრო იყო უკვე.

გიო კაბინასთან მივიდა. სოვრატს ეძინა. ხმამალა ხროტინებდა. მუჭლუგუნი წაჰკრა. გააღვიძა. შეკმუნულ წარბებიდან ერთი შემოხედა გიოს და დაუყვირა:

— ლაწირაკო, შენს ადგილას ვერ დაეგდები?! სიცოცხლე ხომ არ მოგბეზრებია, — კარის სარკმლიდან გამოეყუდა და შეიღრინა.

გიომ კარის სახელურს სტაცა ხელი. მარჯვნივ გადაატრიალა. კარი გაიღო. სოვრატმა თავი ველარ შეიკავა, სველ მიწაზე მოადინა ზღართანია... მაგრამ უცბად ზეზე წამოხტა. ღია კარიდან კაბინის იატაკზე დაგდებულ რკინის ჩაქუჩს მისწვდა. ზეალმართა. ვიდრე გიოს თავზე დაუშვებდა, მან მარჯვენა ხელი მოუქნია. მუშტი დაჭიმულ მუცელში მოაღო. მეორეც მოუნაცვლა, იღლიაში შეუვარდა. მოქნეული ჩაქუჩი ბეწვზე

ასცდა, გზიდან გადავიარდა, კლდეებზე გაადინა ლაწინა.

სოგრათი რამდენიმე წამს უგრძობლად ეგდო, მერე თვალები გაახილა, წამოდგომა დაიწყო. გოც მიეშველა. ააყენა. მხარზე მოუთათუნა მაზუთიანი ხელი: კარგად გცოდნია, ბიჭო, კარგად...

— შენ რა, უნდა მოგეკალი? ჩაქუჩი რომ მომიღრე.

— კიდე კარგი, რომ ასე ივარგე, ხა... ხა... ხა... ვაღამარჩინე, თავიც გაღაირჩინე და მეც. ახლა დაჭექი ჩემს „აქლემზე“, — თვითონ საქვესთან მოეწყო. ხარხარებდა ისევ.

ყველანი ძირს ჩამოსულიყვნენ. გარს შემოხვეოდნენ გიოს. გაკვირებული და შეშინებული თვალებით შესცქეროდნენ, გოცებს ვერ მალავდნენ. მათ ვერ წარმოედგინათ, თუ სოგრატს დაამარცხებდა ვინმე. გამხდარიც გაკვირებული იდგა...

ძარაზე ავიდნენ...

გიო ზურგშექცევით მოთავსდა თავის ძველ ადგილზე. მას არ შეეძლო თვალებში შეეხედა გრძელწამწამასათვის. ყველაზე მეტად მოხუცის რცხვენოდა. მოხუცი კმაყოფილი იყო სოგრატის ვალახვით. ამბობდა: ასეც მოუხდება, ამ ბოლო დროს ნამეტან გათავხედებულა. მოსწავლემ მორიდებულად დაიწყო ლაპარაკი:

— თქვენი სურათი სკოლაში ჰკიდია, მგონი, გიო გქვიათ, არა?

გიოს წუთით ბავშვურმა სიწითლემ გადაუარა სახეზე. სხეებიც მას მისიერებოდნენ. ელოდნენ, რას იტყოდა.

გრძელწამწამა თვალებს აფახულებდა.

— მე გიო მქვია.

და იქდა მთელი გზა ყველასაკენ ზურგშექცეული გიო. ფიქრობდა სახლზე, მშობლებზე, ბაბუა მამურხაზე. თამილზე ფიქრობდა ყველაზე მეტხანს. და ახლა წელანდელზე უკეთაც ეწყობოდნენ ფიქრები. არც დამნაშავედ გრძობდა თავს. არც არაფრის რცხვენოდა ახლა.

ზოგჯერ ენგურის ღრიანცელი თუ

გამოარკვევდა. ან მანქანის ჯანჯღარი. მაგრამ ისევ თავიდან იწყებდა და ისევ ფიქრობდა...

სიხარულით

* * *

მოედანთან წრეს შემოუარეს და სასტუმროს წინ გაჩერდნენ.

„აქლემიდან“ პირველი სოგრათი გამოვიდა. ხმის ამოუღებლად სასადილოსკენ გასწია.

გამხდარმა მიიძახა:

— სოგრატ, ფული დაგავიწყდათ, ფული.

სოგრატმა ხელი ჩაიქნია:

— დღეს ჯარისკაცს ეკუთვნის ფული, მე არ ვღებულობ დღეს ფულს.

თავშალშემოხვეულ ქალს ღიმილი გაუერთა სახეზე. ჰალსტუქიანმა კი გიოს გაუწოდა ხელი. — მე არც მანდარინის ფული მქონდა გადახდილი.

გიომ მწყურალად გადახედა. ხელჩამოურთმევლად შეტრიალდა. გოგონებსა და მოხუცს მოეხმარა „აქლემიდან“ ჩამოსვლაში. მალე ვილაც უკნიდან მოეპარა, მკლავები შემოხვია. სხეები კიდეც მხარზე უტყაბუნებდნენ.

განო და რეზო აღმოჩნდნენ. ერთხელ კიდეც გადაეხვივნენ ერთმანეთს. მერე წავიდა გრძელი და გაუთავებელი მოკითხვები: გაზრდილხარ, მოგიხდა ჯარი?... ბიჭო, რაეა მოგვწყინდა უშენოდ.

— ნაციხარო, შენ როგორ ხარ? — თავის მხრივ შეეკითხა რეზოს, — ვის ეჩხუბე? ლალამელებს თუ მულახელთ?

— არა, არცერთს.

— აბა, ვინ ეშმაკი იყო.

„თამილი სად არის. როგორ არის თამილი?“ — უნდოდა ეკითხა, მაგრამ ვერ გაბედა. მშობლებზე შეეკითხა.

— კარგად არიან. სახლში გელოდებიან.

„თამილი სად არის, როგორ არის თამილი?“ ირგვლივ მიმოიხედა. სასტუმროს კარებთან ფატი შენიშნა. მის გვერდით იგი იდგა. ნამდვილად იგი იყო... თამილი!

გიოს უნდოდა დაეძახა. მერე რა, რომ

ფატიც იქ იყო. მაინც დაუძახებს. მაგრამ ჰალსტუქიანი? ჰალსტუქიანი მივიდა მათთან. ჯერ ფატის ჩამოართვა ხელი, მერე თამილს გადაეხვია. არ სჯეროდა გიოს. თვალები მოისრისა. ჰალსტუქიანი სიცილით უყვებოდა რაღაცას დედა-შვილს...

სისხლი თავში აუვარდა. ხელის ძარღვები შეუტოვდა და დაეჭიმა...

ბიჭებმაც იქით გაიხედეს. გაფითრდნენ. თავები დახარეს. მერე მხარში ამოუდგნენ გიოს. ელოდნენ.

ფატი აქეთ შემობრუნდა. ორივე ხელი გაშალა. ერთი თამილს შემოხვია, მეორე ჰალსტუქიანს. თმები ჩამოშლოდა. გაწეწოდა.

გიოს ძუ მგელი მოაგონდა, რომელიც ნადავლს შეექცეოდა და ერთ ამბავში იყო, სხვებს არ მოესწროთ, არ წაერთმიათ. პირველად სიცოცხლეში იგრძნო აღმთანისადმი სიძულვილი.

და კიდევ იგრძნო:

რომ ცხოვრებას იგი გულუბრყვილო თვალებით უყურებდა. და საერთოდ, ყველაფერზე უნდა ფიქრობდეს კაცი, რადგანაც ყველაფერი შეიძლება მოხდეს.

მან არც კი იცოდა, თუ არსებობდა ასეთი გრძნობა: ნერვებამშლელი, უსაშინლესი გრძნობა.

— თამილი არაა დამნაშავე.

მაგრამ გიოს არ ესმოდა არაფერი. ისევ იქითკენ იხედებოდა—თამილისაკენ და ჰალსტუქიანისაკენ. თამილს თავი ჩაეღუნა. სიძე პორტფელს ატრიალებდა ხელში. თავს უცნაურად აქიცინებდა.

და გიოს რატომღაც ოთაიშების ეზო და ფატის „კარგი ნაცნობი“ ქრონოსოვლებმა კაცი მოაგონდა. ვახანენდა: „გოგამ მოკითხვა შემოვითვალათ, თამუნია“. „არდადაგებზე თუ გვეწვევა ძალიან გამიხარდებოა“. მერე ფატის სიტყვები: „გაბრიელ ბიძიას მოეხმარე“...

ორი ნაბიჯი წინ გადადგა.

ბიჭებმა მკლავები დაიკაპიწყეს:

— შესაფერისი სიძე გამონახა. ხა... ხა... ხა... ახლა ყბებს ჩავუმტვრევთ... ყბებჩამტვრეული სიძე გეყოლება. ჰალსტუქიანი, ყბებჩამტვრეული სიძე, — ხმამაღლა გაყვიროდნენ ბიჭები...

მაგრამ გიოს ბაბუა მამურხა მოაგონდა. მისთვის მიცემული აღთქმაც გაახსენდა. პიჯაკის ჯიბეში სპორტის ოსტატის მოწმობა მოსინჯა. უკან შებრუნდა.

ბიჭები დაიბნენ. ადგილზე დარჩნენ დაკაპიწყებული მკლავებით. ვერაფერი გაეგოთ.

ფატი გაფითრებული იხედებოდა. თითქოს უყვირდა, რომ უჩხუბრად წავიდა ყოფილი ჩხუბისთავი და სოფლის დამქცევი.

თამილს თავი ჩაეღუნა ისევ. დედამისისაკენ ზურგშექცევით იდგა.


აი მოედანიც. აქ დაშორდა მშობლებს სამი წლის წინათ, აქ დაშორდა ამხანაგებს და... აქ დაშორდა თამილს.

„როგორიც დაშორება იყო, ისეთი აღმოჩნდა შეხვედრაც“.

ვილაცამ ხელი მოკიდა. ფიქრებიდან გამოერკვია: გრძელწამწამა გოგო იყო.

— ფარაჯა, შენი ფარაჯა.

გამოართვა.



თოგას მანი

ბ რ ი ს ტ ა ნ ი

აი, ისიც — სანატორიუმი „აინფრიდი“, მღვიმეებით, ხეივანებით და ლაფნის პატარა პავილიონებით მორთული. ვეებერთელა ბაღის შუაში თეთრად გაწოლილა სწორხაზოვანი მთავარი კორპუსი და გვერდითი ფლიგელი. შიფერის სახურავებს გადაღმა ცაშდე აზიდულან მწვანედ აქოჩრილი, ოღნავ დაკბილული მთები.

დაწესებულებას სათავეში ისევ დოქტორი ლეანდერი უდგას. მას შუაზე გაყოფილი, წაწვეტებული, ცხენის ძუასავით უხეში და ხვეული შავი წვერი აქვს, ისეთი, ავეჯის წარმოებაში რომ იყენებენ. სქელ, მოელვარე შუშებიან სათვალეებს ხმარობს და მეცნიერებით გამოწრთობილი, გაგულგრილებული და შფმწყნარებლური პესიმოზმით განმსკვლული კაცის გამომეტყველება აღბეჭდია სახეზე. ამ თვისებების წყალობით და ოღნავ მკვეთრი ოფიციალური ურთიერთობით დოქტორ ლეანდერს ხელში უჭირავს ავადმყოფები — არსებანი, რომელთაც რაკი იმის უნარი არ შესწევთ საკუთარ თავს თვითონვე დაუწეონ კანონები და იმ კანონების მიხედვით იცხოვრონ, მთელ თავის ავლადიდებას ექიმს სწირავენ, ოღონდ კი მის შეუვალ სიმკაცრეს შეაფარონ თავი.

ფროილანი ფონ ოსტერლოზე უნდა ითქვას, უსაზღვრო თავგამოდებით უძღვება სანატორიუმის მეურნეობას, ღმერთო ჩემო, რა საქმიანი სახით არბიჩარბის კიბეებზე და როგორ დაპჭრის სანატორიუმის ერთი ბოლოდან მეორეში. სამხარეულოში და საეუქნაოშიც ის ტრიალებს, თეთრეულის კარადებთან დაფათურობს, მსახურებიც იმას

აბარია. კვების საქმე მომჭრნეობის, პიგიენის, გემოს და გარეგნული მიმზიდველობის გათვალისწინებით აქვს მოწყობილი, უსაზღვრო სიფრთხილით დიასახლისობს და მის უკიდურეს ბეჯითობაში მუდმივი საყვედური იგრძნობა მამაკაცთა მთელი მოდგმისადმი, რომელთა შორის ღღემდე არავის მოუვიდა აზრად მისი ცოლად შერთვა.

ალისფერ ლაწვებზე მაინც ეტყობა, რომ დოქტორი ლეანდერის ცოლად გახდომის ჩაუჭრობელი იმედი უღვივის გულში.

ოზონი და წმინდა, სუფთა ჰაერი... რაც არ უნდა თქვან დოქტორ ლეანდერის მოშურნეებმა და მეტოქეებმა, ფილტვებით დაავადებულთათვის „აინფრიდი“ პირდაპირ მისწრებაა. თუმცა აქ მარტო ჭლეჭიანებს როდი მკურნალობენ: „აინფრიდში“ ყველა ასაკის და ჯურის პაციენტს შეხვდებით: მოხუცს თუ ახალგაზრდას, მამაკაცს თუ ქალს; წარმოიდგინეთ, აქ ბავშვებიცა ყავთ. დოქტორმა ლეანდერმა ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებულ დაავადებათა მკურნალობაში მიაღწია წარმატებას. აქ კუჭით დაავადებულებიც არიან, მაგალითად, მაგისტრის მრჩეველის მეუღლე, შპაცი, რომელიც ყურების ტკივილსაც უჩივის; არიან გულის მანკიანი, დამბლადაცემული, რევმატიზმიანი და სხვადასხვა სახის ნერვიული ავადმყოფები. შაქრის ავადმყოფობით შეპყრობილი გენერალი განუწყვეტელ ბურტყუნში ნიჭავს აქ თავის პენსიას. ზოგი სახეჩამომჭკნარი პაციენტი როგორღაც სიარულისას ფეხებს ვერ იმოჩინებებს, რაც კარგს არაფერს უნდა

მოსაწავებდეს. პასტორის მეუღლე, რომოცდათი წლის პოლენრაუზი, რომელმაც ცხრაშვიდი ბავშვი შობა და მთლად წაერთვა აზროვნების უნარი, ერთ ადგილზე მიანიც ვერ ისვენებს და აჯერ უკვე წელია რაღაც ავზნემორეული, გაოგნებული და გარინდებული, უმიზნოდ და შემზარავად დაბორილობს საკუთარი მომცელი ქალის მკლავზე ჩამოყრდნობილი.

ხანდახან „მძიმე“ ავადმყოფთაგანი, რომელიც წევს და სადარბაზო ოთახში არ დაიარება, კვდება, მაგრამ ვერაინ, თვით მისი მეზობელიც კი, ვერაფერს გებულობს ამის შესახებ. გვიან ღამით სანთლადქცეულ სტუმარს თავიდან იცილებენ და „აინფრიდის“ ცხოვრება ისევ შეუფერხებლად გრძელდება, — მასაჟი, ელექტრონის სხივები, ინექცია და ვარჯიში, შხაპები, ოფლსადენი პროცესი და ინჰალაცია — ყველაფერი მეცნიერების უკანასკნელი სიტყვის მიხედვით მოწყობილ კაბინეტებში ტარდება.

ღიან, აქ ყოველთვის საქმიანი განწყობილება სუფევს! დაწესებულებამ შორს გაითქვა სახელი. როცა „აინფრიდის“ ახალი სტუმარი ეწვევა ხოლმე, მეკარე გვერდით შენობაში დიდ ხარს ჩამორეკავს, სანატორიუმიდან მიმავლებს კი საგანგებოდ გამოწყობილი დოქტორი ლეანდერი ეტლამდე აცილებს ფროილან ოსტერლოს თანხლებით. რა სახის არსებანი არ შეუკედლებია „აინფრიდის“! აქ ერთი მწერალიც კი ცხოვრობს, ექსცენტრიული ადამიანი, რომლის გვარი რომელიღაც მინერალის თუ მჭირფასი ქვის სახელს მიაგავს და რომელიც უფალ ღმერთს პარავს აქ გატარებულ დღეებს.

დოქტორი ლეანდერის გარდა აქ სხვა ექიმიც ჰყავთ, იოლი შემთხვევებისა და სასიკვდილოდ გადაღებული ავადმყოფებისათვის, მაგრამ ის გვარად მიულერი და, საერთოდ, მასზე ლაპარაკიც არ ღირს.

იანერის დამდეგს „ა. ც. კლოტერიანი და კომპ“ ფირმის დიდვაჭარმა კლო-

ტერიანმა „აინფრიდში“, მეუღლე ჩამოიყვანა, მეკარემ ხარს შემოქრუნდა ფროილან ფონ ოსტერლოს შორისმისმსულებს მიესალმა პირველ სართულზე, მისაღებ ოთახში, რომელიც ამ დიდებული ძველი შენობის მსგავსად ამპირის სტილის საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენდა. მალე დოქტორი ლეანდერიც გამოჩნდა, სტუმრებს თავი დაუკრა და მათ შორის პირველი, საორიენტაციო საუბარი გაიბა.

ჩამოზამთრებულ ბაღში ყვავილნარს ჰილოფი ეფარა, დათოვილ მღვიმეებში და ტალავრებში არავინ ჩანდა. ორ მსახურს ახლადმოსულთა ჩემოდნები გადმოჰქონდა ეტლიდან, რომელიც ჰიშკართან გააჩერეს, რადგან, სანატორიუმს შარა გზა არ უდგებოდა.

— ფრთხილად, გაბრიელა, *face care*¹ ჩემო ანგელოზო, პირი მოკუმე, — ეუბნებოდა ბატონი კლოტერიანი მეუღლეს, როცა ბაღზე გადაატარა, ყველა, ვინც კი ამ ქალს თვალს მოჰკრავდა, სულით და გულით შეუერთდებოდა ამ *face care*-ს თუმცა ისიცაა, არაფერი დაშავდებოდა ბატონ კლოტერიანს გერმანულად რომ გამოეხატა თავისი ყურადღება.

გაუთლელმა, უმეცარმა მეეტლემ, რომელმაც ბატონი და მისი მეუღლე სადგურიდან სანატორიუმში ამოიყვანა და რომლისთვისაც ფაქიზი გრძნობები უცხო ხილი იყო, გაოცებულმა დაალო პირი, როცა დიდვაჭარ კლოტერიანს მეუღლე ეტლიდან გადმოყავდა. თითქოს ორივე ჰურანა ცხენსაც გაყინულ ჰაერს ორთქლით რომ ავსებდნენ, თვალები უკან გაექცათ და, ეგზომი ჰაეროვნებით და მშვენიერებით აღსავსე ქმნილები-სადმი ზრუნვით განმსჭვალულნი, შიშით აღევნებდნენ თვალს ამ სახიფათო ღონისძიებას.

ახალგაზრდა ქალბატონი ხორხს უჩიოდა — ამას გარკვევით იუწყებოდა კლოტერიანის მიერ ბალტიის ზღვის სანაპიროდან „აინფრიდის“ მთავარი ექიმის სახელზე გამოგზავნილი წერილი

¹ ფრთხილად. (ინგლ.)

— ღვთის წყალობით ფილტვები აქ არაფერ შუაში იყო, მაგრამ ფილტვებით დაავადებულიც რომ ყოფილიყო, მაინც წარმოუდგენელია, ახალ პაციენტს ოდესმე მეტი მომზიბველობა, კეთილშობილება, არამიწიერება და პაეროვანება ჰქონოდა, ვიდრე ახლა, როცა ჯმუხი ქმრის გვერდით, მოთენთილი და დაღლილი, თეთრად გაბრიალებულ. სწორკუთხეებიან სავარძელში გადასვენებული ისმენდა საუბარს.

ლამაზ, ფერმკრთალ ხელს მხოლოდ ქორწინების სადა ბეჭედი უმწვენებდა. ხელები მძიმე და მუქი ქვედატანის კალთის ნაკეცებში ეწყო. ტანთ ეცვა შემოჭერილი, გახამებულ საყელოიანი მოვერცხლისფერო ქაეკტი, რომელსაც ლამაზად დაყრილი ნაოქებიანი აბრეშუმის არაბესკა ჰფარავდა. ეს უხეში და თბილი ტანსაცმელი მის ნაზ, სანდომიან, ენით აუწერელ ფერმკრთალ სახეს უფრო მეტ მიმზიდველობას, პაეროვნებას და საამო იერს ფენდა. ღიაწაბლისფერი თმა ავარცხნილი და კეფასთან შეკრული ჰქონდა. იქ, სადაც მკაფიოდ გამოყვანილ წარბს ზემოთ უცნაური, პატარა იისფერი ძარღვი სპეტაკ და უნაკლო შუბლზე ავადმყოფურად იტოტებოდა, მხოლოდ ერთი ურჩი კულული ჩამოშლოდა. მოლურჯო, პატარა ძარღვი მწუხარე იერს ჰფენდა სახის ნაზ მოხაზულობას. როგორც კი დაილაპარაკებდა, ანდა სულ ოდნავ გაიღიმებდა, ძარღვი მაშინვე ამოიბურცებოდა ხოლმე და სახეს რაღაც დაძაბულ, თითქმის ნაღვლიან გამომეტყველებას აძლევდა. ეს რატომღაც საფრთხის ბუნდოვან გრძნობას აღძრავდა, მიუხედავად ამისა, იგი მაინც ლაპარაკობდა და იღიმებოდა. ლაპარაკობდა გულლიად და საამოდ, ოდნავ მიღუღლი ხმით. დაბინდული თვალები ისე უღიმოდა, გეგონებოდათ ეს-ეს არის მიეღუღლებოა. ნატიფი ცხვირის ორივე მხარეს თვალის უპეები ამოღამებული ჰქონდა. ლამაზ, ოდნავ დიდ პირზე, ფერმკრთალობის მიუხედავად, თითქოს ნათელი აფგა, — ალბათ, იმიტომ, რომ ბაგეები ცხადად

ჰქონდა გამოკვეთილი. დროდადრო ხველება აუტყდებოდა ხოლმე, ცხვირსახოცს პირზე აიფარებდა და წვეთებს დახედავდა.

„ნუ ახველებ, გაბრძილა“, ეუბნებოდა ბატონი კლოტერიანი, ხომ გახსოვს, დოქტორი პინცპეტერი აქ წამოსვლამდე გადაჭრით გიჯრალავდა ხველებას, 'darling', თავის დამორჩილებაა საჭირო, ჩემო ანგელოზო. ეს, როგორც მოგახსენებ ხორხის ბრალია“ — გაიმეორა მან — როცა ხველება დაეწყო, მეგონა ფილტვების მიზეზით იყო, ვერ წარმოიდგენთ რა შიში ექამე! მაგრამ ფილტვები აქ არაფერ შუაშია, ღმერთმა დაგვიფაროს, ასეთ რამეს ჩვენთან რა ხელი აქვს, არა, გაბრძილა? ხა! ხა! ხა!“

„რასაკვირველია.“ თქვა დოქტორმა ლუანდერმა და თავისი ბრჭყვიალა სათვალეები შეანათა კლოტერიანის მეუღლეს.

შემდეგ კლოტერიანმა ყავა მოითხოვა — ყავა და ქადა. უცნაური ჩვეულება ჰქონდა: „ქ“ ბგერას სულ უკან, ხორხში გამოსთქვამდა და „ქადას“ ისე ამბობდა, რომ ყველა ქამის მადაზე მოჰყავდა.

რაც მოისურვა, ყველაფერი მიართევს. ოთახებიც გამოუყვეს და ცოლ-ქმარი დაბინავენას შეუდგა.

ავადმყოფზე ზრუნვა დოქტორმა ლუანდერმა პირადად იკისრა, ამჭერად მიუღერი არ გამოუყენებია.

ახალმა პაციენტმა „აინფრიდის“ ბინადართა საერთო ყურადღება მიიპყრო და ბატონ კლოტერიანს, რომელიც ჩვეული იყო ასეთ წარმატებას, პატივისცემისა და ყურადღების ყოველი გამოვლენა კმაყოფილებას გვრიდა. როცა შაქრის ავადმყოფობით შეპყრობილმა გენერალმა პირველად მოჰკრა თვალი ქალბატონ კლოტერიანს, ერთხანს ბურტყუნი შეწყვიტა. სახეჩამომჰქნარი პაციენტები ქალს რომ ჩაუვლიდნენ იღიმებოდნენ და დაძაბულნი ცდილობდნენ ფეხების დამორჩილებას. მაგისტ-

რის მრჩევლის მეუღლე შპაცი და გაბრიელა სწრაფად დამეგობრდნენ. დიახ, ბატონ კლოტერიანის ცოლით მთელი სანატორიუმი მოიხიბლა, მწერალს, რომლის გვარი რომელიღაც ძვირფას ქვის სახელს მიაგავდა და ეს რამდენიმე კვირაა რაც „აინფრიდში“ ცხოვრობდა, პირდაპირ ფერი ეცვალა, როცა კლოტერიანის მეუღლემ ჩაუარა დერეფანში, ადგილზე გაშეშდა და კარგახანს იდგა გაუნძრევლად მას შემდეგ, რაც ქალი თვალს მიეფარა.

ორი დღე არ იყო გასული და ამ ქალის წარსული ყველა პაციენტმა იცოდა. წარმოშობით რომ ბრეშენელი იყო, ბგერების მცდარ, მაგრამ სასიამოვნო გამოთქმასზეც ეტყობოდა. ორიოდ წლის წინ ბრეშენშივე მისთხოვდა ცოლად დედვაჟარ კლოტერიანს, ქმარს ბალტიის ზღვის სანაპიროზე, მის სამშობლო ქალაქში გაჰყვა, სადაც ათიოდე თვის წინ საშინლად მძიმე და სახიფათო პირობებში იმშობიარა და თავის მეუღლეს საოცრად ჯანსაღი, საუცხოო ვაჟიშვილი გაუჩინა. თუმცა არც მანამდე ყოფილა მაინცდამაინც ჯანღონით საესე, მაგრამ საშინელი დღეების შემდეგ ვერაფრით ვეღარ მოიკეთა. მოლოჯინების შემდეგ, როგორც კი ფეხზე წამოდგა, ქანცმინდობა და განაწამებმა ნახველს ცოტაოდენი სისხლი ამოაყოლა — ო, ბევრი კი არა, ძალიან ცოტა, მაგრამ ხომ აჯობებდა, სულ რომ არ ამოეყოლებინა. დამაფიქრებელი კი უფრო ის იყო, რომ ეს პატარა და უსიამოვნო ამბავი მცირე ხნის შემდეგ ისევ განმეორდა. მაგრამ ტყუილად როდი არსებობს სხვადასხვა საშუალებანი, და ოჯახის ექიმმა დოქტორმა პინცპეტერმა უმალ მიმართა მათ. ავადმყოფს სრული სიმშვიდე ურჩია, ყინულის პატარა ნატებებს აყლაპებდა, ხველების წინააღმდეგ მორფს აძლევდა და გულიც რამდენადმე დაიმშვიდეს, ავადმყოფის გამოჯანმრთელება კი ვერ მოხერხდა, და იმ დროს, როდესაც უმცროსი ანტონ კლოტერიანი — ეს შესანიშნავი პატარა ბიჭი — უჩვეულო ენერგიით, სი-

თამამით იკავებდა და იმეკიდრებდა თავის ადგილს ცხოვრებაში, მისი ახალგაზრდა დედა ნელ ხურვებდა, თანდათან იფერფლებოდა. როგორც ზემოთ ვთქვით, ყველაფერი ხორხს ბრალდებოდა. დოქტორ პინცპეტერის პირით წარმოთქმული ეს სიტყვა მანუგეშებლად და დამამშვიდებლად, თითქმის გამახალი სებლადაც კი მოქმედებდა ყველაზე. მაგრამ იმის მიუხედავად, რომ ფილტვები აქ არაფერ შუაში იყო, ბოლოსდაბოლოს, ექიმმა განკურნების დასაჩქარებლად უკიდურესად საპიროდ მიიჩნია უფრო რბილი ჰავა და სამკურნალო დაწესებულებაში ყოფნა, ხოლო დანარჩენი „აინფრიდის“ და მისი ხელმძღვანელის სახელმა განსაზღვრა.

ასეთი იყო საქმის ვითარება და ამას ბატონი კლოტერიანი უამბობდა ყველას, ვინც კი მოსმენას ისურვებდა. იმ კაცით ხმამალა, დაუდევრად, მხიარულად ლაპარაკობდა, რომლის მომწინებელი ორგანო და ქისა ერთნაირად კარგ მდგომარეობაში იმყოფება. ბალტიის ზღვის სანაპიროზე მცხოვრებთ რომ ახასიათებთ ლაპარაკისას ისე აცმაკუნებდა გაბურცულ ტუჩებს. ზოგიერთ სიტყვებს ისეთი სხაპასტუით ისროდა, თვითიული ბგერა პატარა აფეთქებას მიაგავდა და ამაზე ეცინებოდა, თითქოს მოსწრებულად იხუმრავო.

საშუალო სიმაღლის, ჯმუხი და მოკლე ფეხება კაცი იყო. საესე, მწითური სახე, ქერა წამწამებით დაფარული წყალწყალა-მოლურჯო თვალები, ფართო ნესტოები და სველი ტუჩები ჰქონდა, ინგლისურ ბაკენარდებს ატარებდა, თავით ფეხებამდე ინგლისურად იყო გამოწყობილი და სისხარულით ცას ეწვია, როცა „აინფრიდში“ ინგლისელების ოჯახს შეხვდა—მამას, დედას, სამ კოხტა ბავშვს და გადიას, რომლებიც მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ იმყოფებოდნენ აქ, რომ არ იცოდნენ სხვაგან კიდევ სად შეიძლებოდა ყოფნა. კლოტერიანი დილაობით ინგლისურ ყაიდაზე საუბრობდა მათთან ერთად. საერთოდ, ძლომაზე უყვარდა ჭამა-სმა და მარნის და სიმზა-

რეულო საქმის ბრწყინვალე ცოდნა გამოამჟღავნა. აქაურთათვის უცნობი რჩეული კერძებისა და ნაცნობთა წრეში დიდი ხნის წინ გამართული ნადიმების აღწერით ჩინებულად აზრობდა საზოგადოებას. ამ დროს ნეტარებით ენაბებოდა თვალეზი და მერტყველებამი ცხვირის და სასისმიერი ბგერები მატულობდა, თანაც ენას რაღაცნაირად აწკლავუნებდა. დანარჩენ ამქვეყნიურ სიამოვნებაზეც რომ გულგრილად არ გახლდათ იმ საღამოს გამოირკვა, როცა „აინფრიდის“ ერთ-ერთმა სტუმარმა, პროფესიით მწერალმა, მოახლე გოგოსთან საკმაოდ მიუღებელ ღლაბუცობაზე წაუსწრო დერეფანში. ამ პატარა იუმორისტულმა სცენამ მწერალს ზიზღნარევი ღიმილი მოჰგვარა:

კლოტერიანის მეუღლეს კი ყველაფერზე ეტყობოდა, რომ ქმრის ერთგული იყო. მის ლაპარაკს და მოძრაობას ღიმილით ადევნებდა თვალს. ეს არ იყო ქედმაღლური მოწყალება, რომელსაც ზოგი ავადმყოფი ჯანმრთელები-სადმი იჩენს, არამედ იმ ზნეკეთილი ავადმყოფის სიხარულსა და თანაგრძნობას წარმოადგენდა, რასაც ბედით კმაყოფილი ადამიანის თავდაჯერებულნი მოქმედება იწვევს მათში.

კლოტერიანი დიდხანს არ დარჩენილა „აინფრიდში“. მეუღლე ჩამოაცილა და ერთი კვირის შემდეგ, როცა ის კარგად დაბინავებული და საიმედო ხელში დაიგულა, გაბრუნდა. ორი ერთმანეთზე მნიშვნელოვანი მოვალეობა — ქორფა ბავშვი და ახლად ფრთავაშლილი ფირმა — უხმობდა შინისაკენ და, რაკი მეუღლე საუკეთესო პირობებით უზრუნველყო, გამგზავრება აღარ დააყოვნა.

მწერალი, რომელიც უკვე რამდენიმე კვირაა „აინფრიდში“ ცხოვრობდა, გვარად შპინელი იყო. დეტლევ შპინელს უწოდებდნენ ამ უცნაური გარეგნობის ადამიანს.

წარმოიდგინეთ ოცდაათ წელს გადაცილებული, შავგვრემანი, წარმოსადგევი გარეგნობის მამაკაცი, რომელსაც სა-

ფეთქლებთან უკვე შესამჩნევად გამოჩენია პალარა, მრგვალ, ფეფურე უღრმავ შემუშებულ სახეზე წვეთების ჩვეთვათა კი არ ეტყობოდა, ალბათ, წვერს საერთოდ არ იპარსავდა; ფაფუკი, გადატყეცილი და ბავშვური სახე აქა-იქ ღიზლით ჰქონდა დაფარული, ეს კი მეტად უცნაურ იერს აძლევდა. მოციმიციმე, თვინიერი გამომეტყველების თაფლისფერი თვალეზი, მოკლე და სქელი ცხვირი რომელისათვის დამახასიათებელი წინწამოწეული, ფოროვანი ზედა ტუჩი, დიდი, ჩამპალი კბილები და ვეებერთელა ტერფები ჰქონდა. ერთმა ურჩვეუბიანმა ხუმარა და ცინიკოსმა პაციენტმა ზურგს უკან ის „დამპალ ძუძუმწოვრად“ მონათლა, მაგრამ ეს გულღრძობა უფრო იყო და თანაც არც თუ ისე მარჯვედ ნათქვამი. შპინელი კარგად იცვამდა — გრძელ, შავ სერთუქში და კრელად დაწინწკლულ ქილეტში გამოწყობილი დადიოდა.

მიუკარებელი ადამიანი იყო და არავისთან მეგობრობდა. მაგრამ ზოგჯერ გულღიობა ეუფლებოდა და ადამიანებისადმი შემწყყარებლობის გრძნობა მოაწვებოდა ხოლმე. ეს მაშინ ემართებოდა, როცა რაიმე ლამაზ საგანს, ფერთა პარმონიულ შეხამებას, მოხდენილი ფორმის ლარნაკს, ან ჩამავალი მზით განათებულ მთებს მოჯადოებული შეპყურებდა და გაოცებას ვერ მალავდა. „რა მშვენიერია“, ამბობდა ცხვირის და ტუჩების მანქით, თავს გვერდზე გადახრიდა, მხრებში აიწურებოდა და ხელებს გაშლიდა, „ღმერთო ჩემო, შეხედეთ ერთი, რა ლამაზია!“ ასეთ წუთებში მზად იყო „აინფრიდის“ სტუმართა შორის ყველაზე მიუკარებელიც კი — სულ ერთია, კაცი იქნებოდა ის, თუ ქალი — გულში ჩაეკრა.

სხვების დასანახად მაგიდაზე ყოველთვის ედო საკუთარი ნაწარმოები — საშუალო ზომის რომანი, რომელსაც გარეკანზე თავგზისამბნევი სურათი ეხატა. წიგნი ისეთი შრიფტით იყო დაბეჭდილი ყავის საფილტრის მსგავს ქალაღზე რომ თვითუული ასო გოთურ ტა-

ძარს მიაგავდა. ქალბატონმა ოსტერლომ მოცილილობისას თხუთმეტიოდე წუთში გადაიკითხა ის და „რაფინირებულად“ მიიჩნია. ამ სიტყვას მაშინ ხმარობდა, როცა რაღაც არაადამიანურად მოსაწყენის აღნიშვნა სურდა. რომანის მოქმედება მიმდინარეობდა არისტოკრატიულ სალონებში, მანდილოსანთა მდიდარ ბუდეურებში, რომლებიც სავესტო იყო რჩეული ნივთებით, ვოპლეუნებით, ძველისძველი ავეჯით, ძვირფასი ფაიფურით, ურაცხვი ქსოვილითა და ხელოვნების საუცხოო ქმნილებებით. ამ ნივთთა აღწერაში დიდი სიყვარული იყო ჩაქსოვილი; ყოველი წინადადების მიღმა იგრძნობოდა ბატონი შპინელი, რომელიც სახეს მანქავდა და გაიძახოდა, „რა სილამაზეა, ღმერთო, შეხედეთ რა მშვენიერებაა“. ეტყობოდა, საერთოდ დიდი გატაცებით წერდა. საკვირველი ის იყო, რომ ერთ წიგნზე მეტი ჯერ არ ჰქონდა შეთხზული. დღის უმეტეს ნაწილს წერაში ატარებდა და ფოსტაში უამრავ წერილს აგზავნიდა — თითქმის ყოველდღიურად ერთს ან ორს, თვითონ კი ძალიან იშვიათად ლებულობდა, ეს შეიძლება ცოტა უცნაურად და სასაცილოდაც კი მოსჩვენებოდა ადამიანს.

სასადილოში შპინელი კლოტერიანის მეუღლის პირდაპირ იჭდა. იმ დღეს, როცა ახლადჩამოსულები პირველად სადილობდნენ, შპინელი დაგვიანებით შევიდა პირველ საათულზე მოთავსებულ სასადილოში, ხმადაბლა მიესალმა ყველას და თავისი ადგილისაკენ გაემართა. დოქტორმა ლეანდერმა იგი ყოველგვარი ცერემონიის გარეშე გააცნო ახალ პაციენტებს. შპინელმა თავი დაუჯრა და ოდნავ დარცხვენილი შეუდგა ქამას; დანა-ჩანგალს ოდნავ კეკლუცად ატრიალებდა ვიწრო სახელოებიდან, გამოყოფილ დიდ, თეთრ და მოხდენილ ხელებში. ცოტახნის შემდეგ თავისუფლად იგრძნო თავი და რამდენიმეჯერ გადახედა ბატონ კლოტერიანს და მის მეუღლეს. კლოტერიანმა „აინფრიდის“ პავაზე და პირობებზე წამოიწყო საუ-

ბარი. მისმა მეუღლემ დამახასიათებელი მოხდენილობით ჩაურთო თნგიოდე სიტყვა. შპინელმა თავაზიანად უკანსახმა შეტად ნახი და მართლაც სასიამოვნო ჰქონდა, მაგრამ ნაწყვეტ-ნაწყვეტად ლაპარაკობდა, თან სულს ძლივს ითქვამდა, თითქოს კბილები ენის მობრუნებას უშლისო. ნასადილევს, როცა საზოგადოებამ სადარბაზო ოთახში გადაინაცვლა და დოქტორმა ლეანდერმა ახალ სტუმრებს კარგი დასვენება უსურვა, კლოტერიანის მეუღლე თანამესუფრის ვინაობით დაინტერესდა.

„რა გვარი გახლავთ ის ბატონი?“ იკითხა მან, „შპინელი? კარგად ვერ გავიგე მისი გვარი“.

„შპინელი კი არა — შპინელი, მოწყალეო ქალბატონო. რამდენადაც ვიცი ის იტალიელი არ უნდა იყოს, მგონი, ლევიდან არის“.

„წელან რა ბრძანეთ, მწერალიაო, თუ?“ იკითხა კლოტერიანმა, ყური დოქტორ ლეანდერს მიაპყრო, პირი დაალო, ხელები კარგად მორგებული ინგლისური შარვლის ჭიბებში ჩაიწყო და მოსამენად მოემზადა.

„პო, არ ვიცი, მგონი წერს“, მიუგო დოქტორმა ლეანდერმა, „თუ არ ვცდები, წიგნიც უნდა ქონდეს გამოქვეყნებული; ისიც არ ვიცი რა წიგნია, მგონი, რაღაც რომანი უნდა იყოს“.

ამ „არ ვიცი“ ასე ხშირად გამეორება იმის ნიშანი იყო, რომ დოქტორს მაღალი წარმოდგენა არ ჰქონდა ამ მწერალზე და რაიმე გარკვეულის თქმას გაუტრობდა.

„ეს მართლაც ძალიან საინტერესოა!“ წარმოსთქვა კლოტერიანის მეუღლემ. მას დღემდე არც ერთი მწერალი არ ყავდა ნანახი.

„ო, დიახ“. თავაზიანად მიუგო დოქტორმა ლეანდერმა. „მგონი, პატარა სახელიც აქვს მოხვეჭილი“.

ხოლო ცოტა გვიან, როცა ცოლ-ქმარი დარბაზიდან გავიდა და დოქტორმა ლეანდერმაც წასვლა დააპირა, შპინ-

ნელმა შეაჩერა ის და ჩამოსულების ამბავი გამოკითხა.

„რა გვარია ის წყვილი?“, იკითხა მან, „ცხადია, გაცნობისას ვერაფერი გავიგე“.

„კლოტერიანი“, უპასუხა დოქტორმა ლეანდერმა და ადგილიდან დაიძრა.

„ქმარი რა გვარია?“

„კლოტერიანიები არიან!“ გაიმეორა დოქტორმა ლეანდერმა და გზა განაგრძო, — ყველაფერზე ეტყობოდა, რომ სულაც არ იყო მაღალი აზრის ამ მწერალზე.

სად შეეჩერდით? კლოტერიანი სამშობლოში რომ დაბრუნდა? დიახ, მან ისევ ბალტიის ზღვის სანაპიროს მიაშურა, — თავის ფირმას და ბავშვს. ამ თამამ და ჯან-ღონით სავსე არსებებს, რომელიც დედამისს დიდი ტანჯვისა და ზორხის უმნიშვნელო დაავადების ფასად უღირდა. ახალგაზრდა ქალბატონი „აინფრიდში“ დარჩა და მაგისტრის მრჩევლის ხანდაზმულ მეუღლეს დაუმეგობრდა. ამ კავშირს კლოტერიანის მეუღლისათვის დანარჩენ პაციენტებთან დაახლოებაში ხელი არ შეუშლია—მაგალითად, შპინელთან, რომელმაც ყველას გასაოცრად (მას დღემდე არავისთან უმეგობრნია) ამ ქალისადმი თავიდანვე განსაკუთრებული ყურადღება და აქტიურობა გამოიჩინა. კლოტერიანის მეუღლე თავისუფალ დროს, რასაც მკაცრად განსაზღვრული დღის რეჟიმი უტოვებდა, არც თუ ისე უხალისოდ ემუშაოდა მწერალს.

შპინელი ყოველთვის ფრთხილად და მოწინებით უახლოვდებოდა და იმდენად ხმადაბლა ესაუბრებოდა ქალს, რომ მრჩევლის მეუღლე შპაცს, რომელიც სმენას უჩიოდა, მეტწილად არაფერი ეყურებოდა. ფეხაკრეფით მიდიოდა სავარძელთან, რომელშიც კლოტერიანის ნაზად მომღიმარე მეუღლე გადასვენებულიყო, შორიახლო შეჩერდებოდა, ერთ ფეხს უკან ვასდგამდა, წინ გადაიხრებოდა და მისთვის ჩვეული მანერით, ხმადაბლა ლაპარაკობდა, თან ყოველ წუთს მზად იყო სწრაფად და-

ეხია უკან და გასცლოდა ქალს, როგორც კი მის სახეზე დაღვრულობის ან თავშეწყენის რაიმე ნიშანს ამტკიცებდა. მაგრამ შპინელი თავს არ აბეზრებდა კლოტერიანის მეუღლეს. ქალი სთხოვდა ხოლმე, მათთან ჩამოქდარიყო, ათანაირი კითხვებით მიმართავდა და შემდეგ ცნობისმოყვარედ უსმენდა, ღიმილმორეული, რადგან შპინელი ზოგჯერ ისეთ სასაცილო უჩვეულო რამეს იტყოდა, რაც კლოტერიანის მეუღლეს სხვაგან არსად მოესმინა.

„შინც რა გინდათ „აინფრიდში“, ბატონო შპინელ? რას მკურნალობთ?“ ჰკითხა ერთხელ კლოტერიანის მეუღლემ.

„გემკურნალობ?! ისე ელექტროსხივებს ვლებულობ, მაგრამ ეს სალაპარაკოდაც არ ღირს. გეტყვით აქ რისთვის ვარ, მოწყალეო ქალბატონო. სტილისათვის...“

„პა!“ წამოიძახა კლოტერიანის მეუღლემ, ნიდაყვს დაეყრდნო და გადაქარბებული ყურადღებით მიაჩერდა, ისე როგორც ბავშვებს უყურებენ ხოლმე, როცა რამის მოსაყოლად აქვებენ.

„დიახ, მოწყალეო ქალბატონო, „აინფრიდი“ წმინდა ამპირია. როგორც მითხრეს, იგი ოდესღაც ციხე-დარბაზი, საზაფხულო რეზიდენცია ყოფილა. ეს ფლიგელი გვიანაა მიდგმული, მთავარი შენობა კი ხელუხლებლად არის შემონახული. ხანდახან ისეთ განწყობაზე ვარ, რომ უბრალოდ, ამპირის გარეშე გაძღება არ შემიძლია, ვგრძნობ, იგი აუცილებელია ჩემთვის, რათა ოდნავ მაინც კმაყოფილი ვიყო საკუთარი არსებით. ცხადია, ადამიანი სულ სხვანაირად გრძნობს თავს რბილი და მოხერხებული ავეჯის გვერდით, ვიდრე ამ სწორხაზოვან მაგიდებსა, სავარძლებსა და მოფარდაგებულ კედლებს შორის. ეს ნათელი და მკვეთრი ხაზები, ცივი და მკაცრი უბრალოება, სადღაც დაგროვილი სიმკაცრე ძალას და ღირსებას მანიჭებს. გარკვეული დროის შემდეგ სულიერი ძალების აღდგენას

და განწმენდას იწვევს, მორალურად მამალებს. მოწყალეო ქალბატონო...“

„ეს მართლაც უცნაურია“, ჩაილაპარაკა კლოტერიანის მეუღლემ, „თუ შევეცდები, ალბათ, შევძლებ კიდევ ამის გაგებას“.

ამაზე ბატონმა შპინელმა მიუგო, თავის შეწუხებად არ ღირსო, და შემდეგ ერთად გაიცინეს. გაიცინა მრჩევლის მეუღლე შპაცმაც; ეს ყველაფერი მანაც უცნაურად მიიჩნია, მაგრამ არ უთქვამს ამის გაგებას შევძლებო.

ავადმყოფებს ვრცელ და ლამაზ დარბაზში მოეყარათ თავი. მეზობელი საბილიარდო ოთახის კარი ფართოდ იყო გაღებული. იქ ურჩევებთან მამაკაცები სხვა პაციენტებთან ერთობოდნენ. მოპირდაპირე მხარეს, მინის კარს იქით, ფართო ტერასა და ბაღი მოჩანდა. კარის გვერდით პიანინო იდგა. მწვანე-მწვანედაფარებულ ბანქოს მავიდაზე შპირის სნეულებით შეპყრობილი გენერალი რამდენიმე ავადმყოფს ვისტს ეთამაშებოდა. მანდილოსნები კითხულობდნენ და ხელსაქმობდნენ. დარბაზს რკინის ლუმელით ათბობდნენ, მაგრამ საუკეთესო სამასალათო კუთხედ მაინც ის მოხდენილი ბუხარი ითვლებოდა, რომელშიც მეწამული ფერის ქაღალდის ნაჭრებდაწებებული ბუტაფორული მიუგუხალი ეყარა.

„ბატონო, შპინელ, ადრე ადგომა გიყვართ?“ ჰკითხა კლოტერიანის მეუღლემ, „უკვე ორჯერ თუ სამჯერ მოგყარით თვალი, რვის ნახევარზე გადიოდით სახლიდან“.

„მე მიყვარს ადრე ადგომა?! პირიქით, მოწყალეო ქალბატონო! მართალი თუ ვინდათ, ადრე იმიტომ ვდგები, რომ ძილისგუდა ვარ.“

„რას ბრძანებთ, ბატონო შპინელ, ღვთის გულისათვის ავეცხსენით. მრჩევლის მეუღლე შპაცმაც თქვა, ავეცხსენითო.“

„როგორ ვითხრათ... თუ ადამიანს ადრე ადგომა არ ეზარება, ვფიქრობ, სულ არაა საჭირო, ადრე დგებოდეს. სინილისი, მოწყალეო ქალბატონო, აი

ჩვენი მტკივნეული ადგილი. მე და ჩემისთანები მთელი სიცოცხლეს მანძილზე ღობე-ყორეს ვიდებოდით და ვიღვევთ, რომ დროდადრო თავი მოვიტყუოთ და ჩვენი სინილისი ათასი მანქანებით შექმნილ სიამოვნებას ვაზიაროთ. ჩვენ, მე და ჩემი მსგავსნი, უსარგებლო ადამიანები ვართ და, გარდა ზოგიერთი ლამაზი წუთისა, საკუთარი უსარგებლობის შეგნებით მოწამლულნი და დაავადებულნი დავეხეტებით ამქვეყნად. ჩვენ გვძაცს, რასაც სასარგებლოს უძახიან. ვიცით, რომ ის მდაბალია უმსგავსი. ამ ჰეშმარიტებას ჰაერივით ვუფრთხილდებით და ვიცავთ, სინილისის ქენჯნისაგან მაინც ისე ვართ ნაწამები, რომ ჩვენში უმტკივნეულო ადგილი აღარ არის დარჩენილი. ამასთან, მთელი ჩვენი სულიერი არსებობის ხასიათი, მსოფლმხედველობა, მუშაობა, ძალზე არაჯანსაღად, მოქანცველად და დამლუბველად მოქმედებს ჩვენზე და საქმეს ესეც აუარესებს, მაგრამ არსებობს მდგომარეობის ოღნავ შემამსუბუქებელი საშუალებანი, ურომლისოდაც გაძლება წარმოუდგენელი იქნებოდა, მავალითად, ზოგიერთი ჩვენგანი თავაზიანობის და თავი ის ცხოვრების ზედმეტი ჰიგიენურობის მოთხოვნისგან გრძნობს. ძალზე ადრე ადგომა, ცივი შხაბი და თოვლში გასეირნება ხელს გვიწყობს, რომ ჩვენი თავით მცირე ხანს მაინც რამდენადმე კმაყოფილი ვიყოთ. ნამდვილად როგორცა ვარ, ისე რომ ვიქცეოდე, მერწმუნეთ, შუა დღემდე არ ავდგებოდი საწოლიდან. ჩემი ადრე ადგომა სწორედ რომ თვალთმაქცობაა...“

„პირიქით მე ეს ნებისყოფად მიმჩნია. ხომ ასეა, ქალბატონო შპაც?“ ქალბატონმა შპაცმაც ეს ნებისყოფად მიიჩნია.

„თვალთმაქცობა ან ნებისყოფა, მოწყალეო ქალბატონო. გააჩნია ვის რომელი სიტყვა ურჩევნია. მე სევდამ ისე დამარია ხელი, რომ ყველაფერს.

„სწორედ მაგის ბრალია, ეტყობა, ძალიან ხშირად ხართ ნაღვლიანი“.

„დიხ, მოწყალეო ქალბატონო, ხშირად ვარ ნაღვლიანი“.

კარგი ამინდი დაიჭირა. ყინვიანი, უჭარო, ნათელი დღეები იდგა. თვალის მომპრელად აკაშკაშებულ თოვლში ჩაფლულ გარემოს, მთებს, სახლებს და ბალებს მოლურჯო ჩრდილი გადაჰყვროდა. ნაზი, ლურჯი ცა, რომელზედაც ურიცხვი უმცირესი ბრწყვიალა სხეულაკების მირიადები ციმციმებდნენ, უზადო გუმბათად გადაჰფარებოდა იქაურობას. ბოლო დღეებში კლოტერიანის მეუღლემ მოიკეთა, სიცხემ უკლო, თითქმის აღარ ახველებდა და საქმელსაც ზედმეტად აღარ იზიზღებდა. სამკურნალო რეჟიმის თანახმად ბევრეულში და საბანში შეფუთვნილი ნათელ ყინვიან ამინდში საათობით იჯდა ჩამოთოვლილ ტერასაზე და დარწმუნებული, რომ ეს ზორხს არგებდა, სუფთა და ყინულივით ცივ ჰაერს ისუნთქავდა. ზოგჯერ ბაღში შპინელს მოჰკრავდა თვალს ისიც თბილად იყო გამოწყობილი, ბეწვის უშველგებელი ჩექმები ფანტასტიურად დიდს აჩენდა მის ფეხებს. ფრთხილად აბიჯებდა თოვლში და თან მკლავებს თავისებური გრაციოზულობით მიაქნევდა. როცა ტერასას მიუახლოვდებოდა, მოწიწებით ესაღმებოდა კლოტერიანის მეუღლეს და მოკლე საუბრის წამოსაწყებად კიბეზე რამდენიმე საფეხურით ამოდიოდა.

„ამ დღით, სეირნობის დროს, ერთი ლამაზი ქალი შემხვდა... ღმერთო, რა თვალწარმტაცი იყო!“ თან ხელებს შლიდა და თავს გვერდზე ხრიდა.

„მართლა, ბატონო შპინელ? ამიწერეთ რა, თუ შეიძლება!“

„ვერა ამას ვერ შევძლებ, ვიცი სულ სხვა სურათი გამოვივა. გვერდზე ჩავლისას შევავლე თვალი, წესიერად არც კი შემინებდავს. მის ჩრდილს მოეკარი თვალი და ეს საკმარისი აღმოჩნდა ფანტაზიის გასაღვიძებლად, მისი ლამაზი ხატის დასამახსოვრებლად... ღმერთო ჩემო, რა ლამაზი იყო!“

კლოტერიანის მეუღლეს გაეცინა.

„ბატონო შპინელ, ყოველთვის ასე უცქერით ლამაზ ქალებს?“

„დიახ, მოწყალეო ქალბატონო და ეს უკეთესია, ვიდრე მიწიერებზე დახარბებული ხეპრულად მივაჩნდეთ, სახეში და არასრულყოფილი სინამდვილის შთაბეჭდილება გამოვიყოლო.“

„მიწიერებით დახარბება“.. რა უცნაური სიტყვაა! ნამდვილი მწერლის ენაა, ბატონო შპინელ! მაგრამ გამოგიტყდებით სულს მიფორიაქებს. მასში ჩაქსოვილია რაღაც ისეთი, რისაც ცოტა რამ გამეგება, რაღაც დამოუკიდებელი და თავისუფალი, ისეთი, რაც ამქვეყნიურისადმი უპატივეცემლობას გამოხატავს, თუმცა ისიცაა, რაც კი რამ არსებობს, მათ შორის ყველაზე მეტად ანგარიშგასაწევი ისევ ამქვეყნიურობაა, დიახ, ყველაზე მეტად ღირსი პატივისცემისა... თან იმასაც ვხვდები, რომ გარდა ხელშესახები საგნებისა არსებობს სხვა რაღაც, რაღაც უფრო ნაზი...“

„მე მხოლოდ ერთი სახე ვიცი,“ უცებ წამოიძახა აღელვებულმა შპინელმა, დამუშტული ხელები აღმართა, გაიღიმა და ჩაყვითლებული კბილები გამოაჩინა, „მხოლოდ ერთი სახე ვიცი ისეთი, რომლის ამქვეყნიური კეთილშობილების შეღამაზება ჩემი წარმოსახვით ცოდვა იქნებოდა. რომლის ცქერაშიც წუთებს და საათებს კი არა, მთელს ჩემს სიცოცხლეს გავლევდი, რომელშიც ჩავიკარგებოდი და თავდავიწყებას მივეცემოდი...“

„მართალსა ბრძანებთ, ბატონო შპინელ, მაგრამ ისიცაა, რომ ფროილან ფონ ოსტერლოს ოღნავ დიდი ყურები აქვს.“

შპინელი დადუმდა და წელში მოიხარა. როცა ისევ გაიმართა, დარცხენილი, ტკივილის გამომახტველი თვალები პატარა, უცნაურ, იისფერ ძარღვს მიაპყრო, რომელიც კლოტერიანის მეუღლის სპეტაკ შუბლზე ავადმყოფურად იტოტებოდა.

კლოტერიანის მეუღლეს თავზესაყრელად ჰქონდა თავისუფალი დრო და ფიქრობდა: „უცნაური, აბირებული აღამიანია ის შპინელი!“

ავადმყოფის მდგომარეობა გაუარესდა, არც ხორხი ჰქონდა მთლად კარგად, სისუსტეს მოთენთილობას და უმადობას გრძნობდა, სიცხესაც ხშირად აძლევდა, ალბათ, გამოცვლილმა ჰაერმა დაკარგა გავლენა, ან რაღაც ახალმა მავნე ფაქტორმა იჩინა თავი. დოქტორმა ლენდერმა გადაჭრით ურჩია, წყნარად და მოსვენებით იყავი და თავს უფრო გაუფრთხილდიო. ქალიც, როცა წოლა სავალდებულო არ იყო, მრჩევლის მეუღლე შპაცთან ერთად იჯდა და დუმდა. ჩაიდებდა დიდი ხნის მიტოვებულ ხელსაქმეს კალთაში და ხან ერთი აზრი აეკვიატებოდა, ხან მეორე.

ღიახ, ეს უცნაური შპინელი ფიქრებს აღუძრავდა ქალს და, რაც მთავარია, შპინელზე კი არ ფიქრობდა, არამედ თავის თავზე. შპინელი როგორღაც ახერხებდა მასში უცნაური ცნობისმოყვარეობა, საკუთარი არსებისადმი აქამდე უცნობი ინტერესი აღეძრა. ერთ დღეს ბატონმა შპინელმა სხვათაშორის ასეთი რამ თქვა: „არა, ნამდვილად თავსატეხი არსებანი არიან ქალები, თითქოს ყველაფერი იცი მათ შესახებ და მაინც უყურებ და გიკვირს. აი თქვენს წინაშე საოცარი ქმნილებაა, ფერია, ყვავილივით სურნელოვანი, საოცნებო, ზღაპრული არსება და რას სჩადის ის? ადგება და რომელიმე ბაზრის გოლიათს, ანდა ყასაბს ჩაბარდება. მერე მკლავზე ჩამოეკონწილება, ზედ მიეხუტება, ასეთ ყოფაში გამოგეცხადება და ცბიერი ღიმილით აქეთ-იქით იხედება, თითქოს ამბობდეს, აბა, იმტერიეთ ახლა თავები ამ გამოცანაზეო, — და ჩვენც ვიმტვრევთ თავებს“.

ეს აზრი დიდხანს უტრიალებდა თავში კლოტერიანის მეუღლეს. ერთ დღეს, მრჩევლის მეუღლის გასაოცრად, მათ ასეთი საუბარი გამართეს:

„ნება მიბოძეთ, გკითხოთ, მოწყალეო ქალბატონო, (თუმცა ეს საკმაო კადნიერებაა) რა გვარი ბრძანდებით? თქვენი გვარი მინდა ვიცოდე“.

„ბატონო შპინელ, აკი იცით რომ კლოტერიანი ვარ“.

„ჰმ! როგორ არ ვიცი. უფრო მეტიც,

— მე ამას უარყოფი! ცხადია, ქალიშვილობის გვარს გეკითხებოდა, ყველაფერი გულახდილი და დამეთანხმებოდა, თუმცა ლეო ქალბატონო, რომ ვინც „ქალბატონ კლოტერიანს“ გიწოდებთ, გამათრახების ღირსია“.

კლოტერიანის მეუღლეს ისე გულიანად გაეცინა, რომ წარბებს ზემოთ ლილისფერი ძარღვი ამოებურცა და მის ნაზ და საამო სახეს შემაშფოთებლად დაძაბული და ჩაგრული იერი მოჰქინა.

„რას ბრძანებთ, ბატონო შპინელ! გამათრახება რა მოსატანია. ვანა ისე შემზარავად გეჩვენებთ „კლოტერიანი“!“

„ღიახ, მოწყალეო ქალბატონო, როგორც კი პირველად მოვკარი ყური ამ გვარს, მაშინვე მთელი არსებით შემძულდა. ის სასაცილოა და სასოწარკვეთამდე უმსგავსი. ბარბაროსობა და სიმდაბლეა, რომ ადათის გამო იძულებული ხართ თქვენი მეუღლის გვარი ატართ“.

„მაშ! ეკოფი“. „ეკოფი“ უკეთესია? მაშინგი გვარად ეკოფია“.

„აი, ხედავთ! „ეკოფი“ დიდებულია! ერთი გამოჩენილი მსახიობიც გვარად ეკოფი იყო. თქვენ მხოლოდ მამა ახსენეთ, დედათქვენი?“

„დედა ბევრობაშივე გარდამეცვალა“.

„ჰო! ძალიან ვთხოვთ კიდევ მიამბეთ რამე თქვენს შესახებ. თუ დაიღლებით, არ არის საჭირო. თქვენ ჩუმი იჯექით და ისევ მე ვიამბობთ პარიზის შესახებ. თუმცა ხმადებლა ლაპარაკით არაფერი დაგიშავდებოდათ, თქვენი ჩურჩული ყველაფერს უფრო წარმტაცებს ვახდის. ბრემენში დაიბადეთ, არა?“ — ეს კითხვა ისე უხმოდ, მოკრძალებით და ღრმა აზროვნად წაიჩურჩულა, თითქოს დედაშიწის ზურგზე ბრემენის ბადალი ქალაქი არ მოიძებნებოდა, თითქოს ის ბრწყინვალე წარსულის და შეუძმნეველი სილამაზის ქალაქი იყო, და იქ დაბადება ადამიანს იდუმალ სილიადეს ანიჭებდა.

„თქვენ წარმოიდგინეთ, ბრემენიდან ვარ“, უნებლიედ წარმოსთქვა კლოტერიანის მეუღლემ.

„ერთხელ ვარ იქ ნამყოფი“ შენიშნა ფიქრებში წასულმა შპინელმა.

„ღმერთო ჩემო, იქაცა ხართ ნამყოფი? ბატონო შპინელ, თქვენ ტუნისსა და შპიცბერგენს შორის ყველა კუთხე გექნებათ მოვლილი“.

„დიახ, ერთხელ ჩავედი იქ“, გაიმეორა შპინელმა. „მხოლოდ ერთი საღამო, სულ ორიოდ საათი გავატარე. რა დამაფიქრებს ძველ ვიწრო ქუჩას, წაწვეტებულ სახურავებზე აღმაცერად გადმოკიდებულ მთვარეს. მერე რომელიღაც სარდაფში ამოვყავი თავი, იქ ღვინის და შმორის სუნი იდგა. აუღელვებლად ვერ ვიგონებ იმ დღეს“.

„ნუთუ მართლა ნეტა რომელ ქუჩაზე იქნებოდით? მეც წაწვეტებულ სახურავიან, ვაჭრის ძველებურ სახლში დავიბადე. ჩვენი სახლი რუხად იყო შეღებილი, კრიალა იატაკი და შეთეთრებული ტალანი ქონდა.“

„მამათქვენი ვაჭარია?“ ცოტა არ იყოს ყოყმანით იკითხა შპინელმა.

„დიახ, ვაჭრობას მისდევს, მაგრამ მოწოდებით ნამდვილი ხელოვანია“

„აი, ზედავთ! მაინც რითაა გატაცებული?“

„ვიოლინოზე უკრავს... მაგრამ ეგ როდია მთავარი. რანაირად უკრავს, აი ესაა საქმე, ბატონო შპინელ! ზოგიერთი მელოდიის მოსმენა მწველ ცრემლს მგვრიდა ყოველთვის. ასეთი ცრემლის გამოწვევა სხვა არავითარ განცდას არ შეეძლო... თქვენ აღბათ, არა გჯერათ...“

„არა მჯერა?! რას ბრძანებთ, როგორ არა მჯერა... მითხარით, მოწყალეო ქალბატონო, თქვენი გვარი ძველი წარმოშობისაა? აღბათ, მრავალმა თაობამ იცხოვრა, იმუშავა და სული დალია სახურავწაწვეტებული რუხი სახლის პერქვეშ?“

„დიახ, მრავალმა. მაინც რად კითხულობთ ამას?“

„იმიტომ, რომ არც ისე იშვიათია, როცა ბიურგერული და პრაქტიკული, მკაცრი ტრადიციების გვარი თავისი არსებობის უკანასკნელ წლებს კვლავ ხელოვნებით აკეთილშობილებს.“

„ნუთუ ასეა? რაც შეეხება მამას, ის უდავოდ უკეთესი ხელოვნებით ვიდრე ზოგიერთები, ხელოვნებით ვიდრე დებენ თავს და დიდებით ცხოვრობენ. მე ცოტას ვუკრავ ფორტეპიანოზე. ახლა ამიკრძალებს. ადრე კი, სახლში, მამასთან ერთად ვუკრავდი. დიახ, იქ გატარებული წლები სასიამოვნო მოგონებად დამრჩა. განსაკუთრებით ცხადად მახსოვს სახლს უკან ხავსმოდებული მორღვეული გალავანშემოვლებული ბაღი, რომელიც გულის მომკვლელად იყო გატყუარებული და მიგდებული. მაგრამ სწორედ ამით იყო ის ამაღლვებული და მიმზიდველი. ბაღის გულში შროშანებით გარშემორტყმული შადრევანი იყო აღმართული. მე და ჩემი მეგობარი ვოგონები საათობით ვისხედით ზაფხულში პატარა საეკეც კამებზე შადრევნის ირგვლივ.“

„რა კარგია!“ წარმოთქვა შპინელმა და მხრები აიწურა, „ისხედით და მღეროდით, არა?“

„არა, უფრო ხშირად ვკარგავდით.“

„სულ ერთია მაინც, მაინც შესანიშნავია!“

„მე და ჩემი ექვსი მეგობარი ვოგონა, ვკარგავდით და ვლაქლაქებდით.“

„ოჰ, რა კარგია! ღმერთო ჩემო, გესმით რა ჩინებულაია!“ წამოიძახა შპინელმა და სახე შეეცვალა.

„მაინც რა არის ამაში ასე განსაკუთრებით კარგი. ბატონო შპინელ?“

„ო-ო, ის, რომ თქვენს გარდა იქ კიდევ ექვსნი იყვნენ: ის, რომ თქვენ მათ რიცხვში კი არ ერთეთ, არამედ დედოფალივით იყავით გამორჩეული ექვს მეგობარში, უხილავი, მაგრამ ფრიად მნიშვნელოვანი, ოქროს პატარა გვირგვინი გედგათ თავზე და ციმციმებდა.“

„სისულელეა, საიდან მოიტანეთ ეს. არავითარი გვირგვინი...“

„იღუმალად ის მაინც ციმციმებდა... იმ დროს ბარდებს რომ ვყოფილიყავ ამოფარებული, თქვენს თმებში ცხადად დავინახავდი გვირგვინს, აუცილებლად დავინახავდი“.

„ღმერთმა უწყის, რას დაინახავდით. თქვენ არ მდგარხართ მაშინ იქ, მომავალი ჩემი მეუღლე კი მამაჩემის თანხლებით გამოვიდა ბუჩქებიდან და თავს წაგვადგა. მგონია, ჩვენს ლაქლაქსაც მოჰკრეს ყური.“

„მამ, იმ ბაღში ვაიციანთ თქვენი პატრიარქული მეუღლე, მოწყალეო ქალბატონო?“

„ღიას, იქ გავიცანი.“ ხმამაღლა და მხიარულად უპასუხა კლოტერიანის მეუღლემ და როცა გაიღიმა, წარბებს ზევით ნაზი, იისფერი ძარღვი უცნაურად დაეძაბა, „იცი, ის რაღაც საქმეებზე ესტუმრა მამას, მეორე დღისათვის ჩვენგმა სადილად მოიწვიეს, სამი დღის შემდეგ კი ჩემი ხელი ითხოვა.“

„მართლა ასე უეცრად მოხდა ყველაფერი?“

„ღიას... უფრო სწორედ, ამის შემდეგ საქმე ოდნავ შეფერხდა, რადგან, უნდა მოგახსენოთ, მამა სიხარულით არ შეხვედრია ამ ამბავს და მოსაფიქრებლად საკმაოდ დიდი დრო მოითხოვა — ჯერ ერთი, არ ვეთმობოდი, მეორეც, სხვა რაღაც აეჭვებდა, მაგრამ...“

„მაგრამ რა?“

„მაგრამ თვითონ მოვისურვე.“ სიცილით მიუგო მან და მკრთალმა იისფერმა ძარღვმა სანდომიან სახეს ისევ შემაშფოთებელი და ავადმყოფური იერი მისცა.

„აჰ, თქვენ მოისურვეთ!“

„ღიას და როგორც ხედავთ, მართლაც მტკიცე და სანაქებო ნებისყოფა გამოვიჩინე.“

„როგორც ვხედავ... ღიას, ღიას.“

„ისე რომ, ბოლოსდაბოლოს, მამა იძულებული გახდა დათანხმებულიყო.“

„და თქვენ მიატოვეთ მამა და ვიოლინო, მიატოვეთ ძველისძველი სახლი, ბარდმოდებული ბაღი, შადრევანი, თქვენი ეჭვისი მეგობარი ვოკონა და ბატონ კლოტერიანს გაჰყევით.“

„ღიას, გავყევი... რა უცნაურად ლაპარაკობთ, ბატონო შპინელ! პირდაპირ ბიბლიურად! ჰო, ყველაფერი მივატოვე, რადგან ასეთი იყო განგების ნება.“

„ღიას, მისი ნება მართლაც ასეთია.“

„და თანაც საქმე ჩემს ბედნიერებას ეხებოდა.“

„ცხადია. და თქვენ ეწიეთ იმ ბედნიერებას?“

„ბედნიერება მაშინ მეწია, ბატონო შპინელ, როცა პირველად მომიყვანეს პატარა ჯანმრთელი ანტონი, ჩვენი პატარა ანტონი. როცა ის თავისი პაწია, ჯანსაღი ფილტვებით ძალუმად და სალად აყვირა..“

„მოწყალეო ქალბატონო, პირველად როდის ჩამოაგდეთ სიტყვა თქვენს პატარა ანტონის ჯანმრთელობაზე. ეტყობა ის ჯანდონითაა სავსე.“

„მართლა ასეთია, თან რა სასაცილოდ ჰგავს ჩემს მეუღლეს!“

„აჰა! თი თურმე რანაირად მოხდა ყველაფერი და თქვენ ახლა ეკოფის ნაცვლად სხვა გვარს ატარებთ, გყავთ ჯანდონით სავსე ანტონი და ოდნავ გაწუხებთ ხორხი.“

„ღიას, ასეა. დამერწმუნეთ, თქვენ მეტისმეტად უცნაური ადამიანი ბრძანდებით. ბატონო შპინელ.“

„ღმერთმა შემრისხოს, თუ ნამდვილად ასე არ იყოს!“ კვერი დაუკრა მრჩველის მეუღლე შპაცმა, რომელიც ამჯერად შეესწრო მათ ლაპარაკს.

ამ საუბარმაც ბევრჯერ ჩააფიქრა კლოტერიანის მეუღლე. თითქოს არაფრის მთქმელი იყო ის, მაგრამ მის სიღრმეში მაინც მიჩქმალულიყო რაღაც ისეთი, რაც ქალის აზრებს ასაზრდოებდა — ეს აზრები უპირატესად საკუთარ თავს უტრიალებდა. იქნებ ეს აზრები იყო, ბოლო დროს მის ჯანმრთელობას რომ ვნებდა. ავადმყოფს სისუსტე მოერიო, ხშირად აცხელებდა და ნელი ხურვებით შეპყრობილი სამო ბურუსში გრძნობდა თავს. ჩაფიქრებული, თვითკმაყოფილი და ოდნავ განაწყენებული იწვა, როცა ის სავარძელში იჯდა, შპინელი ფეხაქრფით, უჩვეულო სიფრთხილით უახლოვდებოდა, შენერდებოდა ორიოდ ნაბიჯზე და მისკენ გადაიხრებოდა და ჩურჩულში გადასული ხმით დიდხანს ელაპარაკებოდა; ამ ხმას ქალი

თითქოს სადღაც ზევით აჰყავდა და ფრთხილად ახვევდა ღრუბლის ქულებში, სადაც ვეღარ ატანდა მკვეთრი ბგერები და ყოველგვარი მიწიერი განცდა ქრებოდა. ამ დროს ქალს ახსენდებოდა, როგორ მიმართავდა მეუღლე: „ფრთხილად გაბრიელ, take care, ჩემო ანგელოზო“. ახლა ეს სიტყვები ისე მოქმედებდა, თითქოს ქმარი კეთილი გრძნობით, მაგრამ უხეშად უთათუნებდა მხარზე ხელს. მერე სწრაფად იცილებდა ამ მონგონებს, რომ შპინელის მიერ მზრუნველად გაფენილ ღრუბლის ქულაზე მისვენებული საამო სისუსტეს და ამძლეულ გრძნობას მისცემოდა.

ერთ დღეს კლოტერიანის მეუღლე მოულოდნელად დაუბრუნდა შპინელთან გამართულ საუბარს მისი წარმოშობისა და ქალიშვილობის წლების შესახებ:

„ნუთუ მართლა დაინახავდით ჩემს თავზე გვირგვინს?“ ჰკითხა შპინელს.

თუმცა იმ საუბრის შემდეგ თითხმეტიოდღე დღე იყო გასული, შპინელი უმალ მიხვდა, რას ეკითხებოდა და ამძლევებელი სიტყვებით მოჰყვა რწმუნებას: იქ რომ ყოფილიყო, როცა ის შადრევანთან ექვს მეგობარ გოგონას შორის იჯდა, მის თმებში გვირგვინს, იდუმალად აციმციმებულ პატარა გვირგვინს დაინახავდა.

რამდენიმე დღის შემდეგ რომელიღაც პაციენტი თავაზიანობის გამო პატარა ანტონის ჯანმრთელობით დაინტერესდა. კლოტერიანის მეუღლემ ნაჩქარევად გადახედა მახლობლად მდგომ შპინელს და ოდნავი მოწყენით უპასუხა: „გამადლობთ, როგორ უნდა იყოს. ისიც და ჩემი მეუღლეც კარგად არიან“.

თებერვლის მიწურულში, ერთ ყინვიან დღეს, რომელიც განვლილ დღეებზე უფრო მოწმენდილი და ნათელი იყო, „აინფრიდი“ უცებ გამოცოცხლდა. გულის მანკიანი ავადმყოფები აღზნებული სახით რაღაცაზე დაობდნენ ერთმანეთში. შაქრის ავადმყოფობით

დაავადებული გენერალი ჯანმრთელობით და ურჩევებზე დასჯილ ტებს სიხარულისაგან თვევდა. „ქალაქი არეული. რაში იყო საქმე? — დიდი არაფერი — მარხილებით ჯგუფურ გასეირნებას აპირებდნენ მთებისაკენ, ეფენების წკრიალი და შოლტების ტყლაშუნი იქნებოდა. ეს დოქტორმა ლეანდერმა მოიფიქრა პაციენტების გასართობად.“

ბუნებრივია „მომიყვებს“ სანატორიუმში დარჩენა მოუწევდათ. გასეირნების მონაწილენი შეთანხმდნენ, მათთვის არაფერი გაემხილათ. ყველას სიამოვნებდა, თანაგრძნობის და ცოტაოდენი ყურადღების გამომჟღავნების საშუალება რომ მიეცა. მაგრამ ზოგიერთმა, ვისაც დაუბრკოლებლად შეეძლო გასეირნება, უარი განაცხადა. რაც შეეხება ქალბატონ ოსტერლოს, ვერავენ დასდებდა ბრალს, რომ შინ რჩებოდა. მასავით უამრავი მოვალეობით დატვირთულ ადამიანს უფლებაც არა აქვს მარხილით გასეირნებაზე იფიქროს. სანატორიუმის მეურნეობა უმისობას ვერ იტანდა. ერთი სიტყვით, ქალბატონი ოსტერლო „აინფრიდში“ დარჩა. მაგრამ კლოტერიანის მეუღლემაც რომ დარჩენის სურვილი გამოთქვა, ეს უკვე არაფერს გავდა. ამოდ ურჩევდა დოქტორი ლეანდერი სუფთა ჰაერზე გასეირნებას. ამით ხორხსაც არგებო, მაგრამ ქალი ირწმუნებოდა, საამისო განწყობა არა მაქვს, შაკიკი მაწუხებს, თავს სუსტად ვგრძნობო და ბოლოს იძულებული ვახდენ დახსნოდნენ. ამან ერთ ოხუნჯ და ცინიკოს პაციენტს შენიშვნის საბაბი მისცა:

„აი ნახეთ, დამპალი ძუძუმწოვარაც თუ წამოვიდესო“.

ის მართალი აღმოჩნდა. შპინელმა განაცხადა, — ნაშუადღევს სამუშაო მაქვსო, — თავის ვითომდა შრომას, დიდის ხალისით არქმევდა „მუშაობას“. ეგეცაა, რომ მის დარჩენას არავინ დაულონებია. არც იმაზე მოუკლავთ თავი, რომ მარხველის მეუღლე შპაცმა, რომელსაც მგზავრობისას გულს აზიდებ-

და, ახალგაზრდა მეგობართან დარჩენა გადაწყვიტა.

სადილის დამთავრებისთანავე, რომელიც დღეს თორმეტი საათისათვის გადმოიტანეს, მარხილები „აინფრიდის“ წინ ჩამოდგნენ და თბილად შეფუთონილი ცნობისმოყვარე და აღელვებული დამსვენებლები ბაღზე გავლით მხიარულ ჭგუფებად დაიძრნენ მათენ. მიმავლებისათვის თვალი რომ ედევნებინათ, კლოტერიანის მეუღლე ქალბატონ შპაცთან ერთად ტერასის მინის კართან იდგა, ხოლო ბატონი შპინელი — თავისი ოთახის ფანჯარასთან. მათ დანახვს ხუმრობასა და სიცილკისკისში როგორ იზრძოდნენ უკეთესი ადგილებისათვის, როგორ დარბოდა ყელზე ბეწვის ბუამოხვეული ქალბატონი ფონ ოსტერლო ერთი მარხილიდან მეორისაკენ, როგორ ალაგებდა სანოვავით სავსე კალათებს სკამებზე, როგორ გადახედა შუბლზე ბეწვის ქუდამოფხატულმა ლეანდერმა მოელვარე სათვალეებით ყველას, შემდეგ თვითონაც ჩაქდა მარხილში და ადგილიდან დაძვრის ნიშანი მისცა. ცხენებმა გაიწიეს, რამდენიმე მანდილოსანმა წამოიკივლა და უკან გადაიქცა, ეყენები აელარუნდა, მოკლე ტარისანმა მათრახებმა გაიტყლამუნეს და გრძელი ენები მარხილის კავებს უკან ათორიეს. ქალბატონი ოსტერლო ვისოსიან ჭიშკართან იდგა და ვიდრე მარხილებზე ამხედრებული საზოგადოება შარავზის მოსახვევში თვალს არ მიეფარა, ცხვირსაზოცს იჩნევდა. მერე ბალი გადაიარა და საქმეს მიაშურა. მანდილოსნები მინის კარს მოსცილდნენ. ბატონმა შპინელმაც ზუსტად იმავე დროს მიატოვა თავისი სათვალთვალო პუნქტი.

„აინფრიდი“ მყუდროებამ მოიკცა. ექსკურსიაზე წასულებს საღამომდე არ ელოდნენ. „მძიმეები“ თავიანთ ოთახებში იწვნენ და იტანჯებოდნენ. კლოტერიანის მეუღლემ და მისმა უფროსმა მეგობარმა ცოტა გაისეირნეს, შემდეგ თავთავიანთ სავანეს დაუბრუნდნენ. ბატონი შპინელიც ოთახში იჯდა და

თავისებურად საქმიანობდა. ოთხი სკათისათვის მანდილოსნებს კრებულებზე ვარი ლიტრი რძე მიაარტყეს. ქალბატონმა შპინელმა კი თავისი ბაცი ჩაი დალია. ცოტახნის შემდეგ კლოტერიანის მეუღლემ შპაცის და მისი ოთახის გამყოფ კედელზე დააკაუნა და გასძახა.

„სადარბაზო ოთახში ხომ არ ჩავიდეთ, ქალბატონო შპაც? უსაქმობამ ლამის სული შემიხუთოს“.

„ამ წუთას, საყვარელო, თქვენი ნებართვით, ფეხზე. ჩავიცვამ, რადგან, იცით, საწოლზე მივწეკი და“... გამოეპასუხა მრჩეველის მეუღლე.

როგორც მოსალოდნელი იყო, სადარბაზო ოთახში არავინ დახვდათ. მანდილოსნებმა ბუხართან მოიკალათეს. მრჩეველის მეუღლე ტილოს ნაპერზე ყვავილების ამოქარგვას შეუდგა. კლოტერიანის მეუღლემ კი რამდენჯერმე ამოუყარა ნემსი, შემდეგ ხელსაქმე კალთაში ჩაიდო და სავარძლის სახელურებს დაყრდნობილი ოცნებაში ჩაიძირა. მერე ისეთი რაღაც თქვა, რაც ენის განძრევად არ ღირდა, მაგრამ რაკი შპაცმა მაინც იკითხა „რა თქვიო?“ იძულებული გახდა უხალისოდ გაემეორებინა ნათქვამი. შპაცმა ისევ იკითხა, „რაო?“ — ამ დროს დერეფნიდან ფეხის ხმა მოისმა, კარი გაიღო და დარბაზში ბატონი შპინელი შემოვიდა.

„ხელი ხომ არ შეგიშალეთ?“ ზღურბლიდანვე იკითხა სასიამოვნო ხმით, თან როგორღაც ფაჭიზად და ჰეროვნად გადმოხრბილი თვალს არ ამორებდა კლოტერიანის მეუღლეს.

ახალგაზრდა ქალბატონმა უპასუხა:

„ო, სულაც არა! ვერ ერთი, ეს დარბაზი ხომ ყველასათვის ნავთსაყუდელივითაა და თანაც რაში უნდა შეგეშალათ ხელი. ქალბატონ შპაცს რომ თავი შეეაწყინე, ამაში ექვი არ მეპარება“.

ბატონმა შპინელმა საპასუხო სიტყვა რომ ვერ იპოვნა, გაიღმა, ჩაყვითლებული კბილები გამოაჩინა და მანდილოსნების ყურადღებისაგან ოდნავ შეზორკილი ნაბიჯებით მინის კართან მი-

ვიდა; რამდენადმე უზრდელად ზურგი შეაქცია ქალებს და ბალში დაიწყო ცქერა, შემდეგ გვერდზე შებრუნდა და ბალისთვის თვალისმოუწყვეტლად თქვა:

„მზე ღრუბლებში გაეხვია, თანდათან მოიბურთა და ბინდი ჩამოწვა“.

„მართლა ყველაფერს ჩრდილი გადაეფარა“. უპასუხა კლოტერიანის მეუღლემ, ჩვენი ექსკურსანტებს, ალბათ, თოვლი მოუსწრებს. გუშინ ამ დროს ჯერ კიდევ ნათელი იდგა, ახლა კი ბინდდება“.

„ოკ, ამ ერთმანეთზე გადაბმული მზიანი ღრეების შემდეგ თვალმა მოისვენა, — წარმოსთქვა ბატონმა შპინელმა — დიდად მაღლიერი ვარ მზისა, რომელიც მშვენიერს და მდაბალს ერთნაირი გულმოდგინებით ჰყენს სხივებს“.

„მზე არ გიყვართ, ბატონო შპინელ?“
„რომელი მხატვარი მე ვარ... ადამიანი უშუალოდ უფრო მშვიდად გრძნობს თავს და სულში ღრმავდება. შეხედეთ სქელ, ლეგა ღრუბელთა ფენას. ეს, ალბათ, იმის ნიშანია, რომ ხვალ დათბება. სხვათაშორის, გირჩევთ ხელსაქმეს შეეშვათ“.

„ო, რჩევით ნუ შეწუხდებით. არც სინათლეზე ვაკლავდით თავს. მაგრამ ისიც რომ არ ვიცი, გული რას გადავავლოთ“.

შპინელი, პიანინოს წინ, მბრუნავ სკამზე ჩამოჯდა და ცალი ნიდაყვით სახურავს დაეყრდნო.

„მუსიკა... ნეტავი მას, ვისაც საშუალება აქვს მუსიკა მოისმინოს! ზოგჯერ ინგლისელი ბავშვები თუ წაიმღერებენ პატარა ზანგურ სიმღერებს — სულ ეს არის და ეს“.

„და კიდევ გუშინ ნაშუადღევს ქალბატონმა ოსტერლომ რაღაც სასხვათაშორისოდ დაუკრა „მონასტრის ზარები“, — დასძინა კლოტერიანის მეუღლემ.

„თქვენ ხომ უკრავთ, მოწყალეო ქალბატონო“, წარმოსთქვა შპინელმა და
6. „მნათობი“, № 1.

ადგა, „უწინ აკი ყოველდღე უკრავდით მამათქვენთან ერთად“.

„ბატონო შპინელ, მოგგონებოდათ ეს უწინ იყო, როცა შადრევანი ემართებოდა“.

„დღესაც დაუკრით!“ სთხოვა შპინელმა, „ერთხელ მაინც მომასმენინეთ ორიოდ ტაქტი. რომ იცოდეთ, როგორ მწყურია...“

„ბატონო შპინელ, დოქტორმა ლეანდერმა და ოჯახის ექიმმაც სასტიკად ამიკრძალა დაკვრა“.

„ისინი აქ არ არიან... არც ერთია აქ და არც მეორე! ჩვენ თავისუფალნი ვართ, მოწყალეო ქალბატონო! სულ რაღაც ორიოდ აკორდი...“

„არა, ბატონო შპინელ, ასე არაფერი გამოვა. ვინ იცის რა საოცრებას არ მოელოთ ჩემგან! მე კი, მერწმუნეთ ყველაფერი გადამავეიწყდა. ზეპირად თითქმის არაფერი მახსოვს“.

„პო და თქვენც ეს „თითქმის აღარაფერი“ დაუკრით! სწორედ ჩვენს ბედზე აქ ნოტებიც არის. აი, აქ, პიანინოს თავზე აწყვია. არა, ეს არაფრად ვარგა. აი, ნახეთ, ეს შობენია...“

„შობენი?!“

„ღიახ, ნოქტიურნები გახლავთ. ის და გვაკლია, სანთლები ავანთო...“

„არა, ვერ დაუკრავ, ბატონო შპინელ! აკრძალული მაქვს. რომ მავნოს!“

შპინელი დადუმდა, გრძელ, შავ პიჯაკში გამოწყობილი, შექალაქავებული. უწვერულვამო, ხელუბდაშვებული, იდგა ვეება ფეხებზე და სახეზე სანთლის შუქი ეცემოდა.

„რაკი გეშინიათ, რომ დაკვრით თქვენს ჯანმრთელობას ავნებთ, მეტს აღარ გთხოვთ,“ — წარმოსთქვა ბოლოს ხმადაბლა, „დღე, უსიცოცხლო და მღუმარე დარჩეს მშვენიერება, რომელიც თქვენს თითებს შეეძლო აემეტყველებინა. ყოველთვის რომ არ იჩენდით ასეთ გონიერებას! ყოველშემთხვევაში როცა საქმე სწორედ თქვენს მშვენიერების დაცვას ეხებოდა, არ გამოგიჩენიათ, მაშინ, როცა შადრევანი მიატოვეთ და გვირგვინი მოიხადეთ,

სულ არ ზრუნავდით თქვენს ჩანმრთელობაზე და გაცილებით მტკიცე და ურყევე ნებისყოფა გამოამკლავინეთ... მომისმინეთ, განაგრძო მცირე დემილის შემდეგ და ხმას უფრო დაუწია, — „თუ ახლა ინსტრუმენტს მიუჭდებით და დაუკრავთ, როგორც ოდესღაც, როცა მამათქვენი გვერდში გედგათ და თავისი მელოდიებით ცრემლს გგვრიდათ... შესაძლოა ის, ის პატარა ოქროს გვირგვინი კვლავ იღუმალად აციმციმდეს თქვენს თმაში...“

„მართლა?“ იკითხა ქალმა და გაიღიმა. ხმამ ანაზღად უმტყუნა, სიტყვა შუაზე გაუწყდა, მერე ხმა ჩაიწმინდა და დაუმატა — „ეგ ნამდვილად შოპენის ნოქტიურნებია?“

„ნამდვილად. გადაშლილია და ყველაფერი მზად არის.“

„მაშინ, ლეთის შეწვენით, ერთ-ერთ მათგანს დაეუკრავ. მაგრამ მხოლოდ, ერთს, გესმით. თუმცა ამითაც სამუდამოდ დაგიკარგავთ ჩემი მოსმენის ხალისს.“

იგი წამოდგა. ხელსაქმე გადადო და პიანინოსთან მივიდა, მბრუნავ სკამზე ჩამოჯდა, რომელზედაც ნოტების რამდენიმე შეკვრა იდო, სწითლები მიანათა და გადაფურცლა. შპინელმა სკამში მიიღგა და მუსიკის მასწავლებელივით გვერდზე მიუჭდა. ქალმა ნოქტიურნი მიბემოლ-მაყორი, ოპუსი № 2 შეასრულა. თუმცა დაკვრა ოდნავ გადავიწყებოდა, მაგრამ, ეტყობოდა, მისი ადრინდელი ოსტატობა არტისტულად სრულყოფილი უნდა ყოფილიყო. პიანინო საშუალო ღირსებისა იყო. მაგრამ თავიდანვე ცხადი გახდა, რომ დაპყვრელა უტყუარი გემოვნებით ფლობდა ინსტრუმენტს. მუსიკალური ფრაზის შესრულების დროს ბგერათა გრძნობის ჩინებული უნარი, დახვეწილი გემოვნება გამოამკლავნა; მთელი არსებით მიეცა ნაწარმოების რიტმს და ამით უდიდეს სიამოვნებას განიცდიდა. აღებული აკორდები ერთდროულად ნაზიც იყო და მტკიცეც. მის თითებში მელოდია უკიდურესი

სიტკბოებით ქლერდა და მას აკომპანიმენტი მდორედ ერწყმოდა. ქალი იმ სამოსელში გამოწყობილი, ჩამოსვლის დღეს რომ ეცვა — თალხი, მჭიდროდ ნაქსოვი პლასტიკური ხავერდის არაბესკებიანი კაბა, რომელიც მის თავსა და ხელებს არამქვეყნიურ სინაზეს ფენდა. დაკვრის დროს სახის გამომეტყველება არ შეცვლია, მაგრამ ბაგეთა მოხაზულობა თითქოს უფრო გაუმკვეთრდა. თვალის უბებში ჩამოწოლილი ჩრდილი გაუმუჭდა. დაკვრას რომ შორჩა, ხელები კალთაში ჩაიწყო და ნოტებისათვის თვალი არ მოუფშორებია. შპინელი ვარინდებული იჭდა.

ქალმა კიდევ ერთი ნოქტიურნი დაუკრა. შემდეგ მეორე, მესამე, მერე წამოდგა, მაგრამ მხოლოდ იმიტომ, რომ პიანინოს თავზე სხვა ნოტები მოექცენა. ბატონმა შპინელმა მბრუნავ სკამზე დალაგებული შავ ყდაში ჩასმული ტომები აიღო, უცებ გაურკვეველი ბგერა აღმოხდა და დიდი, თეთრი ხელებით მივიწყებული ტომებიდან ერთ-ერთს გაფაციცებულმა დაუწყო ფურცვლა.

„შეუძლებელია! დაუჭერებელია!“ წამოიძახა მან, „თუმცა არ შეგმცდარავარ! იცით რა არის ეს?... რა იდო აქ?. იცით რა მიკავია ხელში?...“

„რა?“ იკითხა კლოტერიანის მეუღლემ.

შპინელმა უხმოდ მიუთითა თავფურცელზე. სახეზე ზაფრანის ფერი ედო. წიგნი დაბლა დაუშვა და ათრთოლებული ტუჩებით მიაჩერდა ქალს.

„ნუთუ მართლა? საიდან გაჩნდა აქ? მომეცით ერთი!“ უბრალოდ წარმოსთქვა კლოტერიანის მეუღლემ, ნოტები პიუპიტრზე ჩამოდო, სკამზე დაეშვა და მცირე ხნის სიჩუმის შემდეგ პირველი გვერდის დაკვრა დაიწყო.

შპინელი გვერდით ეჭდა, წინ გადახრილიყო, ხელები მუხლებშუა მოექცია თავი ჩაექნინდა. ქალი დასაწყისის გამალიზიანებელი სიღინჯით უკრავდა, ცალკეულ ფრაზებს შორის პაუზებს მომქანცველად აკიანურებდა. სევდის

მოტივმა, ეულმა და წყვილიადში მოხე-
ტიალე ხმამ გაუბედავად შემოაპარა
კითხვა. დუმილი და მოლოდინი. და აი,
პასუხიც—იგივე გაუბედავი და ეული
მელოდია, ოლონდ უფრო ნათელი, უფ-
რო ნაზი. ისევ დუმილი, შემდეგ სიყვა-
რულის მოტივი შემოიჭრა ყრუ და სა-
ოცარი სფორცანდოთი, რაიც ნეტარი
სულიერი ვნების აწყვეტას და აღმაფ-
რენას გაგონებს, აღზნებული ზევით
აეცურდა და სადღაც ტკბილ ნაკადად
შთაინთქა. მეუე დაუქალტა ამ ვნებამ
და დაეშვა. ჩელოებმა გულში ჩამწვდო-
ში ხმებით აიტაცეს მელოდია და მძიმე,
ტკივილებით აღსავსე ნეტარებაზე გამ-
სკვალავი სიმღერა განაგრძეს.

ქალი წარმატებით ცდილობდა უმ-
წეო ინსტრუმენტი ორკესტრით აე-
ქლერებინა. მაღალ პასაჟებში ბრწყინ-
ვალე სიზუსტით ახშიანუნენ ვოლი-
ნობი. ქალი გატაცებით უკრავდა,
გულდასმით უტრიალებდა თვითეულ
სახეს და როგორც მოძღვარი აღმარ-
თავს ზოლმე ყოვლადწმინდის სახებას,
ჩეთა მოკრძალებით და სიკვეთრით
ასრულებდა ყოველ ნაწილს. რა ხდე-
ბოდა? ორი ძალა, ორი აღტკინებული
არსება ვნებით და ნეტარებით ელ-
ტვოდა ერთურთს და მარადიულის და
აბსოლუტურის. ნდომით აღზნებული
თავდაეწყებით ეკვროდა გულში. შესა-
ვალი ნაწილი კიდევ ერთხელ აქლერდა
და მიჩუმდა. დაკვრა იმ დროს შეწყდა
როცა ფარდა იხსნება. კლოტერიანის
მეუღლე მდუმარედ მისჩერებოდა ნო-
ტებს. ამასობაში შაკის მოწყენილო-
ბამ იმ დონეს მიადწია, ადამიანს სახე
რომ ემანჭება, თვალები ღამის ბუდი-
დან ამოუცვივდეს და შიშის მომ-
გვრელი მიცვალებულის გამომეტყ-
ველებას ღებულობს. ამას გარდა, ასეთ-
მა მუსიკამ კუშის ნერვებზე იმოქმედა,
ამ დისპეპტიურ ორგანიზმს შიში მოპ-
გვარა და საქმე იქამდე მივიდა, რომ
მრჩევლის მეუღლეს შეიძლება კრუნ-
ჩხვის შეტევები დამართოდა.

„ოთახში დავბრუნდები“, მისუსტე-

ბული ხმით წარმოსთქვა მან, უკრავად
იყავით, მე წავალ“, და წაქვდნა
სალამოს ბინდში ღამე შემოაქვდა
რეთ ბარდნიდა. ტერასას უხმოდ ეფი-
ნებოდა თოვლი. დარბაზში სინათლის
აცანცახებული შუქი ირხეოდა და მკრ-
თალაუ ანათებდა იქაურობას.

„მეორე მოქმედება“, წაიჩურჩულა
შპინელმა.

ქალმა რამდენიმე ფურცელი გადა-
შალა და მეორე მოქმედების დაკვრას
შეუდგა.

ბუკის ხმა შორს დაირხა. იქნებ ეს
ფოთოლთა შრიალი იყო, ანდა ანკარა
წყაროს რაკრაკი? სახლი და მიდამო
მდუმარებამ მოიცვა. არავითარ ლოცვა-
ვედრებას აღარ ძალუძდა მოძალეებელი
ვნების დაოკება. აღსრულდა წმინდა
საიდუმლო. გაქრა ჩირადღანი. ანაზღად
მომსკდარ ხმებს სიკვდილის თემა შე-
უერთდა და მტანჯველმა სევდამ გახე-
ლებული მოუთმენლობით თეთრი სუ-
ღარა შეაგება სატრფოს, რომელიც
მკლავებგაშლილი წყველიაღში მიჰყენ
მიილტვოდა.

ო, საგანთა მიღმა შეერთების აღუე-
სებელო და დაუქმაყოფილებელო აღ-
ტკინება! მტანჯველ ცდომილებას აღ-
წვეს თავს, დროისა და სივრცის ბორ-
კილებს გაურბის და ჩემი და შენი არ-
სება, ჩემი და შენი სული ზეციური ნე-
ტარებისათვის ერწყმის ერთმანეთს.
ღღის შზაკერულმა აჩრდილმა შესძლო
მათი გაყრა, მაგრამ მის ქედმაღლურ
სიცრუეს აღარ ძალუძს მოტყუება მა-
თი, ვინც ღამის ჭადოსნურ ნექტარს
ეზიარა, ვისაც სიკვდილის ღამისად-
მი სიყვარულით ჰქონდა თვალი მიპ-
ყრბილი და მისი ტკბილი საიდუმ-
ლოება ამოიციო, მას ღღის ნათელის
უშეცრებაში ერთად-ერთიდა ღარჩე-
ნია; ოცნება და მწარე კაეშანი წმინდა-
თა-წმინდა ღამისადმი, რომელიც მარა-
დიული, ქემშარიტი და შემეერთებე-
ლია...

ო, ჩამოწექ, ღამევე სიყვარულისა!
მიანიჭე მიჯნურთ ის თავდაეწყება.
რაზედაც ოცნებობენ, მთლიანად გაპ-

ხეივ შენს ნეტარებაში და ისენი სიცრუისა და განშორების ქვეყნისაგან. აჰა, გაქრა უკანასკნელი ლამპარი! ფიქრი და ოცნება ღვთაებრივ ბურუსში ჩაიძირა, ბურუსში, რომელიც მხსნელად ჩამოწვება ხოლმე უაზროდ ტანჯულ სამყაროზე. მხოლოდ შემდეგ, როცა აზრდელი გაფერმკრთალდება, როცა ალტაცებით ვაცისკროვნდება ჩემი თვალები, ის, რასაც დღის სიცრუე მწყვეტდა, რასაც ფლიდურად უბირისპირებდა სევდით აღძრულ, დაუამებელ ჩემს ტკივილებს — მაშინაც კი ო, ახდენის სასწაულო! — მაშინაც კი მე სამყარო ვარ.

ბრანეიანის მძიმე, გამაფრთხილებელ სიმღერას ვიოლინოების ის აღმაფრენა მოჰყვა, რაც ყოველგვარ გონებაზე მალა დგას.

„ყველაფერი როდი მესმის, ბატონო შპინელ. ბევრს ვხვდები მხოლოდ. მაინც რას ნიშნავს — „მაშინაც კი მე სამყარო ვარ?“

შპინელმა ხმადაბლა და მოკლედ განუმარტა.

„ღიახ, ეს მართლაც ასეა. მაგრამ რატომ, რომ იმის დაკვრა არ შეგიძლიათ, რაც ასე კარგად გესმით?“

უცნაურია, მაგრამ ბატონმა შპინელმა ამ უწყინარ კითხვას ვერ გაუძლო. სახეზე აღმური მოედო. თითების მტვრევას მოჰყვა და თითქოს სკამიანად ადგილზე დაილია.

„ბუნება იშვიათად ავილდოვებს ადამიანს ორივე უნარით“ — ტანჯვით წარმოსთქვა ბოლოს, „არა, მე დაკვრა არ შემიძლია. ვთხოვთ, განაგრძეთ.“

და ისევ მისტერიის გამაბრუებელ მელოდებს მინებდნენ. ვანა მოკვდა სიყვარული? ტრისტანის სიყვარული, სიყვარული ჩემი და შენი იზოლდასი? ო, სიკვდილის მსახვრალი ხელი ვერ შესწვდება ამ მარადიულს. მაინც რა შეიძლება მომკვდარიყო მასში თუ არა ის, რაც ხელს გვიშლის, რაც შეერთებულთ მზაკვრულად თიშავს? სიყვარული ტკბილი ბორკილით აკავშირებს ორივეს და სხვაგვარი როგორ და-

არღვევს ამ კავშირს სიკვდილი. თუ ერთს არ აცოცხლებს და მტოვებს არ მოკლავს. იდუმალმა ხმემაც შეიფრთხა ისინი სიკვდილში აღთქმული უსახელო იმედით, ღამით ზღაპრულ სამყაროში მარადიულად და განუყვრელად სატრფოს გულში ჩაქერის იმედით. ტკბილო ღამევე! მარადიულო სასუფეველო სიყვარულისა! ყოვლის მომცველო ნეტარების სავანევე! როგორ-ღა დაუბრუნდეს უძრწუნველად დღის არარობას, ვინც ერთხელ ვიხილა ოცნების თვლით? განდევნე შიში, ნეტარო სიკვდილო. ერთხელ და სამუდამოდ ისენი სევდიანი გამოფხიზლების ტანჯვისაგან. ო, რიტმის დაუოკებლო ქაირშხალო! ო, მეტაფიზიკური წვდომის ქრომატულად აღმავალო აღფრთოვანებავე! როგორ შევიცნო ყველაფერი. არა და როგორ მოვაკლდე ამ ნეტარებას, რომლისთვისაც უცხოა სინათლით გამოწვეული განშორების ტანჯვა? სიცრუისა და ძრწოლევისაგან თავისუფალი, მშვიდი, ამაღლებული, უმტკივნეულო გაქრობა, უნეტარესი კიაფი უსახღვროებაში! შენ ხარ იზოლდა, მე — ტრისტანი, აღარც ტრისტანი არსებობს აღარც იზოლდა...

უცებ რაღაც საშინელი მოხდა, კლოტერიანის მეუღლემ დაკვრა შეწყვიტა, თვალები მოიფშენიდა და სიბნელეს დაეინებოთ მიაჩერდა. შპინელი სწრაფად შებრუნდა. მათ უკან გაიღო კარი და დარბაზში მომვლულას მკლავზე დაყრდნობილი შავი არსება შემოვიდა. ეს „აინფრიდის“ ერთერთი სტუმართაგანი იყო. რომელმაც დანარჩენებზე ვერ შესძლო მარბილით გასეირნება და საღამოს საათებს სანატორიუმის ირგვლივ ინსტინქტურ და მწუხარე შემოვლას ანდომებდა. ეს ის აუადმყოფი იყო, რომელმაც ცხრამეტი ბავშვი შობა და აზროვნების უნარი მთლად წაერთვა. პასტორის მეუღლე პოლენარაუხი გახლდათ მომვლელი ქალის თანხლებით. ამ უაზროდ და უშიზოდ მოხეტიალე არსებამ, თავჩაქინდრულმა, ფლარტუნით და არეული ნაბიჯებით გადასჭრა დარ-

ბაზი და, უტყვი და გამოთავყვანებული, მოპირდაპირე კარებში გაუჩინარდა. დარბაზში ისევ სიჩუმე ჩამოწვა.

„პასტორის მეუღლე პოლენრაუხი იყო“, თქვა შპინელმა.

„ღიან, საბრალო პოლენრაუხი იყო“, გაეპასუხა ქალი, შემდეგ ნოტები გადაფურცლა და ნაწარმოების დასასრული — იზოლდას სიკვდილი — შეასრულა.

როგორ გაფითრებოდა და გამოკვეთოდა ბაგენი, როგორ ჩაღრმავებოდა თვალის უკუბეებში ჩამოწოლილი ჩრდილი! ნათელ შუბლზე წარბებს ზემოთ უფრო და უფრო შემაშთოთებლად იძაბებოდა პატარა თისფერი ძარღვი. მოქნილი ხელებიდან უჩვეულოდ მოზღვაგებული ხმები იღვრებოდა, რომელსაც ადგილ-ადგილ პიანისიმო ენაცვლებოდა, რაც ფეხქვეშ მიწის გამოცლას და გრანდიოზულ ნდომაში ჩანთქმას გავს. შელოდიაში სწორუბოვარი განთავისუფლების და აღსრულების ხმები მოზღვაგდა, განმეორდა, უსაზღვრო დაკმაყოფილების გამაბრუებელ ქარტეხილად მოსკდა და უფრო და უფრო აღუვსებელი გახდა, შემდეგ, თითქოს სულს ძლივს ითქვამსო, სადღაც მიიქცა, სევდის მოტივი თავის პარმონიაში შეიერთა, ამოისუნთქა, მისუსტდა, მიილია... სამარისებური სიჩუმე ჩამოღვა.

ორივე სმენად იქცა; თავები გადახარეს და სიერცეს მიეყურეს.

„ევენების ხმაა“, თქვა კლოტერიანის მეუღლემ.

„მარხილები ბრუნდებიან“, ჩაილალაპარაკა შპინელმა. „მე წავეალ“.

წამოღვა და ოთახი გაიარა. კართან შედგა, მობრუნდა, ერთხანს ნერვიულად ტოკავდა ადგილზე, მერე ქალის პირდაპირ, თხუთმეტოდე ნაბიჯზე მუხლი მოიდრიაკა. მღუმარედ დაეცა ორივე მუხლზე, შავი გრძელი სერთუკის ბოლო იატაკზე განერთხო. ხელები პირზე ჰქონდა მიფარებული და მხრები უთრთოდა.

ქალს მკლავები კალთაში ეწყო, საკ-

რავთან ზურგშეკცევით იჯდა, გადმოხრილიყო და შპინელს უცქეროდა. გაურკვეველი და ნაღვლანაზი ნდომილი მოკფენოდა სახეზე და შინი! თვალებში ისე დაფიქრებული და დაძაბული იხედებოდნენ ბინდში, იტყოდით, სადაც არის მიილულებიანო.

ევენების ქლარუნი, შოლტების ტყლამუნი და ადამიანთა გადაძახილი სულ უფრო ახლოვდებოდა.

მარხილებით გასეირნება, რომელზედაც კიდეც დიდხანს ლაპარაკობდნენ სანატორიუმში, 26 თებერვალს მოხდა. 27 თებერვალს, როცა დათბა და ირგვლივ ყველაფერი გალხვა, ლენთა და დენა დაიწყო, კლოტერიანის მეუღლე ჩინებულად გრძნობდა თავს. ოცდარვაში ცოტაოდენი სისხლი წამოახველა, ო, ძალზე ცოტა, მაგრამ სისხლი მაინც სისხლია! თან ისეთი სისუსტე მოერია, როგორიც აქამდე არასდროს უგრძენია და ლოგინში ჩაწვა, დოქტორმა ლეანდერმა ყინულივით ცივი სახით გასინჯა ავადმყოფი და რასაც მეცნიერება მოითხოვდა — სრული სიწყნარე, ყინულის პატარა ნატეხები და მორფი — დაუნიშნა... მეორე დღეს კი მოუცლელობის საბაბით უარი თქვა ავადმყოფის. მეურნალობაზე და ეს საქმე დოქტორ მიულერს გადააბარა, რომელიც კონტრაქტისა და მოვალეობის შესაფერი გულმოდგინებით მოეკიდა საქმეს. ამ ჩუმი, ფერმკრთალი, ნაღვლიანი, უწყინარი და უმნიშვნელო პიროვნების მოკრძალებული და უპრეტენზიო საქმიანობა მხოლოდ ჯანმრთელების, ანდა, უიშედო ავადმყოფებისათვის იყო განკუთვნილი.

პირველი თვალსაზრისი, რომელიც მან გამოთქვა ის იყო, რომ ცოლქმარი კლოტერიანების განშორება დიდხანს გაგრძელდა და ბატონი კლოტერიანის „აინფრიდში“ მეუღლესთან კიდეც ერთხელ ჩამოსვლა, მეტად სასურველი იქნება, თუ გაფურჩქენის პროცესში მყოფ ფირმას ამით დიდი არაფერი დაუშავდებაო, კარგი იქნებათუ მისწერენ ან დებეშას გაუგზავნიან... თუ კი პა-

ტარა ანტონსაც ჩამოიყვანს, ცხადია, ამით დედას გააბედნიერებს და მოაკეთებს. ექიმებისათვის ხომ მეტად საინტერესო იქნება პატარა, ჯანღონით სავსე ანტონის გაცნობა.

და აი, ბატონი კლოტერიანი გამოჩინდა. მან დოქტორი მიულერის წერილი მიიღო და ბალტიის ზღვის სანაპიროდან ჩამოვიდა. ეტლიდან გადმოსვლისთანავე ყავა და ქადა მოითხოვა. ის გაოცებული ჩანდა.

„ბატონო ჩემო, რა მოხდა? რატომ დამიბარეთ მეუღლესთან?“

„იმიტომ, რომ ამ ხანებში აწობებს მეუღლის სიახლოვეს იყოთ“, — მიუგო დოქტორმა მიულერმა.

„აწობებს... აწობებს... კი, მაგრამ აუცილებელი თუ იყო ეს? როდი მიყვარს ფულის პაერში ფანტვა, ბატონო ჩემო. ცუდი დრო დადგა, მატარებელი ძვირი ჯდება. არ შეიძლებოდა, გამოძახებისაგან თავი შეგეკავებინათ? ხმას არ ამოვიღებდი, ეთქვათ, საქმე ფილტვებს რომ ეხებოდეს, მაგრამ, მაღლობა ღმერთს მას მხოლოდ ხორბი აწუხებს...“

„ბატონო კლოტერიანი“, მორიდებით უთხრა დოქტორმა მიულერმა, „ჯერ ერთი, ხორბი მწიფეწილოვანი ორგანოა...“

მან დაუდევრად ისმარა „ჯერ ერთი“, რადგან ამ „ჯერ ერთს“ „მეორეცო“, აღარ მოაყოლა.

ბატონ კლოტერიანს შოტლანდიური წითელი მატერიის კაბაში გამოწყობილი და ოქროულით მოკაზმული ჩათქვირებული ქალი ჩამოყვა „აინფრიდში“, იგი პატარა, ჯანმრთელ ანტონს ხელით დაატარებდა. დიახ, პატარა აქ იყო და ვერავინ უარყოფდა მის მარტლაც ზღაპრულ ჯანმრთელობას. ლაყდაცა და თოვლივით თეთრი, სუფთა, და ახალ ტანსაცმელში გახვეული, ჩასუქებული და სურნელოვანი ბავშვი მოსირბული კაბიანი ვადიის ვარდისფერ მკლავზე გადაწოლილიყო და უამრავ რძეს და დაკეპილ ხორცს ნთქავდა, ერთ ამბავ-

ში იყო და ინსტინქტებს ყოველნაირად აძლევდა გასაქანს.

მწერალი შინელი თავისი ოთახის ფანჯრიდან ადევნებდა თქვენი კლოტერიანის შემოსვლას სანატორიუმში. უცნაური, დაბინდული და მაინც მახვილი მხერა არ მოუწყვეტია ბავშვისათვის, როცა ის ეტლიდან სანატორიუმში შემოჰყავდათ. ასეთი სახით დიდხანს იყო ადგილზე გარინდული ამ წუთიდან შინელი შეძლებისამებრ გაუბრბოდა უმცროს ანტონ კლოტერიანთან შეხვედრას.

ბატონი შინელი ოთახში იჯდა და „მუშაობდა“

მისი ოთახიც „აინფრიდის“ დანარჩენი ოთახებივით ძველებური, სადა და მოხდენილი იყო. ვეება კომოდზე ლითონის ლომის თავები მიეკედებინათ. კედლის მაღალ სარკეს მთლიანი გლუვი ზედაპირი კი არ ჰქონდა, უამრავი პატარა, კვადრატული, ტყვიის ჩარჩოებიანი ნაჭრებისაგან იყო შეკრული. მოლურჯოდ გაკრიალებული პარკეტი ნოხებით არ იყო მოფენილი და ავეჯის მკერავი ფეხები იატაკის ნათელ ანარეკლში გრძელდებოდა. ფანჯრის მახლობლად, რომელზეც, მეტი გულსაყუროთ რომ ემუშავნა, რომანისტა ყვითელი ფარჯა ჩამოეფარებინა, მოზრდილი საწერი მავიდა იდგა.

ყვითლად მბუტბავი შუქით განათებულა მავიდას ზედაპირზე დაბრილიყო და წერდა — წერდა ერთ-ერთ იმ უამრავ წერილთაგანს, რომლებსაც ყოველ კვირა აგზავნიდა ფოსტით და რომლებზეც არავინ პასუხობდა. წინ დიდი, სქელი თაბახი ედო, რომლის ზედა, მარცხენა კუთხეში, ბუნდოვანი პეიზაჟის ქვეშ, უახლესი შრიფტით ეწერა — „დეთლევ შინელი“. ამ ფურცელს წერილი, გულდასმით გამოყვანილი და ძალზე წმინდა ხელწერით ავსებდა.

„ბატონო ჩემო — ეწერა შიგ“ — ამ ბარათს იმიტომ გიგზავნით, რომ სხვანაირად აღარ შემიძლია, რადგან ის, რაც უნდა მოგწეროთ, ველარ ეტევა

ჩემში, მაწვალებს და მაცახცახებს, რადგან სიტყვები ნიაღვარივით ისე მომასკდა, რომ, ალბათ, სულს შემიზუთავს, თუ მათ ამ წერილში გზა არ მივეცი...“

მართალი თუ ვინდათ, ნიაღვარივით არაფერი მომსკდარა და ღმერთმა უწყვის რა ქარაფშუტული მოსაზრებით ირწმუნებოდა ამას შპინელი. იმ ადამიანის პირობაზე, რომლის პროფესია მწერლობაა — სიტყვების ნიაღვარივით მოსკდომისა არაფერი ვტყობოდა. გულის გამაწვრილებლად ნელა წერდა და ვინც ამ დროს თვალს მოკრავდა იმ აზრზე დადგებოდა, რომ მწერალი ეს ის კაცია, რომელსაც ადამიანთა შორის ყველაზე მეტად უჭირს წერა.

ბატონი შპინელი ლოყაზე უცნაურ ღინღას ფრჩხილებით ჩაფრენოდა და დიდხანს აწვალებდა, თან სიერცეს მიშტერებოდა და ერთ ბჭკარასაც ვერ წერდა. ბოლოს ორიოდ სიტყვას გამოიყვანდა ქალღღზე და ისევ ერთ ადგილზე იტყუპნებოდა. თუმცა უნდა ითქვას, რომ ის, რაც ბოლოსდაბოლოს ქალღღზე იწერებოდა დახვეწილი და აღმაფართოვანებული რამ იყო.

აი შემდეგ რა ეწერა ბარათში: „მე დაუოკებელ მოთხოვნილებას ვგრძნობ, რომ რასაც ვხედავ, რაც ეს რამდენიმე კვირაა ჩაუქრობელ სანახაობად მიდგას თვალწინ, თქვენც დავანახოთ, ვაჩვენოთ ისე, როგორც მე ვხედავ, გადმოგცეთ იმ სიტყვებით, რომლითაც ჩემს გულისყურს წარმოსახვია. მივეჩვიე, დავემორჩილო იმ ძლიერ სურვილს, რომელიც მაიძულებს, წარუშლელი და ზედმიწევნით ზუსტად ნახმარი სიტყვებით გაცედებს სიცოცხლე მივანიჭო. აი, ამიტომ ყური მათხოვეთ!“

მე მხოლოდ ერთი რამ მსურს: გიამბოთ ის, რაც იყო და რაც არის, პირწმინდად მოგითხროთ ძალზე მოკლე და აღმამფოთებელი ამბავი, მოგითხროთ კომენტარების, ბრალდებისა და მსჯავრის გარეშე, მხოლოდ საკუთარი სიტყვებით ვაღმომცეთ. ეს არის, ბატონო ჩემო, გაბრიელა ეკპოფის თავგადა-

სავალი, ამბავი იმ ქალისა, თქვენად რომ მიგახნდათ... კარვად დაიძინოვრეთ! თქვენ ის ადამიანი ხართ, ვინც მას დაუკავშირდა და მასთან ცხოვრობდა, მე კი ის — ვისი სიტყვებით თქვენთვის ამ ქალს არსებითად პირველი მიაჩნებებს მოვლენის მნიშვნელობას.

გახსოვთ ის ბალი, ბატონო ჩემო, ძველი, ატეხილი ბალი რუხი პატრიციული სახლის უკან რომ იყო გაშენებული? მწვანე ხავსი ჰქონდა მოდებული ეამთა სვლისაგან დამსკდარი კედლების ნაპრალებს, რომელიც ამ საოცნებო, გაუდაბურებულ კარმიდამოს ერთყმობა გარს... გახსოვთ შუა ბაღში აღმართული შადრევანი? ლილისფერი შროშნები ვაღმოიკვებულაყვნენ წყალმცენარეებით დაფარულ აუზზე და მისი ბროლივით თეთრი ნაკადი იღუმალად ბაასობდა კლდის ნამსხვრევების გროვასთან. ზაფხულის დღე იწურებოდა.

შვიდი ქალწული უსხდა შადრევანს. მეშვიდესთვის, რჩეული და ჰაეროვანი ქალწულისათვის ჩამავალ მზეს უკეთილშობილესობის ნიშნად თითქოს იღუმალად თავზე შარავანდები დაედგა. თვალები მფრთხალ ოცნებას მიუგავდა, ალისფერი ბაგენი უღიმოდა...

ისინი ვალობდნენ. ნატიფი სახეები წყლის ჰვალის იმ წერტილისაკენ აღებყროთ, სადაც იგი მისუსტებული და დიდებულ ჩუქურთმად გადამტყდარი ძირს იწყებს ვარდნას. მის ნარნარ როკვასთან ერთად ირბეოდა ქალწულთა მშვიდი, ნათელი ხმები. ალბათ, ხელეები მუხლებზე ჰქონდათ შემოკდობილი და ისე ვალობდნენ.

გაგონდებათ ეს სურათი, ბატონო ჩემო? ანდა დაინახეთ ის? ის არც კი შევიმჩნევიათ. საამისოდ არ იყო შექმნილი თქვენი თვალები და არც ყურებს ძალუძდათ მისი ჰარმონიის აღქმა. — არაფერი დავინახავთ, არა? — სულგაკმენდილს უნდა ვედევნებინათ თვალყური, მერე იქაურდაბას გასცლოდიო, ცხოვრებას დაბრუნებოდიო და

ნანახი ხატი, როგორც შეუბღალავი და უმწიკვლო წმიდათაწმიდა სიკვდილამდე სულით გეტარებინათ. თქვენ კი რა ჩაიღინეთ?!

ეს სურათი დასასრული იყო, ბატონო. ნუთუ აუცილებელი იყო მისულიყავით და მოგესპოთ ის, რათა მდებარე და ამაზრუნე ტანჯვაში გადაგეზარდათ. ის ღამისეული დაცემის, აღსრულების და გაქრობის ამაღლევებელი და სიმშვიდით მოცული აპოთეოზი გაბლდათ... ძველი გვარი საქმიანობისათვის და ცხოვრებისათვის უკვე მოქანცული და ზედმეტად გაკეთილშობილებული იყო, არსებობის ბოლო დღეებს ითვლიდა და მის უქანასკნელ გამოვლინებას ხელოვნება — ვაოლინო — და ის გედის სიმღერის მსგავსი ჰანგები წარმოადგენდა, რომელიც სასიკვდილოდ განწირულის კაეშანით იყო განმსჭვალული... ჩახედეთ იმ თვალებში, რომელთაც ასეთი ჰანგები ცრემლებს გვრიდა? ალბათ, დანარჩენი ეჭვისი ქალიშვილის სული ცხოვრებას ეკუთვნოდა, მათი ღვთაებრივი დობილის სული კი მშვენიერების და სიკვდილის წილი იყო.

თქვენ უცქერდით ამ სიკვდილის სილამაზედ განსახიერებულ ქალწულს — უცქერდით მდებარე წადილთ. მისი ამაღლევებელი ღვთაებრივი სიწმინდე არავითარ მოკრძალებას, რიდს არ აღგამრავდათ გულში. თქვენ მარტო ცქერა არ იკმარეთ; აუცილებლად უნდა დაუფლებოდით, დაგემდაბლებინათ, შეგებდალათ... და მერე რა არჩევანი გერგოთ! პირის ვეშო კარგი გაქვთ. თქვენ ღორმუცელა პლებები ხართ.

ვთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ სულაც არ მსურს გაწყენინოთ. რასაც გწერთ ლანძღვა კი არა — ფორმულა, უბრალო ფსიქოლოგიური ფორმულა თქვენი მარტივი, ლიტერატურის თვალსაზრისით უინტერესო პიროვნებისა. მას მხოლოდ იმიტომ გამოეთქვამ, რადგან სურვილი მამობრავებს თქვენს საქმეთ და არსს ოდნავ მაინც მოგფინო შეუქი, რადგან ჩემი ამქვეყნიური უცი-

ლო ხვედრია საგნებს თვისი სხელი მოვლემბრო, ავამეტყველო და გაუცნობიერებელი გაეცნობიერებო, ქვეყანა სავეა ისეთი ადამიანებით, ვისაც მე „გაუცნობიერებელ ტიპებს“ ვუწოდებ. ვერ ვიტან ამ გაუცნობიერებელ ტიპებს! ვერ ვითმენ ასეთ ბლაგვ, უვიც, შემეცნებას მოკლებულ სიცოცხლეს და მოქმედებას, ამ აღმაშფოთებლად გულუბრყვილო ქვეყანას, რომელიც გარს მარტყია! იმის დაუძლეველი, მტანჯველი სურვილი მაწუხებს, რომ ჩემს ირგვლივ მთელი ყოფიერება, რამდენადაც ღონე შემწევს, განემარტო, აესახო და გასაგები გაეხადო, მიუხედავად იმისა, ხელს შეეუწყობ თუ დაუბარკოლებ რამეს, ნუგეშს და შეღავათს, თუ ტკივილს მოვლტან ვინმეს.

როგორც მოგახსენეთ. ბატონო ჩემო, გლების გემოვნება გაქვთ და მდებრიო ღორმუცელა ხართ. ეჭვი არ არის, ტლანქი აგებულობის პატრონი და განვითარების უაღრესად დაბალ საფეხურზე მყოფი, სიმდიდრემ და გამუდმებით ერთ ადგილზე ჭდომამ ნერვიული სისტემის არალოგიკურ და ბარბაროსულ გახრწნამდე მიგიყვანათ, რაც სხვადასხვა ძვირად ღირებული განცხრომის მოთხოვნილებას იწვევს. სავსებით შესაძლოა, როცა გაბრიელა ეკპოფის შერთვა გადაწყვიტეთ, ენა ისე ააწყლაპუნეთ, როგორც გემრიელი წვნიანის, ან იშვიათი კერძის დანახვაზე...

და მართლაც ქალის მეოცნებე ნება სწორ გზას ააცდინეთ, ატეხილი ბადიდან ქალწული ცხოვრების უმსგავსოებაში შეიყვანეთ, თქვენი მდარე გვარი მიანიჭეთ, ცოლად, დიასახლისად, დედად აქციეთ, პრაქტიკულობისაგან მოწყვეტილ სიმაღლეზე გაუფურჩქნელი. მოქანცული, მფრთხალი სიკვდილის სილამაზე ყოველდღიურობამდე დაამდაბლეთ და იმ ჩლუნგი, ტლანქი და სიძაგელი კერპის სამსახურში ჩააყენეთ, რომელსაც ბუნება ჰქვია — ამ დროს თქვენს მდაბიურ სინილისს გადადგმუ-

ლი ნაბიჯის უმსგავსოება ოდნავადაც არ აწუხებდა.

მერე რა მოხდა? მან, ვისაც თვალები პფრთხალ ოცნებას მიუგავს, შვილი გაჩუქათ. იმ ქმნილებას, რომელიც მამის მდაბალი არსებობის გაგრძელებაა, უკანასკნელი სისხლის წვეთები და სიცოცხლის ძალა გადასცა და კვდება. ის კვდება, ბატონო ჩემო! და თუ შებღალული არ ტოვებს ამ ქვეყანას, ყველაფრის მიუხედავად სიმდაბლის კოზიდან მაინც თუ ამაღლდა და ამაყი და ვანწმენდილი სულით მშვენიერების მომაკვიდინებელ ამბორში ქრება, ამაზე მე ვიზრუნე. თქვენ კი ამ დროს იმაზე ზრუნავდით, დერეფნის მივარდნილ უთხეში მოახლე გოგოსთან როგორ ააგეტარებინათ დრო.

თქვენი ბავშვი კი, შვილი გაბრიელა ეკოფისა, ცოცხლობს, იფურჩქნება და ზეიმობს... შესაძლოა ის მამის გზას დაადგეს, ვაჰრობას მოეციდოს, გადასახადით დაბეგრული და კარგი მადის ბიურგერი დადგეს. შესაძლოა, სახელმწიფოსათვის უმეცარი და საიმედო დასაყრდენი — ჯარისკაცი ან კანცელარიის მოხელე — გამოვიდეს, ყოველშემთხვევაში, მუხსთან მწყარალი, ნორმალური, უტიფარი, თავის თავში ავადყოფურად დარწმუნებული, ძლიერი და ბრიყვი ქმნილება იქნება.

ბატონო ჩემო, შეიგნეთ, რომ მძულხართ. მძულხართ თქვენც და თქვენი შვილიც, როგორც თვითონ ცხოვრება მძულს, ეს მდაბალი, სასაცილო და მაინც ყოვლისმძლე ცხოვრება, რომლის სახეც თქვენა ხართ, რომელიც მშვენიერების მარადიული მეტოქე და დაუძინებელი მტერია. ვერ ვიტყვი, მეზიზღებით-მეთქი. ამის თქმა არ შემიძლია. მე პატიოსანი ვარ. თქვენ ჩემზე ძლიერი ხართ. ბრძოლაში მხოლოდ ერთი რამ შემიძლია დაგიბრისპიროთ, — სუსტთა შურისძიების ღირსეული იარაღი: სული და სიტყვა. დღეს ისინი გამოვიყენე. ეს წერილი, — მე მასშიც პატიოსანი ვრჩები, ჩემო ბატონო, — სხვა არაფერია, თუ არა შურისძიება

და ერთი სიტყვა მაინც თუ არის მასში საკმაოდ მახვილი, ლამაზი და ღრნაფიანი, იმისთვის რომ გულში მოგხეცდეთ. უცხო ძალა გაგრძობიანობის უმსგავსო შეუვალი გულგრილობა ერთი წამით მაინც დაგაძლეინოთ, მაშინ საზეიმოდ მქონია საქმე.

დეათლეე შპინელი“.

ეს წერილი ავტორმა კონვერტში ჩადო, მარჯა დაწვება, ფაქიზი ხელით მისამართი წააწერა და ფოსტას გაატანა.

ბატონმა კლოტერიანმა შპინელის ოთახის კარზე დააკაუნა. ხელში სუფთად ნაწერი თაბახი ეჭირა და ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, რომ ემჩნეოდა ენერგიულად აპირებდა შეტევას. ფოსტამ თავისი საქმე გააკეთა და წერილმა დანიშნულების ადგილს მიაღწია. მან საოცარი გზა განვლო „აინფრილიდან“ „აინფრიდამდე“ და პირდაპირ ხელში ჩაბარდა ადრესატს. დღის ოთხი საათი იყო.

როცა კლოტერიანი შემოვიდა, შპინელი სავარძელში იჯდა, თავგზისამხნევ ნახატიან ყდაში ჩასმულ საკუთარ რომანს კითხულობდა. წამოდგა და სახტად დარჩენილი კითხვის გამომხატველი სახით მიაჩერდა შემოსულს. თან შესამჩნევად გაწითლდა.

„გამარჯობათ“, მიმართა ბატონმა კლოტერიანმა, „მაპატიეთ, რომ მუშაობაში ხელი შეგიშალეთ. მაგრამ ნება მომეცით გკითხოთ, ეს თქვენ დაწერეთ?“

ამ სიტყვებთან წმინდად ნაწერი ფურცელი მარცხენა ხელით მალლა შემართა, ხოლო მარჯვენა ხელუკუღმა ისე შემოჰკრა, რომ ქალღმერთი გაიტაცუნა... მერე მარჯვენა ხელი ფართო, მორგებული შარვლის ჯიბეში ჩაიყო, თავი გვერდზე გადახარა და ზოგიერთებმა რომ იციან მოსმენისას, პირი ისე დაალო.

შპინელმა უეცრად გაიღიმა — დამთმობი, ოდნავ დაბნეული და რამდენადმე მოზოდიშებისა იყო შისი ღიმილი. მერე თავთან მიიტანა ხელი, თით-

ქოს რადიკალს იგონებდნენ და თქვა: „პო, მართლაც... დიახ... ვაგებდნენ და...“

საქმე იმაში იყო, რომ დღეს შპინელი ისე მოიქცა, როგორც სინამდვილეში იყო და შუადღემდე იძინა. ამის გამო სინდისი ქენჯინდა, თავი უბრუნდა. ნერვებაშლილი იყო და წინააღმდეგობის უნარი აღარ ჰქონდა. ამას ისიც დაერთო, რომ გაზაფხულის შემოქრობა სუნთქვამ მოთენთა და ნაღვლიანად განაწყო. ყველაფერ ამას თუ ვავითვალისწინებთ, მიგვხვდებათ, ასე უღირსად რატომ ეკირა თავი შპინელს კლოტერიანთან შეხვედრის დროს.

„მაშ ასე! კეთილი!“ თქვა ბატონმა კლოტერიანმა, თან თავი მოზვერივით დახარა, წარბები ახილა, მხრები შეათამაშა და მრავალი ასეთი მოძრაობა ჩაატარა, რომ წმინდა ფორმალური კითხვის შემდეგ დაუნდობლად გადასულიყო საქმეზე. ამ მოძრაობათა დემონსტრაციაში თავემოწონეობის გამო ცოტა გადააქარბა. რაც შემდეგ მოხდა სულ არ შეესატყვისებოდა მიმივით შემზადებულ მრისხანე ატმოსფეროს. ბატონი შპინელი მაინც საკმაოდ იყო გაფითრებული.

„კეთილი და პატიოსანი!“ გაიმეორა კლოტერიანმა, „მაშინ ნება დამრთეთ, ჩემო ძვირფასო, პასუხი პირადად მოგახსენოთ, რადგან ყუყურობად მიმაჩნია, რამდენიმე გვერდზე გაქაქებული წერილი მისწერო იმას, ვისთანაც საათობით შეგიძლია ისაუბრო“.

„როგორ თუ ყუყურობად...“ თვინიერად და მობოდიშებით წაიბუტბუტა შპინელმა.

„დიახ, ყუყურობად!“ გაიმეორა ბატონმა კლოტერიანმა და იმის საჩვენებლად, რომ თავის სინარტულეში ურყევად იყო დარწმუნებული, მძლავრად გააქნია თავი. „ამ ნაჭაღბს ერთ სიტყვასაც არ ვაღირსებდი, პირდაპირ გეტყვით, ბუტერბროდსაც კი არ გავიმეტებდი მასში გასახვევად, ჩემთვის გარკვეული ცვლილებები რომ არ აეხსნა, რის მიზეზსაც აქამდე ვერ ვხვდებოდი... თუმცა ასეთ რამეებს თქვენ

არავინ გეკითხებათ და ახლა აქ მოსატანი არ არის. მე საქმიანი კაცი ვარ და თქვენს „ენით აღუწერელ მოხვედრებზე“ ბევრად უფრო მნიშვნელოვანად საქმე მაქვს.

გეგლიძე

„მე ჩაუქრობელი სანახაობა“ მიწერია, წარმოსთქვა ბატონმა შპინელმა და წელში გაიმართა. ეს ერთადერთი წუთი იყო მთელი შეხვედრის განმავლობაში, როცა მან ოდნავი ღირსება გამოამყვანა.

„ენით აღუწერელი... ჩაუქრობელი... ორივე ერთია!“ უპასუხა კლოტერიანმა და წერილში ჩაიხედა. „სამარცხვინო ხელი გაქვთ, ბატონო ჩემო. ამ ხელით ჩემს კანტორაში ვერ მიგიღებდით — ეს ერთი შეხედვით წმინდა მოჩანს, მაგრამ როგორც კი გაიტან სინათლეზე, შეამჩნევ, რომ ასოები დაცილებულია და ავანკალბული ხელით არის ნაწერი. მაგრამ თქვენი ხელწერის თქვენ იცით, მე მასთან არაფერი მესაქმება. აქ იმისთვის მოვედი, რომ ვითხრათ — ვერ ერთი ტაკიანსხარა ხართ, თუმცა იმედია, ეს უჩემოდაც იცოდით. მაგრამ ამასთან ერთად ლაჩარიც ბრძანდებით და, მგონი, დაწერილებით არც ამის მტკიცება საჭირო. ერთხელ მეუღლემ მომწერა, რომ გზაზე შეხვედრილ ქალებს სახეში კი არ უყურებთ, არამედ ქურდულად აბარებთ თვალს მათკენ, რათა ლამაზის წარმოდგენით დარჩეთ და სინამდვილეს გაურბინართ. სამწუხაროდ, შემდეგ წერილებში თქვენს შესახებ აღარ მოუწერია, თორემ მეტი ამბები მეცოდინებოდა. აი ასეთი ხართ! თქვენი ყოველი მესამე სიტყვა „მშვენიერება“, მაგრამ საფუძველში ის სხვა არაფერია, თუ არა სილაჩრე, ქვემძრომობა, შური და აქედან გამომდინარე უტიფარმა შენიშვნამ დერეფნის ბნელი კუთხის შესახებ, რომელსაც თქვენის აზრით უნდა გავინადგურებინე, მხოლოდ გამართო, მართლაც კარგად გამართო! შეუშვით თავში რამე? შევძელი თუ არა თქვენი...“
„თქვენი საქმისა და არსისათვის ოდნავ მაინც მომეფინა ნათელი“ თქვე საცო-

დავო, — თუმცა ეს არ ყოფილა „ჩემი აუცილებელი ხედრი“. ხაი ხაი ხაი!

„მე „უცილო ხედრი“ მიწერია“, — ჩაუბრუნა ბატონმა შპინელმა, მაგრამ ამჯერადაც დაუთმო მოპირდაპირეს. ის მოზრდილი, საბრალო, ქალაქაშერეული მოწაფესავით უმწეოდ იდგა თავჩაქინდრული.

„უცილო... აუცილებელი... პირდაპირ გეტყვით, დიდი არაშადა და ლაჩარი ბრძანდებით. ყოველდღე სუფრაზე მხედებით, მესალმებით და მიღიძით, საქმელს მთავაზობთ და მიღიძით, კარგ მადას მისურვებთ და მიღიძით, ერთ მშვენიერ დღეს კი შეურაცხყოფით სავსე აბლაბუბას მატებთ თავს. არა, წერის ღროს დიდი გული გქონიათ! მართო ეს სასაცილო ბარათი რომ ყოფილიყო, კიდევ არაფერი! მაგრამ თქვენ ჩემს წინააღმდეგ ინტრიგანობთ, ზურგს უკან სამარეს მითხრით, ეხლა ძალიან კარგად ვხედები ამას... თუმცა თუ ფიქრობთ, ამით რამეს მიღწეით, მაშინ შწარედ შემედარხართ, ჩემო ყოვლად ღირსეულო ბატონო! საამისოდ ჩემი შეუღლე ჰქვიანი ადამიანია. დაბოლოს, თუ გგონიათ, რაკი მე და ჩემს ბავშვს ის ცოტა სხვანაირად შეგვეგება, ამით ყველაფერი გათავდა, მაშინ ეს თქვენს უმსგავსოებას აგვირგვინებს! ბავშვს რომ არ აკოცა, ეს სიფრთხილით მოუვიდა, რადგან გამოითქვა აზრი, რომ ხორხი კი არა, ფილტვები აქვს სუსტად და ასეთ შემთხვევაში ჯობია... თუმცა არც ის იცინა დანამდვილებით, რომ მართლა ფილტვებში აქვს რაღაც. თქვენ კი მომღვარებათ და გაიძახით: „ის კვდება, ბატონო ჩემო!“ „დიდი ვირი ხართ და მეტი არაფერი!“

აქ ბატონი კლოტერიანი სულის მოსათქმელად შეჩერდა, ძალზე განრისხებული იყო, მარჯვენა ხელის საჩვენებელ თითს განუწყვეტლივ იქნევდა და მარცხენათი წერილს გამორთქებული კმუჭნიდა. ჭერა, ინგლისური ბაყენბარდებიანი სახე საშინლად წამოუქარხლდა და მოღუშული შუბლი მრისხანედ დაბერილი ძარღვებით დაესერა.

„მე გაძლევართ“, განაგრძო მან, „და თქვენზე ძლიერი რომ არ ვიყო, შემინჯიზღებდით. დიახ მე ძლიერი ვარ, ვსამაკსაც წაუღია თქვენი უმსგავსოება თქვენ წამდაუწუმ შინააღმდეგობა რებათ, მე გული საგულესა მაქვს! აგრძალული რომ არ იყოს „სულიან-სიტყვიანად“ მიგბეგვავდით, თქვე მზაკვარო ილიოტო! არ გეგონოთ, ჩემო ძვირფასო, რომ ამ თავხედურ გამოხდომებს შეგარჩენთ. ეს წერილი თავისი „მდარე გვართ“ ჩემს ადვოკატს რომ ვაჩვენო, ენახავთ როგორ მოიწურავთ ქირის ოფლს. ბატონო ჩემო, ჩემი გვარი კარგია და კარგია მხოლოდ ჩემი წყალობით. თქვენი გვარის პატრონს კი ვახერხებთ კაპიციანს თუ ვინმე ვასესხებთ. ამ კითხვაზე თვითონ იმტერიეთ თავი, მოთრეულო უქნარა! თქვენს წინააღმდეგ კანონის ძალით თუნდა იბრძოდნენ. თქვენ საერთო საფრთხეს წარმოადგენთ! თქვენ ადამიანებს ჰკუიდან აცდენთ... თუმცა ნუ წარმოიდგენთ. თითქოს ეს ამჯერადაც გამოგივიდათ, ვერაგო ადამიანო! შენისთანა ტიპები ვერაფერს დამაკლებენ, მე გული საგულეს მაქვს...“

ბატონი კლოტერიანი გააფთრებული იყო. ყვიროდა და იმეორებდა, გული საგულესა მაქვსო.

„ისინი ვალობდნენ“. წერტილი. არავინაც არ ვალობდა! „ისინი ქარგავდნენ“. თან, რამდენადაც მახსოვს, კარტოფლის ფუნთუშების დამზადებაზე ლაპარაკობდნენ. ჩემს სიმამრს „დაცემაზე“ და „კვდომაზე“ რომ მიეწერო, დარწმუნებული იყავით, კანონის წინაშე გაგებინებთ პასუხს. „შენიშნეთ ის სურათი, შენიშნეთ?“ ცხადია, შევნიშნე! მაგრამ ვერ გამოვიგია, რატომ გამეკინდა სული და გავცლოდი: მე ქალუბრადკენ ჭურღულაღ როდი ვაპირებ თვალს, მათ პირდაპირ სახეში ვუყუარებ და როცა ისინი თვალში მომდიან და მათაც არაფერი აქვთ საწინააღმდეგო, ისინი მიმყავს... მე გული საგულესა მაქვს...“

კარზე ვილაცამ სწრაფი კვების ატე-

ხა. დაკინებულმა, შემაშფოთებულმა ხმაურმა ბატონი კლოტერიანი გააჩუმა. კარს იქით ვიღაცამ თავშეუკავებლად, მღვღვარებისაგან აკანკალებული ხმით დაიძახა:

„ბატონო კლოტერიანი, ბატონო კლოტერიანი. კლოტერიანი მანდ არის?“

„არ შემოხვიდეთ!“ უკმხად გასძახა კლოტერიანმა, „რა მოხდა? მე აქ პატარა საქმე მაქვს.“

„ბატონო კლოტერიანი“, გულამომჯდარმა, მთრთოლვარე ხმით წარმოსთქვა ვიღაცამ, „წამოდით... ექიმებიც იქ არიან... ოჰ, რა შემადრწუნებელი სანახაეია...“

კლოტერიანი თვალისდახამხამებაში კართან გაჩნდა და გამოაღო. გარეთ მრჩევლის მეუღლე, შპაცი იდგა. ცხვირსახოცი პირზე ჰქონდა მიფარებული და ცრემლები დაპალუბით ჩამოსდიოდა.

„ბატონო კლოტერიანი,“ წამოიძახა შპაცმა, „ძალიან სამწუხარო ამბაეია, თქვენმა მეუღლემ ძალზე ბევრი სისხლი ამოანთხია, საშინლად ბევრი... თავისთვის საწოლში წყნარად იჯდა და რაღაც მელოდიას ღიღინებდა, აი ამ დროს სისხლი წასკდა, ღმერთო დიდებულა... ძალიან ბევრი...“

„გათავდა?!“ — შესძახა ბატონმა კლოტერიანმა, თან მრჩევლის მეუღლის მხარი ჩაბლუჭა და მძლავრად შეანჭღრია.

„ჯერ ცოცხალია, ჯერ კიდევ შეუძლია ხმა გამცეს? ცოტაოდენი სისხლი ამოაყოლა? საიდან? ფილტვებიდან? მგონი, მართლა ფილტვებიდან უნდა იყოს... გაბრეილა!“ დაიძახა უცებ, თან თვალუბზე ცრემლები მოაწვა და შეეცოცო, როგორ დაეუფლა თბილი, კეთილი, ადამიანური და მართალი გრძნობა.

„ჰო, მოვდივარ!“ წამოიძახა მან, მგლური ნაბიჯით წასულმა მრჩევლის მეუღლე ოთახიდან დაითრია და დერეფანში გაიყოლა. იქიდან კიდევ ერთხანს აღწევდა მისი ძახილი: „ჯერ ცოცხალია, არა? საიდან? ფილტვებიდან?..“

შპინელი ისევ იქ იდგა, სადაც კლო-

ტერიანის ვიზიტის ანახდად შეწყვეტა მოუსწრო და ღია კარებს მისჩერებოდა. ბოლოს ორიოდ ნაბიჯი წადადგა და სივრცეს მიაყოლა. ირგვლივ უკვლავური სდუმდა. კარები ჩაიკეტა და უკან დაბრუნდა. ერთხანს სარკეში ათვლიერებდა თავს, შემდეგ საწერ მაგიდასთან მივიდა, უჯრიდან პატარა ბოთლი და ჭიქა ამოიღო და კონიაეი გადაჭრა. ამისთვის ვერავინ გაამტყუნებდა. მერჯღივანზე გადაწვა და თვალეი დასტუვა. ფანჯრის ზედა პაერსაშენდი სარკმელი გამოსხნილი იყო. გარეთ, „აინტრიდის“ ბაღში, ჩიტები ელურტულეზდნენ და ამ პატარა, ნახ და თამამ ხმეში დამთრობლად იყო ჩაქსოვილი გაზაფხული. ბატონმა შპინელმა თავისთვის ჩაილაპარაკა „უცილო ხვედრი“... შემდეგ თავი გააქნია და პაერი კბილებშუა ისე შეისუნთქა, როგორც ნერვების მოშლილობისას აკეთებენ ხოლმე.

დამშვიდება და გონების მოკრეფა ვერ მოახერხა. შპინელი არ იყო შექმნილი ისეთი უბეში განცდებისათვის, როგორც ახლა გადაიტანა.

სულიერი ძვრების შემდეგ, რომელთა ანალიზი შორს წავეციყვანდა, შპინელმა გარეთ გასვლა და სუფთა პაერზე გავლა გადაწყვიტა. ქუდი აიღო და ოთახიდან გამოსულმა საამური გრილი პაერი იგრძნო, თვალი ფრთხილად ერთ-ერთი ჩამოფარებული ფანჯრისკენ გააპარა. ერთხანს სერიოზულად, მტკიცედ და ამღვრეული თვალეით მისჩერებოდა მას, შემდეგ ხელები ზურგს უკან შემოიწყო და ხრეშმოყრილ გზას დაადგა. ღრმად ჩაფიქრებული მიაბიჭებდა.

ყვავილნარს ჯერ კიდევ ჭილოფი ეფარა. ბუჩქნარი და ხეები ისევ შემოძარცულნი იდგნენ. თოვლი გამდნარიყო და გზაზე აქა-იქლა მოსჩანდა მისი ნოტიო კვალი. ვეებერთელა ბაღი, თავისი მღვიმეებით, ხეივანებით და პაეილიონებით, დაისის დიდებულ მოლიელებე ოქროსფერ შუქ-ჩრდილში იყო გახვეული და ხეთა ჩამუქებული ტო-

ტები ცხადად და ფაქიზად გამოკვეთილიყო ცის ნათელ ფონზე.

ის დრო იყო, როცა მზის სინათლის უფორმო მასა ჩამავალი დისკოს ფორმას იღებს და მისი ზომიერი, საამო ელვარება თვალს აღარ ჰკრის. შპინელი მზეს ვერ ხედავდა, გზას ისე მიჰყავდა, რომ მზე თვალს იყო მოფარებული. თავჩაქინდრული მიბიჯებდა და რაღაც მოკლე, ნაზ და მოთქმით სავსე მუსიკალურ ფრაზას, სევდის მოტივს ღიღინებდა... მერე უცებ ამოიოხრა და მონუსხულივით შესდგა. მისი გაფართოებული თვალები შექმუხნილ წარბებს ქვემოდან შემაზრზენი ზიზლით იხედებოდა პირდაპირ.

გზამ ჩამავალი მზისკენ მიუხვია. გაკაშვებული, ოქროსფრად მოვარაყებულ ღრუბლის ორი ვიწრო ზოლით გადასერილი უშველებელი მზე აღმაცერად ეკიდა ცის კაბადონზე, ხეთა კენწეროებს თავის ელვარებაში ხვევდა და ნაირინჯისფრად აკაშვებულ სხივებს ბალში აფრქვევდა. გზაზე, ამ ოქროსფერ ნათელში შოტლანდიურ წითელ კაბაში გამოწყობილი და ოქროულით მორთული ჩათქვირებული არსება აღმართულიყო. მას მზის დისკო უშველებელ შარავანდედად ედგა თავზე, მარჯვენა ხელით სავსე თეძოზე დონიჩი შემოედგა და მარცხენათი საბავშვო ეტლს ადგილზე აკორებდა. ეტლში ბავშვი იჯდა — უმცროსი ანტონ კლოტერიანი — ლოყაწითელი შვილი გაბრიელა ეკოფისა!


ბავშვს თივთიკის თეთრი ქურთუკი ეცვა და ღიღი თეთრი ქუდი ეხურა. ლოყაწითელი, ნანებივრები და ღიღებულ უმცროსი ანტონი ბალიშებში

იყო ჩაფლული. მისი მზიარული და თამამი თვალები შპინელის თვალებს შეეფეთა. რომანისტმა ძაღლის მოკრება სცადა: ის ხომ კაცია და ძაღაც შესწევს, რომ ამ მოულოდნელ, ნათელით გაბრწყინებულ სანახაობას ჩაუაროს და თავისი გზა განაგრძოს! სწორედ ამ დროს შემადრწუნებელი რამ მოხდა: ანტონ კლოტერიანს სიცილი აუტყდა და აღტაცებული აცმუკდა. გაუგებარი მიზეზის გამო ისეთი ჭყლოპინი მორთო, აღამიანს შეაყრყოლებდა.

ღმერთმა იცის რა მოეჩვენა — შესაძლოა, პირდაპირ მდგომმა შავმა არსებამ მოკვარა არაადამიანური მზიარულება ანდა ცხოველივით ჯანსაღად იგრძნო თავი. ცალ ხელში ძვლის რგოლი ეჭირა — მეორეში თუნუქის საჩხაკუნებელი, ორივე სათამაშო სიხარულის შეძახილებით მზისკენ აღემართა, ისე იქნევდა და ახლიდა ერთმანეთს, თითქოს ვილაცას აშინებს და დასციინისო, თან თვალები კმაყოფილებით მოეკუტა და პირი ისე დაეღო, რომ ვარდისფერი სასა მთლიანად მოუჩანდა, თავს აქეთ-იქით აქნევდა და გადარეულივით ჭყვიტივტივებდა.

ახლა კი იბრუნა პირი ბატონმა შპინელმა და იჭაურობას გაეცალა. პატარა კლოტერიანის სიხარულის შეძახილებით დევნილი ხრემოყრილ გზას დაადგა, მკლავი თავისებური გრაციოზულობით ეჭირა და ისეთი ადამიანით აღგამდა ნაბიჯებს, რომელიც ცდილობს გარეგნულად არ შეიმჩნიოს, რომ მთელი არსებით გაურბის ვილაცას.

გერმანულიდან თარგმნა
პავლე ნაკვიანავა



აკად. ვ. ასათიანი

დიდი და მცირე ქიმიკ საქართველოში

(ზოგიერთი პერსპექტივა)

ისტორიულად მუდამ ასე იყო: მეცნიერული და ტექნიკური პროგრესის ყოველ პერიოდში მეცნიერების ფრონტი წინ არათანაბრად მიიწეოდა. წინა პლანზე ყოველთვის გამოდიოდა კაცობრიობის ცოდნის ერთი რომელიმე დარგი. ასე შეცვალა ორთქლის ეპოქა ელექტრობის ეპოქამ, შემდეგ მოვიდა ქიმია, დაბოლოს, ჩვენ ვცდილობთ ატომის ბირთვების ელემენტარულ ნაწილაკების ისეთ ღრმა შესწავლას, რომ ჩვენს საუკუნეს შეიძლება ატომური ფიზიკისა და კოსმოსის დაპყრობის საუკუნე ეწოდოს. და, აი, კვლავ გაიჭრა წინ ქიმია. დიდი ქიმიის საკითხებს მიეძღვნა სკკპ ცენტრალური პლენუმი. ყოველ ჩვენგანს აფიქრებს დიადი და პასუხსაგები ამოცანა — ქიმიის დარგშიც დავიკავოთ მოწინავე პოზიციები მსოფლიოში.

საუბარი დიდი ქიმიის შესახებ, როგორც მიღებულია, პოლიმერებიდან უნდა დაიწყოს. ავლენს, რომ საქართველო არც თუ იმე მდიდარია პოლიმერთა ქიმიის ნედლეულის ძირითადი წყაროების შესწავლილი საბადოებით. მაგრამ, ჯერ ერთი, პოლიმერთა წარმოებით არ ამოიწურება მთელი ქიმიური მრეწველობა, და მეორეც, ამ მხრივ, ჩვენში არსებობს დიდი შესაძლებლობები, რომლებიც აუცილებლად უნდა იქნას გამოყენებული, რითაც საქართველოში საფუძველი ჩაეყარა „დიდი ქიმიას“.

როგორია, კონკრეტულად, „დიდი ქიმიის“ პერსპექტივები ჩვენს რესპუბლიკაში?

ყველასათვის კარგადაა ცნობილი ტრიკორტაჟის ნაწარმი კაპრონიდან. კაპრონი სინთეზური ბოჭკოა, რომლის დიდი რაოდენობით დამზადება ჩვენში სპეციალურ ქარხანაში წარმოებს. კაპრონის წარმოების კარგი ორგანიზაცია მნიშვნელოვნად გაზარდის მთელი მსუბუქი მრეწველობის ნედლეულის ბაზას და ამ ბოჭკოს მომხმარებელი მრეწველობის მრავალი დარგის სწრაფი განვითარების სტიმული იქნება.

მაგრამ რისგან მზადდება კაპრონი? საქმე იმაშია, რომ ეს სინთეზური ბოჭკო მიიღება ე. წ. პოლიკაპროლაქტამისაგან, რომელიც კაპროლაქტამის ხუთი მოლეკულის პოლიმერიზაციის პროდუქტს წარმოადგენს. კაპროლაქტამის სინთეზი კი აზოტოვანი შენაერთებისა და ფენოლისაგან ჩვენში უკვე წარმოებს რუსეთის აზოტოვანი სასუქების ქარხანაში. ამრიგად, მთელ გზას — ნედლეულიდან მზა ბოჭკომდე — კაპრონი ჩვენი რესპუბლიკის ფარგლებში გადის.

ძვირფასი ქიმიურ ნედლეულს წარმოადგენს სამრეწველო და ბუნებრივი გაზები. გაიზნულია ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის რეკონსტრუქცია, რას შედეგადაც ორჯერ გაიზარდება სამრეწველო მნიშვნელობის პროდუქცია... სამრეწველო გაზებზე, როგორც „პროდუქციაზე“, შეიძლება მხოლოდ უახლოეს მომავალში ვილაპარაკოთ. რადგან ბოლო დრომდე ძვირფასი სამრეწველო გაზები გამოუყენებლად იწ-

ვეზოდა ქარხნის ორთქლის ქვაბებსა და ტექნოლოგიური დანადგარების საწვავებში, მაგრამ ბათუმის ქარხნის რეკონსტრუქციის შემდეგ, გაზები დიდი რაოდენობით მოიხმარება პოლიეთილენის წარმოებაში; პოლიეთილენი კი საუკეთესო საწყისი ნივთიერებაა სინთეზური მასალების შესაქმნელად. საკუთარი პოლიეთილენის წარმოების დანერგვა ჩვენს რესპუბლიკაში ნიშნავს მტკიცე ბაზის შექმნას პლასტიკური მასების ორგანიზაციისათვის.

მაგრამ პოლიეთილენი ერთადერთი ნახევარპროდუქტი როდია, რომლის მოცემაც შეუძლია საქართველოს ქიმიურ მრეწველობას სინთეზური მასალების მისაღებად. გავისხენოთ ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა, ქარხნის თანამშრომლებთან ერთად, ჩვენ მეცნიერთა მიერ ჩატარებულმა გამოკვლევებმა გვიჩვენეს, რომ ამ ქარხნის სამრეწველო გაზები რეკონსტრუქციის შემდეგ უვარვის ნარჩენებს კი არა, ძვირფას წყაროს წარმოადგენს ნახშირენანგის წარმოებისათვის, რომლისაგანაც სინთეზური გზით შეიძლება მეთალის სპირტის (მეთანოლის) მიღება.

მეთილის სპირტი შესანიშნავი გამსხნელი და ამასთან ერთად მრავალი ძვირფასი სინთეზური მასალის — ფისების, ლაქების, წებოებისა და პლასტიკური მასების — საწყისი ნახევარპროდუქტია.

ზემოაღნიშნული შესაძლებლობებით არ ამოიწურება ჩვენს რესპუბლიკაში ქიმიური სინთეზის განვითარება. უახლოეს მომავალში ფართო გამოყენებას პოვებს რუსთავის ქარხნის წარმოების ნარჩენები, კერძოდ, ნახშირმჟავასა და ამონიაკისაგან დაიწყება სინთეზური კარბამიდის წარმოება. კარბამიდი, ერთი მხრივ, ისეთი ქიმიური პროდუქტია, რომლის დანერგვაც სოფლის მეურნეობაში უზრუნველყოფს ნიადაგის ნაყოფიერების, მოსავლიანობისა და მეცხოველეობის ეფექტიურობის ზრდას. ჩვენი რესპუბლიკისათვის კარბამიდი გამსაკუთრებით ძვირფასია.

ვინაიდან იგი, ერთი მხრივ, აჩქარებს ჩანა და ციტრუსოვანი კულტურების მოშენებას, მეორე მხრივ, კლოროფილის თაღი ნახევარპროდუქტია პლასტიკური მასების წარმოებისათვის. ჩვენში სინთეზური კარბამიდის წარმოება საუკეთესო ტრამპლინია პლასტმასათა „დიდ ქიმიში“ ნახტომისათვის.

ჩვენი რესპუბლიკის ქიმიური მრეწველობის განვითარებაში დიდ როლს ასრულებს არა მარტო სამრეწველო, არამედ ბუნებრივი გაზებიც. რუსთავის აზოტოვანი სასუქების ქარხანა, სადაც გამოიზნულია მინერალურ სასუქთა წარმოების მნიშვნელოვანი ზრდა, ფართოდ გამოიყენებს ყარადაღის ბუნებრივი გაზის საბადოებს, რაც საწარმოს უფრო რენტაბელურს გახდის.

ქართველ მეცნიერთა გამოკვლევებით ნაჩვენებია პლასტიკური მასების მრეწველობის ნედლეულად ტყიბულის ლიპტობიოლიტების გამოყენების პერსპექტიულობა. ლიპტობიოლიტებისაგან ამზადებენ პრესფხენილებს, რაც გამოიყენება მრავალი სხვადასხვაგვარი საგნის დასამზადებლად (ელექტროტექნიკური ნაწარმი, აკუმულატორის ბაჟი, სამეურნეო და საყოფაცხოვრებო დანიშნულების ნაწარმი), ლიპტობიოლიტები გამოიყენება ლაქების წარმოებაშიც. მაგრამ საქართველო ძალზე მდიდარია ამ ფისოვან ნივთიერებათა უნიკალური და პრაქტიკულად ამოუწურავი მარაგით. ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ ჩვენი მეცნიერები იპოვნიან ლიპტობიოლიტთა სხვა მიზნით გამოყენების გზებს (მეტალურგიასა და მრეწველობის სხვა დარგებში).

ამგვარად, ყველა პირობა იქმნება, ჯერ კიდევ შემოიხილულ ნახევარპროდუქტებზე მომუშავე, თბილისის პლასტიკური მასების ქარხნის სამძლავრის ყოველმხრივ გაზრდისა და პროდუქციის ასორტიმენტის გაფართოებისათვის. ნედლეულის საკუთარი ბაზის არსებობა საშუალებას მისცემს ქარხანას შექმნას სინთეზური მასალის წარმოება,

რაც აუცილებელია მრეწველობის სწრაფად მზარდი ისეთი დარგებისათვის, როგორცაა მანქანათმშენებლობა, ელექტროტექნიკური და სხვა დარგები.

მაგრამ ეს, რესპუბლიკაში პლასტიკური მასების მრეწველობის განვითარების, მხოლოდ ზოგიერთი საკითხია. პრობლემის შემდგომი, უფრო ღრმა შესწავლა უქველად გამოაუღენს ახალ შესაძლებლობებს ამ მიმართულებით.

საქართველო მანგანუმის მზარეა და ამ მეტალს, ბუნებრივია, შემდეგშიც უნდა ეკავოს ის ადგილი, რომელიც მას ღღეს აქვს ჩვენი რესპუბლიკის ქიმიურ მრეწველობაში. ქართველი მეცნიერების მიერ კარგადაა დამუშავებული მანგანუმის ქიმიკა. სახალხო მეურნეობის მრავალი დარგი (სამედიცინო, საფეიქრო) საჭიროებს ისეთ ძლიერ დამქანველს, როგორცაა მანგანუმშეკვავალიუმი (კალიუმის პერმანგანატი). საქართველო ამ ნივთიერებით უკვე ამარაგებს მთელ საბჭოთა კავშირს, მაგრამ ჩვენს რესპუბლიკაში ყველა პირობა არსებობს ამ ძვირფასი პრეპარატის წარმოების შემდგომი მკვეთრი აღმაშენებისათვის ელექტროლიზური გზით.

ჩვენ მეცნიერთა მიერ ნაჩვენებია მანგანუმის სხვა მარილთა პერსპექტიულობაც. უნდა გავიხსენოთ აგრეთვე, რომ ჭიათურის მადანი ცუდი ნედლეული როდი იქნება მანგანუმის ორქანგის — ამ ძვირფასი პროდუქტის საწარმოებლად, რომელიც მშრალი გაღვანური ელემენტების დასამზადებლად და სხვა მიზნებისათვის გამოიყენება. დიდი მნიშვნელობა აქვს მანგანუმს სოფლის მეურნეობისათვისაც. ეს მინერალური ნივთიერება მიეკუთვნება იმ მიკროელემენტთა რიცხვს, რომლებსაც აღამიანის, ცხოველური და მცენარეული ორგანიზმები ძალზე მცირე რაოდენობით შეიცავენ, მაგრამ მეტად დიდი მნიშვნელობა აქვთ ყოველი ცოცხალი ორგანიზმისათვის. მანგანუმის მიკროსასუქთა წარმოება, რომელიც ჩვენს რესპუბლიკაში მწყობრად მიმდინარე-

ობს, შემდგომში კიდევ უფრო უნდა განვითარდეს.

ჩვენი რესპუბლიკა მდგრადი მრავალის სხვა მადანით, რომელთა საბადოებში საკმაოდ კარგადაა შესწავლილი. ასე, მაგ., მარნეულის საბადო მდიდარია სპილენძის, თუთიის, ტყვიის, გოგირდისა და ბარიტის მარაგით. ამ წიაღისეულთა ჩამოთვლაც კი საკმარისია იმის სანჯენებლად, რომ მიზანშეწონილია მათი კომპლექსური ვადამუშავება. საკმარისია მოვიხსენიოთ ისეთი მნიშვნელოვანი ქიმიური პროდუქტი, როგორც გოგირდმჟავა. ამ მჟავას სამართლიანად უკავია „წამყვანი“ ადგილი არა მარტო ქიმიურ მრეწველობაში, არამედ ნავთობის, მანქანათმშენებლობის, კვების, მსუბუქ მრეწველობებში, ფეტქებად ნივთიერებათა წარმოებაში, სოფლის მეურნეობაში. გოგირდმჟავას (გოგირდოვანი გაზის სახით) საჭიროებს კაპოლაქტამის წარმოებაც. მართალია, ქართველ მეცნიერთა მიერ დამუშავებულია მარნეულის მადნიდან სპილენძისა და თუთიის შაბიანის მიღების მეთოდი გოგირდმჟავას გარეშე, მაგრამ მოთხოვნილება ამ უკანასკნელზე მაინც დიდია. ამიტომ დღემდე საქართველოში გოგირდმჟავა სხვა ეკონომიური რაიონებიდან შემოაქვთ მაშინ, როცა გოგირდმჟავას მიღება წარმატებით შეიძლება ადგილობრივი, პოლიმეტალური მადნების ვადამუშავების გზით (გოგირდმჟავას ნედლეულად შეიძლება გამოყენებულ იქნას, თაბაშირიც, რომლის საბადოები საქართველოშიც არის). საქართველოში გოგირდმჟავას ნედლეულად შეიძლება გამოყენებულ იქნას მარნეულის საბადოს პირიტისა (გოგირდოვანი კოლჩედანი) და თუთიის კონცენტრატები. ამ შემთხვევაში კარგად იქნება გამოყენებული ნარჩენებიც. გოგირდმჟავას მისაღებად პირიტს წვავენ. ნაშვავები კი შეიძლება ვადამუშავებულ იქნას რუსთავში ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის აგლომერატის

რიკაში. თუთიის ნამწვავების გამოყენებით კი განთავისუფლდება ქუთაისის ლიტკომონის ქარხანა საბჭოთა კავშირის სხვა ეკონომიური რაიონებიდან თუთიის ნედლეულის შემოზიდვისაგან. ლიტკომონი ძალზე იშვიათი, ძვირფასი მინერალური პიგმენტია, მას ფართოდ იყენებენ სხვადასხვა საღებავის, თეთრას დასამზადებლად, მუშაბმისა და დერმატინის წარმოებაში და ა. შ. დიდი ლიტკომონზე მოთხოვნილება, და ამიტომ სასურველია მისი წარმოების გაფართოება. მაგრამ ლიტკომონი წარმოადგენს თუთიისა და ბარიუმის მარილთა ნარევეს, ასე რომ, თუთიის შემცველი ნედლეულის არსებობა პრობლემას მხოლოდ სანახევროდ წყვეტს. აქვე უნდა ითქვას, რომ პრობლემის მეორე ნახევარიც გადაჭრილია. საქართველო ძალზე მდიდარია მალალხარისხის ბარიტის საბადოებით. ბარიტის ეს მარაგი საკმარისია არა მარტო ლიტკომონის პროდუქციის გაზრდისათვის, არამედ ბარიუმის პრეპარატების, პირველ რიგში კი— ნახშირმყავა-ბარიუმის წარმოებისათვისაც. ბარიუმის პრეპარატები ფართოდ გამოიყენება მედიცინაში, მღრღნელებთან ბრძოლაში, მინის, კერამიკულ წარმოებაში და ა. შ. საქართველოში ბარიტის იმდენად მდიდარი საბადოებია, რომ შესაძლოა ბარიუმის პრეპარატების ისეთი რაოდენობით წარმოება, რაც საკმარისი იქნებოდა მთელი საბჭოთა კავშირის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად; ეს მოთხოვნილება კი მრავალ ათას ტონას უდრის.

ჩვენში არაა გამოყენებული არც ნატრიუმის სულფატის ბუნებრივი მარაგი, რომელიც იმდენად დიდი, რომ საესეებით შესაძლებელია რესპუბლიკაში სოდის პროდუქტთა წარმოების ორგანიზაცია. არაორგანულ ნივთიერებათა წარმოებაში სოდაც ხომ ისევე დიდ როლს ასრულებს, როგორსაც გოგირდმყავა; სოდის მრეწველობა ქიმიური მრეწველობის უმსხვილესი დარგია. სწორედ საბჭოთა კავშირში იქნა შემუშავებული

სოდის მიღების პრაქტიკულად გამოსადგეი მეთოდი ბუნებრივი ნატრიუმის სულფატის ბაზაზე. „საკუთარი“ სოდის წარმოება შესანიშნავი სტიმული იქნება ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ქიმიზაციისათვის.

ქიმიური მრეწველობის მეორე მნიშვნელოვან დარგს წარმოადგენს სასუქების წარმოება. რუსთავის აზოტოვანი სასუქების ქარხნის პროდუქტთა თუმცა კარგი, მაგრამ არასრული წელილია ამ დარგში. ჩიხსა და ციტრუსოვანთა კულტურებისათვის საჭიროა ამ პროდუქციის არა მარტო ზრდა, არამედ მისი ასორტიმენტის გაფართოებაც. ვარდა აზოტოვანისა, ჩვენ გვეჩვენება ფოსფოროვანი და აზოტ-ფოსფოროვანი სასუქები. აუცილებელია მათი წარმოების ორგანიზაცია.

ჩვენი რესპუბლიკის შესაძლებლობანი ქიმიური მრეწველობის აღნიშნული მიმართულებით განვითარებით როდი ამოიწურება. მარტო რუსთავშიც კი, პროდუქციის ზრდა და კაპროლაქტამის, ხელოვნური მანგანუმის ორქანგის, სინთეზური კარბამიდისა და გოგირდმყავას წარმოების ორგანიზება უეჭველად გამოიწვევს ისეთ პროდუქტთა წარმოების განვითარებას, როგორცაა ნატრიუმის ნიტრიტი, ვაზობრივი არგონი, ნატრიუმისა და ამონიუმის სულფატები. ნატრიუმის ნიტრიტი ფართოდ გამოიყენება მრავალი ორგანული ნაერთის სინთეზში, კონსერვების წარმოებასა და მედიცინაში. არგონს იყენებენ შეღებების მიზნებისათვის, ვარვარების ნათურების აგებისა და არგონის მიღების დასამზადებლად (ყველა ჩვენთაგანისათვის ცნობილია სარეკლამო ვაზის სინათლის მილები). ნატრიუმისა და ამონიუმის სულფატები კი მნიშვნელოვანი სასუქებია. საკმარისია ითქვას, რომ ეს ნაერთები შეადგენენ მსოფლიოში გამოყენებული სასუქების ნახევარს. ზოლო ის, თუ რას ნიშნავს სასუქები საქართველოს სოფლის მეურნეობისათვის, კარგად იცის ჩვენი რესპუბლიკის ყოველმა მშრომელმა.

მაგრამ ეს ყველაფერი როდია.

ვაშობთ რა „დიდი ქიმია“, არ უნდა დავივიწყოთ მცირე ქიმია, მისი საიუველირო მუშაობა ქიმიური პროდუქტების იდეალურად სუფთა სახით მიღებასა და სრულყოფაზე. რაკი ჩვენ შევძელით ბუნებრივ კაუჩუკზე უფრო ძვირფასი თვისებების მქონე ხელოვნური კაუჩუკის შექმნა, სხვა პოლიმერებიც ისეთი ხარისხისა უნდა იყოს, რომ ბუნებას შურდეს ჩვენი ქიმიკოსების გონიერი ხელისა. ჩვენი რესპუბლიკის ქიმიკოსები, მეცნიერები და პრაქტიკოსები იმდენად გაიზარდნენ, რომ მათ შეუძლიათ, რომელიც გნებავთ ამოცანის გადაჭრა, საჭიროა მხოლოდ ლაბორატორიებისა და ექსპერიმენტული ბაზების თანამედროვე ტექნიკით აღჭურვა. ახალი ქიმიური მრეწველობის შექმნა, ქიმიური პროცესების გაუმჯობესება შეიძლება მხოლოდ მეცნიერული ცოდნის საფუძველზე, ამისათვის კი საჭიროა, რომ ყოველ ქიმიურ საწარმოში არსებობდეს მეცნიერების კერა — კარგად მოწყობილი პრობლემური ლაბორატორიების სახით.

დიდ ქიმიაზე ვადასვლა ნიშნავს არა მარტო დიდი რაოდენობის პროდუქციის გამოშვებას, არამედ იგი წარმოადგენს თვისობრივ ნახტომს, ქიმიის ყველა დარგის ყოველმხრივ განვითარებას, ახალ შესაძლებლობათა ძიებას თვით ბუნებაშიც.

აქ შეგჩერდებით იმ შესაძლებლობათა ასპექტზე, რისი გაკეთებაც შეუძლია ქიმიის კავშირის მედიცინასთან ჩვენი რესპუბლიკის პირობებში.

ძველი დროის გამოჩენილმა მეცნიერმა, რომაელმა ფილოსოფოსმა და ექიმმა გალენმა, ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყისში თავის თანამედროვეთა აწვავლა ადამიანის ორგანიზმზე სასარგებლოდ მოქმედ ნივთიერებათა ძებნა მცენარეებში და მათი გამოწვლილვა; ნაყენების, მონახარშების, მიქსტურების, აბებისა და სხვათა მომზადება. ყოველივე ამან ჩვენს დროში გალენიკების ანუ გალენური პრე-

პარატების სახელწოდება მიიღო. სპირტერესია აღვნიშნოთ, რომ გალენიკებით გალენი კოლხი იყო და ვინაჟინა შესაძლებელია ოდესმე გაირკვეს ის დიდი როლი, რომელიც ძველი დროის საქართველოს ბუნებრივმა სიმდიდრემ და სახალხო მედიცინის დიდმა გამოცდილებამ შეასრულა დიდი მეცნიერის ცხოვრებაში.

საქართველოს ფიზიკო-გეოგრაფიული პირობების განსაკუთრებული მრავალფეროვნებაა მიზეზი იმისა, რომ ჩვენ ქეშმარიტი საუნჯის — დიდი რაოდენობისა და მრავალგვარი ასორტიმენტის სამკურნალო მცენარეთა მფლობელნი ვართ. რესპუბლიკაში იზრდება 5 ათასამდე სხვადასხვა სახის მცენარე, რომელთაგან 135-ზე მეტი სახეობის მცენარე გამოიყენება მედიცინაში. ამიტომაც, რომ საქართველოს „დიდი ქიმიის“ დარგებს შორის სამკურნალო საშუალებათა ქიმიას ყველაზე კარგი პირობები აქვს სწრაფი განვითარებისათვის. სამკურნალო მცენარეები შეიცავენ სხვა დასხვა ქიმიურ ნაერთებს, რომლებიც ნაირგვარად მოქმედებენ ორგანიზმზე. ამიტომ ჩვენი მეცნიერები დეტალურად შეისწავლიან როგორც ძველთაგან ცნობილ, ისე ახლად აღმოჩენილ სამკურნალო მცენარეთა მოქმედებას.

მცენარეთა სამკურნალოდ გამოყენების მდიდარი გამოცდილება შეკრებილია ძველ ქართულ ხელნაწერებში, რომელთაგან ბევრი უკვე გამოცემულია (XI საუკუნის შეუდარებელი „კარაბადინი“, XIII საუკუნის „წიგნი სააქიმო“, XV საუკუნის „კარაბადინი“, XVI საუკუნის — „იადიგარ დაუდი“ და სხვ.).

სამკურნალო მცენარეთა ღრმად შესწავლაზე მუშაობენ სპეციალური ინსტიტუტები და ლაბორატორიები. ახალ სამკურნალო პრეპარატთა შექმნის საკითხებზე დიდ მუშაობას ეწევა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის თბილისის ფარმაცო-ქიმიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. ინსტიტუტის ექსპედიციების მიერ და-

გროვილია უდიდესი მასალა; საქმარისია ითქვას, რომ მარტო საველე პირობებში გაკეთებულია 50.000-ზე მეტი ანალიზი, შეკრებილია პერბარითმი 15.000 ეგზემპლარისაგან, გამოკვლეულია 40-მდე რაიონი, დადგენილია სამკურნალო მცენარეთა გავრცელების ზონები და ამ მცენარეთა მარაგი, გაკეთებულია სათანადო აღნიშვნები რუკაზე; ეს სამკურნალო მცენარეები საოცრად მრავალგვარია. აქ არის სათითურა, ალოე, ეკალიპტი, ასკილი, როდოდენდრონი, ქინძარი, ზოფა, კატაბალახა, კუნელი, სალაბი, ფითრი, ხეჭრელა და სხვ. მხოლოდ მათი ჩამოთვლაც კი შორს წაგვიყვანდა, ამიტომ შევიჩრდებით მხოლოდ ზოგიერთ მათგანზე, რომელიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჩვენი რესპუბლიკისათვის.

მცენარეთა ერთმანეთთან ახლომდგომი სახეობები ჩვეულებრივ შეიცავენ, როგორც შემადგენლობით, ასევე აღამიანის ორგანიზმზე მოქმედების ხასიათით თუ სავსებით იდენტურს არა, მსგავს ნივთიერებებს მაინც. ასეთი ნივთიერებებია, მაგალითად, ე.წ. გლუკოზიდები, რომელთა ამოუწურავ წყაროსაც წარმოადგენს როგორც 1755 წელს ინგლისელი ექიმის უაიზერინგის მიერ აღმოჩენილი ალისფერი სათითურა, ისე ამ მცენარის სხვა სახეობები, პირველ რიგში კი, საქართველოში გავრცელებული წამწამოვანი და ქანგოვანი სათითურა.

ალისფერი სათითურა ჩვენში არ ხარობს, რის გამოც იგი საზღვარგარეთიდან შემოგვქონდა. მაგრამ ქართველმა მეცნიერებმა ქანგოვანი სათითურადან რამდენიმე ეფექტური სამკურნალო პრეპარატის მიღება შეძლეს. მათგან აღსანიშნავია დიგალენ-ნეო, რომლის დამზადებითაც ჩვენი ქვეყანა განთავისუფლდა საზღვარგარეთულ კარგად ცნობილ პრეპარატის — დიგალენის იმპორტის აუცილებლობისაგან, უფრო მეტიც, სამკურნალო ნედლეულის რესურსები იმდენად დიდია, რომ შესაძლებელია დიგალენ-ნეოს ექს-

პორტიც კი. ბორჯომისა და დუშეთის რაიონებში ყოველწლიურად შეიძლება 25 ტონაზე მეტი ქანგოვან-სათითურას შეგროვება. ეს საქმარისია პრეპარატის ისეთი რაოდენობით დასამზადებლად, რაც საქირთა ერთი მილიონი ავადმყოფის მკურნალობისათვის.

ქართველ მეცნიერთა მიერ გამოკვლეულია ქანგოვანი სათითურას კიდევ ერთი მონათესავე სახეობა — წამწამოვანი სათითურა. მთიან რაიონებში ყოველწლიურად შეიძლება ათეული ტონობით შეგროვება ამ მცენარისა, რომელიც მხოლოდ ჩვენში იზრდება. მაგრამ საქმე მხოლოდ ამ სამკურნალო ნედლეულის სიუხვეში როდია, მთავარია მისი თვისებები. წამწამოვანი სათითურადან მომზადებული პრეპარატები გაცილებით მეტი რაოდენობით შეიცავენ საგულე გლუკოზიდებს და გაცილებით უფრო აქტიური არიან, ვიდრე სათითურას სხვა სახეობებიდან დამზადებული პრეპარატები. უფრო მეტიც, პრეპარატის მისაღებად გამოიყენება წამწამოვანი სათითურას მთელი მიწისზედა ნაწილი, რომელიც სხვა სახეობის სათითურას ფოთლებზე ორჯერ უფრო აქტიურია. ამით მკვეთრად მალდება წამწამოვანი სათითურას სამრეწველოდ გამოყენების რენტაბელურობა. მაგრამ ჩვენი მეცნიერები მიღწეულით როდი კმაყოფილდებიან.

სკვდკემბრის პლენუმმა განსაკუთრებით ხაზი გაუსვა იმ აზრს, რომ მეცნიერულ კვლევაში არ შეიძლება მხოლოდ გაცალული ბილიკებით სვლა. ამ ქრილში განხილულ უნდა იქნას სამკურნალო მცენარეებზე კვლევითი მუშაობის საკითხები. უკვე დადგენილია მრავალი საინტერესო ფაქტი, რომლებიც ამ მნიშვნელოვანი სამკურნალო ნედლეულის შედგენილობასა და ქიმიურ თვისებებს შეეხება და რითაც სრულიად ახალი პერსპექტივები იშლება ჩვენს წინ.

არც თუ ისე დიდხანია, რაც მოპოვებულ იქნა ბუნებაზე ახალი გამარჯვება — შესაძლო შეიქმნა თირკმელ-

ზედა ჯირკვლის მიერ გამოშვებული ურთულესი ჰორმონების, კორტიკოსტეროიდების სინთეზი. ასე დაიწყო თანამედროვე მედიცინაში კორტიზონისა და მისი მონათესავე შენაერთების წარმატებითი სვლა. ეს ნაერთები მეტად ძლიერი საშუალებებია, რომლებიც იწვევენ დასუსტებული ორგანიზმის დამცველი თვისებების გაძლიერებას მრავალ რთულ დაავადებათა წინააღმდეგ (რევმატიზმი, ართრიტები, ბრონქიალური ასთმა და სხვ.) საბრძოლველად.

კორტიზონის სინთეზი — მეტად რთული და ძვირადღირებული პროცესია. თავდაპირველად სინთეზირებული კორტიზონის 1 გ. მილიონ მანეთზე მეტი ღირდა. ამ სინთეზის თვითღირებულების შემცირებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს გამოსავალ ნედლეულს, ე.წ. სტერიოდულ ნაერთთა მოლეკულები, რომელთაგან ადვილად შეიძლება კორტიზონისა და მისი მონათესავე პრეპარატების მიღება, ჩვენი რესპუბლიკის ბუნებამ გულუხვად გააბნია სხვადასხვა მცენარეებს. ერთი მათგანია წაშწამოვანი სათითურა რომლის შემადგენლობაშიც მეცნიერებმა აღმოაჩინეს ეს ძვირფასი სტერიოდული შენაერთები. ჯერ ადრეა იმაზე მსჯელობა, მთლიანად შეიძლება თუ არა ამ მცენარის გამოყენება კორტიზონის სინთეზისათვის, მაგრამ მთავარი ის არის, რომ გვაქვს კარგი პერსპექტივები და წარმატების იმედი.

საქართველოს სხვადასხვა რაიონში, მდინარეთა, ნათესებისა და საავტომობილო გზების ნაპირებზე გვხვდება ბალახოვანი მცენარე, მიწაზე გართხმული ღეროებითა და ეკლიანი ნაყოფით. ეს არის ლურსმანა ეკალი ანუ ტატაშა, რომელსაც მრავალგვარი თვისება გააჩნია. მისგან ამზადებენ პრეპარატებს, რომლებიც წარმატებით გამოიყენება კანისა და კუჭის დაავადებათა სამკურნალოდ. ამის გარდა, ტატაშაში აღმოჩენილია სტეროიდული შენაერთი-დიოსგენინი, რომელიც გამოიყენება სამედიცინო მრეწველობაში კორტიზონისა

და სასქესო ჰორმონთა სინთეზისათვის.

60 წელზე მეტია მას შემდეგ, რაც შვეიცარიის სანაპიროზე პეტრე სკიმპა ვერსიტეტის პროფესორმა ე. ლემანმა იპოვნა მცენარე ლედეკეცა და მისგან გამოყო გლუკოზიდი — პერიპლოცინი, რომელიც ძალზე პერსპექტიული საგულე საშუალება გამოდგა. მაგრამ პერიპლოცინი არ იქნა გამოყენებული სამედიცინო პრაქტიკაში, ვინაიდან ვერავენ ვერ შეძლო იმის გამოკრება, რაც თავის დროზე ლემანმა გააკეთა — სუფთა, კრისტალური პრეპარატის გამოყოფა.

ამ საქმეს წარმატებით გაართვეს თავი ქართველმა მეცნიერებმა. ასე დაიწყო პერიპლოცინის მსვლელობა დიდ მედიცინაში. ლედეკეცას რესურსები სავსებით უზრუნველყოფს მთელი საბჭოთა კავშირის მოთხოვნილებას ამ საიმედო საგულე საშუალებაზე.

საქართველო მდიდარია სხვა საგულე საშუალებათა შემცველი მცენარეებითაც. დავასახელოთ თუნდაც შროშანა, რომლის პრეპარატებსაც, გამოყენების თვალსაზრისით, სავსებით შეუძლია მეტოქეობა გაუწიოს ყველაზე ცნობილ სამკურნალო საშუალებებსაც კი.

ჯერ კიდევ საქართველოს ძველ სამედიცინო წიგნებში („წიგნი სააქიში“ და სხვ.) სატაციური მოიხსენებოდა როგორც არა მარტო კარგი საკვები, არამედ როგორც სამკურნალო საშუალება. მართლაც, სატაციურა კარგი სამკურნალო საშუალება აღმოჩნდა, იგი ორგანიზმს ზედმეტი სითხისაგან ათავისუფლებს. ასეთივე ეფექტი აქვს საქართველოში გავრცელებულ მრავალ სხვა მცენარეს. მათ შორის — დიდგულას, ფშნის ეკალას, შვიტას, სიმინდსა და ლედეს.

საქართველოს ბუნება იძლევა ისეთ მცენარეთა ფართო ასორტიმენტს, რომელთა პრეპარატებსაც არტერიული წნევის შემცირების უნარი შესწევთ. ეს მცენარეებია — როგორც საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებში, ისე ჩვენში გავრცელებული კუნელი და ფითრი. იგივე ითქმის მხოლოდ ჩვენში

გავრცელებულ — მაგნოლიასა და ევკო-
მიასზე.

აჭარის ზღვისპირა მთიან რაიონებში გვხვდება უნგერნის როდოდენდრონის მცირე ზომის ხეები ან ბუჩქები; ჩვენმა მეცნიერებმა შეძლეს როდოდენდრონისაგან ისეთი პრეპარატის მიღება, რომელიც გამოიყენება პიპერტონით დაავადებულთა სამკურნალოდ. სამკურნალო მცენარიდან ყველა შესაძლო ნაერთის „გამოწურვის“ სწრაფვა აქაც წარმატებით დამთავრდა. როდოდენდრონისაგან მიღებული პრეპარატის წარმოების ნარჩენები გამოყენებული იქნა ტანიინის მისაღებად.

ტანიინი, უპირველს ყოვლისა, შემკვრელი საშუალებაა.

სამკურნალო მოქმედების თავისი განუყოფელი „ხელწერა“ აქვს ტანიინს, რომელსაც ჩაის ფოთოლი შეუაცვს. ჭარბველმა მეცნიერებმა ჩაის მთრიალავ ნივთიერებებთან ცილის შეერთებით მიიღეს პრეპარატი თეაბინი, რომელმაც ფართო გამოყენება პპოვა კლინიკაში, როგორც შემკვრელმა საშუალებამ. დასასრულს უნდა მოვიხსენიოთ თხმელინი, რომელიც თხმელას ნაყოფიდან მიღებული ეფექტური პრეპარატია.

საქართველოს ფლორის ბევრი წარმომადგენელია კადეე ტანიინის მატარებელი. მათ შორის ბევრი ფართოდაა გავრცელებული, ზოგიერთი კი საქართველოს ერთ რომელიმე კუთხეში გვხვდება. შემკვრელ სამკურნალო მცენარეთა თვისებების მრავალგვარობა ცნობილი იყო საქართველოს ხალხური მედიცინისათვის. მაგრამ ხალხის . ეს საუკუნოებით დაგროვილი გამოცდილება, რაც ხშირად ეხმარება მეცნიერებს ამა თუ იმ მცენარის სამკურნალო თვისებათა გარკვევაში, არაფერს ამბობს იმის შესახებ, თუ რაზეა დამყარებული შემკვრელ ნივთიერებათა თვისებების მრავალგვარობა. საკვირველია, მაგრამ ვერც მეცნიერული მედიცინა პასუხობდა უკანასკნელ დრომდე ამ საკითხს და ტოლობის ნიშანს სვამდა სხვადასხვა მცენარიდან გამოყოფილ

ტანიინებს შორის. ეს მით-უფრო საოცარია, რომ ქიმიკოსებმა ძველთაგანვე ასხვავებენ სხვადასხვა წარმომადგენელ ტანიინების ქიმიურ შენებას. დამოკიდებული იყო დიდი ხანია მას შემდეგ, რაც ჭარბველმა მეცნიერებმა, დანტერესდნენ რა ამ საკითხით, პირველმა დაადგინეს სხვადასხვა მცენარის ტანიინთა ფარმაკოლოგიურ და კლინიკურ ეფექტთა შორის არსებული განსხვავება. ეს განსხვავება იმდენად დიდია, რომ საქარო შეიქმნა შემკვრელ ნივთიერებათა მოქმედებაზე არსებული შეზღუდვების გადასინჯვა და ახალი, კიდევ უფრო ეფექტური ტანიინების ძიება. ასეთი ძიებისათვის ჩვენი ქვეყნის ბუნება დიდ პერსპექტივებს შლის.

ჩაის ტანიინის ქიმიური ბუნების თავისებურებებმა ჩვენი მეცნიერები ჩაიში არსებულ მრავალ ვიტამინთან ერთ-ერთი ვიტამინის — „P“-ს მიღების შესაძლებლობამდე მიიყვანა. მაგრამ ჩაის ბუჩქი ვიტამინის შემცველი ერთადერთი მცენარე როდია საქართველოში.

ვიტამინები, როგორც სამკურნალო საშუალებები, წლითიწლობით სულ უფრო დიდ მნიშვნელობას იღებს. ამიტომ, რომ სსრკ სახალხო მეურნეობის განვითარების 1959—1965 წწ. საკონტროლო ციფრებით გათვალისწინებულია ვიტამინის პრეპარატთა წარმოების ნ-ჯერ გაიზარდა. ბუნებრივ რესურსთა რაციონალური გამოყენება, ჩვენს რესპუბლიკას საშუალებას მისცემს მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს ამ ამოცანის შესრულებაში.

მადის მომკვრელ ერთ-ერთ ეფექტურ საშუალებას წარმოადგენს მწარე გემოს მქონე ნივთიერებათა მიღება, რაც აუმჯობესებს საჭმლის მონელების პროცესებს. აუცილებელია, რომ ასეთი საშუალებები სრულიად უვნებელი იყვენენ ორგანიზმისათვის. თუმცა თვისებათა ასეთი შერწყმა იშვიათად გვხვდება. მაგრამ საქართველოს ფლორა იძლევა არჩევის საშუალებას. აქ შეიძლება პირველ რიგში დავასახელოთ მრავალი წამალი, რომლის ბოლქვებისაგანაც ჩვენ-

მა სპეციალისტებმა დაამზადეს პრეპარატი, რომელსაც გააჩნია კუჭის მომატებული მყავიანობის დაქვეითების და დაქვეითებული მყავიანობის მატების უნარი. ასეთი მარეგულირებელი მოქმედება, რასაც თან სდევს მადის გაუმჯობესება, ამ პრეპარატს ძვირფას სამკურნალო საშუალებად ხდის.

ნამდვილ სიმწარეთა თვისებებით — კუჭის მყავიანობის მატებითა და მადის გაუმჯობესებით ხასიათდებიან პრეპარატები, რომლებიც მზადდება ლურსმანა ეკალსა და ნალველასაგან. დამაკმაყოფილებელი; მაგრამ შედარებით ნაკლებ ეფექტურობით ხასიათდება ტარხუნასაგან და მზადებული პრეპარატი.

კიდევ რამდენი ძვირფასი სამკურნალო პრეპარატის და მზადდება შესაძლებელი ჩვენ სპეციალისტთა მიერ გამოვლინებული რესურსებით! აქ არის როგორც ტკივილდამაყუჩებელი, ასევე ცენტრალური ნერვული სისტემის დამამშვიდებელი ან ამგზნები, პარკინსონიზმისა და ეპილეპსიის სამკურნალო საშუალებები; მუსკულატურის მომადუნებელი, მისი ტონუსის ამაღლებელი და მრავალი სხვა სამკურნალო პრეპარატი.

საქართველოს ფლორის სიმდიდრეს მცენარეთა მხოლოდ ადგილობრივი ჯიშები როდი წარმოადგენენ. საქართველოს ბუნება მეტად სტუმართმოყვარეა — სხვა ქვეყნების მცენარეები აქ თავს ისე გრძნობენ, როგორც საკუთარ სახლში. მაგალითად: ქანაქინის ზე სამხრეთ ამერიკის ტროპიკული ქვეყნების მკვიდრია, ჩაი — ჩინეთიდანაა შემოტანილი, უნწოვანი დაფნა — იაპონიის სუბტროპიკულ რაიონებში იზრდება, მუხის-ფოთლოვანი პაპაია — ჩრდ. ამერიკის ცხელ ქვეყნებში ბინადრობს.

რამდენიმე სიტყვით დავახასიათებთ თვითულ მათგანს: უნწოვანი დაფნა მრავალმწიველი ხეა, რომლის ნაყოფიც შეიცავს კაკაოს ზეთის მსგავს ცხიმს. ქინაქინის ხეს საქართველოში ახარებენ ერთწლიანი ბალახოვანი მცენარის სახით, მისგან ამზადებენ პრეპარატ — ქინეთს, რომელიც ცვლის საზღვარგა-

რეთულ ძვირფას პრეპარატს — ქინინს/პაპაიას ნაყოფისაგან მიიღება ძვირფასი მცენარეული ფერმენტ — პაპაინი, რომელიც გამოიყენება სამედიცინო და კვების მრეწველობაში.

ჩაის ფოთოლი — კოფეინის წარმოების ნედლეულია, კოფეინი კი გულის უქმარისობის დროს მძლავრი სამკურნალო საშუალებაა.

ჩვენი რესპუბლიკის „დიდ ქიმიში“ მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ისეთ საწარმოებს, როგორცაა ბათუმის კოფეინისა და თბილისის ქიმიოფარმაცევტული ქარხნები. ბათუმის კოფეინის ქარხანა დაარსდა მას შემდეგ, რაც ქართველი მეცნიერების მიერ შემუშავებულ იქნა კოფეინის მიღების მეთოდი ჩაის მრეწველობის ნარჩენებისა და ჩაის ბუჩქის ჩამონაჭრებისაგან. ეს ერთადერთი ქარხანაა მთელ საბჭოთა კავშირში, რომლის ამუშავებით ჩვენი ქვეყანა განთავისუფლდა კოფეინის იმპორტის აუცილებლობისაგან, რაზეც მილიონობით ოქროს მანეთი იხარჯებოდა. ბათუმის ქარხნის პროდუქცია ძირითადად აკმაყოფილებს საბჭოთა კავშირის მოთხოვნილებას კოფეინზე. ახლა დასმულია საკითხი იმის შესახებ, რომ კოფეინი გადაიტყოს ექსპორტის საგნად. ამასთან, კოფეინის წარმოების ნარჩენები, რაც უწინ ზღვაში იყრებოდა, ორი ძვირფასი პრეპარატის — თეალებინისა და ვიტამინი „P“ მიღების წყაროდ იქცა; მიუხედავად გამოყენების მრავალმხრივობისა, ჩაის ბუჩქი თავისი სამკურნალო თვისებებით მაინც შორს დგას სიმინდისაგან.

რამდენიმე სიტყვა სიმინდის შესახებ: „მინდვრის დედოფლის“ შესანიშნავი სამკურნალო თვისების გამოვლინებაში დიდი დამსახურება მიუძღვის „მცირე“ ქიმიას.

სიმინდის ზეთი კარგი საშუალებაა ათეროსკლეროზის წინააღმდეგ საბრძოლველად. მის შემადგენლობიდან პირველ რიგში უნდა დავასახელოთ ლინოლისა და ლინოლენის მჟავები. სწორედ ეს ნაერთები ამცირებენ სისხლში ქოლესტერ-

რინის რაოდენობას და ამით ხელს უშლიან ათეროსკლეროზის აღმოცენების საშიშროებას. ტყუილად როდი უწოდეს ამ ნაერთებს ვიტამინ T საპატენტო სახელი. ვიტამინები ადამიანის ერთგული მეგობრებია, იცავენ მას მრავალი დაავადებისაგან. სიმინდის ზეთი შეიცავს მეორე ვიტამინსაც, რომელიც ექიმს დახმარებას უწევს ათეროსკლეროზის წინააღმდეგ ბრძოლაში. ეს არის ვიტამინი E — ტოკოფეროლი. როგორც საბჭოთა მეცნიერებმა გვიჩვენეს. ვიტამინ E-სა და ვიტამინ T-ს ნარევის შემზაბუნება საგრძობლად აუმჯობესებს ათეროსკლეროზით დაავადებულის საერთო მდგომარეობას. დაბოლოს, სიმინდის ზეთი შეიცავს კიდევ ერთ ნივთიერებას, რომელიც ქოლესტერინს იცავს „ცუდი ქვევისაგან“, რაც მდგომარეობს ქოლესტერინის დაგროვებაში არტერიების კედლებზე. ეს ნივთიერებაა ე.წ. ლეციტინი, რომელსაც სისხლში ქოლესტერინის ხსნად, უფრო სწორად ემულსიის, მდგომარეობაში შენარჩუნების იშვიათი უნარი გააჩნია. ამიტომ ექიმები ცდილობენ დაიცვან სისხლში ქოლესტერინის განსაზღვრული თანაფარდობა ლეციტინთან. სწორედ ამაში ეხმარება ექიმს სიმინდის ზეთში არსებული ლეციტინი. სხვა ნაერთებთან ნარევის სახით, სიმინდის ზეთი ათეროსკლეროზის აღმოცენებასა და განვითარებას ეწინააღმდეგება, ანდა აუმჯობესებს დაავადებულის მდგომარეობას. თუმცა სხვა მცენარეული ზეთებიც სასარგებლონი არიან ათეროსკლეროზის დროს, მაგრამ საბჭოთა მეცნიერების გამოკვლევებით დადგენილია, რომ სიმინდის ზეთს მაინც პირველი ადგილი უკავია.

„მინდვრის დედოფალი“ მხოლოდ ათეროსკლეროზის მკურნალობაში როდია ექიმის ერთგული დამხმარე.

სიმინდის შემადგენლობაში შედის აგრეთვე ვიტამინი K ეს მეტად მნიშვნელოვანი ვიტამინია, რომლის ნაკლებობაც იწვევს სისხლდენას სისხლის ნორმალური შედედების მოშლის გამო. ასეთი მდგომარეობა განსაკუთრებით საშიშია, მაშინ თუ ავადმყოფი რაიმე მიზე-

ზით საჭიროებს ოპერაციას. ოპერაციულმა ჩარევამ ამ შემთხვევაში შეიძლება, კრილობიდან სისხლდენის გამო, ავადმყოფის დაღუპვაც კი გამოიწვიოს. საკმარისი რაოდენობით ვიტამინ K-ს შეყვანით ორგანიზმში თავიდან აიცილება ეს საშიში მოვლენები.

ვის არ სმენია პენიცილინისა და სხვა ანტიბიოტიკების შესახებ, რომლებსაც მრავალი მილონი ადამიანისათვის შეუნარჩუნებია სიცოცხლე. ვინ არ იცის, რომ პენიცილინი ობისაგან მზადდება. ამ ობს სპეციალურ ქარხნებში ზრდიან და აქ ადამიანის დასახმარებლად კვლავ მოდის სიმინდი. ობი საჭიროებს „კვებას“, რისთვისაც ამზადებენ სპეციალურ საკვებ არეებს, რაზედაც ობს ზრდიან. ობი კი დიდი მოყვარულია სიმინდის ექსტრაქტისა, რომელიც გამოიყენება საკვები არეებისათვის. მაგრამ რა არის სიმინდის ექსტრაქტი? როგორ იღებენ მას? იგი სიმინდის მარცვლისაგან მზადდება. და ყველაზე შესანიშნავი ის არის, რომ სიმინდის ექსტრაქტი მიიღება წარმოების ნარჩენებისაგან, იგი, როგორც გვერდითი პროცესი, წარმოიქმნება სიმინდის მარცვლის სახამებლად გადამუშავების პროცესში.

საქართველოს ყველა სამკურნალო რესურსი მცენარეული წარმოშობის როდია.

ასკანის (მასარამის რაიონი) საბადოს თიხისაგან ჩვენმა სპეციალისტებმა მიიღეს მშრალი პრეპარატი, რომელსაც „თიხა-ასკანე“ უწოდეს. ეს ფხვნილი საოცარ თვისებებს ფლობს. უპირველეს ყოვლისა, იგი ცხიმის შემცველია, შემცველია იმპორტული არაბეთის გუმფისისა, რომელიც ემულსიების დასამზადებლად იხმარება, მაგრამ ასკანის თიხა ერთდროულად დამოუკიდებელი სამკურნალო საშუალებაა, რომელიც კანს იცავს დასკდომისა და აქერცლვისაგან. ასკანის თიხა მიეკუთვნება ე.წ. ბენტონიტურ თიხებს; აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ქართველი მეცნიერების მიერ მიღებულია პრეპარატი—გოგირდბენტონიტი; ეს პრეპარატი გამოიყენება მცენარეთა სოკოვანი დაავადების

სამკურნალოდ, როგორც გაცილებით ძვირადღირებული გოგირდის შემცველი. ბარიტისა და მანგანუმის მადანი და საქართველოს სხვა მინერალური რესურსებიც გამოიყენება სამკურნალო პრეპარატების დასამზადებლად. დაბოლოს, „დიდი ქიმა“ დიდ პერსპექტივას ქმნის სინთეზური სამკურნალო პრეპარატების წარმოებაში. მაგრამ უახლოეს ათწლეულში გამოსაყენებელი ძირითადი სამკურნალო საშუალებებიც მცენარეულ რესურსებშია თავმოყრილი. სამკურნალო მცენარეები დიდ თერაპიულ შესაძლებლობებს შეიცავენ და ეს შესაძლებლობები ბოლომდე უნდა იქნას გამოყენებული. ბუნებაზე შეტყვის ძირითადი გზები უკვე მონიშნულია ჩვენი რესპუბლიკის მეცნიერთა მიერ.

უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია სამრეწველო მნიშვნელობის მქონე ველურად მზარდ სამკურნალო მცენარეებზე ჩატარებული სამუშაოების შექამება და მათი ახალი რესურსების გამოვლენა. დიდი ყურადღების ღირსია არა მარტო ზუსტი ინვენტარიზაცია, არამედ იმ ნათესათა დაცვის ორგანიზაცია, რომელთა სამკურნალო თვისებებიც მნიშვნელოვანია.

ამჟამად საჭიროა რესპუბლიკის ჯერ კიდევ შეუსწავლელი რაიონების გამოკვლევა და რუკაზე ყველა იმ უკვე ცნობილ სამკურნალო მცენარეთა ნათესების აღნიშვნა, რომელთაც სამრეწველო მნიშვნელობა აქვთ. მაგრამ მთავარია ძიება ახალ სამკურნალო მცენარეთა, რომელთა საშუალებითაც ექიმს ისეთ ფიზიოლოგიურ მექანიზმებსა, ბიოქიმიურ პროცესებსა და პათოლოგიურ რეაქციებზე მოქმედების შესაძლებლობა მიეცემა, რომლებშიც ჯერ კიდევ არც ერთი ექიმი არ ჩარეულა სამკურნალო პრეპარატებით.

ჩვენში ამ მიმართულებით მუშაობა მხოლოდ ახლა იწყება, მაგრამ საქართველოს ფლორის თავისებურებანი განსაკუთრებით პერსპექტიულს ზღის მას. ჩვენმა მეცნიერებმა საქართველოს ბუნების კიდევ ერთი შესაძლებლობა

უნდა გამოიყენონ: მსოფლიოს მრავალი კუთხიდან შესაძლებელია სამკურნალო მცენარეთა კულტივირება ჩვენს რესპუბლიკაში ისე, რომ მათმა მშენებელმა ინარჩუნონ სამკურნალო თვისებები. ამ მიმართულებით მუშაობა კიდევ უფრო გააღვიძებს სამკურნალო მცენარეთა რაოდენობას.

საბჭოთა კავშირში წლითიწლობით იზრდება იმ საშუალებათა არსენალი, რომლებიც გამოიყენებიან დაავადებათა პროფილაქტიკისა და მკურნალობისათვის. ჩვენი რესპუბლიკის მეცნიერებმა თავიანთი წვლილი შეიტანეს ახალი სამკურნალო პრეპარატების შექმნაში, მაგრამ ეს საკმარისი როდია. საჭიროა ახალ სამკურნალო პრეპარატთა წარმოების ათვისება უმოკლეს ვადებში, რათა რაც შეიძლება მალე მოხვდნენ ისინი პრაქტიკოს ექიმის ხელში. ეს დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ამოცანაა. ყოველი ახალი პრეპარატი გადის კლინიკაში გამოცდის სავალდებულო გზას და ფარმაცოლოგიური კომიტეტის მიერ დამტკიცების შემდეგ ინერგება წარმოებაში. სამწუხაროდ, კლინიკური გამოცდის პერიოდი მეტად ხანგრძლივია და ხშირად წლობით გრძელდება. ხშირად პრეპარატის უსწრაფეს დანერგვას პრაქტიკაში ხელს უშლის მისი მოთხოვნილების არასწორი განსაზღვრა და ზოგჯერ წმინდა ტექნიკური მიზეზებიც.

ყველა ამ ნაკლოვანების აღმოფხვრა შესაძლებელია. ჩვენს რესპუბლიკაში მრავალადაა ისეთი ავტორიტეტული კლინიკური დაწესებულებები, რომლებიც უზრუნველყოფენ ახალ სამკურნალო პრეპარატთა ყოველმხრივ გამოცდას, მხოლოდ უფრო მეტი ოპერატიულობის გამოჩენაა საჭირო ამ პასუხსაგები ამოცანის შესრულებისას. ახალ სამკურნალო პრეპარატთა ათვისების საქმეში დიდ როლს შეასრულებს თბილისის ფარმაცოქიმიის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის ექსპერიმენტალური ქარხანა, რომლის მშენებლობაც უახლოეს ხანში განხორციელდება.

უდიდესი მნიშვნელობა აქვს პარტიისა და მთავრობის მიერ მიღებულ ახალ

ლონისძიებებს სამედიცინო მრეწველობის საწარმოთა სიმძლავრის შემდგომი ზრდის შესახებ. საქართველოს მცენარეული სიმდიდრე ამომწურავად უნდა იქნას გამოყენებული მაღალეფექტურ სამკურნალო საშუალებათა მასობრივი წარმოებისათვის — ეს ჩვენი რესპუბლიკის სამეცნიერო კოლექტივებისა და სამრეწველო საწარმოთა ვალია.

ჩემი თაობის ადამიანებს, რომლებიც თბილისში რევოლუციამდე სწავლობდნენ, მაშინ იშვიათად თუ სმენიათ სიტყვა „ქიმიის“, სკოლებში კი ასეთი საგნების სწავლება არ წარმოებდა. დღეს კი.... დღეს ჩვენ რესპუბლიკას გააჩნია ყველა წარმოსადგენ სიმდიდრეთა შორის ყველაზე დიდი სიმდიდრე — ათასობით უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტი ქიმიის დარგში და მაინც სპეციალისტ-

თა ეს დიდი არმიაც კი ხაკმარია. არ არის „დიდი ქიმიისათვის“, ჩვენი რესპუბლიკის ხვალისდელი დღისათვის. ამიტომ აუცილებელია განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს სპეციალისტთა მომზადებას მომავალი ქარხნებისა და სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიებისათვის.

„დიდი ქიმიის“ — მთელი სახალხო მეურნეობის ტექნიკური პროგრესის მძლავრი ფაქტორია. გადამუშავების ქიმიური მეთოდების ფართოდ დანერგვა მიგვიყვანს ნედლეულის კომპლექსურ გამოყენებამდე და ამ კომპლექსურობის საფუძველზე მივალწევთ ქიმიური წარმოების კომბინირებას მრეწველობის სხვა დარგებთან, ეს კი სოციალისტური მრეწველობის ორგანიზაციის ერთ-ერთი უმაღლესი ფორმაა.

ლავროსი კახანაძე ლემ ქიაჩელი

„იშვიათია ადამიანი, რომელიც ასე ღირსეულად ატარებდეს მწერლის წოდებას: იმ გარემოებაში, რომ ის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული თანამედროვე მწერალია სამშობლოში და მის გარეთ, რომ მის ნაწერებს თბილისშიც კითხულობენ და ერევანშიც, მოსკოვშიც და კიევშიც, სიდნეიშიც და ბუენოს-აირესშიც, მისთვის არასდროს წონასწორობის გრძნობა არ დაუკარგვინებია. მისი დევიზია პორაციუსის სიტყვები: Nil admirari ნურაფერი ნუ გაგაკვირვებს. ის მხოლოდ ხშირად სინანულს გამოთქვამს, რომ იმდენი ვერ გააკეთა, რამდენის გაკეთებაც შეეძლო“.

ამას წერდა ჩვენი სასიკადალო გერონტი ქიქოძე თავის გულითად შეგობარზე — ჩვენს ასევე სასიკადალო ლემ ქიაჩელზე — მისი დაბადების 70 წლისთავთან დაკავშირებით.

გულს გული იცნობს... თავმდაბლობა მართლაც ისე ამწვენიებდა ორთავეს, როგორც კავკასიონის მწვერვალებს ქათქათა თოვლი. ორთავე კი მე-20 საუკუნის ათეული წლების მანძილზე თითქოს შეწყვილებულად იყო შებმული ქართული მხატვრული კულტურის დიდ უღელში. და თუ ვინმე, ეწეოდა ამ უღელს დიდი ძალით, ეწეოდა ეს ორი უმწიკლო რაინდიც. ამიერიდან მათ ნაწყვეტილ აბურებში ქედმაგარი ახალგაზრდობა უნდა შეებას და გასწიოს წინ ის უღელი, სწორედ ის უღელი, რომელიც ჩვენი დიდი წინაპრების ქედიდან ქედზე გადმოდიოდა. ასეთია ცხოვრების გარდუვალი კანონი, ამას მოითხოვს ქართული კულტურის სასიცოცხლო ინტერესები.

ლემ ქიაჩელი. რა ასლობელი, რა ღვიძლია ეს სახელი.

ლემს ძლიერ უყარდა ჭადრაკის თამაში. მე მქონდა ბედნიერება ხშირად ვყოფილიყავი მისი მოქიშვე ამ სპორტში, მხოლოდ ამ სპორტში. ერთ დროს პირდაპირ დაბარებულიყავით მოვილოდა მწერალთა კავშირში, სადაც მე ვმუშაობდი, და თვალს ჩამიკრავ-

და, ერთი ხელი ვითამაშოთო. ო, რა გამომეტყველი, რა ადამიანური იყო ეს თვალის ჩაკვრა, სახვე რაღაც უთქმელი ეშმაკური სხივით, ჭკუით, იუმორით. ჭადრაკით განსაკუთრებით ვიჯერებთ გული ორ ზაფხულს, როდესაც ერთად ვისვენებდით ქვიშხეთში. ლემს საოცრად წყვიზდა წაგება, მოგება კი ნამდვილად ფრთას ასხამდა. თუ მეტოქეს დაამაშათებდა, სარკასტულად ჩაიციინებდა და რაღაც გამოგონილ უცნაურ ფრაზას დააყოლებდა: „მატიკუს-მურმულიკუს“. არ შეიძლება ითქვას, რომ იგი ძლიერი მოჭადრაკე იყო. თუმცა არც პარტნიორები ვყავდით დიდი გარდაქმნაები. მაგრამ ჩემი აზრით მეტად საგულისხმო და თავისებური იყო სტილი ლემს თამაშისა, თუ შეიძლება ასე ითქვას, მომლოდინე-კომპინაციური სტილი. იგი თითქმის არასდროს არ თამაშობდა ფართო, განვლილი ფრონტით, ყველა უბნის მეთოდური ამოქმედებით. პირიქით, ყოველთვის თამაშის რომელიმე ერთ ნასკვს, ხშირად საკმაოდ გონებამახვილურს, ჩაიფიქრებდა ხოლმე წინასწარ და ცდილობდა ამ ნასკვში მოექცია თამაშის მთელი მსვლელობა, გულმოდგინედ უდარაჯებდა ასევე წინასწარ მონიშნულ შეცდომას პარტნიორისას, რომ როგორმე დაგებულ მახვილ შეეტყუებინა... და თუ შეიტყუებდა, ერთს ვითომდა დარდიანად ამოიხენეშებდა, შთაგონებულ სახვე შეგაკებულ ღიმილს დაიყენებდა და დინჯად, აუჩქარებლად განაგრძობდა მარყუქის მოჭერას. ამ ნიშნებით მეტოქეს უკვე შეეძლო ვგრძნო, რომ მის პარტიას მძიმე ხიფათი ემოქრებოდა...

თითქოს უცნაურობაა: იმ დროს, როდესაც შესანიშნავი მწერლისა და შესანიშნავი ადამიანის გარდაცვალების გამო, დიდი პოეტის სიტყვები რომ მოვიშველით, გულში მწუხარება ჯერ ისევე ღამეს ათევს, — იგონებდენ მწერლის ადამიანური ხასიათის თითქოს სრულიად უმნიშვნელო შტრიხს. მაგრამ არა. ეს იმიტომ გამახსენდა, რომ მისი თამაშის სტილი, საერთოდ მისი ადამიანური სტი-

ლი, მე მგონი, ძალიან ჰგავს მის შემოქმედებითს სტილს, მის კომპოზიციურ ხერხებს, ეგრძოდ მის ეანრობრივ მიდრეკილებას.

მართლაც, ლეო ქიაჩელი უპირატესად ნოველისტია, ბრწყინვალე ნოველისტი. შემთხვევით როდი წერდა გერონტი ქიქოძე, — მან ეს ვანიერ კლასიკურ სიმალღვე აიყვანა. ლეო ქიაჩელის რომანებიც ასრებივად ნოველისტური აღნაგობისაა. მწერალს ემარჯვება გასაოცარი ოსტატობით მოუყაროს თავი რომელიმე ერთ მხატვრულ ნასკვში თუ ერთ დრამატულ ვითარებაში უმაღრეს ადამიანურ განცდებსა და ვნებებს, დროსა და სიერცის სულ მიერ და მხატვრობაში ჩასტიოს ცხოვრების უმდიდრესი მასალა, ერთი კუთხიდან გაანათოს სოციალური ყოფის საკმაოდ დიდი არე.

არა ერთხელ თქმულა და ახლაც შეგვიძლია გავიმეოროთ, როგორც უდავო ფაქტი, რომ ლეო ქიაჩელი მე-19 საუკუნის ქართული კლასიკური მწერლობის დიდი რეალისტური ტრადიციების ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო დამცველი და გამაგრებელბეულია, რომ იგი მე-20 საუკუნის სამი რევოლუციის ქარცეცხლში გამოყოლილი საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების მხატვრული მემკვიდრეა, რომ მან მართლად ასახა ჩვენი ეპოქის მთავარი სოციალური ტენდენციები. ეს ასეა. მაგრამ ლეო ქიაჩელი, ისე როგორც ყოველი ქუმშარბიტი მხატვარი, ძვირფასია ჩვენთვის არა მარტო მით, რომ მან, როგორც სარკემ, აირეკლა თავისი დროის გამოასახულება, არამედ მითაც და უფრო მეტად მითაც, რომ მან თავის სულში გამოძერწა ეპოქის განუმეორებელი სურათები, შექმნა თავისი განუმეორებელი მხატვრული სამყარო. არა ცხოვრებისა და ბუნების არველილი განმეორებითა, არა მათი ახლის გადმოღებით გეზიბლავს ჩვენ შემოქმედებ, არამედ ჯერ კიდევ უკალღვის მხატვრული მიკვლევიით ანუ სწორედ მით, რასაც იგი უმატებს ჩვენს წარმოდგენას ბუნებასა და ცხოვრებაზე. ნამდვილი შემოქმედი კი არ იმეორებს ქვეყანას არამედ ამდიდრებს — ახალ სახეებს, ახალ ფერებს, ახალ ხაზებსა და ბგერებს კმატებს მას.

ლეო ქიაჩელმა დადგა განსხვავებული მხატვრული ნაგებობანი.

სწორედ თავიანთი განსხვავებული მხატვრული ნაკეთობით, თავიანთი განსხვავებული სკულპტურული ჩამოსხმულობით გეზიბლავენ ჩვენ ტარიელ გოლუა, აღმასკვი კიბულან და ბათაყვა, თავადის ქალი მია და ჰაკი ამბა, გვადი ბიგვა და ბათუ ქარღუა. მთავარი სიხნულე, ჩემი აზრით, მწერლის განსხვავებული შემოქმედებითი ინდივიდუა-

ლობის მიწვედომაში და იმის მიკვლევაში, თუ როგორ ატარებს და ძერწავს იგი თავის სულში ქვეყნიერებას, და არა მისი ზოგად-თემატიკური მასალის მოხაზვამი. ლეო ქიაჩელის ლიტერატურული მემკვიდრეობის მომავალ მკვლევარებს ამ მხრივ ბევრი რამ ექნებათ გასაკეთებელი.

ლეო ქიაჩელი, როგორც მხატვრის, სტიქია უმაღლ სამყაროს მძაფრი ხილვადი აღქმა, ვიდრე ლაბიდარული, დასვეწილი სიტყვის ძიება. იგი ჯადოქრული თვალთ ხედავს საგნებს, მოვლენებს, ადამიანებს, როგორც მთლიანობაში, ისე დეტალებში. გაიხსენეთ, თუნდაც ფუთქებადი დრამატიზმით საესე ეპიზოდი, როდესაც გვადი ბიგვა გადაჭრით ემიჯნება ბოროტმშრასველ ფორიას. გვადის ყოვლად უძრავი, შეუვლად ჩამოსხურული სახიდან ორი პატარა მოჭუტული თვალი ყინულის ნამსხვრევებით ცივად გამოაშუქებდნენ. აი, ამ მცირე დეტალშიაც თითქოს სიტყვის საოცრად მკვეთრი ნახატი სჭარბობს.

ლეო ქიაჩელი უდრმესი ჰუმანისტია ამ სიტყვის თანამედროვე გაგებით. ადამიანისა და სოციალური პროცესის, ცხოვრების სიღრმისა და მისი ძველმოსილი წინსვლის რწმენა მწერლის მთელ შემოქმედებაში დაკავშირებულია მშვენიერების, სრულყოფილების, სიცოცხლის სისავსის ნათელ განცდასთან. ადამიანის ყოველ ზნეობრივ გმირობაში, საერთოდ ადამიანის სასიცოცხლო ძალებს ყოველ დიდ დამაბავში მწერალი ხედავს წარმტაც სილამაზეს, თვით ისტორიულად განწირული თავადის ქალის ვნებათა გაავებულ აფორიაქებაშიც კი მოჩანს რაღაც ტრაგიკული სილამაზე. გვადი ბიგვას განაკცების, წარსულის სულიერი ტყვეობიდან მისი თავდასხნის პროცესი ხომ იმ ადამიანურ სილამაზედ არის წარმოდგენილი, მწვავე ტკივილებით რომ იბაღება.

თუ იკითხავდნენ, რით არის შენივთებული ლეო ქიაჩელის მხატვრული სამყარო, — მე ვუპასუხებდი, მისი გულის დიდი მსურველებით-მეთქი, ადამიანის უდრმესი სიყვარულით და ახვეუ უდრმესი სიძულვილით ყოველივე იმისადმი, რასაც შეუძლია ადამიანს ადამიანური სახე დაუკარგოს. სადღაც მწერალს ცხოვრებისა და ადამიანთა არსებობის რაღაც ჯერ კიდევ შეუცნობი ტრაგიკული სათავის გრძნობაც გამოკრავს. გაიხსენეთ, მის დეკაკურ და მეტწილად ტრაგიკულ მამებს ზოგჯერ ავი სიზმრებზეც აწვლებენ... ლეო ქიაჩელის მთელი შემოქმედება ცხადყოფს, რომ მას ყველაზე უმაღლეს ადამიანურ გრძნობად ადამიანთა ჭირთმოზიარობის გრძნობა მიაჩნია. ამიტომაც არის თვითონ ადამიანთა მგზნებარე ჭირთმოზიარ-

რე მწერალი. ვის გულს არ შესძრავს ღრმა ადამიანური ტკივილით მისი გვადის შეყვირება: „სისხლიანი ვარ, მარიამ... არ შომეკარო!“, გვადისავე გაფრთხილება, რომ მისი შვილების თვალებმა სისხლი არ უნდა ნახონ. მხოლოდ ქვაგულში შეიძლება არ გააღვიძოს ადამიანთა ჭირთმოსიარობის დიდი გრძნობა იმ დაუსრულებლად სოგადად-ადამიანურმა ტკივილმა, რასაც ბადებს ინგურის ღმუხლში შერეული ძასილი აღმასვრის კიბულანისა: „გივერგვილ, იმე ხარი?“

ერთხელ ლეოს მოკრძალებით ვუთხარი, უცნაური კაცია თქვენი გვადი ბიგვა-მეთქი. ლეომ თავისი ჭკვიანი თვალები ღიმილით შემომანათა და თქვა:

— ოჰ, დიდად უცნაური, ღვთისპირიდან გადაეარდნილი. შეც არ ვიცი, რა კაცია იგი. — შერე ცოტათი ჩაფიქრდა და დაუმატა, — მაგრამ დიდად მოსიყვარულე მამაა. ამიტომაც მიყვარს ვე შერევენებული!

თითქოს რაღაც ფარდა გაიხსნა და მე დაეინახე მწერლის მშვენიერი სულიერი ბაღნარი. მართლაც, ბევრი როდი მოიძებნება ისეთი მწერალი, ვისაც ასეთი ძალით, ასეთი შთაგონებით ეჩვენებინოს სიდიადე და სილამაზე მამაშვილური სიყვარულისა, სიბრძნე და სილამაზე იმ მაღალ გმირულ-ზნეობრივი მემკვიდრეობისა, რომელიც მამებიდან შვილებს გადაეცემა.

ლეო ქიანელის მთელი შემოქმედება თი-

თქოს გეუბნება: ქვეყანაც, ადამიანიც წინ მიდის; მომავალში ადამიანი უკეთესი, უფრო სრულყოფილი იქნება, მაგრამ ამის გამო ადამიანის სიყვარული უნდა გადაიღოს. ადამიანს ერთხელ ეძლევა სიცოცხლე და ამ ერთ სიცოცხლეშიც იგი ღირსია სიკეთისა, სიყვარულისა. ვისაც გული სიყვარულად, თვალი შედვად და ყური სმენად აქვს შემართული, მას არ შეუძლია არ დაინახოს სილამაზე და სიდიადე მის ირგვლივ მყოფ ადამიანებშიც, რომელთაც, რასაკვირველია, თავისი ჩრდილ-სინათლეც გააჩნიათ. აი, დაინახეთ, რა დიდებულია ეს ცხრაასხუთეული, თუნდაც რამდენიმედ ეამგადასული დევკაცი — ბათაყუა, რალაცაიერი გრიგალივით რომ შემოჭრილა ქალაქის ორომტრიალში და თავისი უზადო გულით ამოყად დააქვს შვილის დიდი სიყვარული, მამათა გმირული და მაღალ-ზნეობრივი ტრადიცია.

ლეო ქიანელი დაიფერფლა სამშობლოსა და მშობელი ხალხის სიყვარულში. მას მიუსაველეთში არაფერი წაუღია, რადგან იცოდა, შესანიშნავად იცოდა, რომ ადამიანი მხოლოდ ის არის, ანუ უკეთ ვთქვათ, ადამიანში მხოლოდ ის არის ღირებული, რასაც იგი ქვეყნისთვის, ხალხისთვის აკეთებს, რასაც იგი ამ ქვეყნად სტოვებს.

ლეომ კარგი, ძვირფასი მემკვიდრეობა გვიხაზოვრა!

მიხი პარლამენტი

ადომ მირცხულავას პოეზია

„უკვე ცხოვრებამ თავის სუფრახე მე მომანიჭა ყოფნის იერი, — აწ ნახე ჩემი მკლავის სიბრაზე, შემოქმედება და სიძლიერე“. — ამბობს კაპიტალის უღლისაგან განთავისუფლებული ქართველი მუშა ალიო მირცხულავას ლექსში „წითელ წაღკოტში“, რომელიც 1921 წელს დაიწერა, და ამ სტრიქონებში გამოთქმულია არა მარტო დიდი ისტორიული სიმართლე ქართველი ხალხის ცხოვრებაში ახალი ერის — თავისუფალი შემოქმედებითი შრომის განაღების, ხალხის სულიერი ძალების აყვავების დასაწყისისა, არამედ აგრეთვე მოცემულია ალიო მირცხულავას პოეზიის გასაღები.

ალიო მირცხულავას პოეზია დაიბადა საბჭოთა საქართველოს დაბადებასთან ერთად. 1921 წლით არის დათარიღებული ალიოს პირველი ლექსები, რომლებშიაც ჯერ კიდევ სრულიად ჰაბუკი პოეტი უმღერის მრავალტანჯული სამშობლოს აღორძინებას, ახალ სინამდვილეს, აღამიანებს, რომლებმაც რევოლუციის ქარცეცხლში ჩაბუგეს ძველი სამყარო და გმირული შემართებით შეუდგნენ ახალი ცხოვრების აშენებას.

ამეამად ქართულ საბჭოთა პოეზიას, ჩვენი ქვეყნის მრავალეროვანი პოეზიის სიამაყესა და მშვეენებას, უკვე აქვს მდიდარი ტრადიცია, აქვს წარსული, აწმყო და მომავალი, აქვს ნათლად ჩამოყალიბებული თვითმყოფი სახე. ქართველი საბჭოთა პოეტისათვის საესებით ნათელია შემოქმედებითი გზა და ამოცანები. ჩვენი ხელოვნების იდეური კომპასია მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება,

ხოლო მძლავრი შემოქმედებითი იარაღია სოციალისტური რეალიზმის მეთოდი. საბჭოთა პოეზიამ დააგროვა მდიდარი გამოცდილება, რომელიც დაუფასებელ სამსახურს უწევს ჩვენს თანამედროვე მგოსნებს. ამეამად პოეტის წინაშე აღარ დგას საკითხი თუ რა იდეურ საფუძველს დაეყრდნოს, რა მხატვრული მეთოდი მოიპარჯვოს. მცირე ფორმალისტური რეციდივების მიუხედავად საბჭოთა პოეზიის ორგანიზმი სალია, ჯანსაღია, იდეურ-მხატვრულად მომწიფებულია.

ახლა პოეტის შემოქმედებითი ენერჯია აღარ იხარჯება ხალხის ინტერესებისათვის უცხო ლიტერატურული მიმდინარეობების წინააღმდეგ ბრძოლაში, თუმცა ამ ბრძოლის საჭიროება საესებით ჯერ კიდევ არ აღმოფხვრილა. ჩვენი მწერლებისათვის წმიდათაწმიდა მოქალაქეობრივი, პატრიოტული იდეალები; ბუნებრივი მისწრაფება მთელი სულიერი და გონებრივი ძალები ჩააყენონ საბჭოთა საზოგადოების სამსახურში. ჩვენი მწერლის მუშაობის სირთულე ამეამად სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ რაც შეიძლება ღრმად ჩაწვდეს ხალხის ცხოვრების არსს, რაც შეიძლება სრულად გამოხატოს მშრომელთა იდეალები, სიმართლით ასახოს სინამდვილე.

ხოლო ასე როდი იყო ამ ოთხი ათეული წლის წინათ. ჩვენი საუკუნის 20-იანი წლების დასაწყისში საბჭოთა ხელისუფლებამ საქართველოში მეწვეიკებისაგან მემკვიდრეობად მიიღო არა მარტო სუსტი, მოშლილი ეკონომიკა,

არამედ დეკადენტიზმის სენით მიძიმედ დაავადებული მწერლობა. დეკადენტები უგულვებელყოფდნენ XIX საუკუნის მდიდარ ქართულ რეალისტურ ლიტერატურას, მათ არ სწამდათ ხელოვნების სისადავე და ხალხურობა და დიდი ზიანი მიაყენეს ქართულ პოეზიას. XX საუკუნის პირველ ორ ათეულ წლებში და 20-იანი წლების დასაწყისში მათ სცადეს პოეზიისათვის გამოეცლიათ ჯანსაღი, მაღალი პატრიოტული და მოქალაქეობრივი იდეებით შთაგონებული სული, ყალბი და რეაქციული არისტოკრატიზმით შეეცვალათ ღრმა დემოკრატიზმი, რითაც ქართული პოეზია დასაბამიდანვე იყო გაელენითლი.

ახალ საქართველოში კი ნიადაგი გამოეცალა დეკადანსს. ახალმა სოციალურ-პოლიტიკურმა გარემომ, ხალხის ცხოვრების სოციალისტურ რელსებზე გადასვლამ პოეზიისაგან მოითხოვა ახალი სიტყვა. პოეტების საბრძოლო ამოცანად იქცა არა მარტო მდიდარი რეალისტური ტრადიციების დაცვა და გაღრმავება, არამედ საფუძვლის ჩაყრა თვისობრივად სრულიად ახალი პოეზიისათვის, რომელშიაც გამოიხატებოდა განთავისუფლებული, ახალი საზოგადოების მშენებელი ხალხის იდეალები, რომელიც თავის წვლილს შეიტანდა ახალი ადამიანის აღზრდასა და სულიერ ფორმირებაში. და ეს ნოვატორული როლი, როგორც ცნობილია, შეასრულა ახალგაზრდა მწერალთა თაობამ, რომელიც სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ.

პოეზიაში ამ რევოლუციური მისიის მქონე ახალგაზრდობის უნიკიერესი წარმომადგენელი იყო ალიო მირცხულავა. ამ თაობის მწერალთა ღვაწლი ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში მეტად დიდია და ღირსეულად უნდა დაფასდეს. მწერლობაში ჯერ კიდევ იდეური მერყეობისა და დაქსაქსულობის ვითარებაში მათ დაიკავეს სწორი პოზიცია, და როგორც მებრძოლმა ჯარისკაცებმა იერიში მიიტანეს ყოველივე იმის

წინააღმდეგ, რაც უგულვებელყოფდა მდიდარი რეალისტური მწერლობის ტრადიციას, ხელს უშლიდა მხარეცხვრების დამკვიდრებასა და წინსვლას. ხოლო ალიო მირცხულავას დამსახურება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია; მის ლექსებში იდეურ სიჭანსაღესთან ერთად იმთავითვე გამოქვავდა მხატვრული მომზიბლაობა და ოსტატობაც. ალიო მირცხულავა პოეზიაში მოვიდა ეპოქის მოწინავე იდეებით და თან მოიტანა მხატვრული გამოსახვის ახალი საშუალებები, ახალი ფორმები. ხოლო ხელოვნებაში არსებითია არა მარტო ის თურას ამბობ, არამედ ისიც თუ როგორ ამბობ. „როგორ თქმაზე“ მეტად ბევრი იყო დამოკიდებული 20-იანი წლების ქართულ პოეზიაში, როცა მხატვრულ ფორმას განსაკუთრებული ყურადღება მიექცა, ზოგიერთი ლიტერატურული დაჯუფებისათვის თვითმინადაც კი იქცა.

1923 წელს ალიო მირცხულავა წერს ლექსს „ავტოპორტრეტს“, რომელშიაც ამბობს:

„ღღეს ჩემი სიტყვა
ახალია და უჩვეულო,
ჩემს სიმღერაში
არც ბოღვაა, აღარც წუხილი,—
ცუცლიან ფრთებით
ინაჟრად, სულო რჩეულო,
ვებრძოლოთ ბნელეთს,
შენ ელვა ხარ და მე — ქუხილი“.

ამ სტრიქონებში გამოთქმულია პოეტის იდეურ-მხატვრული მრწამსი, მისთვის ამ პერიოდში უკვე სავსებით ნათელია, რომ ახალ საქართველოს სჭირდება ახალი სიტყვა ახლებურად ნათქვამი.

პოეტმა შემოქმედებითად აითვისა ქართული კლასიკური და ხალხური პოეზიის მდიდარი პოეტიკა და ახალი ცხოვრებით შთაგონებული სიმღერის სათქმელად შესაფერი ინსტრუმენტი გამოიხატა. ეს ინსტრუმენტი არ გამოსცემდა სევდიან და მონარნარე ხმებს, არაფერს არ მისტიროდა და ცხოვრების ამოებზე არ ჰგოდებდა, იგი გარდასულ სულს არ მოუხმობდა და ცაში არაფერს

არ ეძებდა. ალიო მირცხულავას პოეზიაში თავიდანვე გაბატონდა ბრძოლისა და შენების, ქუხილისა და ზეიმის „მუსიკა“. პოეტის შთაგონების წყაროა არა ბუღბუღის სტვენა ან მთაწმინდის მთვარე, არამედ ინდუსტრიული საქართველოს ქარხნების საყვირის ხმა, დამკვერთვით ბრიგადების დაზგების დვანდგარი და საკოლმეურნეო მინდორში სამკვლად ვასული კომპაინის გუგუნა.

ალიო მირცხულავას პოეზია — ეს არის რევოლუციური სულისკვეთების, შეტევებისა და გამარჯვებათა პოეზია. ეს არის პოეზია, რომელიც ადამიანებს რაზმავს, მოუწოდებს, შთააგონებს, გზას უჩვენებს და წინ მიუძღვის. ეს არის პოეზია, მუდამ ფხიზლად რომ დგას ხალხისა და სამშობლოს ინტერესების საგუშაგოზე, მშვიდობიან დროსაც რომ მზადყოფნაში აქვს იარაღი და ბრძოლაში რომ არ იცის უკან დახევა და შიში. ეს არის პოეზია, რომლის მშვენიერებაა მშობლიური ქვეყნის მთაბარი და მინდორ-ველი, ტყეები, მთები, მწვერვალები, ჩანჩქერები და მდინარეები, — პოეზია, რომელიც სუნთქავს ვახუშტულის სიხარბით, იწვის მზის მხურვალეობით.

პოეტმა იგრძნო და მღელვარედ განიცადა ეპოქის სულისკვეთება და მისი გადმოცემისათვის საჭირო რიტმი გამოიხატა. ჩვენი აზრით, ალიო მირცხულავას პოეტიკაში ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი იარაღია რიტმი, პოეტური ინტონაცია, რაც უმეტესად ამაღლებულია, სახობობა, საზეიმო და საბრძოლოა.

როგორც ცნობილია, ქართულ საბჭოთა პოეზიაში რიტმულ და ინტონაციურ ელემენტებზე ამახვილებდა ყურადღებას ტიციან ტაბიძე. იგი ამბობდა: „ლექსს მე ვუწოდებ მოვარდნილ მეწყერს“, ანდა: „მოვარდება ლექსი წელკავად“. და ამ სტრიქონების ავტორი ლექსის ინტონაციას უფრო პოეტურ ფრაზაზე, პოეტურ თქმაზე ამყარებდა. ალიო მირცხულავას პოეზიაში კი რიტმი, ინტონაცია ლექსის შინაგანი იდეური ძალის გამოხატულებაა, ეპოქის გულისძგერაა, პოეტის სულიერ შემარ-

თების გადმოფრქვევაა. ლექსი „დამკვერელი ბრიგადები“ ღარიბ ტოდია მოხდენილი თქმებით, პოეტურ-სახეობით და მეტაფორებით, მაგრამ ამ ლექსში პოეტური გამოსახვის მთელი სიმძიმე დაკისრებულია რიტმზე. სტრიქონები კი არ აღწერენ, კი არ მოუთხრობენ, არამედ ბორბავენ, ბობოქრობენ. მაღალი ინტონაცია, თავებრუდამხვევი რიტმი ქმნის ძლიერ განწყობილებას:

„ოქვენ დამკვერელი ხართ, დაზგებს ამღერებთ, ტემპიც მატულობს ყოველდღიურად, დასცხეთ, დაქართო მარცხებს, გარღვევებს, დასცხეთ, დაქართო კოლექტიურად!

ჰა, ვრაგანებენ კვლავ მანქანები, ყალუზე ღვებთან, გრივალდებთან, ტემპს რომ ზედებთან მძლავრ ვაჭანებთ,— კომკავშირული ბრიგადებია“.

გკითხვლობთ ამ სტრიქონებს და ერთბაშად გვიტაცებს შრომის პათოსი, თავის მორევში გვითრევს მოგუგუნე ტემპი და უფრო გვესმის, ვიდრე ვხედავთ. ბევრით ასოციაციას მიეყავართ სურათებთან, გონებაში წარმოგვიდგებიან ჯანღონით აღსავსე, შრომით შთაგონებული ადამიანები, გოლიათებივით რომ დგანან დაზგებთან და ერთმანეთს შეჯიბრებულნი სასწაულებს ახდენენ. ლექსში მხატვრულ სახეთა შექმნის ფუნქციას ძირითადად ასრულებს ინტონაცია, რიტმი.

პოეტი თავიდანვე ნათლად აყალიბებს თავის კრიტიკულ დამოკიდებულებას თანამედროვე პოეტებისადმი, რომლებიც აბუჩად ეკიდებოდნენ ქართული კლასიკური პოეზიის მიღწევებს, მდიდარ მემკვიდრეობას. მათი პოეზიის საგანი თითქოს ახალი ცხოვრება იყო, მაგრამ ახალი სინამდვილისა ვერაფერი გაიგეს. თბილისში თავსობლად გრძნობდნენ და სხვაგან აბამდნენ ფიქრთა მავთულებს. თავი თითქოს ქართული კულტურის მემკვიდრეებად მოქაონდათ, მაგრამ სინამდვილეში კოსმოპოლიტიზმით იყვნენ შეპყრობილი. პოეტი მათ ასე ახასიათებდა: „ქართულ ცხოვრებას აძრობენ ხალათს

და ტანთ აცემენ სხვა ხალხის აზრებს...“, და აფრთხილებდა:

„თქვენ, პოეტებო, თუ სწორთ ქართულად, თუ ვინდათ რეკტეს სიტყვა ქართული, სწორეთ ლექსები წავგამართულად, სწორეთ ლექსები წავგამართული!“

პოეზიაში რეალისტური, მოქალაქეობრივი პოზიციებისაკენ დაბრუნების, ხალხის ცხოვრებასთან მჭიდრო კავშირის მოწოდებად გაისმის ჯერ კიდევ 1921 წელს დაწერილი ლექსი „უნაყოფო ფიქრი“, რომელშიაც პოეტი მწარედ დასცინობდა მათ, რომელთაც ვერ იგრძნენ საქართველოში ახალი ქარის ქროლვა, რომლებიც კვლავ ცაში იმზირებოდნენ და მთვარეზე უნაყოფო ფიქრით ირობდნენ თავს.

„უნაყოფოა ფიქრა მთვარეზე,
დღეს ყველაფერი სინათლედ იქცა,
თქვენ, ეი, ცაში ბევრს ნუ დაეჭობთ,
ძირს ხიყვარულით დახედეთ მიწას!“

ცხადია, ალიო მირცხულავა და მისი ამხანაგები მარტოდმარტო არ იყვნენ ბრძოლაში ახალი, ჯანსაღი ლიტერატურისათვის, მათ ჰყავდათ მოკავშირე და ხელისშემწყობი. არა ერთხელ თქმულა, რომ ამ პერიოდის ქართული საბჭოთა მწერლობის განმტკიცებას, გარდა პროლეტარული მწერლობის ძველი და ახალი თაობის მოწინავე წარმომადგენლებისა, ხელი შეუწყვეს იმ მწერლებმა, რომლებიც ლიტერატურულ ასპარეზზე რევოლუციის წინა პერიოდში გამოვიდნენ, მაგრამ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველსავე წლებში გამარჯვებულ ქართველ საბჭოთა ხალხს ამოუდგნენ მხარში და მასთან ლიტერატურული თანამშრომლობის გზას დაადგნენ.

ალიო მირცხულავა ქართული კულტურის ბედს, თავისი ხალხის მომავალს სისხლხორკეულად უკავშირებდა ოქტომბრის რევოლუციასა და მის შედეგებს. მას აღაფრთოვანებდა რევოლუციის მძლავრი გუგუნი, საუკუნის გულისძგერა და პოეტი თავის მშობელი ხალხის გულისთქმას გამოხატავდა.

20-იან წლებში პოეტის მსოფლმხედველობის გასარკვევად დიდ მნიშვნელობა აქვს ლექსს „პოეტის ვაჟობა“ რომელიც 1926 წელს დაიწერა. იმ დროს პოეტისათვის უკვე საკლებით ნათელი იყო, რომ ბრძოლა არ დამთავრებულა რევოლუციის მოხდენით, რომ ახალი ცხოვრების ასაგებად საჭიროა სიმაჟაცე და თავგანწირვა. ამასთან, პოეტი ილაშქრებს იმის წინააღმდეგ, რომ ბრძოლის ხმების საფარქვეშ პოეზიაში ფეხი არ მოიკიდოს მხატვრულად სუსტმა და უფერულმა ლექსებმა, იგი საკლებით არაორაზროვნად, პირდაპირ აცხადებს, რომ ბრძოლის ხალხის ვერ უშველის ლექსს, თუ ღარიბი სიტყვა ჩააცვი ტანზე ჩერებივით. ალიო მირცხულავა პოეზიის ძალას მის მეზობელ იდეურობაში და მაღალ მხატვრულობაში ხედავს. პოეზიის დანიშნულებაა უწინამძღვროს ადამიანთა მოძრაობას, ხატოვანი, გულწრფელი და შთამბეჭდავი პოეტური სიტყვით ემსახუროს ხალხს:

„რად ვინდა ლექსი
უღვრე და უფერადო,
საკუთარ ცისქვეშ
სიმწრის ოდღში დღეს რომ ვალაქე,
ადამიანთა მოძრაობას
თუ არ ბელადობ
როგორც პოეტი,
ბოლშევიკი და მოქალაქე?“

პოემაში მკვეთრად გაისმა ბრალდება პოეტებისადმი, რომლებიც უცხო აღმოჩნდნენ რევოლუციისათვის და გამოეთიშნენ ხალხის ცხოვრებას.

„ხალხს ვაქვდევით? არ მოვევინგნენს,
დავრჩებით მწირად უდაბნოს შიგნით,
უკვდავი აზრის უკვდავ სტრიქონებს
ინახავს ხალხი და არა წიგნი“.

მწარედ რომ ამათრახებდა ცხოვრებისაგან განდგომილ პოეტებს, ალიო მირცხულავა ღრმად იყო დარწმუნებული თავის რევოლუციური პოეზიის მაღალ დანიშნულებაში და ამაყად აცხადებდა:

„შე შემოვედი პოეზიაში
რევოლუციურ აზრით, განცდებით,
და მუდროვებს შემოვესიე
ჩემი ლექსების ქარისკაცებით“.

სამშობლო იყო სალოცავი ხატი XIX საუკუნის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წინამძღოლთათვის. ილიას, აკაკის, ვაჟას პოეზია სუნთქავს სამშობლოს სიყვარულით. მათი ტრაგედია მამულისადმი გამძაფრებული თავისუფლებისადმი ღროლვით. ამასთანავე თვითმპყრობელობის კლანჭებში მოქცეული ქვეყნის ბედზე ჩაფიქრება რომანტიკული იერით მოსაგდა პოეზიას. აყვავებულა მდელი, აყვავებულა მთები, მამულო საყვარელო, შენ როსდა აყვავდებო, წერდა ილია. ხოლო აკაკიმ ჰუმარითი საგალობელი უძღვნა სამშობლოს: ცა-ფირუშ, ხმელეთ-ზურმუხტო ჩემო სამშობლო მხარეო, შენი ვარ, შენთვის მოგკვდები, შენზედვე მგლოვია-რო.

საბჭოთა ეპოქაში პოეზია შთაგონებულია უკეთესი მომავლისათვის ბრძოლის ამოცანებით და მისთვის თვისობრივად დამახასიათებელია საზეიმო ინტონაცია, მომწოდებელი ხმა, სალაშქრო ყიყინა. ქართველი პოეტი ჰიმნს მიუძღვნის აწ ბედნიერსა და აყვავებულ მამულს.

ალიო მირცხულავა ლექსში „ჰიმნი სამშობლოს“ ამბობს:

„როგორ ვიპარჯეთ! მზიან დროშებით შევხვდით ცხოვრების ახალ განთიადს, როგორ აემალდით! წარსულისაგენ რა შორი ვზაა, რა დღე-მართა“.

პოეტი მიმართავს სამშობლოს:

„ბედნიერი ხარ: „ქართლის ბედისთვის“ დღეს აღარ ჰვოდებ, აღარც მუნჯდები, ჰქუხარ სიცოცხლით, შენში მდინარის ძარღვიც არ არის უხმო, უჩქები“.

და ეს მოზეიმე, სახობტო ინტონაცია, ლაღი, მჩქეფარე, მზითა და ბედნიერებით გაშუქებული ჟანსალი პოეტური ხმა დამახასიათებელია არა მარტო ალიო მირცხულავას ლექსებისათვის, არამედ საერთოდ ქართული საბჭოთა პოეზიისათვის.

ალიო მირცხულავა! პოეზიაში გადმოცემულია ეპოქის სუნთქვა, ეპოქის მაჯისცემა. ამასთან, თვითუფლ ლექსს გააჩნია იდეის შესატყვისი ინტონაცია. ლირიკული გმირი ლექსისა „საგურამო-

სკენ“ ნაყოფიერი შრომის შედეგად განასიერებლად და დასასვენებლად, მეგობარ ქალთან ერთად, მანქანით ქაღალდით გასულა. იგი ტკბება მშვენიერი მშენებლობით, ალტაცებულია თავისი ქვეყნის წარმტაცი ბუნებით, გახარებულია მისთვის ძვირფას ადამიანთან ერთად მოგზაურობით.

„ქალკიდან გამოვედით,

მიჭრის ატომიანქანა.

აღბათ, შენმა სიყვარულმა

აქეთ გამომიქანა“.

და თითქოს ჩვენც ვმონაწილეობთ მგზავრობაში, ჩვენც ვტკბებით მშვენიერი მიდამოების ხილვით და ჩვენს უნებურად ვიზიარებთ ლირიკული გმირის განწყობილებას, ვხდებით მისი სულიერი ცხოვრების უშუალო მონაწილე. რიტმი, პოეტური ინტონაცია შესანიშნავად გადმოგვცემს ხალისიანი მგზავრობის განწყობილებას. ინტონაციის მეოხებით პოეტი კარგად ახერხებს ერთიდაიგივე მეტრით დაწერილ სხვადასხვა თემაზე და სხვადასხვა იდეური დანიშნულების ლექსებში შექმნას სრულიად განსხვავებული განწყობილებანი.

ალიო მირცხულავამ დაწერა რამდენიმე პოემა. ეპიკური აზროვნება მან გამოამქლავა სამწერლო ასპარეზზე გამოცვლის პირველსავე წლებში. პოეტი ლირიკულ პოეზიაშიც არ უგულვებელყოფს მხატვრული პროზისა და ხელოვნების სხვა დარგების თვისებათა ზომიერ გამოყენებას. მას ეხერხება პოეტური აღწერა, თხრობა. მაგრამ აღწერა ემსახურება არა მხოლოდ სურათის გადმოცემას, არა მარტო პოეტური ფერწერული ტილოს შექმნას, არამედ უმთავრესად მიზნად ისახავს შექმნას საკურო განწყობილება. პოეტი ხედავს და შესანიშნავად იყენებს ფერებს, რასაც ფერწერულ დანიშნულებასთან ერთად, და შეიძლება უფრო მეტადაც, ინტონაციურ ამოცანას აკისრებს. ალიო მირცხულავას პოეზიაში ფერებს ვუმზერტ და აგრეთვე „ვუსმენთ“, „ვგრძნობთ“.

ალიო მირცხულავას პოეზიაში მძლავ-

რად გაშალა ფრთები 30-იან წლებში. ეს საეხსებოთ გასაგებია. 30-იანი წლები საბჭოთა ხალხების ცხოვრებაში აღინიშნა მშრომელთა ლაშქრობით ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და სოფლად კოლექტივიზაციისათვის. სახალხო მეურნეობის ყველა დარგში მოხდა დიდი ძვრები, განზორციელდა კულტურული რევოლუცია. ყოველივე ამან ასახვა ჰპოვა საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების საუკეთესო ქმნილებებში. 30-იანი წლების დასაწყისისათვის ქართულ პოეზიაში უკვე საბოლოოდ იყო დამკვიდრებული მიმდინარეობანი, ის პოეტებიც კი, რომლებიც ადრე „ემეზარცხენობით“ გამოირჩეოდნენ, შემოქმედების ფართო გზაზე გამოვიდნენ და მათი ნიჭიერი წარმომადგენლები სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურისათვის მებრძოლთა რიგებში ჩადგნენ. ქართული საბჭოთა მწერლობა ჩამოყალიბდა ერთ მთლიან ორგანიზმად. ამ წლებში დაიწერა არა მარტო ბრწყინვალე პოეტური ნაწარმოებები, არამედ შესანიშნავი, საეტაპო ბელეტრისტული ქმნილებებიც, მაგალითად, „მთვარის მოტაცება“, „გვადი ბიგვა“, „იმერეთის ცისკარი“ და სხვ.

ბუნებრივია, რომ იმ ხალხის მწერლობის მთავარი თემა, რომელმაც შრომა გამოაცხადა სახელისა და ღირსების საქმედ, რომელიც მამაკური შრომით სასწაულებს ახდენდა ქვეყნის სოციალისტური გარდაქმნისათვის, იყო შრომის თემა. ალიო მირცხულავამ განთავისუფლებული ადამიანის შთაგონებულ შრომას უმღერა თავის პირველსავე ლექსებში. მაგრამ 30-იან წლებში იგი ქმნის პოეტურ შედეგებს შრომის თემაზე. ზევით უკვე მოვიხსენიეთ ლექსი „დამკვირველი ბრიგადები“, რომელიც პირველი ხელწოდების დასაწყისში, 1933 წელს დაიწერა. ამ ლექსის თვითნაწილი სტრიქონი, თვითნაწილი სიტყვა გამსჭვალულია დამკვირვლური შრომის პათოსით. მგონი, არ გადავაჭარბებთ თუ ვიტყვი, რომ ქართულ საბჭოთა პოეზიაში იშვიათად თუ უთქვამთ შრომის ისეთი სადი-

დებელი, როგორც ალიო მირცხულავამ თქვა ამ ლექსით. „დამკვირველი ბრიგადები“ ქიშნია შრომისა; ვდგმობიანებს ელენებს გმირული შრომისათვის. სამ ათეულ წელზე მეტი გავიდა ამ ლექსის დაწერიდან, მაგრამ იგი დღესაც მგზნებარედ ედერს, უაღრესად აქტუალურია.

პოეტი არა მარტო მოუწოდებს დამკვირვლური შრომისაკენ, არამედ ენთუზიაზმით ებმება შრომის ფერხულში და შეჯიბრებაში იწვევს პოეტებს:

„მეც დამკვირველი ვარ,
საქმეს ვაშხადებ,
ტემას გრიგალივით
ცეცხლი მოვტაცე,
და ვეჯიბრები
საწერ დაზგაზე
ინდუსტრიალურ
ლექსის ოსტატებს“.

ალიო მირცხულავას თითქმის არა აქვს ლექსები ისტორიულ თემაზე, იგი, როგორც პოეტი და მოქალაქე, ეკუთვნის თავის დროს, შთაგონებულია ეპოქის ყოველდღიური მაჯისცემით და თითქოს წარსულისათვის ვეღარ იცლის. პოეტის გული და გონება მთლიანად ეკუთვნის დღევანდელ საქართველოს, სადაც „ძღვევამოსილი შრომის დიდებას მღეროან ქარხნის სალამურები“...

ალიო მირცხულავამ ქართულ საბჭოთა პოეზიაში ერთერთმა პირველმა გაბედულად დაამკვიდრა ინდუსტრიული პეიზაჟი. ქარხნის მიღები, მშენებლობათა ხარაჩოები, მწიფე ყანაში მოგუგუნე კომბაინი, მინდორში სამუშაოდ გასული ადამიანები, ტყის მჭრელთა თავდადება და ჩვენს მდინარეებზე აბდღერიალებული ელექტროსადგურები — აი, პეიზაჟები, რომლებიც გვხიბლავენ სიახლით და მონუმენტურობით, ღრმა შინაარსით. პეიზაჟი მხოლოდ თვალთ და ნახული გარემო როდია. პოეტი ხატავს დიდ ტილოებს, პანორამებს, რომლებიც გვხიბლავენ არა მხოლოდ ფერების სიუხვით და ელვარებით, არამედ უპირველესად იდეური სიღრმით. პოეტი არა მხოლოდ ხედავს, არამედ დანახულს გა-

იაზრებს და უშუალოდ გამოხატავს მის-
დამი თავის დამოკიდებულებას. ლექს-
ში „სამშობლო“ პოეტი თავის სამშობ-
ლო ქვეყნის სიუხვისა და ბარაქიანობის
გადმოსაცემად იყენებს პეიზაჟურ სა-
ხეს: „აი ქვეყანა, სად უნაყოფოდ უბრა-
ლო ხეც-კი არ დარხეულა“... შემდეგ
პოეტური ფერწერა: „მთა ჩახვეულად
მთას ეფარება, შიგ ელვასავით გზა დარ-
ხეულა“... და ერთბაშად ლექსში შემო-
დის თვით პოეტი: „გინდა მთელი დღე
უსმენდე ნიავს, რომ სიხარული იგრძ-
ნოს სხეულმა“...

„ჩემი ქვეყანა, ვერგ ლამაზი,
შავი ზღვის პირად აღმართულია,
თავზე გვირგვინად მუდამ მზე ადგას,
მისგან ღრუბლებიც დაფანტულია.
ხან ვაშლილა უგზო-უვალოდ,
ხან ვენახებით დაპლართულია,
მთაც ლამაზია, ბარც ლამაზი,
ცა — ფიროსმანის დახატულია“.

პეიზაჟი უაღრესად ეროვნულია და
მონუმენტური. ამასთან პოეტი დიდი
ოსტატობითა და ზომიერებით პეიზაჟს
აღბეჭდავს ეპოქის კოლორიტით: „შე-
ერთებია სოფელი ქალაქს, გზებით, ნა-
რებით, წალამურებით, აყვავებულან
ბაღში დროშებიც ფერწითლები და სა-
ამურები. მცენარეებში ყვინთავს ქალა-
ქი, გაყვითლებულა ცა აღმურებით,
ძღვეამოსილი შრომის დიდებას მღერი-
ან ქარხნის სალამურები“; პოეტი მიმარ-
თავს მეტაფორულ სახეებს, რომლებიც
გადმოგვცემენ არა კონკრეტულ პეი-
ზაჟს, არამედ ზოგად განწყობილებას. ამ
პეიზაჟებში შეუცდომლად გამოიცნობა
ჩვენი სინამდვილე, მოისმის ცხოვრების
სუნთქვა.

ღრმა პარტიული თვალთახედვის პოე-
ტი სწორად ხედავდა და აფასებდა მოვ-
ლენებს, იცქირებოდა წინ. მას კარგად
ესმოდა, რომ რევოლუციის გამარჯვე-
ბით არ დამთავრებულა ბრძოლა; კლას-
სობრივი პოზიციიდან სახსებით ნათლად
განსჭვრეტდა მოსალოდნელ საფრთხეს,
რომ მტერი არ დაცხრებოდა და დღეს
თუ ხვალ ომს გააჩაღებდა. ამ შავი დღი-
სათვის პოეტი წინასწარ ამზადებდა მკი-

თხველს, ზრდიდა მასში ვაჟკაცობისა და
გმირობის სულისკვეთებას, უნერგავდა
მომავალ ბრძოლაში შეუცდელი კლდობისა
და გამარჯვების ღრმა რწმენას. დიდი სა-
მამულო ომის დაწყებამდე ხუთი წლით
ადრე პოეტი, სამშობლოს ჰიმნს რომ
უთხზავდა („ჰიმნი სამშობლოს“), ამ-
ბობდა:

„ბედნიერი ხარ შენი აწმყოთი,
და თუ ოდესმე მტერმა იწება,
სცადოს წამთიაც რომ შეაჩეროს
შენი აღდგენა, აღორძინება,
სცადოს ხაზუკოთა ხაზუკობისაგან
შენი მოწყვეტა და მოცილება,—
შენ გაიმარჯვებ ისევ გმირულად,
გაქვს ვაჟკაცური გამოცდილება“.

ხოლო როცა ომის ქუხილი გაისმა,
პოეტმა სიტყვის ბასრი იარაღი მთლიან-
ად მტერზე გამარჯვების სამსახურში
ჩააყენა. დიდი სამამულო ომის წლებში
ალიო მიჩვხულავას არ დაუწერია არც-
ერთი ლექსი, რომლის დანიშნულება არ
ყოფილიყო სამშობლოს გადასარჩენად
ადამიანების დარაზმევა, რომელიც მტრი-
სათვის არ ყოფილიყო ტყვიით სავსე
ყუმბარა. თუ ომამდე პოეტი მასებს
მშვიდობიანი შრომის ფრონტზე ლაშქ-
რობისათვის რაზმავდა, ახლა მისი ლექ-
სები ჯარისკაცებს დროშასავით მიუძ-
ლოდნენ წინ ბრძოლის ქარცეცხლში.
ომის დაწყების პირველსავე დღეებში
პოეტმა საბრძოლო სტიქიაში იგრძნო
თავი და ვაჟკაცებს მოუწოდა:

„სამშობლო გასაჭირშია,—
შხად ხართ? — მთელი ხმით ვცვირი მე,
მთებიდან, დაღმართებიდან—
შხად ვართ! — შეაბის გმირი მე!
დასცხეთ, დაკეართ, ბიჭებო,
არ ენახო მათი ძირი მე,
სად მეგულუბა სამშობლო,
მტრებისთვის გასაწირი მე!“

ომის წლებში პოეტმა სავარძნობლად
გაათართოვა მხატვრული გამოსახვის სა-
შუალებანი. პოეზია ქანრულად უფრო
მრავალფეროვანი გახდა, ლექსებში გა-
ისმა ახალი ინტონაციები. პოეტი ქმნის
არა მარტო ბრძოლისაგან მომწოდებელ
ლექსებს, აგრეთვე აღწერს ბრძოლის
ეპიზოდებს. ლექსში „ძმები“ ალიო მიჩ-

ცხულავამ გამოძებნა სათუთი ინტონაციები და ბრძოლის ველზე დაცემული ძმების ერთმანეთისადმი ნათესაური და უაღრესად ადამიანური გრძნობები გამოხატა. ამ მაღალი ჰუმანიზმი ორგანიზაციის შერწყმული კეთილშობილური ღირსებთან და ომის ტრაგიკულთან.

ამ პერიოდის ლექსებში შკიტხველის თვალწინ წარმოსდგებიან ქალაქები: სევასტოპოლი, ლენინგრადი და ვოლგოგრადი, კიევი, ორიოლი, როსტოვი და სმოლენსკი, რომლებმაც თავიანთ მხრებზე გადაიტანეს ომის ყველა საშინელება. ქალაქები წარმოდგენილია როგორც ცოცხალი ორგანიზმი, სულიერი არსება. მტერი ანგრევს, სწვავს, მიწასთან ასწორებს, და ქალაქები მაინც ცოცხლობენ, ომის ცეცხლსა და კვამლში აბოლებული, მტერს არ ნებდებიან... ამიტომ არის მათ მიმართ პოეტის სიტყვა შთაბეჭდავი.

ყურადღებას იქცევს მტრის ბარბაროსობის ამსახველი სურათები. დამპყრობთა სისასტიკეს, უადამიანობასა და სიმხეცეს რომ აწერდა, პოეტი ამით მკითხველს უღვივებდა მტრის სიძულვილს, მის გულს ავიზგიზებდა ბრძოლისა და შურისძიების წყურვილით. გადაბუგული სახლკარი, მიტოვებული ეზო, უპატრონო გვამები და საღრჩობელები ლექსებში შემაზრზენ სახეებად რომ დამკვიდრდნენ, ბრძოლისაკენ ნაკლებად მომწოდებელი როდი იყვნენ, ვიდრე უშუალოდ მეომრებისადმი მიმართული სტრეიქონები. პოეტი ზოგიერთ მხდალსა და მოლაღატესაც კი არ ივიწყებდა. იგი არ მოერიდა წყველა-კრულვა გაეგზავნა იმ ვაი-მეომრებისათვის, რომლებმაც მტერს ზურგი უჩვენეს. პოეტი გუშავად უდგა მებრძოლის მოქალაქეობრივ და პატრიოტულ სიწმინდეს, პასუხისმგებლობას გრძნობდა მეომრის ყოველი ქცევისათვის, ხოლო თავის პოეზიას ასეთ საბრძოლო ამოცანას უსახავდა:

„მინდა ხიშტს ჰგავდეს ამ დროს კალში,
მკერდში მახვილად ხედებოდეს ქალას,
მინდა მგზნებარე ჩემი სიტყვებიც

მტრის ბანაკებში სედებოდეს ალღო
თუ არა მამულს, ვის შეეწივს
ჩემი ჯანი და სიმღერის ძეგლი“

ალიო მირცხულავა თავისუფლად ფლობს სიტყვას. პოეტური მეტყველებაში არ იგრძნობა ძალდატანება და ხელოვნურობა. პოეტი მოგვითხრობს სადად, ბუნებრივად, თითქმის ჩვეულებრივი სასაუბრო ენით და გამართული, სწორი ქართულით. პოეტური ფრაზა დახვეწილია და მიმზიდველია თავისი უშუალოდ, ერთგვარი მიაჩნობით. სახეები ნათელი და შთაბეჭდავია. ლექსებში გაბნეულია ღრმა, კონკრეტული აზრის მქონე ხატოვანი თქმები. პოეტი ამბობს: „წიგნი შრომის დროს აგურია და ბრძოლის დროს — ტყვიით სავსე ყუმბარა“; „შრომის ფრონტიდან გამოქცეული იგივე ბრძოლის დეზერტირია“, ან „ფიქრთა გვირაბი არის მალარო, ლექსი — ფოლადის ნაწარმოები“; „ადამიანი ნავი როდია, ნაპირს მივაბათ და მივატოვოთ!“ და ჩვენ გვიზიდავს არა მხოლოდ სიტყვის ოსტატობა, თქმის ხელოვნება, არამედ, უპირველესად, ფრაზაში მოთავსებული შინაარსი, პოეტური სტრეიქონების ღრმა აზრი.

ქართულ პოეზიაში, უმდიდრეს ქართულ ხალხურ ფოლკლორში, ღირსეული ადგილი უჭირავს დედის სახეს. ჩვენს ლექსებში, სიმღერებსა და ლექსებში დედა შემოსილია უქრობი შარავანდედით. ქართველი კაცის ყველაზე სათუთი გრძნობები ეკუთვნის დედას. დედა ღვთაებაა, სასოებაა. დედის ამაგი დაუფასებელია, დედური სიყვარული განუზომელია, დედური ერთგულება უსაზღვროა. ქართულ პოეზიაში ბევრია თქმული მეომრის დედაზე. ამას თავის მთავარი აქვს. საქართველოს დასაბამიდანვე უხდებოდა სისხლისმღვრელი ომების წარმოება მრავალრიცხოვან დამპყრობლებთან. ქართველი ხალხისთვის თავისუფლების დაცვა, ეროვნული თვითყოფილების შენარჩუნება ყოველთვის მთავარი ამოცანა იყო. ამიტომ ქართველი დედა შეიღწა ზრდიდა ღირსეულ მოქალაქედ, მას აკენიდანვე შთა-

უნერგავდა სამშობლოს სიყვარულსა და მისთვის თავდადების მაღალ პატრიოტულ გრძობებს, შთაგონებდა მეომრულ შემართებას, ვაჟკაცობასა და გმირობას. დედა გზას ულოცავს შვილს ბრძოლაში, დედის სახე მუდამ თან სდევს მეომარს. ქართული პოეზიის ეს შესანიშნავი ტრადიცია ვაგრაქლებას პოულობს ალიო მირცხულავას შემოქმედებაში. ლექსები „დედა და შვილი“, „დედის ფიჭვები“ — ამის საუკეთესო ილუსტრაციაა. „როცა სამშობლოს ფეხს დაადგამენ, — დედასაც გული სტიკევა, შვილებო!“ შემდეგ: „შვილო, არ შედრკე! დაჰკა მტარვალებს, არ შეარცხვინო შამის სახელი!“ — მოუწოდებს დედა შვილს და გამხნევებული მეომარი მტერს ამარცხებს.

პოეტი მტრის განადგურების სამსახურში აყენებს სამშობლოს ბუნებასაც. როცა საქართველოს მტრის შემოსევის უშუალო საფრთხე შეექმნა, ბრძოლაში ჩაება თვით კავკასიონიც. იგი წინ აღუდგა დამპყრობლებს და საქართველოსკენ გზა გადაურაზა. ხმა აღიმძალა მყინვარმა, სტიქიონს მოუხმო და კარს მომდგარი მტრის გასანადგურებლად მოუწოდა:

„ვინ ზედაეს ქართლი აატალახოს,
თავს დაგვატეხოს რისხვა და მუხი?!
ზღვა ვადალახოს, მთა ვადალახოს
და კავკასიონს დაადგას ფეხი?!
ჰეი, წამოდგე, წამოუბერე,
ქართ ავჭარო, ავდარიახო,
ზევით არ ვნახო სვავთა ღრუბელი,
დე, ვარსკვლავებმა ვადაშიარონი!“

ომი ჯერ კიდევ არ იყო დამთავრებული, რომ პოეტი შეტრფოდა ზეაღინდელ ნათელ დღეებს, როცა მისი ლექსები ისევ მშვიდობიანი შრომის ყიფინას დასცემდნენ. ლექსში „ომი და მშვიდობა“ მტრის გაუგონარი მხეცობით აღშფოთებული პოეტი რისხვას ატეხდა მას თავს და სამაგიეროს მიზღვას პირდებოდა, რომ აღარ ყოფილიყო ომი და ხანძარი, დასრულებულიყო შუღლი და ფლიდობა და აღსრულებულიყო ხალხის ოცნება — ეცხოვრა მშვიდობით. ომის შემდეგდროინდელ ვითარებას და

თავის განწყობილებებს პოეტი ასე გვიხატავდა:

„მუშა იშრომა ერთი-ორად,
გლებმა ზორბალი დასდგა გორბადა,
ბაღში ნაყოფმა თავი დახარა,
ცაში ფრთოსნებმა იწვეს ვალობა,
ტკბილად სტვენა და მუსიკალობა,
ამ სიხარულმა მეც გამიხარა.“

ალიო მირცხულავამ ჯერ კიდევ 1927 წელს დაწერა ლექსი „რიქშა“, რომელიც მიძღვნილია კაპიტალიზმის უღლისაგან ხალხთა განთავისუფლების თემისადმი და კარგად გამოხატავს პოეტის ინტერნაციონალისტურ სულისკვეთებას. პოეტს აქვს უკეთესი ლექსები. მაგრამ „რიქშა“ საინტერესოა, რადგან ამ ადრინდელ ლექსში უკვე იგრძნობა სახვით საშუალებათა მრავალფეროვნება, პოეტი მოგვითხრობს რიქშას ტანჯულ ცხოვრებაზე, აგვიწერს ცხოველივით ეტლში გაბმული ადამიანის წამებას, გამოთქვამს თავის აზრს. ლექსში არის თბრობა, აღწერა, ფერწერული სურათი, გადმოცემულია პერსონაჟთა სულიერი მოძრაობა. თუნდაც სრულიად უპრეტენზიო ლექსში „ფერმის ეზოში“, რომელიც 1950 წელს დაიწერა და მიძღვნილია შრომის თემისადმი, პოეტი იდეას გადმოგვცემს პეიზაჟის, ფერწერული ყოფითი სურათების დახმარებით, მიმართავს მეტაფორულ სახეებს, პოეტურ დეკლარაციას.

ალიო მირცხულავას პოეზიაში ცხოვრება დულს, მოძრაობს, წინ მიიწევს... ლექსები ვასხივოსნებულია მზით, გალადებულია ჯანსაღი განწყობილებით. რევოლუციური გაქანება, ღრმა პატრიოტიზმი და ოპტიმიზმი, სიხალის დიდი გრძნობა, ლექსებს მოსავენ დიდი იდეური სივრცეებით, ანიჭებენ მეტროლოურ სულსა და სიმძაფრეს. პოეტის საყვარელი სახეებია შრომა, ბრძოლა, ქარიშხალი, გრიგალი, მზე, გაზაფხული... და ეს შემთხვევითი როლია — ამ სახეებში

ეპოქა მოჩანს. პოეტური მდინარე ჰქუხს და მღვლეარებს, მაგრამ მაინც თავის მტკიცე კალაპოტში მიედინება. დიდი შინაგანი დუღილის მიუხედავად, გრძობა ნაპირებს არ გადადის. ლექსის კომპოზიცია დახვეწილი და დასრულებულია. პოეტი საგანს თუ მოვლენას უმზერს არა მრავალი კუთხით, არა დანაწევრებულად, არამედ მთლიანად. ყველაფერი კი არ აინტერესებს საგანში, არამედ ყველაზე მთავარი, ყველაზე არსებითი. პოეტი თემასთან მიდის უშუალოდ, არა შემოვლითი გზით. პოეტური ასოციაციები უმეტესად ერთი იდეის გაშუქებას ემსახურება.

პოეტი თავის დაუცხრომელ შრომას

ადარებს ზაფხულს: „ასე, ჩემსავით შრომობს ზაფხულიც, მზისაფურცელს არ ჩევის მცხუნვარე ფუნჯით, მზისაფურცელს არ ჩევა, ვიწვით ორივე შემოჭმედების უშრეტო ცეცხლით“. პოეტის სამოცი წლისთავზე მკითხველის გულწრფელი სურვილია ალიო მირცხულავა მუდამ გაჯიბრებოდეს ზაფხულს თავის პოეზიის მზიური სიმხურვალით და ფერადოვნებით, შემოჭმედებითი ენერჯის დაუშრეტელობითა და სიძლიერით, ჩვენთვის კვლავაც გადაეფურცლოს შრომით, ბრძოლით, შეტევითა და გამარჯვებებით აღსავსე ცხოვრების ნათელი წიგნი.

საგზი ჟიღაღი

ორი ახადგაზრდა მწერალი, ორი სტილი, ორი განმარ

ამ უკანასკნელ წლებში ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში მოსულ თაობას იმ ახალ სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ ატმოსფეროში მოუხდა მუშაობა, რომელიც ჩვენი საუკუნის 50—60-იან წლებში შეიქმნა. ეს ატმოსფერო მოამზადა იმ საზოგადოებრივმა ვითარებამ, რომელიც პროლეტარიატის დიქტატორიდან სახალხო დემოკრატიული დიქტატორის საწყისებზე გადასვლამ განაპირობა. სწორედ ამ ახალ დემოკრატიულ ატმოსფეროში გაიფურჩქნა ჩვენი მწერლობის ახალი ყლორტები. ეს ისეთი ისტორიული ფაქტია, რომლის უარყოფა არავის მოუვა აზრად. და რაკი ეს ფაქტია, ჩვენ ამ ვითარების ფონზე უნდა განვიხილოთ ყოველი ახალი მოვლენა, ახალი ლიტერატურული თაობა, ჩვენს მწერლობაში. როდესაც ლიტერატურაში შექმნილ ახალ ატმოსფეროზე ვლაპარაკობთ, რასაკვირველია, ვგულისხმობთ სოციალისტური რეალიზმის პოზიციების იმ თანმიმდევრულ დაცვას, რომელსაც ჩვენი ლიტერატურული საზოგადოებრიობა მთელი შეუპოვრობით ეწეოდა და ეწევა. ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება მომხრე ვიყოთ ლიტერატურული პოზიციების განურჩევლობისა, ქაოსისა და ანარქიის ქადაგებისა მწერლობაში. ჩვენში ლიტერატურა ვითარდებოდა და ვითარდება კომუნისტური პარტიის წარმმართველი ხელმძღვანელობით, სოციალისტური რეალიზმის ყოველგვარი მტრების წინააღმდეგ შეუპოვარი შერტვის სულისკვეთებით. ამ უკანასკნელ წლებში ჩვენში მეტი გასაქანი მიეცა შემოქმედის აზრსა და ფანტაზიას,

ფორმებისა და სტილის სხვადასხვაობას, მეტ დემოკრატიზმს აზრისა და შინაარსის მხრივ, მეტ შეჯიბრებას მხატვრული ფორმის სრულყოფისათვის ბრძოლაში, ტრაფარეტებისა და სქემების, გაყინული ფორმებისა და დოგმების უუქმედებას და უარყოფას. საბჭოთა მწერლობამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია, ერთი მხრივ, ენობრივი ნატურალიზმის, პრიმიტივიზმისა და ფორმის ჩამორჩენილობის წინააღმდეგ ბრძოლას, ხოლო, მეორე მხრივ, ასევე მძაფრი ბრძოლა გამოუცხადა აბსტრაქციონიზმისა, ფორმალისმისა და დეკადენტური სკოლების გადმონათობას. როდესაც ჩვენ ვამბობთ, უკანასკნელ პერიოდში შექმნილი ატმოსფერო სრული საბჭოთა დემოკრატიზმის გზით მიიშრთება, რასაკვირველია, ვგულისხმობთ, რომ საბჭოთა დემოკრატიზმი დაუძინებელი მტერია ყოველგვარი ანარქიზმისა, უპრინციპობისა და განურჩევლობისა. მწერლობაში ისევე საჭიროა დისციპლინა და წესრიგი, როგორც ჩვენი ცხოვრების ყოველ დარგში. ლიტერატურა საშუალებაა და არა თვითმიზანი, მწერლობა თავისი მაღალი დემოკრატიული სულითა და ჰუმანიზმით უნდა ემსახურებოდეს ხალხს, საბჭოთა ხალხის დიდსა და კეთილშობილურ მიზნებს. ნამდვილი მწერლობა იყო, არის და მუდამ იქნება ხალხის მსახური. ამიტომ ჩვენ ვყოფილვართ და მუდამ ვიქნებით მტერი ყოველგვარი განურჩევლობისა მწერლობაში, თავაშვებულობისა და ინდივიდუალისტური კარჩაეტილობისა, ეგოისტური, თვითმიზნური, ბატონკაცური გაბღენძილობისა. აქედან გამომდინარე, ჩვენ

დაუნდობელი ბრძოლა უნდა გამოვეყუ-
ხადოთ იმ ლიტერატურულ ინერციებს,
რომლებიც დაკავშირებულია ანტირე-
ალისტური სკოლების ანტიხალხურ ნა-
ღეჭებთან.

მწერლობას ჩვენ ვუყურებთ, რო-
გორც ამას დიდი ილია ამტკიცებდა, —
ერის აღზრდის, ერის სამსახურის თვალ-
საზრისით, როგორც ერის იდეური ძა-
ლების აღმზრდელს. მის წარმმართველ-
სა და ხელმძღვანელს, და ვინც ამ აღმზ-
რდელობით ფუნქციას შეგნებულად ებ-
რძვის, ის საბჭოთა მწერლობის პრინცი-
ციების მოწინააღმდეგეა და მას არ
შეიძლება გულგრილად ვუცქერდეთ.
იდეური სიწმინდე, ხალხის ინტერესე-
ბის სამსახური იყო და მუდამ იქნება
ქეშმარიტი მწერლობის გამოსავალი
პრინციპი. და როდესაც ჩვენ ვაფასებთ
ახალ მოვლენებს მწერლობაში, ახალ-
თაობის მიერ მოტანილ ინტონაციებსა
და ფორმებს, ამ დიდი საზოგადოებრი-
ვი და ეროვნული თვალსაზრისით უნდა
შევაფასოთ ეს ფაქტები და მოვლენები,
სხვა საზომი არ ჰქონია და არც ექნება
რეალისტურ მწერლობას.

როდესაც ახალ თაობაზე ვლაპარა-
კობთ, ჩვენ მხედველობაში გვაქვს უკა-
ნასკნელი ათი წლის განმავლობაში სამ-
წერლო ასპარეზზე გამოსული ახალგაზ-
რობა. ამ თაობაში შედიან პოეტები,
პროზაიკოსები, დრამატურგები, კრი-
ტიკოსები, მთარგმნელები; მაინც ყვე-
ლაზე საგულისხმო არის ის ფაქტი, რომ
მათ შორის საკმაოდ მოზრდილი და
ფრიალ მნიშვნელოვანი ძალა პროზაი-
კოსებია. აქ საქმე რაოდენობაში რო-
დია, არამედ იმაში, რომ ეს ახალგაზრ-
და პროზაიკოსები მოვიდნენ ჩვენს
მწერლობაში, როგორც საიმედო ძალა,
რომელმაც თან მოიტანა ჩვენი დროის
საზოგადოებრივი ტკივილები და ამ ტკი-
ვილების გამოსახვის ორიგინალური და
საინტერესო მხატვრული საშუალების
ძიება. ჩვენ მხედველობაში გვაქვს
ოტია იოსელიანის, ნოდარ დუმბაძის,
რევაზ ინანიშვილის, არჩილ სულაკაუ-
რის, ედიშერ ყიფიანის, ლადო მრეღაშ-

ვილის, თამაზ ჭილაძის, როსტომ ბეკა-
ნიშვილის, ნოდარ წულუღის, კერესელია
სხვათა რომანები, მოთხრობები, ექსპო-
ზიციონები. ამ შემთხვევაში ყურადღება გვინ-
და შევაჩეროთ ორი ახალგაზრდა პროზა-
იკოსის ნაწარმოებებზე. ეს არის ოტია
იოსელიანის „ვარსკვლავთცვენა“ და
ნოდარ დუმბაძის „მე ვხედავ მზეს“.

ყოველ ახალ ნაწარმოებში უნდა ვე-
ძიოთ, უპირველეს ყოვლისა, ის დადე-
ბითი, ნოვატორული, რაც მხარდაჭერის
და წაქეზების ღირსია. ყოველი ახალი
მიღწევა ახარებს მკითხველს. ამიტომ,
ჩვენი აზრით, კრიტიკოსი მოვალეა ყუ-
რადღებას ამახვილებდეს ამ დადებით
მოვლენებზე, ახალ ყლორტებზე, რო-
მელიც საზოგადოებრივ მხარდაჭერას
იმსახურებენ. ეს როდი იმსნავს, რომ
კრიტიკა არ ებრძოდეს სუსტ, უფე-
რულსა და უფარგის წიგნს. უფერული
და სუსტი წიგნი ლიტერატურას ანა-
გვიანებს, მწერლობის დაქვეითებას იწ-
ვევს უთუოდ. ამიტომ ჩვენ დაუნდობე-
ლი მტერი უნდა ვიყოთ ყოველივე იმი-
სა, რაც ამდაბლებს მხატვრულ გემოვნ-
ებას და მწერლობის ესთეტიკურ დო-
ნეს. ეს ელემენტარული ქეშმარიტებაა.
და ჩვენი აზრით, ამ უფერული წიგნე-
ბის წინააღმდეგ ბრძოლის თავისებური
ფორმა ისიც არის, როდესაც ვაქეზებთ
და მხარს ვუჭერთ ახალსა და დადებითს
ლიტერატურაში.

მწერლობა, რასაკვირველია, თაობე-
ბად იყოფა, მაგრამ ამ დაყოფაში ჩვენ
გვაიწყუდება ერთი ქეშმარიტება: ლი-
ტერატურაში მუდამ იყო ნიჭიერი და
ნაკლებად ნიჭიერი მწერალი. მაგრამ
მწერლობის წარმმართველი, ლიტერა-
ტურული პროცესების განმსაზღვრელი
სწორედ თაობათა ნიჭიერი წარმომად-
გენლები ყოფილან მუდამ. საერთო ატ-
მოსფეროს სწორედ ეს ნიჭიერები
ქმნიდნენ, ლიტერატურულ ცხოვრებას
ისინი წარმართავდნენ, კამათსა და და-
ვას სწორედ მათი ნაწარმოებები იწე-
ვდნენ. ისინი და მხოლოდ ისინი აღმ-
რავდნენ ლიტერატურაში დიდსა და
საინტერესო საკითხებს. და ამ დავასა

და კამათში სუსტი და უფერული წიგნები, უნიჭო მწერლები განზე რჩებოდნენ. მათ არავინ ებრძოდა, არავინ ერჩოდა. ამიტომ არის, რომ ყოველ მნიშვნელოვან ლიტერატურულ მოვლენას ცხარე კამათსა და ცეცხლში გამოუვლია. სწორედ ისინი ცხოვრობდნენ ელვარე, მგზნებარე ცხოვრებით მაშინ, როდესაც უფერული წიგნები და მათი ავტორები მშვიდად იყვნენ ჩრდილს ამოფარებულნი.

ეს უბრალო ქეშმარიტება აქ იმიტომ გავიხსენეთ, რომ უფრო ნათლად წარმოვიდგინოთ მოვლენები, რომელთაც ადგილი აქვს ჩვენს მწერლობაში. ფაქტია, რომ ამ ბოლო დროს გამოსულ ახალგაზრდობას ახასიათებს მეტი დაკვირება, მეტი სიფხიზლე; ფორმის გრძნობამ ისინი ერთბაშად გამოარჩია იმ მწერლებისაგან, რომლებიც ფორტოგრაფიისა და ილუსტრაციის მოყვარულები იყვნენ. და ამ ფონზე ჩვენ თვალში გვეცემა ფრაზაზე დაკვირვებული მუშაობა, რაც ასე დამახასიათებელია ამ ნიჭიერი ახალგაზრდობისათვის. მაგრამ ამასთან უმართებულო იქნება, არ გავიხსენოთ წინა ნიჭიერი თაობა. განა ასევე არ ახასიათებდა მას ეგრეთწოდებული მოჭარბებული ფსიქოლოგიზმი და ფორმის გრძნობა, რაც ამ ახალგაზრდობის კუთვნილებათ გამოვაცხადეთ? განა ამ მხრივ ნაკლებ ყურადღებას იმსახურებს ჟოლა ლომთათიძის „სახრჩობელას წინაშე“, შიო არაგვისპირელის „ადე, ჩამოვიდა“, ლეო ქიაჩელის „ალმასგირ კბულანი“, ნიკო ლორთქიფანიძის „თავსაფრიანი დედაკაცი“, რომელი ერთი ჩამოვთვალთ. საკითხი შეეხება ნიჭიერ ნაწარმოებსა და უფერულ, სუსტ ნაწარმოებს, ნიჭიერ მწერალსა და სუსტ მწერალს. და თუ ამის მიხედვით შევხედავთ მოვლენებს, ჩვენთვის ბევრი რამ უფრო ნათელი და გასაგები გახდება. ამისდა მიუხედავად, ჩვენ მაინც მიგვაჩნია, რომ ამ ბოლო წლებში მთელი ფრონტით დაიწყო ბრძოლა ენობრივი ნატურალიზმისა და სქემატურობის წინააღმდეგ. ოღონდ უნდა აღ-

ვნიშნოთ, რომ ეს თანაბრად შეეხება ყველა თაობის მოღვაწეობას მეტნაკლებად, და ახალგაზრდობის განსაკუთრებულად გამოყოფა არ იქნებოდა მაინცდამაინც მართებული. საქმე ის არის, რომ ამ ბოლო ხანებში, საერთოდ, უფრო აიწია ჩვენმა ლიტერატურულმა დონემ. უფრო მომთხროვნი გახდა ჩვენი მკითხველი. უფრო მაღალი გახდა მისი გემოვნება და ყოველივე ამას არ შეიძლებოდა არ მოყოლოდა ჩვენს მწერლობაში გარკვეული შედეგი.

ახალგაზრდა პროზაიკოსები მთელი გატაცებით და მონდომებით მუშაობენ თანამედროვეობის თემაზე; ისინი, ჩვენი ხალხის ყოველდღიური ცხოვრებით, მისი მშფოთვარე დღეებით ცოცხლობენ. ოტია იოსელიანის „ვარსკვლავთცეცხა“ და ნოდარ დუმბაძის „მე ვხედავ მზეს“ ჩვენი ცხოვრების მეტად მღელვარე ხანას შეეხება. ეს არის სამამულო ომის დღეები, რომელთა მოგონებას ჩვენ გულგრილად ვერ შევხედავთ და სამუხეუმო-საარქივო საგნად ვერ გადავაქცევთ. ის კვლავ მღელვარე, კვლავ დღის წესრიგში მყოფ მოვლენათა რიგს განეკუთვნება, სანამ მსოფლიოში არსებობენ ბნელი ძალები, რომლებიც კვლავ იარაღს აქლარუნებენ და კაცობრიობას ახალი სასაკაოლსაქენ ერეკებიან. ვისაც სურს მშვიდობა, ვისაც უყვარს თავისუფალი შემოქმედებითი შრომა, ოჯახი, ბავშვები, მას არ შეიძლება არ სძულდეს ომის გამჩალებლები — კაცობრიობის ეს უბოროტესი მტრები. ატომური ომის საშინოების ვითარებაში არ შეიძლება ფრიად აქტუალური არ იყოს განუვლილი ომის გახსენება და მკითხველის აღზრდა ჩვენი სამშობლოს, ჩვენი მამულის, ჩვენი ხალხის სიყვარულის სულისკვეთებით. ამიტომ ბუნებრივია, რომ ამ ბოლო ხანებში არა მარტო ქართულ მწერლობაში, საერთოდ, მთელ საბჭოთა მწერლობაში სამამულო ომის თემა ერთი აქტიური, მოქმედი თემაა.

ოტია იოსელიანის „ვარსკვლავთ-

ცვენა“ ღმის ცხოვრების სურათებს გვიჩატავს. ეს სურათები 12-17 წლის ბავშვის გონების თვალთ, მისი მოქმედებისა და საქციელის თვალსაზრისით არის წარმოსახული და გაოცხლებული. დიდი უშუალობა და პირდაპირობა აქვს მინიჭებული აქ წარმოსახულ ყოველ ეპიზოდსა და სურათს. რომანის ძირითადი პათოსი იმაში მდგომარეობს, რომ გვიჩვენოს ფსიქოლოგიურად და ფიზიკურად რა ნაადრევად მოამწიფა ომმა მოზარდი თანდა, ჩააბა იგი მკაცრ ორომპტრილში, დაადგა ცხოვრების მიძიმე უღელი, წაართვა ბავშვობის იდილიური დღეები, წაგლიჯა ბავშვური სიბნობა და ხალისი. მოთხრობის დასაწყისიდან ვხვდებით ბავშვებს. 10-12 წლის ბავშვები გოგიტა, ტუხუია, კლიმენტია, გოგონა, და სხვები რიკტაფელას თამაშობენ, სკოლაში დადიან, საქონელს მწყემსავენ, მდინარეში ჭყუმპალაობენ, შემდეგ მხეს შეფიცებული ბავშვურად ოცნებობენ სწავლაზე, წიგნზე, თამაშზე, ბურთზე... ყველაფერი ეს ბუნებრივია. მაგრამ მოულოდნელმა ომმა ერთბაშად დაარღვია ეს იდილიური განწყობილება და რიკტაფელას ნაცვლად მათ ხელში მისცა კავი, კულტივატორი, ვენახის სახსლაგი, ბარი და თოხი. ომმა მოუშალა მათ ბავშვობის ბუდე, ნაადრევად გამოიყვანა ისინი შრომის ფრონტზე. ამ ფონზე ოტია იოსელიანმა შესანიშნავად დავიხატა ტიპიური და განზოგადებული ხასიათი ნაადრევად მომწიფებული კაცისა. გოგიტას მამა არმიაში გაიწვიეს. შინ ყველაზე უფროსი მამაკაცი 12 წლის გოგიტა იყო. შემდეგ დედა, პატარა ძუძუმწოვარა ბალოთ, ბებია და ექვსი წლის ზაზა. მამის ომში წაყვანის მეორე დღიდანვე ოჯახმა თავისი მოითხოვა. გოგიტა პირველსავე წინააღმდეგობას შეეჩეხა; კოლექტივის მიერ ოჯახზე მიმაგრებული უღელი ხარის გაძლოდა იყო საჭირო, ან იგი მის მეზობელ კოჭლი კლიმენტისათვის უნდა გადაეცა. თავმოყვარე ბავშვი მამის მოვლილ ხარებს არავის უთმობს, ბრძოლის ყინით შემართული

შრომაში ჩაებმება, თანდათან, წაბრძოლებით ეჩვევა მუშაობას და ერთდართი მოწინავე კოლმეურნეობის მუშაობას მას ბრივადირიც ეთათბირება. გოგიტა უკვე ინსტიქტით გრძნობს, ვინ არის მისი ოჯახის, მისი მამის მეგობარი. მართალია, ის გამოცდილი მეურნე მამაკაცივით მსჯელობს, მაგრამ აქაც ერთგვარ ბუნებრივობას ინარჩუნებს, როგორც ბავშვი.

„მე ვახეთებიდან ვიცოდი, რომ გერმანელები წინ მოიწვედნენ, ყველაფერს წვადნენ და ჰამდნენ. ზაზამაც იცოდა, რომ მოდიოდა რალაცა ვეშაპი, თუ მგელი, რომელიც ბავშვებს ყლაპავდა, და მთელი ღამე ლოგინიდან წამოვარდნილი შველას ითხოვდა. მე დავაწვენი და ვამშვიდებდი, რომ მამა იქაა და ჩვენამდე როგორ მოუშვებს მგელს, თოფს ესერის, ხიშტს დაკრავს და არ გამოუშვებს-მეთქი.“

— ხიშტს? — კითხავდა ზაზა.

— ხიშტს, — ვიმეორებდი მე. ზაზა წვებოდა, ვიძინებდი მეც.“

ომმა ააფორიაქა მთელი ცხოვრება, სოფლად შიმშილმა და სილატაკემ დაისადგურა. ბავშვები ხშირად შიმშილობდნენ და აი, გოგიტას მისი მეგობარი ბავშვი ტუხუია ეწვია სტუმრად. დამშეულმა ბავშვებმა დედის წილი კერძი და მჭადი ერთბაშად შექამეს. „როცა ბებია სუფრასთან ჩამოჯდა, ტუხუიამ ისევ გასინჯა შექამანდი და ორისამი ლუქმის მერე ჰადი აღარ აღმოჩნდა. ბებია სუფრასთან მოეწყო, მაგრამ კუჭის ტკივილმა შემოუტია, ჰამაზე უარი თქვა და თავისი წილი მჭადი ტუხუიას გადმოუღო: — ჰამე, ბებია, ღმერთი შეგარგებს! — ტუხუია ბებიას კუჭისტივილით დაინტერესდა, და მჭადზე უარის თქმა კი დაავიწყდა.“ მეზობლის დამშეულმა ბავშვმა — მას შემდეგ, რაც კუჭი გაიძლო, პერანგი სამკუთხედად ქონდა გამობურცული ცხელი ჰადის ნატეხით. შიმშილმა აიძულა მეზობლის ბავშვი ასე ქურდულად წაეღო გოგიტას სახლიდან ჰადის ნატეხი, ხოლო გოგიტას დედა და მისი ბებია შინ მშვირი დარჩნენ.

ომმა შესცვალა მდგომარეობა სკოლაშიაც. ახლაც ისევე კითხულობდნენ სიას, ისევე უპასუხებდნენ ბავშვები: „ვარ“. მაგრამ „ხმაზე ძნელი იყო გაგერჩია შარშანდელი ანსორი ან თორნიკე, რუსიკო ან ციალა. ბავშვებს ცელქობა და სიცილი გადაეჩიქვდათ თითქოს. „აი მასწავლებელმა ბოლომდე წაიკითხა სია, მერე ფურცელი დაეცა და სათვალეების მოხსნა დააპირა. ცალ ყურზე მოიხსნა, მერე ხელიდან გაუცდა და ცალზე სასაცილოდ ჩამოეკონწილა. „მეგონა ჭგუფში სიცილი ატყდებოდა, მაგრამ არავის წარბი არ გახსნია“. ასეთი დეტალებით ავტორი ნათელს ხდის როგორ წარმოება ბავშვებს სიცილქე ჩვეულებრივმა ომმა, როგორ გახადა ისინი პირქუში, მოღუშული და დარღინი. ამ სურათს ასე ამთავრებს ავტორი: „ასე მეგონაო, ნამდვილად დავიჯერე, რომ სხვა ახალ კლასში, სხვა კლასში კი არა, სხვა სკოლაში მოვხვდი“. ასე შეცვალა ომმა მთელი ვითარება სოფლად.

ომით გამოწვეული გარდატეხა სოფლის ცხოვრებაში და ამ ნიადაგზე ბავშვთა სულიერი სამყაროს დიდი სახეცვლელბადობა საშუალებას აძლევს მწერალს თანდათანობით მოამზადოს მკითხველი გოგიტასა და ფატის სახეცვლით არაბუნებრივი და სხვა შემთხვევაში და სხვა დროში, ავადმყოფური, ანუ განსაკიცხი საქციელის ტრაგიკული შედეგებისათვის, რაც უქმროდ დარჩენილი ფატისა და გოგიტას ფარულ სქესობრივ გრძნობებსა და საქციელს მოჰყვა. ადრე დაეცემა გოგიტა სქესობრივადაც ადრე ჩაება ცხოვრების ორომტრიალში და უნებლიე მონაწილე გახდა იმ ტრაგედისა, რომელიც ნაწარმოების ფინალში მძაფრი მუქი ფერებითა გამოხატული. მოთხრობაში გოგიტა დაეინებით იმეორებს — „ხომ გეუბნები, არაა ჩემი ბრალი“ — „არ ვიცი, არ ვიცი, მე ის ვიცი, რომ არაა ჩემი ბრალი“. ერთგვარი ახსნა იმ ფრაზაშიაც არის, სადაც ნათქვამია, რომ „ჩვენ რა ხანია ბავშვები აღარა ვართ, პატარები ცოდ-

ვები არიან“. დიახ, ნაადრევად წეროთგა ბავშვობის უფლება გოგიტას და ამ ნაადრევად წართმეულმა უფლებამ ის ისეთ შეცდომამდე მიიყვანა, რომლის კრილობა მის სულს მძიმედ დააჩნდა: „იმ დღიდან მტკიოდა და ვერავის ვუშხელდი, მეშინოდა და ვერავის ვეუბნებოდი“. გოგიტამ დაჰკარგა მამა, დაჰკარგა შეყვარებული თანატოლი გოგონა, ოჯახური ბედნიერება და მყუდროება ომმა დაუნგრია, ხელში მისცა გუთანი წიგნის მაგიერ, ხოლო რიკტაფელას ნაცვლად ხელში კულტივატორი შეაჩეჩა. ყოველივე ამან გამოიწვია დიდი დამბავა სულიერი ძალებისა, ის ცდუნებაც, რომლის გამო იგი მისდა უნებლიეთ მამა გახდა და ამ ნიადაგზე მკვლეელი ქალისა, უფრო სწორად მონაწილე მკვლელობისა: მამამთილმა ეზიკამ გოგიტას უკანონო შვილის დედა, თავისი რძალი, გოგიტას მიერ დატენილი თოფით განგმირა. ეს დიდი და მძიმე ტრაგედიაა, ტრაგედია, რომელიც ომის ვითარებამ წარმოშვა, ტრაგედია, რომელიც ომმა მოამზადა. და მაინც ომის, დიდი სამამულო ომის ცალმხრივად წარმოსახვა იქნებოდა, რომ ამ რომანს არ ჰქონდეს მეორე მხარე. მართალია, ომმა დიდი უბედურება მოიტანა, აურაცხელი მსხვერპლი გამოიწვია, მაგრამ ამავე სამამულო ომმა დაბადა გმირები და ვაჟკაცები, რომელთა სასწაულებრივმა თავდადებამ დაიცვა ჩვენი სამულო, ჩვენი დამოუკიდებლობა და თავისუფლება გერმანულ ფაშიზმისაგან. და ეს არის სამამულო ომის უპირველესი შედეგები. მარამ არ ვიქნებოდით მართალნი, რომ — „ვარსკვლავთცვენაში“ არ დაგვენახა გმირობისა და პატრიოტული თავდადების მაგალითები, რომელსაც ავტორი დიდი უშუალობითა და ბუნებრივობით ხატავს. ჯერ ერთი თვით გოგიტასა და მისი მეგობრების საქციელსა და მოქმედებაში ცოტა როდია ასეთი გმირობის მაგალითი და, რაც მთავარია, რომანის მთელი პათოსი პატრიოტიზმსა და გმირობაშია გამოხატული.

თვით რომანში არსად არის აღწერი-

ლი უშუალოდ ომის სურათები, საფრონტო ცხოვრება. მაგრამ საოფელი ისეა წარმოდგენილი, რომ იგი განუყოფელია ფრონტისაგან და ფრონტული ცხოვრებით ცხოვრობს. საოფელი წელში გამართულია და გამარჯვებული, როდესაც ჩვენი ჯარი წინ მიიწევს. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა იყო მაშინ, როდესაც ჩვენი ჯარი უკან იხევდა. აი, როგორ აღადგენს ამ სურათს ავტორი: „მანამდე ალყაში ყავდა ჩვენი საოფელი მტერს, ჩვენ ვერ მოვასწარით გახიზვნა, გვაფიქრობდა მტერი, გვაშიშვნილებდა და წელს გვწყვეტდა. მაგრამ საოფელი მაინც ჩვენი იყო, ჩვენ მაინც ცოცხალი ვიყავით. ჩვენ მაინც გაუტყუელი ციხესავით ვიყავით და ველოდით ზვალინდელ დღეს. იმ დღეს კი ციხის კარებთან ვერაგულად მოკლეს კოწია, შემოიჭრნენ საოფელში და მიწასთან გაასწორეს. იმ დღეს ცეცხლითა და მახვილით გადაუარა მტერმა ჩვენს საოფელს და ქვა ქვაზე აღარ დატოვა. ჩვენი გმირის ცხედარი ყორნებს მიუვდო საძიძვანად და მიწის დასაყრელადაც არ დაგვანება. იმ დღეს გამარჯვებას ზეიმობდა მტერი ჩვენს საოფელში“. შემდეგ ვითარება შეიცვალა, საოფელმა ისევ მოიკრიბა ძალა, ხალხი ისევ შეუდგა მუშაობას და ერთი კვირის წინ დამარცხებული საოფელი ისევ აღსდგა ფერფლიდან, ისევ სძლია მტერს და უიმედობას. ასე ცვლის ამ მოთხრობაში ომის ტრაგიკულ ინტონაციებსა და სურათებს ოპტიმისტური სურათები და მეზობრივი განწყობილება, შეუპოვარი შემართება და შექტევი სული ხალხისა. რომანის მთავარი მოქმედი პირები, აქ გამოხატული ხასიათები და აღმნიშვნები საერთო ატმოსფეროს გავლენით ცოცხლობენ და მოქმედებენ. ისინი ფიზიკურად და სულიერად არიან ჩართული დიდ სამამულო ომში თავისი დიდი მსხვერპლით, დიდი შრომითა, მიღწევებით და წარმატებებით. ეს შიდალი სულიერი განწყობილება არის ამ რომანის უმთავრესი პათოსი. ამ პათოსის ინტო-

ნაცია ოპტიმისტურია და უფროსად ოპტიმისტური.

რომანს, ჩვენი აზრით, განსაკუთრებული ნაყოფიანება აქვს. ჩვენი აზრით, მანამდე ვთქვით, რომ ნაწარმოების ფინალს აკლავს ბუნებრივობა და ლოგიკურობა. ავტორს შეეძლო თავი აერიდებია ქარბი ფერებისა და საღებავებისათვის, რომელსაც ავტორი მიმართავს გოგიტასა და ფატის ურთიერთობის გამოსახატავად. ქართულ ხასიათსა და ქართულ ბუნებას, მით უმეტეს, სოფლის ქალისა და ბავშვის ბუნებას თითქოს ეთიშება ის ფსიქოლოგიური სულსკვეთება რომელსაც მწერალი მეტად ტენდენციურად და განზვიადებულად წარმოგვიდგენს. რასაკვირველია, ავტორს ჰქონდა საიმისოდ მომზადებული ნიადაგი, რომ ფერები ეგერეიგად გაემუქებია და ტრაგიკული ინტონაციით წარემართა რომანის ფინალი, მაგრამ ეს მაინც ცალმხრივად გვეჩვენება.

სამამულო ომს შეეხება ნოდარ დუმბაძის რომანი „იმ ვხედავ მზეს“. თხზულების მთავარი მოქმედი გმირები სასკოლო ასაკის ბავშვები არიან. მათი წარმოდგენებითა და ფიქრებით, უფროს თაობასთან მათი ურთიერთობითა და დამოკიდებულებით გამოსახულია ომის სუსხიანი დღეები. ომი მძიმე განსაცდელად დაატყდა ხალხს. სოფლის ყველა ჯანსაღმა, ასაკოვანმა მშრომელმა ფრონტს მიაშურა, ზოლო სოფლად დარჩენილ ქალებს, ბავშვებს, ინვალიდებს დიდი სულიერი და ფიზიკური დაძაბვა უხდებოდა.

რომანის დასაწყისშივე, მის პირველსავე თავებში დიდი მგზნებარებით არის გაცოცხლებული სამამულო ომის მრისხანე დღეები. პატარა ბავშვი სოსოია მამალამდე პირველად მიხვდა, თუ რა არის ომი: „მივხვდი, რომ მოხდა რაღაც დიდი, საოცრად დიდი უბედურება. არასდროს არ მინახავს აშდენი ხალხი ერ-

თად დამუწავებული, გაფითრებული, შეშინებული, და უცებ შემეშინდა ისე, როგორც შეღალამეს სოფლის სასაფლაოზე მარტოდ გავლა. რომ არ მეყვირა, გერასიმე ბიძიას გვერდით ჩამოვუყეპი და მუხლზე ხელი დავადე. გერასიმემ გაკვირებული თვალებით შემომხედა, მერე თავზე ხელი დამისვა და მითხრა: — „წადი ახლა შინ, ნუ გეშინია, ბიძიკო!“ ამას მოსდევს რაიონული კლუბის ეზოში თავშეყრილი, საომრად მომზადებული სოფლის ადამიანების და მათი გამცილებლების საოცრად ერთმანეთში არეული საუბარი და მღელვარება. „ივინიან, მღერიან, ტირიან, ქვითინებენ, რალაცას თხოვენ და პირდებიან ერთმანეთს. მერე ეხვევიან, კოცნიან, აბარებენ, უბარებენ, არიგებენ, ემუქრებიან, ეალერსებიან, ისევ პირდებიან, ისევ კოცნიან ერთმანეთს“. ასე ქმის მწერალი მეტად მძაფრსა და მღელვარე ეპიზოდს. და მთელი ეს ნახატი ასეთი სურათით მთავრდება: „მანქანები ნელი გუგუნით დაიძრა.. ამ დღეს პირველად დავინახე ცრემლი ამდენი ადამიანის თვალზე, ამდენი მწუხარე, შეშინებული და გაფითრებული ადამიანი, ამ დღეს პირველად ვნახე ატირებული მამიდა. ეს დღე ვაედა უზარმაზარ ზღვის მოქცევას, რომელიც მოულოდნელად უკუიქცა და დაგვტოვა ნაპირზე, როგორც თევზები, ნიჟარები, ლოკოინები და ნაფოტები“. ომის მძაფრი დღეების ეს სურათი ძლიერ კვალს ტოვებს ჩვენს სულში. ომით გამოწვეული დიდ უბედურებასა და მსხვერპლს მწერალი წარმოგვიდგენს არა სენტიმენტური ცრემლის მომგვრელი სტრიქონებით, არამედ დიდი ოპტიმიზმით, გამარჯვების რწმენით და იმედით. მწერალს ამ რომანის ძირითადი აზრი ვადმოცემული აქვს კონდენსირებულად, ქართული კაცის ფიქრისა და განწყობილების გამომახატველ უფარესად ლირიკულ სურათში. „საით მიდიხარ, ჩემო სოფლის ბილიკო, რომ უერთდები შარას და მიყვები ამ სუფსის პირს დაღმა: საით მიგყავს ჩემი სოფელი, მე პირველად

გნახე შენ, ცოცხალი, მოძრავი, ორმოცდაერთში. მაშინ შენც წახვედი და სად წაიყვანე ზღვა მხალხისა და წაიყვანე ჩემი ხალხი, შარა გზაო, ომში? მერედა, სულ დაღმა ხომ არ მიდიხარ, დალოცვილო, სადღაც ხომ თავდები და ბრუნდები უკან. ჰოდა, დამიბრუნე ჩემი ხალხი, შარა გზაო, დამიბრუნე მეზობლები, ყველაფერი და მიბრუნე რაც წაიღე და რაც წამართვი. ვიცი, მეც წამიყვან შენ ერთ მშვენიერ დღეს, წამიყვან დაღმა, მაგრამ არა დასაკარგავში, მე ისევ დავბრუნდები, თვითონ დამაბრუნებ ადრე თუ გვიან. არ მინდა ჩემი ამბავი სხვამ მოიტანოს ამ შარაგზით. მე მინდა ჩემით დავბრუნდე და ვთქვა „ეს მე ვარ, ხალხო, მე მინდა ასე თქვას ყველამ, ყველა თავის ფეხით დაბრუნდეს, თუგინდ ყავარჩნებით; მაგრამ მაინც თავისით დაბრუნდეს და თქვას: ეს მე ვარ, ხალხო, ცუცას ქმარი, ვაჟიკო, ეს მე ვარ ლუჯიას კუჭური... გეყურება შენ, შარაგზაო? დამიბრუნე ყველა, ყველა, ვინც წამართვი ორმოცდაერთში“. ასე ოცნებობდა, ასე აღგზნებით მიმართავდა მწერალი სამშობლოსათვის თავდადებულ მეზობელ ადამიანთა სავალ გზას, ოცნებობდა და ფიქრობდა ომში წასული ადამიანების დაბრუნებაზე. და აი, მოვიდა ეს დღეც. მწერალი ისევ იგონებს ამ დღეებს: „კვლავ უკან ბრუნდებოდა ორმოცდა ერთ წელში ამ ცუდად მოკირწყლულ შარაგზით წასული ჩემი სოფელი. იგი ბრუნდებოდა ორდენებით მკერდდამშვენიებული, დაჭრილი, დაგლეჯილი, სისხლდაკარგული, მაგრამ მაინც ძვალმაგარი, ღონიერი და ძლიერი. იგი ბრუნდებოდა ევროპის უსასრულო შარაგზებიდან ჩექმადამტვერილი, თითო-თითო, გაფანტული, იმავე ბილიკით, რომლითაც წაიღინე ივლისის მცხუნვარე დღეს“, ამ სტრიქონებში მთელი სისრულით ვლერს ოპტიმიზმიც, პატრიოტიზმიც, ქართველი ხალხის უცვადავების იდეა, სამშობლოს დამცველთა, ომში წასული ჯარისკაცთა დიდი საქმის ოპტიმისტური სიმღერა. ეს მგზნებარე

სიმღერა მკაცრი სინამდვილის თვალხილული შეხედვით, მაგრამ შეხედვა და ხილვა ვაეკაცური, გაუტყეხელი სულით, რწმენით, ხალხის უკვდავებით შთაგონებული. სწორედ ამგვარი იდეები და აზრები განსაზღვრავენ რომანის პათოსს.

რომანი დაწერილია ჰუმორის ხალხური გრძნობით, სიხარულისა და მშით გამთბარი ჰუმორის გრძნობით. აქ დიდი ტყვილები და წუხილი, ისეთი სიმართლითა და ლოგიკით არის დახატული, რომ ოპტიმიზიმის სული დაპქრის ომისა და სიკვდილის ამ უსაზღვრო ველზე, ჯანსაღი, უაღრესად ნათელი ჰუმორი და კეთილი საწყისების ძებნა ადამიანში, მათ საქციელსა და მოქმედებაში განსაზღვრავს ამ რომანის მთავარ აზრს. ბოროტბაც კი ამ ნათელ საწყისს ემორჩილება და ამის მიხედვით თვით კაცის მკვლეელი და დეზერტირი, ბრიგადირი დათიკოც კი, არ გაიმეტა მწერალმა, თუმცა ის ხალხის რისხვასა და წყევლას, მათ განაჩენს პირისპირ დაუყენა და მთელი სისასტიკით ამხილა, დაუნდობლად გაკიცხა. მარტო წისქვილში დახატული სურათი რად ღირს! ბრიგადირმა დათიკომ წისქვილში საფეკვაო მიიტანა. მეწისქვილემ, კეთილმა კაცმა მოძალადე დათიკოს უარით უბასუბა, როდესაც ამ უკანასკნელმა ურიგოდ დაჟქვა მოსთხოვა. და, როდესაც ამან არ გასკრა, მაშინ წისქვილს წყალი გადაუგდო და ამ დეზერტირის წინაშე კედელივით აღიმართა. წისქვილში მყოფი სოფლის დედაკაცი ასე მიმართავს ამ თავზეხელაღებულ დეზერტირს, ხალხის მიერ განკიცხულს: „კაცი ქე მოკალი, სისხლი გადაიარე სინდისზე, აწი, ალბათ, დახედები ხალხს და მაგასაც იკადრებ, — უთხრა აკვირინე ბებია, — კაცი რომ იყო, აკვირინე, მაგ სიტყვებს ენასთან ერთად გადაგაყლაპებდი. — დათიკომ ისეთი ნაფაზი დაარტყა სიგარას, ბოლომდე ჩაიყვანა. — კაცი რომ ვიყო, ფეხქვეშ გაგიგდებდი და იმდენს გირტყამდი, გობით სარაქავ სისხლს შეგიყენებდი, შე უგვანო

და ზედაგო, შენ, — თქვა აკვირინე ბებია და ცეცხლში ჩააფურთხა“ აქვე მოვიგონოთ სოსოიას სიტყვები: „საქმელის სათხოვნელად მოსულ დეზერტირს, დათიკოს სოსოია ასე მიმართავს: „შენი საქმელი კი არა, ძალდი შიმშილით მიკვდებაო“.

აკვირინესა და სოსოიას ეს სიტყვები ხალხის განაჩენია ამ თავგზაარეული დამნაშავეის მიმართ. და მწერალმა ეს სახალხო განაჩენი აქმარა მას. აქ მთელი სისრულით გამოჩნდა მწერლის მაღალი ჰუმანიზმი, რწმენა, რომ ამგვარ ადამიანებშიაც, ჩვენს მიწაწყალზე დაბადებულ და აღზრდილ ამ ბოროტი სულის ადამიანებშიაც, მაინც კეთილმა საწყისმა უნდა გაიმარჯვოს, და აი, რომანის ფინალში, როდესაც ხატია აღიდებულ სუფსის წყალს მიჰქონდა, ეს თავზე ხელაღებული დეზერტირი, მდინარის ბობოქარ ტალღებს შეებრძოლა და ეს სულიერად, ულამაზესი ქალი, სიბრძნისა და სიკეთის განსაზიერება, იხსნა. ეს უთუოდ ამსუბუქებს დათიკოს მდგომარეობას. და მაინც დათიკოს ხასიათი არ არის ბოლომდის ლოგიკური; საქმე იმას შეეხება, რომ ომის დროს დეზერტირობა სამშობლოს ღალატს ნიშნავდა, ხოლო სამშობლოს მოღალატის მიმართ შეურიგებელი იყო ჩვენი ხალხი. მებრძოლი, შეურიგებელი დამოკიდებულება ომის დეზერტირის მიმართ არ არის გამომკლავნებული მწერლის მიერ როცა იგი დათიკოს ხასიათს ხატავს. ეს უთუოდ რომანის ნაკლია.

ნაწარმოების მთავარი გმირები არიან ბუნების მართალი შვილები: მოსიყვარულე, გამრჯე და პატიოსანი, ერთგული მეგობარი და ამხანაგი, ლირიკული გმირი სოსოია და მისი განუყრელი მეგობარი ხატია. მწერალმა მათ ბავშვურ საქციელსა, მათ ნაადრევად დაკაცებულ ფიქრებსა და განწყობილებაში, მათ ზრუნვასა და ურთიერთობაში შესანიშნავად გამოკვეთა კეთილშობილი ქართველი კაცის ხასიათი და ბუნება.

ასევე კეთილი ადამიანები არიან ქეთო მამიდა, სამხედრო საგნის მასწავლებელი, სოსოიას მეგობარი რუსი ანატოლი და ის გლეხები, რომლებიც, სიმართლის, პირუთვნელობის, სიბრძნის მაღალი გრძნობებით აღჭურვა მწერალმა. მართო ის სურათი რად ღირს, როდესაც ომში წასული ტყუილი შვილის დედ-მამა სიმინდის საქმენელად წასულ სოსოიასა და ხატიას შეახვედრა, ამ ბავშვებს რაღაც ძველმანი ნივთების საფასურად სიმინდი მისცა, ხოლო მეორე დღეს გლეხმა ბაბილომ ეს ნივთები ბავშვებს უკანვე დაუბრუნა და სიმინდი უსასყიდლოდ გაატანა. რამდენი სიმართლე და სიკეთეა ამ სურათში!

ეს ორი რომანი ერთ სინამდვილეს გამოხატავს, სამამულო ომის სურათს. სამამულო ომზე ცოტა როდი დაწერილა. ამ თემაზე იწერებოდა თვით სამამულო ომის პერიოდში. ეს იყო ომის დროს უკვე ცნობილი მწერლების ნაწარმოებები. მოვიგონოთ ლეო ქიაჩელის „მთის კაცი“, კონსტანტინე გამსახურდიას „ვაზის ყვავილობა“, დემნა შენგელიას „წითელი ყაყაჩო“, კონსტანტინე ლორთქიფანიძის „როგორ მოკვდა მოხუცი მებაღური“. მიხეილ მრეველიშვილის „ხარატანთ კერა“ და სხვა. შემდეგ ჩვენ წავიკითხეთ ნაწარმოებები ამ თემაზე ომიდან დაბრუნებული, ომგადახდილი ჯარისკაცებისა: რევაზ ჭაფარიძის „ჯარისკაცის ქვრივი“, ვიორგი ჭავთარაძის „ჯარისკაცის ჩანაწერები“, და სხვ. ხოლო ოტია იოსელიანი და ნოდარ დუმბაძე ომის წლებში პატარა ბავშვები იყვნენ და მათ სწორედ ბავშვობის თვლით დანახული ომის სურათები დახატეს და საღდაც თავიანთი სულიერი სამყარო, ომის წლების თავიანთი ბავშვობის სამყარო გაგვაცნეს. დიდი უშუალობა და ბუნებრივობაც აქედან მომდინარეობს. ორივე რომანი სოფელს ასახავს. ერთი „ვარსკვლავთცენა“, იმერეთის სოფელს, ხოლო მეორე — „მე ვხედავ მზეს“ გურიის სოფელს. ორივე რომანის გმირები სასკოლო ასაკის

ბავშვები არიან. ერთი რომანის გმირი გოგიტა რიკტაფელას თამაშით ერთობოდა. ომმა კი რიკტაფელას მაგიერად ხელში სახსნის შეაჩერა მას. მეორე — სოსოია, კახამბალზე შემჯდარი დედალი ჩხართვის გალობით ტკბებოდა, ომმა კი მასაც ეს ბავშვური იდილია მოუშალა და ამის ნაცვლად თოხი და ბარი მისცა ხელში. ორივე ისინი ომმა ნაადრევად ჩააბა ცხოვრების მძიმე ფერხულში, გაალიზიანა, ბავშვური ხალისი წაართვა, ნაადრევად მოამზადა დიდი კაცების საქმისა და სულიერ განწყობილებისათვის. ეს ნაადრევად დაკაცებული ბავშვები არიან ამ რომანის გმირები. სოსოიას ისე ეკითხებოდა ჰკუყსა და კაცივით ეტყევიან, როგორც გოგიტას. მთავი მოაქვთ იმით, რომ ისინი დიდკაცებში გარიეს. აქ ეს ყმაწვილები ერთმანეთს გვანან საქციელით და მოქმედებით, მაგრამ ფინალში საგნებით განსხვავებული ბუნებით გვევლინებიან. გულგატეხილი გოგიტა უფრო დრამატულიად აფასებს და უყურებს მოვლენებს. სოსოია კი გაუტეხელი იმედით შეპყრებს ყველაფერს იმას, რაც მის გარშემო ხდება. მას ისიც ჯერა, რომ მის მეგობარს ბრმა ხატიას თვალები აეხილება.

ორივე რომანში სხვა მოქმედი გმირები და ხასიათები უფრო გვანან ერთმანეთს. მოვიგონოთ ერთი მხრივ ფატი („ვარსკვლავთცენა“), მეორე მხრივ ცუცა („მე ვხედავ მზეს“). ორივე ეს ნაადრევად დაქვრივებული ქალი სრულიად ახალგაზრდები, ამასთან შეშინებულნი, ვაჟების მიმართ ერთნაირი განწყობილებებითა და დამოკიდებულებებით გვევლინებიან. ეს შიშის გრძნობა აკავშირებს ფატის გოგიტასთან, ცუცას სოსოიასთან. მაგრამ ფინალში სხვადასხვაგვარია მათი დამოკიდებულება ვაჟებთან, გოგიტა უნებლიეთ ხდება მიზეზი ფატის გაუბედურებისა, ხოლო სოსოია თავიდან აიცილენს ცუცასთან დამოკიდებულებით მოსალოდნელ ხიფათს. ასევე გვანან ერთმანეთს კეთილი ფოსტალიონები —

მათე („ვარსკვლავთცვენა“) და კოწია („მე ვხედავ მზეს“). არის მსგავსება გოგონასა და გოგიტას და მეორე მხრივ სოსოიას და ხატიას დამოკიდებულება-შიც. გოგონა ცხოვრებიდან აღებული გულუბრყვილო, გულკეთილი სოფ-ლეული ახალგაზრდაა, რომელსაც უზო-მოდ უყვარს გოგიტა და სურს მუდამ მის გვერდით იყოს („მოდო მე წამოგ-ყვები შენსას, — მერე შენ მარტო წა-მოხვალ? — არა, შენ წამომყვები, — მერე? — მერე მე წამოგყვები“).

ხატია ბრმა გოგონაა, მაგრამ დიდი სიკეთის, დიდი სინათლის და სითბოს ბუნებრივი მატარებელი. სოსოიას უსა-ზღვროდ უყვარს ეს კეთილი გოგონა. ასევე უყვარს იგი ხატიას და სურთ მუდამ ერთად ყოფნა. ერთად არიან კიდევ თუნდაც იმიტომ, რომ ხატია ბრმაა და სოსოია მისთვის აუცილებე-ლია როგორც თანამგზავრი. ეს მსგავსი ებიზოდები, გმირთა ეს გარეგნული მსგავსებანი და შორეული შეხვედრები მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ თვით სოფ-ლის ცხოვრება, თვით ის სულიერი მდგომარეობა, რომელიც სამამულო ომის წლებში შეიქმნა, ქმნიდა იმ საერ-თო ნიადაგს, რომელზედაც წარმოიშ-ვენ ეს საერთო სულიერი განწყობილე-ბანი და შეხედულებანი.

ნ. დუმბაძის რომანში „მე ვხედავ მზეს“ მოქმედ პირებად გამოყვანი-ლი არიან კუუაშეშლილი ბეჟანი და ბრ-მა ხატია. ორივე თითქმის მთავარი მოქმედი პირია ორივე ბუნებისაგან დაჩაგრული ადამიანია ეს გარემოება თითქოს მათ ართმევს უფლებას მოწი-ნავე დადებითი გმირები იყვნენ, მაგ-რამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით. ხოლო თუ ღრმად დავაკვირდებით აღმოჩნდება, რომ ბეჟანა და ხატია უადრესად კეთილი ადამიანები არიან, სპეტაკი სულის თავის მოქმედებით კაც-თმოყვარე ადამიანებია. ხოლო თუ ისი-ნი ბუნებისაგან დაჩაგრულები არიან — ერთი ბრმაა მეორე თითქოს შეშლილი, ეს გარემოება არ ეწინააღმდეგება რე-

ალურ სინამდვილეს. ჯერ ერთი ბეჟანზე ვერ ვიტყვით გადაჭრით, ურწმუნოდ გე-ქია, თავისი მხიარული სამართაობა-ლი საქციელით იგი ჰუმანური ბუნების ადამიანია ამიტომ ათქმევიანებს ავტორი მას „გადარეული კი ვარ, მაგრამ სულე-ლი არა ვარო“. მართლაც, ბეჟანი, გუ-რიაში გავრცელებული თქმის არ იყოს ქუუამხიარულ კაცს უფრო განასახიე-რებს. ვიდრე გიყს ასევე ხატიას მაღალ-ადამიანობას არ უშლის ის ფაქტი, რომ იგი ბრმაა. მკითხველი მზადაა მას მიუზ-ლოს სამაგიერო სიყვარული იმ სიკეთი-სათვის, რომლითაც იგი მწერალმა აღ-ჭურვა. ჩვენის აზრით. ხატია და ბეჟანა ისევე დადებითი გმირები არიან, რო-გორც ლეო ქიაჩელის მუნჯი ბაჩუა („ტარიელ გოლუა“) და მიხ. ჭავჭავაძის ბრმა თინა („ყუბანამ დაიგვიანა“).

ოტია იოსელიანის „ვარსკვლავთცვე-ნა“ საესეა დრამატიზმით, დამძიმებულია მუქი ფერებით და სევდიანი სიტუაცი-ებით. ეს სიტუაციები ყოველთვის შე-ფარდებულია რეალური შეგარმობით აღქმულ სულიერ მდგომარეობასთან ომის დროს სოფელს შიშშილი აწუხებ-და, შიოდა ტუხუიას ოჯახსაც და ასეთ ვითარებაში ტუხუიას საყვარელმა ძალ-ღმა თოლიამ ქადის ნატეხი მოსტაცა: „ტუხუიამ ისეთი ძალით მოუქნია წალდი, რომ ძაღლის თავის ქალა ყვე-ლივით გასჭრა. ამ დროს ჩვენც მოვირ-ბინეთ, მაგრამ ორად თავგაჭირილი თო-ლია ცალცალკე ხუჭავდა თვალს, თით-ქოს ნახევარ-ნახევარი თავი ცალცალკე კვდებოდა და ორივეს მაინც ქადის ნა-ტეხზე რჩებოდა სული“.

ო. იოსელიანისაგან განსხვავებით, ნოდარ დუმბაძეს ყოველი მძიმე სურა-თი შეხვედრული აქვს მსუბუქი იუმო-რით და ნახატიც ამის მიხედვით ნათე-ლი ფერებისაგან შესდგება. მოვიგო-ნოთ ის ადგილი, როდესაც დეზერტირი დათიკო ბეჟანას ჰკლავს:

„ბეჟანა — ვიყვირე, — არ მოკვდე, ბეჟანა!

— მაცალე, სოსოია, სიკვდილი!

— მე მოგალი, ბეჯანა მე რომ არ გამეხელებია, არაფერს არ იზამდა.

— შენ რისი მომკვლელი ხარ, ბიჭო! შენხელა პიმპილს ვაჰმევე ლობიო-ხეი“

ასე ხუმრობს სიკვდილის წუთებში ღუმბაძის გმირი. საზოგადოდ ღუმბაძისათვის დამახასიათებელია ცრემლის მომგვრელი სიტუაციების ასეთი შეზავება მსიარული ჰუმორით. ხალასი, ნათელი ფერებია მოშველებული მაშინაც, როდესაც მწერალი მწვავე დრამატულ ეპიზოდებს გადმოგვცემს ავტორს სევდიან სიტუაციებში სიცილის ელემენტები შეაქვს, რომ ამით ნახატს სინათლე მოფინოს. სიცილის ნაკადად მოედინება ეს ხალხური შეხუმრებით გამდიდრებული ეპიზოდები და ჩვენ თავს ვერ ვიკავებთ ხმაშალაი სიცილისა და ხარხარისაგან. მოვიგონოთ თავები: „ტრიუმფალური შეტევა“, „სამხედრო გაყვეთილი“, „რას გვეკითხება ამოცანა“ და სხვ.

ჩვენ უკვე ვთქვით, რომ ახალგაზრდა პროზაიკოსს—ნ. ღუმბაძეს დიდი ოსტობით აქვს გამოყენებული ხალხური ოხუნჯობა, ხალხის წიაღში მიმოფანტული სიბრძნე, მაგრამ ამ მხრივ ის ყოველთვის როდი იცავს ზომიერებას. ბევრგან გვხვდება უბილო ხუმრობანი, იაფფასიანი ანექდოტები. და ეს ჩავარდნილი ადგილები უთუოდ ვნებს საერთოდ სუფთად დაწერილ ამ თხზულების ლიტერატურულ ღირსებას. ურიგოდ უღერს მიმართვისათვის წარამარა ხმარებულ: „თქვე ჯიბვირებო“, „თქვე მტრუკებო“, „შე ტვინგაწყალეზულო“ და მისთანანი.

ზოგიერთი ცალკეული ეპიზოდები არ არის ამ მხრივ მთლად დამუშავებული. ჩვენი აზრით, ოტია იოსელიანსა და ნოდარ ღუმბაძეს მეტისმეტად იოლად შემოაქვთ კუთხური სიტყვები და გამოთქმები. მართალია, მწერალი უნდა ამდიდრებდეს სალიტერატურო ენას კუთხური მეტყველების წიაღში ნაპოვნი სიტყვებით, მაგრამ ამ მხრივ დიდი სიფრთხილეა საჭირო. ცხადია, ისეთი კუთხუ-

რი სიტყვების შემოტანა, რომლებიც ანაგვიანებს ქართულ ენას, დასაგმობი და უუსაგდები. ამ რომანებში უხეშად გვხვდება ქვემო იმეტულიდან უხეშად გურული დიალექტიდან აღებული ისეთი სიტყვები, როგორც არის, მაგალითად; „მასაფი“, „დაჩენჩერობ“, „კასკაცებენ“ და მისთანანი, (რომლებიც ქართულ ენობრივ ქსოვილში ცუდად ეღერენ, გაუგებარი და არაკეთილსმოვანია).

როგორც არ უნდა იყოს ეს ცალკეული ნაკლოვანებანი ოტია იოსელიანისა და ნოდარ ღუმბაძის რომანებისა, ისინი, როგორც პირველი რომანები ახალგაზრდა პროზაიკოსებისა, უთუოდ საგულისხმო მოვლენაა ჩვენს მწერლობაში. ისიც ითქვა რომ ამ ორი რომანის ზოგიერთი დეტალი, ზოგიერთი პასაჟი, ზოგიერთი კომპოზიციური ხერხი სადღაც ენათესავება ერთმანეთს. მაგრამ თუ ღრმად დავეკვირდებით ამ ორ ნაწარმოებს, აღმოვაჩინებთ, რომ ოტია იოსელიანი და ნოდარ ღუმბაძე, სხვადასხვა მანერის, სხვადასხვა ხელწერის მწერლები არიან, პირველისათვის დამახასიათებელია მკვეთრი ხასიათები, შემართებითი, ჩახმახზე შეყენებული ხასიათები. ეს ადამიანები ერთბაშად აფეთქდებიან ხოლმე და ხშირად საბედისწერო ნაბიჯს დგამენ ცხოვრებაში. ასე მოიქცა, მაგალითად, რძალის მიმართ ეზიკა. ნ. ღუმბაძეს კი უფრო მშვიდი ტონით მიჰყავს თხრობა. ამბავი და ხასიათებიც აქ უფრო მშვიდია. მძაფრ კონფლიქტებს ის თითქოს გაურბის, ყოველი შეჯახება აქ მშვიდობით მთავრდება, ბოროტზე ყოველთვის კეთილი იმარჯვებს. ხასიათის ამგვარი განლაგება მწერალს საშუალებას აძლევს ადამიანში იპოვოს კეთილი საწყისი და განაზოგადოს ის. ამ მხრივ უაღრესი ბოროტების განმსახიერებელი დათიკო ბრიგადირიც კი სიკვითთ ამთავრებს თავის ცხოვრებას. ღუმბაძის გმირები სახეგაბადრული, პირმომცინარი, ხალხისანი ადამიანები არიან. მათ იციან დაღონება, სევ-

და, წუხილიც. ისინი მაშინაც, როდესაც წუხან და თვალთავან ცრემლი სდით, სიცოცხლეს შესტრფიან და ხალისიანი განწყობილება შეაქვთ ყოველ ძნელსა და რთულ ვითარებაში.

ოტია იოსელიანის გმირები უფრო დაღვრემილი და დაფიქრებული არიან, ამავე დროს აღგზნებულები, შემართულები. ისინი მუდამ მზად არიან ეკვეთონ მოწინააღმდეგეს, არაფერი დაუთმონ მას, მოთმინება არ ყოფნით მათ, ფიცხი და დაუცხრომელი ხასიათის არიან.

ფერებისა და საღებავების განაწილების, ხასიათების დასახატავად მათი გამოყენების მხრივ ისინი სულ სხვადასხვა სტილის მწერლები არიან, თუმცა ამ განსხვავებული ხერხებითა და მანერით ისინი ერთ მიზანს ემსახურებიან, ერთ ლიტერატურულ პრინციპს მისდევენ. თვითმყოფადი და ორიგინალურია ორთავეს სტილი.

ორი მწერლის შედარება ყოველთვის საბიფათოა, მით უმეტეს, ახალგაზრდა მწერლებისა, რომლებიც, ეს-ეს არის, იწყებენ თავიანთ დამოუკიდებელ ლიტერატურულ ცხოვრებას. მაგრამ ამ შემთხვევაში შედარებას იმი-

ტომ მივმართეთ, რომ უფრო ნათლად წარმოგვედგინა, თუ რა ფართო შესაძლებლობას იძლევა ერთდროვნეული ერთი მხატვრული პრინციპი წერის სხვადასხვა მანერისთვის, სხვადასხვა სტილისთვის. და ეს განსხვავებაც აღვნიშნეთ არა იმისათვის, რომ გვეოქვა, თუ რომელი რომელს სჯობია. არა! თავისთავად არ არსებობს ცუდი და კარგი მხატვრული სტილი. ყოველ მწერალს თუ ის ჭეშმარიტი მწერალია აქვს თავისი დამოუკიდებელი ხელწერა. და ამ დამოუკიდებლობაში არის მისი მხატვრული ძალაც. და ვინც ამგვარ დამოუკიდებელ სამყაროს, მხატვრული ფერებისა და საღებავების სამყაროს ვერ მიაგნებს, ის ვერც დაიმკვიდრებს დამოუკიდებელ ადგილს მწერლობაში. ნოდარ დუმბაძისა და ოტია იოსელიანის ღირსებად ის მიგვაჩნია, რომ მათ თავიანთი ინტონაცია აქვთ, თავიანთი სტილი გააჩნიათ. და ეს დამოუკიდებელი მანერა სავსებით და მთლიანად ეფუძნება ჩვენი კლასიკური მწერლობის დიდ ტრადიციას, წინ წევს, ავითარებს და ახალი ფერებითა და დიდებით მოსავეს ჩვენს მრავალსაუკუნოვან დიდებულ ლიტერატურას.

შალვა კაპიანი

საბჭოთა ლიტერატურის მნიშვნელოვანი ქანრი

საბჭოთა ლიტერატურის მთავარი თემა — თანამედროვეობაა. ამასთან მის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ეანრს წარმოადგენს ისტორიული რომანი, რომელშიც მხატვრულ ასახვას პოელობს წარსული ეპოქების საინტერესო და საველისხმო მოვლენები და ადამიანები. ისტორიულ რომანს დიდი შემეცნებითი და აღმზრდელი მნიშვნელობა აქვს. ამიტომ თხრობა წარსულზე ერთგვარად მონაწილეობს თანამედროვე პრობლემების გააფხვეტაში.

ისტორიულ ქანრში სოციალისტური რვალიზმის შეთოდის მომარტვება ნიშნავს წარსულის ჩვენებას მთელი თავის სიმართლით და კონკრეტული ობიექტური არსით. საბჭოთა ისტორიული რომანის მთავარი მიზანია გაიაზროს ისტორიული პროცესის კანონზომიერება, ფაქტების ურთიერთკავშირი და მათი განვითარების ტენდენციები.

ისტორიულ ქანრში, როგორც საბჭოთა ლიტერატურის შემადგენელ ორგანულ ნაწილში, შეიქმნა ისეთი ლიტერატურული ნაწარმოებები, რომლებიც დამახატრებულად სარგებლობენ პოპულარობით ფართო მკითხველ საზოგადოებაში. ზოგი მათგანი სხვა ხალხთა ენებზედაც გადათარგმნა და ყველგან ერთსელოვანი მოწონება ხედაწილად. ეს ბუნებრივია. ისტორიული წარსულის მართებული და მხატვრული ასახვა ყოველთვის იმსახტრებს ჩვენი მკითხველის სიყვარულს. რადგან იგი წარმოგვისახავს ხალხის წარსულ ცხოვრებას, თანამედროვეთა შორის აღკვეებს კეთილშობილურ პატრიოტულ შეგებას.

ქართული საბჭოთა ისტორიული რომანი ნოვატორული მოვლენაა მდიდარი და მრავალსაუკუნოვანი ქართული ლიტერატურის ისტორიაში, იგი გვაძლევს საშუალებას ზოგადი დასკვნებისათვის, თეორიული განზოგადებისათვის, ისტორიული პროცესის ძირითადი კანონზომიერების გააზრებისათვის.

ტერმინი: „ისტორიული რომანის“ გაგებაში არ არის ერთნაირი შეხედულება. ზოგი მკვლევარი და კრატკოსი ფიქრობს, რომ ისტორიული რომანის განმსაზღვრელი ნიშანია ნამდვილად მომხდარი ფაქტები და შემთხვევები, რეალურად არსებული პირები; სხვებიც ფიქრობენ, რომ ამ ქანრის განმსაზღვრელია არა მოვლენებისა და პერსონაჟების ისტორიულობა,

არამედ წარსულ ამბებთან მწერლის დამოკიდებულება. ნაწარმოებში შეიძლება არ იყოს დოკუმენტურად ფიქსირებული მოვლენები და პერსონაჟები, მაგრამ მას მაინც ეწეოდნო ისტორიული რომანი. ამ შემთხვევაში საკმარისია მასში ასახული იყოს წარსული ეპოქის სული, საზოგადოებრივი ცხოვრების კანონზომიერება და იმ ეპოქისათვის დამახასიათებელი ზოგად ადამიანთა სახეები. ის გარემოება, რომ ამ სახის ნაწარმოები გვიხატავს უმთავრესად წარსულის სოციალურ-ყოფით ურთიერთობას, რაც უკვე დიდი ხანია გახდა ისტორია, გვაქვს უფლება იმეორებოთ ისტორიულ ქანრს; მხატვრულად მოთხრობილი ბიოგრაფია მიძღვნილი ისტორიული მოვლენის ცხოვრებისადმი, შედის აგრეთვე ისტორიულ ქანრში; ზოგიც ფიქრობს, რომანის ისტორიულობის განსაზღვრისათვის საკმარისია მასში მოთხრობილი ამბავი ერთგვარად დამორტებული იყოს თანამედროვეობისაგან.

წარსული ცხოვრების მხატვრული გაოცლება და „ხელშესახებად“ მისი მკითხველთან მიახლოება უაღრესად რთული საქმეა. ისტორიული რომანის ამოცანაა მხატვრულ სახეებში გვიჩვენოს წარსული ცხოვრების რეალურ-ისტორიული მოვლენები და ადამიანები. ქვეშარბტი ისტორიული რომანი — ეს არის ეპოქა ხალხის ცხოვრების შესახებ; არაა სავალდებულო, რომ ისტორიული რომანის ავტორი ყველაფერში ზუსტად დაემორჩილოს ისტორიულ დოკუმენტებს, მაგრამ რანაირი თვისებულად უნდა ჰქონდეს მინიჭებული მწერლის ფანტაზია, მისთვის მაინც სავალდებულოა მართებული დამოკიდებულება ისტორიული სინამდვილისადმი. ამ სპეციფიკური ფორმის ნაწარმოებში ისტორიული ფაქტები ორგანულად უნდა იყოს დაკავშირებული ისტორიულ ხასიათებთან. ეს ნიშნავს, რომ მასში ისტორიული და მხატვრული ქვეშარბტება სრულ მთლიანობაში უნდა იყოს მოცემული.

ცნობილია, რომ ჩვენს კლასიკოსებს ჰქონდათ თავიანთ ეპოქასთან შეფარდებით მოწინავე ისტორიული კონცეფცია, რაც გვიღისხმობდა ხალხის როლის პირველ პლანზე წამოწევას. ილია ჭავჭავაძის ისტორიულ-სოციოლოგიური თვალსაზრისით ხალხი არის მხატვრული დიდი შემო-

ქმედებითი საწყისებისა, ხალხი ქმნის ყველა მატერიალურ და სულიერ ღირებულებას. ილია ჭავჭავაძისათვის ისტორია შეადგენს ხალხის ცხოვრების კანონზომიერია განვითარების პროცესს. ამ თვალსაზრისით იგი დაუპირისპირდა იმით, რომლებიც ისტორიას განიხილავდნენ, როგორც მარტოოდენ მეფეთა მოღვაწეობის მატრიანეს, როგორც გარეგანი ფაქტებისა და შემთხვევების ისტორიას. ქვეშაირი ისტორია — ხალხის ისტორიაა. საეგელისებოა ი. ჭავჭავაძის პირადი წერილი დრამატურად დაეთიერისათვის აღწი. „სამშობლოს“ ავტორს იგი წერს: „ამ აპრილიდან“ ტყავი გამართო, ისტორიულ ნაწილზე შევდგე და ერთი ბიჭი წინ ველარ წავდგი. არ ვიცი, რა ვქნა? ვამბობ ამ „აპრილის“ თავი დავინებო-მეთქი. ეს ოცობა ჩვენი ისტორია... მარტო ომებისა და შედეგების ისტორიაა, ერთი არსად ჩანს, მე კი ისეთი აგებულების ადამიანი ვარ, რომ მეფეებისა და ომების სახე არ მიზიდავს ზოლმე. საქმე ხალხია და ხალხი კი ჩვენს ისტორიაში არა ჩანს“. იმავე მოსაზრებას გამოთქვამს ი. ჭავჭავაძე თავის ერთ პუბლიცისტურ სტატიოში: „ჩვენის ხალხისა და ქვეყნის ისტორია მეტად ბნელია და შეუძუმჯობესებელი. ჩვენს ისტორიაში ან სულ არ არის ფაქტები, ჩვენის ხალხის ცხოვრების შესახებ და თუ არის კანტონურებად სადმე, რომელშიაც ერთობ ხალხი იღებს თავსა თავის თვისებასა, თავის მონაწილეობას ისტორიაში, ერთის სიტყვით, ჩვენის შიდა ცხოვრების ისტორია ჯერ ფარდაუხდელია და უცნობია ჩვენგან. ჩვენი „ქართლის ცხოვრება“ ხალხის ისტორია კი არ არის, მეფეთა ისტორიაა, და ხალხი კი როგორც მოქმედი პირი ისტორიაში, ჩრდილშია მიყენებული. თითქოს ხალხის ისტორიის შესაძლებელად ხაჭაია ეცემა იცოდეს მარტო მეფეთა ისტორია“. აქ არის გამოთქმული პროგრამა იმ ქუჩა-ნაზმისა და დემოკრატიზმისა, რომლითაც გამსჭვალულია ი. ჭავჭავაძის მთელი შემოქმედება, მისი ისტორიული თვალთახედვა.

ისტორიული რომანების ავტორმა არა მარტო უნდა აღნიშნოს ისტორიული ფაქტები, არამედ უნდა შეიმეცნოს ისინი განვითარების პროცესში, მოცემული ემპირიული ფაქტების იქით დაინახოს ეპოქის მოვლენებსა და აღმანიებს შორის, მოგვეცეს ისტორიული პერსპექტივა, მოვლენათა ცენტრში დააყენოს ხალხი.

საბჭოთა ლიტერატურა თავის ამოცანად ისახავს გვიანების ხალხი, როგორც ისტორიის შემოქმედელს. საბჭოთა ლიტერატურის საუკეთესო ნაწარმოებებში ხალხი წარმოსახულია არა როგორც „უსახო მასა“, არამედ როგორც ცოცხალი და რთული სამყარო რეალური, თავისებური ადამიანებისა. საბჭოთა მწერლები ხალხში ზედავენ ისტორიული პროგრესის მამოძრავებელ ძალას.

საბჭოთა მწერალმა გამოჩენილი ისტორიული მოღვაწის სახე შეიძლება სწორად, ობიექტურად

გახსნას მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი მართლმართლად გვიჩვენებს ხალხის როლს. საბჭოთა ისტორიულ რომანში წარსულის მოღვაწეთა სახეები წარმოდგენილია მათი ცხოვრების მოკლე საეგელურად შევებით. რამდენადაც ღიბა მწერლის მიერ ნაჩვენები ისტორიული მოღვაწე, მით უფრო ფართო და მრავალფეროვანი მისი კავშირის ისტორიულ სინამდვილესთან.

უდავო ქვეშაირებია, რომ მწერლის მიერ ისტორიული ფაქტების გათვალისწინება, მათ საფუძვლად შექმნილი მხატვრული სახეები განისხარტება იმ პოზიციით, რომელიც შემოქმედს უჭირავს თანადროულ სოციალურ ურთიერთობაში, ისტორიის კანონზომიერებას იგი შეიცნობს თანადროულობაში აღებული ობიექტის მუშეობით.

სრულიად ბუნებრივია, რომ ისტორიულ თემებზე მომეშვე მწერლები ღიდ ყურადღებას აქცევენ ენას. ისტორიულ თემზე დაწერილ მხატვრულ ნაწარმოებების ენაში გამოიყვანება ორი ტენდენცია: ერთი — როდესაც მწერლები ემყარებიან ცოცხალ, ხალხურ მხატვრულ სიტყვას და მეორე — როდესაც მწერლები მიმართავენ ენას გააბჭოვლებას, სტილიზაციას. არაა გამართლებული ეპოქის სიტყვიერი კოლორიტის აღდგენის მისწრაფება საგანგებოდ შერჩეული ლექსით და მოძველებული სინტაქსური ფორმების ხმარებით. თვდაპირველად ეს იყო კომოლენა ნატურალისტური ტენდენციისა ლიტერატურაში, ხოლო შემდეგ ვახდა სივანე ფორმალისტური ექსპერიმენტისა. კლასიკურ ისტორიულ რომანისათვის არასოდეს არ იყო დამახასიათებელი ენობრივი ნატურალიზმი ან არქაიზმი. ა. მწერთელი „ბაში-აჩუკის“ ენაში აწლვა სრულ შეგარტებას ეპოქის თავისებურებისა და ამავე დროს იგი დღემდე ინარჩუნება სისადავეს, სინათლეს, ხალხურობას, მხატვრულ ძალას. ქართულ საბჭოთა ისტორიულ რომანში გაგრძელებულია სწორედ ეს საუკეთესო ტრადიცია. კლასიკურ ისტორიულ რომანს არ ახასიათებს ენობრივი ნატურალიზმი ან არქაილობა. მხატვრულად არ არის გამართლებული ისტორიულ რომანში არქაული სიტყვებისა და მოძველებული გრამატიკული ფორმების ხმარება შეტანა. ისტორიული მხატვრული ნაწარმოებები ენა სტილი არ უნდა იყოს დამომეხობი ძველი სიტყვებით და გამოქმემობით. ყოველივე ეს არ უნდა ექმნიდეს შიკთხველს ღიდ სიძნელებებს ისტორიული რომანის გაგებისა და ათვისების საქმეში.

ქართულ საბჭოთა მწერლებს ისტორიულ ფარული დახვით ტრადიციები, რომელთაც ხანგრძლივი, მრავალსაუკუნოვანი წარსული აქვთ. ისტორიულ-ბიოგრაფიული ენარის ჩანასახები ქართულ ლიტერატურაში გვაქვს უძველესი დროიდან. ქართული ხალხის შორეული წარსულის მრავალი დამახასიათებელი მოვლენა თუ ამბავი, ისტორიული სინამდვილით არის ამ ნა-

წარმოებებში გადმოცემული. სხვა თვისებებთან ერთად, ეს მომენტი დიდად აძლიერებს ამ ნაწარმოებთა მნიშვნელობას.

მე-19 საუკუნის ქართულ ლიტერატურაში ისტორიულ-მხატვრული ჟანრის განვითარებას ხელს უწყობდა ეროვნული თვითშეგნებების აღორძინება და ჩვენი ხალხის წარსულისადმი ინტერესი, ეროვნულ - გამანათავისუფლებელი იდეები.

ქართულმა საბჭოთა მწერლებმა მიიღეს და კრძალულად გამოიყენეს ეს მდიდარი ტრადიციები ისტორიულ-მხატვრული ჟანრისა და ისე შექმნეს თავიანთი ნოვატორული რომანები და მოთხრობები. ვერ დაეპასხვებოთ თითქმის ვერც ერთ მნიშვნელოვან თანამედროვე ქართველ პროზაიკოსს, რომელსაც უყრადღება არ მიუქცის მშობლიური ქვეყნის ისტორიული წარსულისადმი. შალვა დადიანმა, ნიკო ლორთქიფანიძემ, მიხეილ ჯავახიშვილმა, კონსტანტინე გამსახტრდიამ, ლეო ქიანურმა, დემან შენგელაძემ, ილქმანდრე ქეთათელმა, სერგო კლდიაშვილმა, კონსტანტინე ლორთქიფანიძემ, გრიგოლ აბაშიძემ, რაჟდენ გვეტაძემ, აკაკი ბელიაშვილმა, აკაკი გაწერელიამ, ლევან გოთფამ, იოკინოთ ლისაშვილმა, გრიგოლ ჩიქოვანმა, ბირის ჩხვიძემ, ელზნბარ ზედგინიძემ, პანტელეიმონ ჩხეიძემ, მიხეილ კეკელიძემ და სხვებმა წარსულის მრავალი საგულისხმო მოვლენა და ადამიანები ვაიკოცხლეს თავიანთ მხატვრულ ნაწარმოებებში. ზოგი ამ მწერალთაგანი საეცებით ისტორიულ ფაქტებს და ისტორიულად ცნობილ პირობებს ასახავს, ზოგსაც თავის ნაწარმოებებში ეპიზოდურად შეაქვს ისტორიული შემთხვევები და ისტორიულად ცნობილი პირობები, მთავარ ყურადღებას აქცევს არაისტორიულ პრობლემებსა და ფაქტებს. მეორე შემთხვევაში შეაძლება სადავოც იყოს მათი ისტორიულობა.

მეოცე საუკუნის ქართულ ლიტერატურაში ისტორიული რომანის, როგორც სპეციფიკური მხატვრული ფორმის განვითარება, უშუალოდ დაკავშირებულია ვასილ ბარნოვის სახელთან. ვ. ბარნოვის რომანები მთელი ეპოქა ქართული ისტორიული მხატვრული პროზის განვითარებაში. ჩვენ ბარნოვის ისტორიულ რომანებს თავის დროზე სპეციალური გამოყვლევა შეუძლებელია და აქ აღარ შევჩერდებით მათ გამოხილვაზე.

ვ. ბარნოვის ისტორიული პროზის ძირითადი სტრუქტურული პრინციპია მკვეთრად გამოხატული დრამატულობა, შეერთებული ფილოსოფიური პრობლემატიკასთან. მისი მიზანია ფსიქოლოგიურად ჩაწვდეს ისტორიულ მოვლენებს, მათ განვითარებას.

შალვა დადიანი არ ეკეთენის ამ მწერლებს, რომელნიც მხოლოდ ისტორიული მხატვრული პროზის ჟანრში მუშაობდნენ. მის ნაწარმოებთა დიდი ნაწილი თანამედროვე სინამდვილის მოვლენებსა და ადამიანებს შეეხებოდა. მაგრამ ამა-

ვე დროს მას ახასიათებდა დიდი ინტერესი მშობლიური ქვეყნის წარსულისადმი, ისტორიული სახეებისა და გმირებისადმი. მთელი ერთ წლის განმავლობაში შალვა დადიანი მუშაობდა ისტორიულ რომანზე, რომელსაც მან შემდეგ უწოდა „გიორგი რუსი“. ეს ერთ-ერთი პირველი ნაწარმოებია იყო საბჭოთა ლიტერატურაში ისტორიულ თემაზე. ეს რომანი შეეხებოდა ჩვენი ქვეყნის ისტორიული წარსულის დიდად მნიშვნელოვან ეპოქას.

„გიორგი რუსში“ მკითხველის წინაშე გაივლის თამარის მეფობის დროის პირობების მთელი გალერეა: თვით თამარ მეფე, რუსუდან — თამარის აღმზრდელი შამდა, თბილისის ამირა აბულასანი, ზაქანი ზორაბაძელი — თბილისელი სოფადგარი, ანდრია ბოგოლუბსკის ვაჟი იური — გიორგი, სახლთებუცესი ვარდან დადიანი, რატი სურამელი, ზაქარია მხარგრძელი, აბულასანის ცოლი — უტანდარი, დავით სოსლანი. „გიორგი რუსის“ თითქმის ყველა მთავარი გმირი ცნობილია ისტორიულად. საინტერესო ცნობებს გვაწვდის „გიორგი რუსის“ დაწერის თაობაზე თვითონ შალვა დადიანი. იგი წერს: „რომ მოვიწიე, ჩემს ერთგვარად აღფრთოვანს იწვევდა ის ვარგზოება, რომ ჩემის ფიქრით, ჩვენი ისტორიის წარსული არ იყო სათანადოდ გაშლქებული, განსაკუთრებით ჩვენს მხატვრულ ლიტერატურაში. აი თამარ მეფე და მისი ხანა, იმ დროს უკვე დიდად მოკეთებული, გაძლიერებული, შორეული და სახელოვანი. ბიზანტია ისტორიულ პირობების გამო უკვე ჩამოქვეითებული იყო და არაბეთსაც თავისი ძველი გავლენა აღარ ჰქონდა. იმ დროს კი საქართველო თავისი ევლტერარსონობით და სამხედრო ძალდონით უკვე დიდად შესამჩნევი იყო. ამისთანა ხანა გვექონია ქართველებს და ამის ყურადღება არ უნდა მივქცევს? მერე კიდევ თამარის დროს მეტად საყურადღებო ეპიზოდს წვაწყლი, თამარის გახობილების საკითხი, რასაც მოყვა ტრაგიკული ბედი იური ბოგოლუბსკისა, როგორც იტყვიან, შემოვიწყებ საქირი წიგნები, შევაწუხებ ჩვენი დიდი ისტორიკოსი ივანე ჯავახიშვილი ჩემი შევითხვებით: რა ტანისამოსი ვცვათ მეთობმეტე საუკუნეში ქართველებს — ფეოდალის, ეპიკურის, გლეხობის, მემორებუ; რას სვამდნენ, რას ჰკმდნენ, როგორ ილხენდნენ, როგორ ეცავადნენ, როგორ მღეროდნენ, როგორი საკრავებები (თვითონ ჯავახიშვილის ტერმინია) ჰქონდათ და სხვ. ისიც ჩვეულებრივი თავანიაობით და დღეზარებლად იძლეოდა ხან ზეპირ ხასუსს და ხან მიმითითებდა ამა და ამა, ამ მასსკრიპტში მიიღებ ახსნა-განმარტებასაო. აგრეთვე ვაწუხებდი მოსე ჯანაშვილს და თითქმის ყველა საომარი იარაღების სახელწოდებანი მან მომაწოდა, განსაკუთრებით ისარებისა, რაც მე ჩემ რომანში უხვად მაქვს წარმოდგენილი. არქივებშიც მომიხბდა მუშაობა და ასეთი ვარჯიხთა და მეცადი-

ნებით თითქმის მთელი ათი წელიწადი ვწერდი ამ ნაწარმოებს... ყველა ჩემ მიერ გამოყვანილი მოვლენი და სახეები ისტორიულ დოკუმენტზეა დამყარებული, რადგან მე ვარდა ქართული წყაროებისა, ამ ეპოქის ვარსებში გადაკითხული მქონდა რომანის დაწერის დროს ბიზანტიური, არაბული, სომხური, რუსული და სხვა დოკუმენტები, რუსულის გარდა, რასაც ვირველია, ყველა თარგმანებში და აქედან ჩემს მიერ დიდის მოკრძალებით აშენდა, ასე ეთქვათ, ეს ჩემი ბელეტრისტული „კოტეჯი“ (იხ. „რაც გამახსენდა“, გვ. 192-195). ამგვარად, ჩვენი ქვეყნის ისტორიულმა წარსულმა და მალღმა პატრიოტულმა შეგნებამ მწერალს უფრადღება მიაქცევინა ქართული ხალხის ცხოვრების სახელოვანი ისტორიის ფერცლებსათვის.

შალვა დადიანის რომანს საფუძვლად უდევს წარსულის მართებული ასახვის პრინციპი. ისტორიული ეპოქის მოვლენათა და ადამიანთა ხასიათების ასახვისათვის იგი მიისწრაფის სიმართლისა და სინტეტისაკენ. ამ რომანში წარსული წარმოდგენილია რეალურ, ცოცხალ ადამიანთა ბედში, შეგახებაში, ბრძოლაში, სადაც არ არის დარღვეული დაქტების ლოკუტური თანამიმდევრობა, ისტორიული სიმართლე გააზრებულია როგორც მხატვრულობის ძირითადი პირობა. შალვა დადიანი ისტორიას გვიჩვენებს მოძრაობაში, განვითარებაში, თითოეულ გმირში გვაძლევს დიდ ისტორიულ სახესა და მოვლენას.

„გიორგი რუსის“ მთავარ თემატუტურ ხაზს წარმოადგენს თამარ მეფის დაწინადა გიორგი რუსზე და ამ ნადავზე შექმნილი კლიონია. აქვე მოცემულია შალვა-შემობლა ქართული ფეოდალებისა, რომელნიც შიგნიდან აძლერებდნენ და ასუსტებდნენ საქართველოს ძლიერებას. ბრძოლა გავლენისა და ძალაუფლებისათვის, ქიშპობა, ინტრიგა იყო დამახასიათებელი ფეოდალურ-არისტოკრატიული წრეებისათვის. მუდმივი განაპირებისა და მოსურნე ფეოდალებზე თუთ თამარ მეფესაც კი აღუდგენ და შეეცადნენ ქვეყნის დაშლას.

მრავალი უცხო მეფისწული ისწრაფოდა თამარ მეფესთან შედრელებას. სახელმწიფო დარბაზის ვადამწვეტობებით, არჩევანი სუბდალის მთავრის ანდროია ზოგობლებსკის შვილზე, გიორგიზე შეჩერდა. ისტორიული წყარო გადმოგვცემს თბილისისა და ქართლის ამირის აბულასანის სიტყვებს, რომლებიც მან ბჭობას მოასხენა: „მე ვიცო შეილი ზელმწიფისა ანდროიდისა, რუსთა მთავრისა, რომელსაც მხოწნებთ სამასი მოავარნი რუსთანი“ (იხ. „ისტორიანი და აზნანი შარავეანდღეთანი“, გვ. 81). უმრავლესობამ გაიზიარა აბულასანის აზრი, მოიხშეს დღდაპირი ზანქან ზორაბაბელი და გაგზავნეს ყიფნაღლა მეფის კარზე, სადაც იმხანად ცხოვრობდა გქსირაქმინელი იერი — გიორგი ზანქან ზორაბაბელია შეასრულა სახელმწიფო დარბაზის დაკლება და ჩამოიყვანა საქართველოში გიორ-

გი რუსი აღმზრდელის თანხლებით, „პატრიარქმან, დიდებულთა, ეპართა და სპაჟა მთახსენეს თამარსა და მთვან ნებადაცრთვე განაწარეს ქორწილი“ (იქვე, გვ. 81). თუკიშუქია „გიორგი რუსში“ ისტორიული მასალის გამოყენების ხერხი. შალვა დადიანი ჩვეულებრივ ნელ მასალას ყოველთვის ხელოვნების ქვეშარტ ფაქტად აქცევდა, გაარდაქმნიდა, ამიტომ ამ რომანში თითქმის შეუმჩნეველია ისტორიული დოკუმენტურობა.

გამოჩენილ სახელმწიფო მოღვაწეთა მრავალი წარმომადგენელი გააცოცხლა მკობველის წინაშე ისტორიულმა რომანებმა, საკმაოსისა დავასახელოთ პენრიხ მინის რომანი — „მეფე პენრი მეთოხეს ახალგაზრდობა“. აქაც სახელმწიფოს მეთოთერი — მონარქი არის გამოყვანილი მოქმედ პირობ. ამ რომანში პენრიხ მინი ავეიწერს პენრი ნეაარელის მთელ ცხოვრებას ბავშვობიდან — ხანში შესვლის წლებამდე. შალვა დადიანი „გიორგი რუსში“ არ გააყოლია ბიოგრაფიული ისტორიული რომანის გზას. მის ნაწარმოებში არ არის მოთხრობილი თამარ მეფის ცხოვრების ისტორია მთელი სისრულით.

მხატვრულად უაღრესად მნიშვნელოვანია ამ რომანში ისტორიული არეს მოხაზვა. ავტორ არ მისდევს ქარბი მოდერნიზაციის გზას, არ არის გატაცებული ვარჯნული ეფექტებით. იგი დამახასიათებლად გვიხატავს ეპოქის ყოფასა და წესებს, რაც მკობველის წინაშე ცოცხლდება თავისი მრავალფეროვანებით. ყოველ უზარლო ნიუთშიც წარმოგვიდგება ვარდასული დრო, მამინდელი ცხოვრების დამახასიათებელი ნიშნები.

შალვა დადიანს უფვარს მძაფრი დამატელესტიქოლოგიური სიტუაციები. ამიტომ „გიორგი რუსში“ მრავალი რომანტიკული ელემენტია შეტანილი, თუმცა არსებითად ის რეალისტური ისტორიული რომანია.

შალვა დადიანის მეორე ისტორიული რომანი — „ერდში“ მთლიანად ხალხის ცხოვრებისა და ბრძოლის ეპოქას წარმოადგენს. ამ რომანის თვმად ავტორს აღებული აქვს ქართული გლეხების აქანუება XIX საუკუნის ორმოცდაათიან წლებში ჭეოდალური არისტოკრატიის და მებატონეთა წინააღმდეგ. დიდი მხატვრული ოსტატობით ავეიწერს ავტორი ყმა-გლეხობის ცხოვრების საშინელ პირობებს. გლეხობა ყოველგვარ უფლებას იყო მოკლებული. ხშირი იყო შემთხვევა, რომ შემამულებები უშიზუოდ არბედნენ და ანადვურებდნენ ყმების კარში-ღამოს. ამის შედეგად მშრომელთა ინტერესებისათვის მებატონე ლეგნდარულ უტმ მიქივას მეთოთრობით თითქმის მთელი სამეგრელოს ყმა-გლეხობა აწყობს აქანუებას მებატონეებთან და მეფის რუსეთის ადმინისტრაციის წინააღმდეგ.

„ერდში“ მწერალმა გვიჩვენა, რომ ნაშევილ ისტორიის ქმნიან მასები, ხალხს იგი განიხილავს როგორც საზოგადოებრივი ვანი-



თარგმის აქტიურ შემოქმედებით ძალას, რომელიც ქმნის ყოველგვარ ლიტერატურას — მატერიალურ და სულიერ კულტურას. ამიტომ არის, რომ „ურდუმში“ მთავარი მოქმედი თვით ხალხი, ხალხის წრიდან გამოსული სახელოვანი შეილება.

საზოგადოების განვითარების ობიექტური კანონზომიერების მართებულად გაგება მწერალს საშუალებას აძლევს ღრმად აითვისოს სინამდვილის პროცესები, ღრმად ახსნას სოციალურ-ისტორიულ მოვლენათა არსი, ცხოვრების წამყვანი ტენდენციები. „ურდუმში“ შალვა დადიანმა საქართველოს წარსული დაინახა მოჭრაობაში, როგორც ისტორიული პროცესი და იგი ვამოხატა თავისი კონკრეტულობით.

სამწუხაროდ, შალვა დადიანს არ დასცალდა „ურდუმის“ დამთავრება. მაგრამ მისი პირველი ნაწილი, რაც ცნობილია ჩვენთვის, მაინც მეტად მნიშვნელოვანია.

შალვა დადიანმა კარგად იცოდა, რომ ისტორიული კოლორიტის შექმნაში პირველხარისხიან როლს ასრულებს მხატვრული ნაწარმოების ენა. მწერალს ევალება არა მარტო ღრმა ცოდნა ეპოქისა, არამედ ენის მაღალი კულტურაც, ისტორიული ეპოქის სწორად ასახვისათვის, მწერალმა უნდა გამოიწვიოს ისტორიული წარსულის არა მხოლოდ საერთო და განმსაზღვრელი მოვლენები, არამედ შეხატუვის ენობრივი და სტილისტური ფორმებიც. შალვა დადიანი მეტად საინტერესო და ორიგინალური მწერალია ენობრივი კულტურითაც. მას არ უყვარდა შაბლონი, ვატკენილი გზით სიარული, ყოველთვის მისწრაფოდა ეპოვება ახალი, თავისებური ენობრივი ფორმები. მისი რომანების უდიდესი სიმდიდრეა შესანიშნავი ქართული ენა. შალვა დადიანი ლიტერატურული ენის ოსტატია, ქართული ენის ბუნებას ზედმიწევნით მცოდნე; ამიტომ მისი ისტორიული რომანის ენა ღრმა მთაბეჭდოვანს ახდენს მკითხველზე.

შალვა დადიანის აზრით, მწერალი წარსულის დამახასიათებელ გამოთქმებს უნდა იყენებდეს ზომიერად, ხოლო მთავარში იგი არ უნდა შორდებოდეს თანამედროვე ლიტერატურული ენის საერთოდ მიღებულ ნორმებს. იგი წინააღმდეგი იყო ენაში არქაული ფორმების რესტავრაციასა, ნატურალიზმსაც. ამიტომ თავის ისტორიულ რომანებში შალვა დადიანი არ მიმართავდა სტილიზაციას და არქაულ ფორმებს. იგი გვაძლევდა ეპოქის კოლორიტს, მაგრამ არ ვადაღიოდა ურდუმისობაში. შალვა დადიანი კარგად იცნობდა ძველ ქართული მწერლობის ძეგლების ენას, მდიდარ ხალხურ ენას და მოხერხებულად იყენებდა მათ თავისა ისტორიული მხატვრული ნაწარმოების შექმნის დროს, უფარდებდა მას თანამედროვე მკითხველის ენობრივ ინტერესებს. შალვა დადიანის მხატვრულ ნაწარმოებთა ენა ევრდნობა საერთა-ეროვნული ენის მაკსიმალურ ხასს; მას ღრმად აქვს

ათვისებული სიტყვის ყველა ნიუანსი. იგი გვაკვირებს ფერების სიმდიდრით, სტატყვის სიმრუტით და გამოშსახელობითი ქალიშვილისთვის ნიშანდობლივია ექსპრესულობა, დინამიკურობა.

შალვა დადიანის სტილს ახასიათებს ლაკონურობა, სიმწიფროვე, სინათლე, შინაგანად ორგანიზებული წინადადებები და ემოციურად მდიდარი გამოთქმები. მისთვის უცხოა თეთომინურობა, გადაჭარბებული სამკაულები, აბსტრაქციუბა და პირობითობა. მისი გმირები ურთიერთშორის საუბრობენ ერთი საერთო ენით, მაგრამ ამავე დროს თითოეულ მათგანს აქვს „თავისი ენა“, გამოთქმის თავისებური საშუალებები, თავისებური სტილი.



ნაყო ლორთქიფანიძის გარდაცვალების შემდეგ გამოქვეყნდა მისი ისტორიული ტეტრალოგიის ესკიზები, უკეთ ნაწყვეტები, დავით აღმაშენებელზე. როგორც ჩანს, ჩვენს სახელოვან მწერალს განზრახული ჰქონია დაეწერა ვრცელი, ფართო ნაწარმოები დავით აღმაშენებლის ეპოქაზე, იმ დროს ადამიანებსა და ისტორიულ მოვლენებზე, თვით დავით აღმაშენებელზე. იგი გვიჩვენებს ისტორიულ გმირს ისტორიულ სარბაულზე.

ნ. ლორთქიფანიძეს მოსამზადებელი მუშაობა ამ დანი ნაწარმოებინათვის დაეწყო 1912 წლიდან და ვანუგრძობა გარდაცვალებამდე, ე. ი. 1914 წლამდე. შემონახული ესკიზები გვაძლევს საფუძველს დედასკვნას, რომ ეს იქნებოდა ძალზე საინტერესო და მნიშვნელოვანი ნაწარმოები ჩვენს ისტორიულ წარსულზე.

ნ. ლორთქიფანიძის ნაწარმოებებში ჩვენ ვხედავთ ცოცხალი ცხოვრების მაგისტრას. ჩვენს გამოჩენილ პროზაიკოსს ღრმა და სერიოზული დამოკიდებულება აქვს წარსულისადმი. ავტორი ევრდნობა ქართველი ხალხის მდიდარი ისტორიის საფუძვლიან ცოდნას. იგი ფაქტებს ისე ალაგებს, რომ მათში მოჩანს ისტორიულ მოვლენათა ხანაობა, ეპოქის ძირითადი ტენდენციები, ოსრობა ეითარდება ფართოდ. ნ. ლორთქიფანიძე ისტორიულ გმირს გვიჩვენებს ეპოქის საზოგადოებრივ მოვლენებთან კონკრეტულ კავშირში. დავით აღმაშენებელი ნაჩვენებია არა მარტო სახელმწიფოებრივ მოღვაწეობაში, არამედ ჩვეულებრივ ადამიანურ გამოვლინებაში. ნაწარმოებში სიტყვითური ხაზების მრავალფეროვანებასთან გვაქვს საქმე.

ნ. ლორთქიფანიძის „დავით აღმაშენებელი“ იწყება ბუნების ლამაზი რეალისტური სურათის დახატვით, ხალხური თქმულებების ვაციხლებით და გელათის ტაძრის მშენებლობის აღწერით. ამ ნაწილში მთავარი მოქმედი პირი — ეს არის მუშა ხალხი, კლასობრივი, გელათის

ტაძრის მშენებლები, რომელნიც საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან იყვნენ მოსულნი ამ მშენებლობაზე. რელიეფური სახეებია დახატული ქართლიდან მოსული მოხუცი კალატოზისა და მისი შვილის, პატარა გოგის. მწერლის მიერ წარმოდგენილი ყოველი დეტალი შეეფერება ეპოქის ისტორიულ სიმაართეს.

ნ. ლორთქიფანიძის ნაწარმოებებს მიხედვით გრანდიოზულ მშენებლობას უძლიერად დაეთ აღმაშენებელი ხელმძღვანელობდა, იგი ყოველდღიურად აღევნებდა თვალუბრს ამ საქმეს, ზრუნავდა მისი წარმატებით დაკვირვებებისათვის შეეყო ხელი ხალხით თუ მასალით. დავით შეფე მწერალს გაოცებულნი ჰყავს. იგი არის მშენებელი, მზრუნველი, მოსამართლე. განსაკუთრებული ფიზიკური ძალის პატრონი; დავით აღმაშენებელი დიდ მოსამზადებელ მუშაობას ეწეოდა ქვეყნის გაერთიანებისა და განმტკიცებისათვის, მისი საზღვრებიდან ყველა დამპყრობლის განსაღვანდა.

ტერაკოვოვის ბოლო ნაწილი, რომელიც დამატებული სიმძაფრით და მკვეთრი საღებავებით არის შესრულებული, შეეხება დავით აღმაშენებლის გარდაცვალებას. ეს ეპიზოდი დაუვიწყარ შთაბეჭდილებას ახდენს მკითხველზე. ნ. ლორთქიფანიძის აღიარებული ოსტატია დილოვანია. მნიშვნელოვანია დილოვანის როლი მის ყოველ რომანში.

ხალხური და მდიდარია ნ. ლორთქიფანიძის ენა ამ ნაწარმოებში. ეს ენა ბუნებრივი, სადა, მუსიკალური და სახეებით მრავალფეროვანია.



უარყო რა ისტორიული ფაქტების უზარალო ფიქსირება, მიხეილ ჭავჭავაძემ კარგად შეაძლო ცალკეულ ადამიანთა ბედსა და ფსიქოლოგიაში ეხვეწებინა მნიშვნელოვანი ისტორიული ჭეჭები, წინააღმდეგობები. მთავარი საზოგადოებრივი ძალა, რომელიც წარმოდგენილია ნაწარმოებში, ეს არის ხალხი, როგორც ისტორიის შემოქმედი. „არსენა მარაბდელი“ ვრცელ ისტორიულ არსს მოიცავს. იგი ეხება XIX საუკუნის პირველ ნახევარს, როდესაც საქართველოს რუსეთთან შეერთების შედეგად ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში ღრმა პოლიტიკური და სოციალური ცვლილებები მოხდა.

მის. ჭავჭავაძემა „არსენა მარაბდელი“ გამოიყვანა მრავალი ისტორიული მოღვაწე, აღადგინა მრავალი ისტორიული ეპიზოდი მე-19 საუკუნის პირველი ნახევარისა. მწერალი ღრმად ეხება პოლიტიკური ორიენტაციის საკითხებს, ზედის რუსეთის ძალაუფლების დამყარებას საქართველოში და მის სასტიკ კოლონიურ პოლიტიკას. რომანში ვხვდებით ორ რუსეთს: მეფის რუსეთსა და ხალხის რუსეთს.

მის. ჭავჭავაძე იფარტოვებს ადამიანთა „ეროდო“ ცხოვრებას და თავის გმირებს უკავშირებს

ისტორიულ მოვლენებს; რომანში ადამიანთა პირადი ბედი უშუალოდ დაკავშირებულია ხალხის ისტორიულ ყოფასთან. არსენა მარაბდელი

„არსენა მარაბდელი“ ერთმანეთს მამის-პირ დგას დეოდალური, თავდაპირველი და უფლებამყარო, დანაგრული ყმა გლეხობის საქართველო, შეეწირებულნი და აეტანელ პირობებში მყოფმა გლეხთა მასებმა თავისი ინტერესების დამცველად და წინამძღოლად წამოაყენეს არსენა ოძელაშვილი. იგი — ღარიბი, უფლებო და დანაგრული გლეხობის წარმომადგენელია, ვერ ურიგდება ყმაგლეხობის ადამიანურ უფლებების დამცირებას. ბატონყმურ თეომაპყრობელური წყობილების სისასტიკემ აიძულდა არსენა ცხოვრების წინააღმდეგ. განსაკუთრებული ზნეობრივი ძალის, სულიერი ევთილშობილების და ვაჟკაცობის წყალობით მან დიდი სახელი მოიპოვა ხალხში. მწერალმა არსენას მოქმედების ასპარეზი მტკაღ ფართოდ გადმოაღ, არსენას ბრძოლა დაუკავშირა თავისი ეპოქის მნიშვნელოვან მოვლენებს.

მის. ჭავჭავაძემა „არსენა მარაბდელი“ გამოიყვანა მთელი წყება გამოკვეთილი ტაქტიკისა. მთავან, როგორც აღინიშნა, მრავალი ისტორიული პიროვნება, ზოგიც მწერლის მიერ გამოგონილი. უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას იქცევს სევასტიან ლავროვი და კარპისა, მტკიცუნებისყოფისა და შეუდრეკელი ადამიანებისა. იქ, სადაც არსენა ყოყმანობს, ისინი უშაღვე ამოქმედდებიან. მათი ცხოვრების დასასრულიც გმირულია.

მტკაღ კოლორიტული და მიმზიდველი სახეა არსენას მამა—„ცალთვალა დევი“ — ლეთისავარი. ყოველი მისი სიტყვა, ყოველი მისი მოქმედება ბუნებრივი და დამაჯერებელია. ყველა მის მოსაზრებას ღრმა გამოცდილება და დავივირება უდგას საფუძვლად.

უარყოფითი, გაიძვერა და გულღრმად ადამიანის დასრულებული ტიპია გიორგი კეპტანელი. რომანში გიორგი და არსენა წარმოდგენილია დიაფეტრალურად მოწინააღმდეგე ხასიათებად. კეპტანელი ფიზიკურად ღონიერია, მაგრამ მეტრისმეტად პატაროყვარე, შერიანი, დაუნდობელი, ანზნული და იგი ადამიანი. ბუნებრივია, რომ არსენაში იგი ხედავს თავის დაუპირინებელ მტერს და ყოველთვის შხად არსს მოსპოს იგი.

„არსენა მარაბდელი“ ეპიზოდურ პერსონალებსაც თავისი განუმეორებელი ინდივიდუალობის ნიშანი აქვს მოძებნილი. მათ შორის არ არის არც ერთი პირი, რომელიც გამოყვანილი იყოს მხოლოდ იმისათვის, რომ რაიმე განყენებული იღვა გამოთქვას, მწერალს ყოველთვის ჰყოფნის საღებავები სხვადასხვა ხასიათის დაახატავად. ამიტომ ყველა წარმოდგენილია, როგორც ცოცხალი მონაწილე რთული სასიცოცხლო პროცესისა.

„არსენა მარაბდელის“ ერთ-ერთ ძირითად მოტივს წარმოადგენს ხალხთა ინტერნაციონა-

ლური სოლიდარობის და ძმობის მოტივი. მის ქავახიშვილი სოციარულით ხატავს რუს გლეხს — კარპინას, რომელიც მხარში უღვას ქართველ გლეხკაცს და მათთან ერთად იბრძვის აღმართურ უფლებებზე. მოსამოყებლად. ამოდ როდ მიუხეობს ხოლმე იგი ბუგაიოვის ანტილას, როცა სტყვა ბრძოლაზე ჩამოვარდება. მათ მხარში უღვას უკრაინელი ოსტაპი — სელიფრად და ფიზიკურად ძლიერი იდამიანი, „იჩინის თვალეებით“, „მაქის სისქე შვი უღვასუბით“. მათთანვე არიან სომეხი და აზერბაიჯანელი ხალხის შვილები. სხვადასხვა ერის მშრომელთა ძმობისა და მეგობრობის იდეა წითელი ხაზით გასდევს მის. ქავახიშვილის ამ რომანს, და ეს მისი უღოდესი ღირსებაა.

„არსენა მარამდელი“ ყურადღებას იქცევს ტიპების მუდმივი გამოკვეთილობით, ეფექტური მასობრივი სცენებით; დიდი გამოსახველი ძალით არის შესრულებული ჭიდაობის, გლეხობის დარბევისა და ახალციხის ომის სურათები. მის. ქავახიშვილმა ბატალური სცენის კემპარატი ოსტაპი.

„არსენა მარამდელის“ ენა სადა, უვლასათურს გასაგებში, ნამდვილად რეალისტური იდიომებით მდიდარი ქართული ენაა, რომლის სრულყოფისათვის ასე დიდი მუშაობა ჩაატარა ილია კიკვაძემ და აკაკი წერეთელმა. „არსენა მარამდელი“ სტილის უვლა კომპონენტი ჩამოყალიბებულია საერთო სახალხო ენის საფუძველზე. ამ რომანის ენაში არ იგრძნობა ხელოვნერობა და მანერულობა. მის მიერ ჩამოყალიბებულ წინადადებაში არ გვხვდება რთული, ვრცელი პერიოდები, რომელიც დაღლის მკობველს. წინადადებები ყოველთვის პარამონიელია, გამოთქმა უხტო.

*
*
*

მეთუ საუენის მეორე ნახევარი და მეფორმებზე საუენის პირველი ნახევარი ფრიად მნიშვნელოვანი ხანა ჩვენი ქვეყნის ისტორიაში, მეფე ბაგრატ მესამე პირველად შესწლო საქართველოს გაერთიანება (გარდა თბილისისა, რომელიც იმხანად ჭერ კიდევ ეპყრათ სარკინოებს). „ბაგრატ მეფის მტკიცე ხსიათმა, ბრძოლა და წინდახედულმა მშართეობამ, ვაკცერტმა გუდალობამ და შორისმჭკრებულმა პოლიტიკამ საქართველ გაერთიანა და მის ძლიერებას მკვიდრი საფუძველი დაუდგა“ (ი. ქავახიშვილი „ქართველი ერის ისტორია“, II, გვ. 242). ბაგრატ მესამე რომ მიიკვალა, გიორგი პირველი სწორილად ახალგაზრდა იყო, ვიორგამ „თითქმის მთელი თავისი მეფობა და ძალღონე... ბიზანტიის კეისრის წინააღმდეგ ბრძოლას შეაღია“ (იქვე, გვ. 422). გიორგი მეფე თავდადებით ებრძოდა ბიზანტიელებს და იცავდა თავისი ქვეყნის დამოუკიდებლობა და მთლიანობას. საისტორიო წყაროები გიორგი მეფეს ახსიათებენ, როგორც — „საესეს ყოელია სი-

კეთითა“, „ახოვანსა და უშიშარს“, „არაიენ გაშინილ იყო მსჯავნი მისი მამათა შორის მესთა ახოვანებითა, ჭიბულობითა, სიკვლეოთა, ტყნითა, სახითა, და ცნობითა, ყოველითურთ სავსე განგებითა, სახელწმიოთა“ („ქართლის ცხოვრება“, ანა დედოფლისეული ნუსხა, გვ. 179-182). გიორგის ვარდაცელებიას „იგლოვდეს უვლანი სიყუესა და სიჭაბუქესა მისსა“ (იქვე, გვ. 182). ასეთი გონიერი და სახელმწიფეული მეფე იყო იგი. მართალია, გიორგი პირველის მეფობა არ ყოფილა ხანგრძლივი (მეფობდა 1014-1027 წ. წ.), მაგრამ მის შილდაუეობას მაინც განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს დამოუკიდებლობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის.

ჩვენი ქვეყნის წარსულს ამ ეპოქას — გიორგი პირველის მეფობას შეეხება კ. გამსახურდიას რომანი — „დიდოსტატის მარჯვენა“. ნაწარმოებში გაყოცლებულია ისტორიული პირები — გიორგი მეფე, დედოფალი მარამი, კათალიკოსი მელიქიშვილი, სარდალი ზვიად ერისთავი და სხვები. რომანის სიუჟეტს ავტორი საფუძველად უღებს ინტიმურ-სამიწერო ურთიერთობას. იგი წარსულში ეძიებს ძლიერ ენებას და მხატვრულად წარმოგვიდგენს მის განუთარებას, კოლიზებს.

ავტორის თქმით, ამ რომანში მან გიორგი პირველის აპოლოგიას უძღვნა დიდი შილდაუერება თავისი სულისა. „შალოობიდანვე მიყვარდა და მოკუებდა აფხაზთა მეფე გიორგი პირველი. სიჭაბუქეში მომემატა პატეისცემა მისი, რომა გავიგე თუ რამოდენა ეეშას შეზინა ეს შენაწმნავი რაინდ... კონც დაახლოებით მაინც წარმოადგენს, თუ რა დიდი მხეცი იყო ბასილი I, მისთვის გააგებო იქნება, თუ რა კოლოსალური ძალის მატარებელი ყოფილა იმეამინდელი საქართველოს მეფე გიორგი პირველი, რომელმაც ერთხელ, მაგრამ მაინც დაამარცხა კეისარი ბიზანტიას“ (იხ. „ავტორის რეპლიკები“, ვაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1943 წ. № 31; ტ. II, 1959 წ. გვ. 611-613).

ჩვენი აზრით, რომანში მთავარ დრამატულ კენსს ქწნის ორი სახის — ფარსმან სპარსისა და კონსტანტინე არსაყიძის (ისტორიული წყაროებით არსუცხე) ურთიერთობა. მათ დამოკიდებულებაში ახლებერად არის საფუძველი მოკარტისა და სალიერის პრობლემა. მარცხი, რომელსაც სალიერი განიცდის შემოქმედებობის შეჭიბრებაში, შერისძიების გრანობით მსკუპლავს მას. იგი ღუპავს გენიოსს იმიტირამ, რომ თვით მოკლებულია ამ თვისებას. ანალოგიურ შემთხვევათან გვაქვს საქმე „დიდოსტატის მარჯვენაში“. საფულისხმობა კ. გამსახურდიას განცხადება: „ფარსმან სპარსისათვის კონსტანტინე არსაყიძის დაპირისპირება გავებული უნდა იქნას, როგორც ერთგვარი ტუბა და ანტიტუბა რომანში“ (იხ. ავტორის რეპლიკები, ვაზ. „ლიტერ-

რატორა და ხელოვნება“, 1943 წ. №3, ტ. II, 1959 წ., გვ. 814).

ფარსმანი საესებით უბრინციბო და ამორ-
ლური აღმანიანა. თავისი ვერაგობა მან დაა-
ვირგინა იმით, რომ შერისიძიებთ გამსკვად-
ლმა გაუმვლანა გიორგი მეფის შორენასა და
არსაკიძის საიდუმლო სიყვარული. ბოლოს,
თვითონვე სამარცხვინოდ დაიღუპა. იგი იყო
ყოველგვარი ბიწიერებისა და ავტოკობის საწყა-
ული, მას არც რწმენა გააჩნდა და არც სამშობ-
ლო სწამდა.

„ღიდოსტატის მარჯვენას“ მთავარი გმირი კო-
ნსტანტინე არსაკიძეა. მისი სახით მწერალმა
გვიჩვენა ხელოვნის განწირული ბედი ფეოდა-
ლურ-მონარქიულ სახელმწიფოში. ხალხს შემო-
უწნავეს ლეგენდა სვეტიცხოვლის აღმშენებლებ-
ზე: „ხეობრძელს წყალი მისვამს, მცხეთა ისე
ამიგია, დამიჭირებს, ხელი მოშპრებს, რატომ კარ-
გი ავიგია...“ ეს სიტყვები იძლევა გასაღებს იმ
ტრაგედიისა, რომელიც კ. გამსახურდიამ თავისე-
ბურად ჩამოაყალიბა თხზულებაში.

ღაბლი ფენებიდან გამოსვლა, მრავალ ქირ-
ვაშვილი კონსტანტინე არსაკიძეს, რომელაც
გიორგი მეფის ხერითმოდურად დაინიშნა, დი-
დი საქმე დაევალა — მცხეთის სვეტიცხოვლის
ტაძრის აგება. დღენიადავ ხარაიობებზე იღვა,
დაესტრებოდა მთელ საქართველოში, ციხეთა და
გელისათა მშენებლობას თვალურს ადევნებდა.
თვითონვე ადგენდა გვიგამს, ასურებდა სხვის
მიერ დახატულ დეტალებს, ხანაც საქრთველს
წიავლებდა ხელს, აქანდაკებდა ბარელიეფებს,
ლოდებზე ჩუქურთმებდა სკრიბა, ფრესკის ნა-
ხაზებს ამზადებდა. კარგად იცოდა, რომ ნამდვი-
ლი ხელოვნება უცვლადია, რომ კემშიარტ ოს-
ტატს ვერ დაეწევა სიყვლილი. „ხელოვნება გუ-
ლის სისხლს მოითხოვს საფასად, თუ მთელი
ჯანი არ შეაღო ამ სასტიკ ბორონს, აღარაფერ
ი გააოჯა ხელიდან“. ოსტატს ევალება შეიპო-
დოს წარმავლობის ნისლს, წამებარ აქციოს მარ-
რადგაშულად, იგი ხელოვნებას უთმობს ყველა-
ფერს, თვით თავის აღმანიანურ „მებას“. იგი
მთელი გულწრფელობით ეუბნება შორენას: „უ-
ჩემი ხელოვნება სიკიცხლზე მეტად შემეგვარ-
რება, ჩემო! ამიტომ განწირული მაქვს თავი“. მხატვრულად შესრულებული სამშობლიური სა-
ხე ღმერთთან იაკობს შერკინებისა საესებით
ამსიათებს არსაკიძის ბუნებას. სვეტიცხოველი
იყო არსაკიძის სიკიცხლს, მამაციობის, უსაჩინო-
ების ქმნილება. როგორც გენიოსმა შემოქმედ-
მა, მან თავისი სული შთაბერა სვეტიცხოველს
და შექმნა უცვლადი ქმნილება ხელოვნებისა.

კონსტანტინე არსაკიძის გენიოსობაში უნდა
ეკითხო მისი ტრაგედიის სათავე, საშუალო ნი-
შის მქონე, უბრინციბო და პატრიოტული ფარ-
სმანი სპარსი შერთი აღესილი, ვერ ხედავდა არ-
საკიძისაგან აგებულ სვეტიცხოველის დიდებუ-
ლებას. ეს წინააღმდეგობა ადრევე დაიწყო მათ
შორის. ფარსმანი იწყებს მზადებას იმისათვის,

რომ მოულოდნელად ჩასცეს არსაკიძეს სასი-
ვლილი მახვილი. ფარსმანი სტერტიცხოველმდგა
თვით დიადი ხელოვნების სტერტიცხოველმდგა
სვეტიცხოვლის დანგრევა მოითხოვდა. იგი სა-
ბოლოოდ მაინც გაიმტკიცებელი დარჩა, როგორც
ხელმოცარული კაცი, ხოლო არსაკიძის შემოქ-
მედების ნაყოფი — სვეტიცხოველი დარჩა, რო-
გორც უცვლადი ქმნილება ხელოვნებისა, მაღალი
კულტურისა.

„ღიდოსტატის მარჯვენას“ ავტორი უხვად
წარმოვიდგენს კოლორიტულ საყოფარღვრე-
ბო დეტალებს. იგი პოეტურად წარმოგვისახავს
ბუნებას. ნაწარმოებში მოხერხებულადაა გა-
მოყენებული ხალხური ლექსები და სიმღერები.

თავის მეორე ისტორიულ ნაწარმოებში ტერ-
რალიგია — „დავით აღმაშენებელი“ — კ. გა-
მსახურდიამ ასახავს XI საუკუნის მეორე ნა-
ხევებისა და XII საუკუნის პირველი ნახევრის
საქართველოს. მისი უფრადღებურ ცენტრშია
ჩვენი სახელმწიფოებრივობის ფუძემდებლის
დავით აღმაშენებლის ცხოვრება.

დავით აღმაშენებლის გამეფებისას საქარ-
თველი მეტად მძიმე მდგომარეობაში იმყოფებო-
და. სამეფოს საქმეება აწეწილ-დაწეწილი იყო,
ქვეყანაც მოქანცული. თურქების გამედმებელი
თავდასამების შედეგად აღმოსავლეთი საქარ-
თველი აოხრებული იყო, შინაური მტრები ხელს
უწყობდნენ გარეშე მტრების წარმატებას.

ასეუ მიწვე სანოგალოებრივ-პოლიტიკურ ვი-
თარებაში ქვეყნის მართვა-გამგეობის ხელში
აღება 1089 წელს წილად ხვდა, ჯერ კიდევ უ-
ბედეს, 16 წლის დავით მეფისთვის. იგი განსაკუთ-
რებული პირადი ღირსებებით იყო დაჯილდოვე-
ბული, როგორც სახელმწიფო მოღვაწე. უბედვი
მეფე შეუღლა ქვეყნის დასუსტებისა და დამარც-
ხების მთავარი დამნაშავეების — მსხვილი ფე-
ოდალებისა და დიდგვარიანი ერისთავების და-
მორჩილებას. მათ მალე აგრძნობინა თავისი ძა-
ლა. განამტკიცა მეფის პოლიტიკური ძალაუფ-
ლება. დავით მეფე თვითნებობას და ურჩობას
არავის ამატიებდა. თავდასუღ ფეოდალებს იმ-
ხანად მეათეობდა კლდეკარის ერისთავი ლი-
პარიტ ბაღვაში. ასალგაზრდა მეფემ პირველად
მისი დამორჩილება და მოდრევა სცადა. ფეოდა-
ლებთან და დიდგვარიან ერისთავებთან ბრძო-
ლარული დავით მეფე არადიდავ კომპრომისზე არ
მიდიოდა, მათ წინააღმდეგ გადამტრულ ზომებს
აღებდა და ამით შესწლო ქვეყნის შიგნით სიმ-
შვიდის დამყარება, ქვეყნის გაერთიანება, გად-
ლიერება და გარეშე მტრებთან წარმატებითი
ბრძოლების წარმოება. მან შექმნა ცენტრალი-
ზებული სახელმწიფო და ჩაატარა მნიშვნელო-
ვანი რეფორმები ქვეყნის განმტკიცებისათვის.

დავით მეფეს კარგად აქვს შეგნებული, რომ
ქვეყნის სიმტკიცის აცილებულ პირობას შეა-
გენდა ძლიერი და გაწრთვნილი ლაშქარის ყო-
ლა, ნაწარმოებში ვხვდებით, თუ როგორ ამზა-

დებს იგი თავის სამხედრო ძალას, რომელმაც შემდეგში მას დიდი სამსახური გაუწია.

მართებულად იქცევა კ. გამსახურდია, როდესაც დავით აღმაშენებლის სახელმწიფოებრივ მოღვაწეობას უკავშირებს საერთაშორისო მოვლენებს; რამდენადაც ქართველთა მეფეს მოუხდა მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობის ბრძოლებს წარმოება, როგორც იყო ქრისტიანული სამყაროს მიერ პოლიტიკური რეაგირება ისლამის აგრესიისა და რეაქციის წინააღმდეგ. იმდენად მისი მართოდენ ნაციონალური ისტორიის ფარგლებში მოკვმა საქმარისი არ იქნებოდა. ამის შედეგია, რომ ტეტრალაგვის დიდი ნაწილი ბიზანტიის სამეფოს ცხოვრებასა და გვარისათა ომებს შეეხება.



აკეთ ბელაშვილის რომანები „თავდასავალი ბესიკ ვაშაშვილისა“ და „ოქროს ჩარდაბი“ გვიხატავს, თუ როგორ მხანდღებოდა ისტორიულად საქართველოს შესვლა რუსეთის ფარგლებში.

მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოში განსაკუთრებული მდგომარეობა შეიქმნა. იგი პოლიტიკურად აღარ წარმოადგენდა ერთ მთლიან სახელმწიფოს. ისედაც პატარა ქვეყანა დაყოფილი იყო წვირლ სამეფოებად და სამთავროებად. ქართველობა შეუპოვრად ებრძოდა გარემე შტრებს, მაგრამ მუდმივმა გამანადგურებელმა შემოსევებმა დააუტლერა ქვეყანა. საქართველოს შვიანი კი იმხანად გაძლიერებული იყო ფეოდალური განყრობებისა და გათიშვის ტენდენციები. ფეოდალური შუელი და დინასტიური ინტრაგები იყო ქვეყნის დაცემის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი.

შინაგანი ძალების შეუკობით შეუძლებელი ვახდა ფეოდალური რეაქციის ილაშქვა და გარემე შტრებთან გამკლავება. გონიერი ქართველი პოლიტიკურა მოღვაწენი, რომელნიც გამოხატავდნენ მთელი ხალხის მისწრაფებას, ცდილობდნენ ქვეყანა გამოეყვანათ მძიმე მდგომარეობიდან. საქართველოს რუსეთთან დაკავშირება იყო ერთადერთი სწორი პროგრესული გზა.

ა. ბელაშვილი თავის რომანებში გვიხატავს ამ გარდატეხის ხანას. „თავდასავალი ბესიკ ვაშაშვილისა“ და „ოქროს ჩარდაბი“ ნათლად ეკვნიანებს ქართველი არისტოკრატის ბრძოლას ევტრალისტური ხელისუფლების წინააღმდეგ. ცნობილია, რომ მუფე ერეკლე თანმიმდევრულად აპროცილებდა ლონისძიებებს ქვეყნის გამტკიცებისა და დამოუკიდებლობისათვის, ხლუდავდა სათავიფობებს, რომლებიც იყო საყრდენი ფეოდალური ჩამორჩენილობისა. ა. ბელაშვილის ნაწარმოებებში ერეკლეს დიდი ადვილი უძრავს. ავტორმა დახატა „ერეკლეს მონუმენტური პორტრეტი, როგორც მეფის, როგორც ადამიანის, როგორც სარდლის“. მართლაც, რომანში მკითხველი ნათლად ხედავს ბრძენი სახელმწიფო მოღვაწის სახეს.

ბესიკი, რომლის სახელი ეწოდა რომანს, ვერ არის დახატული მთელი სისტრული და მრავალმხრივობით.

ბესიკის სამყნერო თავგანსაუთლია პო. შექსაბამება ისტორიულ სინამდვილეს. რომანით ბესიკის პირველი მიწნერობის ობიექტი არის ერეკლეს და — ანა. ამ დროს ანა 45 წლისაა, ბესიკი — 20-22 წლისა. იგი ეტრფოდა ავრეთუე პატარა ანას — შემდეგში მერეთის მეფის შვილის დაეთის მეუღლეს. მაგრამ პატარა ანა იმდენად მტრეწლოვანი იყო იმ დროს, რომ შეუძლებელია იგი ყოფილიყო ბესიკის გამიწნერების ობიექტი.

მთლიანი საქართველოს პოლიტიკური იდეალი, რომელსაც პირველ ხანებში თანაუგრძობობს ბესიკი, შემდეგ თანდათან ფერმკრთალდება და „ოქროს ჩარდაბში“ უკვე საცხებით გაქარწყლებულია. იგი მიემგზავრება სპარსეთში რომ ჩამოიყვანოს ერეკლეს მოქიშე აღეშანდრე ბექარის ძე. ამ ცდამ, რომელშიაც ქართველი რეაქციული თავადები იყენენ ჩახშული, მარცხი ვანილია.

უფრო მეტი რელიეფურობითაა დახატული ეპიზოდური პერსონაჟები. დავითყვარიაი როსტომ ერისთავი; კარგადაა გამოყოფილი დავით ორბელიანისა და ლევან ბატონიშვილის პორტრეტები.

ა. ბელაშვილის განსაკუთრებით ეხერხება ბატალური სცენები, დიდი მხატვრობით და დამაყრებლობით არის ვადმოცემული ასპინძის ომი. ბრძოლის მიმდინარეობის სურათები ლოგაკურად და სიმართლით ავჯისახვევ ისტორიული წყაროებით ცნობილ შემთხვევებს: უფრო სუსტია რუხის ბრძოლას სურათები.

ა. ბელაშვილი ისტორიულ დაქტებს ყოველთვის არ ვადმოვცემს ზოსტად. ავტორის მიუთითეს, რომ გიორგი ბატონიშვილის იმ სახით დახატვა, როგორც რომანშია, ეწინააღმდეგება ისტორიულ სიმართლეს; სადავოდაა დახატული ლევან ბატონიშვილიც; როგორც ვიცით, ანტონ კათალიკოსისა და ზაქარია ვაშაშვილის ამბავი სატირული ფორმით აღწერილია პო. ემში „კატის ომი“. მაგრამ ეს პოემა დაწერილია, როგორც ეს უკანასკნელად იქნა გამოცემული. არა ზაქარია ვაშაშვილის, არამედ ისაც მცირეს მეტრ.

უშველი მხატვრული ღირსებებით გამოირჩევა ა. ბელაშვილის პერსაჟები. მწერალი ფეხდაფეხ მისდევს თავის გმირებს და ავჯიწერს მრავალფეროვან ადვილებს, რასაც ხედავენ შიხი პერსონაჟები. იგი ბუნებას ვადმოაჯიშს რეალისტურად. ემოციურად. მის რომანებში პერზავი ყოველთვის ემსახურება პერსონაჟის მხატვრულ დახასიათებას.

მხატვრული ტიპიზაციის ერთ-ერთ ძირითად საშუალებას შეადგენს მხატვლი, სიტყვიერი დახასიათება, რაც მოქმედ პირებს აძლევს ნათელ, მკვეთრ სახეს, სიცხოველეს და მხატვრულ დამა-

ვარებლობას. თითოეულ გვირს აქვს თავისი ინტონაცია, თავისი ენა. მათი საშუალებით შევივარძობთ გვირის ყოველდღიურ ინტერესებს, მადრეცილებას და ვინებრივ დონეს. სიმაართლე, სიხსტე, სისადავე ვინაა — ზვენი ლიტერატურის არსებობი მოთხოვნაა, რომელსაც საფუძვლად უდევს კლასიკური ლიტერატურის საფუძვლად ტრადიციები. ამიტომ პერსონაჟის ენის საკითხი განუყოფელია ზასიათის პრობლემებისაგან მხატვრულ ნაწარმოებებში, პერსონაჟის ენის თავისებურება გამოწვეულია მისი ზასიათის თავისებურებით.

სიტყვის გრძნობა არის ერთ-ერთი ძლიერი მხარე ა. ბელიაშვილის პროზისა. მაგრამ ამავე დროს ნათელი, სწორად შერჩეული სიტყვების გვერდით მის ნაწარმოებებში მანივ გვხვდება გაუმართლებელი პროვინციული გამოთქმები. ალაგ-ალაგ ა. ბელიაშვილს ენის ზედმეტი გაუბრალოება ემჩნევა.

კარგად უნდა გვახსოვდეს ა. წერეთლის სიტყვები: „სხვადასხვა მხარეებში ბევრი მისთანა სიტყვებია დარჩენილი, განსაკუთრებით მთა-ადგილებშია, რომელთა გამოთქმბა და იმით... ენის შევება საჭიროა; აგრეთვე ახალი რამ სიტყვის ხმარება თუ კი სადმე პროვინციაში ვასპეტაცებულია და დედა-ენის ენონის თანახმად აღმოცენებულია, მისაბაძვია საყოველთაოდ... ამგვარად კანონიერ რამეებში რომ შევასოთ და ვავასუქოთ ქართული ენა საჭიროც არის“.

ა. წერეთელი იქვე მიუთითებს: „ის, რაც დედა-ენის წინააღმდეგ სხვადასხვა მხარეებში, პროვინციებში დაუშინიყვანათ და გაუღუქმებათ, ხელშოსახლი კი არაა, ბირიქით გასადგენია...“ რამდენად მეტ სიტყვას ღირს მწერალი, მით უფრო დიდია მისი მხატვრული შესაძლებლობანი.

საერთოდ ა. ბელიაშვილი თავისი ისტორიული რომანებით გვევლინება, როგორც მაღალნიჭიერი ხელოვანი.

• • •

ლევან გოთუას ვრცელი, ოთხწიგნიანი რომანი „გვირთა ვარამი“ შეეხება საქართველოს ისტორიული ცხოვრების უაღრესად მძიმე ხანას. ეს არის მე-16 საუკუნის მეორე ნახევარი და მე-17 საუკუნის დასაწყისი. ამ დროისათვის ჩვენი ქვეყანა დაჰსაქსელი იყო რამდენიმე სამეფოდ და სამთავროდ, ამას ემატებოდა განაზღვრების მოსურნე ქართველ ფეოდალთა თავკაცობა; საქართველოს მოსვენებას არ აძლევდნენ, არბევდნენ და აწადგურებდნენ ვარგუშ მტრები — ოსმალები, სპარსელები, შთიელი ტომები. ეს ხანა ძალზე ტრაგიკული იყო თავისუფლებისა და მშვიდობის მოყვარე ქართველი ხალხისათვის.

ლევან გოთუას რომანში ისტორიის ნამდვილი ფაქტები ქმნიან სიუჟეტურ რეალეს. მასში

მომქმედი მთავარი გვირები ისტორიულად ცნობილი პირებია. ეს არის პოლიტიკური ენციკლოპედიური კრიზისის ამსახველი მხატვრული ნაწარმოები.

ნაწარმოებში აეცილებელია მნიშვნელოვანი პრობლემის დასმა და ისტორიული სიხსტე, სიმაართლე. „გვირთა ვარამის“ სიუჟეტს განსაზღვრავს ისტორიული მოვლენები. მაგრამ ისტორიულ რომანში ისევე, როგორც საერთოდ ხელოვნებაში, მთავარია ადამიანი, უსაზო, უგვირო ისტორია წარმოუდგველია. ამიტომ ისტორიულ რომანში ისტორიულ მოვლენებთან ერთად გამოკვეთილად უნდა მოჩანდეს ზასიათები, ტიპები.

ლ. გოთუას კარგად ესმის ისტორიული პროცესის ობიექტური ზასიათი, ამიტომ მის მიერ მოვლენები წარმოდგენილია, როგორც ცხოვრების განვითარების კანონზომიერება. ამიტომ „გვირთა ვარამში“ დიდი ადგილი აქვს დათმობილი პოლიტიკური თრეგედიკის საკითხს. ამ დროს უკვე ძლიერდება ურითერობა ჩრდილოეთიდან მოახლოებულ ერთმორწმუნე ქვეყანასთან — რუსეთთან. ქართველები რუსეთიდან მოვლოდნენ მფარველობასა და დახმარებას. იმხანად ეს არ მოხერხდა, მაგრამ ვახშირდა ურითერობის ელენების გზაზე. რუსეთთან დაახლოება დიდად ამორიგებდა ოსმალი და სპარსელ მმართველებს, უპირველეს ყოვლისა შაჰაბასს. ძირითადი შოხობები, რომლითაც დაინტერესებულა ლ. გოთუა თავის ისტორიულ რომანში ეს არის ჩვენება ქართველი ხალხისა და მისი საუკეთესო შვილების თავდადებული ბრძოლის ეროვნული შეობის შენარჩუნებისა და დაეცისათვის, რომანის ცენტრში დგას კახეთის მეფე ალექსანდრე (1574-1605). იგი გონიერი და დაკვირვებული პოლიტიკოსი იყო, მაგრამ იმ ისტორიულ ვითარებაში მასაც კი უპირდაქვეყნის შემოშტკიცება და გაძლიერება. ალექსანდრე გააყვა თავისი მამის ლევან კახთა ბატონის გზას და „ერისთაველი წყობის“ ნაცვლად „მოურავული წყობა“ განამტკიცა. ალექსანდრემ ქვეყნის მართვა და ლაშქრის წიგვა ერისთავებს საბოლოოდ ჩამოართვა და მოურავებს დაუმორჩილა. სადროშეები ეპისკოპოსთ ჩააბარა. ნამდვილად კი თავის ხელში მოიქცია. მაგრამ დიდ ერისთავებს არ დაუყარათ ფარსმალი და ყოველ ხელსაყრელ პირობებში კვლავ ცდილობდნენ თავიანთი განსუზღვრელი უფლებების დაბრუნებას. ასეთი ტიპისი ფეოდალი იყო ცნობილი ნუგზარ ერისთავი, რომელსაც „გვირთა ვარამში“ სავსოდ დიდი ადგილი აქვს დათმობილი, როგორც გავლენიან და განდიდებულ მოსურნე თავისს. ცნობილია, რომ ამ გამძვინვარებული და ვერავი ერისთავის წი-

ნაღმდევ მოხვევითა ბრძოლა დახატული აქვს ალექსანდრე ყაზბეგს „ხევისბერ ვიწარში“.

კახთა ბატონი ალექსანდრე მთლიანი საქართველოსათვის იღწვის, თუმცა მისი განმორცხვებისათვის მას ყოველთვის არა აქვს სწორი გზა აჩვენელი. მას რთული დიპლომატიური ხერხებით სწორდებოდა მოქმედება, რათა მომალეული ვერაგი შეზობლის განმანადგურებელი თავდასხმებისაგან გადაერჩინა ქვეყანა.

„გმირთა ვიწარში“ განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს აშოთან მუხრანბატონის ასულს, ალექსანდრეს რძალს და მეუღლე დავით ბატონიშვილისა ქეთევანს. იგი პართიული ქალის უკეთილშობილესი სახეა, რომელიც განსაკუთრებულად შეიყვარა ჩვენმა ხალხმა. ქეთევანს ასახიფთებს ურვეულო სულგერი ძალა. იგი დღი გონებისა და ნებისყოფის მატარებელია, გამსჭვალულია საქვეყნო შეგნებით, თავისი ერისათმთი თავდადებულად სამსახურის მისწრაფებით. შემთხვევითი როლია, რომ იგი ბევრისათვის წარმოადგენს ავტორიტეტს და ალექსანდრე მეფეს ხშირად მას რჩევას კითხავს, ნაწარმოებში ქეთევანს თავისებურ რომანტიკულ, დივალურიზებულ სახეთაყ ვეუვლინება.

არასტორიული გმირებიდან საყურადღებოა ზაზა კახნიაური. რომანის დასაწყის თავებში მას საყმაოდ დიდი ადგილი უკავია. ალექსანდრე მეფემ ზაზა დიახლოვად შეიყვარა. რთულ დიპლომატიურ დავალებებს აძლევდა მას, რასაც იგი პირნათლად ასრულებდა. მოუხედავად იმისა, რომ იგი ოქანის კაცი იყო, ჰყავდა ცოლიც, მასში მთავრად მთელი სიძლიერით დაინათო სიმოქმედი ცეცხლი ლამაზი და ამაყი თამარ აილაზვარისადმი. ზაზა კახნიაური ვალტერ სკოტის ცნობილი გმირის — კვენტინ დორვარდის შორეული გამოძახილია, ბევრ რამეში მას გვაგონებს.

მუყარებოდა რა ვალტერ სკოტის ისტორიულ რომანებს, ბალზაჯი ხაზგასმით მიუთითებდა, რომ არ არის მიზანშეწონილი თხრობის ცენტრში გამოჩენილი ისტორიული მოღვაწის დაყენება. სწავრადდებელი იყო, რომ ამ გზას გაჰყვებოდა „გმირთა ვიწარში“ ავტორიც. ზაზა კახნიაური კეთილშობილური და მდიდარი მასალის აძლევდა მწერალს. მაგრამ დასაწყის თავებში ფართოდ მოხაზული გმირი შემდეგ და შემდეგ თანდათან ფერმკრთალდება და ერთგვარად ჩრდილში დგება.

ისტორიულ რომანში არსებითი მნიშვნელობა აქვს იმ შემოქმედებითი ხერხების გათვალისწინებას, რომლითაც მწერალი ალექსანდრე ისტორიულ სიანდერს. „გმირთა ვიწარში“ დიდი მრავალნაირი ფუნქციას ასრულებს. უპირველეს ყოვლისა დიდი რაოდენობით მოქმედ პირთა ვანზრახვანი, მათი ცხოვრების შემთხვევები. ხშირად რომანში დიდი რაოდენობით ფორმულის ხასიათსაც ატარებს. ერთობლივ მოქმედებაზე საუბრობენ კახეთის მეფე ალექსანდრე და ქართლის მეფე სიმონი.

„გმირთა ვიწარში“ საყმაოდ გვაქვს მთავრი, დრამატიული თავები და ეპიზოდები. ჩვენს ახრით, ასეთია პირველსა და მეორეც წინმეტყველსაკუთრებით — „ჩაუკი სიძვერსა და ქვემოთ ტონისა“, „სამ მდინარის შუა“ და მესამე წიგნში — „მთის დღოფალი“, „გლოვის მყარი“ და სხვები. სწორედ ამ და ანალოგიური თავებსა და ეპიზოდებსა წარმოადგენილი ერ. ვითუას შემოქმედებითი ძალა და მხატვრული თავისებურება. მწერალი დაძაბულად, ექსპრესიულად ხატავს აღმართების ცხოვრების მძიმე შემთხვევებს, რაც მკითხველზე ღრმა შთაბეჭდილებას ახდენს.

„გმირთა ვიწარში“ ხშირადღა ნაჩვენები ბრძოლები, ომები. ეს არც არის გასაკვირი. ეპოქაში, რომელსაც ხატავს მწერალი, ასეთი შეჩაბებები და ომები არც თუ იშვიათი იყო. ძლიერად არის წარმოდგენილი ნაწარმოებში ბრძოლა გორის ციხის აღებისათვის, სადაც ვიყავი მასთან ერთად ნაჩვენებია ქართველების მთელი საომარი ხელოვნება, რითაც სძლიეს ციხეში გამაგრებულ ძლიერ და მრავალრიცხოვან მტერს. მაგრამ ამავე დროს არ შეიძლება დავიწყება ბალზაჯის გონიერი აზრისა, როდესაც იგი ასახიფთებს ბრძოლების ხატვის ვალტერ სკოტისებურ მხატვრულ ხერხს. ბალზაჯის ახრით, ბატალური სცენების ასახვისას ვალტერ სკოტი არ მისწრაფვის ყველაფრის დაწვრილებით ოქმისებურ ასახვისაკენ, არამედ იღებს ირ-სამ ეპიზოდს და იმის მემოტივით აღადგენს მთელს სურათს, არსებობს. ამნაირ მრავალთაღვე მიანჩია ბალზაჯს სტენდალის მიერ „პარმის სავანეში“ დახატული ომის ეპიზოდი.

„გმირთა ვიწარში“ ავტორი მიმართავს ხალხურ ლეგენდებსა და სიმღერებს. ფართოდ აქვს მას გამოყენებული ხალხური ჩვენები და სანახაობანი (ყვენობა, ბურთაობა და სხვ.). ყოველივე ეს განსაკუთრებულ რომანტიკულ სილამაზეს, ერთგულ კოლორატს აძლევს ნაწარმოებს.

მოუხედავად იმისა, რომ ამ ვრცელ ნაწარმოებში მთელი მოქმედება თითქმის ბუნებაში ხდება, როგორღაც მკითხველი მთავრად სათანადოდ ეერ შეიგრძნობს ბუნებას. მწერალი არ გვიჩვენებს, თუ რა გავლენას ახდენს ბუნება აღმართის სულიერ სამყაროზე, მის გრძნობებსა და მისწრაფებებზე. ბუნების სურათები არ უწყობდეს ზღვს გმირთა ფსიქოლოგიის გაგებას. საერთოდ „გმირთა ვიწარში“ ბუნების როლი ძალიერ მკრთალია, არ ეხმარება ხასიათების გახსნაში, სიუჟეტურ განვითარებაში.

„გმირთა ვიწარში“ მრავალნაირი სიუჟეტური ხაზებით ვითარდება შეიძლება ითქვას, რომ მას ასახიფთებს ერთგვარი ფხივერი კომპოზიკია, მოქმედება ვითარდება სხვადასხვა განსაერში. თავების ომეტესობა ახალ დამოუკიდებელ სურათს წარმოადგენს, სადაც იცვლებიან გმირები და დეკორაციებიც, ავტორს თავის რომანში ხშირად შეაქვს ცალკეული ნოველისებური თავები, რაც გამოცალკეებულა სიუჟეტური

მთლიანობაში და ერთგვარად კიდევ ეთიშება ნაწარმოებს მთლიან კომპოზიციას, იწვევს სიუჟეტური კავშირების შესუსტებას.

„გმირთა ვარაში“ ზოგჯერ საქმე გვაქვს ენის თვითმწიფრ ნატურალისტურ სტილიზაციასთან. მწერლის მიერ ნახშირი ძველი სიტყვები და გამოთქმები, აგრეთვე ნეოლოგიზმები ძველ რენ, როგორც რომანტიკული დეკორატივი. „გმირთა ვარაშის“ ავტორი ხშირად სიტყვებს აერთებს, აკავშირებს თვითნებურად, სრულიად უწესრიგოდ, რის გამოც წინადადება ხდება ან გადაუკეთილი, გაწყვეტილი, ან არასამკაოდ შემქვირებული, გაუმართავი.

მიზეზი კეკელიძის ნაწარმოება — „ბრწყინვალე ვარსკვლავის შაძიებელი“ — ასახავს მგზვიდმეტ საუკუნის მეორე ნახევრისა და მეოთხრამეტე საუკუნის პირველი ათეული წლების საქართველის საზოგადოებრივ ცხოვრებას, ფეოდალური ურთიერთობის რღვევის პროცესს და უცხოელ დამპყრობთა განუწყვეტელ შემოსევებს. რომანში ასახული ისტორიული ვითარება მოიცავს დიდი ქართველი მწერლისა და მოღვაწის, შშობელი ქვეყნის განსახლებურად მოსიყვარულე და თავდადებულ მოჭირნახულე შეილის სულხან საბა ორბელიანის დაბადებისა და გარდაცვალების (1658-1725) წლებს შორის მომხდარ მოვლენებს.

რომანის მთავარი იდეა — ქართველი ხალხის ბრძოლა ქვეყნის ერთიანობისა, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. მართალია, ფრთხილად, მაგრამ მაინც ამ პოლიტიკას უღებს საფუძვლად მთელი თავის საქვეყნო საქმიანობას მეფე ვახტანგ მეხუთე. მისი მიზანი იყო ერთი მთლიანი საქართველოს აღდგენა, ქართლთან შემოშტკიცება კახეთისა და იმერეთისა.

მაგრამ ირანისა და თურქეთის ვერავლელი პოლიტიკა არ იძლეოდა საშუალებას ქვეყნის შემომტკიცებისათვის. თვით სამეფო კარზე და მთავრებს შორის არსებობდა სხვადასხვა ორიენტაციის დაჯგუფებები. მათ შორის დაუპირისუფელი შეჯახებები და ბრძოლები წარმოებდა, რასაც კარგად იყენებდნენ ჩვენი ქვეყნის მოჭლენი და დამპყრობნი, მიხ. კეკელიძის რომანში მართალს ამბობს მუხრანის ბატონი ვახტანგი, როდესაც ახასიათებს ირანის შაჰის ვერავლელი პოლიტიკას საქართველოს მიმართ: „შაჰს რა ენაღვლება შაჰისათვის უკეთესი არაა, თუ აქ არეულობა იქნება? ერთმანეთს წაგვასინთებს, ერთმანეთს ამოგვაბოციუნებს, მრევ ვაიციუნებს და იტყვის: „ლდ არა-ალაჰი, რომელიც გმრავლ ლეჰას“ — გურჯისტანს პირიდან არ მაყლისა“.

მიხ. კეკელიძის ნაწარმოებში დიდი ყურადღება აქვს მიქცეული სოციალური ურთიერთობის საკითხებს. ქართველმა თავდაზნაურებამ დიდად გააძლიერა დაბალი ფენების შევიწრო-

ება და ექსპლოატაცია, რამაც ძალზე დააღსრტა გლეხობა, კიდევ უფრო გაუროთლა მას არსებობის პირობები. რომანში ნაწვეწვეწვეწვეწვის ხის, ყმა-გლეხობის მიმე ცხოვრება: „...
ამ უსამართლობას უყურებდა სულხან საბა ორბელიანი და მის აღმფოთებას საზღვარი არ ჰქონდა; რომანში ნაჩვენებია როგორ გამოუსარჩლა საბა გლეხს, მაგრამ დამიკრიბული და შეურაცხყოფილი გლეხი სთხოვს სახას „შენი ქირაზე, ბატონს ნურას აწყენინებ, თორემ ხიდისშენში დედაბუღიანად მომთხრის, ლეკთში ტყვედ გამჟიდის!“

მიუხედავად ცხოვრების ასეთი საშინელი პირობებისა, ხალხი, ყმა-გლეხობა თავისი სამშობლოსათვის თვალდაუღელი იყო, ერთგულად, გმირულად იბრძოდა შშობელი ქვეყნის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. რომანში არა ერთჯერის არის ეპიზოდურად ნაჩვენები ხალხის ასეთი სანაბელი შეილები.

ამ ადამიანებს ახასიათებთ უმწიკლო გრძნობა, მაღალი პატრიოტიზმი, კეთილშობილება, ჰუმანიზმი და ადამიანობა. ეს უბრალო ადამიანები ფეოდალებში ჰედავდნენ ქვეყნის ორგულებას და მოლაღატებს, დაუნდობელსა და ბიროტ მტრებს. სამაგიეროდ, თვითონ გლეხები ძლიერად ამღვანებდნენ მაღალ პატრიოტულ შეგნებას. საქმარისია დავასახელოთ იოთამ ამილახვარის სამფლობელოდან გამოქცეული ყმა-გლეხი დამო გელაძე, რომელიც დიდ სახელმწიფოებრივ დეაღებებასც ასრულებს და იბრძვის ქვეყნის სიმტკიცისათვის.

არანაღებ საშინელი და შემარწმუნებელია მოტაცებული და გაყოფილი ქართველების ბედო, რომელთაც სულხანსაბა ორბელიანი მრავლად შეხვედრია თავისი მოგზაურობის დროს დასავლეთის ქვეყნებში. რომანში იღწერილია სახას ყოფნა მალთაზე და იქ ქართველ ტყვეებთან შეხვედრა.

ამ მიმე ისტორიულ ვითარებაში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა სულხანსაბა ორბელიანი. მკითხველი დამაბული ადევნებს თვალ-ყურს მის ცხოვრების პერსპეტებს. იგი მკითხველის წინაშე წარმოსდგება მრავალფეროვანი მოღვაწედ, ქვეყნის გაეროთანებასა და განმტკიცებისათვის დაუცხრომელ მებრძოლად. საბა ხალხის მოსარჩლეც არის, ვერ ურიგდება მებატონეების თვინებობასა და უსამართლობას ყმა-გლეხობისადმი. იმ ხანად ჩვენს ქვეყანას არ ჰყოლია სულხანსაბა ორბელიანზე გონიერი და ბრძენი ადამიანი.

1725 წლის 26 იანვარს მოსკოვის შახლოზლად, სესენცყაში თავისი სიცოცხლე დამთავრა საქართველოსათვის ნაწამებმა სულხანსაბა ორბელიანმა. მან ანდერძად დატოვა ქართველებს ზრუნვა შშობელი ქვეყნისათვის და იმედო ბედნიერი ცხოვრების მოპოების მომავალში.

თითქმის რომანში მოცელობით დიდი ადგო-

ლი არ ეჭირავს სულხან საბა-ორბელიანს, მაგრამ ნამდვილად ნაწარმოების მთავარი გმირი იგი არის. შეიძლება ითქვას, რომ თავისი ეპოქის ისტორიული მოვლენების ცენტრში იდგა „სიბრძნე-სიკრთისა“ და „სიტყვის კონის“ ავტორი, როგორც სახელმწიფო მოღვაწე და მწერალი.

მის კვლეობის ნაწარმოებში ეპიზოდურად გამოჩნდება ჯერ პატარა ბავშვი, შემდეგ ახალგაზრდა, დაუცავებული და ვერცხამიანი. ხანდაზმული სულხანსაბა ორბელიანი და ქაბუცი და ვერცხამიანი ხვდებიან ერთმანეთს და საუბრობენ საქვეყნო საქმესა და პოეზიაზე.

ასე ფართოდ არის დახატული ამ ნაწარმოებში ისტორიული პანორამა.

სულხანსაბა ორბელიანს ცხოვრების მრავალი ღირსშესანიშნავი შემთხვევა რელიეფურად არის დახასიათებული ამ ნაწარმოებში. ჩვენი ქვეყნის მოწინავე შეილები ოცნებობდნენ სტამბის გახსნაზე, სადაც დაიბეჭდებოდა ქართული წიგნები, შემდეგ — ჩვენი კულტურის გაფანტული ძეგრის ძეგლების შეგროვებასა და გამოქვეყნებაზე. ამ დიდი ნაციონალური საქმის ცენტრში იდგა სულხანსაბა ორბელიანი. ეს ის ხანაა, როდესაც თვითონ საბა თავგამოდებით იღწვოდა თავისი „სიტყვის კონისთვის“, რომლის დამუშავებას მან მრავალი წელი მოანდომა. სხვები კოდევ „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერების შეგროვებასა და მისი ტექსტის დადგენა-დაბეჭდვაზე ზრუნავდნენ.

ამ ნაწარმოებში ისტორიული სინამდვილე ნაჩვენებია, როგორც განსაზღვრული ადამიანების ხასიათები და ფსიქოლოგია. ავტორი თავის გმირთა ბედს ყოველთვის უკავშირებს დიდ ისტორიულ მოვლენებს.

რომანში არ გვხვდება ისტორიული მასალის ხელოვნური მოდერნიზაცია, თუმცა, ამავე დროს, მასში ხანდახან შეიქმნება „ანტიკონიზმები“, ფაქტებისადმი უფროსად და მოვლდებულბა; ამას გარდა ნაწარმოებში ზოგჯერ, მხატვრული ჩვენების ნაცვლად საქმე გააქვს პოპულარულ-ქრონიკალურ თხრობას. თან, მაგრამ მთავარი ისაა, რომ ავტორი ისტორიული კვშიარტების საფუძველზე დგას, წარსულის მოვლენებისა და ადამიანების მართებულ გავებას გვაძლევს.

ნაწარმოების ენა სადა და ბუნებრივია.

ამ ჩვენს მიმოხილვიდან ცხადი ხდება რომ ქართველ პროზაიკოსებს თავიანთ ნაწარმოებებში აინტერესებთ კრიტიკული, გარდატეხილი ეპოქების დიდი პრობლემები, სოციალურ-ისტორიული და ეროვნულ-პატრიოტული პრობლემები. მრავალფეროვანია ამ რომანებში წარმოდგენილი ისტორიული ხასიათები და ტიპები. ქართველი საბჭოთა მწერლებს ოსტატობისათვის დამახასიათებელი თხრობის დრამატულობა და არა უბრალო ქრონიკებური გადმოცემა მოვლენებისა.

ისტორიულ-მხატვრულ ენაში მომწევე ქართველი მწერლები ნაკლებ ყურადღებას აქცევენ რეველუციური მოძრაობის განვითარების ეპოქის მოვლენებსა და ადამიანებს. ეს სერიოზული ხარვეზია.

თანამედროვეობისადმი განსაკუთრებულ ყურადღება არ გამოიჩინებს, რომ შემდეგში ჩვენმა მწერლებმა გაამახვილონ ყურადღება ქართველი ხალხის ისტორიულ წარსულისადმი, მისი სახელოვანი რეველუციურ-განმათავისუფლებელი ბრძოლებისადმი.

ნორა ნათაძე

„ვეზნისტყაოსანი“ და კულტურის ისტორია

თუ ადრე ვეროპელ მეცნიერთათვის და მათთან, მსოფლიოსათვისაც, ბერძნული და რომაული ანტიკა ყოველი სრულყოფის სწორუპოვარი ნიმუში იყო, შემდეგში მას სრულყოფილებიან მეთოქედ არაბულ-სპარსული, ინდური, ბაბილონური და სხვა კულტურები ამოუდგა გვერდში.

ქართულ კრიტიკასა და ლიტერატურათმცოდნეობას საერთოდ და რუსთაველის შემსწავლელ მეცნიერებას კერძოდ, ამ ახალ პირობებში ახალი დიდი ვალი ეყისრება. გარდა კონკრეტული ფილოლოგიური საკითხების გადაწყვეტისა, მან უნდა შეიმუშაოს დეტალური, ფართო და დასაბუთებული თვალსაზრისი რუსთაველის შემოქმედების იდეურ და მხატვრულ რაობაზე, მან უნდა მსოფლიო ლიტერატურის ფართო კონტექსტში განსაზღვროს პოემის იდეური და ესთეტიკური ღირებულება და როგორც ქართველ მკითხველს, ისე ჩვენი კულტურით დაინტერესებულ უცხოელს, რომელსაც ადეკვატური თარგმანი არა აქვს ხელთ, ამ ფნიკალური ძეგლის გაგებაში დაეხმაროს. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ეს მაღალი მისია რთულია და დღეს, სამწუხაროდ, სრულად არ არის აღსრულებული: ვერც იმ ცალკეულ ფილოსოფიურ და მისტიკურ იდეებზე მითითება, რომლებიც რუსთაველმა სხვებზე ადრე და სხვებზე სრულად გაიზიარა; ვერც იმის დამოწმება, რომ პოეტმა ქრისტიანული აზროვნება სხვებზე ადრე უარყო (თუ ამ მტკიცების ავტორთა მსჯელობას გავყვებით, უფრო ზუსტი იქნება რომ ვთქვათ: უგულვებელყო); ვერც პოემის

პერსონაჟების იმ მორალურ სათნოებათა ხაზგასმა, რომლებიც რუსთაველის დროინდელი სპარსული პოეზიის პერსონაჟებს აკლიათ, ვერ გვიხსნის რუსთაველის შემოქმედების მთელ სირთულეს და ვერ გვიხსნის მის სიდიადეს. ყოველივე ეს მხოლოდ ცალკე დეტალებია: ცალკე შეუმჩნეველი დინებებია იდეათა და ინტელიციურ ჩაწვდომათა იმ ფართო ნაკადში, რომელსაც რუსთაველის პოემა წარმოადგენს. ამ დინებათა გარჩევა და დაცალკაება, პოემის ამომწურავი, სრული და სისტემატური ახსნა და შეფასება მის წინამორბედთა, თანამედროვეთა და მომდევნო მოაზროვნეთა ფონზე დღესაც ძველებურადვე აქტუალურ ამოცანად რჩება.

ჩვენი მიზანია საკითხთა ამ რთული კომპლექსიდან ორი გამოვყოთ, ერთი: როგორია „ვეზნისტყაოსნის“ პრობლემატიკის დონე მის დასავლელ და აღმოსავლელ თანამედროვეებთან შედარებით? და მეორე: რას წარმოადგენს პოემა „რენესანსის“, ე. ი. იმ კულტურული მოვლენის თვალსაზრისით, რომლისადმი დამოკიდებულებაც, მართებულად თუ უმართებულად, ტრადიციის ძალით, შუასაუკუნეების ყველა მოაზროვნის შეფასებაში საყოველთაო ეტალონადაა ქცეული.

„ვეზნისტყაოსნის“ მსოფლმხედველობრივი დონე, ისტორიული თვალსაზრისით მწერლის შემოქმედების აზრობრივი დონის შეფასებისას პასუხი უნდა გაეცეს ორ მთავარ კითხვას, პირველი: დგას თუ არა იგი თავისი უშუალო გარემოს ინტელექტურ მოთხოვნილებათა დონეზე, წარმოადგენს თუ არა იგი ამ

დონეზე, წარმოადგენს თუ არა იგი ამ გარემოსთვის რაიმე ორიგინალურს? და მეორე: თვით ეს კულტურული ორბიტი, რომელშიაც მწერალი ტრიალებს, და მისი ფილოსოფიური, საზოგადოებრივი თუ უბრალოდ ადამიანური პრობლემატიკა უსწორდება თუ არა სხვა თანამედროვე საზოგადოებათა კულტურული განვითარების დონეს? იმისთვის, ვინც რუსთაველსა და მისი ეპოქის ქართულ კულტურას ცოტათი მიინც იცნობს, პირველი კითხვის პასუხი, ვფიქრობთ, ნათელია. რაც შეეხება მეორე საკითხს, ეს ისტორიული საკითხია, კონკრეტული ეპოქის კონკრეტულ პრობლემებთან დამოკიდებულებაში თეორიული და ქრონოლოგიური უპირატესობის საკითხია და როგორც ასეთი, დასაბუთებულ განხილვას ექვემდებარება.

ჩვენ არ შევჩერდებით ანტიკური ფილოსოფიისა და ქრისტიანული რელიგიის იმ ცალკეულ გამოძახილებზე, რომლებიც „გეფხისტყაოსანში“ გაბნეული და ჩვენთვის მხოლოდ ის მნიშვნელობა აქვთ, რომ მოწმობენ რუსთაველის ნაცნობობას ამ კონცეფციებთან. შევეხებით მხოლოდ ძირითად ფაქტებს, რაც რუსთაველის დროის მსოფლმხედველობასთან დამოკიდებულებას და ამ უკანასკნელის ფონზე მისი ორიგინალობის ხარისხს შეეხება.

შუასაუკუნეთა ფილოსოფიური და თეოლოგიური აზროვნების ძირითადი წყაროები (ყოველ შემთხვევაში, იმ აზროვნებისა, რომელიც ვიწრო სექტანტობაზე ამაღლდა და რომელსაც ნამდვილად შეიძლება ეპოქალური მსოფლმხედველობა ვუწოდოთ) ცნობილია: ეს არის ქრისტიანობის დოგმა დასავლეთისა და აღმოსავლეთის ნაწილისთვის, ისლამის დოგმა (ქრისტიანობისაგან დიდად დავალებული) არაბულ-სპარსული სამყაროსთვის და ანტიკური ფილოსოფია, ძირითადად პლატონის, არისტოტელეს და ნეოპლატონიკოსთა სა-

ხით. ამათში არისტოტელეს გავლენა, რომელიც შედარებით მოგვიანარ ხანიდან ძლიერდება, უფრო მნიშვნელოვანი ხასიათისაა: იგი ძირითადად მუსულმანურ მეტყველების, ლოგიკის, დიალექტიკის, შემეცნების თეორიის სფეროს შეეხება. პლატონისა და ნეოპლატონიზმის რელიგიურ-მისტრიკურის სისტემები კი ამ დროის აზროვნებას უფრო ზოგად საკითხებში: — ონტოლოგიის, ეთიკის, რელიგიური განცდის ფილოსოფიურად გააზრების სფეროში კვებავს და როგორც ქრისტიანობის, ისე ისლამის (კერძოდ, ისლამური მისტრიციზმის — სუფიზმის) ფილოსოფიურ საფუძვლებს სწორედ ამ დარგში ქმნის. შუასაუკუნეთა არც ერთი მოაზროვნე (დანტეს ჩათვლით, რომელიც აბალი დროის საზღვარზე დგას) დროის მსოფლმხედველობის ამ მიგნებებს, თუ არ ცალკეულ დეტალებში, არ გასცილება, მით უმეტეს, არცერთი პოეტი, რომლის პროფესიულ კომპეტენციაში ფილოსოფიის უფრო კონკრეტული საკითხები არც შედის. ამ საერთო საფუძველზე კონკრეტული სოციალური ტენდენციების, მეტ-ნაკლებად შემთხვევითი ლიტერატურული გავლენების, პირადი ტემპერამენტისა და უნარის შესაბამისად შენდება ცალკეულ პიროვნებათა საკუთარი მსოფლმხედველობა, რომელშიაც დროის წარმოდგენები მეტ-ნაკლები სიღრმით აისახება. რუსთაველის საკუთარი მსოფლმხედველობაც, რა თქმა უნდა, ამ საერთო წყაროებიდან იწყება.

პირველი, რაც „გეფხისტყაოსნის“ ამ თვალსაზრისით განხილვის დროს ითქმის, ისაა, რომ რუსთაველს, თუმცა მის ქმნილებაში პროფესიული ფილოსოფიის ძიება აბსურდი იქნებოდა, ფილოსოფიური მსოფლმხედველობა, ანუ სამყაროს წყობის და მასში ადამიანის ადგილის პრობლემის ცხოველი შეგრძნება და გააზრება აქვს, რაც უმაღლესი რანგის ნაწარმოებად მისი პოემის ცნობისათვის პირველს და აუცილებელ პირობას შეადგენს. ამის ხაზგასმა არც ისე ზედმეტია, თუ გავიხსენებთ, რომ

არა მარტო შუასაუკუნეების, არამედ რენესანსის დროის ევროპული აზროვნებისათვის სამყაროს წყობისა და მის პირველშიზეხთა პრობლემები, ჩვენი დროისაგან განსხვავებით, მხოლოდ სპეციალისტის კუთვნილება არაა; ეს პრობლემები ყოველი მეტ-ნაკლებად მასშტაბიანი მოაზროვნის ინტერესთა სფეროში შემოდის. რაგინდ ბრწყინვალე პოეტური და ადამიანური მომხიბლობითაც უნდა იყოს აღბეჭდილი ამ დროის ნაწარმოები, თუ მას კოსმიურ ძალთა განცდისა და გააზრების ეს მომენტი აკლია, ჩვენ მას თუ მეორე რანგში არ ვაყენებთ, ყოველ შემთხვევაში, მსოფლმხედველობრივ ნაწარმოებთა რიგიდან მაინც გამოვრიცხავთ“ (მაგ., „ნიბელუნგების სიმღერა“, „სიმღერა როლანდზე“, „ტრისტან და იზოლდა“, „ვისრამიანი“, პროვანსული პოეზია და სხვა). მეორე ისაა, რომ რუსთაველის მსოფლმხედველობის ეს ფილოსოფიური საწყისი არის ყველაზე მაღალი დონის, რაც კი იმ ეპოქაში შესაძლებელი იყო. კერძოდ, იგი იმ დროის მეტად განვითარებული რელიგიის — ქრისტიანობის ყველაზე რთულსა და მაღალ ნაწილს — ნეოპლატონურად დასაბუთებულ მეტაფიზიკას ეყრდნობა.

კარგად ცნობილია, რომ ნეოპლატონური მეტაფიზიკა და თეოლოგია, რომელიც ქრისტიანობამ თავისი დოგმის დასაბუთებისათვის გამოიყენა, იყო ყველაზე მაღალი მწვერვალი, რასაც კი შუასაუკუნეთა ქრისტიანობამ ფილოსოფიური დონის მხრივ მიიღწია და რამაც ის სხვა თანამედროვე რელიგიებსა და სექტანტურ რწმენებზე აამაღლა. ნეოპლატონიზმის წარმართული მოძღვრება — უკანასკნელი და ყველაზე სრული ანტიკის ფილოსოფიურ სისტემათა შორის — თავისი „განათლებული“ ეპოქის მაღალ სპირიტუალურ მოთხოვნილებებს უპასუხებდა და მხოლოდ იმიტომ დამარცხდა ქრისტიანობასთან ისტორიულ ბრძოლაში, რომ უფრო რაფინირებულ და ძნელად მისაწვდომ სა-

ხეს ატარებდა. ეს ანტიკური მოძღვრება იძულებით შეიჭრა ქრისტიანობაში, როგორც კი ეს უკანასკნელი პრიმიტიულ სექტანტობის ფარგლებს გასცდა და ფილოსოფიურად გაწვრთნილი გონებისთვის განკუთვნილი სისტემის შექმნის ამოცანა დაისახა. სწორედ ეს რთული მეტაფიზიკური სისტემა, ქრისტიანულად გადამშუშავებული ანტიკური ფილოსოფიის ბაზაზე შექმნილი „მაღალი“ ქრისტიანული თეოლოგია უტყუარად ჩანს რუსთაველის პოემაში და მისი მსოფლმხედველობის საკუთრივ ფილოსოფიურ საფუძველს ქმნის.

მას შემდეგ, რაც ნ. მარმა პოემაში რამდენიმე ნეოპლატონურ სტროფზე მიუთითა, რუსთაველის ნეოპლატონიკობა (უკეთ, მისი ნეოპლატონიკობის ხარისხი) განუწყვეტელი დისკუსიის საგნად იქცა. ნეოპლატონიზმის აშკარა ანარეკლი პოემის მრავალ სტროფში გვაქვს:

„ვის სამზღვარსა დაუსამზღვრებს, ზის
უკვდავი ღმერთი ღმერთად;
იგი გახდის წამის-ყოფითი ერთხა
აბად, ახსა ერთად“; (792)

„იგი შევბა საუყუნოს ცხადად
პოენეს, არ იოცნეს,
ერთხა მიხვდეს საზიაროდ;
ღადეზანი იაბოცნეს“; (1455)

„ღამშლიან ჩემნი კეჟირნი,
შევრთივარ სულთა ხირასა“; (884)

„ამ საქმესა დაჭარულსა
ბრძენი დიუნოს ვანაცხადებს,
ღმერთი კეთილს მოაღიანებს
და ბოროტსა არ დაბადებს,
აესა წამ-ერთ შეამოკლებს, კარგსა
ხანგრძლად გააცვლადებს,
თავსა მისსა უკეთესსა უხადო ჰყოფს,
არ აზადებს“; (1492)

„ყველაკი ღმერთსა მამდლობს,
გაამდლეს მათნი ხმანი;
თქვეს: ბოროტთა უმყოფოო,
კეთილნი შენთვის მზანი“ (1509)

მოყვანილ სტროფებში პირველი და მეორე შეიცავს მითითებას ნეოპლატონურ ერთისა და მრავლის (კონკრეტუ-

ლად: ასის, რომელიც ერთხელ რითმისთვის „ასოცად“ იცვლება) მეტაფიზიკაზე; მესამეში პირდაპირაა გამოყენებული ნეოპლატონური სულთა „სირის“ ანუ რიგის წარმოდგენა და ტერმინი; მეოთხეში და მეხუთეში გამოხატულია „ბოროტთა უარსობის“ კონცეფცია, რომელიც აგრეთვე ნეოპლატონიზმიდან მოდის და ქრისტიანულ ეთიკას (როცა ის ფილოსოფიურად საბუთდება და არ წარმოადგენს მხოლოდ გაუბრალოებულ სტოიციზმს, როგორც ეს ქრისტიანობის პირველ წყაროებში გვაქვს) საფუძვლად უდევს; ნეოპლატონური ცნებები და წარმოდგენები პოემის სხვა ადგილებშიაც გვხვდება, მაგრამ რადგან ეს წარმოდგენები უფრო ზოგადია, ვიდრე ნეოპლატონური სისტემა (სხვა ფილოსოფიურ სკოლებშიც გვხვდება), ამიტომ მათ აქ აღარ შევხვებით.

მოყვანილი სტროფების საფუძველზე რუსთაველის ნეოპლატონური მოტივების ხაზგასმის წინააღმდეგ ორი სახის საბუთები მოჰყავთ: საკუთრივ ფილოსოფიური (ონტოლოგიური) და უფრო ზოგადი, ტემპერამენტისა და საერთო განწყობილების სხვაობაზე დამყარებული. ჩვენ არ გვგონია, რომ პოემის ნეოპლატონურ მოტივებს ჩვენი საკითხისათვის გადაწვევები მნიშვნელობა ჰქონდეს, რადგან შორს ვართ იმ აზრისაგან, რომ რუსთაველის ღირსების ძირითად საზომად მისი ამა თუ იმ ფილოსოფიურ მოძღვრებისადმი დამოკიდებულება მივიჩნიოთ. მაგრამ ვინაიდან რუსთაველის ქრისტიანობა აღიარებული ფაქტია, და პოეტის ნეოპლატონიზმის უარყოფა ფაქტიურად მისი ჰორიზონტის საბარებით შეზღუდვას უდრის, ამ საბუთებზე მოკლედ მაინც შევჩერდებით.

ონტოლოგიური ხასიათის არგუმენტაცია რუსთაველის ნეოპლატონიზმის წინააღმდეგ ემყარება, ძირითადად, ნეოპლატონური ემანაციონიზმის შეცვლას პოემაში მკვეთრად გამოხატული ქრისტიანული კრეაციონიზმით: იმ დროს, როცა ნეოპლატონიზ-

მისთვის სამყარო წარმოადგენს ერთის (ანუ ღმერთის) საფეხურებრივი ემანაციის შედეგს, ქრისტიანობისთვის ღმერთი არის ტრანსცენდენტი, რომელმაც თავისუფალი ნების აქტით შექმნა ქვეყანა არაფრისაგან. რუსთაველთან, როგორც ქრისტიან მოაზროვნესთან, წინააღმდეგ ნეოპლატონიზმისა, ღმერთი წარმოდგენილია როგორც სამყაროს შემქმნელი და არა მხოლოდ როგორც მისი პირველწყარო („რომელმან შექმნა სამყარო“... „ვინ დამბადა...“ და უამრავი სხვა); უფრო მეტიც; თვით „ბოროტთა უარსობის“ კონცეფცია, რომელიც პოემის ფილოსოფიურ ღერძს წარმოადგენს, პოემაში იმის ანალოგიურ ცვლილებას განიცდის, რაც ერთის მეტაფიზიკას მოუვიდა: იმ დროს, როცა ნეოპლატონიზმისთვის ერთი ანუ ღმერთი თვით არის სიკეთე („კეთილობაი“ პეტრიწის ტერმინით) და ყველა საგანი ამ ქვეყნად იმდენად და იმ ზომით არის კეთილი, რამდენადაც იგი ამ ერთის ანუ სიკეთის ემანაციას წარმოადგენს, რუსთაველისთვის ღმერთი არის შემქმნელი სიკეთისა და არ დამბადი ბოროტისა, რაც წარმოადგენს ამ ნეოპლატონური კონცეფციის გარდატეხას ქრისტიანული კრეაციონიზმის მიხედვით. ასეთი ცვლილების აუცილებლობის სასარგებლოდ ვრცელი არგუმენტაცია შეიძლება. აქ აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ქრისტიანობა, რომელმაც ნეოპლატონური მეტაფიზიკა თითქმის მთლიანად ისესხა, ძალიან კარგად ახერხებს ამ მეტაფიზიკასთან ტრანსცენდენტური პერსონალური ღმერთი — შემოქმედის შეთავსებას. ეს თუნდ იქიდან ჩანს, რომ ნეოპლატონური ქრისტიანული თეოლოგიის ორი მთავარი ავტორი — ფსევდო-დიონისე¹ და ნეტარი ავგუსტინე — ორივე აშკარად გამოხატული კრეაციონისტია.

1. ეს ის დიონისეა, რომელიც შ. ნუეზომიძე და ე. პონიგვანია ქართველ ბერს — პეტრე იბერს გაუიგივებს.

რაც შეეხება მეორე სხვაობას, ის ტემპერამენტის, მსოფლშეგრძნების, პოემის ზოგადი განწყობილების სფეროს ეხება და, ამდენად, პოემის გაგებისთვის უფრო არსებითი მნიშვნელობა აქვს: ნეოპლატონიზმი, როგორც „სიკვდილის ფილოსოფია“ (მ. გოგიბერიძე), როგორც საწუთროსადმი ზიზღისა და ზურგის შექცევის ფილოსოფია, ამ არგუმენტის ავტორთა სიტყვით, „შეუთავსებელია რუსთაველის საღ მსოფლმხედველობასთან.“

რა შეიძლება ითქვას ამ საბუთის საწინააღმდეგოდ? ნეოპლატონიზმის მსოფლშეგრძნება, რომელიც ანტიკური სამყაროს უმაგალითო რღვევა-განადგურების მომსწრეთა ბუნებრივი სასოწარკვეთილებიდანაა აღმოცენებული და ნუგეშს მიღებული სამყაროს ინტელექტუალურ-ექსტატურ ჰერეტაში ეძებს, რუსთაველისთვის, რაღა თქმა უნდა, სრულებით უცხოა. მაგრამ უცხოა არა იმიტომ, რომ რუსთაველი ამ მსოფლშეგრძნების ფილოსოფიურ მხარეს არ იცნობს ან არ იზიარებს, არამედ მხოლოდ იმიტომ, რომ რუსთაველი სხვა დროის შეილია და როგორც ასეთს, ამ ქვეყნის თუ იმ ქვეყნის ღირებულებაზე სხვა ინტუიციური წარმოდგენა აქვს. მაგრამ ეს მხოლოდ მსოფლშეგრძნების, — ტემპერამენტისა და განწყობილების მომენტი და არა მსოფლმხედველობის. ამიტომ მხოლოდ მის საფუძველზე რაიმე დასკვნის გამოტანა რუსთაველის მსოფლმხედველობის შესახებ ისეთივე შეცდომა იქნებოდა, როგორც თანამედროვე ადამიანთა გუნებ-განწყობილებაში საერთოს ძიება იმ საბუთით, რომ ყველა ისინი თანამედროვე მეცნიერულ

მსოფლმხედველობას იზიარებენ, თვით ნეოპლატონიზმის მამის — პლოტინის ფილოსოფიაში მსოფლშეგრძნებითი მხარე უფრო ახალია, ვიდრე მისი მეტაფიზიკის არსებითი მომენტები, რომლებიც პითაგორასა, პლატონისა და პარმენიდესგან მომდინარეობენ, მაგრამ პლოტინისებური სპირიტუალიზმი და ინტელექტუალური სევდა არ მოუციოთ. ნეოპლატონური მეტაფიზიკა და ეთიკა, პირველ ყოვლისა, მაინც დროის ფილოსოფიური წარმოდგენაა (თუმც არა ერთადერთი და არა ყველასთვის მისაწვდომი) და, როგორც ასეთი, დამეტრალურად საწინააღმდეგო მსოფლშეგრძნებებს შეიძლება უთავსებოდეს. ცალკე მოაზროვნის და მით უმეტეს პოეტის ინდივიდუალობა იქ იწყება, სადაც დროის ეს საერთო ფილოსოფიურ - მსოფლმხედველობრივი საფუძვლები თავდება და მეორის შესახებ პირველის მიხედვით ვერაფერს დავასკვნით. ლიტერატურის ისტორია საგნა მავალითებით, როცა ერთი და იგივე მსოფლმხედველობრივი საფუძვლები სრულებით განსხვავებული ემოციური მიმართულების შემოქმედებას აძლევს გასაქანს. მაგ., ისლამური მსოფლმხედველობიდან მართლმორწმუნე მუსლიმანის რიგორიზმიც გამოდის, სუფი მისტიკოსის ვნებიანი სპირიტუალიზმიც, ომარ ხაიამის მეამბოხე სევდაც და მკრებლური ჰედონიზმიც. ამიტომ რუსთაველის მსოფლმხედველობაზე რაიმე დასკვნის გამოტანაც მხოლოდ იმის მიხედვით, რომ მისი ინტერესის ცენტრში ეს ქვეყანაა და არა ის ქვეყანა, პრინციპში უმართებულოა.

ამრიგად, ვერც საკუთრივ ფილოსოფიური, ვერც მსოფლშეგრძნებითი ხაზათის საბუთები რუსთაველის მსოფლმხედველობის ნეოპლატონურ მომენტებს ვერ ჩრდილავს. მაგრამ შედის თუ არა ეს სამყაროს წყობის პრობლემატან მორკინე მეტაფიზიკა, რომლის შემქმნელი, რასაკვირველია, თვით რუსთაველი არ არის, აუცილებელ შემადგენელ ნა-

1. მ. გოგიბერიძე, „ვეფხისტყაოსანი და ნეოპლატონიზმი“, გაზ. „კომუნისტი“, 1938, № 35. მ. გოგიბერიძის ამ წერილს ეყრდნობა ქ. ქაიკელაძე თავის არგუმენტაციას რუსთაველის ნეოპლატონიზმის წინააღმდეგ. ამავე საბუთს ეყრდნობა გ. ნადირაძე.

წილად მის საკუთარ მსოფლმხედველობაში? სხვანაირად რომ ვთქვათ, არის თუ არა რუსთაველის წინაშე დასმული საკუთარი ადამიანური პრობლემები იმ რანგისა, რომელიც მეტაფიზიკურ საკითხებში კონცეფციის არსებობას და, შესაბამისად პირობებში, მეტაფიზიკურ დასაბუთებას საჭიროებს?

პოემის ძირითადი პრობლემა — კაცისა და სოფლის, ანუ ადამიანისა და გარესინამდვილის ურთიერთდამოკიდებულება — არსებითად, ფილოსოფიური, ყოველ შემთხვევაში, ცენტრალური მსოფლმხედველობრივი პრობლემაა. ეს პრობლემა, რომელსაც ქრისტიანულ შესაბამისებებში ადამიანის უკვდავი სულისა და ცოდვილი ქვეყნის ურთიერთობის პრობლემის სახე ჰქონდა, ნამდვილად ამ ერთ ეპოქაზე უფრო ზოგადია, იგი ფაქტობრივად კაცობრიობის სულიერი განვითარების მთელი ისტორიის კონკრეტულ შინაარსს შეადგენს. აღმოსავლური მითოლოგიისა და იობის წიგნებიდან მოკიდებული, სადაც ადამიანი და მისი ბედი ღვთის უბრალო სათამაშოა, ბერძნულ ტრაგედიაში და „შაჰნამეში“, სადაც ადამიანის ნებას გარდევალა ბედისწერა უპირისპირდება, ელინისტური ეპოქის მისტიკური სისტემებით დამთავრებული, სადაც ეს ქვეყანა ბოროტებისა და სიცრუის სადგურადაა ცნობილი — ეს მოტივი ყველგან ძირითადია და დღესაც, განვითარებული სოციალური პრობლემატიკის გვერდით, თანამედროვე მსოფლმხედველობრივი ლიტერატურისა და ხელოვნების დედაქარღვეს წარმოადგენს. ამ აზრით რუსთაველის თემა ცხოვრების ფილოსოფიის ცენტრალური, მარად ძველი და მარად ახალი თემაა და ამ თემასთან დაკავშირებული მსოფლმხედველობის რანგიც მხოლოდ თემის გადაწყვეტის სიღრმეზე, სიმახვილეზე და ადამიანურ სიმართლეზეა დამოკიდებული.

რა დონეზე წყდება ეს პრობლემა „ვეფხისტყაოსანში“?

სპარსულ ეპიკაში, რომლის კონტექს-

ტშიაც რუსთაველის პოემის განხილვა ყველაზე მართებული ექნებოდა. ადამიანს „დრო“, „მბრუნველნი მხედვნი“, „ხედვრი“, „წერა“ უპირისპირდება, მისი ყოველი მარცხის, მისი ტანჯვის, მისი მოსპობის მიზეზია. ამ კონცეფციის ემოციური მხარე, მისი, ასე ვთქვათ, ცოცხალი ადამიანური შინაარსი საკმაოდ ნათელია: ესაა ღრმა ინსტინქტური შიშის და სევდა სიკვდილის, წარმავლობის წინაშე; ესაა სამყაროს ბრუნვის უღმობელო წინააღმდეგობის ცხოველი განცდა, რომლის წინაშე ადამიანები უძლურნი ვართ; ესაა ქვეყნის უსამართლობის, ადამიანის დამსახურებასა და მის ხედვრს შორის შესატყვისობის განცდა; ესაა ჩვენდამი ქვეყნის ბრუნვის სრული გულგრილობის განცდა. ბედის ეს წარმოდგენები და ცნებები სპარსულ ეპიკაში ზოგან უბრალო ილბალ-უიღბლობის აზრით იხმარება (ასეა, მაგ., „ვი-სრამიანი“); ზოგან, მაგ., ფირდოუსისთან მათ მეტად მძაფრი განზოგადებული აზრი ენიჭებათ: „შაჰნამეში“ — სპარსული ეპიკის ამ შედეგში მისი პესიმიზმითა და ირანის ეროვნული კატასტროფის მძაფრი განცდით, — „ბედის“ ცნება თავისი ყველაზე მაღალი აზრით — უღმობელი გარდევალობის, ყოველივე ამაღლებულის წარმავლობის, ადამიანთა ნების უძლურების აზრით შემოდის. პოემის განუმეორებელ მომხიბლაობას სწორედ ერთის მხრივ ამ უღმობელი ბედისწერის სიღიადის განცდა, ზოლო მეორე მხრივ მისდამი განწირულად დაპირისპირებულ დევ-გმირთა ვაჟკაცური წინააღმდეგობის პათოსი ქმნის. კაცისა და საწუთროს ყოველგვარი დამოკიდებულება, რაც კი სპარსულ ეპიკაშია ცნობილი (თუ არ ჩავთვლით მისტიკას, რომლისთვისაც საწუთრო მთლიანად და პრინციპულად უარსაყოფია), ერთი მხრივ ფირდოუსის ამ მაღალ ტრაგიზმსა და მეორე მხრივ „ვის-რამიანის“ ხსენებულ შედარებით პრიმიტიულ ემპირიზმს შორის თავსდება.

თითქმის ყველა ეს მოტივი რუსთავე-

ლსაც აქვს და ეს არცაა გასაკვირი, რადგან, ლიტერატურული ტრადიციის გავლენაც რომ გამოვიტყვოთ, „სოფლის მღურვის“ დასახელებული ფორმები სხვადასხვა ხალხებში, მათ შორის, ქართველებში გავრცელებულ ფატალისტურ წარმოდგენებს კარგად უდგება. მაგრამ რუსთაველის დამოკიდებულება ამავე საკითხებისადმი განუზომლად უფრო რთულია იმ მხრივ, რომ მისთვის წუთისოფელთან კაცის მიმართების პრობლემა არაა მხოლოდ სოფლის ხაფანგთა ძლევის ან ბედის დარტყმათა ვაკეკუთხად გაძლების პრობლემა, — ესაა ქვეყნისადმი, გარესამყაროსადმი სუბიექტის დამოკიდებულების ფილოსოფიური და ფსიქოლოგიური პრობლემა. პოემაში ანალიზიც (მოვლენათა მიზეზებისა და შექანისების ძიება) და სინთეზიც (საკუთარი მიზანდასახულობის გამომქადაგება და პოზიტიური ღირებულებათა შექმნა) სუბიექტის შიგნით არის გადატანილი და ამ უკანასკნელის ბედ-იღბალს, არსებობას, არა წუთისოფლის თვისებები ან ბედი, არამედ თვით კაცის შინაგანი სულიერი მდგომარეობა განსაზღვრავს.

პოემაში დრამატული კონფლიქტის პოლუსებს ორი საწყისი ქმნის: ერთია ადამიანის ემოციები, რომლებიც პიროვნებას მოიცავენ და ბატონობას ლამობენ მის მოქმედებაზე, მეორეა განსჯა („ცნობა“, „გონება“), რომელიც გრძნობებს უპირისპირდება და ადამიანის მოქმედებას რაციონალური მიზნის შესაბამისად წარმართავს. სიუჟეტური თვალსაზრისითაც, პოემაში ერთმანეთს ორი პრინციპი — საკუთარი ემოციების მსხვერპლად დევიანობა და ამ ემოციების განსჯით ძლევა უპირისპირდება. მოქმედების განვითარება დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ გადაწყდება გმირის შინაგან სამყაროში უმოქმედო კეწნისა და მოქმედებისაკენ მომწოდ-

ბელი გონების ბრძოლის ბედი. ეს კონფლიქტი განსახიერებელია *არსებობის* და *დაპირისპირების* გზით, არამედ სხვადასხვა ხარისხით იგი პოემის ორივე მთავარი გმირის — ტარიელისა და ავთანდილის შინაგან სამყაროს განეკუთვნება.

პოემის დასაწყისიდანვე ორივე მთავარი გმირის განცდებსა და მათი ბედის პერიპეტეებს შინაგანი მღელვარებისა და დამაბულობის, მათთვის თითქმის ვერგასაძლებელი ინტენსიური განცდების ერთგვარი ობერტონი გასდევს. ჯერ კიდევ მანამდე, სანამ პოემის ტრაგიკული თუ დრამატული კვანძი შეიკვროდეს, სიუჟარულით თითქმის ბედნიერი ავთანდილი სრულყოფილი მეფე-სატრფოს წინაშე ტანჯვის მსხვერპლია, რაც საყვარელთან განშორებაში ტანჯვის პირობით-ლიტერატურულ მოტივს, რაღა თქმა უნდა, შორს სცილდება („ყმა წავიდა, სიშორესა თუცა მისსა ვერ გასძლებდა, უკუღმავე იხედვიდა, თვალთარეტად აყოლებდა და ა. შ.“); გამიჯნულებული ტარიელი რომანის დასაწყისში ყოველგვარი გარეგნული უბედურების გარეშე, მეფე-სატრფოს სრულყოფილი შვენიებისაგან გამოწვეულ თითქმის ირაციონალურ ტანჯვას მოუცავს („ველარ ვუქვერტდი ლაშქართა, მინდვრად თამაზად მავალთა“); შემდეგ, როცა ამბის განვითარებაში გარეგნული დაბრკოლებები შემოდის, ეს შინაგანი კონფლიქტი უფრო მძაფრი ხდება და დრამატული დაპირისპირების უმწვეველს ხარისხს აღწევს: საყვარლის სიშორე და თავმოყვარეობა, მმანდაფიცის ვალი და სატრფოს სიშორე, პატრონის კრძალვა — სიუჟარული და მმანდაფიცის ვალი. — ყველა ეს შინაგანი კონფლიქტები თავის კულმინაციას აღწევენ ტარიელის დაბნელებისა და მობრუნების ფსიქოლოგიურად მართალ სცენაში. შემდეგ, ავთანდილის ფატმანთან მიჯნურობაში, ტარიელის დაბნელებაში რიდის დანახვაზე და რამდენიმე სხვა ეპიზოდში შედარებით უფრო სუსტი სახით ვხვდებით იმავე



შინაგანი ფსიქოლოგიური ბრძოლის ძველ, მაგრამ ვარიირებულ მოტივს.

ეს შინაგანი ბრძოლა, თუ შეიძლება ასე ითქვას, განწყობილებათა ბრძოლა პოემის ორივე მთავარი გმირის მოქმედებას ყველა არსებით დრამატულ მომენტებში დაჰყვება. ეს ბრძოლა (ფიქრობთ, ყველა, ვინც პოემის ტექსტს იცნობს, ამაში დაგვეთანხმება) ზუსტი ფსიქოლოგიური შტრიხებითაა ნაწერი. ამავე დროს თანამედროვე ტერმინოლოგიის ბოროტად გამოყენება არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ კონფლიქტის ორივე მხარე — გაცნდები, რომლებიც ადამიანს მოქმედების უნარს უღწევენ, და განსჯა, რომელიც მას რაციონალურ მოქმედებას უკარნახებს, — ობიექტური სიმართლით, ე. ი. მთელი თავისი ნამდვილი ძალითაა დახატული. ამ კონფლიქტის პერიპეტეები პოემის სიუჟეტის და დრამატიზმის ღერძია, ამავე დროს ეს დღეს ჩვენში ინტერესის აღძვრის საფუძველია. მაგრამ გარდა უშუალო, წმინდად — ფსიქოლოგიური ასპექტისა ამ შინაგან ბრძოლას აქვს კიდევ ანალიზური, მსოფლიმსხედველი ობიექტივი მხარე, რომელიც ძალიან აშკარად ჩანს პოემაში და ზუსტად შეიძლება იქნეს ფორმულირებული:

ადამიანის ქცევის რაციონალური მოტივების, ანუ ადამიანზე ემოციების ბატონობის სიმღიერეს რუსთაველი კარგად იცნობს და ანგარიშს უწევს. „გული“ (რაც რუსთაველის ტერმინოლოგიაში საერთოდ ემოციურ სამყაროს უდრის), რომ შეიძლება ადამიანის ქცევისა და ფსიქიკის აბსოლუტური წარმმართველი იყოს, ეს მან კარგად იცის: რაღაც გარკვეულ საზომს ზევით კაცი ვეღარ ერევა თავის გრძნობებს და რაციონალური მოქმედების უნარს კარგავს (ასმათი: „არ გული უნდა ფიცის და პირისა გასრულებასა? იგი (ტარიელი). უგულო მოელის მართ დღეთა შენოკლებასა“. ტარიელი: „ბრძენი, ვინ ბრძენი, რა ბრძენი? ხელი ვითა იქმს ბრძნობასა?“ ეს აზრი პოემაში ხშირად

გვხვდება). ეს პოემაში დაგმობილია (უკეთ: პოემის კონცეფტის) ამას უმრძვის), მაგრამ საეხებით კონსტრუქციად არის მიჩნეული:

გული, ცნობა და გონება
ერთმანეთზედა ჰკილიან,
რა გული წავა, იგონი წავლენ და
მისკენ მილიან,
უგულო კაცი ვერ კაცობს,
კაცთაგან განაკლია.

შემთხვევითი არაა, რაღა თქმა უნდა, ისიც, რომ უზენაესი ძალისადმი ლოცვაში მას, უწინარეს ყოვლისა, შინაგან სამყაროზე გაბატონებას შესთხოვენ.

„მომეც დათმობა სურვილთა, მგლობელო გულისთქმათაო“ (809) და მხოლოდ ამის შემდეგ მიჯნურის გულში სიყვარულის შენარჩუნებას (810) და განსაცდელში მფარველობას (811). ამიტომ გმირთა ცდის ძირითადი საგანიც პოემის დრამატული დედაძარღვი, ესაა ჩვენი შინაგანი სამყაროს სტიქიური საწყისის, ჩვენი უკონტროლო ემოციების ძლევა. თუ გავისხენებთ, რა რანგისაა ეს ემოციები, რომელთა დაძლევისაც ეხება საქმე (მოვიგონოთ, რომ რუსთაველი სხვა, „მდაბალ“, „რიგით“ გრძნობებსაც იცნობს: ვეზირის: „მე შეინიან, თუცა შეშსა მოციქული არ დაპრილობს“, ფატმანის ემოციური სამყარო. ამგვარი გრძნობები რუსთაველის ფილოსოფიურ პრობლემატიკაში არ შემოდის), მაშინ ამ კონფლიქტის მასშტაბებსა და მსოფლმხედველობრივ რანგსაც გავითვალისწინებთ.

რა უპირისპირდება ემოციურ სამყაროს? გრძნობათა ბატონობას პოემაში უპირისპირდება გონება, „ცნობა“, „სიბრძენი“, რომლის გაგებაშიაც რუსთაველი აბსოლუტურად თავისუფალია ქრისტიანული და საზოგადოდ რელიგიური გავლენისაგან და უფრო მეტად, ვიდრე სხვა რომელიმე პუნქტში, ანტიკის გავლენას მიჰყვება.

„გონების“ პოპულარული გაგება როგორც პრაქტიკული გონიერებისა, როგორც მოქმედების აწონ-დაწონის უბ-



რალო უნარისა „ვეფხისტყაოსანშიც“ არის (თუმცა მეტად მკრთალად). ასეთი გაგება გაბატონებულია სპარსულ პოეზიაში: მაგ., ფირდოუსის პათეტური ჰიმნიც გონებისადმი, რომლითაც „შაჰნამე“ იხსნება, გონების სწორედ ასეთ მარტივ გაგებას გულისხმობს. მაგრამ აღმოსავლეთის ამ ტრადიციისაგან რუსთაველს ის ასხვავებს, რომ მასთან გონება ვნებებს უპირისპირდება არა მხოლოდ როგორც უნარი განსჯისა, არა მარტო ფსიქოლოგიურად და უშუალოდ, არამედ აქ „სიბრძნის“ ცნებაც შემოდის, ე. ი. გონების პრიმატს მსოფლმშენებელ ობიექტი მომენტიც ერწყმის. მაშასადამე, გონების თანახმად მოქმედება გარკვეული მსოფლმშენებლობის მიხედვით, სამყაროს წყობაზე გარკვეული წარმოდგენის შესაბამისად მოქმედებას გულისხმობს და სწორედ აქაა, რომ პოემის კონცეფციაში ზოგადი მსოფლმშენებლობრივი მომენტი შემოდის. რას ნიშნავს რუსთაველისთვის „სიბრძნე“?

ამ ცნების ის ანტიკური გაგება, რომელიც პითაგორასა და პლატონისაგან მომდინარეობს და „სიბრძნეს“ ინტელექტუალურ ჰერმეტას, აბსოლუტის მისტიკურ წვდომას უიგივებს, რუსთაველისთვის უცხო არ არის. არაა მისთვის უცხო ერთგვარი ინტელექტური ასკეტიზმიც, რომელიც სიბრძნის ამგვარი გაგების ემოციური მხარეა და ჩვენი ქვეყნიური მდგომარეობის ცვალებადობისადმი სრულ გულგრილობას მოასწავებს. ამგვარი ბრძენის წარმოდგენა, რომელიც კარგად უდგება სტოიკურ ეთიკასაც და ნეოპლატონურსაც, კარგად ჩანს იმ ახსნაში, რომელსაც ნესტანის მშვიდ საქციელს ზღვათა მეფის კარზე აღწევს:

ანუ არის ბრძენი ვინმე, მალაღი და
 მალაღი მშენი,
 არცა კიოი კიოიად უჩანს, არცა ლხინი
 ზედა-ზედი,
 ვით ზღაპარი, ასრე ესმის უბეღობა,
 თუნდა ბედი.

სხევიან არის, სხევიან ფრინავს,
 გონება უც, ვითა ტრეტყუნ ქსეპს

მაგრამ სიბრძნის ამ გაგებშიც მნიშვნელოვანია პოემაში ანტიკური ფილოსოფიის მხოლოდ ცალკეული გამოძახილია და პოემის მთავარ პრობლემას — სოფლის ჰირვარამთა ძღვევისა და მასში ადამიანის ადგილის საკითხს — სრულებით არ ეხება. „სიბრძნე“ თავისი ძირითადი გაგებით, რომელიც პოემას მსჭვალავს, რომელიც პოემაში სოფლის უუღლმართობის წინაშე კაპიტულაციის, საკუთარ განცდათა მონობის, სასოწარკვეთილებისადმი დაქვემდებარების ნამდვილი მოწინააღმდეგეა და რომელსაც გმირები დრამატულ მომენტში საშველად უხმობენ, ესაა სიბრძნე, როგორც კონკრეტული მსოფლმშენებელ ობიექტი, როგორც გარკვეული წარმოდგენა სამყაროს წყობაზე, რომელიც მოწოდებულია, რომ ადამიანს ნუგეში კი არა, იმედი და ძალა მისცეს. აი სწორედ აქაა, რომ არა მარტო პოემის კონცეფციაში, არამედ მის ემოციურ და დრამატულ ქსოვილში ნეოპლატონიზმის ოპტიმისტური მეტაფიზიკა, ნეოპლატონურად დასაბუთებული „ბოროტთა უარსობის“ კონცეფცია შემოდის:

ღმერთი, — ყოველივეს წყარო და წარმმართველი ძალა, კეთილია. სუბსტანციონალური, ანუ მარადიული, გარდღევალი ბოროტი არ არსებობს, იგი წარმავალია, შემთხვევითია, წამიერია, არარეალურია. მაშასადამე, სამყაროს ნამდვილი ბუნება კი არ ეწინააღმდეგება, არამედ თანხდება იმ ჩვენს ეთიკურ წარმოდგენებს, რომლების მიხედვითაც ჩვენ კეთილს ბოროტისაგან ვარჩევთ და კაცსაც, თუ კი იგი საკმაო ნებისყოფასა და სულიერ სიმტკიცეს გამოიჩენს, შეუძლია ქვეყნად იმას მიღწიოს, რომ მოვლენათა ობიექტური მდგომარეობა კეთილად, ანუ თავისი ეთიკური წარმოდგენებისა და სურვილების შესაბამისად წარმართოს.

„ღმერთი კეთილს მოავლინებს და ბოროტსა არ დაბადებს“,

„ბოროტიმცა რად შეექმნა კეთილისა

შემოქმედსა“ და სხვა ანალოგიური ფრაზებითაა გადმოცემული ეს ფილოსოფიური ადამიანურ შინაარსთან, რამდენად ბუნებრივად გამოხატავს პოემის სიუჟეტის განვითარებაშია გაშლილი. ვინც პოემის ტექსტს იცნობს, არ სჭირდება იმის დასაბუთება, თუ რამდენად მჭიდროდაა დაკავშირებული პოემის ეს ფილოსოფიური პლანი მის ცოცხალ ადამიანურ შინაარსთან, რამდენად ბუნებრივად გამოხატავს პოემის სიუჟეტის განვითარება ამ ოპტიმისტურ ფილოსოფიას და რამდენად განსაზღვრულია ამ უკანასკნელით. უნდა გვახსოვდეს ოღონდ ქვეყნად ბოროტის პრობლემის მნიშვნელობა შუასაუკუნეთა აზროვნებისთვის; უნდა გვახსოვდეს ერთ-ერთი უდიდესი ქრისტიანი (და არა მარტო ქრისტიანი) მოაზროვნე, ნეტარი ავგუსტინე, რომელმაც ამ პრობლემას თავისი ინტელექტის ძალა შეაღია და სხვა ფილოსოფიურად თანმიმდევრულ და მორალურად დამაკმაყოფილებელ ახსნას, თუ არ ნეოპლატონურ „ბოროტთა უარსობის“ კონცეფციას, ვერ მიაგნო; უნდა გვახსოვდეს ძალა და გავლენა შუასაუკუნეთა ოფიციალური ქრისტიანობისა, რომელმაც, მიუხედავად იმ დროის ფეოდალური საზოგადოების საღი ამქვეყნიურობისა, სამყაროს ეთიკური გამართლება სხვაგვარად, თუ არ საიჭიო ნაკვალავებითა და ღვთის შეუცნობელი ნებისწარმოდგენის მოშველიებით, ვერ მოახერხა; უნდა გვახსოვდეს, დაბოლოს, თვით სიკეთის შუასაუკუნებრივი გაგება, რომელიც ადამიანის ეთიკურ წარმოდგენებსა და მისწრაფებებს, როგორც სიკეთის საზომს, სრულეზებით უგულვებელყოფს და მის ერთადერთ კრიტერიუმად ღვთის ნებასთან შესატყვისობას აღიარებს, რომ შუასაუკუნეებთან შედარებით რუსთაველის აზროვნების ფილოსოფიური დონე და მისი ორიგინალობა დაინახოთ. რუსთაველმა არა მარტო უფრო მაღალი რანგის ფილოსოფიური დასა-

ბუთება მოუძებნა თავის ინტელიტურ ოპტიმიზმს „ბოროტთა უარსობის“ კონცეფციის სახით, ვიდრე შუასაუკუნეების ორთოდოქსალურ ქრისტიანობას ჰქონდა, არამედ თვით ეს ნეოპლატონური-ლიონისური კონცეფციაც თავისებურად გადატეხა და სულ სხვა ადამიანური შინაარსით შეავსო: თუ სიკეთე, რომელსაც ნეოპლატონიზმი და ქრისტიანობა ესწრაფოდნენ, იყო მხოლოდ ლოგიკურად და ონტოლოგიურად ჰიპოსტაზირებული ერთი (ღმერთი) ერთ შემთხვევაში და ტრანსცენდენტური ღმერთი მეორეში; თუ სიკეთის განსაზღვრაში ადამიანის მონაწილეობა, ე. ი. სიკეთედ იმის ცნობა, რაც ადამიანის ბუნებრივ სწრაფვას და ბედნიერების ინსტიქტს შეესაბამება, ორივესთვის სავსებით უცხოა, რუსთაველისთვის სიკეთის საზომი სწორედ ესაა და როცა ის ამბობს, რომ ღმერთი „კეთილს მოაგლენს და ბოროტს არ დაჰბადებს“, ის გულისხმობს, რომ ღმერთი მის იდეალურ გმირებს არ გასწირავს და მათ იმ სიკეთეს მისცემს, რომელიც მათ ჰსურთ, ანუ მათი ეთიკური მოთხოვნისა და ბედნიერების ინსტიქტის დაკმაყოფილებას მიანიჭებს.

თქმა არ უნდა, რომ ეს კონცეფცია არ არის ლოგიკური და ოპტიმიზმის, რომლის გამომხატველიცაა იგი, მკაცრ რაციონალურ დასაბუთებას ვერ იძლევა. იგი მსოფლშეგრძნება, რწმენა უფროა, ვიდრე კონცეფცია. მაგრამ ეს რწმენა ისეთ საკითხს ეხება, რომელშიაც მას აქვთ გასული მრავალი საუკუნის მანძილზე რწმენისა და მსოფლშეგრძნების დონეს სხვაც ვერავინ გასცდა. ხოლო შუასაუკუნეთა პირობებში ეს ისეთი რწმენაა, რომელიც ჰუმანიზმის, ე. ი. ქვეყნის ადამიანის ინტერესებში და ადამიანის ინტერესებში შეფასებისა და ახსნის მთელ ახალ პირობონტს ხსნის.

ეს არის, არსებითად, ნეოპლატონური ფილოსოფია „ვეფხისტყაოსანში“, რომელიც ავტორის მსოფლშეგრძნების მიხედვითაა ვარიირებული და პოემის ძი-

რითად კონცეფციას საფუძვლად უდევს. ამ კონცეფციის არსებობაც თავისთავად, თუმც იგი არც საესეებით ორიგინალურია და არც პოემის იდეურ და ემოციურ ჩანაფიქრს ამოწურავს, კმარა იმ ზერელე გაგების გასაბათილებლად, რომელიც „ვეფხისტყაოსნის“ იდეურ შინაარსს მხოლოდ სიყვარულის, მეგობრული ერთგულებისა და სილამაზის განდიდებაში ხედავს. ჩვენი საკითხისათვის ამჟამად არა აქვს მნიშვნელობა, რამდენად და რა გზითაა რუსთაველი დაეალებული წარმართული ნეოპლატონიზმისაგან, რამდენად ქრისტიანულისაგან და რამდენად ქრისტიანული ქართულისაგან. მხოლოდ ისტორიული პერსპექტივის სისწორისთვის დავასახელებთ რუსთაველის თანამედროვეთა შიერ იდეათა იმავე წრის გამოყენების ორიოდე მაგალითს, რომელიც შუასაუკუნეებში ამ იდეათა როლს და მათი ათვისების ხასიათს გაგვითვისაწინებს.

რუსთაველისდროინდელი ევროპა არა მარტო ნეოპლატონური, არამედ საერთოდ ანტიკური ფილოსოფიის იდეებთან რაიმე ფორმით დაკავშირებულ მხატვრულ ლიტერატურას არ იცნობს (თუმცა ეს იდეები ძალიან არსებით როლს თამაშობენ თეოლოგიურ აზროვნებაში). თვით დანტეც კი, რომელიც რუსთაველზე ასიოდე წლით გვიან ცხოვრობდა, ანტიკურ ფილოსოფიას (არისტოტელეს იბნ-როშდის მეშვეობით, ემპედოკლეს) თავისი ენციკლოპედიური მსოფლმხედველობის მხოლოდ ცალკეული კონკრეტული დეტალების შესავსებად იყენებს, შუასაუკუნეთა პირობებში მსოფლმხედველობის ძირითად სფეროში კი — ეთიკურსა და მეტაფიზიკურ სფეროში მთლიანად კათოლიციზმის ნიადაგზე დგას. სამაგიეროდ ნეოპლატონურმა იდეებმა პოზიტივიზმის ნიადაგი კპოვა ევროპაზე ბევრად აღრე აღმოცენებულ და გაშლილ სხვა კულტურაში, რომელიც ისტორიული კავშირების მიხედვით ანტიკასთან უფრო შორს არ იყო, ვიდრე ევროპა და რომელთაც რუსთაველს, ყველა მონაცემის მი-

ხედვით, საკმაოდ მჭიდრო კავშირი ჰქონდა. რა ფორმები მიიღო ნეოპლატონურმა იდეებმა ისლამურ კერძოდ, სუფიზმში, რომელიც თავისთავში მთელს ისლამურ მეტნაკლებად ღირებულ სპირიტუალურ კულტურას მოიცავს და, ფირდოუსისა და ხაიამის გამოკლებით, მთელი სპარსული პოეზიის იდეურ ფონს წარმოადგენს? ერთი მხრივ, ეს არის სრული ინტელექტური და ემოციური ასკეტიზმი. მიუხედავად გამოხატვის უაღრესად ეროტიკული ფორმისა, სუფიურმა ლიტერატურამ ადამიანისადმი (თუ, კერძოდ, ქალისადმი) სიყვარულთან სხვაგვარად მისვლა თუ არ ღვთის აღევგორიულად გულისხმობით ვერ შესძლო. არა მარტო მისტიკური აღევგორების აეტორებთან — ათართან, სენაისთან, რუმისთან, არამედ სუფი ეპისკოპოსებთანაც კი ვნების თემა მხოლოდ ყოველგვარი ვნების, როგორც ასეთის, დაგმობას ან, პირიქით, განდიდებას შეიცავს: ვნება ან უარსაყოფია თავისთავად, როგორც ღმერთთან ერთობის მიღწევის ხელისშემშლელი (მაგ. ნიზამისთან „შვიდ მთიებში“) ან, პირიქით, გასაღმერთებელია თავისთავად, როგორც იმ თავდავიწყების თავზე ხელის აღების პირველი საფეხური, რომელსაც საბოლოო ანგარიშში ღმერთთან მიყვებართ (ჯამისთან, ნიზამისთან „ლეილ-მეჟნუნიანში“). შინაგან ბრძოლას ნამდვილი ადამიანური აზრით, მით უფრო ისეთ მაღალ ეთიკურ დონეზე, როგორც ეს რუსთაველთან გვაქვს, სუფიური პოეზია არ იცნობს. არის აქ, მართალია, ინტუიციური რეალიზმი, არის ფიზიკური ვნების მართალი და ზუსტი დასურათებაც (მაგ. ნიზამის „შვიდ მთიებში“), მაგრამ სულიერ ვნებათა ჰილილი, მით უმეტეს, ფილოსოფიური ეთიკის სინათლეში დანახული, სუფიურ ეპიკაში არ შეგვხვდება. რატომ? იმიტომ, რომ ისლამური ფილოსოფიური პოეზიისთვის ადამიანის თავისთავადი ღირებულების ცნება, საერთოდ, უცხოა და ამ პოეზიასთან მიმართებით რუსთაველი საესეებით და გაუზ-

ვიადებლად პირველი და, თუ გნებავთ, ერთადერთი ცნობიერი ჰუმანიტის წოდებას იმსახურებს.

ნეოპლატონური იდეების მეორე ანაკრეკლი ისლამურ კულტურაში (კერძოდ, სუფიურ მისტიკაში) — ეს არის სრული კვიეტიზმი, თავისებურად ოპტიმიზტური სიმშვიდე ყოველგვარი უბედურების წინაშე, დამყარებული იმ რწმენაზე, რომ თუმცა კერძო ფაქტები, თვით ჩვენი არსებობის ჩათვლით, ხრწნის, განადგურებისა და მოჩვენებითი ბოროტების მსხვერპლია, ყოველივე არსებულის ნამდვილი წყარო — ღმერთი მარადი და უცვლელი რჩება. ანტიკურ ნეოპლატონიზმში მისი რაფინირებული ინტელექტუალიზმითა და წმინდა შემეცნების თავისთავადი ღირებულების ღრმა რწმენით ამ ოპტიმიზმს კვებავს ადამიანის სულის მსოფლიო გონებასთან, ღმერთთან ზიარობის ვანცდა. ისლამური მისტიკა მისი პიროვნული ღმერთითა და ფარვანისებრ მისკენ მოსწრაფე ადამიანის წარმოდგენით, ამ მაღალ ინტელექტუალიზმს ვერ სწვდება და თავის კვიეტისტურ ოპტიმიზმს მხოლოდ ღვთის უსასრულო ძლიერებისა და მასთან შედარებით ჩვენი და ჩვენი უსიამოვნების უმნიშვნელობის განცდაზე აგებს. თქმა აღარ უნდა, რომ რუსთაველის მსოფლშეგრძნებას და რუსთაველის ფილოსოფიურ ოპტიმიზმს, რომელიც ადამიანის პირადი ამქვეყნიური ბედნიერებისაკენ მისწრაფებით იწყება და თავდება, ამ კონცეფციასთან საერთო არაფერი აქვს. ამ ორი განსხვავებული მიდგომის ესთეტიკურ ღირებულებაზე, რა თქმა უნდა, დავა შეიძლება. მაგრამ არა გვგონია, მაინცდამაინც ბანალურად გაგებული პროგრესის“ ცნებიდან ამოსვლა იყოს საჭირო, რომ ერთთან შედარებით მეორის განუზომლად უფრო მაღალ ეთიკურ და ინტელექტუალურ საფეხურზე ვილაპარაკოთ.

რუსთაველის მსოფლმხედველობის მეორე ძირითადი წყაროა ქრისტიანული რელიგია. რომ რუსთაველი ქრისტი-

ანია, ეს დღეს დამტკიცებულად ითვლება, ოღონდ ამას განსაზღვრავს ძირითადად კულტურულ-ისტორიული მასალების მოსაზრებები (რუსთაველი, როგორც თავისი დროისა და ქვეყნის შვილი, არ შეიძლებოდა არ ყოფილიყო ქრისტიანი) და პოემის ცალკეული რეალიები, რომლებიც ქრისტიანულ აღმსარებლობაზე მიუთითებენ. რაც შეეხება პოემის შინაარსის არსებით კონცეფციას, აქ ქრისტიანობის მონაწილეობა ნაკლებ თვალსაჩინოა, თუმცა არა იმდენად, რომ, როგორც ეს თავის დროზე თქმულა, პოემის აღმსარებლობითი მომენტები უზოგადეს, ქრისტიანობისა და ისლამისთვის საერთო ელემენტებზე დავიყვანოთ: ამის საწინააღმდეგოდ მტყვევებს ის ოპერირება მაღალი რანგის ქრისტიანული თეოლოგიის ცნებებით, რომელიც კარბად გვხვდება პოემაში და არა მარტო რუსთაველის ქრისტიანობას მოწმობს, არამედ მის მიერ ქრისტიანული თეოლოგიის კარგ ცოდნასაც. მიუხედავად ამისა, არც ამ თეოლოგიას, არც ქრისტიანულ მსოფლშეგრძნებას რუსთაველი თვალდაუქუთი არ მიჰყვება და როგორც ერთის, ისე მეორის მიმართ გარკვეულ თავისუფლებას იჩენს.

ჯერ ერთი, თვით ღმერთის ცნება პოემაში მთლად ზუსტად არ უდგება არც სახარების მარტივ ღმერთს, არც ქრისტიანული ღვთაების უფრო რთულ გაგებას, თუნდაც ყველაზე ზოგადი სახით. თუმცა პოემის ტექსტი ძნელად თუ გაგებზიარებინებს მ. გოგიბერიძის აზრს, რომელიც პერსონალური ღვთის ადგილს პოემაში მაქსიმალურად ზღუდავს და ღმერთი-განგების ცნებას გახაზავს (პერსონალური ღვთის ცნება პოემაში საკმაოდ დიდ როლს თამაშობს). ღვთის ცნება, როგორც ვთქვით, ნეოპლატონურად არის შეფერილი და მისი ღვთაებრიობის პათოსიც, თუ შეიძლება ასე ითქვას, ნეოპლატონური უფროა, ვიდრე მარტივ ან დოგმატურ-ქრისტიანული. არსად მთელ პოემაში ღმერთი არაა წარმოდგენილი, როგორც მამა და

დევრომილთა მფარველი, როგორც სუსტის მანუეშეგელი და აღმდგენელი, როგორც სიყვარულის საგანი ან მოყვასისადმი სიყვარულის წყარო. მორწმუნე ქრისტიანის სულიერი წყობის ეს არსებითი შტრიხები პოემაში სრულებით არაა და, რაღა თქმა უნდა, საკუთრივ თეოლოგიური მომენტები, რომლებიც ავტორის ქრისტიანულ აღმსარებლობას უდავოდ მოწმობენ, ამ სხვაობას ვერ დაჩრდილავს. პოემაში ღმერთის პათოსი სულ სხვაა — ესაა ერთობის პათოსი, რომელიც სპეციფიკურად ნეოპლატონურია და თავისი მაღალი ინტელექტუალიზმით წარმართულსა და ქრისტიანულ (მათ შორის—ქართულ) ნეოპლატონურ ფილოსოფიას უფრო უდგება, ვიდრე მორწმუნე ადამიანის მსოფლალქმას. (სპეციფიკური ერთობა... და უამრავი სხვა). ესაა ღვთის შეუცნობლობის პათოსი, რომელიც საზიაროა ნეოპლატონიზმისა და ქრისტიანობისათვის, ოღონდ არა მარტო, მრევლისთვის საქადაგებელ ფორმაში, არამედ უმაღლეს თეოლოგიურ დონეზე („უცნაურო და უთქმელო“, „მზიანი ღამე“ და ა. შ.). დაბოლოს, ეს არის პათოსი უმაღლესი, ყოველ არსზე მაღლა მდგომი ძალისა, სამყაროს წყობის პრინციპისა, რომელთანაც იდეალური გმირი ერთგვარი პიროვნული განდობის დამოკიდებულებას ამყარებს და რომელიც მას უმაღლესი და უმძაფრესი განცდების წუთებში აგონდება. ცხადია, არც ერთი ამ მომენტთაგანი სპეციფიკურად ქრისტიანულს არაფერს შეიცავს და არცაა გასაკვირი, რომ რიგი ქრისტიანული რეალიების აღმოჩენამდე, სპეციალური ანალიზის გარეშე, რუსთაველში ნამდვილი ქრისტიანის სახე არავის დაუნახავს არც შუასაუკუნეებში და არც პოემის ფილოლოგიური შესწავლის ეპოქაში.

მეორე მხრივ, ქრისტიანობა პოემაში მონაწილეობს თავის ემოციური მხრითაც, თუმცა, როგორც ზემოთ ვთქვით, არც ქრისტიანულ გრძნობათა კომპ-

ლექსია სრულად წარმოდგენილი პოემაში და არც პოემის ემოციურ მხარე დაიყვანება ქრისტიანულზე. ქრისტიანული მსოფლშეგრაძნება პოემაში მხოლოდ ერთი მომენტით — ღვთის, როგორც მუხთალ საწუთროსადმი დაპირისპირებული კეთილი საწყისის, მწყალობელის და საბოლოო შემწყნარებლის წარმოდგენით ამოიწურება. რა თქმა უნდა, „ვეფხისტყაოსნის“ ძალიან ზერელე ცოდნა იქნებოდა იმის ფიქრი, რომ მის გმირებს, თუმც კი იდეალურნი და ლომ-გმირნი არიან, „ქვეყნის შიში“ არა აქვთ: პირიქით, მოქმედების განვითარების თანახმად, მათ არა მარტო ბრძოლაში რისკი უწევთ ან უსაზღვრო ქვეყანაში „ღარიბობის“ მძაფრი დრამატული განცდა აქვთ, არამედ მათ ბედობლას წმინდა სოციალურ ურთიერთობებშიც ხიფათი ემუქრება (ტარიელის კონფლიქტი ინდოეთის კარზე, ვეთანდლის ორკოფული მდგომარეობა როსტევეანის წინაშე და სხვ.). ამიტომ საკუთარი ბედის არდაზღვეულობის ადამიანური განცდა მათში მეტად ცხოველია და გამოსავლის ძებნაში ქრისტიანული სახიერი ღვთის ცნებაც აქტიურად მონაწილეობს. ოღონდ ნამდვილი ქრისტიანობისაგან განსხვავებით, ამას ერთგვარი არისტოკრატიზმი დაკრავს: პოემაში მიინც და მიინც არ ესმის ხაზი, რომ ღვთის ზრუნვის საგანია კაცის სული, როგორც ასეთის, თავისთავად, რაც ქრისტიანობის არსს შეადგენს. აქ ღმერთს უფრო პირადი ღმერთის სახე აქვს, რომელიც სრულყოფილ ადამიანს მფარველობს და უფრთხილდება სწორედ იმიტომ, რომ ის სრულყოფილია: („ვისცა ღმერთი საროს მორჩისა ტანად უხეზს, მას ლახვარსა მოაშორებს, თუცა პირველ გულსა უხეზს“, „ღმერთსამცა ეგე რად ექმნა, ეგეთნი დაებადენით, არღა შეგყარნა, გაჯყარნა, ხელი გქმნა ცრემლთა დადენით“... და სხვ.).

რაც შეეხება განცდების ცნებას, ამაზე ბევრი დაწერილა და არცაა გასაკ-

ვარი, იმიტომ რომ პოემაში მისი ხედ-
რი ძალიან დიდია. — კერძოდ, ვაჟკა-
ცობისა და მორალური ქვეყის აუცი-
ლებლობის დასაბუთებაში როლს თა-
მაშობს ერთგვარი ფატალიზმი, რომე-
ლიც პოემის ვაჟკაცური პათოსის არსე-
ბით ელემენტს შეადგენს. მაგრამ აქ
ძნელი გასარკვევია, რა არის ქრისტიან-
ული, რა ანტიკური, რა აღმოსავლური
და რა საკუთარი.

ეს არის და ეს. ამით ქრისტიანობის
მონაწილეობა რუსთაველის მსოფლ-
მხედველობაში არსებითად თავდება. პო-
ემისათვის უცხოა არა მარტო ადამიან-
ის ბუნებას არასრულყოფის იდეა,
რომელიც (თეოლოგიურ დონეზე მაინც)
უარყოფს ადამიანის უნარს, ღვთის ნე-
ბის ჩარევის გარეშე, საკუთარი ძალით
დადგეს კეშმარტების გზაზე. რუს-
თაველისათვის, პირიქით ერთადერთი
სახელმძღვანელო პრინციპი ადამიანის
გონებაა; უცხოა პოემისათვის არა მარ-
ტო ცოდვის განცდა, რომელიც ქრის-
ტიანული მსოფლშეგრძნების უარსე-
ბითეს მომენტს შეადგენს (პირიქით,
ადამიანის სრულყოფით ტკბობა პოემის
დედაძარღვია), არამედ მთარული ქრის-
ტიანული „სიმდაბლისა“ და საწუთრო-
სადმი ზიზღის მცირედი ნატამალიც კი.
უნდა გათვალისწინებული გვექონდეს
შუასაუკუნეთა აზროვნების მდგომარე-
ობა — ქრისტიანულისაც და ისლამუ-
რისაც, რომ რელიგიური სისტემისაგან
ასეთი დამოუკიდებლობის სიხლე და
სიდიადე დაეთვასოთ. აზროვნების ასე-
თი თავისუფლება ნამდვილად სასა-
წაულია, რომელიც არც რუსთაველის
დროს, არც მასზე საუკუნე-საუკუნე-
ნახევრით გვიან არსად სხვაგან არ მომ-
ხდარა. ეს თავისუფლება არაა მხოლოდ
ნეგატიური, ე. ი. რელიგიის ლიტონ
უგულებელყოფაში არ მდგომარეობს.
იგი პოზიტურია, იმიტომ რომ ქვე-
ყანა, მასში ადამიანის ადგილი, მისი
ბედი, განცდები და ვნებები პოეტმა
რელიგიური წარმოდგენების მოუშვე-
ლიებლად, თვით ქვეყნისა და ადამიანის
ბუნებაზე დაყრდნობით ახსნა და დახა-

ტა, და ამ ახსნასა და ხატვაში ეს ფე-
რები და საზომები გამოიყენა, რომლე-
ბიც რამდენიმე საუკუნეში — გვიან — რუ-
ნესანის დროს და მის შემდეგ, კაცო-
ბრიობის სულიერი ცხოვრების სიტყვი-
ერი გამოსახვის ძირითად იარაღად იქ-
ცა რაღა თქმა უნდა, ეს წმინდა ქრ-
ოლოგიური მომენტაც თავისთა-
ვად პოემის ღირსების საზომი არ არის.
მაგრამ როცა ვლასარაკობთ პოემის აღ-
გილზე კულტურის ისტორიაში,
მას ასე თუ ისე, მაინც ანგარიში უნდა
გაეწიოს.

რასაკვირველია, არც ქრისტიანობი-
სადმი, არც ნეოპალატონიზმისადმი და-
მოკიდებულება თავისთავად მსოფლმხე-
დველობას არ ქმნის, არამედ მხოლოდ
დაახლოებით გვიხასიათებს იმ დონეს,
რომელზედაც ავტორის აზროვნება დგას
და მისი პრობლემატიკა ტრიალებს.
რუსთაველის მსოფლმხედველობაც ამ
ორ ნაკვალს — ფილოსოფიურსა და რე-
ლიგურს მოიცავს, მაგრამ მთლიანად
არ განისაზღვრება არც რომელიმე მათ-
განით ცალ-ცალკე, არც მათა სინთე-
ზით, ე. ი. იმით, რაც შუასაუკუნეთა
პროფესიული ფილოსოფიის მიზანსა და
სწრაფვის საგანს შეადგენდა. რუსთავე-
ლი ერთას ზევითაც იყურება და მეორე-
საც და მათი საკმაოდ თავისუფალი გა-
მოყენებით, საკუთარი ემოციების, გან-
წყობილებებისა და სუბიექტური მიდ-
რეკალებების ქარბი მოშველიებით,
ქმნის სამყაროს სრულსა და თავისე-
ბურად მეცნიერულს, ე. ი. დროის წარ-
მოდგენათა შესაბამის სურათს, რომე-
ლიც დროის ამ წარმოდგენებთან ერთად
პოეტის საკუთარ არა მარტო მსოფლშე-
გრძნებითს, არამედ საკუთრივ მრავალ-
მხედველობრივ შტრიხებსაც შეიცავს.

ეს მსოფლმხედველობა დაახლოებით
ასე წარმოგვადგება: მისი საფუძველი
უთუოდ რელიგიურია: სამყაროს შემოქ-
მედი და მმართველი ღვთის ცნება რუს-
თაველის „სამყაროს სურათისთვის“ ამო-
საეალი ცნებაა და ამაში იგი რელიგიას
უსიტყვოდ მიჰყვება; ამ ღმრთისა და
ქვეყნის მიმართების გაგებაში, როგორც

ნათქვამი იყო, ნეოპლატონური ელემენტები შემოდის. ქრისტიანული სამების დოქტრინა სავსებით უგულვებელყოფილია — გაურკვეველი რჩება რატომ: იმიტომ, რომ ავტორს უნდა მუსლიმან გმირთა აზროვნებას ადგილობრივი კოლორიტი შეუნარჩუნოს, თუ იმიტომ, რომ ფილოსოფიასთან და სხვა რელიგიასთან (ან რელიგიებთან) ნაცნობობამ მას პორნიზონტი გაუფართოვა და ღვთისა და სამყაროს ახსნისთვის ამ დოქტრინის საჭიროებას აღარ გრძნობს; ადამიანის (უფრო ზუსტად: სრულყოფილი იდეალური ადამიანის) და მის ადამიანურ მისწრაფებათა თავისთავადი ფასა, როგორც ამ სამყაროში ყოველგვარ ღირებულებათა ამოსავალისა და საზომის, როგორც ნეოპლატონიზმისაგან, ისე ქრისტიანობისაგან სრულებით დამოუკიდებლად არის აღიარებული და მხოლოდ პოეტის საკუთარ მსოფლმეგრძნებასა და რწმენას ემყარება; ქვეყნად ადამიანის როლის და მისი მოქმედების ფსიქოლოგიური მექანიზმის გაგებაში რუსთაველი აბსოლუტურად დამოუკიდებელია ქრისტიანული „პირველი ცოდვისა“ და მაცხოვრობის დოქტრინებისაგან და ერთი მხრივ ადამიანის ნების სრულ თავისუფლებას, მეორე მხრივ მის ბუნებრივ მისწრაფებათა სრულ კანონიერებას აღიარებს. ასევე ორიგინალურია იგი ნეოპლატონიზმის ფსიქოლოგიური კონცეფციის მამართაც. პოემის ეთიკურ მოძღვრებაში მისი პრინციპით: „რაც არა გწადდეს, იგი ქმენ, ნუ სდევ წადილთა ნებასა“, მართალია, ძალიან შორეულად, ვნებათა დათვრუნვის პითაგორულ-პლატონურ-ნეოპლატონური მოძღვრება აისახება. მეორე მხრივ, ამ ერთგვარად ასკეტურ ანტიკურ სისტემათა საპირისპიროდ, ხორციელად გაგებული მიჯნურობის გრძნობა უმაღლეს საკეთედ და ლოცვის საგნადაა მიჩნეული („მომეც მიჯნურთა სურვილი, სიკვდილდე გასატანისა“); მაღალი მორალის მცნებათა დასაბუთებაში, რომელსაც პოემაში, შეიძლება ითქვას, ცენტრალური ადგილი უჭირავს, რუსთაველი ისევ აბ-

სოლუტურად უგულვებელყოფს მორალის რელიგიურ საფუძვლებს, და ანტიკისთვის დიდად დამახასიათებელ სხვაობის კულტს ეყრდნობა, რომელიც გონიერ მოქმედებას მორალურ მოქმედებას უიგივებს (ავთანდილი ასე ასაბუთებს თავის მორალურ ვალს: „არა, ვიქმ, ცოდნა რას მარგებს ფილოსოფოსთა ბრძნობისა? მით ვისწავლებით, მოგვეცეს შერთვა ზესთ მწყობრთა წყობისა“); ესკატოლოგიაში (შიღმურ ქვეყნის წარმოდგენაში) რუსთაველი ნეოპლატონურ საიქიოს, როგორც „მზის ელვათა კრთომის“ მარადიულ ჰერეტას, აშკარა უპირატესობას ანიჭებს. ქრისტიანულ სამოთხესთან შედარებით, რომელსაც ის აგრეთვე ხშირად ახსენებს. ამავე დროს მას არც ნეოპლატონური ესკატოლოგია აკმაყოფილებს, რომელიც, როგორც ცნობილია უარყოფს სულის ინდივიდუალურ უკვდავებას, პიროვნების შენარჩუნებას სიკვდილის შემდეგ: რუსთაველს არც თავისი იდეალური გმირები, არც, ალბათ, თავისი თავი ამ ზედრისთვის არ ემეტება: სულის ინდივიდუალური უკვდავების, იქ „ნახვისა და სახვის“ უნარის და უცვლელი სახის შენარჩუნების სურვილი და იმედი ხშირად და ძალიან ინტიმურად არის გამოთქმული პოემაში. სინათლის მეტაფიზიკა და მზის შესხმა (უკეთ: ის, რაც მსოფლმხედველობრივ და ლოგიკურია ამ უაღრესად ემოციურ შეხამებაში) ნეოპლატონური და პლატონური. ყველა ეს და უამრავი სხვა მეტაფიზიკური, ეთიკური და ესკატოლოგიური წარმოდგენები პოემას თავიდან ბოლომდე გასდევენ, პოემის მხატვრულ და საუბეტურ ქსოვილს ორგანულად მსჭვალავენ. ამიტომ, ცხადია, „ვეფხისტყაოსანი“ არაა უბრალო სადევგმირო ამბავი, მხოლოდ რომანტიკული თავგადასავალი. ის მსოფლმხედველობრივი, არსებითად, ფილოსოფიური ნაწარმოებია, რომელიც გარკვეული დროისა და გარკვეული სოციალური წყუფის წარმოდგენებს, სწრაფვებსა და განწყობილებებს სრულად ასახავს

და რომლის ნამდვილ თემას ამ წარმოდგენათა საფუძველზე ქვეყნის, მასში აღმიანის ადგილის და აღმიანის ბედის შეფასება შეადგენს.

ყოველივე ზემოთქმული მოწმობს, თუ რამდენად მცდარია პოპულარული და, სხვათა შორის, სწავლებაშიაც საკმაოდ ფეხმოკიდებული ფორმულირება, რომლის თანახმად პოემის იდეური შინაარსი კონკრეტული მორალური მცნებების — სიყვარულის, მეგობრობის, ერთგულების განდიდებაში და ქადაგებაში მდგომარეობს. მცდარია იგი იმ უბრალო მიზეზით, რომ არც სიყვარულის, არც მეგობრობის განდიდება, თუ იგი ფილოსოფიურ, მსოფლმხედველობრივ კონტექსტში არაა დანახული, არ მოითხოვს იმ მრავალმხრივი მეტაფიზიკური, ეთიკური, ესქატოლოგიური მოტივების შემოტანას, რომელიც პოემაში გვაქვს. სიყვარული „ვეფხისტყაოსანში“ მართლაც არის და დიდ როლსაც თამაშობს: თუ დავუყვრებთ თვით ავტორს პროლოგში, სწორედ სიყვარულია პოემის დაწერის მოტივი და მისი ჩანაფიქრის პირველი ჩანასახი („მისი (თამარის) სახელი შეფარვით ქვემეორე მოთქვამს, მიქია“). მაგრამ ეს არ გვაძლევს უფლებას, ის მრავალმხრივი და რთული კონცეფცია, რომელიც პოემაში ახლა გვაქვს, ამ ჩანასახზე დავიყვანოთ; მეგობრობაც და სხვა მაღალი ეთიკური კატეგორიების განდიდებაც, თუმცა კი ძლიერადაა გამოხატული პოემაში, არ ბატონობს მასზე, არამედ შედის მის ფილოსოფიურ მსოფლმხედველობრივ სტრუქტურაში, რომელიც, სხვათა შორის, ერთგვარი დიდაქტიკის ელემენტსაც მოიცავს. მორის ბოურასი არ იყოს, „ვეფხისტყაოსანი“ მის ავტორს თავშესაქცევ ზღაპრად არ წარმოუდგენია, „მას სათქმელიც აქვს და თითქმის სახარებად საქადაგებელიც“,¹ და ეს არცაა ვასაკვირი, რადგან შუასაუკუნეებში და რამ-

დენიმე საუკუნით გვიანაც ლიტერატურაში აღმიანთა და მოვლენათა ანალიზს არ ანიჭებდნენ ისეთ თავისთავად მნიშვნელობას, როგორსაც დღეს ვანიჭებთ, და მხატვრული ნაწარმოები, მით უმეტეს, „ვეფხისტყაოსნის“ რანგის მსოფლმხედველობრივი ნაწარმოები, ერთგვარი დამრიგებლობის ელემენტის გარეშე წარმოუდგენელია. ეს „სახარება“ ძირითადად ეთიკურ მცნებებს შეეხება — მხნეობასა და ვაჟკაცობას, ჭირში, სიმტკიცეს და ხიფათში სიმამაცეს, მეგობრისათვის თავდადებას და მიჯნურისთვის ერთგულებას და სხვა ამგვართ, რაც ნაწილობრივ მხოლოდ ფეოდალური დროის ე. წ. „სამოქალაქო სათნოებებს“ ეკუთვნის, ნაწილობრივ ყველა დროისა და ხალხის მორალის უზოგადეს, ასე ვთქვათ, კლასიკურ ნორმებს გამოხატავს. დღევანდელ ავტორთან შეიძლება ასეთ მორალიზმსა და ნაწარმოების შემეცნებით ღირებულებას შორის წინააღმდეგობა დაგვეჩინება. მაგრამ თუ XII-XIII საუკუნის პოეტთან მორალის კლასიკური მცნებები ნაწარმოების შემეცნებით, ანალიზურს მხარეს დაგვიჩრდილავდა, ეს ისტორიულ პერსპექტივაში სრული დეზორიენტაცია იქნებოდა.

„ვეფხისტყაოსანი“ „რენესანსის თვალსაზრისით. რუსთაველის შეფასებისას ძალიან ხშირად „რენესანსის“ ცნებას იშველიებენ და რუსთაველს ახასიათებენ, როგორც რენესანსის პირველ პოეტს. რუსთაველის შემოქმედების ახსნისათვის ამ ცნების შემოტანა ზედმეტია, ვინაიდან არავითარი ისტორიული კავშირი და მემკვიდრეობითი დამოკიდებულება რუსთაველსა და ამ სახელით ცნობილ ევროპულ კულტურულ-ისტორიულ მოვლენას შორის არ არსებობს. მაგრამ საკითხს არც მხოლოდ ტერმინოლოგიური მნიშვნელობა აქვს, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ისტორიული და კულტურული პირობები (ქრისტიანული კულტურა, რომელიც საეკლესიო თვალსაზრისისაგან თავისუფლდება) ორსავე შემ-

¹ M. Bowra. *Inspiration and Poetry*. London, 1955. გვ. 67. ქართული თარგმანი იხ. „წილობი“.

თხვევაში ბევრი რამით საერთოა და შეიძლება ვარკვეულ ანალოგიებს გვიყარნახებდეს, და მეორეც, იმით, რომ „რენესანსის“ ტერმინში ჩვეულებრივ მისი კონკრეტულ-ისტორიული აზრისაგან განსხვავებული მომენტებიც იგულისხმება (კუმანიზმი, აზროვნების თავისუფლება და ა. შ.), რომელთა თვალსაზრისით განხილვას ყოველი ნაწარმოები, მით უმეტეს, შესაუქუნეთა დასასრულს შექმნილი ნაწარმოები ექვემდებარება.

მაშ როგორია რუსთაველის მიმართება ამ ცნებასთან?

პირველ რიგში უნდა ითქვას, რომ აბსოლუტურად მცდარია ის, სამწუხაროდ, საკმაოდ გავრცელებული ვაგება, რომელიც „რენესანსისადმი“ რუსთაველის მიკუთვნებისას მხოლოდ იმით ხელმძღვანელობს, რომ მან ხორციელ ქვეყანას თავისთავადი მნიშვნელობა მიანიჭა და რეალურ ადამიანურ გრძობებს უმღერა. მართო ეს რომ კმაროდეს ავტორის „რენესანსულობის“ მტკიცებისათვის, მაშინ ამ სახელით უნდა მოგვეხსენებინა ყველა ლიტერატურული თუ ხელოვნების ქმნილება (ყოველ შემთხვევაში, ყველა მაღალხარისხოვანი), რომელშიაც კი რეალური ადამიანისადმი ინტერესია გამოთქმული, — მათ შორის, „ვეფხისტყაოსანზე“ ადრინდელი პომიროსი, რომელიც მხოლოდ რეალური ამბებითაა დაინტერესებული, არაბული „მულაქების“ ავტორები (VI საუკუნე), რომლებსთვისაც სხვა თვალსაზრისი, გარდა ემპირიულისა, არ არსებობს, „ვისრამიანი“, „ტრისტან და იზოლდა“, „ნიბელუნგები“ და უამრავი სხვა. როგორც ცნობილია, ამას არავინ არ აკეთებს. რენესანსის არსი და, მით უმეტეს, მისი ღირებულება ის კი არ არის, რომ მან ხორციელი ადამიანი ყურადღების ცენტრში დაყენა, არამედ ის, რომ მან ამას მაღალგანვითარებული ასექტიზმისა და სპირიტუალიზმის, ყველაზე რთული და ღრმა რელიგიური მსოფლმხედველობის — ქრისტიანობის დაძლევის შედეგად მიიღწია, და, რო-

გორც ამ უკანასკნელის შემკვიდრება და მასზე გამარჯვებული, თავის თავში ყოველგვარ უშუალო ანთროპოცენტრისმთან შედარებით განუზომლად უფრო რთული და ჰუმანური მსოფლმხედველობის შექმნის შესაძლებლობას ატარებს. რუსთაველის პოემა, მაშასადამე, იმით კი არ არის „რენესანსული“, რომ იგი ხორციელ ვნებებს უმღერის. არამედ იმით, რომ იგი ამოზრდილია მაღალ ქრისტიანულ კულტურაზე და ამ უკანასკნელის არა ლიტონ უარყოფას, არამედ, ვარკვეული აზრით, ძლევას და მასზე შორს წასვლას წარმოადგენს. ეს ქრისტიანული კულტურა მხოლოდ თეოლოგიური აზროვნების დონე კი არაა, რომელიც იმ დროს საქართველოში ძალიან მაღალი იყო, — იგი, პირველ რიგში, ქრისტიანული მსოფლშეგრძნებაა, რომელიც, პოეზიაზე გავლენის თვალსაზრისით, თეოლოგიაზე უფრო ძლიერია და რომლის დაძლევა ევროპული რენესანსისთვისაც ყველაზე ძნელი და სასახლო მიღწევა იყო.

რა ქმნის ამ ქრისტიანულ მსოფლშეგრძნებას? პირველ ყოვლისა, ცოდვის განცდა, ღვთის წინაშე კაცის დანაშაულობის, მისი არასრულყოფილების განცდა, რომელიც ყველა ადამიანურად მგრძნობიარე საეკლესიო ავტორს ახასიათებს და ყოველი მაღალი ასექტიზმის (რომელიც მხოლოდ ჯოჯოხეთის შიშით არაა ნაკარნახევი) საფუძველს შეადგენს. ეს განცდა ქართულ რელიგიურ აზროვნებაში არა ნაკლებ ცხოველია, ვიდრე ევროპაში. საკმარისია ითქვას, რომ თვით ქართველთა უდიდესმა და უბრწყინვალესმა მეფემ „ოქროს ხანის“ ფაქტიურმა შემოქმედმა დავით აღმაშენებელმა შექმნა სიმდაბლისა და სინანულის უმჭაფრესი გრძნობით აღტყინებული ინტიმური ჰიმნი „გალობანი სინანულისანი“, სადაც არა მარტო ხორციელ ვნებათა მონება, არამედ თვით გონების ფილოსოფიური აღმაფრენა და სახელმწიფოს საკეთილდღეოდ მიმართული პოლიტიკური საქმიანობაც კი ღვთის წინაშე

დინამიკობადაა განცილებილი. ეს მოკლე პიში ცოდვის განცილების გამოხატვის სიძლიერით არ ჩამოუვარდება მსოფლიო ლიტერატურის არცერთ შედეგს, მათ შორის არც დანტეს „კომედიას“, სადაც ამ განცილება და ემპირული ადამიანისადმი სიყვარულ-თაყვანების გრძნობის კონტრასტულ დაპირისპირება პოემის შემოქმედების ერთ-ერთი მთავარი ზამბარაა. „გალაბანი“ და სხვა, ანალოგიური გრძნობით დაწერილი ნაწარმოებები რომ არ შემოგვრჩენოდა, შეიძლებოდა გვეთქვა, რომ რუსთაველის ამქვეყნიურობა გაუცნობიერებელი, ასე ვთქვათ, პირველადი ამქვეყნიურობაა და ამ მხრივ დასახელებული „მულაქებისა“ და ჰომიროსისაგან არ განსხვავდება. მაგრამ ეს რომ ვიცით, არა გვენია, ვინმე რუსთაველს სწორედ რენესანსის პირველი მესიტყვის სახელი დაუკავოს, ამ ცნების ყველაზე მაღალი აზრით, ე. ი. ისეთი კულტურული მოძრაობის მესიტყვისა, რომელმაც ადამიანის არასრულყოფილება-უძღურების რელიგიური განცდა ადამიანისადმი თაყვანების განცდით დათრგუნა.

ეს, ასე ვთქვათ, ისტორიული მოსახრებაა, რომელიც მხოლოდ რუსთაველისა და დასავლეთ ევროპის რენესანსის კულტურულ-ისტორიული პირობების ანალოგიას ვეზასიათებს. მაგრამ საკითხის ისტორიული მხარეც რომ უგულვებელყოთ, თვით პოემა, როგორც იგი ახლა ჩვენ თვალწინ არის, მეტად თვალში საცემად გვიჩვენებს, რომ იგი არ არის პირველადი ანთროპოცენტრიზმის დონის ქმნილება, ანტიკური ეპოსისა და „მულაქების“ ტიპისა, არამედ ადამიანის ბუნებისა და ქვეყნიური ვენებების ხელმეორედ, უფრო მაღალ სპირიტუალურ დონეზე აღმოჩენის, ანუ რენესანსის ხანას ეკუთვნის. ამის კონკრეტული მაჩვენებელია პოემაში ის ცნობიერი ფსიქოლოგიზმი, გარამავებული ინტერესი ადამიანის შინაგანი ცხოვრებისადმი, რომელიც პირველადი რეალი-

ზმის სიტყვიერებისათვის საერთოდ უცნობია და ის პრობლემურია, რომლის დონეზეც რუსთაველს მანამდეც ბევრჯერ დამუშავებულ ფსიქოლოგიურ მოტივთა დამუშავება აქავს. სიყვარულის ძალა და ფაქიზი ნუნანები „ვისრამიანის“ ავტორმაც და „ტრისტან და იზოლდას“ ავტორმაც კარგად იციან; „მიჯნურობის სენის“ ინტუიციური კულტიც აღმოსავლეთისათვის კარგად ცნობილია; მაგრამ ხორციელი სიყვარულის კანონიერების, მისი სიმალისა და სიმინდის ასეთი პოლემიკურად მწვავე არგუმენტაცია და შეგნებული განდიდება, როგორც რუსთაველს აქვს, მათ არ მოეპოვებათ; გმირობა და რაინდული ერთგულება სიტყვიერების უძველესი მოტივია, რომელსაც ქრისტიანულმა ასკეტიზმმა, გასაგები მიზეზების გამო, ვერაფერი დააკლო, მაგრამ გმირობის მსოფლმხედველობრივი არგუმენტაცია ისეთი სახით და ისეთი ხარისხით, როგორც რუსთაველს („არა ვიქმ — ცოდნა რას მარგებს ფილოსოფოსთა ბრძნობასა“, „ვინ დამბადა, შეძლებაცა მანვე მოჰვა ძღვევად მტებად“, „უგანგებოდ ვერას მიზმენ“, „ვერ დაიპირავს სიკვდილსა გზა ვიწრო, ვერცა კლდოვანი“ და უამრავი სხვა) არც ერთ მის თანამედროვეს არა აქვს. (ნიშანდობლივია, რომ ფირდოუსი ამ მცნებათა მხოლოდ ფსიქოლოგიურ მოტივაციას იცნობს და არა მსოფლმხედველობრივს: „სიყრმიდან იმ აზრს ვარ ჩვეუელი, რომ ბრძოლაში უნდა მოკვდეთ“); ფსიქოლოგიური სიმართლესა და დრამატიზმს „ნიბელუნგების“ სიმღერაშიც ხშირად ვხვდებით, „შაჰნამეში“ კი თითქმის ყოველთვის. მაგრამ მხოლოდ ფსიქოლოგიურ დრამატიზმზე აგებული მთელი სცენა, როგორცაა „პოვნა ავთანდილისაგან დაბნედილის ტარიელისა“, აქ წარმოუდგენელია; ასევე წარმოუდგენელია მხოლოდ ფსიქოლოგიური, გარეგნულ უბედურებისაგან დამოუკიდებელი ტანჯვა და მწვავე შინაგანი კონფლიქტი, როგორც, ავთანდილ-ფატმანის რომანშია. ყველა ამ

მოტივის დამუშავების ფსიქოლოგიზმსა და ეთიკური ასპექტის ხაზგასმასი ფარულად მონაწილეობს და იგულისხმება, ვითარცა განვლილი ეტაპი, ქრისტიანული კულტურა, რომელმაც მის აღმასრულებელთ თავის დროზე ასწავლა მკაცრი ეთიკური დისციპლინა, ადამიანის შინაგანი სამყაროსადმი ღრმა ინტერესი და ცალკეული ადამიანის შიგნით სიკეთე — ბოროტების ბრძოლის განუზომლად დიდი ასპარეზის დანახვა. ქრისტიანული თეოლოგიური დესპოტიზმის ძლევა ადამიანის სიდიადის ინტელიცურ რწმენაზე დაყრდნობით და ამავე დროს ქრისტიანული კულტურის ამ ეთიკური აზროსა და ფსიქოლოგიური ინტერესის შენარჩუნება ქმნის სწორედ ადამიანის გონებისა და გრძნობის იმ ემანსიპაციის არსს, რომელსაც ჩვენ „რენესანსის“ სახელით ვიცნობთ.

ზემოთქმული თავისთავად ხსნის სპარსულ-არაბულ პოეზიასთან რუსთაველის „რენესანსული“ მოტივების დაკავშირების მწვავე საკითხსაც, საიდან მოიტანა რუსთაველმა ის ხორციელება, რომელიც მას ქართული სასულიერო ლიტერატურის ტრადიციისაგან ასხვავებს? ხომ არ არის ეს უბრალო მიყოლა სპარსული ლიტერატურისა, რომლისთვისაც ასკეტური მოტივები (გარდა სუფიური-პოეზიისა) უცხოა? სპარსულ გავლენას აქ, რა თქმა უნდა, ვერ გამოვირიცხავთ: „ვისრამიანის“ მაგალითი რომ თვალწინ არ ჰქონოდა, შეიძლება რუსთაველს თავის გმირთა ხორციელი შევნების ის თითქმის ნატურალისტური აღწერაც არ მოეცა, რომელიც ახლა აქვს და „შაჰ-ნამეს“ გარეშე შეიძ-

ლება არც ვაეკაცობის ასეთი დაუოკებელი ხორბა ეთქვა. ამ მხრივ, ძალიან პირობითად, შეიძლება სპარსული ეთიკის როლი რუსთაველის მიერ რელიგიური ასკეტისმის დაძლევაში იმ როლს შევადაროთ, რომელიც ევროპის რენესანსში ანტიკური ხელოვნების მაგალითმა ითამაშა.

მაგრამ ეს მხოლოდ ისტორიულ გავლენას შეეხება და არა თვით ამ ნაწარმოებთა „ამქვეყნიურობის“ ხასიათს. „ვისრამიანი“ ისეთი კულტურის პროდუქტია, რომელიც არ იცნობდა დაეკვებას ხორციელი სიყვარულის ღირებულებაში და ადამიანის უფლებაში, რომ ამ სიყვარულს აპყოლოდა. ამიტომ სიყვარულის ბუნება მისთვის არაა პრობლემა და ეთიკური მსჯავრის საგანი; ფირდოუსიმ კაცის სხვა სწრაფვა, თუ არ სახელისა და ბედნიერებისადმი, არ იცოდა, ამიტომ „შაჰ-ნამეში“, მიუხედავად მისი დიდი სიმართლისა და ინტელიცური ჰუმანიზმისა, რაც კაცთმოყვარებასა და სიბრალულში ვლინდება, არ არის დამოუკიდებელი ინტერესი კაცის ბუნებისა და ღირებულებისადმი, არამედ მხოლოდ მისი ბედისადმი. „ვეფხისტყაოსანი“ კი პროდუქტია კულტურისა, სადაც ყველა ამ ადამიანურ სწრაფვათა კანონიერება პრობლემად იყო ქცეული. ამიტომ პოემაში ადამიანური გრძნობების არა მარტო მართალი ხატვა ვაქვს, არამედ ეთიკური შეფასება და შეგნებელი განდიდებაც. სწორედ ესაა, რომ „ვეფხისტყაოსანს“, სპარსულ ეპიკასთან შედარებით, მთელი კულტურულ-ისტორიული ციკლით — სპირიტუალიზმის ინტერესებში ხო-

1 ასკეტისმი და სპირიტუალიზმი, სუფიზმის სახით, არც ისლამისათვის ყოფილა უცხო. მაგრამ მათი დაძლევა ადამიანობის სახელით, ე. ი. ის, რაც რენესანსის ცნების არსს შეადგენს, ისლამში არ მომხდარა (ამიტომ აღმოსავლურ რენესანსზე ლაპარაკი, რაც მხოლოდ ზოგი ფილოსოფიური და მისტაური იდეების მიგრაციის ემყარება, ნიადაგს მოკლებულია). სუფიური სპირიტუალიზმი, როგორც საზოგადოებრივი განვითარებისაგან განზე მდგომი მისტაური-სექტური მოძღვრება, თავისი როლით საზო-

გადობრივი ცნობიერების განვითარებაში ვერც შეედრება ქრისტიანობას. ნიშანდობლივია ამ მხრივ, რომ თავისა ჩასახვიდან (VIII-IX), ვიდრე ჯამილდ (XV) სუფიზმს არსებითი ცვლილება არ განუცდია და ისლამური სამყაროს ნახევრის დაპყრობამ მონღოლთა მიერ მასზე დიდ გავლენა არ მოახდინა. რაც შეეხება მსახიბთის განკუთვნილ ორთოდოქსალურ ისლამს, მასში ზოცთა დაოცების ტენდენციები ფაქტიურად პირველ ხალიფათა უბრალოებისა და სიღარიბის კულტს არ გასცილებია.

რციელების დათმობით და შემდეგ უფრო მაღალ დონეზე, ისევე ხორციელებისაყენ მობრუნებით — მაღლა აყენებს.

გარდა ამ ზოგადი ძირითადი მსგავსებისა, რუსთაველს ევროპულ რენესანსთან ბევრი უფრო კონკრეტული მომენტიც აქვს საერთო. ესაა, პირველ რიგში, ანტიკური ფილოსოფიისადმი ინტერესი და მისი მონაწილეობა პოეტის მსოფლმხედველობის შექმნაში, — ფილოსოფიისა, რომლისადმი ინტერესის გაღვივება ევროპული რენესანსის ერთი არსებითი შტრიხია; ესაა პოემაში გამოხატული პოზიტიური იდეალი პარმონიული ძლიერი პიროვნებისა, და გონების კულტი, რომელსაც ეს იდეალი გულისხმობს; ესაა ის სპეციფიკურად რენესანსული ავანტურისტული სულისკვეთება, რომლის მოკლე, მაგრამ ძალიან მკაფიო გამოკრთომა გვაქვს; ავთანდილის გულანშაროს თავგადასავალსა და მის მიერ ჩაჩნავირის მოკვლის ეპიზოდში ესაა ის შუასაუკუნეთა გემოვნებისაგან განსხვავებული, უფრო რაფინირებული იდეალი რაინდის მანერებისა და ფიზიკური სილამაზისა, რომელიც ევროპაში ჯერ კიდევ წინარენესანსში, პროვანსულ პოეზიაში ჩანს, მაგრამ სრული გაშლა მხოლოდ ნამდვილ XV საუკუნის რენესანსში მიიღო. ყველა ამ არსებითი და გარეგნული მომენტების ერთობა შემთხვევითი მსგავსების ფარგლებს სცილდება და როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების, ისე კულტურულ-იდეოლოგიური პირობების

მხრივ ღრმა ანალოგიების ძებნისკენ მიგვითითებს.

თქმა არ უნდა, რომ საზოგადოებრივი პირობები, რომლებმაც „ვეფხისტყაოსანი“ წარმოშვა, სულ სხვა იყო, ვიდრე ევროპული რენესანსის პირობები. რუსთაველის პოემაში „მესამე წოდების“ იდეოლოგიისა და ფეოდალიზმისადმი რაიმე ანტაგონიზმის, თუნდ პოლიტიკურის და თუნდ ფილოსოფიურის ძებნა, რასაც ზოგი მკვლევარი აკეთებს, პოემის აშკარა მონაცემებზე უმაგალითო ძალადობას ნიშნავს. რუსთაველის აშკარა რენესანსული მოტივები ფეოდალური დროის და ფეოდალური პოლიტიკური მსოფლმხედველობის წარმონაშობია. ამიტომ „ვეფხისტყაოსანი“ არსებობა აფართოებს ჩვენს პერიზონტს რენესანსული იდეების წარმოშობის, ამ პროცესში ზოციალური ფაქტორების როლისა და ანტიკასთან ზიარების ფაქტორების როლის ახსნაში. რუსთაველს და მის ეპოქას ქრისტიანული მსოფლმეგობრების ფარგლები ვაჭრობისა და ქალაქების განვითარებამ კი არ დააძლევინა, არამედ მხოლოდ ეროვნულ-სახელმწიფოებრივმა ექსპანსიამ, რომელმაც ორიოდ საუკუნის განმავლობაში ფეოდალური საქართველო წინააზიის ერთერთ უძლიერეს სახელმწიფოდ აქცია. სხვა რომ არა იყოს რა, ესეც კმარა, რომ „ვეფხისტყაოსანი“ კულტურის ისტორიისთვის პირველხარისხოვან ინტერესის საგნად აქციოს, მაგრამ ეს საკითხი უკვე პოემის შეფასების ამოცანას სცილდება.

შალვა გოზალიძე

ქართული სიტყვიერების გამოჩენილი მკვლევარი

(ალექსანდრე ხახანაშვილის დაბადების ასი წლისთავის გამო)

ქართული კულტურის მოამბე მკვლევართა შორის თვალსაჩინო ადგილი უკავია ალექსანდრე სოლომონის ძე ხახანაშვილს. იგი ეკუთვნის ქართველ საზოგადო მოღვაწეთა იმ თაობას, რომელმაც მთელი თავისი ნათელი სიცოცხლე და ცოდნა მოახმარა მშობლიური ხალხის კეთილდღეობისათვის ბრძოლას, ქართული კულტურის, ენის, ლიტერატურისა და ისტორიის კვლევას, მის განვითარებასა და აღორძინებას.

ალექსანდრე სოლომონის ძე ხახანაშვილი დაიბადა 1864 წლის 3 იანვარს (ძვ. სტილით) ქ. გორში. პირველად ალექსანდრე გორის სამოქალაქო სასწავლებელში სწავლობდა, ხოლო შემდეგ თბილისის ვაჟთა პირველ გიმნაზიაში. 1884 წელს, გიმნაზიის წარჩინებით დამთავრების შემდეგ, უმაღლესი განათლების მისაღებად გაემგზავრა მოსკოვს და შევიდა უნივერსიტეტში ისტორიულ-ფილოლოგიურ ფაკულტეტზე. 1888 წელს უნივერსიტეტი კანდიდატის ხარისხით დაამთავრა და იქვე იქნა დატოვებული პროფესორობისათვის მოსამზადებლად.

იმ დროს აღმოსავლური ენების მოსკოვის ლაზარევის ინსტიტუტთან ქართული ენის კათედრაზე ქართული ენის ლექციებს კითხულობდა ცნობილი საზოგადო მოღვაწე ილია ოქრომჭედლიშვილი. ილია ოქრომჭედლიშვილი დიდი გულისყურით ეკიდებოდა ალ. ხახანაშვილს, საიმედო ძალად მიაჩნდა იგი და ყოველმხრივ ხელს უწყობდა ქართული კულტურისა და ისტორიის კვლევის საქ-

მეში მის სამეცნიერო მუშაობას. ჯერ კიდევ უნივერსიტეტში ყოფნის დროს ალ. ხახანაშვილმა დაწერა შრომა — „ბატონყმობა საქართველოში რუსეთთან შეერთებამდის“ და წარუდგინა ფაკულტეტს. ამ გამოკვლევამ საერთო მოწონება დაიმსახურა, ხოლო უნივერსიტეტის საბჭომ მას ვერცხლის მედალი მიანიჭა. აღნიშნული შრომის პირველი რეცენზენტი ილია ოქრომჭედლიშვილი იყო. მანვე მისცა რეკომენდაცია ახალგაზრდა მეცნიერს — ალ. ხახანაშვილს დაეკავებინა აღმოსავლური ენების ლაზარევის ინსტიტუტის ქართული ენის კათედრა და ლექციების კითხვას შესდგომოდა. თვით ილია ოქრომჭედლიშვილს იმ პერიოდში სამეცნიერო და პედაგოგიური მუშაობის 25 წელი შეუსრულდა, სამსახურს თავი დაანება და პენსიაზე გავიდა. 1889 წლის 23 იანვრიდან ალ. ხახანაშვილი იწყებს ქართული ენის კურსის კითხვას ლაზარევის ინსტიტუტში.

მოსკოვის სამეცნიერო და საზოგადოებრივ წრეებში ალ. ხახანაშვილის ნაყოფიერი მუშაობის მეოხებით, მოწინავე რუსი მეცნიერებისა და საზოგადო მოღვაწეთა მხარდაჭერით, 1900 წლიდან მოსკოვის უნივერსიტეტის აღმოსავლური ენების ფაკულტეტთან დაარსდა ქართული ენის კათედრა. ამ ფაქტს ქართული საზოგადოებრიობა უდიდესი კმაყოფილებით შეხვდა და ერთხმად აღიარა მისი პროგრესული მნიშვნელობა. ალ. ხახანაშვილი მიღებულ იქნა უნივერსიტეტში პრეპროფესორად.

ცენტად და დაევალა ქართული ენის ლექსების წაკითხვა.

1900 წლის 16 სექტემბრიდან აღ. ხაბანაშვილმა ამავე უნივერსიტეტის ისტორიულ-ფილოლოგიურ ფაკულტეტზე დაიწყო ლექსების კითხვა საქართველოს ისტორიასა და ლიტერატურაში.

აღ. ხაბანაშვილი ცნობილი ორიენტალისტი იყო. იგი, როგორც ქართული სიტყვიერების ისტორიის პროფესორი, მოსკოვის აღმოსავლური ენების ლაზარევის ინსტიტუტში უკანასკნელ დრომდე ნაყოფიერ მეცნიერულ და პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა. ასწავლიდა აგრეთვე რუსული მწერლობის ისტორიას. მოსკოვის I და II ქალთა გიმნაზიებში. აღ. ხაბანაშვილი იყო სამაგალითო, გულისხმიერი პედაგოგი და აღმზრდელი, სტუდენტობასა და მოსწავლეთა შორის დიდი ავტორიტეტითა და სიყვარულით სარგებლობდა.

აღ. ხაბანაშვილის კალამს ეკუთვნის მრავალი შრომა საქართველოს ისტორიის, ლიტერატურის, ეთნოგრაფიისა და მატერიალური კულტურის მნიშვნელოვან საკითხებზე. მისი კაპიტალური ნაშრომია „ქართული სიტყვიერების ისტორია“, დაწერილი რუსულად. გამოცემული მოსკოვში 1895—1907 წლებში ოთხ ტომად. ხალხ „ქართული სიტყვიერების ისტორია“ შემოკლებული რედაქციით ქართულადც დაიბეჭდა ორ წიგნად.

1897 წელს „ქართული სიტყვიერების ისტორიის“ მეორე ტომის რუსულად გამოსვლის გამო ცნობილი მწერალი გიორგი წერეთელი წერდა: „გაბედვით შემძლიან ვთქვა, რომ არც ერთს ქართველ მეცნიერს და მოღვაწეს იმდენი დამსახურება არ მიუძღვის თავის ერის წინაშე, როგორც აღ. ხაბანაშვილს. ამ ახალგაზრდა მეცნიერმა მთელი თავისი ნიჭი, ღონე და ძალა მოანდომა სამშობლოს გონების საუნჯის შესწავლას იმ განზრახვით, რომ შემდეგ უცხო ენაზე გამოექვეყნებინა მთელი ორი ათასი წლის კულტურული მოძრაობა საქართველოს ერისა და მისი

დამსახურება კაცობრიობის წინაშე“.

აღლევდა რა დიდ შეფასებას აღ. ხაბანაშვილის დამსახურებას, გ. წერეთელი ბოლოს დასძენდა, რომ მისი შრომის მეოხებით „ევროპის მეცნიერებმა შეიტყეს, რომ საქართველოს ერი, მართლაც, ღირსშესანიშნავი ყოფილა თავისი წარსულით, თავისი მდიდარი ლიტერატურით, ხუროთმოძღვრებით, საერო პოეზიის ნიმუშებით, რომელნიც ჯერ კიდევ არ არიან საკმაოდ დაფასებულნი, მაგრამ შესაძლებელია კი, რომ ეს კულტურის ნაწარმოებნი ყოფილიყოს ევროპის გონების განვითარებისათვის მისაბად წყაროთ“.¹

1899 წელს ჟურნალი „კვალი“ (№ 12) იტყობინებოდა, რომ ნიუიორკის ერთ-ერთ ჟურნალში პროფ. მორფილი აღ. ხაბანაშვილის „ქართული სიტყვიერების ისტორიის“ პირველ და მეორე წიგნს დიდი ქებით იხსენიებს და მკითხველთა ყურადღებას მიაქცევს ძველი ქართული მწერლობის მნიშვნელობაზე.

აღ. ხაბანაშვილი იყო პირველი ქართველი მეცნიერი-მკვლევარი, რომელმაც თავისი ოთხტომიანი — „ქართული სიტყვიერების ისტორიით“ შექმნა ქართული ლიტერატურის ისტორიის პირველი სისტემატური კურსი. ეს შრომა ძველი ქართული მწერლობის თავმოყრის, მისი სისტემაში მოყვანის პირველი ცდა იყო, რასაც ბევრი რამ უშლიდა ხელს; უმთავრესად ის, რომ იმ დროისათვის ქართული ხელნაწერების უმეტესი ნაწილი არ იყო შესწავლილი და გამოცემული.

აღ. ხაბანაშვილმა ამ შრომებით ქართული კულტურა გაიტანა მსოფლიო ასპარეზზე. მისი „ქართული სიტყვიერების ისტორია“ იყო პირველი და ერთადერთი სახელმძღვანელო ქართულ სასწავლებლებში. ამ წიგნებზე აღიზარდა მრავალი თაობა ქართული კულტურის მოღვაწეებისა; ახალგაზრდობას შეასწავლა და შეაყვარა მშობლიური ლიტერატურა, ჩაუნერგა წარსული

¹ „კვალი“, 1898, № 45, გვ. 749.

კულტურული მემკვიდრეობის დიდი სიყვარული.

აღ. ხახანაშვილის ეს გამოკვლევები, იბეჭდებოდა ქართულ და რუსულ ჟურნალ-გაზეთებში. საკონკურსოდ დაწერილი თხზულებისათვის — «Византийское общество и греческая церковь в эпоху Комненов» — აღ. ხახანაშვილმა ვერცხლის მედალი მიიღო; «Очерки к истории грузинской словесности» გამოცემისას, დამტკიცებულ იქნა პროფესორად და ჯილდოდ მიეცა ოქროს მედალი.¹

აღ. ხახანაშვილის გამოკვლევები დაიბეჭდა აგრეთვე საზღვარგარეთ — ფრანგულ და გერმანულ ენებზე. ქართველი საზოგადოების დავალებით დაწერა ფრანგულად საქართველოს ისტორიული განხილვა, რომელიც 1900 წელს პარიზის მსოფლიო გამოფენისათვის ცალკე წიგნად გამოვიდა პარიზში; კარგად და ლამაზად გამოცემულ ამ წიგნში აღწერილია საქართველოს წარსული — უძველესი დროიდან რუსეთთან შეერთებამდე; წარმოდგენილია საქართველოს ისტორიულ პირობა, მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პორტრეტები. წიგნმა ფართო გამოხმაურება პოვა ევროპის ბევრი სახელმწიფოს პროგრესულად მოაზროვნე პოლიტიკურ და მეცნიერულ მოღვაწეთა შორის. მისი გამომცემელი რაფიელ ისარლიშვილი 1900 წლის 26 ოქტომბერს აღ. ხახანაშვილს სწერდა: «ეს თქვენი ისტორია ყველაზე უკეთესად მიიღეს, ყოველგან დავარიგე და ყველამ ძალიან მოიწონა, ყოველსავე მხრით». მეორე წერილში კი აცნობებდა: «პარიზის გამოფენის საშუალებით, საფუძვლიანად გავაცანი თუცხოეთსა ჩვენი ქვეყანა, და რა დიდი მნიშვნელობა აქვს ამ ჩვენს წიგნს, ასე მდიდრულად გამოცემულს». ამ გამოცემის გამო ჟურნ. «მოგზაური» იუწყებოდა: «გამომცემელმა 800 ცალი ევროპის სახელმწიფოში უფასოდ დაარიგა. მას 150 მაძღობის წერილი მიუ-

ღია სხვადასხვა ქვეყნის პოლიტიკურ მოღვაწეებისა, მსწავლელებისა და მწერლებისაგან». ხოლო ქართულმა «კვალმა» გამოაქვეყნა ფრანგული გაზეთის «ლა რეფორმის» შემდეგი ცნობა: «პარიზის გამოფენის რუსეთის ოფიციალური წარმომადგენლის რაფიელ ისარლიშვილის გამგეობით ფრანგულ ენაზე დაიბეჭდა ერთი მეტად სინტერესო თხზულება საქართველოს ისტორიისა, გეოგრაფიის და ლიტერატურის შესახებ. ლიტერატურული ნაწილი ეკუთვნის პროფ. ა. ხახანაშვილს, რომელიც გვამცნობს ისეთ რამეებს, რის არსებობას ამიერკავკასიის პროვინციაში სრულიად არ მოველოდით».²

აღ. ხახანაშვილი მრავალმხრივ მეცნიერულ და პედაგოგიურ მუშაობასთან ერთად ფართო საზოგადოებრივ მოღვაწეობას ეწეოდა.

საზოგადოებრივ არდადეგების პერიოდში აღ. ხახანაშვილი მოგზაურობდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, სწავლობდა ისტორიულ-არქეოლოგიური მნიშვნელობის ძეგლებს, ეკლესია-მონასტრებს, აგროვებდა სათანადო ცნობებს და შემდეგ ეწეოდა მათ მეცნიერულ დამუშავებას.

აღ. ხახანაშვილი საქართველოს შესახებ ისტორიულ ცნობებს და საარქივო მასალებს ეძებდა საზღვარგარეთის არქივებშიაც. კერძოდ, 1900 წლის ზაფხულს ყოფილა რომში და ვატიკანის არქივში მრავალი საყურადღებო მასალა უპოვნია. ამის შესახებ «კვალი» იუწყებოდა: «ლაზარევის აღმოსავლეთ ენათა ინსტიტუტის პროფესორი აღ. ხახანაშვილი ამ ზაფხულს სამეცნიერო აზრით იტალიაში იყო წასული, იქაურ არხივების გასასიჩქად, ხახანაშვილს უკვე დაუმთავრებია ვატიკანის (რომში) არხივის დათვალიერება და დიდძალი მასალა შეუგროვებია საქართველოს ისტორიისათვის. ხახანაშვილს იქვე აღ-

¹ საქართველოს კალენდარი, 1903, გვ. 436-449.

¹ «მოგზაური», 1901, № 6-7, გვ. 722-723.

² «კვალი», 1901, № 4, გვ. 57.

მოუჩენია ერთი ფრანგული წიგნი, რომელშიაც საქართველოს რუსეთთან შეერთების ტრაქტატია თურმე მოყვანილი. ამ ტრაქტატში დღემდე ორი უცნობი მუხლიც აღმოუჩენია.

აღ. ხახანაშვილი ენერგიულად მონაწილეობდა არქეოლოგთა ყრილობებისა და ორიენტალისტთა საერთაშორისო კონგრესების მუშაობაში.

1894 წლის 23 აგვისტოს ქ. ქენევაში გაიხსნა ორიენტალისტთა მეათე საერთაშორისო კონგრესი, რომელშიც აღ. ხახანაშვილიც მონაწილეობდა, როგორც მოსკოვის საარქეოლოგიო საზოგადოების წარმომადგენელი. კონგრესის ეთნოგრაფიულმა სექციამ ფრანგულ ენაზე მოისმინა მისი მოხსენება — „უცხოელთა გავლენა საქართველოს ცივილიზაციაზე“. მოხსენებამ დიდი ინტერესი გამოიწვია და გადაეცა კონგრესის სარედაქციო კომისიას დასაბეჭდად.

1897 წლის აგვისტოში ორიენტალისტთა კონგრესზე პარიზში აღ. ხახანაშვილი გამოვიდა მოხსენებით აღმოსავლეთისა და საბერძნეთის სექციაში. 1900 წ. იგი ამ კონგრესის გამო წერდა: „... ქართული მწერლობის შესახებ არანაჯღები რიცხვი მოხსენებისა შეიძლება წაეთხურო იქნას კონგრესზე, თუ დაესწრებიან მკოდნენი ჩვენის ენისა და ლიტერატურისა. სასურველია, რომ შემდეგში მინც ქართველმა მეცნიერებმა მიაქციონ ყურადღება ორიენტალისტების კონგრესს და მიიღონ მონაწილეობა იმათს სჯა-ბაასში“.¹

აღ. ხახანაშვილი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა „კაზმული სიტყვიერების ნაშთების“ კვლევა-ძიებას ერის ისტორიული წარსულის შესასწავლად. მას აუცილებელ საჭიროებად მიაჩნდა წერილობითი ძეგლების შეკრება და მათი გამოცემა. „ამგვარი ნაშთები კი, — წერდა აღ. ხახანაშვილი, — არანაჯღებ მემატანის მოთხრობისა,

ნათელსა ჰფენენ ერის წარსულს, პოეზიის ნაშთი იგივე მატანება ახლა ჩვენთვის; იმაში გამოიხატება უკიდურესი მძინა დულეობა, გულის წადილი და იდეალი. ერთის მხრივ, აპოკრიფული ლიტერატურა, ნათარგმნი ანუ ორიგინალური, მეორეს მხრივ, კაზმული სიტყვიერება ჩაგახედებს ერის გულში და გაგვითვალისწინებს მის სულიერს ავლა-დიდებას. ამ ორ წყაროზე დამყარდება ჩვენი კულტურის შესწავლა, ნათელმოფენილი არქიტექტურის, მხატვრობის და სხვა ხელოვნებითი ნაშთების გამოკვლევა“.¹

აღ. ხახანაშვილს დიდი მუშაობა აქვს გაწეული წერილობითი ძეგლების შესწავლის, გამოკვლევის, გამოცემისა და დაცვის საქმეშიც. იგი მოუწოდებდა ქართველ საზოგადოებას აეგოთ მუზეუმი ეროვნული კულტურის შემკვიდრობის დასაცავად. „ამგვარი მუზეუმის აგებაში მონაწილეობა უნდა მიიღოს მთელმა ერმა, — წერდა აღ. ხახანაშვილი, — რადგანაც იგი იქნება საუნჯე ნაშთთა, რომელნიც მოწმობენ წარსულს, გვიღვიძებენ მომავლის იმედს და აწმყოში იქნება ჩვენი გამამხნევებელი და უცხოთათვის პატივსაღები დაწესებულება. ეს დაწესებულება იქნება მშვიდობიანი, წყნარი და კულტურისანი ნიშნებით აღნიშნული“.

მოწინავე ქართველ ქალთა წრემ აღ. ხახანაშვილის დახმარებითა და ხელის შეწყობით 1902 წელს გამოაქვეყნა ქართული ზღაპრების პირველი, ხოლო 1904 წელს მეორე წიგნი.

ქართული ზღაპრების მეორე წიგნის შესახებ გაზ. „ივერია“ (1904 წლის 14 დეკემბერს) იუწყებოდა: „ეს ისეთი წიგნია, რომ ყოველ შეძლებულ ქართულ ოჯახს მუდამ მაგიდაზე უნდა ედოს, თუ მცირეოდენი სიყვარული მაინც შერჩენია თვისის მშობლისა და აღმზრდელის ენისაო“. „ივერია“ ბო-

¹ „კვალი“, 1900, № 31, გვ. 31, გვ. 488.

¹ „კვალი“, 1893, № 20, გვ. 15-16.

ლოს დასძენდა, ქართველ ქალთა გუნდმა საუცხოო ნობათი მიართვა ამ სახალწლოდ ქართველ საზოგადოებასაო.

მაშინდელი ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების დიდი მესვეურები.— ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, გ. წერეთელი, ალ. წულუკიძე და სხვები დიდ შეფასებას აძლევდნენ ალ. ხახანაშვილის უანგარო მეცნიერულ და საზოგადოებრივ მოღვაწეობას. მისი სახით მათ ჰყავდათ საიმედო მეცნიერული ძალა და დიდი პატრიოტი-მოქალაქე, რომელსაც მუდამ შესტიკიოდა ვული სამშობლო ქვეყნის კეთილდღეობისა და თავისუფლებისათვის.

ალ. ხახანაშვილი, საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია. ქართველი მშრომელი ხალხის თავისუფლებისათვის ბრძოლას იგი ყოველთვის დიდი თანაგრძნობით ეხმარებოდა. საკმარისია გავიხსენოთ ალ. ხახანაშვილის წერილი საქართველოში 1905 წლის რევოლუციური მოძრაობის შესახებ: „მტერი და მოყვარე თანამედროვე მოძრაობისა“.1 „როდესაც შორიდან გაითვალისწინებთ იმ დიადს მოძრაობას, — წერდა იგი, — რომელიც ახლა გამეფებულია საქართველოში, გაგონდებთ შორსმკვრეტელი პოეტის სიტყვები: „ხალხი აზვირთდა, ხალხი აღსდგა, ხალხი მოქმედობს“. მართლაც, ასეთი ძლიერი მაჯისცემა, შეგნებული თავის გამოდგება და შეუდრეკელი ბრძოლა თავისუფლების მოსაპოვებლად, ხდის ჩვენს ხალხს სამაგალითო ერად“; ავტორი აღფრთოვანებულია იმით, რომ „საქართველოს ერი მოწინავე რაზმია გამანათავისუფლებელ მოძრაობაში“ და რომ „იგი იბ-

რძვის საერთო კეთილდღეობის დასამყარებლად და შორს არის გამოაცალკევოს თავისი ინტერესი წესიერებისათვის კეთესო დასის მოთხოვნილებათა წრიდან“.

ალ. ხახანაშვილი დარწმუნებულია, რომ „მომავალ საზოგადოებრივ სიმაართლის და თანასწორობის დამყარება“ გარდუვალია. „გამარჯვებული ის დარჩება, ვინც ერის გულისცემას თანაუგრძნობს და მასთან ერთად ააფრიალებს წითელს დროშას“.

ალ. წულუკიძე, როცა ცოდნის შესაძენად 1897 წლის შემოდგომიდან მოსკოვს გაემგზავრა, დაუახლოვდა იქ არსებულ „ქართველ სტუდენტთა სათვისტომოში“ გაერთიანებულ ახალგაზრდობას, ახლო გაეცნო ქართული კულტურის მკვლევარს ალექსანდრე ხახანაშვილს, რომელთანაც საქმიანი, ლიტერატურული კავშირი დაამყარა.

ალ. წულუკიძემ თავისი კრიტიკული ნარკვევი — „ახალი ტიპი ჩვენს ცხოვრებაში“ პირველად „ქართველ სტუდენტთა სათვისტომოში“ გაერთიანებული ახალგაზრდობის წრის სხდომაზე წაიკითხა. სხდომას ალ. ხახანაშვილი ხელმძღვანელობდა.

თავიდანვე ფიზიკურად სუსტი აგებულიების ალ. ხახანაშვილი დაძაბულმა, გადაჭარბებულმა შრომამ უდროოდ გატეხა. ჯერ კიდევ სრული მეცნიერული მომწიფების პერიოდში, — 48 წლის ასაკში შეწყდა მისი გულის ძეგრა. იგი გარდაიცვალა კუმისის აგარაკზე, ქ. სამარის მახლობლად, 1912 წლის 7 აგვისტოს.

მადლიერმა ქართველმა ხალხმა ღვაწლმოსილი მეცნიერის — ალექსანდრე ხახანაშვილის ნეშტი ქ. სამარიდან სამშობლოში გადმოასვენა და თბილისში, ქართველ მოღვაწეთა პანთეონში მშობლიურ მიწას მიაბარა.

1 „ივერია“, 1906, № 25.

უკრო ბარძმა

ნიკო მარი

აქადემიკოს ნიკო მარის მამა, დიდი ბრიტანეთის ქვეშევრდომი იაკობ მონტალ-მარი, ჩვენს ოფიციალურ საბუთებში პირველად მოხსენებულია 1822 წლ. 15 სექტემბერს (ძვ. სტილით). ერთი წლით ადრე, 1821 წლის 8 ოქტომბერს, რუსეთის მთავრობამ, გენერალ ერმოლოვის მოხსენების თანახმად, გამოსცა კანონი, რომლის ძალითაც რუსეთისა და უცხოეთის ქვეშევრდომთ, რომელნიც კი მოისურვებდნენ წარმოებისა და ვაჭრობის გაშლას საქართველოში, ენიჭებოდათ სხვადასხვა უპირატესობა, როგორცაა: 1 გილდიის უფლებები, ამ გილდიისადმი მიწერილი გამოსაღების გარეშე, შეღავათიან პირობებში ადგილ-მამულის შექმნა, ყოველგვარი ბეგარისა და გადასახადისაგან გათავისუფლება, მეტად მცირე საბაჟო გამოსაღები, საქონლის გადმოზიდვისას ტრანსპორტის დაცვა სამხედრო ძალებითა და სხვ. და სხვ. — იმ აუცილებელი პირობით უცხოელთათვის, თუ უკანასკნელი ვაჭრობას ბითუმად აწარმოებდნენ და არასგზით ცალობით.

სწორედ ამ დროს მიეკუთვნება შოტლანდიელის იაკობ მარის ვადმოსახლება (ესპანეთით) საქართველოში. იგი სხვა უცხოელებთან ერთად, მოსულა თბილისში, მოუტანია სხვადასხვა საქონელი, უმთავრესად ქსოვილები და, როგორც ირკვევა, წინააღმდეგ არსებული კანონისა, ამ საქონელს ყიდდა

ცალობით, წვრილ-წვრილად, რაიც ადგილობრივ ვაჭართათვის ხელსაყრელი არ უნდა ყოფილიყო.

ამის გამო თბილისის ვაჭართ საჩივარი შეუტანიათ მთავარმართველთან და უკანასკნელიც გენერალ ველიამინოვის მეშვეობით სწერს თბილისის ქალაქის პოლიციას: „აუკრძალეთ მარს საქონლის გაყიდვა ცალობით; გამოუცხადეთ მას, რომ საქონლის გაყიდვა შეუძლია მხოლოდ ბითუმად ადგილობრივ ვაჭრებისათვის, ანდა ვისაც თვითონ ისურვებს“ (აქტები, VI, გვ. 363).

მაგრამ ი. მარმა არ ისმინა გენ. ველიამინოვის რჩევა — ბრძანება და თავისი საქონლითა და ბარგი-ბარხანით გადავიდა დასავლეთ საქართველოში, გურიაში და დასახლდა მამია გურიელის მამულში. აქ მან დაიწყო სუბტროპიკული კულტურების გაშენება (ჩაი, ინდიგო და სხვ.). იაკობ მარის მეურნეობა არ ყოფილა კარჩაკეტილი: იგი ცდილობდა თავისი ცოდნის გავრცელებას გლეხებში და, საზოგადოდ, სოფლის მეურნეობაში.

ჩვენამდე მოღწეულია მარის რამდენიმე მოხსენება ამ საკითხის შესახებ: გურიის მიწების უმეტესობა მხოლოდ საშუალო ნაყოფიერებისაა. გარდა მდინარეთა ნაპირებზე მდებარე შლამიანი მიწებისა, ყველას, გაპარტეხა (მონაკლვა) ეჭირვება. მაგრამ გლეხი უმწეოა, ღარიბი, მას არა გაახნია რა, რომ მიწა გაანოყიეროს, არც ცოდნა აქვს სათანა-

ლო, ამიტომაც სხვა არა დარჩენია რა, რომ მიატოვოს გამოფიტული მიწა — წერდა მოხსენებაში ი. მარი.

მუხედდავად ამისა, თვითონ მარი მინც ეწევა ინტენსიურ მეურნეობას, ცდილობს გლეხებიც ჩაითრიოს ამ საქმიანობაში.

პარალელურად კომერციასაც ეტანება. აწარმოებს მოსახლეთაგან ღვინის შესყიდვას და ფულის ნაცვლად გლეხებს აწვდის საქონელს, უმთავრესად ფართალს. შედარებით გურიის წვრილფეხა აზნაურებთან, რომლებიც ამ დროისათვის სავსებით ვალატაყბული იყვნენ და, ბუნებრივია, არაჩვეულებრივ მძიმე ტვირთად აწვნიან კისერზე გლეხობას, ი. მარის მოპყრობა გლეხობისადმი უფრო ლმობიერი უნდა ყოფილიყო და, ერთი ცნობის მიხედვით, შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ ი. მარი ბატონყმობას უარყოფითად უყურებდა: ასე, მაგ., როდესაც გურიაში დასახლებიას, თავადმა გურიელმა შეაძლია მარს ყმები, უკანასკნელმა კატეგორიული უარი განაცხადა („დროება“ 1874 წ. № 421).

აგრე მიმდინარეობდა საქმე 1841 წლამდე. ამ წელს, როგორც ვიცით, გურიის გლეხობა აჯანყდა.

ოფიციალურ ცნობების მიხედვით, იაკობ მარის ურთიერთობა გლეხებთან აჯანყების პირველ მომენტში კარგი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ერთმა გარემოებამ მდგომარეობა მეტად გააწვავა.

აჯანყების ჩასაქრობად მოსულმა ჯარმა სურსათ-სანოვაგე მოითხოვა და იაკობიც „ერთგულად ემსახურებოდა პოლკოვნიკ წერეთელს, რომელსაც ჩოხატაურის პოზიცია ეჭირა, აწვდიდა მას სოფ. ბუკისციხიდან სურსათ-სანოვაგეს და იცავდა ამ სოფელს აჯანყებულთაგან“. საამისოდ წერეთელმა მისცა მას 30 მილიციონერი. მარმა ამ რაზმს თავისი 15 კაციც დაუმატა. გაბრაზებულმა გლეხობამ მარის ქონება მთლიანად გაანადგურა.

სპეციალურად შემდგარმა კომისიამ გამოარკვია იაკობის ზარალი. 1.824 მან.

და 24 კაპ. ვერცხლით. მთავრობამ ზარალი აანაზღაურა.

ამის შემდეგ ი. მარმა დატოვა გლეხობა და გადასახლდა ქუთაისში, აქ იგი განაგებს ფერმას.

უკვე მოხუცებულს მეორე ცოლი ჰყავს, გურული მადლულარიას ქალი. აღათი, რომლის ხელში 1864 წლის 4 ივნისს (ძვ.-სტ.) ოფიციალური დოკუმენტების მიხედვით, ხოლო სხვა ცნობით — 1864 წლის 25 დეკემბერს (ძვ.-სტ.) ქუთაისში დაიბადა მომავალი მეცნიერი ნიკო მარი.

ღრმა მოხუცებული იაკობ მარი ისევ დაუბრუნდა გურიას. გარდაიცვალა 1874 წლის 25 მარტს, 95 წლისა.

რამდენიმე წლით ადრე სიკვდილამდე იაკობ მარმა სთხოვა კავკასიის უმაღლეს მთავრობას: მოხუცებული ვარ, ცხოვრების სახსარი აღარა მაქვს, მიიღეთ მხედველობაში ჩემი ხანგრძლივი სასარგებლო მუშაობა მეურნეობის დარგში და მოათავსეთ ჩემი მცირეწლოვანი ვაჟი, ნიკო, ქუთაისის გიმნაზიაში სახელმწიფო ხარჯზე.

პატარა მარი ჩაირიცხა კანდიდატად გიმნაზიაში, მაგრამ ცხოვრობს ისევ ოზურგეთში, სწავლობს სამაზრო სასწავლებელში, ნივთიერად მეტად გაჭირვებულია, იმდროინდელ ღარიბი გლეხის ჩვეულებრივ მდგომარეობაშია, ცის მანანასაყთ ელოდება გიმნაზიას. გავიდა 2½ წელიწადი და 1874 წლის 13 მაისს ოლქის მზრუნველმა შეატყობინა გიმნაზიის დირექტორს, რომ იაკობ მარის ვაჟი ნიკოლაი ჩაირიცხულია გიმნაზიაში.

იმავე თვის 16-ს ნიკო უკვე გიმნაზიის მოსამზადებელი კლასის მოწაფეა. ორი თვის შემდეგ გადაიყვანეს პირველ კლასში.

პატარა მარი განსაკუთრებულ ნიჭს იჩენს. ყველა საგანში წარჩინებულად სწავლობს, არც გაკვეთილებს სტოვებს, არც იგვიანებს, მაგრამ... არაჩვეულებრივად მკვირიცხლია და მეტად ცელჭი, რისთვისაც ხანდახან კარცერშიაც უხდება ჯდომა.

მარის ამდროინდელი მუშაობა არ იფარგლება მარტოდენ გიმნაზიის სასწავლო დისციპლინებით: „კლასგარეშე“ საქმიანობითაა გატაცებული. მისი მეთაურობითა და აქტიური მონაწილეობით გამოდის გიმნაზიის ხელნაწერი ეურნალი „იმედი“, რომელშიაც იბეჭდება მარის მოწინავე წერილები და ლექსები.

ეურნალი ეხებოდა გიმნაზიის ყოფაცხოვრებას, გიმნაზიელთა ყოფაქცევას, მის დამოკიდებულებას სწავლასთან და სხვ.

სხვათა შორის, ჩვენამდე მოსულა ერთი ლექსი, რომელსაც სახელად „გიმნაზისტი“ ეწოდება და რომელიც იმ გიმნაზიელთა წინააღმდეგაა მიმართული, რომლებიც სწავლას ნაკლებად ეტანებოდნენ და უფრო ქეიფში ატარებდნენ დროს: მოუთმენლად მოელოდნენ, რომ სტუმრებოდნენ ცნობილ კურსოვის სარდაფს, და შემდეგ, გაღეშილნი, მთელი ღამის განმავლობაში ეტლით დასეირნობდნენ ქალაქის ქუჩებში:

„შაბათობით მარდი ვარ“,
მე „ოტბუსკში“ ვაფლივარ
და კერწოვის პაფლაში
დასაღვეად ჩაფლივარ.

ამყოლი მყავს მარდები,
ვსეამ, რომ გაქრეს დარდები.
ჯამთერალი შუა ღამეში
ფაიტონში ვვარდები.

ეურნალის ერთმა თანამშრომელმა ლექსს დაურთო თავისებური რეალურ-კონკრეტული კომენტარი, რამაც უდიდესი გულისწყურობა გამოიწვია მომავალი „მკლავაძეების“ მხრივ მარისა და მის ამხანაგებისადმი. ეურნალი ნაყუწ-ნაყუწ აქციეს, მაგრამ ლექსი ამით ვერ ჩაკლეს, პირიქით, ხელი შეუწყვეს მის გავრცელებას. იგი სკოლის კედლების გარეთაც გავიდა, თავისებურად ნოტებზედაც კი გადაიღეს და ასე თაობიდან თაობაზე გადმოდიოდა.

საყოფაცხოვრებო ხასიათის სტატიე-

ბისა და ლექსების გარდა, ეურნალში თავსდებოდა სამეცნიერო ხასიათის წერილებიც, უმთავრესად *ხედავთ: [ჩრდეთქ]* ტორ-მარისა, აგრეთვე ეროვნულ-პოლიტიკურ ხასიათისა. როგორცაა უკვე პრესაში გამოქვეყნებული „აქაქის-საპასუხობა“. ეს ლექსი დაწერილია აქაქის ცნობილ ლექსის „მერცხალის“ საპასუხოდ, რომელიც დიდმა პოეტმა დაწერა ალექსანდრე II მოკელის გამო. 17 წლის მარი არ ეთანხმება აქაქის, ჰიკვიკით საქმე არ გაკეთდება, დროა იარაღს მოკვიდოთ ხელიო:

უცხო მერცხლის მოფრენავე
მესმა შენი ჩანვის ეღერა,
განუწყვეტლოვ სახარულით
გულში იწყო ჩქარა ძვერა.
გამეხარდა მე ტკბილი ხმა;
„ვაზაფხული, ვაზაფხული“,
მაგრამ მსწრაფლი უჭეროთ ვთქვი;
ოცნებაა ტყუელი, ტყუელი!

ვაზაფხული ჩვენ რას გვარგებს,
ძილს ჩვეუღვართ, მოსვენებას,
და სიცოცხლეს მით ვატარებთ,
ვარდს და იას ვუძღვნით ქებას.

მარტო ლექსით როგორ შევძლებთ
ჩვენ წალკოტის აფუაებას,
საქმე გვინდა, ერთად შევკრებთ,
მოგრჩეთ მარემ ამ ვაებას.

სანამ დრო გვაქვს, ძილს მოვშორდეთ
და შევამკოთ ტურფად ზალი,
შორით ყნოსვას ნუ ვიჭარებთ, —
ხელი ავიდოთ იარაღი.¹

ასე მიმდინარეობდა მარის ცხოვრება გიმნაზიის მე-5 კლასამდე. აქედან მო-

1 პოეტურ მოღვაწეობას მარი შემდეგშიაც ეტანებოდა: უნივერსიტეტში და უნივერსიტეტის დამთავრების შემდგომაც იგი ბეჭდავდა ლექსებს (უმთავრესად ბაირონისა და ჰაინეს ლექსების თარგმანებს) ვაზ. „თეატრში“ „იო“-ს ფსევდონიმით. (იხ. „თეატრი“ 1889 წ. №26 31, 32, 33, 41, 42, 43, 44 და შემდ.).

ყოლებული მის არსებაში ერთგვარი ბორჯვა იჩენს თავს, რაღაც გარდატეხა იწყება. ყველაფერს ამას კი წინ უძღოდა მისი ფიზიკური დაავადება, რაიც ძლიერ; ხანგრძლივ სიყვითლეში გამოიხატა.

გიმნაზიის ადმინისტრაციამ სათანადო ყურადღება მიაქცია უნიჭიერეს ყმაწვილს, მისცა 150 მან. ფულადი დახმარება და რამდენიმე თვით შევებულებაში გაუშვა სოფლად.

სასწავლო წლის დაწყებისას მარი დაბრუნდა გიმნაზიაში, და ექიმის გასინჯვის შემდეგ, მარს ნება მისცეს გადასულიყო კერძო ბინაზე, მათემატიკის მასწავლებელ ელჩუკოვთან.

მარი ვერც კერძო ბინაზე გრძნობს თავს კარგად: მერყეობას განიცდის. ასე მთავალითად:

ა. კლასში და მთელ გიმნაზიაში საუკეთესო, ყველა საგანში წარჩინებული, რატომღაც ფიქრობს და არწმუნებს თავის თავს, რომ არ ვარ სათანადოდ მზად მე-მ კლასისათვის და აუცილებლად უნდა დავრჩე მეშვიდე კლასში მეორე წელიწადსო.

ბ. მალე ეს აზრი უკუაგდო და მეორე წინააღმდეგობაში გადავარდა: მე იმდენი მაინც ვიცი, დღევანდელ მერვეკლასელებს რომ მოეთხოვებათო და დირექტორის სთხოვს — მომეცით ნება — სიმწიფის ატესტატზე დავიჭირო გამოცდებო.

გ. შემდეგ: ყველა საგანში წარმატებით მოსწავლე, განსაკუთრებულ ყურადღებას ახალ ენებს აპყრობს: სხვა დანარჩენი მეორეხარისხოვანიაო.

დ. მალე ახალ ენებსაც თავს ანებებს და მთელი გულისყურით კლასიკური ენებისაკენ გადაერთო.

ე. უკანასკნელ: ყველაფერს თავი ანება და ძირითადად და პირველად საბუნებისმეტყველო საგნები გამოაცხადა.

გიმნაზიის ადმინისტრაცია თვალყურს ადევნებდა მარს. დირექტორმა ურჩია სოფლად წასვლა და დასვენება, ფულადი დახმარებაც გამოითხოვა ოქტიდან 100 მან. რაოდენობით, მაგრამ მარს არ უცადა პასუხს და, ბინის მატარებელს შეუტყობინებლად, წამოვიდა თბილისს.

ასეთია ოფიციალური საბუთების მიხედვით ის კლასიკლები, რომლებიც ამდროინდელ მარს ახასიათებს.

ამ გარემოებას იხსენებს თვითონ მარიც, უკვე აკადემიკოსი, 1927 წელს დაწერილ ავტობიოგრაფიაში.

«В гимназии я изучал французский, итальянский, немецкий, английский, греческий... Я так увлекся греческим языком, что хотел овладеть им вполне раньше, чем поступить в университет, где я предполагал выбрать медицинский факультет. Этому решению предшествовало чтение книги Шлейдена «Море», где имелось много цитат из греческих авторов, и я решился усовершенствоваться в греческом настолько, чтобы овладеть им. И вот, в эпоху насильственного насаждения классицизма в гимназии, мое желание остаться в гимназии еще на год для изучения греческого языка было признано доказательством психического расстройства, и я был исключен из гимназии».

და, მართლაც, გიმნაზიის ადმინისტრაციამ მარის ბორჯვა-ძიება, ამგვარ ყმაწვილათვის ხშირად ჩვეულებრივი და აუცილებელი, ფსიქიურ აშლილობად მიიჩნია და მოითხოვა მარის მოთავსება საავადმყოფოში.

თბილისში მიემგზავრება ინსპექტორი სტარიცკი, რომელსაც თან მიაქვს მარის სახელზე დაწერილი მოწმობა.

Дано сие в том, что ученик 8-го класса Кутаисской Гимназии Николай Марр в настоящее время действительно болен нервным расстройством, выражающемся в необыкновенной раздражительности, а по временам нелогичности поступков и что состояние его здоровья в настоящее время требует безотлагательного лечения.

Врач Кут. гимназии Доктор медицины М. ВОРОНОВ.

ამის საპასუხოდ გიმნაზიის ადმინისტრაციას მზრუნველმა მისწერა:

Имею честь уведомить, что по отзыву Главною Доктора Тифлисской Михайловской больницы состояние болезни ученика Кутаисской Гимназии Николая Марра не

требует помещения его в больницу (20/21 июня 1882 г.).

ამის შემდეგ მარი სოფელშია თავის დედასა და მამინაცვალთან. საესებით დაწყნარებული და დამშვიდებული ბრუნდება გიმნაზიაში სასწავლო წლის დასაწყისისათვის, მაგრამ ოქტომბერში ისევ შინ წასვლა მოინდომა. არ გაუშვეს. სამაგიეროდ დირექტორი ატყობინებს მზრუნველს: მარი ისევ მელანქოლიამ შეიპყრო და გთხოვთ: ან მოათავსოთ საავადმყოფოში, ანდა ნება მომცეთ გაეუშვა მშობლებთან. მზრუნველმა ნება დართო:

Разрешаю отправить к родным и время от времени справляться о положении его здоровья.

მარი მაინც გიმნაზიის პანსიონშია, რომელიც თვით დირექტორის განცხადებით, ოდნავადაც არ უწყობდა ხელს ნერვების დამშვიდებას.

1883 წლის 7 თებერვალს მარი ისევ თბილისს გამოიბარა და თანვე დატოვა შემდეგი ბარათი:

я просился,
остаться не мог!
не пустили.

Я уехал!
Не надо беспокоиться,
Бывший (м) ученик
Н. Марр.

შეტად შეაშფოთა ამ გარემოებაში გიმნაზიის ადმინისტრაცია: შეატყობინეს როგორც მზრუნველს, ისე ადგილობრივ პოლიციას.


11 თებერვალს დირექტორმა მარის წერილი მიიღო: სულ ერთია მაინც გამოირიცხული ვიქნები, გთხოვთ გამოვიზავნოთ დოკუმენტებიო.

დირექტორმა იმდღესვე უპასუხა:

11 февраля 1883 г.
Любезный Марр!

Сегодня получил Ваше письмо и сейчас же отвечаю. Прежде всего успокойтесь и будьте благоразумны. Никто и не думал Вас исключать, Вы считались в отпуску. Посылаю Вам билет. Увольнительных бумаг без согласия Ваших родителей по закону не могу выдать. Если Вам что нибудь

нужно, пишите. Пишите по какому адресу прислать Вам денег.

აი, თვით ბილეთიც. 

Предъявитель сего ученик 8 класса Кутаисской Гимназии Николай Марр уволен мною в отпуск по домашним обстоятельствам в гор. Тифлис сроком от нижесписанного числа впредь на два месяца, почему прошу г. г. Начальствующих лиц чинить ему туда и обратно свободный и безпрепятственный пропуск, а в случае надобности оказывать ему законное содействие. В чем подписью и приложением казенной печати удостоверяю. Февраля 11 дня 1883 г. Кутаис.

Директор гимназии Штатский Совети.
Стоянов.

იმავე დღეს ყველაფერი ეს დირექტორმა შეატყობინა ოქცის მზრუნველს:

Ваше Пр-во
Милостивый государь
Кирилл Петрович,

Сегодня я получил от ученика Марра письмо из Тифлиса. По письму этому можно положительно заключить, что несчастней степени психического расстройства. Он просит документов и увольнительного свидетельства и желает поступить в Телеграфное ведомство. Сегодня же я послал ему билет и письмо, копию с которого при сем честь имею представить. По моему мнению его необходимо поместить в больницу для душевно-больных, иначе несчастный может сделать себе какой-либо вред. Адрес его, как он сам пишет, — Аптека Манера, Димитрию Гедия, для передачи Николаю Марру. Жду приказаний Вашего Превосходительства по этому предмету.

Имею честь быть Вашим предпочтительным слугой Стоянов.

ამის შემდეგ მზრუნველი სწერს:

ა. Зав. медиц. Частью Гражд. Ведомства на Кавказе и За Кавказом;

და სთხოვს მარის გასინჯვას.

ბ. სამკურნალო ნაწილის გამგე — ტფილისის გუბერნატორს.

გ. გუბერნატორი — პოლიცემისტერს.

დ. პოლიცემისტერი ისევ გუბერნატორს: მარი 7/III ქუთაისში დაბრუნდაო.

ე. გუბერნატორი — სამკურნალო ნაწილის გამგეს.

ვ. გამგე — მზრუნველს.

ე. ხოლო მზრუნველი — გიმნაზიის დირექტორს: მაკნობეთ როგორია მარის მდგომარეობა.

დირექტორმაც აცნობა:

მარი 6/III გამოცხადდა პანსიონში. სადგურ ქსანამდე ქვეითად უშვია. 8—9/III კი გუნებაზე იყო, 9/III საავადმყოფოში დაწვა. ფეხები დახეთქოდა და კბილებიც სტვიოდა. ახლა სოფელშია. წერილებიც მივიღეთ მე და ინსპექტორმა: მაღლობას გვიძღვის ყველა იმ სიკეთისათვის, რაიც ჩვენ მას ვუყავით და თანვე დასძენს: მალე მოგვედები და ჩემი წიგნები პანსიონის ბიბლიოთეკისათვის შემიწირავს.

27/IV მარი დაბრუნდა ქუთაისში, მაგრამ პანსიონში იშვიათად რჩებოდა: უფრო ნაცნობებსა და ნათესაებებში დადიოდა.

29/IV — კი დირექტორს განცხადება მისცა — დამითხოვეთ პანსიონიდანო. ამის საპასუხოდ დირექტორმა სთხოვა მზრუნველს მარი გიმნაზიის დისციპლინას არ ემორჩილება და გთხოვთ ნება მომცეთ დავითხოვო როგორც პანსიონიდან, ისე მთლად გიმნაზიიდანაცო.

მზრუნველი არ დაეთანხმა დირექტორს.

საკითხი მარის გარიცხვის შესახებ პედაგოგიურმა საბჭომ გაარჩიოსო. საბჭომაც საკითხი გაარჩია: მარის მდგომარეობა ისეთია, რომ სწავლის გაგრძელებას ვერ მოახერხებს, მაგრამ არც შინაური პირობები აქვს იმისთანა, რომ არსებობა მოახერხოსო.

მზრუნველი იძულებული იყო დასთანხმებოდა საბჭოს: ჩააბარეთ შვილი დედას და თანვე მიეცით საჭირო დახმარება გიმნაზიის სპეციალურ თანხებიდანო. (1883 წლ. 21 ივნისს).

იმავე წლის 7 სექტემბერს დირექტორი სწერს მზრუნველს: მარი მთხოვს მივიღო იგი მერვე კლასშიო და თანვე დასძენდა:

С своей стороны, находя здоровье Марии в значительной степени улучшенным я полагаю бы не вполне целесообразным подвергать его какому бы ни было медицинскому освидетельствованию.

მზრუნველის ნებართვით მარი მიიღეს მერვე კლასში.

მთელი სასწავლო წლის განმავლობაში (1883-84) არავითარი ინციდენტი არ მომხდარა. ყველა საგანში წარჩინებულად სწავლობს და წარჩინებულადე დაამთავრა კურსი.

საგულისხმოა ნ. მარის წერილობითი შრომა, გასათავებელ გამოცდებზე შესრულებული: «О значении труда в жизни человека» თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომელშიაც მაშინ გიმნაზიის გასათავებელი გამოცდები წარმოებდა (თემა მოდიოდა ოლქიდან, თვით შრომის შესრულება ხდება ზეპირად, გარეშე ყოველგვარ წყაროებისა), გადაჭრით უნდა ვთქვათ, რომ აღნიშნული ნაშრომი მარს ამხელს როგორც იშვიათი ცოდნით აღჭურვილს ახალგაზრდას, თითქმის ცოდნის ყველა დარგში არაჩვეულებრივ ნაკიბს, რომელსაც სათანადო ციტატების მოყვანა როგორც რუსულად, ისე უცხო ენებზე, ზეპირად თავისუფლად ემარჯვება.

მე არას ვლაპარაკობ თვით შრომის შინაარსზე: იგი დაწერილია თითქმის 86 წლის წინ და თუ ამ გარემოებას შევუფარდებთ ნაშრომის მაგ., ამისთანა გამოთქმებს:

1. Жизнь есть движение: проявляется ли это движение в борьбе или гармонии, — все равно;
2. Природа живет жизнью пассивной;
3. Человек обладает волей, он имеет способность «захотеть», вызвать жизнь;
4. Значение труда в жизни человека настолько велико, что его отсутствием отрицает. ся сама жизнь;
5. Богатство есть сбереженный труд;
6. Физическим трудом (человека) предвдительно руководит умственный труд;
7. Труд вырабатывает характер;
8. Труд внушает человеку уважение к самому себе да к себе, да к себе, ე. ი. იმგვარ აზრებს, რომელთა კეშმარტება დღესაც საეჭვო გამხდარა ზოგიერთ მო-

მეცნიერთათვის, უნდა განვაცხადოთ, რომ მარის პირველი მეცნიერული შრომა მიეწერება არა 1888 წელს, როდესაც მან გაზ. „ივერიაში“ დაბეჭდა „ბუნება და თვისება ქართულის ენისა“, არამედ, 1884 წ. მაისს.

ამისდა მიხედვით ნიკო მარი სამეცნიერო ასპარეზზე მუშაობდა არც მეტი, არც ნაკლები, ნახევარ საუკუნეს.

სიმწიფის ატესტატის გარდა მარს განსაკუთრებული მოწმობაც მისცეს.

СВИДЕТЕЛЬСТВО

Выдано оно ученику Кутаисской гимназии Николаю Марру, окончившему курс с аттестатом зрелости от 28 июня сего года за № 55 в удостоверение того, что во внимание к постоянно отличному поведению и приложению и к отличным успехам в науках. Педагогический совет от 13 июня сего года постановил наградить его, Марра, золотою медалью.

ამას გარდა, მარს დაპირდნენ სათანადო სტიპენდიას უმაღლეს სასწავლებელში. ამ იმედით იგი გაემგზავრა სოფელში დედასთან.

მაგრამ სტიპენდია იგვიანებდა და უამისოდ კი მარს ფეხის გადადგმაც არ შეეძლო, შით უმეტეს პეტრეს ქალაქს გამგზავრება. იგი შფოთავს, ღელავს და წერილით მიმართავს ინსპექტორს:

Обращаюсь к Вам с покорнейшей просьбой известить меня, если чтонибудь решено о стипендии; если мне в ней отказано, на что, ввиду ваших обещаний, я не рассчитываю, во всяком случае я надеюсь на чувствительное пособие на один год или хотя на первое полугодие согласно моему прошению; если пособие невозможно, не откажите в подходящем обстоятельстве совета: я положительно без средств. Опекунья моя до того была верна своему назначению, что все земли, прежде заложенные, теперь опять или отданы в залог денег, которых я никогда не получал, или же находятся в руках чужих, как их собственность, благодаря каким-то сделкам между соседями и моей опекуней. А опекуня сама мать! Что делать?

გინაზიამ იძღვსე უპასუხა (12 ივლისს); ცნობა სტიპენდიის შესახებ ჯერ არაა. ცოტა მოითმინეთო.

მართლაც, 25 ივლისს მარმა მიიღო შემდეგი წერილი:

Имею честь уведомить Вас, что Вы назначены Кавказским степенденитом в Имп. СПб Университет на фак. Восточных языков и Вам определено на поездку 100 р., прошу прибыть в Кутаис за получением документов, аттестата зрелости, свидетельства о назначении медали и денег.

28 ივლისს მარმა მიიღო საბუთები და ფული და გაემგზავრა პეტრეს ქალაქს იქაური უნივერსიტეტის აღმოსავლეთ ენათა ფაკულტეტზე შესასვლელად.

აქ დასრულდა მარის გინაზიის პერიოდის ცხრა წლის დაუცხრომელი ცხოვრება და იგი გადანაცვლდა თითქმის მეორე პოლუსზე შორეულ ჩრდილოეთში არა იმისათვის, რასაკვირველია, რომ თავისი ენა და ქვეყანა დაევიწყებინა, არამედ მხოლოდ იმისათვის, რომ ეს ენა და ქვეყანა თავისი მეცნიერული კვლევა-ძიების ობიექტად გაეხადა და საერთაშორისო კულტურულ ასპარეზზე მისთვის სათანადო ადგილი მიეჩინა.

II.

პირველად ნიკო მარს გავეცანი 1908 წლის აგვისტოს დამლევს. ქუთაისის ქალაქის გამგეობამ დამინიშნა იმ ხანად დაწესებული ილია ჭავჭავაძის სახელობის სტიპენდია. გადაწყვიტე უმაღლესი განათლების მიღება 28/VIII დღით ჩავედი პეტერბურგს, ბარგი საღვურზე მივაბარე და გავსწიე უნივერსიტეტისაკენ. კანცელარიაში ქართველი მოსამსახურე აღმოჩნდა, გვარად საყვარელიცე. ხუთი წუთის განმავლობაში მატრიკული ჩამაბარა. უნივერსიტეტის ერთვერსიან დერეფანში ავედი. იქ ზღვა სტუდენტობა დამხვდა, მათ შორის — ბევრი ქართველობა. შორს დავინახე ცადაზიდული კოტე ფოცხვერაშვილი, მასთან იოსებ ყიფშიძე. — როდის ჩამოხვედი? მკითხა ყიფშიძემ. ბინა გაქვს? — არა! არც მე! — ხომ არ გინდათ ერთად დავიქირავოთ? — დიდის.

სიამოვნებით! ორი საათისათვის ახალ ბინაზე ვიყავით. სამზე ვისადილეთ და ხუთზე უკვე ნიკო მარის ბინაზე დავრუკეთ. კარები თვითონ გაგვიღო.

პირადად იგი მე არასოდეს არ მენახა. მარტო პორტრეტით ვიცნობდი. ცოტა-ოღენი მსგავსება დავინახე პორტრეტსა და ნამდვილს შორის: უსაყულო პერანგზე პიჯაკი, ფეხზე მოკლეყელიანი თბილი ქეჩარები. ისე მიგვიღო, თითქოს ყოველდღე მისვლელები ვყოფილიყავით. გულში გამკრა: ალბათ, მეტად ცივი და უკარბაა-მეთქი, ვიფიქრე.

— მობრძანდით! — იოსებმა გააცნო ჩემი თავი.

Николай Яковлевич, Беридзе, из народных учителей, поступил на факультет восточных языков! ხელი ჩამომართვა, მობრძანდით! კაბინეტში მიგვიყვანა.

დაბრძანდით!

— თქვენ დასტურ აპირებთ ჩვენს ფაკულტეტზე შემოსვლას?

— დიდა! — მერე, შიმშილის არ გეშინიათ? — არა, მე სტიპენდია მაქვს, შინიდანაც გამომიგზავნიან ცოტა რასმე.—არა, მე მაგას როდი გეკითხებით? ჩვენი ფაკულტეტი პურს ვერ გაჰმეცს! რო გაათავებთ, სამსახურს ძნელად თუ იშოვით! სულ ორი გიმნაზიაა: თბილისისა და ქუთაისში: თუ იქ არა, სხვაგან არსად! — არა, მე მაგის არ მეშინია! მე მინდა ცოდნა შევიძინო! — კეთილი! — მაშ, გადაწყვიტეთ შემოსვლა! დამუწულ პირში რამდენჯერმე ჩაახველა... კი, მაგრამ... ძირითადად მაინც რომელ ფაკულტეტზე შემოხვედით?

— მხოლოდ აქ ამ ფაკულტეტზე...

— სხვები კი სხვაფერ იქცევიან.

სიფრთხილეს თავი არ სტიკივთ და, поступают на другой, более надежный факультет (და გახედა იოსებს) а на наш факультет так, гбадаგზა და სხვათა შორის და გაეცინა.

მე ვერ გავიგე, რას ნიშნავდა იოსები-საკენ გადახედვა. იოსები კი მიხვდა, რაშია იყო საქმე, და წამსვე უპასუხა:

Николай Яковлевич, я уже оставил естественный факультет и целиком перешел на наш!

დიდხანს ვილაპარაკეთ. ის-ის იყო მისი წიგნი გამოსულ იყო «Описание таблицы к грамматике древнерусского языка». ბევრს გველაპარაკა მის შესახებ. ცოტა რაზე, უკეთ, ვერაფერი გავიგე!

როცა წამოსვლა დავაპირეთ, ადგა და დერეფანში გავიდა. იქ თაროდან ვაღმოიღო თავის ნაწერთა (ცალკეული წიგნებისა თუ ამონაბეჭდთა) თითო-თითო ეგზემპლარი და დასაჩუქრებული გამოგვისტუმრა.

იმ ღამეს დიდ ხანს არ დავგიძინია: წიგნებს ვათვალიერებდით. მეორე დღეს ისევ უნივერსიტეტს ვესტუმრე. შევიძინე Обзорение предметов преподавания на факультете Восточных языков და დახარბებულმა პირველი კურსის ყველა საგანი, როგორც სავალდებულო, ისე არასავალდებულო, ჩავიწერე მატრიკულში. იოსები მაფრთხილებდა: ყველა საგანი არც სავალდებულოა და არც ფაქტიურად შეიძლება მოსმენაო, მაგას გარდა, „ქანქარზედაც“ იქონიებს გავლენასო, მაგრამ მე მაინც ჩემი ვქენი.

გულის ფანქვალით მოველოდი მარის პირველ ლექციას. ოთხშაბათს მეტად მცირე აუდიტორიაში, მეტად მცირე რიცხოვნაში მსმენელებმა მოვიყარეთ თავი, ყველა კურსის სტუდენტი ვიყავით: იოსებ ყიდშიძე, იოსებ ორბელი, ორი ქალანთარი, მელიქ შახ-ნაზარაიანი, სარგის კაკაბაძე, გრიგოლ ლაფანციანი და მე.

ეს იყო და ეს. შემდეგ წლებში, ჩემსობას, რამდენიმე ამხანაგი შემოგვემატა: აკაკი შანიძე, გიორგი ჩიტაია, ვესევი მიქელაძე, დავით ყიფშიძე. ამის გამო, ხშირად მახსენდებოდა ჩვენებური თქმულება: ოფიტარას ორი მუშა, ოცდახუთი ხელოსანი! იმ განსხვავებით, რომ — თუ ოფიტარას მუშები, მართლაც, მუშები იყვნენ და 25 ხელოსანი — მხოლოდ განმკარგულბედი, ჩვენთან მდგომარეობა სხვაგვარი იყო: ჩვენ — გამოუცდელი მუშები ვიყავით და თავს კი დავტრიალებდნენ ისეთი მეცნიერნი, როგორიც იყვნენ: მარი, ბართოლ-

დი, უსოვსკი, ბოდუენ დე კურტენი, ტურაევი, მედნიკოვი, კრაჩკოვსკი, ჭავაზიშვილი, ადონცი და სხვები.

მაგრამ ჩვენ ისევ მარის ლექციას დავუბრუნდეთ. ქართული გრამატიკის კურსიდან შესავალი ლექცია წაიკითხა — გრამატიკული ლიტერატურის მიმოხილვა. ლექციამ ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა. არაჩვეულებრივად მიმზიდველი და წარმტაცი იყო და არა მარტო მაშინ, შემდეგშიაც, მთელი ოთხი წლის განმავლობაში, ქართული გრამატიკის კურსს ყველა კურსის სტუდენტები იშვიათის ყურადღებითა და გულმოდგინებით ვისმენდით, რადგან ყოველწლივ უთუოდ ახალი რამ, უთუოდ საგულისხმო, შეჰქონდა და ყველაფერს ამას დაწერილს კითხულობდა, ზეპირად არაფერს არ ამბობდა.

საზოგადოდ მარს ზეპირად ლაპარაკი არ ეხერხებოდა. ამიტომ იგი რამდენად, მართლაც, წარმტაცი იყო კითხვისას, იმდენად უინტერესო და დაბნეული ზეპირად მეტყველებისას.

მასსოვს: ერთხელ სახელმწიფო სათათბიროში საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ წააკითხეს მოხსენება. მოხსენებამ ყველაზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. მაგრამ მემარჯვენეებმა ობსტრუქცია მოუწყვეს. დააყარეს შეკითხვები. მარი დაიბნა და ვერაფერი ვერ უპასუხა. ჩვენ შინ, მას ბინაზე ვუცდიდით. შემოსვლისთანავე ცოლი შეეკითხა:

Ну, что?—Очень плохо!—Как?—Да, так: доклад, ничего, слушали внимательно, все было великолепно, часто прерывали аплодисментами, а вот, как забросали вопросами, тут уже я спутался и ничего не смог ответить. Спасибо, Е. Н. выручил да даасახელა აქ ერთი დეპუტატი (ევგენი გეგეჯორი), რომელსაც მარის მოხსენება ერთი საათით ადრე გადაეთვალიერებინა და შემკითხველთ სათანადო პასუხი გასცა.

ასეთი იყო ზეპირმეტყველებაში მარი, სამაგიეროდ კალმით ხელში ის პირდაპირ შეუდარებელი იყო. კალამი იყო მისი მასულდგმულბეგელი, ასე ვთქვათ,

უმსზე მომყვანი, კალმით ხელში — იგი მაქსიმალურად მოაზროვნე, კალმის უმისოდ — თითქმის არაფერსაც ვერ შემიძღვებოდა, როდესაც მისი მოხსენების გამო, კამათი გაიმართებოდა ხოლმე, მან ასეთი წესი შეიმუშავა: გამოდიან მოკამათენი, გაათავა ლაპარაკი ერთმა მოკამათემ, საჭიროა პასუხი. მარი რაღაცას ინიშნავს, წერს. თავჩალუნული ლაპარაკობს: пусть говорит следующий.

კამათობს მეორე, მესამე და ასე ბოლომდის. დადგა ჭერი მარის საბოლოო სიტყვისა. ადგა და წერილობით გასცა ყველას პასუხი. კამათის დროს უკვე მოასწრო დაეწერა ყველასათვის პასუხი.

მაგრამ, მე მგონია, დიდი წიაღსვლა მომივიდა. მარის მეორე ლექცია ქართული ლიტერატურის ისტორიიდან კიდევ უფრო საგულისხმო და უფრო შინაარსიანი იყო. სამწუხაროდ, ეს კურსი, ბევრის რისამე შემცველი, თავის დროზე ვერ გამოქვეყნდა არა ერთხელ მოუმართავს მას შემდეგში ჩემთვის: ხომ ზედავთ, როგორ დატვირთული ვარ, არა მცალია, წაიღეთ და გამოეცით თბილისში, მაგრამ სხვადასხვა მიზეზის გამო ეს არ მოხერხდა!

ახლაც არ დაუყარავს მას თავისი მნიშვნელობა! ბევრ რასმე საჭიროსა და სასარგებლოს ამოიკითხავენ შიგ ჩვენი სპეციალისტები და არასპეციალისტები! საზოგადოდ, მარის ლექციები არაა გამოცემული. ლექციებს მოვლა და პატრონობა უნდა! მარს, როგორც მეცნიერს, აქ არ შეეხებოდა. მეორე რასმე ვიტყვი მის ბუნებასა და ხასიათზე, განსაკუთრებით, მისი ცხოვრების ზოგიერთ მომენტზე და მასაც არა ქრონოლოგიურად.

უნივერსიტეტში, სტუდენტობის დროს, მარს „ბირთვად საგნებში“ ხელმძღვანელი თითქმის არ ყოლია: თვითონ სწავლობდა საგნებს სხვების დაუხმარებლივ, ასე ვთქვათ — სტიქიურად.

ეს აიხსნება იმ გარემოებით, რომ ან ხელმძღვანელთ არ თვლიდა თავისი გა-

ნეითარების შესაფერისად, ანდა: მეტისმეტად თავმოყვარე იყო და თავად, დამოუკიდებლად უნდოდა გაეკაფა გზა.

შემდეგში ეს სისტემა მან თავის მოწაფეებზედაც გადაიტანა: ლექციების კითხვას გარდა, ის არაერთხელ ხელმძღვანელობას არ უწევდა სტუდენტებს თუ ასპირანტებს ისე, როგორც ახლა ჩვენ გვაქვს მიღებული. ამასთან აღსანიშნავია, რომ ლექციებს იგი კითხულობდა მხოლოდ იმ საგნებში, რომელთა კურსი თავად არ ჰქონდა დაბეჭდილი. ივულისხმებოდა, რომ დაბეჭდილი კურსი, აგრეთვე ყველაფერი დანარჩენი, რაც საჭირო იყო სტუდენტისათვის თვით სტუდენტს უნდა მოენახა, წაეკითხა და დაემუშაებინა, სულ ერთია, რომელ ენაზედაც არ უნდა ყოფილიყო ეს წასაკითხი, ან, თუ ვინცობაა, გამოირკვეოდა, საჭირო ლიტერატურას არ იცნობდი, ვაი, შენი ბრალი!

Позор! как вы не читали? неужели я должен вам напоминать! მარის ეს სისტემა სხვა რამეშიც ჩანდა: მას ზოგ საგანზე მეტად თავისებური შეხედულება ჰქონდა შემუშავებული. სრულიად საწინააღმდეგო საზოგადოდ მიღებული შეხედულებისა, თვით საენათმეცნიერო ტერმინოლოგიაც თავისი ჰქონდა, საზოგადოდ მიღებული ხშირად ან არ იცოდა, ან არ უნდოდა ეცნო! მაგრამ თუ ახლის უპირატესობაში დარწმუნდებოდა, უყოყმანოდ მიიღებდა!

ერთხელ ჩვენ ბოდუენ დე-კურტენეს მიერ შემოღებული ტერმინი ვიხმარეთ ფონემა. უცებ Что такое? у кого слышали? где вы читали? Разве? Напрасно! მაგრამ მეორე დღეს: а бодуэновский термин ничего себе: он, пожалуй, лучше выражает соответствующее понятие, ხოლო მესამე დღეს: я окончательно решил перейти на новый термин, старый (ე. ი. თვითონ მისი) никауда не годится და კიდევ იხმარა ეს ახალი ტერმინი თავისი ქანური ენის გრამატიკაში.

ამ მხრივ იგი ყველას უწევდა ანგარიშს, თავის სტუდენტებს პირველ რიგში: აღსანიშნავია, რომ არაბული ძირის მაგიერ უხმოდ და უყოყმანოდ

მიიღო მან ჯერ კიდევ სტუდენტის აკაკი შანიძის მიერ რეკომენდებული ქმნ (ქომახ) ძირი, არამარტო შეუპოვო შიშრო: შემდგომში ყველა თავის ლინგვისტურ ნაწერში, სადაც ამას საჭიროება მოითხოვდა, ყველგან ქმნ ძირს მიჰმართავდა.

რომელიმე შრომის წამოწყებისას მარს განსაკუთრებით ფრთხილად ექირა თავი: უთუოდ თავის კოლეგებს გააცნობდა სამუშაო გეგმას, სთხოვდა რჩევას, დახმარებას მასალათა მოწოდებაში. ხოლო ჩვენთან, სტუდენტებთან, არაჩვეულებრივი ამხანაგური კავშირი ჰქონდა. თავისი ნაშრომის პირველ ვარიანტს — პროექტს აუცილებლივ წავიკითხავდა ან უნივერსიტეტში ან თავისთან ბინაზე, ყოველგვარ შენიშვნას, მცირეოდენსაც კი, ინიშნავდა, და, თუ ვინცობაა, შემდგომ ბეჭდურად გამოიყენებდა, აუცილებლად მას სათანადოდ მოიხსენებდა. იშვიათად ფაქიზი იყო: აღნიშნავდა არა მარტო დაწერილ წყაროებს, არამედ თვით ზეპირად მოწოდებულ ცნობებსაც კი.

ამ მხრივ იგი დიდად არ ჰგავდა ზოგიერთ მეცნიერს თუ მომეცნიეროს, რომელთაც უყვართ თავიანთ მკვლევარზე დაწინაურებულა შეზავება სხვადასხვა მკვლევართა ნაშრომებით, ცხადია, პირველ მოქმელთა მოუხსენებლად.

მეტად ნერვული იყო, არაჩვეულებრივად ფიცხი, ხშირად თავშეუკავებელი. სწრაფად აენტებოდა, თითქოს უმიზეზოდ, ხანდახან ზოგ რასმე არასაკადრისსაც იკადრებდა ხოლმე. მაგრამ ეს სიფიცხე გრძელდებოდა მხოლოდ ერთ წამს. მარი არ იყო ძვირმსენებელი! დაშოშმინება მალე იცოდა და ხშირად ბოდიშსაც კი იხდიდა თავის საქციელის გამო.

მასსოვს: კორნელი კეკელიძის შრომა გამოვიდა: Литургические памятники в отечественных книгохранилищах. დაფუთებული შემოვარდა აუდიტორიაში. Тоже! გამოუშვია უზარმაზარი წიგნი без французского текста, изволь писать рецензию, როგორ შეიძლება მისი შეფასება, я не буду писать никакой рецензии. მეორე დღეს: чем внимательнее я читаю, тем

понимал! Прав Иван Александрович, что он переключился на грузинский язык... я тоже не буду писать по-русски... Нет, буду и других заставляю писать и читать по-русски!

მთელი ერთი წლის განმავლობაში მარი პირდაპირ ვეფხვივით იბრძოდა ეურნალისათვის და ბოლოს კიდევაც გაიტანა თავისი: გამოსცა ეურნალი. ეურნალში, როგორც ვიცი, საუკეთესო ძალები თანამშრომლობდნენ, და მან დიდი, დადებითი როლი ითამაშა ქრისტიანული აღმოსავლეთის კულტურის ისტორიის შესწავლაში.

საზოგადოდ მარი დიდი პატივისმცემელი იყო რუსული ენისა და რუსული კულტურისა.

ერთხელ, მახსოვს, მასთან ბინაზე მივიდა პელსინგფორსის (ახლა პელსინკი) უნივერსიტეტის დოცენტი — თქვენმა იაფეტურმა თეორიამ დამაინტერესა და ვთხოვეთ ამიხსნათ ზოგი რამ და თანაც სათანადო ლიტერატურა დამისახელოთ.

შემოსვლისთანავე გერმანულად მივსალმა: უცაკრავად, ვინაიდან მე თქვენი ენა, ქართული არ ვიცი, ნება მიბოძეთ გერმანულად გელაპარაკოთ.

მარმა ზრდილობიანად მოუქრა: *Тогда говорите по-русски.* დოცენტი იმ წამსვე გამოიცვალა ენა და მშვენიერი რუსულით დიწყო ლაპარაკი. დიდხანს საუბრობდნენ, დასასრულ, მარმა გადმოიღო რამდენიმე წიგნი და მისთავაზა. გამომგვიდომებისას დოცენტი მინც შეეკიზა.

— Скажите, г. профессор: вы грузин, грузинский ученый, а почему пишете и печатаете по-русски? Писали бы по-грузински или же на иностранном языке!

მარი აენტო. Я грузин по происхождению и язык мой грузинский, но я русский ученый. Служу в русском университете, в русской академии. Будучи националистом, конечно, много порядка (და ვადმომხედა მე), горячо любя свой родной язык и всемерно стараюсь — изучить, исследовать этот язык, я никогда не переставал быть (не перестаю быть) патриотом великого русского языка.

Грузинский язык является одним из самых демократичнейших и совершеннейших языков мира, нет ни одного понятия, даже

самого высшего и сложного, что нельзя было выразить на этом языке, и я пишу и печатаю на грузинском языке, *ქართულ ენაზე* (нем есть надобность. Но русский язык велик по своей природе, велик по своему широкому охвату общности. Что же касается иностранного языка (пардон!), я на нем писать не буду.

ცივად გაისტუმრა.

ის რომ წავიდა, მე შევეკითხე: ბ-ნი ნიკო, რატომ ჩემსკენ გადმოიხედეთ ნაციონალისტობას რომ შეეხეთ-მეთქი — მიპასუხა: ეს ის ვაებატონი მყავდა მხედველობაში. Они же страшные националисты!

მაგრამ თუ ასეთი ფიცხი და სშირად აუტანელი იყო ოფიციალური მარი, კერძო ცხოვრებაში განსაკუთრებით მზიარული ზუმარა, ლალი და მორკმული გვევლინება იგი.

ივანე ჭავჭავიძელთან ერთად სინას მთაზე იმგზავრა, ნახევარ წელზე მერთი დაჰყო იქ.

ყველაფერი რიგზე იყო, გვიამბო, მაგრამ არ მომწონდა ის გარემოება, რომ ოდესღაც ქართველთა ამ დიდებულ მონასტერში არც ერთი ქართველი ბერი არ მოიპოვებოდაო. ვუსაყვედურე მონასტრის გამგეობას. მიპასუხეს: იქ, ზევით, ეკლესიაში, აქრთველიცაა, მიბრძანდით და ნახეთო.

ჩვენც წავედით და, მართლაც, ვნახეთ ერთი პიროვნება, მაგრამ რა ეროვნების იყო, ვერ გამზრვარკვიეთ, ბლუ და ყრუ გამოდგაო. ავადმყოფი ხელმწიფის ამბავი და ბედნიერი კაცის პერანგი გამახსენდა. უყურნებელი სენით შეპყრობილ ხელმწიფეს ურჩიეს — ბედნიერი კაცის პერანგი ჩაიცვი და მორჩებო.

დიდი ძებნის შემდეგ მონახეს ბედნიერი კაცი, მაგრამ უპერანგო გამოდგა. მინც რა ხელმწიფე ყოფილა იოჯახდაქცეული: მთელ მის სამფლობელოში მხოლოდ ერთი ბედნიერი კაცი მოიხანა და ისიც უპერანგო. ჩვენც აგრე მოგვივიდა: წამლად ერთი ქართველი ვნახეთ და ისიც ბლუ. დიდის წვალებით: ზოგი ხელით, ზოგი ფეხით,

ზოგი ენით, როგორც იყო, გამოვარკვიეთ, რომ ქართველი იყო. ჩვენც შევეცადეთ მიგვეხვედრებინა, რომ ქართველები ვართ. არ დაგვიჭერა.

მხოლოდ გვანიშნა, ახლავე გამოვარკვევო. გამოიტანა დიდი სასმისი და იქვე, ხის ძირას ჩაფლულ ქვევართან მიგვიყვანა; მოხადა, აავსო სასმისი და მომწოდა. მწყურვალე ვიყავ და სულმოუთქმელად, ერთ ახმით, გამოვცალუჭერი ივ. ჭავჭავაძის მიდგა. ივანემ, როგორც წესი, ახლოსაც არ წაიკარა. ბერი ცოტა ხანს გავცეხული იდგა. შემდეგ მომიბრუნდა მე და ამოილულულა: „შეიენ... ქართველი, იის თათარია“ და გულიანად გადინახარა...

მოწაფეებს განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდებოდა. 1911 წელს რაქას წავედი იქიაური დიალექტის შესასწავლად. მასალა მეტად საგულისხმო აღმოჩნდა. განსაკუთრებით ლექსიკაში: აუარებელი სიტყვა, სალიტერატურო ქართულში უცნობი. მარს წერილი გავუგზავნე. უცნობი სიტყვებისაგან შედგენილ წინადადებათაგან ავაქრელე იგი. ერთიც ამგვარადვე შედგენილი აკაკი შანიძესაც გავუგზავნე. რამდენიმე დღის შემდეგ მარის დეპეშა მომდის ანისიდან.

Успехам рад, ничего не понял. Пишите толком. Не нуждается ли в деньгах?

მოწაფეებთან მუდმივი ურთიერთობა და კავშირი ჰქონდა, არა მარტო მოწაფეობის დროს, არამედ უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგაც.

ძველი ქართულის ლექსიკონის შემდგენელი კომისია დაარსდა. წევრები იყვნენ პეტერბურგში, თბილისში და მე ქუთაისში.

მარს მარკოზის სახარების ორი თავი თვითონ დაემუშავებინა და კორექტურა მე გამომიგზავნა, თუ რაიმე შესწორება გაქვს, აღნიშნეო. მე იმ ხანებში ქუთაისში არ ვიყავი (ზამთრის არდადეგების გამო თბილისში ვიმყოფებოდი) და პასუხი და კორექტურა დაგვიანებით გავუგზავნე. მარისაგან დაუყოვნებლივ წერილი მივიღე.

13.10.1. ძმაო ვუქოლ, თუმცა დამეგვიანე, მაგრამ მაინც მომასწარე, მადლობელი ვარ. ამ დღეებში... დაიბეჭდებოდა და სხდომას მოეახდენოთ ლექსიკონის აქაური წევრები და გამოგვგზავნით.

Очень надеюсь на ваше сотрудничество, осрамится не основания: это вам легко, только бы время. (Конечно, расхождения в объяснениях новых со старыми встретиться могут, но ведь в собирании лекс. материала, а грам. или лингв. Объяснения и даже классиф. потом...)

ცდილობდა მოწაფეები, თავისი მუშაობის საქმის კურსში ყოლოდა. თუ რაიმე შესწორების შეტანას აპირებდა თავის ძველ დებულებებში, დაბეჭდვამდის უთუოდ წერილობით შეეკითხებოდა რომელიმე მათგანს: ასე და ასე ვაპირებ და თქვენ რას იტყვიეთო.

მეცნიერებს შორის მარი უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობდა, არაჩვეულებრივი პატივისცემით ეპყრობოდნენ მას, და აღსანიშნავია, ეს პატივისცემა და ყურადღება მარის ამხანაგებს ჩვენზედაც, სტუდენტებზედაც, გადმოჰქონდათ.

თითოეული მათგანი ჩვენ განსაკუთრებული გულისყურით გვეკიდებოდა, როგორც თანასწორი თანასწორს, მოკლედ:

აღმოსავლეთ ფაქულტეტის ქართულ-სომხური განყოფილება — პროფესორ სტუდენტები ერთ ოჯახს წარმოვადგენდით, ერთ ოჯახს ერთი ინტერესებით გამსჭვალულს, ერთი მიზნით გაერთიანებულს.

მარი ამ ოჯახის წამყვანი წევრი იყო. ის იყო მთავარი კონსულტანტი აღმოსავლეთმცოდნეობის ქართულ-სომხურ დისციპლინებში, სულ ერთია, რა საგანიც არ უნდა ყოფილიყო იგი: ენა, ლიტერატურის ისტორია, სამართალი, არქეოლოგია, ნუმისმატიკა, ლექსიკოლოგია თუ სხვა თუ სხვა.

მარი განსაკუთრებით ზრუნავდა ამ ოჯახის ახალგაზრდა წევრთათვის. ცდილობდა, ყველანი იმთავითვე ჩაება მუშაობაში ისე, რომ მეცნიერებასაც სწე-

ვოდნენ და ცოტა მატერიალურადაც მომაგრებულყვნენ.

1. იმ ხანებში Русская энциклопедия — ს გამოცემა განიზრახეს. მარის რეკომენდაციით ორბელი, შანიძე მე და სხვები გამომცემლობამ თანამშრომლებად მიგვიწვია. თითოეულმა ჩვენთაგანმა რამდენიმე სტატია მოათავსა ხსენებულ ენციკლოპედიაში.

2. იმავე ხანებში მთავრობამ დაადგინა: ადგილებზე მომუშავე იურისტებმა ადგილობრივი ენები უნდა იცოდნენ, განსაკუთრებით კი გამომცემლებმა, ვინაიდან თუ გამოძიება თარჯიმნის საშუალებით წარმოებს, იგი უკმარია, უვარგისია, დაკითხვისას ფსიქოლოგიური მომენტი, რასაც ამ შემთხვევაში გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს, სავსებით გამორიცხულია.

ამ მიზნით პეტერბურგში სპეციალური კურსები დააარსეს. ქართული სექტორის ხელმძღვანელად, მარის რეკომენდაციით, ი. ყიფშიძე მიიწვიეს. ამ კურსებზე წაკითხულ ლექციათაგან შემდეგში შედგა ი. ყიფშიძის ქართული გრამატიკა, რომელიც განსაზღვრული ტირაჟით დაიბეჭდა პეტერბურგში.

3. ო. უორდროპმა განიზრახა თავისი დის მარჯორი უორდროპის მიერ ინგლისურად თარგმნილი „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემა. დახმარება მარს სთხოვა. ძირითადად მარი ესმარებოდა, მაგრამ სიტყვათა ახსნა — განმარტებისათვის ჩემზე მიუთითა. ჩვენც ერთმანეთი წერილობით გავიციანით. შეძლებისდაგვარად ვეხმარებოდი. ერთხელ, ორშაბათი იყო, აუდიტორიაში შემოვიდა მარი, ამოიღო პორტფელიდან მშვენიერ ყდაში ჩასმული წიგნი და: აბა, თუ მიხვდებით, რა არის ესო? მეც ამოვიღე და ვუჩვენე ო. უორდროპის მიერ გამოგზავნილი ინგლისურად თარგმნილი „ვეფხისტყაოსანი“. Ага, и вы тоже получили?

მევიღე, მაგრამ თითქმის არც ერთი ჩემი ახსნა ახლა არ მომწონს — მეთქი! დამამშვიდა!

Если бы все мои писания были настолько

совершенно, что они не нуждались в поправках и дополнениях, это было бы очень хорошо, но, к сожалению, так не бывает: не все хорошее сразу приходит в голову. У вас есть ошибки, и вы это сознаете. Очень хорошо! Сознание своих ошибок — это само по себе уже шаг вперед, а исправление этих ошибок — это уж венец всему делу. Бояться нечего!

ამასთან დაკავშირებით მარს ხშირად უსაყვედურებდნენ, ხოლმე, თავის აზრს ამა თუ იმ საგანზე მალ-მალე იცვლის და რომელია მისაღები და რომელი დასაგმობი, ძნელი გასარჩევიაო. უბადრუკია ის მეცნიერი და არც შეიძლება ჩაითვალოს მეცნიერად, რომელიც ახალ ვითარებათა მიუხედავად, მაინც ძველებურად უკრავს დედუკს და ერთსა და იმავე ადგილს 30 წელიწადს ტყბნის. ახალი ვითარება, ახალი აზრები — ასეთია ჩემი ხასიათი და თქვენ თქვენი, ძველი გზით იარეთ, და ვნახოთ, ვინ გაიმარჯვებსო.

აღსანიშნავია, რომ მარი არ იყო მართოდენ თეორიულად ამ დებულების წამომყენებელი, თვითონვე იყო პრაქტიკულად მისი საუკეთესოდ განმსახიერებელი.

ამის საუცხოო მაგალითს წარმოადგენს მარის აზრთა მსვლელობა „ვეფხისტყაოსნის“ შესწავლის საკითხში. თავდაპირველად მარი ამ ნაწარმოებს სპარსულიდან თარგმნილად მიიჩნევდა. მაგრამ შემდეგ, ახალ მისაღებზე დამყარებული, იგი იპყრობდა ახალ-ახალ პოზიციებს და უკანასკნელად მოგვცა თავისი დასრულებული, იშვიათად დასაბუთებული შეხედულება-დებულება ვეფხისტყაოსნის ორიგინალობის შესახებ.

— ქართული მწერლობის შესახებ დროთა განმავლობაში შემუშავდა თეორია, რომლის მიხედვითაც ეს მწერლობა და საერთოდ კულტურა დაიბადა და განვითარდა უცხო გავლენის ქვეშ. ეს თეორია ვადმოლებისა და უცხო წარმოშობის ძალებისა დაიწერა, როგორც ქვიშაზე აგებული. ამის საუკეთესო მაგალითია გენიალური პოეტის შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“. წინეთ ამ

ნაწარმოებს მე ვუყურებდი მხოლოდ გარეპირიდან (ფასადიდან), არ მქონდა არც საყრდენი და ამის გამო არც სურვილი შევსულიყავ თვით შენობაში, ე. ი. შემესწავლა თვით ნაწარმოები. დაწვრილებითი ანალიზი და შესწავლა კი მისი დღეს უკვე საბოლოოდ, უქველობით ცხადყოფს, რომ უკედავი „ვეფხისტყაოსანის“ წარმოშობა და გაშლა მხოლოდ საქართველოს ნიადაგზე იყო შესაძლებელი.

როგორ მუშაობდა მარი? მახსოვს, საბჭოთა ხელისუფლებამ მოიწვია (თბილისში) ავსტრიელი მეცნიერი ლურსმულის სპეციალისტი ლემან-ჰაუპტი. საქართველოს მუზეუმში გვიკითხავდა ლექციებს. მოაწია 12 საათმა. უცებ ლემანმა გაუფრთხილებლად შეწყვიტა ლექ-

ცია-საუბარი, გავიდა დერეფანში და საუბრის ჭამა დაიწყო. ამგვარი იყო მარი! მუშაობის დროს (და როდის იყო, რომ იგი არ მუშაობდა!) მან არავითარი მოსვენება არ იცოდა. ძილიც კი! არა ერთხელ შევკითხებივარ მის მეუღლეს:

— Сколько же Николай Яковлевич спит в сутки?

— Сколько? лежит он 4, 4½ часа, а спит ли он в это время, или нет, я, право, не могу сказать: так, полулежит, полуспит! Часто бывает, вскакивает с постели и в одном белье садится за стол и продолжает писать: в это время к нему не подходит!

რაც შეეხება ჭამას, პირდაპირ თავზე უნდა დასდგომოდი, ძალით უნდა გეკმევიინებინა, თვითონ იშვიათად თუ გაახსენდებოდაო.

(დასასრული იქნება)

„ქართული მოთხრობა“

თხთმეტიოდე წლის შემდეგ ქართული მწერლობა იზიემებს თავის სხელოვან იუბილეს — პირველი ქართული ორიგინალური ნაწარმოების შექმნის 1500 წლისთავს. ეს ნაწარმოები — შეშანიკის წამება, დაწერილი 476-483 წლებს შორის, მხატვრული თხრობის ისეთ დონეზე დგას, რომელიც თავის დროისათვის შეიძლება ბრწყინვალედ ჩაითვალოს. იგი სრულ საფუძველს იძლევა ვივარდით, რომ მწერლობა ქართულ ენაზე უფრო ადრეც არსებულა, მაგრამ ამაზე აღრიდდელ ძეგლებს ჩვენამდე არ მოუღწევია.

ქართული მწერლობის უძველეს პერიოდში, შეშანიკის წამებიდან მოყოლებული რუსთველამდე, ჩვენი ლიტერატურის წამყვან ეანრს პროზა წარმოადგენს (თუმცა დღეს ჩვენთვის ცნობილია მე-8-10 საუკუნეებში შექმნილი შესანიშნავი სასულიერო ჰიმნებიც). სურათი მკვეთრად იცვლება „ვეფხისტყაოსნის“ შემდეგ, როცა მწერლობას რუსთველის მეტრი დაედო საზომად და მანამდე ცნობილი ბევრი პროზაული თხზულება ექნა „გარდაჰქმული“. მიუხედავად ამისა, რასაკვირველია, პროზას არც ამ ხანებში დაუკარგავს თავის მნიშვნელობა. სწორედ ამ პერიოდში შეიქმნა „რუსთდანიანი“, „სიბრძნე სიცრუისა“, სხვადასხვა მიმოსვლა-მოგზაურობათა აღწერანი და, დასასრულ, იოანე ბატონიშვილის „კალმასობა“.

„კალმასობა“ ფრიალ საყურადღებო, თავისებური ეანრის ნაწარმოებია, რომელიც ერთი მხრივ ენციკლოპედიური ხასიათის მოკლე ცნობებს შეიცავს მეცნიერებისა და ხელოვნების სხვადასხვა დარგის შესახებ, მეორე მხრივ კი მასში დმატრული ფეოდალური საქართველოს შეუღლამზებელი და გულისმომწყველელი სურათი: ხალხის სიღატაე და უეცობა, ტყვეებით ეკრობა და მრავალგეარი სხვა სოციალური უუღლმართობა. როგორც ქრონოლოგიურად ისე მხატვრული სპეციფიკით ეს ნაწარმოები ძველი და ახალი ქართული ლიტერატურის მიწნაზე დგას.

ახალი ქართული მწერლობა მოწოდებული

ქართული მოთხრობა, I, II ტ. ტ., ლიტერატურა და ხელოვნება, 1963.

იყო გაელრმავებინა და უფრო მაღალ მხატვრულ დონეზე აყუენა ის მოტივები, რომელთა ნანასახსაც ჩვენ „კალმასობაში“ ვხედავთ. ეს ასეც მოხდა, თუმცა შედარებით გვიან — მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში.

მე-19 ს. დასაწყისში ერთ ხანს სოციალური მოტივები დაჩრდილა ისეთმა დიდმა პოლიტიკურმა მოღუენამ, როგორიც იყო საქართველოს შეერთება რუსეთთან. ამდროინდელი სულიერი მღელვარებისა და ტკივილების გადმოსაქვმად პოეზია უფრო ძალმოსილი აღმოჩნდა: მე-19 ს. პირველმა ნახევარმა რამდენიმე ბრწყინვალე პოეტი წარმოშეა, პროზაიკოსი კი არც ერთი. რომანტიკულ-სენტიმენტალური მიმდინარეობის წარმომადგენლები ამ პერიოდის ქართულ პროზაში აგრძელებდნენ იმ ხანს, რომლის წამომწყებადაც ჩვენში „კალმასობის“ ავტორის უფროსი იმა დავით ბატონიშვილი ითვლება. მისი „ახალი შიხი“, რომელიც ეანრეც რუსოს „ახალი ელოზას“ უშუალო გავლენითაა დაწერილი, დღეისათვის მოკლებულია რაიმე მხატვრულ-ესთეტიკურ ღირებულებას და მხოლოდ ისტორიულ მნიშვნელობას ინარჩუნებს.

დაახლოებით იგივე შეიძლება ითქვას ამ მიმართულების ყველაზე ნიჭიერი პროზაიკოსის გრ. რჩეულიშვილის „ქვრივის ღომონებისა“ და „ანუკა ბატონიშვილის“ შესახებ, თუმცა თავის დროზე ისინი დიდი მოწონებით სარგებლობდნენ.

„ქვრივის ღომონების“ გამოქვეყნებიდან ორიოდე წლის შემდეგ „ციკიარში“ დაიბეჭდა დკონაქძის „სურამის ციხე“, ხოლო კიდევ ერთი წლის შემდეგ — ლ. არდუზიანის „სოლომონ ისაყის მექალაქიშვილი“. ახალი ქართული პროზის აღორძინების დასაწყისი სწორედ ამ ორ სახელთან და ამ ორ ნაწარმოებთან არის დაკავშირებული. პირველად ამ მოთხრობებში აისახა ახალი ემოქა თავისი უღღესი სოციალური ძერებით და ტკივილებით. დაუოკებელი ენებებით, ცხოვრების გარდაქმნისათვის ბრძოლის წყურტილი.

ეს იყო ემოქა, როცა ქართველი საზოგადოება გამოფხიზლდა და თანდათანობით ფეხაუწყო ახალ, რუსეთთან შეერთების დროიდან

დამყვილებელ ცხოვრებას. შემთხვევითი რაღაცა, რომ ლ. არღანიანის მოთხრობის შთაბრძნობით სოლომონ ასაკომ მექანდაკეობის სწორედ 1801 წელსაა დაბადებული. იგი თავით ფეხებამდე ახალი ეპოქის ღვიძლი შვილია.

ლ. არღანიანი ამ მოთხრობას როგორც მკითხველი საზოგადოების, ისე კრიტიკის მხრივ თავიდანვე ერთსულადანი მოწონება ხვდა წილად, მაშინ როცა ვიორგი ერისთავსა და დანიელ კონჭაძეს, შემდგომ კი ილია ჭავჭავაძესაც მრავალი უსამართლო ვადაბდათ მათი შესანიშნავი თხზულებების გამო. ამის მიზეზი ადვილი ასახსნილია: ლ. არღანიანის გაიციხვის ობიექტი იყო დამალი ფენის წარმომადგენელი — მექანდაკეობის, რომელმაც, როგორც თვითონვე ამბობს, ბევრი ცდის მიუხედავად, ვერ მოაშორა თავის გიარს დამამკობებელი სიტყვა „ქლანი“. ვიორგი ერისთავისა და დანიელ კონჭაძის უარყოფითი გმირება კი დიდებულებები და მუხრანბატონები იყვნენ, რომლებშიც მაღალი წოდების ბევრმა წარმომადგენელმა თავის თავი იცნო. ისინი განსაკუთრებული ვადაბრებით დაესხნენ თავს დ. კონჭაძეს, რომელიც თვითონ ამ მაღალ წოდებას არ ეკუთვნოდა. თუ ზოგიერთი ხმა-ხაჩლიანი თავადი ცდილობდა ფიზიკურად გასწორებოდა „სურამის ციხის“ ატრის, ზოგმა მას პრესის ფურცლებიდან შეურტა. მაგრამ არც ეს იყო დიდად გონიერული ნაბიჯი, რაც ამკარად ეტყობა „სურამის ციხის“ მოწინააღმდეგე კრიტიკოსთა არგუმენტებს.

ეს არგუმენტები დღეს მხოლოდ ირონიულ ღიმილს გამოიწვევს.

გვირბა კიდევ ორიოდ წელმა და ახლად დაარსებული „საქართველოს მოამბის“ ფურცლებზე გამოქვეყნდა ქართული კრიტიკული რეალისტის ერთ-ერთი შედგენილი „აკიბა-ადამიანი!“-ს ნუ დავაიწყებდებთ, რომ ამ დროს ილია ჭავჭავაძე მხოლოდ ოცდაექვსი წლის იყო! თავადანაზღერობა კვლავ გააფთრებით შეხვდა საკუთარი ნაყლის მზილებას, მაგრამ სალიტერატურო კრიტიკამ კი ამჯერად თავიდანვე სწორი და მაღალი შეფასება მისცა „აკიბა-ადამიანს“.

„აკიბა-ადამიანს“ მოჰყვა ილიას სხვა შესანიშნავი მოთხრობები: „გლახის ნაამბობი“, „საჩინებელაზედ“, „ოთხარანთ ჭკრივი“, როგორც ცნობილია, ერთ დროს, ამ მოთხრობების ატრის სრულიად სხვა პოლუსზე აყენებდნენ. ვიდრე დანიელ კონჭაძეს. მაგრამ დღევანდელი მკითხველისათვის ერთი თვალის გადავლებაც კმარა, რომ შენიშნოს უშუალო სიახლოვე, მაგალითად, „გლახის ნაამბობისა“ და „სურამის ციხის“ შორის, — არა მხოლოდ თემატიკის, არამედ ზოგჯერ დეტალების მხრივაც.

გახსენეთ მაგალითად, პეპის საუბარ-

თმაროსთან ვახოვეების თაობაზე და შედეგად იგი ოსმან-ალასა და მის ნათლულს შორის გამართულ საუბარს. ცხადია, ეს არაა იმის მანიცდაშინიც უშუალო გაკლენილ-გაქრეცილი მსგავსება, მას უფრო გარემოებათა ერთგვარობა განსაზღვრავს, მაგრამ ასეთი პარალელური ხაზების არსებობა მაინც ნიშანდობლივი და საკულისხმოა.

ილია ჭავჭავაძემ თავის მოთხრობები თითქმის მთლიანად თანამედროვეობის საკიბრბორტო სოციალურ პრობლემებზე ააგო და რამდენიმე დაუეწყარი ლიტერატურული ტიპი გამოიყვანა. ამ მხრივ მას ქართულ ლიტერატურაში ტრადიციული ევრაქონი უდევს.

სულ სხვაგვარიი აკაცი წერეთლის პროზის ძირითადი თემატიკა, აკაცის უმთავრეს პროზულ თხზულებათაგან ერთი მხატვრულად მოთხრობად თავგანდასავლად წარმოდგენას, ხოლო მეორე — „ბაში-აჩეთი“ ისტორიულ თემანზე აგებული. აკაკი არ იყო ისტორიის პირდაპირი მხატვარი: „ბაში-აჩეთში“ და აკაკის ისტორიულ პოემებშიც, გერონტი ქიქოძის სიტყვით რომ ვთქვათ, „წარსული დროის საგნებსა და ადამიანებს რომანტიკული იდეალიზაციის ლენჯი აქვს გადაფარებული“. მაგრამ გ. ქიქოძე იქვე შენიშნავს, რომ „მეცხრამეტე საუკუნის მკითხველს ეს როდი მიანდა ნაკლავანებად. მას უნდოდა ერწმუნა, რომ თავისუფალი საქართველო ყველაფრით მაღლა იდგა რუსეთის იმპერიისაგან, მიერ დამოუხმებელ საქართველოზე, და პატრიოტულ-რომანტიკული მწერლობა დახმარებას უწევდა ამ მხრივ... მიუხედავად იმისა, რომ აკაკი წერეთლის „ბაში-აჩეთი“ და ისტორიული პოემები სტენდარის „რეალიზური პრონკების“ რეალისტური სიმამფრთხი არ არიან დაწერილი, რომ ისინი სინამდვილის ასახვის თვალსაზრისით მისი პროზის შედეგს „ჩემს თავგანდასავლასაც“ ჩამოუვარდებთან, ეს ნაწარმოებნი მაინც უფროდ დარჩებიან კლასიკური ქართული ლიტერატურის საღაროში, არა მარტო მათში გამოთქმული ეთიკოლოგიური პატრიოტიზმისა, არამედ წმინდა მხატვრული ღირსების გულისათვისაც“.

მკითხველში პატრიოტული სულისკვეთების გაღვივების მიზნით ისტორიულ წარსულს მიმართავს აგრეთვე ალ. ყაზბეგი თავის ბრწყინვალე მოთხრობაში „ხვეისბერი გოჩა“. ისევე როგორც „ბაში-აჩეთი“, „ხვეისბერი გოჩა“ გვიხატავს ჩვენი ქვეყნის ისტორიაში ერთ-ერთ უფლავებ ტრაგიკულ ეპოქას — მე-17 საუკუნეს, მთის გორბი ფეოდალის — ნუგზარ ერისთავის ბატონობის ხანას, რომელსაც ხალხმა „სისხლის წეიმების დრო“ შეარქვა.

„ხვეისბერი გოჩა“ მხარს უმშენებნ მსოფლიო ლიტერატურის შესანიშნავ ნიმუშებს — „მატო ფალკონეს“, „ტარკს ბუღბას“, გორკის „ზღაპარს დედაზე“ და სხვებს, სადაც აღ-

წერილია, თუ როგორ უპირისპირდება და სჯაბნის მშობლიურ სიყვარულს სხვა რომელიმე ვრწმობა, უმთავრესად — პატრიოტიზმი. „სამშობლო უპირველეს ყოვლისა“ — ასეთია ალ. ყაზბეგის შემოქმედების დევიზი.

ალ. ყაზბეგმა გამაღივრა ჩვენი ლიტერატურა ფართო მხატვრული ტილოებით — რომანებით, რიტუალ ქართული მწერლობა ადრე ძალიან ღარიბი იყო. მის რომანებსა და მოთხრობებში ოსტატურად არის შერწყმული როგორც ეროვნული, ისე სოციალური ჩავერის წინააღმდეგ ბრძოლის იდეა. სწორედ ამიტომ დაიმსახურა მან მკითხველთა განსაკუთრებული მოწონება და სიყვარული.

ალ. ყაზბეგისაგან თავისი მოთხრობებით საგრძნობლად განსხვავდება მთის მეორე დიდი შვილი — ვაჟა-ფშაველა. მისი პროზაული თხზულებების მოცულობა იშვიათად აჭარბებს ოთხ-ხუთ გვერდს, ეს მცირეფორმიანი მოთხრობები მკითხველს ხიბლავს ბუნების საოცარი გრძნობით, გააღამაურებელი ცხოველთა და ფრინველთა სამყაროთი, რაც ყოველგვარი ავთენტური საფუძველს ქმნის და შინაგანი კეთილშობილებისაგან მოწოდებს შეიცავს.

გარდა ალ. ყაზბეგისა, ფართომასშტაბიანი რომანებით ქართული მწერლობა გამარაგალდებოდა აგრეთვე ვიოჩვი წერეთელმა. მათში ისევ მწვევე სოციალური საკითხებია წინ წამოწეული, ნაჩვენებია ქართული ბერძენაზიის შემდგომი ნაბიჯები და ამით გამოწვეული ჭრები ქალაქად თუ სოფლად. ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს გ. წერეთლის ოსტატურად დაწერილი მოთხრობებიც, განსაკუთრებით — „რუხი მგელი“ და „მამიდა ასმათი“.

ქართული პროზის დედამდინარეს თავისებურ ნაყოფებად ერთგვან აგრეთვე იაკობ გოგებაშვილის, ანტონ ფერცელაშის, ნიკო ლომოურისა, სოფრომ შვალთბლიშვილისა და სხვა ხალხისანთა მოთხრობები. შესწავლვთვე საუკუნის ბოლოს და მეოცე საუკუნის დასაწყისში ქართულ ბელეტრისტიკას ემატებოდა ახალი შესანიშნავი სახელები: ეგნატე ნინოშვილი და დავით კლდიაშვილი, ვასილ ბარნოვი და შიო არაგვისპირელი, კოლა ლომთათიძე და სხვანი. შეუძლებელია და არც საჭიროება მოითხოვს აქ ცალ-ცალკე შევეხეთ თვითონ მათგანს. ვიტყვით მხოლოდ, რომ მათ გამაღივრეს ქართული ლიტერატურა ახალი თემებით, ახალი იდეებით, ასახეს ახალი სოციალური მოვლენები, ამავე დროს ასახეს თავისებურად, ინდივიდუალური მხატვრული ხერხებით.

ქართული პროზის განვითარების ეს ვრცელი გზა მე-19 და მე-20 საუკუნეთა მანძილზე

მკითხველს შეუძლია თავადათონე დაინახოს ქართული მოთხრობის მაგალითზე იმ სამატრომანი კრებულის მიხედვით, რასწავლვთვე ვაწარმოებლობა „ლიტერატურა და ზედათონე მწერლობა“ ველისამ კრებულის პირველი ორი ტომი, რომელიც ძირითადად საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მოთხრობებს მოიცავს, უკვე გამოსულა. უახლოეს ხანებში მკითხველი ვიხილავს აგრეთვე შესამე ტომსაც, რომელიც თანამედროვე მწერალთა მოთხრობებს წარმოგიდგენს.

ცხადია, ამგვარი კრებულის შედგენა არც ისე იოლია, რადგან ერთი მხრივ მასში წარმოდგენილი უნდა იყოს თვითონე მწერლის ყველაზე დამახასიათებელი და საუკეთესო ნაწარმოებები, ხოლო ამავე დროს მთლიანად კრებულში უნდა მოიცავდეს როგორც თანამედროვე, ისე ისტორიულ თემათკას და იმ პრობლემებს, რაც ამათ იმ ეპოქაში მდგარა ქართული მწერლობის წინაშე, წარმოდგენს უნდა ვეაძლევდეს სხვადასხვა ლიტერატურულ მიმდინარეობასა და სტილისტურ ნაირფეროვნებაზე ქართულ პროზაში. ყოველივე ეს უნდა ეტოდეს საკმაოდ დიდსა, მაგრამ მაინც განსაზღვრული მოცულობის მქონე სამ ტომში.

კრებულის რედაქტორ-შემდგენლებს (ა. ვახუცია და მ. ლუბანიძე) წარმატებით ვაგრძნობეთ თავი ამ ამოცანისათვის. მოთხრობები ძირითადად კარგადაა შერჩეული. პირველ ტომს წინ უძღვის ვიოჩვი ნატროშვილის საკმაოდ ვრცელი, საინტერესო წინასიტყვაობა. ხოლო თვითონე ტომის ბოლოს დართულ შენიშვნებში მოცემულია მოკლე ბიბლიოგრაფული ცნობები ყოველი ნაწარმოების დაწერისა და გამოქვეყნების თაობაზე.

მასალის შერჩევისა და დალაგების მხრივ შეიძლება ზოგიერთი შენიშვნა ვაეთქვას. მაგალითად, დასაწანიო, რომ კრებულში არ შედის ილიას „ოთარაანთ ქერიც“, ვასილ ბარნოვის რომელიმე ისტორიული მოთხრობა, დკლდიაშვილის „ბაეულას ღარებისა“ და მ. წახიშვილის „მიწის ყვილის“ ნაცელად მიზანშეწონილი იქნებოდა მათივე სხვა უფრო მნიშვნელოვანი ნაწარმოებების შეტანა. ვაუცხავრია, რატომ არის მოკეული ვრ. რწველშეოლი დ. კონქაძისა და ლ. არდამიანის შემდგენ ვაჟა-ფშაველა — ალ. ყაზბეგზე წინ და სხვ. მაგრამ ეს ყოველივე შედარებით წარიღმანიო. საერთოდ ამ კრებულის გამოცემა მოწონებას იმსახურებს. კარგი იქნება, თუ მომავალში ასევე გამოიცემა ქართული ნოველების კრებულიც.

ზ. ვუშნაძისძი

მთხრობები ოსა და მშვიდობაზე



ვიორჯი გელაშვილის წიგნის „მიტოვებული ქობის“ ყველაზე დიდი მოცულობის მოთხრობა ოცდაათიოდე გვერდია, ყველაზე პატარა კი მხოლოდ ცამეტ სტრიქონს შეიცავს. ფაქტურად ოთხი მათგანია ნამდვილი მოთხრობა, დანარჩენები კი მინიატურების ტიპის პატარა ჩანახატებია, უნდა ითქვას, მეტად პლასტიკურად, ცოცხლად და ფსიქოლოგიური გააზრებითაა დაწერილი.

რა შეიძლება ითქვას ამ ოთხ შედარებით ვრცელ მოთხრობაზე? თემატურად „მიტოვებული ქობი“ სოფელს ეხება; მოთხრობა: „ქობილს“ ჩვენი საუცუნის გარეგნულად გადაყვანით; „მთვარეული“ და „ოქროსტატა“ ქალაქის თემებზე. მაგრამ სხვადასხვა პრიზმაში დანახული. ამ მოთხრობებს აერთიანებს ერთი მთავარი — გ. გელაშვილის გმირები ახალგაზრდები არიან, ჩვენი სამშობლოს სახელოვანი ახალგაზრდები. რა თქმა უნდა, აქ შეუძლებელია და არცაა საჭირო ამ მოთხრობების შინაარსის ვადმოცემა. მთავარია ადამიანები, ხასიათები, რომლებიც მოქმედებენ გ. გელაშვილის ნაწარმოებებში. ავტორს ეხერხება პერსონაჟების ხატვა, როგორც ვარგულად, ისე ფსიქოლოგიურად. ისინი არ არიან მოაზრული სქემები, სულისა და ხორცისაგან დაყოფილი ლტერატურული გმირები, არამედ კოლორიტული, ინდივიდუალური, სისხლსავე ადამიანები არიან და ამიტომ რჩებიან მკითხველს ვინებამდე.

აი, სესე დარიშვილი, რომელმაც ქალაქი, ცოლ-შვილი დასტოვა დროებით, ტყეში მიტოვებულ ქობს შეაფარა თავი, სანთლის შექმნე, ზის გადაჭრილ ძირკვზე წერს დისერტაციას. აქ იგი უნებლიე მოწეშე და, არა შარტო მოწეშე, მსაჯულიც კი ხდება ორ მთიელს შორის ჩამოვარდნილი შედისა. სესე ძლიერი პირივინებაა, მტკიცე ნებისყოფიანი და მორალურად სპეტაკი. მისი ცხოვრების მიზანი ადამიანებში სიყვარულის დათვსვაა. რაღაც ამაღლებული, რომანტიკული იერი დაქრავს სესეს სახეს, ისევე, როგორც მთელ მოთხრობას და ეს ემოციურ ძალას მატებს „მიტოვებულ ქობს“.

მოთხრობა „მომბოლო“, როგორც ვთქვით, წარსულს ეხება. ზღვისპირა ქალაქში ორი მეგობარი გვღე და დედე — „კუბია“ და „კოპწია“ ცხოვრობენ. ხასიათითაც და ვარგულადაც აბსოლუტურად მოპირდაპირე ტიპები არიან, მაგრამ როგორი სიფაქიზით, როგორი ადამიანური გრძნობით უყვართ ერთმანეთი, მათი სახეები ავტორს დიდი სიზოთხა და გულმოდგინებით გამოუკეთია. ერთი შეხედვით, თავზე ხელაღებული, უდარდელი მეთევზეები საოცარ

გულსხმბირებებსა და სინაზეს ქმნიან. გულში და კეთილშობილურ საქმეებსაც უთმობენ. აქ იფერიაო, ისე აცეთებენ. თავდაც ლატარია უკანასკნელ ლექმას სხვას უყოფენ. — მათ შიერ სიყვდილს გადარჩენილ რევოლუციონერ მეზღეაერ მშობილს აძლევენ. ამავე მოთხრობაში მშობილებს კეთილი ანგლოზივით დატრიალებს თავზე ირინე, კდემამოსილი, გულყეთილი გოგონა. თავისებურად მოულოდნელა მოთხრობის ფინალიც, როცა მეღვანდება, რომ რევოლუციონერი მეზღეაერი, ლოჯინად ჩაყარდნილი, მოხუცი მწერალი ყოფილა (იგი ამ ძველ ამბავს მის სანახავად მისულ ახალგაზრდებს უყვება).

კარგ მთავბრძენებსა სტოვებს „მთვარეული“. აქ მოთხრობილია მეტად ადამიანური ამბავი. ვინ იცის, რამდენი ბიძონანარი ტიპი შეგვხვდებოდა ცხოვრებაში: ახირებულ, ნაზი, „ქალღერი“ ახალგაზრდა კაცი, რომელიც უბნის ლაზღანდადა ბიჭებს დასაყენი გამზდარა. ბიძინას არაფერი სწყენს, გული არ მოსდის და ყველას ერთნაირი კეთილი ღიმილით ხვდება. მას უყვარს ადამიანები, სწამს მათი, იცის, რომ დღეს თუ ხვალ ეს „ყუენილიები“ უკუენი ჩადებნიან და თავანინად მოქცევიან აბლა „მთვარეული“ მონათლულ ბიძინას, პატვისისყვის იგრძნობენ მისადმი. მეტად ბუნებრივი და ლირიკული ანანოსა და ბიძინას ერთიერთობაც.

ავტორი ახერხებს თავის გმირების ხასიათსა და ყოფაცევაში რეალური, ლოჯიკური ფსიქოლოგიური შტრიხების მონახვას. ასეა მოთხრობაში „ოქროსტატა“. ახალგაზრდა ხელისანი გულა, სამუშაოდან წამოსული, სასახუნგში შეიგლის ზოლზე გადაკრავს და მეზობელ ძია მათს „უჩრავს“ — საწეშარ მილს მეშტის ცემით ჰეჭავს... ერთ დღესაც შერცხვა თავისი უღრისი საქციელისა, იარაღები მოიტანა, შილა გაასწორა და შეღება კიდევითი შილა. მია მათე კი საღილზე მიიწევა ეხზო. „ოქროსტატა“ ოქროვლაც ეწოდებოდაო, — ამთავრებს ამ კარგად ჩაფიქრებულ მოთხრობას ავტორი.

გ. გელაშვილის მინიატურები უშეალოდ, რეალური ცხოვრებიდან აღებული ცალკეული სტრატეზია, ვინებამეხილულად მიგვიხვდელი და გააზრბებული, ლაონურად დაწერილი და ჩამოფიქრბული. ავტორი აქაც არ ლალატობს თავის მანერას და ფსიქოლოგიურ მომენტებზე ამახვილებს უფრადლებს.

მრავალფეროვანია ეს ჩანახატები. ზოგიერთ მათგანში ადამიანის რთული სულერი სამყაროა გახსნილი („ბუტუსერა“, „ქუჩაში ყერ მეზოვეც კი არ იყო“, „პოეტის ცოლი“); ზოგში ნახვრად იუმორისტული სენტენციებია ვადმოცემული („ქალის ასავი“, „დამადლებული საღამი“, „ღავამი“, „ცთენებული“, „ახირებული სტეშარია“); ზოგი ლირიკული ინტონაციებით

იპყრობს ყურადღებას („ნამეზობლარები“, „მარათი“, „საკაბე“, „დადოევებული მოქალაქე“, „სოფლის გოგონიჭობა“); ზოგიც სიმბოლიური ქლერადობისა და ზოგადსაკაცობრიო იდეებთანაა გამსჭვალული („ქეძე“, „მხატვრის ჩანადერი“). ამ მინატურებს ავთო ერთი მიზანი — ჩაუწერგონ ადამიანებს ჰუმანრობა, კეთილშობილება და ერთგობის სიყვარული.

...მარჯვენაში დაკრილმა მეზღვაურმა პოსპიტლიდან ქალაქში გასიერების ნებათა მიიღო. პარკში ძალშობი იდგა და რამდენიმე კაცი რიგაკობით ურტყამდა უროს. მეზღვაურმა მარტენა ხელი დაკრა, მაგრამ შეამდევ ვერ ბუროცა საზომი, შწარედ გაიღმა და შეხვეულ მარჯვენას დახედა... ვილაცამ ჩაიჭირქილა კადეკაც; ამან ვაშმაგა მეზღვაური: „...თავი დაიჭინა მოწყვეტი დაშვებულ უროსავით და ტყავადაკრულ ხეშე გრდემლს შეშლი დაანარცხა — შევლესაზომზე ნაოკი ზრიალი ავარდა, უკიდრეს ზღდეს მისაცდა და გასაჭანი რომ არ ქქონდა, უკანვე ჩამოხეუტა.

ყველას საზარელმა ქრანტელმა დაუარა. შიშით, ვაკცებით, პატოისცევით, თან მათში შემთხვევით ვარეული და ახლა უკვე შეუმჩნეველად გაქრწული ვილაც წუნჯალის საქცელოთ დარცხვენილი, შიაქქარდნენ ადამიანები თავზხელალებულ, გადარეულ მეზღვაურს, რომელაც უმაღ წელში კობტად გაიმართა... თუმცა ქული ვადავარდნოდა, თმები ჩამოშლიდა, შეშლზე სისხლს გამოეფონა, — მაინც დამცხრალიყო, დაოკებელიყო, დამოშინებელიყო, თავმოწონედ იღიშებოდა“.

გ. გელაშვილს ამ პატარა მოთხრობას ჰქვია, „იყო ასეთი მეზღვაური“ იგი შეტანილია მოთხრობების ციკლში — „ომის დროს“. ამ ციკლში თერთმეტი პატარა მოთხრობა წარმოდგენილი და ჩვენი აზრით, სწორედ ეს ციკლია ყველაზე ძლიერი მთელ წიგნში. ყოველი მოთხანი იწყება სიტყვებით „ომის დროს“... და შემდეგ თხრობა. ყოველი მოთხანი ომისდროინდელი ზურგის მართალი და ამბულელებელი სერათია. კინოკადრებით გააღლვებენ მყოხებულთა თედწინ მაშინდელი მშიმე დღეები. შახელი თვალით დანახული დეტალები შეტყუებულია რთულ ფსიქოლოგიურ განწყობილებებსა და ღირცულ ტონებთან.

აი, ქარში გაწვეული ორი კაბუცა, რომლებიც ასანთის ორ ღერს დაითითებენ, რათა ომის შემდეგ „უწმინდეს ნიშანსაბუთაფრეწაყვადინოწ ერთმანეთს (ასანთის ორი ღერე) უკუწმინდენილი ახალგაზრდა ლეიტენანტი, რომელიც მარტომარტო ცეკავს „ქართულს“ სადგურის რესტორანში, პირდაპირ ფრონტზე მიზავალ ეშელონს შეახტება და ადარ ბრუნდება („სამახსოვრო ცეკვა“) აი, საბარგო მანქანის საქვსთან დამქდარი ფრონტელის მიუღღა, რომელიც მთვრალ კაცს შეეშველება ქენაში („უშწო გეზავარი“). ვასაყუთებებით აღსანიშნავია, როგორც მხატვრულად, ისე იდეურ-ფსიქოლოგიური ვადწყვეტილი „პატრული“ და „ნიშანი“; ავტორი ამ ციკლში აღწევს სიმართლესა და ბუნებრივობას, ამიტომ სასურველი იქნება, თუ შემდგომშიაც სხვა კარგი ნაწარმოებები შეემატება „ომის დროს“...

თხრობის ძალდაუტანებელი, ბუნებრივი მანერა; ბუნების სურათების ქუნწი, მაგრამ შთამბეჭდავი ვადმოცემა, სხარტი და დახვეწილი დიქლოგები, წერის ლაციონიერი სტილი და ძალღვიანი, კარგი ქართულით გამართული ფრაზები, გ. გელაშვილის ნაწარმოებთა დამახასიათებელი თვისებაა. და მით უფრო გაცემით თვალში აქაიქ გაპარული ენობრივად გაუმართავი, შეუფერებელი გამოთქმები („ქალაქის ხატოვან ნაწილში“, „ნათავსადასავლევ ბიძინას“, „ხელპირი გაიჩაჩაჩა“, „ხელპირი ვალგრიკა“, „თავის გვირგვინეულ საწვევარ კერას“, „ველავ ვანურჩველობა შეიტოვა სახეზე“, „თავსათვის დაბარვანებდა“, „ურტყამდა შესატყეის უროს“ და სხვ.). ზოგჯერ ავტორი დიალოგებში ზედმეტად ხმარობს ნაცვალსახელეებს („მარტო ვარ შე სახლში“, „ოლონდ დარტდ არ დამიღვევია მე“, „მოველი მე“, „ის რომ ჩამოვა, თუთონ ის გაასწორებს“, „მოვდივარ მე, ირინე...“ ქალაქის თავი და სხვა რამ იმისთანა თანამდებობის არა ვარ მე“ და სხვ.).

დასასრულ, უნდა ითქვას, რომ გ. გელაშვილის „მიტოვებული ქოხი“ თავდება იმისა, რომ ავტორი კვლავაც არაერთ კარგ ნაწარმოებში მიაწოდებს ქართულ მყოხველს.

აღ. სანადირაძე

„პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი“ ქართულად

„პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი“ ვიქტორ ჰიუგოს ერთერთი საუკეთესო ისტორიული რომანია, რომელშიც ავტორმა სწორად ასახა შუასაუკუნეების ცხოვრება. ძნელად მოიძებნება

მსოფლიო ლიტერატურაში „პარიზის ღვთისმშობლის ტაძრისთან“ ფართო სოციალურ-ეპიური ტილო, რომელშიც ასახული იყოს სოზოგადობის სხვადასხვა ფენის წარმომადგენლების ასეთი კრელი სურათი. შეიძლება ამითაცაა გაპირობებული, რომ ვიქტორ ჰიუგოს „სოზოგადო ადგილების მოხერხებულ და ბრწყინვალე meteur en scene (რეცისორს)“ უწოდებენ.

ვიქტორ ჰიუგო „პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი“, თარგმანი ფრანკულიდან შალვა პაპუაშვილისა, საბჭოთა საქართველო, 1963.

„პარიზის ღვთისმშობლის ტაძარში“ გამოყვანილია საზოგადოების, თითქმის, ყველა ფენის წარმომადგენელი. ამ თავთავიანთ ენაზე ლაპარაკობენ უმღლესი წრის არისტოკრატები, ოფიცრები, სამღვდლოება, ქალაქის საშუალო ფენის წარმომადგენლები და ათასი ჟურის ნაპირალები, — ქერდაცაცები და მათხოვრები. ამიტომაც „პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი“ გამოირჩევა ენობრივ-სტილისტური მრავალფეროვნებით. რომანი აღბეჭდილია მდიდარი, ბრწყინვალე და ორიგინალური სტილით, დატვირთულია ზორცასევე სახეებითა და გვირგვინით; შეთხვევლს ხიბლავს რომანში გამოყენებული მეტაფორების ზღაპრული ელვარება, და ყველაფერი ეს ექტორ პიუგოს გამოხატული აქვს ნათელი და მკვეთრი პოეტური საღებავებით. პიუგოს პოეტური სტილის პლასტიკურობასა და ხატოვნებას უნდა დამატოს მისი არაჩვეულებრივი რიტმულობა.

და თუ გვითვალისწინებთ ყოველივე ამას, ჩვენთვის სათელი ვასწავნა თუ რა სასასუხისმგებელი და რთული ამოცანის წინაშე იდგა, „პარიზის ღვთისმშობლის ტაძრის“ ქართულ ენაზე მთარგმნელი — შალვა პაპუაშვილი.

შ. პაპუაშვილი ცნობილია, როგორც ფილოსოფური ნაწარმოებების ერთი საუკეთესო მთარგმნელთაგანი. ექტორ პიუგოს აღნიშნული რომანი შ. პაპუაშვილის პირველი მხატვრული თარგმანია. და აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ მთარგმნელმა კარგად გაართვა თავი ამ მეტად რთულ და სასასუხისმგებელი ამოცანას.

მთარგმნელს დიდის მონდომებით უნდა შეერჩია რომანში გამოყვანილი ურიცხვი და მრავალფეროვანი გვირგვინისათვის ქართულად დამახასიათებელი ენობრივი ნიუანსები. როგორც ქართული თარგმანის დედანთან შეჯერებამ და დეკარწმუნა შ. პაპუაშვილს მოუძებნია ქართული იდიომატური თუ ფრაზეოლოგიური გამოთქმები, ანდაზები თუ მოსწრებელი თქმანი; მთარგმნელი ასევე კარგად უხამებს „არგოს“ ენას ქართულ ეარგონულ გამოთქმებს; ხოლო ქართულად გადმოტანილი ლექსები ხასიათდება პოეტური სისადაეთა და რიტმულობით.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, „პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი“ თარგმნილია ბუნებრივი ქართული ენით, მიუხედავად იმისა, რომ ქართული ენა ვერ ვგუბავს გრძელ პერიოდებს, ამ შემთხვევაშიც მთარგმნელი ცდილა არ დეკარლვია დედნის სტილისტური ერთიანობა და ქართულადაც რიგიანი საკითხავი ყოფილიყო. ამის საილუსტრაციოდ გამოგვადგება მთელი წიგნი, მაგრამ ზევნ მოვიტანთ რამდენიმე დამახასიათებელ ადგილს. აი, „სასწაულებათა საზარელ ენოს სურათი:

„იგი (ე. ი. ეზო — ნ. ბ.) წარმოადგენდა უსწორო ფორმის, ცუდად მოკარწყულულ ერთ ფაქტო ადგილს, ისეთს, როგორიც იყო პარიზის

ყველა მაშინდელი მოედანი. აქაჲ ვიწყოებდა კოცონები, რომელთა ირგვლივ უცნაური ჩგუფები ფუთფუთებდნენ. ყველანაირსნ მხამრდნენ, შიდიოდნენ, ყვიროდნენ. მსმტქმქმქმტანი სიცილ-ხარხარი, ბავშვების ჩხავილი, ქალებს ხმა. ამ ბრბოს ხელები და თავები ცეცხლის შუქზე ათს უცნაურ შავ ლანდებად ისახებოდა. ხანდღვან მიწაზე, იქ, სადაც თრთოდა ცეცხლის გამოჩაერთობი და ვეებრთედა გავრცეევილი ჩრდილები ერთმანეთში ირეოდა, შეიძლებოდა შეგეზნნიათ გავლალი ძაღლი, რომელიც ჰგავდა ადამიანს, და ადამიანი, რომელიც ჰგავდა ძაღლს. გეგონებდით, ქალაქის ამ უბანში ყოველი მიწა და საზღვარი წაშლილიყო გვაართობათა და სახეობათა შორის როგორც დეშონთა საკრებულოში. მამაკაეები, დედაკაეები, ცხოველები, ასაკი, სქესი, ჩამრთელობა და სხეულები, ყველაფერი ამ ხალხში საერთო ჩანდა, ყველაფერი, ერთობლივ ხდებოდა, ერთმანეთში ირეოდა, ერთიმეორეს ზედ შრეებდა დეებოდა, თვითველს საერთო დალი აზნდა“ (გვ. 100).

როგორც ამ ვრცელი ციტატიდან დეარწმუნდით, მთარგმნელი არამარტო ინარჩუნებს დედნის სტილისტურ მთლიანობას და მხატვრულ სახეებს, არამედ ეს ადგილი ქართულადაც ბუნებრივად ელვას.

გრენვეარისა და ესმერალდის ორთაბრძოლა ქართულად ასეა გადმოცემული:

„ბოშა ქალი გველთეხასავით გაუხსლტა ხელიდან, სენაკის მეორე კუთხეში გადაბტა, ჟერ დაისაზა, შერე ისევე წულში გასწორდა და ხელში პატარა ზანჩალმა გაუღლვა. გრენვეარმა ვერ კო მოსაწრო დაუნდა, საიდან განდა ეს ხანჯალი. ქალი იდგა მის წინ შრისხანა, ფიცხი, ამაყი; ტრუნემოკუმულს ნესტოები ხანგრებოდა, ლაწეები წაოსწითლებოდა, თვალუბიდან ცეცხლს აფრქეედა“ (გვ. 117).

და ბოლოს, კვაზიმოდოს მიერ ესმერალდის მოტაცების სურათი:

„სწორედ ამ მოიყვანა გამარჯვებულმა კვაზიმოდომ ესმერალდა კოშკებსა და გაღურებებზე თავაწყვეტილი რბენის შემდეგ, სანამ ამრიგად მიარბენინებდა, ახალგაზრდა ქალი გონს ვერ მოვიდა, ნახეურად ეძინა, ნახეურად ეღვიძა, ძილღვიძილში იყო, ვერაფერს გრძნობდა, გარდა იმისა, რომ პაერში ზევიით და ზეით მიიწედა, ლიელოვით მიქპროდა, მიფრინავდა, რაღაც ძალი მიწიდან ამორებდა, მალა მიკყავდა. დროდადრო ყურში ესმოდა კვაზიმოდოს ხარხარი და მწუხარე ხმა“ (გვ. 410).

ზემოთ ვთქვით, რომ მთარგმნელს „არგოს“ ენისათვის დიდის მონდომებით შეურჩევია ქართული ეარგონური გამოთქმები. აი ზოგიერთი მათგანი; დედნშია: *la figure*—*წმინდის სახეს*, მაგრამ მთარგმნელს კონტრესტის შესატყვის დგდმო: *ჭეს „სიფითი“; Vous donc cette figure!*

„ერთი ამ სიღატოს შეგედეთ!“ ფრანგული: *le vieux joueur*—კატოლად ნიშნავს ძველ მოთამაშეს, მთარგმნელს „ყოშიარბაზი:ო“ უფროია, ანდა: *Ventre de synagogue*—სინაგოგის ნაშიგროა; *Satan* „ტარტაროზო;—*Ventre du pape*“ ეფიცავს პაპის ღრს“ და სხვა მრავალი.

და მით უფრო დასაწინაა, რომ ასეთ თარგმანში ვხვდებით უნებლიე ლაფსუსებს, რომლებიც ძალითადად გამოწვეულია სიტყვისიტყვითი თარგმანით. მაგალითად: „ამაზბაში დიდი ზარის მოძრაობა ძლიერდებოდა და რაც უფრო იზრდებოდა მისი გაქანების კუთხე, კვაზიმოდოს თვალი თანდათან უფართოვდებოდა, ენთებოდა და ფოსფორი უვრავივრავდა“ (გვ. 178); ჩვენდა სამწუხაროდ უნდა დავუმატოთ, რომ წლის ამ დროს ცივი სუნსა ბიჭს აიძულებდა ცხვირსაოცის მაგიერ ენა გამოეყენებინა“ (გვ. 236). „პარიზის ლეთისმშობლის ტაძარს“ ერთვის დოც. დ. ფანშელიძის შესავალი წერილი. უნდა

აღინიშნოს, რომ წინასიტყვაობა დაწერილია საქმის ცოდნით. ავტორი ცდილა არამარტო „პარიზის ლეთისმშობლის ტაძარს“ დაწინააღმდეგინა, არამედ ზოგად ხაზებში *le temple* მსუფთხს შემოქმედებისათვის დამახასიათებელი მომენტები შეიძლება ამითაცა გამოწვეული, რომ ხშირად წინადადებასა და წინადადებას შორის ლოგიკური კავშირი არ არის. განსაკუთრებით ეს გეყოფა წერილის შესავალ ნაწილს, სადაც ეფიქრობთ, ტექსტი ულოგიკოდაა შემოკლებული.

წიგნს აგრეთვე ერთვის მთარგმნელის მიერ შედგენილი ვრცელი და შინაარსიანი კომენტარები.

„პარიზის ლეთისმშობლის ტაძრის“ ასეთი აკადემიური სახით გამოცემა კვლავ მიუთითებს ჩვენი მთარგმნელობითი კადრების კარგ შესაღებლობებზე.

ნაზი ბორჯაბაძე

„ბროწეულუბის ცეცხლი“

„ბროწეულუბის ცეცხლი“ ზურაბ კუხიანიძის მესამე წიგნია. წიგნის გადაფურცელისთანავე თვალში მომხვდა ერთი ლექსი— „შაბაბასის გახსენება“. იგი თითქმის არაფრით გამოირჩევა საშუალო ლექსებიდანაც კი, მაგრამ მე მან სჭვა რამ ვამახსენა...

...ეს იყო ამ ობთუმეტიოდე წლის წინათ. მაშინ მეც და ზურაბიც ქუთაისში ვცხოვრობდით, ზურაბი დადიოდა იმ ლიტერატურულ წრეში, რომელსაც მე ვხელმძღვანელობდი... და აი, „შაბაბასის გახსენებაც“ აქ წაიკითხა პირველად ზურაბ კუხიანიძემ. მაშინ ზურაბი ობთუმეტი-თექვსმეტი წლისა თუ იქნებოდა და საშუალო სკოლაში სწავლობდა.

ლექსი არაა ურიგო და ძარღვიანდაცაა დაწერილი, ბავშვურად გულუბრველია და მისი ავტორის უღაო ნიჭიერებაზე მეტყველებს. მართალია, ახალგაზრდა პოეტმა ვერ მოძებნა ისეთი რამ, რომელიც მას სტევისაგან განასხვავებდა, თუმცა არც გატკეპნილი გზით წასულა და ხელალებით არ გაუმეორებია წინა თარიხის პოეტების ნათქვამი. ლექსს გარკვევით ეტყობა ნიჭიერი, ახლისმოძიებელი კაცის ხელი. ავტორს აქვს მახვილი თვალი და მრავალი ფერიდან დამახასიათებელისა და ნიშნუელის გამოჩენის უნარი. მას მაინც არ ეყო ძალა აცდენოდა შტამს, აცდენოდა თემის ზედპირულ წარმოსახვას, აქ ყველაფერია, მაგრამ ნამდვილად ძალზე კონკრეტული. მეოთხეულის თვალწინ ძალიან მკითხლად ჩნდება

შაბაბასის ველური სახე. ასე შეიძლება დაწეროს ჩვენი მიწა-წყლის რომელიც გნებავთ შტრეტი. დაიწეროს დაუსრულებლად, ყოველგვარი წერტილის დასმისა და კომპოზიციური შეკერის გარეშე.

„შაბაბასის გახსენება“ მე შემთხვევით როდი წამოვწიე წინა პლანზე. იგი ახალგაზრდა პოეტის ადრეული ნაწარმოებია. საინტერესოა, ამ ლექსის მეტე როგორ გაიზარდა ავტორი და როგორ გამოეყურება მისი ბოლოდროინდელი ლექსები?

სიახლის გრძნობა, საკუთარი გზისა და ხმის ძიება, ახალგაზრდა პოეტისათვის განსაკუთრებით საჭიროა და აუცილებელი. ცუდია, როცა ეს ნაკლებ იგრძნობა პირველ წიგნებში. ყველაფერს დაუბნობენ: წერის ტექნიკას, ცხოვრებისეულ გამოცდილებას, გამოწახავ საღღერისო ამალელებელ თემას, გათფართოვებ ცოდნას, მაგრამ ძნელია, ძალზე ძნელია იოლად გამოწახავ ახალი გზა, საკუთარი ხმა, მიადვირო პოეტურ უშუალობას. ეს სათუთი და სასიოცოცხლო თვისებანი შინაგანად უნდა გაანდგეს შემოქმედს. უფრობილდებოდეს, უვლიდეს, კვიანურად ხარჭავდეს მას. ახლის დანახვის გრძნობით უნდა იყო გაყვნილი არამარტო სიკვამლეში, არამედ სიჭარბეშიც. მაშინაც კი, როცა წლები თავისას გაიტანენ.

პოეტი ცოცხლობს თავისი სამყაროთი, ცოცხლობს იმ რაღაც ახლით, რომელიც არ იმეორებს, არ მოგვაფორმებს სხვას, სუნთქავს იმ სუნთქვით, რაც მხოლოდ მისეულია. უშუალოა, სიყვარული, აღფრთოვანება და გაყვარება ყოველი კვშმარტი პოეტის სისხლსა და ხორცშია

ზურაბ კუხიანიძე „ბროწეულუბის ცეცხლი“, „ხაბუთა საქართველო“, 1988.

გამქდარი. მათ იგი ფესვებს უმაგრებს და უფრო
თხილდება, უფროთხილდება პირველი სტრი-
ქონებიდანვე, რადგან ამის მიღმა არ არსებობს
ნამდვილი შემოქმედება.

ზურაბ კუხიანიძის წიგნი „ბროწეულების
ცეცხლი“ ლაღად, თავისუფლად იკითხება; ზო-
გიერთი ლექსი შთაბეჭდავია. გვამახსოვრდებ-
და და გონებაში გვჩნება ბევრი სტრიქონი. და
ეს იმიტომ, რომ ახალგაზრდა ავტორი თავისე-
ბურად, უშუალოდ წერს. მისი სტროფი არაა
მსუბუქი, მძიმეა კიდევ, მაგრამ მკაფიოა და
ნათელი. პოეტს ეხერხება მოკლედ და გამოკვე-
თილად თქვას სათქმელი, განგვაღვივინოს თე-
მა, ჩაგვახელოს ნაწარმოების სულსა და გულ-
ში. მისი ლექსი კომპოზიციურადაც თითქმის
მუდამ შეერთლია და უნაკლო.

არიან პოეტები, რომლებიც სიტყვას ყამბა-
ზურად ფლობენ, სწორედ სანთლებივით ჩამო-
ქნილ ლექსებს, რიგზეა მხატვრული ოსტატო-
ბაცა და ტექნიკაც. თუმცა იოლია და არაფერ-
ი დაშავდება ზოლზე ასეთი პოეტების ლექ-
სებში ერთი სტრიქონი მეორეთი შეიცვალოს.

ალგა-იან ტრაგედია ნოტივ გაისმის
„ბროწეულების ცეცხლიდან“ ზოგჯერ ნაღვი-
ანი სიოც წამოუბერაკეს. ავტორი ყოველთვის
არაა სამხიარულოდ განწყობილი. მაგრამ სი-
ნათლესა და სილაღეს წამითაც არ ჰკარგავს.
ასეთია ციცი ლექსებისა — გარდაცვილ დე-
დაზე.

ელეარე თმები, ვით შვიფე წაბლი,
და ჩემი, როგორც ფიქრი და სევდა,
მკრთალი თითები — სანთლები თავლის;
მე ასე მახსოვს მშობელი დედა, —

წერს პოეტი და გვეჩერა მისი სიწრფელე,
ვგრძნობთ მის ტკივილს. ნავიჯობათ ლექსს
და არ შეიძლება გულზე არ მოგხვედეს სტრო-
ფი, რომელიც ამ ნაწარმოებს სამკაულივით
ამშვენებს:

სახლში ვველა-ფერს შეგავლე თვალი,
ყველა დამიხვდა იქ, დედის გარდა...
სარკმელთან იდგა უცნობი ქალი
და ზედ ჰკიდებდა თოვლისფერ ფარდას.

ზურაბ კუხიანიძისათვის ახლოა ხალხური
სასილერო ლექსის სტიქია რამდენიმე გამო-
ნაკლისის გარდა, ყველა მისი ლექსი მეროდო-
ურია და ფოლკლორთანაა დაკავშირებული,
პირდაპირ თუ მოხვეული გზით წამოსუ-
ლია ხალხური პოეზიიდან, ან უკიდურეს შემ-
თხვევაში, ხალხური სიმღერებიდან:

შენი ყელი, შენი მკერდი, რას მიქვია!
ვანა რაზე მწყურია?
მეზობლის ქალს ხელს ნუ ახლებ, გამოგია,
ისიც შინაურია...

სხვა ადგილს ახალგაზრდა პოეტს შილიანად
გადმოაქვს ხალხში ფართოდ გახმოანებული, იმე-
რული სიმღერის „ოღველი-დღელი“ ინტონა-
ცია და მხოლოდ დიდდის სანეს შემტეგნაირად
აყოცხლება:

აღარ ახსოვს, თმაში ერთი
თეთრიც რომ არ ერია.
— დამიბერდი! დამიბერდი! —
ზუის, ზუის ჩერია...

ნემი აზრით, ზ. კუხიანიძე მაინც უფრო ძლი-
ერია და დამოუკიდებელი იქ, სადაც ახალს ეძ-
იებს, შინაგან, მებრძოლურ სულისკვეთებას.
აეღვს, რათელი საღვთო ფორმებს ეჭიდება.
ვფიქრობ, ხალხურ სასილერო მოტივებსა და
ინტონაციებზე აგებულ ლექსებში იგი საკმა-
ოდ მოისუსტებს პოეტური ოსტატობის მხრივ.
საბატებელია, ვანა, ამგვარი სტრიქონები? —

ბევრი დაცხრა იქნებ დგება
ახლა შენი ყერია...

ან ასეთი რამ მიეტყვება პოეტს:

მოუქსოვს ბიჭებს უნდა,
ასი წინდა ჰრელია.

რისი ზაღია ეს? მხოლოდ იმისა, რომ ახ-
ალგაზრდა პოეტმა საჭირო დრო არ დახარჯა
ლექსის დახვეწა-დამუშავებაზე, რატომღაც არ
მოინდობა, თორემ შეეძლო მაღალსტატური
ნაწარმოები მიეწოდებინა მოთხველისათვის.

სარკეცნიო წიგნში უხეად გვედებდა ლამა-
ზი პოეტური საღვთავეებით დახატული სერა-
თები. მოთხველს წარმოუდგება: „ქარისაგან
აქეწილი ვიფლები“, „საღვლო დროის ბუნება“,
რომელსაც ქალ-ეფის სიმღერის მოსასმენად
მოუმიძინარება თავი, „გადმოფანტური ტყე-
ლის ფიფქები“, „გრძელყელიანი და გულში
ქალივით ჩასახტებელი ეახი“, „ჰადარზე
ბლონდვით მოდებული ბინდი“, „ქუქუნი-ქუ-
ყუნა წვიმით დასველებული ქალბი“.

„მებორნე“ გულით განცდილი ლექსია პოე-
ტი მიღის ბავშვობის მდინარესთან და ზედავს:
სადაც ძველად ბორანი იყო გაბმული, იქ ახლა
ახალი ხიდაა. შეეცლილია მშობლიური მიდი-
მი. მდინარე ისევ მოედინება მდორე, ამღერე-
ული. სადაღაც, თითქოს თავისი ბორანის დასა-
ხედავად გამოსული, მებორნის ლანი გაველ-
ებს. ვაეთობებული. ზეღდაყოფილი, მოკლე-
მზარაიანი მებორნე ხსოვნაში ამოტივტივდება:

ეისი არ იყო იგი მშობილი,
მგზავრზე ზრუნავდა, როგორც პატრონი
ხალხში მებორნე იყო ცნობილი,
როგორც ქალაქში გუბერნატორი.

მდინარის ახლომხლო დაბორიანებს, სუნ-
თქვას და ცოცხლობს კეთილი მებორნე, პა-
ტარა ადამიანი, „კაცო, რომელსაც ხიდის მაგ-
ერ წყალზე გაწვდილი ჰქონდა მარჯენა“...
„უცნარის ხალხი“ და „თეთრი ლექსი თეთ-

რამიწას“ უსათუოდ მიგნებელი თემებია. ორივე ლექსი დაწერილია შთაბეჭდვად. სარეცენზიო წიგნში სუსტი და არაფრისმთქმელი ნაწარმოებები გაჰპარება ავტორს.

„კოშკების ჩრდილში“, — ასე დაუსათურებია პოეტს სენსორ მოტივებზე დაწერილი ლექსების ციკლი. ტრადიციული დღისა და უშუალო გვერდით ეხედებით ორიგინალურად ჩაფიქრებულ ნაწარმოებებს, თუმცა მათში ნაკლებად იგრძნობა სენსორი კოლორიტი, სენსორისათვის დამახასიათებელი ნიშანდობლივი თვისებანი.

ზ. კუბიანძის „ღალი“ გადამღერებაა წინათობის პოეტების ლექსებისა, შიგ არაფერია ახალი, დღემდე უცნობი და მიუგნებელი. ამასთან, იგი, კომპოზიციურადაც სუსტადაა შეკრული, ნაძალადევი და ყაღბია:

ჩამოდი, ღმერთობა ყინვაში დატოვე.

ან კლდეს მიიხარე. ანდა ცას...

თუ სისხლი არა გაქვს, ღმერთი ზარ

მარტოდენ,

მე შენი ღმერთობა არა მწამს.

უშუადადმი მიძღვნილი ლექსი მეტად ზედაპირულია, განსაკუთრებით პირველი სამი სტროფი. აქაც გადამღერებასა და შტამბთან გაქვეს სსვე. კარგა ხანია ჭართულმა პოეზიაში იცის, რომ „უშუა“ ლამაზია, ახლამიწასთან, თუმცა ავია და უკარებელი“, რომ მიმაღთა გულებს ახელებს, რომელთაც კლდიან აღმართთა შიში არა აქვთ“. მთავარია, რადაც ისეთი თქვა, რომელიც უშუას თელწინ წარმოგვიდგენს. თორემ რა გამოდის ამ ლექსს რომ „უშუას“ მაგიერ „თეთნულდი“, ან თუ გნებავთ, „შხარა“ ვუწოდოთ, საესტეში არაფერი დამავდება. ჩაკეთებაც მის ბოლო სტროქონებსაც („უშუა ლამაზ ქალს მოკვავს ბუნებით რომლის დაპყრობას მსხვერპლი სჭირდება“) და გულდაწყვეტილი რჩები: არაა ის, რასაც მოვლადი!

„კოშკების ჩრდილში ბასრი ცელებით დგანან სენები“ — ამბობს პოეტი ამ ციკლის ერთ ლექსში. აბა, როგორ აღგაფრთოვანებს ეს სტროფი, ან რა არის ახალი მასში:

კოშკების ჩრდილში დგანან და ისე
შთებს გაპყურებენ... მთებში მთებში...
მთებში ჩამავალ მზის მიმჭრალ სხივზე
დაღის დაღალი მოღანდებთათ.

რატომ გამოიყურება ასე ერთფეროვნად ახალგაზრდა პოეტი სენსორ ლექსებში? რატომ ვერ გამოიკითხა თავისი სახე. რატომ ვერ გაშალა მხრები? ამ კითხვებზე პასუხი ასეთია. სენსორი ლექსები არაა მისი სტიქია, არ გამოდის

მისი შინაგანი სამყაროდან. სენსორ ლექსებში შემთხვევით ჩაელი მოგზაური უფრო ჩანს, ვიდრე ახლისამიყვებელი შემოქმედის წესი.

კრებულში შეტანილ ლექსებში „სენსორი“ გზაურთა გასაგონად; „უშუაში“ გასაგონად წერილს“ მეტი კონკრეტულობა და სიმართლე ესაჭიროება. თავისუფლების ენძელმა მრავალი პოეტი აღფრთოვანა. დაიწერა უამრავი კარგი ლექსი. ბევრი აღამიანი განუწყო კუბისათვის თავისდადების სურვილით. ასეთივე მისწრაფებითაა გამსქვალელი ახალგაზრდა პოეტიც. მაგრამ, როცა ამ ვაჟაცურ მგზნებარებასა და შემართებას გადმოეცემთ ხოლმე, მეტი სისათუთე, მეტი სიმართლე და სინათლე საჭირო. შეთხველმა უნდა დაეფეროს, რომ შენ ნამდვილად ამას გააკეთებ. სრულიადი არაა აუცილებელი ლექსში მშრალი და დეკლამაციური გაცხადებასი.

ლექსი „ბრატკის ქესისაყენ“ სავრთოდ კარგი და კონკრეტულ თემზე დაწერილი ნაწარმოებია; გულწრფელი ქებაა ქუთათურ ატომანქანებზე. ლექსი გადმოსცემს ქესისაყენ მიმავალი, ქუთათური ავტომანქანებით დატვირთული მტარებლის ბორბლების „მუსიკას“ და საესვა მრელიოდელი პოეტური საეებით. მხოლოდ ჩემთვის გვიგებარია, როგორ გაგანდა ამ მშვენიერ ლექსში ამგვარი სტროფი:

შენ შეასბი ფრთები, ჩვენო მიწდორ-ველო,
თქვენ ზელდვით ჭალა, ჩვენო ლერჯო მთებო,
კარგ დროს გაჩენილხართ, გულით
დღი ლელო.

ბედმა გაგლიზათ ავტომანქანებში!...

მე ვერ განვიცადე ზურაბ კუბიანძის „ბაღდა ტიციან ტბიძის გულზე“. ასევე არ მიემწონა „ჰარი ვერ მოვუთავა“ და „იყუცო თვის სურნელი“. ამგვარი ლექსები კვალს არ სტოვებენ და არ გააჩინათ ყოთხველზე რაიმე ზემოქმედების ჭალა.

პირველ წიგნებზე ბევრადამ დამოკიდებელი პოეტის ბედი, პირველი წიგნები, როგორც ეს მიძღვნილად თქვა ერთმა მეგობარმა პოეტმა, ლიტერატურაში შესასვლელი პასპორტია, მაგრამ პირველ წიგნებზე სერიოზული, პირველ წიგნებზე დამაფიქრებელი, მაინც მომდევნო წიგნია. ძნელია მისი დაწერა. იქ უნდა განახლდე ახალი შთაგონებით მაგრამ ისე, რომ თავისთავადი და უშუალო დარჩე. შენს თავს ჰგადე და შენი თავი არ იშვრო, არ დაპყარო აღფრთოვანების, გოცუებისა და სამყაროს ახლებურად დანახვის უნარი.

ენახით, რას გვეტყვის სარეცენზიო წიგნის ავტორი მომავალში.

ვანო ზვინაძე

3260 80 423.

ИНДЕКС

76128



ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

„**М Н А Т О Б И**“

ИЗДАТЕЛЬСТВО „ЛИТЕРАТУРА ДА ХЕЛОВНЕБА“